

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეგობნი ბარათაშვილი, ჯანდრი ზარანდია

**საქართველოს რეგიონული განვითარების
მკონომიკა**

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2007**

„ქართველობა მართო ეროვნება არ არის –
გარკვეული თვალსაზრისით სასჯელიცაა... ამას
ადასტურებს მთელი ჩვენი ისტორია. დანარჩენი
მსოფლიო ყოველთვის მეტოქეს, პარტნიორს, ანდა
კონკურენტს ხედავს მასში“...
ოთარ ჭილაძე

შესავალი

საქართველო იმყოფება საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა წარმოაჩინა მრავალი პრობლემა და მოსაგვარებელი საკითხი, მათ შორის, რეგიონული განვითარების სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც ფედერალიზმის დამკვიდრების პირობებში მეტად მასშტაბური, რთული და მრავალმხრივი ამოცანაა. რეგიონებში საზოგადოებრივი წყობის მიმდინარე რადიკალური ცვლა დიდ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, ვერ ხერხდება სრულფასოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების სრულად რეალიზაცია, დაბალია ეკონომიკური აქტივობა, სუსტია საზოგადოების როლი ეკონომიკური პოლიტიკის გარდაქმნაში. რეგიონებში მიმდინარე პროცესები ხასიათდება სახელმწიფოს წინაშე მდგარ პრობლემათა თავისებურებებით: აღსადგენია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სრული მოცულობით ასამოქმედებელია ქვეყნის კონსტიტუცია, ჩამოსაყალიბებელია ტერიტორიული მოწყობის სისტემა, სრულყოფას მოითხოვს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურა და ფუნქციები, საჭიროა გაიმიჯნოს რეგიონული ხელისუფლების პოლიტიკური და სამეურნეო ფუნქციები, შეიქმნას ეფექტიანი საფინანსო ბაზარი, დასრულდეს რეგიონული კავშირების და ძირითად საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირების პროცესი, რათა ქვეყანა სრულფასოვნად ჩაერ-

თოს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია ქვეყანაში მიმდინარე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის სპეციფიკური პრობლემების გათვალისწინებით. მასში გადმოცემული მოსაზრებები ეროვნული ეკონომიკის რეგიონულ ჭრილში მიმდინარე პროცესებზე უშუალო დაკვირვების შედეგია.

საგულისხმოა, რომ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას რეგიონული კვლევის მდიდარი ტრადიცია გააჩნია. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით აწვარდაცვლილ ქართველ მეცნიერებს: პ. გუგუშვილს, ი. მიქელაძეს, ვ. მელქაძეს, გ. გველესიანს, ვ. ჯაოშვილს, ე. კობახიძეს, რ. კვერენჩილაძეს, ო. საღარეიშვილს, დ. მოურავიძეს. ნაშრომის მიზანიც ამ ტრადიციათა გაგრძელებაა. ისიც ცხადია, რომ რეგიონული ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოგვარება გლობალიზაციის პირობებში მარტო საკუთარ ტრადიციებზე დაყრდნობით შეუძლებელია და საჭიროა ამ მიმართულებით მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლა, მათი გამოყენება ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით.

რეგიონული ეკონომიკური განვითარების ასპექტებს ბევრი საყურადღებო თეორია და კონცეფცია მიეძღვნა. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ღღეისათვის არ არსებობს რეგიონული განვითარების რომელიმე დომინირებადი მოდელი. რეგიონული ეკონომიკური სისტემების განვითარება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდებოდეს. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების განმტკიცება, რეგიონებს შორის არსებული დისპროპორციების, განვითარების დონეების გამოთანაბრების ღონისძიებების გატარება. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას, რაშიც, საბაზრო მექანიზმების ფართოდ გამოყენებასთან ერთად, აქტიურად უნდა ჩაერთოს საბიუჯეტო საშუალებები. თავის მხრივ, საბიუჯეტო რეგულირება არსობრივად შეიძლება განსხ-

ვაგდებოდეს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის სპეციფიკის გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომში აღორძინების ხანის გამოჩენილი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული იტალიელი შემოქმედის ლეონარდო და ვინჩის მეთოდოლოგიური მიდგომის – „ოქროს პროპორციის“ გამოყენებით ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გადასარიცხი ტრანსფერტების მოცულობების გაანალიზების საფუძველზე განზოგადოებულია საქართველოს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების თავისებურებები და ტენდენციები. გარდა აღნიშნულისა ჩატარებულია გათვლები ქვეყნის რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებლების გაანგარიშების მიმართულებით. ერთი სიტყვით, რეგიონებს შორის არსებული კონტრასტების შერბილება, მეურნეობრიობის ტრადიციების შენარჩუნება და თვისებრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპლექსური მიდგომით. გადაუდებლად მიგვაჩნია ტერიტორიული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეგიონული საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ადგილებზე წარმოების სტაბილიზაციას, სოციალური სფეროს განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას.

მნიშვნელოვანია რეგიონებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, რაშიც განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ენიჭება, ვინაიდან თვისებრივად სწორედ მასზეა დამოკიდებული ინვესტიციური პროცესების მიმდინარეობის დინამიკურობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტების დახვეწა.

მსოფლიო სისტემასთან ორგანულ კავშირში განხილულია პოლიტიკური რეგიონალისტიკის საკითხები, ამასთანავე, დიდი ადგილი ეთმობა ქვეყნის გეოპოლიტიკურ გარემოს, რეგიონულ თავისებურებებს და უსაფრთხოების ტენდენციებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის აქტუალურ პრობლემებს; დაბუშავებულია ეკონომიკური პოლიტიკის ინტერნაციონალიზაციის

საკითხები და მასში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობები; განხილულია ევროკავშირის რეგიონული განვითარების გამოცდილება სუბსიდირების საკითხებში და მათი დანერგვის აუცილებლობა საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაში; მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები; თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების პერსპექტივები; ინოვაციური პროცესების რეგიონული პრობლემები და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომს არა აქვს განხილული პრობლემების ყოვლისმომცველი და ამომწურავი შესწავლის პრეტენზია. იგი გამოირჩევა ქართულ რეგიონალისტიკაში არსებული სხვა ანალოგიური ნაშრომებისაგან შესწავლილი პრობლემისადმი მიდგომისა და გადაწყვეტის მეთოდებითა და სტილით. ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას, მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ქართული რეგიონალისტიკის შესწავლის საქმეში. თუ რამდენად აქტუალურია აღნიშნული პრობლემა ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის, ამის განსჯა მკითხველთათვის მიგვინდია. მასში წარმორჩენილი ბევრი საკითხი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ მთავარი მიზანიც სწორედ ის გახლავთ, რომ აქ წამოჭრილმა საკითხებმა სპეციალისტთა შორის ჯანსაღი დავა და დისკუსია გამოიწვიოს, რაც, საბოლოო ჯამში, უცილობლად წაადგება საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების რაციონალური გზების გამონახვას, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნება განახლებული საქართველოსთვის.

ავტორები მადლობას უხდიან ნაშრომის რედაქტორებს, ეკონომიკის დოქტორებს, ასოცირებულ პროფესორებს ომარ შურღაიას და კახაბერ ციმინტიას, რომლებმაც არაერთხელ წაიკითხეს ნაშრომი და გამოთქვეს საინტერესო მოსაზრება ზოგიერთი თავის მიმართ. ასევე მადლობას უხდიან ეკონომიკის აკადემიურ დოქტორს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს ემზარ კაკულიას; თბილისის ეკონომიკურ

ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწეს, აპარატის უფროსს თამარ ზარანდიას; ეკონომიკის აკადემიურ დოქტორს, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, შ.პ.ს. „ცენტრ პოინტის“ ფინანსურ მენეჯერს, თამარ ბარათაშვილს; ამავე უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის ლაბორატორიის უფროსს კობა არაბულს; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს თინათინ ჩუხრიკიძეს და შ.პ.ს. „კონკორდის“ საერთაშორისო დეპარტამენტის მენეჯერს თეონა ბაგრატიონს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ნაშრომის შემდეგი თავების დაწერაში: „ინოვაციური პოლიტიკის რეგიონული ასპექტები“; „საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და სახელისუფლო დონეების საკითხები“; „საბიუჯეტო ფედერალიზმი“; „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“; „რეგიონების თანამედროვე ტიპოლოგია-კლასიფიკაცია და მათი გამოთანაბრების ასპექტები“; „თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების პერსპექტივები“.

ავტორები სიამოვნებით მიიღებენ ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებენ მათ მონოგრაფიის განახლებული რედაქციით გამოცემისას.

1. საქართველოს ზოგადი დახასიათება

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობზე.

საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით აზერბაიჯანი, სამხრეთ-დასავლეთით თურქეთი, სამხრეთით – სომხეთი ესაზღვრება, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა. ტერიტორიის ფართობი 69,7 ათასი კვ.კმ. რომლის 23% მდებარეობს შავი ზღვის დონიდან 500 მ-ზე დაბლა. ტერიტორიის დანარჩენი კი განლაგებულია მაღალ სიმაღლეებზე. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი – 53% უკავია მთებს, 33,4% – ნახევრადმთიან ადგილებს, 13,2% კი – დაბლობებს. საზღვრების საერთო სიგრძე 1968,8 კმ-ია, აქედან სახმელეთო საზღვარი – 1660,4 კმ-ია.

საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. რელიეფი წარმოდგენილია მაღალი, საშუალო და დაბალი მთებით, ზეგნებითა და ვაკეებით. მკვეთრად გამოხატულია მთავარი ოროგრაფიული ერთეულები: კავკასიონი, მთათაშორისი ბარი, რომელიც ლიხის ქედით იყოფა კოლხეთისა და ივერიის ბარად, მესხეთისა და თრიალეთის ქედები (მცირე კავკასიონის მთიანეთის ნაწილი) და სამხრეთ – საქართველოს ვულკანური მთიანეთი. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ზოგიერთი მწვერვალი საქართველოს ფარგლებში 5000 მ-ზე მეტი სიმაღლისაა, დაფარულია მარადიული თოვლითა და მყინვარებით. მთათაშორის დაბლობებში გვხვდება ვაკეები, პლატოები, ქედები, ზეგნები. ლიხის ქედი კავკასიონს მესხეთის ქედთან აკავშირებს. ამასთან, იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კონტრასტული ლანდშაფტების ჩამოყალიბებაში.

საქართველოს ჰავის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, რელიეფის

განსაკუთრებული სირთულე. კლიმატის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედები. ადგილობრივ კლიმატს ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი. ეს უკანასკნელი საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების უშუალო შემოჭრისაგან, ხოლო შავი ზღვა ზომიერს ხდის ტემპერატურის რყევას და ხელს უწყობს ნალექების დიდი რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით – დასავლეთ საქართველოში.

შედარებით დაბალ განედზე მდებარეობისა და ზომიერი ღრუბლიანობის გამო, საქართველო მზისგან მნიშვნელოვან სითბოს იღებს. მზის ნათების ხანგრძლივობა უდრის 1350-2520 სთ-ს. მნიშვნელოვანია მზისგან მიღებული ჯამური რადიაციაც – 115-153 კკალ/სმ² წელიწადში.

საქართველოს კლიმატის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც ზომიერი, ისე სუბტროპიკულ სარტყელში განვითარებული ატმოსფერული პროცესები. დიდი მნიშვნელობა აქვს ზომიერი განედის, არქტიკული და ტროპიკული, როგორც ზღვის, ისე კონტინენტური ჰაერის მასებს. ამინდის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე კონვენციური პროცესები, რომლებიც წლის თბილ პერიოდში უფრო მკვეთრად არის გამოხატული. ჰაერის ტემპერატურა დიდი კონტრასტებით გამოირჩევა.

ციკულაციის, რადიაციისა და ოროგრაფიული ფაქტორების ერთობლივი მოქმედება განსაზღვრავს ტერიტორიის ტენიანობის საკმაოდ დიდ კონტრასტებს. მაქსიმალური ნალექების მოსვლის ზონები დასავლეთ საქართველოში 300-500 მმ.-დან – 3500 მმ.-მდე, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 1200 მმ.-დან-3500 მმ.-მდე მერყეობს.

რთული ოროგრაფიული პირობებისა და გაბატონებული ატმოსფერული ცირკულაციური პროცესების სირთულის გამო, ნალექების შიგაწლიური განაწილება თავისებურია: დასავლეთ საქართველოში ნალექების მაქსიმუმი ზამთარში ან შემოდგო-

მაზეა, მინიმუმი — გაზაფხულზე ან ზაფხულში; აღმოსავლეთ საქართველოში მაქსიმუმი — გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისშია, მინიმუმი — ზამთარში.

მზის რადიაციის რეჟიმით საქართველო სუბტროპიკულ ზონას მიეკუთვნება. ატმოსფერული ცირკულაციის ხასიათის და მასთან დაკავშირებული ამინდის პირობების მიხედვით გამოიყოფა ორი ცირკულაციური კლიმატური ოლქი და ერთი ქვეოლქი: 1. ზღვის სუბტროპიკული ნოტიო კლიმატური ოლქი (დასავლეთ საქართველო); 2. სუბტროპიკული კონტინენტური ჰავიდან ზღვის ჰავაზე გარდამავალი ოლქი (აღმოსავლეთ საქართველო) და წინა აზიის მთიანეთის მშრალი სუბტროპიკული ჰავიდან ზომიერად ნოტიო ჰავაზე გარდამავალი ქვეოლქი (სამხრეთ მთიანეთის ცენტრალური სტეპური ნაწილი).

რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ სხვადასხვაობას განაპირობებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით, 26060 მდინარე აღირიცხება. აქედან 99,4% მცირე მდინარეებია, რომელთა სიგრძე 25 კმ.-ს არ აღემატება. დასავლეთ საქართველოში, სადაც ნოტიო სუბტროპიკული კლიმატია, მდინარეთა ქსელის საშუალო სიხშირე 1,07 კმ²-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, 0,68 კმ²-ს შეადგენს. მდინარეთა ქსელის ყველაზე მაღალი სიხშირე აჭარაში აღინიშნება.

საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის საშუალო მრავალწლიური ჯამი 66 კმ³-ია რომლის 75% დასავლეთ საქართველოში ყალიბდება და შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი აღმოსავლეთ საქართველოში და კასპიის ზღვის მიმართულებით მიედინება. მდინარეთა ჩამონადენის საერთო რაოდენ-

ნობის 15% საქართველოს ტერიტორიაზე მის ფარგლებს საზღვრების გარედან შემოდის. ჩამონადენი ფენის საშუალო სიმაღლე დასავლეთ საქართველოში 1300 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 400 მმ.

საქართველოსათვის, ისევე, როგორც ყველა მთიანი ქვეყნისთვის, დამახასიათებელია ჩამონადენის ელემენტების მკაფიოდ გამოხატული სიმაღლითი სარტყლურობა. განსაკუთრებული უხეწყლიანობით გამოირჩევა კავკასიონის დასავლეთ ნაწილის თხემისპირა ზონა და აჭარის მთიანი ზოლის ზღვისაკენ მიმართული კალთები. აქ წლიური ჩამონადენი 4000 მმ-ს აღწევს.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი მნიშვნელოვანი სიმშრალით გამოირჩევა და აქ ჩამონადენი 50 მმ-მდე მცირდება. საქართველოს მდინარეები უმეტესწილად შერეული საზრდოობით ხასიათდებიან: თოვლის, წვიმის, მყინვარული და მიწისქვეშა წყლებით.

თოვლის წყლით საზრდოობა მატულობს ადგილის სიმაღლის მიხედვით. შავიზღვისპირა პატარა მდინარეები თითქმის მთლიანად წვიმის წყლით საზრდოობს. კავკასიონის მდინარეთა მაღალმთიან აუზებში მნიშვნელოვანია მყინვარული წყლებით საზრდოობა, მათი ხვედრითი წილი ზოგჯერ 50%-საც კი აღწევს.

მეტად მრავალფეროვანია მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი. კოლხეთის დაბლობის მცირე მდინარეები გამოირჩევა წყალმომარაგებით მთელი წლის განმავლობაში. საშუალო სიმაღლის აუზებში აღინიშნება მკვეთრად გამოხატული გაზაფხულის წყალდიდობა, რაც გამოწვეულია თოვლის საფარის დნობით. რაც იწყება მარტის მეორე ნახევრიდან და მაისის შუა პერიოდამდე გრძელდება. მყინვარული საზრდოობის მდინარეებზე წყალდიდობა ხანგრძლივია.

საინტერესოა მდინარეთა წყალმცირობის ფაზაც. მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი წარმოადგენს მდინარეთა რესურსული შესაძლებლობის ზღვარს და ხშირად

მასზეა დამოკიდებული ამა თუ იმ მდინარის ენერგეტიკული, საირიგაციო თუ სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ზღვრული ნორმა.

საქართველოს ყველაზე წყალუბვი მდინარეა რიონი (დასავლეთ საქართველოში). მას შავ ზღვაში ყოველ წამში $12,7 \text{ კმ}^3$ წყალი ჩააქვს. მისი ძირითადი შენაკადებია: ყვირილა ($1,9 \text{ კმ}^3$), ცხენისწყალი ($2,5 \text{ კმ}^3$), ტეხური ($1,0 \text{ კმ}^3$), ხანის წყალი ($0,7 \text{ კმ}^3$), და სხვ. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა შორის, ასევე, აღსანიშნავია: ბზიფი ($3,0 \text{ კმ}^3$), კოდორი ($4,1 \text{ კმ}^3$), ენგური ($5,9 \text{ კმ}^3$), და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადი მდინარეა მტკვარი, რომელსაც ყველაზე დიდი აუზი აქვს. მისი საშუალო მრავალწლიური ხარჯი ქ. თბილისთან $6,4 \text{ კმ}^3$ -ია. მისი შენაკადებიდან აღსანიშნავია: დიდი ლიახვი ($1,4 \text{ კმ}^3$), ქსანი ($0,4 \text{ კმ}^3$), არაგვი ($1,8 \text{ კმ}^3$), ფარავანი ($0,6 \text{ კმ}^3$), ქცია ($1,6 \text{ კმ}^3$). კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მიედინება თუშეთის ალაზანი, თერგი, არხოტისწყალი, არღუნი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ღვარცოფების შესახებ, რომლებსაც პერიოდულად გამოაქვს დიდი რაოდენობით ქვა-ტალახის მასა. საქართველოში ღვარცოფული მდინარის კლასიკური მაგალითია მდ. ღურუჯი, რომელიც მდ. ალაზანს ერთვის ქ. ყვარლის მახლობლად და მუდმივად დიდი საფრთხის წინაშე აყენებს ქალაქს.

საქართველოში 860-მდე ტბაა. უმეტესობა ძალიან პატარაა. მათი წყლის საერთო მარაგი $0,72 \text{ კმ}^3$ -ია. სარკის ფართობით ყველაზე დიდია ფარავნის ტბა ($37,5 \text{ კმ}^2$), სიღრმით – რიწის (101 მ).

საქართველოს ტერიტორიაზე თანამედროვე მყინვარების გავრცელება განპირობებულია ატმოსფერული პროცესების თავისებურებებით, რელიეფის მორფოლოგიურ-მორფომეტრული პირობებით და მათი ურთიერთქმედებით. გამყინვარების ძირითადი კერები დაკავშირებულია კავკასიონის წყალგამყოფ ქედთან და ყაზბეგის

მასივთან.

საქართველოში სულ 786 მყინვარია, საერთო ფართობით – 555,9 კმ². უდიდესი მყინვარებია: მდ. ენგურის აუზში – ლეხზირი, წანერი, ტვიბერი, აღიში და სხვა. კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე მარადიული თოვლის ზაზი სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს: დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთაზე 2800-2900 მ-ზე, უკიდურეს აღმოსავლეთში იგი 3600 მ-მდე აღის, რაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ნალექების შემცირებასა და კლიმატის კონტინენტურობის ზრდასთან არის დაკავშირებული.

დედამიწის კლიმატის გლობალურმა დათბობამ მსოფლიოს ყველა რეგიონში და, მათ შორის, კავკასიონზეც, მყინვარების შემცირება გამოიწვია. 1890-1980 წლებში საქართველოში გამყინვარების ფართობი 9,5%-ით შემცირდა.

საქართველოს მიწისქვეშა წყლები მრავალფეროვანია როგორც სიღრმითი მდებარეობის, ისე ჩაწოლის ფორმისა და ფიზიკურ-ქიმიური თავისებურებების მხრივ. მთათაშორის ზოლში ძირითადად არტეზიული წყლებია. კავკასიონისა და მესხეთ-თრიალეთის ნაოჭა ზონებში უმთავრესად უწნეო მიწისქვეშა წყლებია. კარსტული ზონისათვის დამახასიათებელია მიწისქვეშა მდინარეები და ვოკლუზური წყაროები.

საქართველო გამოირჩევა მინერალური წყაროების სიმრავლითა და მრავალგვარობით. აქ არის მინერალური წყლების გამოსავალთა 500-ზე მეტი ჯგუფი. საყოველთაოდ ცნობილია მინერალური წყლები: ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი, ზვარე, ლუგელა, სქური და სხვა.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ნაირგვარი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი (ლანდშაფტები), დაწყებული ნახევრადუდაბნობისა (აღმოსავლეთ საქართველო) და კოლხური ნოტიო სუბტროპიკებიდან (დასავლეთ საქართველო), დამთავრებული მარადთოვლიან-მყინვარებიანი (გლაციალურ-ნივალური) ლანდშაფტებით. აქ, როგორც ძირითადად მთავორიან

ქვეყანაში, კარგად არის გამოხატული ბუნებრივი კომპონენტების ცვლა სიმაღლის მიხედვით და, შესაბამისად, ლანდშაფტების სიმაღლებრივი ზონალურობა, ლანდშაფტური ზონების სრული სპექტრით. საქართველოს ტერიტორიაზე 100-ზე მეტი დასახელების (ტიპი, ქვეტიპი, სახე) ლანდშაფტია გავრცელებული.

აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტები, დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკებთან შედარებით, უფრო მგრძობიარეა თანამედროვე კლიმატის ცვლილების მიმართ, რაც უკანასკნელ პერიოდში თერმული მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ზრდითა და ატმოსფერული ნალექების რამდენადმე შემცირებით გამოიხატა. ამიტომ ძირითადი ყურადღება საჭიროა გამახვილდეს აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე გაუდაბნოების პროცესებზე.

საქართველოში გამოიყოფა დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის ნიადაგური ოლქები. დასავლეთის ოლქისთვის დამახასიათებელია დაბლობის ჭაობიანი და სუბტროპიკული ეწერი, გორაკბორცვიანი მთისწინეთის წითელმიწა და ყვითელმიწა, მთა-ტყის და მთა-მდელოს ნიადაგების ზონები, აღმოსავლეთ ოლქისათვის კი – ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, რუხ-ყავისფერი, მდელოს რუხ-ყავისფერი და შავი ნიადაგები. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება ნეშომპალა-სულფატური ნიადაგები. დამლაშებული ნიადაგები ხშირია ტარიბანანატბურის, მარნეულის, გარდაბნის ველებზე, ელდარში მათი ძირითადი ნაწილი კი ალაზნის მარცხენა სანაპიროზეა (წნორთან). სამხრეთის ოლქში ძირითადად გაბატონებული შავმიწა, ყომრალი ნიადაგები, რომლებიც ძირითადად გავრცელებულია ზღვის დონიდან 1000 მ-დან 1900 მეტრამდე, 2300 მეტრის ზემოთ ჭარბობს მთა-მდელოს ნიადაგები.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ეკოსისტემებია წარმოდგენილი, რაც განპირობებულია რთული რელიეფით, კლიმატის თავისებურებებით, აგრეთვე, ქვეყ-

ნის გეოგრაფიული მდებარეობით. საქართველოში 4 ვეროაზიური ბიოგეოგრაფიული რეგიონია: აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის, ჩრდილო ბორეალური, ირან-თურანის და კოლხეთის.

რელიეფის დანაწევრებამ და ქედების რთულმა კონფიგურაციამ განაპირობა ეკოსისტემების გეოგრაფიული და ეკოლოგიური იზოლირება. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კლიმატის არსებითი განსხვავების გამო სხვადასხვაგვარია ამ ტერიტორიებზე არსებული ეკოსისტემები, რაც ვერტიკალური სარტყლიანობის სტრუქტურაშიც ვლინდება. დასავლეთ საქართველოში 5 ძირითადი ვერტიკალური სარტყელია: ტყის (ზღვის დონიდან 1900 მ-მდე), სუბალპური (1900-2500 მ.), ალპური (2500-3100 მ.), სუბნივალური (3100-3600 მ.) და ნივალური (>3600 მ.) აღმოსავლეთ საქართველოში 7 სარტყელია: ნახევარუდაბნოს, მშრალი ველებისა და არიდული მეჩხერი (ნათელი) ტყეების (150-600 მ.) ტყის (600-1900 მ.), სუბალპური (1900-2500 მ.), ალპური (2500-3000 მ), სუბნივალური (3000-3500 მ) და ნივალური (>3500 მ.).

საქართველოში ვხვდებით ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ისეთ მნიშვნელოვან და უნიკალურ ეკოსისტემებს, როგორცაა: ტორფიანი ჭაობები, კოლხური პოლიდომინანტური ტყეები მარად მწვანე ქვეტყით, სუბალპური ტანბრეცილი ტყეები, ჭალის ტყეები, ალპური მდელოები, გამოქვაბულები და მთის ვიწრო ხეობები, წიწვიანი, ფოთოლმცვენი, არიდული ნათელი ტყეები, სტეპები (მეორადი) და სხვა. აღსანიშნავია, რომ კოლხეთი წარმოადგენს მესამეული ფლორის ერთ-ერთ რეფუგიუმს. იქ დღემდე შემორჩენილია მესამეული პერიოდის მდიდარი დენდროფლორა: 88 სახეობის ხე და ბუჩქი.

ადამიანის საქმიანობამ არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს ეკოსისტემაში: ძლიერ შემცირდა ტყეებისა და სემიარიდული (მთისწინების მცენარეულობის ფართობები. გაჩნდა ტყის შემდეგი მდელოები, კულტურულ მცენარეთა ნათესები

და ნარგავები. ბუნებრივი და ნაკლებად სახეცვლილი ეკოსისტემები მოსახლეობის განსახლების უკუპროპორციულად არის განფენილი. ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნის ტერიტორიის 2/3 მთიანია და შენარჩუნებულია სასიცოცხლო გარემოს ბუნებრივი მახასიათებლები. ბუნებრივი და ჰარმონიული ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტები ძირითადად კონცენტრირებულია კავკასიონის ფერდობებზე (ჩრდილოეთი ზონა), მცირე კავკასიონსა და ივრის ზეგანზე (სამხრეთ ზონა), აგრეთვე, კოლხეთის დაბლობის შავი ზღვის მიმდებარე ნაწილში (დასავლეთ ზონა), მნიშვნელოვანი ბუნებრივი წარმონაქმნები (ტბები, ჭაობები, ჭალები, კარსტული მღვიმეები, პალეონტოლოგიური გეომორფოლოგიური და ორგანული ბუნების ობიექტები). აგრობიომრავალფეროვნებით გამორჩეული ლანდშაფტის უბნები და სხვა ფრაგმენტალურად განფენილია ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის ზონებს შორის მდებარე ინტენსიურად ათვისებულ და მოდიფიცირებულ ტერიტორიებზეც, თუმცა ბუნებრივი დერეფნის ფუნქციებს ჯერ კიდევ ასრულებს ლიხნის და ცივგომბორის ქედები და რიონის, ალაზნის, ივრის და სხვა მდინარეების ხეობები.

საქართველო მსოფლიოს უძველესი ქვეყანაა. ქართველური ტომების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები – კოლხეთი და იბერია ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში იყო ცნობილი.

2002 წლის აღრიცხვის მიხედვით მოსახლეობა 4,3 მილიონ კაცს უდრის. მისი ეთნიკური შემადგენლობა ძალიან რთულ სურათს გვიჩვენებს. ქართველობა მოსახლეობის 70%-ს შეადგენს. მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობები: სომხები (8,0%), რუსები (6,0%) და აზერბაიჯანელები (6,0%).

საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მრევლს წარმოადგენს.

საქართველოს სასაზღვრო სივრცე 38 ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს. აქედან, სახელმწიფო საზღვარი 33 რაიონზე გადის. ქვეყნის საზღვაო მიჯნით შემოსაზღვრულია 13 ადმინისტრაციული ერთეული, მათ შორის, გაგრისა და ფოთის საქალაქო მმართველობას დაქვემდებარებული ტერიტორიები.

ივანე ჯავახიშვილი, ახასიათებს რა საქართველოს საზღვრებს და მის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის, სამართლიანად დასძენს, რომ „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი ღარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით – მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის, ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივი ისტორიული არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრის მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არაერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ საზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ“.¹

საზღვარი არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ატრიბუტი და გეოპოლიტიკური კატეგორია ფუნქციური დატვირთვით. იგი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ის ნაწილია, რომელიც მის სიდიდეზე, სიძლიერეზე თუ სისუსტეზე და ამ ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებზე მეტყველებს. გასაგებია, რომ საზღვარი

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი XII – ბილისი, თბ. 1998 ვ. 459.

ტექნიკური (გეოგრაფიული) დატვირთვის მატარებელია, მაგრამ მისი მთავარი ფუნქცია, ალბათ, მაინც, სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს ატარებს.¹

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია. მისი გეოგრაფიული მდებარეობის დადებითი მხარეებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია: ქვეყნის ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობა, რამაც იმთავითვე საშუალება მისცა დამაკავშირებელი ხიდი ყოფილიყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციებს შორის. ზღვისპირა მდებარეობა ისტორიულად საქართველოს ხელს უწყობდა ქრისტიანული კულტურის მატარებელ ევროპელ ხალხებთან კავშირის დამყარებაში; საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა რუსეთისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი კომუნიკაციები, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევდა ჩართულიყო მის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნების სამეურნეო და კულტურულ ურთიერთობებში. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს საქართველოსათვის.

საგულისხმოა პროფესორ ბერდო გოიშვილის² მოსაზრებანი საქართველოს საზღვრის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, სადაც იგი აღნიშნავს: უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველომ ბელუჯულმართობის გამო დაკარგა დიდი ნაწილი ძირძველი მიწებისა. ამჟამად თურქეთის შემადგენლობაში შედის ისტორიული საქართველოს ტერიტორიის 15622 კმ² (ლაზისტანი 3925კმ², ართვინი 2933კმ², არდაგანი 5724კმ², ოლთისი 3040კმ²); სომხეთის შემადგენლობაში – 2478კმ² (ლორე, ბამბაკი, შამშადილი), აზერბაიჯანისა – 3667კმ². რუსეთმა ჩამოგვაშორა დვალეთი, შეგვაპიწროვა დარიალის ხეობაში, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ საზღ-

¹ ნ. ბარათაშვილი. ნარკვევები ივ. ჯავახიშვილის პოლიტოლოგიური ნააზრებიდან. თბილისი, „მეცნიერება“, 1999, გვ. 79.

² ბ. გოიშვილი – საქართველოს საზღვრები და დღევანდელია გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №76, 02.04.04; გვ. 4.

ვარი მდ. ყუბანის სათავეებიდან მდ. ფსოუმდე გადმოსწია...

გასაკვირი არ არის, რომ დღესაც ეკარგავთ ჩვენს ძირძველ მამაპაპისეულ მიწებს. აზერბაიჯანმა (წითელ ხილთან) მისაკუთრა 310 ჰა. ხევსურეთის 212 კმ² მიწები რუსეთმა არ იკმარა, შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში და საზღვრის პერიმეტრი ამ მონაკვეთზე შემდგომში უკვე სადელიმიტაციო კომისიის მიერ გაფორმებული ოქმით კიდევ 800 მეტრით გადმოიწია. თუშეთის ტერიტორიის 42 კმ² რუსეთმა მისაკუთრა და ესეც 1999 წლის მაისში ექსპერტთა ორმხრივი შეთანხმების ოქმის საფუძველზე მოხდა. დარიალის ხეობაში რუსეთმა საზღვარი გადმოსწია და აქ 12 კმ² ფართობი მისაკუთრა. სომხეთმა სოფელ ახპერთან საზღვარი 10 კმ²-ით გადმოსწია, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში მეორე პუნქტად ჩაწერა, რომ საქართველოს საზღვრები და ტერიტორია განსაზღვრულიყო 1991 წლის მდგომარეობით...

როგორც უკვე ავლნიშნეთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებს მნიშვნელოვან კეთილმოყოფელ ელფერს აძლევს მდინარეებისა და ტბების სიმრავლე. სეკარაულოდ, ქვეყანაში სულ სამ ათეულ ათასამდე დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა საერთო სიგრძე 54,7 ათას კმ-ს აღემატება. აღნიშნულის გათვალისწინებით ჰიდროენერგეტიკული რესურსები საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი სიმდიდრეა. ქვეყნის ძირითადი მდინარეების თეორიული ენერგეტიკული პოტენციალი 137 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს (ყველა მდინარის პოტენციალი მეცნიერ-სპეციალისტების მიერ ნავარაუდევია 194 მილიარდი კილოვატსაათი). აღსანიშნავია, რომ 1988 წელს, როდესაც საქართველოს ეკონომიკა სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა, ელექტროენერჯის წლიურმა მოხმარებამ 14,5 ათასი მილიარდი კილოვატსაათი შეადგინა.

სამწუხაროდ, დღეისათვის გამოყენებულია ქვეყნის უდიდე-

სი პიდროენერგორესურსების მხოლოდ ძალიან უმნიშვნელო ნაწილი.

საქართველოში ქვანახშირის დადგენილ რეზერვს დაახლოებით 350-420 მილიონი ტონის ფარგლებში ვარაუდობენ. მისი ძირითადი საბადოებია ტყიბული-შაორისა და ტყვარჩელის მიდამოებში. მურა ნახშირის საბადო კი სამხრეთ საქართველოშია (ქ. ახალციხის მახლობლად) განლაგებული. ეს უკანასკნელი სავსებით ვარგისი და გამოსაყენებელია ენერგეტიკული მიზნით.

დღეისათვის საქართველო არ ითვლება ნავთობითა და ბუნებრივი გაზით მდიდარ ქვეყნად, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, არის ამ ენერგომატარებლების მნიშვნელოვანი საბადო-რესურსები. ამჟამად დიდი ნავთობის საბადოების ასათვისებლად და ექსპლუატაციისათვის ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს კახეთის, ქართლის, გურიისა და სხვა რეგიონების ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, ნავთობის ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოებია სამგორი-პატარძელის, მირზაანის, პატარა შირაქისა და ელდარის (დედოფლისწყაროს რაიონი) მიდამოებში. მენავთობე გეოლოგთა დასკვნით, საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვების სერიოზული პერსპექტივა არსებობს.

ძირულას მასივის პერიფერიაზე მდებარეობს მსოფლიოში განთქმული ჭიათურის მანგანუმის საბადო. დასავლეთ საქართველოს სამ აუზში (ჭიათურა, ჩხარი-აჯამეთი, ყვირილა) ვარაუდობენ 245 მილიონ ტონა მანგანუმის მადნის არსებობას, რომლის დაახლოებით 90 პროცენტი თავმოყრილია ჭიათურის აუზში.

საქართველოს, ამავე დროს, გააჩნია ფერადი ლითონების მარაგი, აგრეთვე, დარიშხანის, ცეოლითის, ბენტონიტის თიხის, ბარიტის, გიშერისა და ობსიდიანის მნიშვნელოვანი მარაგები. ფერადი ლითონები მოიპოვება ბოლნისის ახლოს, კაზრეთში არსებული სპილენძის საბადოში, რომელიც გარკვეული შემცველობით შეიცავს ოქროს, ვერცხლსა და სხვა ლითონებს. დარიშხანის წიაღისეული მარაგი არსებობს რაჭასა და სვანეთში, ტყვია-

თუთიის მნიშვნელოვანი მარაგი – ცხინვალის რეგიონში.

ფერადი ლითონების საბადოთა ჯამური მარაგი შეადგენს: სპილენძისა – 439 ათას ტონას, თუთიის – 300 ათას ტონას, ტყვიისა – 100 ათას ტონას, დარიშხანისა – 64,5 ათას ტონას და ა.შ. ოქროს მადნის სავარაუდო მოცულობაა: ბოლნისის რაიონში 160 ტონა, რაჭაში – 80, აჭარა-თრიალეთში – 15, სვანეთში – 25 ტონა. რაც შეეხება ვერცხლისწყლის ჯამურ დათვლილ მარაგს, ის დაახლოებით 520 ტონას შეადგენს.

საქართველო გამოირჩევა არამადნეული წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგით და მრავალფეროვნებითაც (ბარიტი, ბენტონიტური, თიხა, დოლომიტი, ტალკი, დიატომიტი, ანდეზიტი და სხვა). ცარცის მსხვილი საბადოა გალის რაიონში (3,0 მლნ ტონის მარაგით).

სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების პრაქტიკულად ამოუწურავი მარაგები გვაქვს ქვეყანაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ხარისხის მარმარილოსა და სხვა დეკორატიული ქვების, დეკორატიული ხრეშისა და პორტლანტცემენტის წარმოებისათვის საჭირო სათანადო თიხები. ქვეყნის თიხების საბადო 75 მლნ ტონა მარაგს შეიცავს, რაც ქმნის ქვეყანაში ცემენტის მრეწველობის განვითარების შესანიშნავ პირობებს. გამოკვლეული სანედლეულო რესურსი საკმარისია ცემენტის მრეწველობისათვის სულ ცოტა 50 წლის განმავლობაში.

საქართველო გამოირჩევა მაღალი ხარისხის მინერალური სამკურნალო და სასმელი წყლების მარაგითაც. მინერალური წყლის დაახლოებით 2000 წყარო დღე-ღამეში იძლევა 130 მილიონ ლიტრზე მეტ წყლის რესურსს, რისი უმეტესი ნაწილი გამოუყენებელია. მათი ქიმიური შემადგენლობა სხვადასხვაგვარია. ყველაზე გავრცელებული გაზობრივი მინარევი ნახშირორჟანგია. საქართველოს მინერალური წყლები შეიცავს გოგირდის, მეთანის, აზოტის და სხვა ნაერთებს, რომლებიც გამოიყენება გულ-სისხ-

ლდარღვთა, პერიფერიული ნერვული სისტემის, ძვალ-კუნთოვანი, საჭმლის გადამამუშავებელი სისტემების, კანის დაავადებების და სხვათა სამკურნალოდ.

ქვეყანაში არსებული გეოთერმული წყლების წყაროების მარაგია დაახლოებით 200-250 მილიონი კუბ. მ/წელიწადში, რომელთა ტემპერატურა 50-100°C ფარგლებშია და შესაძლებელია ასეთი წყლებით ერთ მილიონამდე ადამიანის ცხელი წყლით მომარაგება, რაც, როგორც ვაანგარიშება გვიჩვენებს, წელიწადში 1,3-1,5 მილიონ ტონა პირობით საწვავს დაზოგავს. ამჟამად არსებული გეოთერმული წყლების მხოლოდ დაახლოებით ნახევარი პროცენტი გამოიყენება.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი საზიფათოა მიწისძვრის თვალსაზრისით. საქართველოში სეისმური დარაიონების მიხედვით მთელი ტერიტორია მიეკუთვნება სეისმურობის 7 და 8- ბალიან სისტემას. აქედან ტერიტორიის ფართობის დაახლოებით 25% – 8 ბალიანს, 75% – 7 ბალიანს. აღსანიშნავია ისიც, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მთლიანი გაძვირება არასეისმურ რაიონებთან 7 ბალიანის დროს 4%-ს შეადგენს, ხოლო 8 ბალიანის დროს – 8%-ს. ეს ნიშნავს, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე გაწეული კაპიტალური დანახარჯების ყოველი ერთეული ჩვენს პირობებში წარმოადგენს 4-8% ნამატ სიდიდეს, ან სეისმურობის ყოველი ბალი დაწეებული 7-დან იწვევს მშენებლობის ღირებულების გაზრდას 4%-ით, დღეისათვის კი უფრო მეტჯერ.

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 38,6% ტყეს უკავია, ტყით დაფარულია ქვეყნის ტერიტორიის 2,69 მლნ ჰა. ტყეებს ძირითადად ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი მნიშვნელობა აქვთ.

გარემოს ყველაზე დიდ ზიანს აყენებს ტყის გაჩეხვა, ნიადაგისა და სახნავი ფენის ეროზია. გარემოს დაბინძურება ამჟამად ბევრად შემცირებულია სოფლის მეურნეობაში ქიმიკატების ნაკლებად გამოყენებისა და ყველაზე მეტად წარმოების გაჩერების გამო. შავი ზღვისა და მისი სანაპიროს დაბინძურება ჯერ კიდევ

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ სანაპირო ზოლის ეროზია იწვევს მის დაზიანებას და შემცირებას. შავი ზღვისპირა პლაჟების ინტენსიური გარეცხვა გამოწვეულია ინერტული მასალის დამუშავებით. მე-20 საუკუნის ბოლოს აქედან წელიწადში საშუალოდ 20 მლნ-ზე მეტი კუბური მეტრი მასალა გაიზიდებოდა. ზღვაში ჩამდინარე მდინარეებს შესართავთან გამოაქვთ 4,7 მლნ. მ³ ნაყარი პლაჟის მასალა წელიწადში. ნაპირგამაგრების ადრინდელმა ღონისძიებებმა არათუ არ შეაჩერეს ზღვის შემოტევა, პირიქით, ხელი შეუწვევს მის გააქტიურებას. შავი ზღვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია წყალში გოგირდოვანი ნაერთების ბუნებრივ არსებობასთან, რის შედეგადაც ზღვის უფრო ღრმა შრეები ფაქტობრივად მკვდარია. მოწამლული წყლის ფენა თანდათანობით იწვევს მალლა, რაც შესაძლებელია, გადაიზარდოს კატასტროფაში.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო ღრმავდება გლობალური თანამშრომლობისა და რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების ტენდენცია. თუ დავეყრდნობით ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნეე ბეჟინსკის გამონათქვამს, „ევრაზია წარმოადგენს საჭადრაკო დაფას, რომელზედაც მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის და ეს ბრძოლა შეეხება გეოსტრატეგიას – გეოპოლიტიკური ინტერესების სტრატეგიულ მართვას“¹, ასეთ პირობებში მთლიანად კავკასიის რეგიონი, მათ შორის საქართველო, შეიძლება განვიხილოთ როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი. განვითარებულ ევროპას ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის უზარმაზარი სივრცე მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით ესაზება, როგორც უმნიშვნელოვანესი პოტენციური ბაზარი, აგრეთვე, ენერჯისა და რესურსების სტრატეგიული წყარო. თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო მსოფ-

¹ З. Бжезинский, Великая шахматная доска. М. „Между-народные отношения“ 1998, с. 12.

ლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა სფეროშია.

საქართველოს გეოპოლიტიკური პოტენციალის ათვისებისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებას. შუა აზიიდან, კერძოდ, ტაშკენტიდან მანძილი საქართველოს საზღვაო პორტებამდე 2000 კმ-ია, მაშინ როცა სხვა უახლოეს საზღვაო პორტ ბანდერ-აბასამდე – 3900 კმ-ია, სანკტ-პეტერბურგამდე – 4000 კმ., ოდესამდე – 4230 კმ. და ა.შ. ასეთი კორიდორით შეიქმნება ერთიანი, გრანდიოზული სატრანსპორტო არეალი, რომელიც აღმოსავლეთიდან, ჩინეთის საზღვაო პორტებიდან გავრცელდება ჩრდილოეთ ევროპის საზღვაო პორტებამდე (ამსტერდამი, როტერდამი). სარკინიგზო მაგისტრალის მეშვეობით წყნარი ოკეანის სანაპიროდან ევროპამდე სარკინიგზო გადაზიდვების მანძილი 4000 კმ-ით შემცირდება. აღნიშნული მარშრუტი 8000 კმ-ით უფრო მცირეა, ვიდრე საზღვაო ტრასა სუეცის არხის გავლით და 15000 კმ-ით ნაკლები, ვიდრე კეთილი იმედის კონცხის შემოვლით. სპეციალისტების გამოთვლით, მისი ამოქმედება მნიშვნელოვანი მოგების წყარო იქნება 30 ქვეყნისათვის.

მაგალითად, ახალი მარშრუტით ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით 15 მლნ. ტონა ტვირთის ტრანსპორტირება ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიარდი დოლარის ეკონომიას უზრუნველყოფს, მნიშვნელოვნად ამაღლდება რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობა, გაფართოვდება მათი ურთიერთობა საზღვარგარეთის პარტნიორებთან, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამოქმედების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

რუსეთსა და საქართველოს შორის ძველი, ისტორიული ურთიერთობის გაგებისა და შეფასების საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა და თავიდანვე ორი, ურთიერთპრინციპულად საწინააღმდეგო მიმდინარეობა წარმოიშვა. მათ შორის ძირითად სადავო საკითხს წარმოადგენდა საკითხი: როგორც მე-18 საუკუნის მიწურულის, ისე შემდგომი

ისტორიული შედეგების მიხედვით სწორი იყო თუ არა ქართველი მოღვაწეების მიერ აღებული რუსული ორიენტაცია. ამ საკითხზე ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი დადებით პასუხს აძლევს და მეორე უარყოფითს. ეს მეორე ჯგუფი რუსულ ორიენტაციას არა თუ შეცდომად, არამედ საბედისწეროდაც კი აცხადებს. ერეკლე II დროს ამ ჯგუფს თანაუგრძნობდა ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალი, სოლომონ ლეონიძე, ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე, სარდალი დავით ორბელიანი და სხვები.

აღნიშნული მიმდინარეობის წარმომადგენელი მ. ხელთუფლიშვილი 1901 წელს წერდა, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი „საქართველოსთვის წარმოადგენდა „უდიდესი უბედურების წყაროს“. 1906 წელს ზ. ავალიშვილი კი წერდა, რომ „საქართველოს რუსეთთან შეერთება, გარდა მისი ისტორიული მნიშვნელობისა რუსული ძლიერების გაზრდის საქმეში, თვითონ საქართველოსთვის თავისი გარდაუვალი შედეგით საბედისწერო მოვლენა იყო“. ფედერალისტების ლიდერი არჩ. ჯორჯაძე კი 1911 წელს წერდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად იქმნებოდა პირობები ეროვნების სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედამიწის ზურგიდან ალგვისათვის. მიხაკო წერეთლის, ვ. ჩერქეზიშვილის, გერმანელი იურისტის, პროფესორ ლისტის მიხედვით საქართველოსთან ურთიერთობის საკითხში ისტორიულად რუსეთი დამღუპველ როლს თამაშობდა.¹

ამჟამად, ჩვენს ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 118 ქვეყანასთან. მათ შორისაა: ევროპის – 41, აზიის – 40, ამერიკის – 17, აფრიკის – 17 და ოკეანეთის 3 სახელმწიფო. აღსანიშნავია, რომ საქართველო, ასევე, 105-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის, 1992 წლის ივლისიდან გაეროს წევრია. თბილისში ფუნქციონირებს 20-ზე მეტი ქვეყნის

¹ მ. აღექსიშვილი რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობების საკითხისათვის. თბილისი, საქართველოს განათლების სამინისტროს გამომცემლობა, 1956, გვ. 3.

საელჩო, 15 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა და 7 საპატიო საკონსულო. თავის მხრივ, საქართველოს 25 ქვეყანაში აქვს საელჩო.

ვეთანხმებით პროფესორ კახა კაციტაძეს, რომელიც თავის სტატიაში – როგორი იქნება „პაქს ამერიკანა“, განიხილავს რა აშშ ახალ სამოკავშირეო სისტემას, ასკენის, რომ „ასეთი სისტემა წააგავს პაქს რომანას ღროს, როცა „რომის მეგობრის“ სტატუსის მქონე იბერიამ დიდი სარგებელი ნახა (გავიხსენოთ, თუნდაც მეფე ფარსმანის ვიზიტი რომში). ჩვენმა დიპლომატიამ, რომელიც სათანადო სამხედრო ძალით უნდა იყოს გამაგრებული, ეს ვითარება თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს. მით უფრო ცხადია, ამერიკელები დიდხანს დარჩებიან შუა აზიაში, კავკასია კი შუა აზიის ფორპოსტს წარმოადგენს.¹

საქართველოს მომავალზე მსჯელობისას, თუ დავესესხებით გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენელს და გვირგვინს, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს, „მსოფლიო ისტორია არ არის ბედნიერების არენა, ბედნიერების პერიოდები მასში ცარიელი ფურცლებია, რადგან ისინი ჰარმონიის პერიოდებს წარმოადგენენ და მათში არ არის წინააღმდეგობა. ბედნიერია ის, ვინც თავის არსებობას საკუთარი ხასიათის თავისებურებებთან, საკუთარ სურვილებთან და თვითნებობასთან შესაბამისობაში მოიყვანს და ასე ტკბება თავისი არსებობით“².

¹ საზოგადოებრივი ჟურნალი „ომეგა“ №3(29), 2002, გვ. 15.

² ი. წერეთელი. ჰეგელი. სერია „მოაზროვნე“, თბ., გამომცემლობა „სანი“, გვ. 19.

2. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმი გლობალიზაციის კონტექსტში

განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესების ახალი სახეა რეგიონალიზმი. იგი უნდა განვიხილოთ როგორც გლობალიზაციის რეგიონული განზომილება. ჩვენი ქვეყანა განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. საქართველო და სამხრეთ კავკასია, საზოგადოდ, უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად. გვთავაზობენ მას, „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა“ ვუწოდოთ „სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის“ ანალოგიით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ ქვემიზანს საშუალოვადიანი პერიოდისათვის მისი ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს, რაც შესაბამის მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. უპირველეს ყოვლისა, ამოცანა მდგომარეობს ევროკავშირში გაწევრიანების ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“ განსაზღვრული პარამეტრების მიღწევის უზრუნველყოფაში.

ევროპული რეგიონალიზმი, როგორც უკვე იკვეთება და შეიმჩნევა, განვითარდება „სიღრმეში“ — ამან უკვე ასახვა ჰპოვა დასავლეთ ევროპის მოძრაობა-გადაადგილებაში ერთიანი ბაზრიდან ერთიანი ვალუტის, ერთიანი ეკონომიკური სივრცისა და ერთიანი პოლიტიკური წარმონაქმნისაკენ.

ევროპული რეგიონალიზმი ვითარდება ევროკავშირის გაფართოების ხარჯზე აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთით. ევროპული რეგიონალიზმის გაფართოება მიმდინარეობს „სივრცობრივად“ ევროკავშირის მიერ ინტეგრაციულ ურთიერთქმედებათა დალაგებით ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე, აზიასა და აფრიკაში ფორმირებად ერთიან ბაზრებთან.

აზიური რეგიონალიზმის მომავალი ჯერჯერობით უფრო ნაკლები აქტიურობით წარმოჩინდება. რეგიონში მხოლოდ ახლა იწ-

ყება ღისკუსიები ერთიანი აზიური ბაზრის შექმნის ეტაპებისა და განვითარების შესახებ. რასაკვირველია, ერთიანი აზიური ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოს ინტერესებსაც უკავშირდება. ჩვენი ქვეყნის ინტერესი გამოიხატება საქართველოს არა მარტო ფორმალურად შესვლაში აზიის რეგიონის ეკონომიკურ თანამშრომლობაში, არამედ, აგრეთვე, აღნიშნული სივრცის ჩამოყალიბების საწყის ეტაპიდანვე მასში აქტიური თანამშრომლობის მიზანშეწონილობით. საქართველოს ასეთი მონაწილეობა გარკვეულად ხელს შეუწყობს აზიური რეგიონალიზმის განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მეცნიერებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თავიანთ საქმიანობაში აზიური რეგიონალიზმის კონცეფციების ანალიზს, აზიური ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივებს და საქართველოსათვის ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ქმედებათა ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებას – აზიისა და მსოფლიო ეკონომიკის მიმდინარე გლობალიზაციის შუქზე.

ეჭვს გარეშეა, რომ გლობალიზაცია და რეგიონალიზმი საქართველოსათვის წარმოაჩენს სერიოზულ გამოწვევებს. უფრო მეტიც, უნდა ვაღიაროთ, რომ გლობალიზაციისა და რეგიონალიზმისადმი სწორი დამოკიდებულების გარეშე, საქართველო ვერ შეძლებს ჯეროვანი ადგილის მოპოვებას მსოფლიო, ევროპულ და აზიურ ეკონომიკაში, უფრო მეტიც, გაუჭირდება თვით ქვეყნის შიგაეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაც.

ცნობილია, რომ კავკასია მსოფლიოს სხვა გეოსივრცეებისაგან სრულიად გამორჩეულია „ბუნებრივი პირობებით, ისტორიული წარსულითა და აწმყოთი, დაგროვილი პოტენციალითა და გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული უპირატესობებით. სწორედ ამ და სხვა რეალიების წყალობით, დღეს კავკასია ბევრის ყურადღებას იპყრობს მსოფლიოში.¹

საგულისხმოა ისიც, რომ 1997 წელს შეიქმნა კავკასია-აზიური

¹ ბარათაშვილი ნ. – „კავკასიის გეოპოლიტიკური ასპექტები“; თბ., 2003 წ., გვ. 40.

კის სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში ცნობილი ფრანგი ფინანსისტი, გეოპოლიტიკური ტრაქტატის ავტორი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოფილი თავმჯდომარე ჟაკ ატალი.¹ კავკასია-ევროპის საერთო ბაზრის პროექტისა და, ამავე დროს, კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხებზე საინტერესო მონოგრაფიის ავტორი, ეროვნებით ჩეჩენი ზოუ-ახმედ ნუხაევი თავის ნაშრომში² ინგლისელი გეოგრაფ-გეოპოლიტიკოსის ჯ. მაკინდერის დუალისტურ პრინციპს აფართოებს ტრიადამდე „ზღვა-ხმელეთი-მთები“. როგორც ცნობილია, გეოპოლიტიკური ხედვის დუალისტური (ანუ ხმელეთი „ტელუროკრატია“ – „ევრაზია“ და ზღვა – „ტალასოკრატია“ – „ატლანტიკური ინგლისურ-საქსონური სივრცე“) მიდგომა ფაქტობრივად აღიარებულია ისტორიული პროცესების განვითარების ანალიზის ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ პრინციპად.

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ყოფნა კავკასიისათვის და მითუმეტეს საქართველოსათვის არახალია. კავკასია, მართლაც, ისტორიულად ყოველთვის იყო მეზობელი და შორეული ქვეყნების ყურადღების ცენტრში. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, სამუელ ჰანტინგტონის³ მიხედვით, მომავალში მსოფლიო ომები მოსალოდნელია განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის, დაპირისპირებულ ცივილიზაციათა ზონებში, სადაც კავკასიაც არის ნავარაუდევო. ეს რეგიონი მსოფლიოს გაცხოველებულ ინტერესს იწვევს მითუმეტეს დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც სახეზე გაქვს ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის გაძლიერებული პროცესები. ესაა შორეული დასავლეთი და ახლო აღმოსავლეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი, ცენტრალური აზია, იაპონია, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ზესახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიის მიმართ, როგორიცაა აშშ. ამ კუთხ-

¹ Атали Ж., На пороге нового тысячелетия (перевод с франц.) М., 1993.

² Нухаев Хож-Ахмед „Ведено или Вашингтон“, М., 2001.

³ Хантингтон С., Столкновение цивилизаций, Жур. „Полит“, 1994, №1.

ით ჩვენ ვიზიარებთ პოლიტიკის დოქტორის, ნ. ბარათაშვილის თვალსაზრისს, რომელიც აღნიშნავს, რომ „ამერიკა აშკარადაა დაინტერესებული არა მარტო რეგიონის რესურსების დამუშავებით, არამედ იმითაც, რომ აღიკვეთოს მხოლოდ რუსეთის დომინირება რეგიონის გეოპოლიტიკურ სივრცეში. უფრო მეტიც, ამერიკა არა მარტო იღვწის მასშტაბური სტრატეგიული მიზნებისაკენ, არამედ ახდენს თავისი მზარდი ეკონომიკური ინტერესების, აგრეთვე, ევროპისა და შორეული აღმოსავლეთისათვის აქამდე დახურულ რაიონში შეუზღუდავი უფლებების მოპოვების ინტერესის დემონსტრირებასაც. ამ მეტოქეობის პირველი რიგის ობიექტია რეგიონში ხელმისაწვდომობის მიღება“.¹

ცნობილია, რომ გლობალიზაცია თავის განვითარებაში გაივლის რამდენიმე ეტაპს. ეკონომიკური გლობალიზაციის პირველ ეტაპზე (ეს არის გლობალიზაციის ამჟამინდელი ეტაპი) ხორციელდება პრაქტიკულად ყველა ეროვნული ეკონომიკის ისეთი გაძლიერებული დამოკიდებულება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიების, ცოდნისა და ნოუ-ჰაუს საერთაშორისო ბაზრებზე, რომ ეროვნული ეკონომიკის წინსვლითი და ეფექტიანი განვითარება შეუძლებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე.

მეორე ეტაპზე, რომელსაც მსოფლიო უკვე მჭიდროდ მიუახლოვდა, წარმოიშობა და წყდება სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკურ-სამართლებრივი პირობების გამოთანაბრების ამოცანები და ხორციელდება სახელმწიფოთა საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი გამოთანაბრება და კოორდინაცია განხორციელდება რეგიონული ინტეგრაციის შედეგად. შემდგომ მესამე ეტაპზე, როგორც ეს დღევანდელი პოზიციებიდან გვეჩვენება, მოხდება ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მაკროდონეზე ეკონომიკური პროცესების ერთიანი მართვა და

¹ ნ. ბარათაშვილი – „კავკასიის გეოპოლიტიკური ასპექტები“; თბ., 2003 წ., გვ. 50.

მიკროდონეზე ერთნაირი „თამაშის წესების“ შემოღება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას წინ უძღვის ან, პირიქით, ეწინააღმდეგება რეგიონალიზმი. რეგიონალიზმი, ასევე, მოასწავებს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას და სამეურნეო სუბიექტების ინტერესების ეროვნული საზღვრებიდან გასვლას, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ ტენდენციების მოქმედების სფერო შეზღუდულია რეგიონულ ჩარჩოებში. რეგიონალიზმი, არსებობს აგრეთვე, როგორც რეგიონული განვითარების ტენდენცია და როგორც შეგნებულად ფორმირებადი მიზანი.

ღია რეგიონალიზმი, რომელიც მოცემული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და ინტეგრაციულ ურთიერთქმედებას განიხილავს მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში, მოქცეულია ეკონომიკური გლობალიზაციის კალაპოტში. ამასთან, ღია რეგიონალიზმი არსებითად წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თავისებურ წინა ეტაპს, წინამდებარე, წინმსწრებ სტადიას. ასეთი ღია რეგიონალიზმის მაგალითად გვევლინება ევროკავშირი. ღია რეგიონალიზმი, როგორც ანალიზისა და გადაწყვეტილებათა გამოუმუშავების მეთოდოლოგია, წარმოადგენს გლობალიზაციის მეთოდოლოგიის შემადგენელ ნაწილს. ასეთი სახის რეგიონალიზმის ნიმუშად გვესახება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის ანუ კავკასიის რეგიონალიზმის პერსპექტივა.

რაც შეეხება დახურულ რეგიონალიზმს, პირიქით, ის გლობალიზაციის საწინააღმდეგო ქმედებაში გამოიხატება. ასეთი რეგიონალიზმი გამიზნულია მოცემული რეგიონის გლობალიზაციის ნეგატიური შედეგებისაგან დასაცავად. იგი წარმოადგენს რეგიონის საზღვრებამდე გაფართოებულ პოლიტიკას – „დაყრდნობა საკუთარ ძალებზე“. დახურული რეგიონალიზმის მაგალითად გამოდგება ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდაზმარების საბჭოს მოღვაწეობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ დახურული რეგიონალიზმის სტრატეგია (სხვა ცნობილ ფაქტორებთან და გარემოებებთან ერთად) გახდა მსოფლიო სოციალისტური სის-

ტემის კრახის მიზეზი, რადგანაც აღნიშნული სისტემა უუნარო აღმოჩნდა მზარდი მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების მიმართ ადაპტირებისადმი. დახურული რეგიონალიზმის მეთოდოლოგია არსებითად პროტექციონიზმის მეთოდოლოგიას წარმოადგენს.

ღია და დახურულ რეგიონალიზმს შორის განსხვავების გაცნობიერება მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რათა ამა თუ იმ რეგიონის ქვეყნების მისწრაფება უფრო მჭიდრო რეგიონული თანამშრომლობისაკენ, განვსხვავოთ იმ მისწრაფებისაგან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოცემული რეგიონის გლობალური ლიბერალიზაციისაგან და თანამშრომლობისაგან გამოცალკევება.

დღევანდელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის სიტუაციის დამახასიათებელი თავისებურება – განსხვავებით ევროპის ღია (გახსნილი) რეგიონალიზმისაგან – იმაში გამოიხატება, რომ აქ ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის ტიპის სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურა. პოლიტიკურ-ინსტიტუციური ვაკუუმი ასტიმულირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის ვარიანტების ძიებას. ჩვენი აზრით, აღნიშნული რეგიონალიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდებოდა ამ რეგიონში განთავსებულ ქვეყნებსა და სახელმწიფოებრივ წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე დამყარებული ზრდისა და განვითარების სტრატეგიის განხორციელება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მჭიდრო ინტეგრაცია და თანამშრომლობა, ერთი მხრივ, რუსეთთან, მეორე მხრივ კი, თურქეთსა და ირანთან იქნება ჩვენი აღმავლობის საწინდარი... საქმე ისაა, რომ მსოფლიო პროცესები ამ მიმართულებით მიდის და ჩვენ გვინდა, თუ არ გვინდა, საბოლოო ჯამში, მაინც აღმოვჩნდებით მათში ჩართული.¹

¹ ა. რონდელი, მ. ტიკაძე, ვ. კაჭარავა, „მსოფლიო პოლიტიკა და საქართველო“, საზოგადოებრივი ურნალი „იმედა“, №2 (28), 2002, გვ. 15.

რეგიონში არსებული პრობლემების დარეგულირების თვალსაზრისით რამდენიმე მიდგომა გვესახება. პირველი მიდგომა გულისხმობს განხილულ იქნეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის საერთო-ეკონომიკური და ფინანსური ინტეგრაციის შესაძლებლობის საკითხი. პერსპექტივაში შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს ერთიანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის საერთო ვალუტის შემოღება და ერთიანი ბაზრის შექმნის კონცეფციების დამუშავება.

მეორე მიდგომა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ეკონომიკას განიხილავს, როგორც პერსპექტივაში ერთიანი ეკონომიკურ და საფინანსო სივრცეს. მაგრამ ამასთან ჩვენ აღნიშნულ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სივრცეს მივიჩნევთ არა როგორც დასავლეთ ევროპული ინტეგრაციის დაპირისპირებულ ფენომენს, არამედ ისეთად, რომელსაც პერსპექტივაში უნარი უნდა შესწევდეს, შექმნას ევროკავშირის ტიპის რეგიონალიზმი და, რომელიც უფრო შორეულ პერსპექტივაში გახდება ერთიანი მსოფლიო ბაზრის შემადგენელი ნაწილი.

მესამე მიდგომა გამომდინარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის ინტეგრაციის ეტაპობრივი განვითარებიდან. ცხადად იკვეთება ინტეგრაციული თანამშრომლობისაკენ სწრაფვა შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონში.

ფაქტობრივად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმი ამჟამად აწყდება ორ დილემას: 1) როგორ მოხერხდეს ინტეგრაციული შიგარეგონული ურთიერთობების დაკავშირება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთთან ტრადიციულ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თანამშრომლობასთან; 2) როგორ იქნეს უზრუნველყოფილი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ერების თვითიდენტიფიკაციის უმტკივნეულო შეხამება რეგიონში რომელიმე ქვეყნის (ვთქვათ, საქართველოს) ლიდერის როლთან.

ეჭვს გარეშეა, რომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით (ვარიანტით ან განზომილებით) დაიწყებს

განვითარებას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის მიმართულებების ერთი ვარიანტი მდგომარეობს მის განვითარებასა და ინსტიტუციალიზაციაში. მთავარი საკითხია, თუ რამდენად შეძლებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი თავის თავზე აიღოს საერთაშორისო რეგიონული ინსტიტუტის როლი და თუ შეძლებს, როდის ექნება მას იმის უნარი, რომ რეგიონი განავითაროს ევროკავშირის ღონემდე.

მეორე მიმართულება-ვარიანტია ინტეგრაციის განვითარება უკვე არსებულ სუბრეგიონულ გაერთიანებათა, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული რეგიონალიზმისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების კავშირის, ან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის ჩარჩოებში. მთავარი დილემა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისათვის მაინც მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად შეძლებს ის მარტო, მკვეთრად გამოსატყუილი დიდერის გარეშე, გახდეს ქმედითუნარიანი სუბრეგიონული გაერთიანება ერთიანი ეკონომიკით.

მესამე განზომილება-მიმართულებაა სხვადასხვა სახის კონცეფციების რეალიზაცია, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას, სასაქონლო და ფინანსური ნაკადების კონტროლს და ა.შ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმმა თავისი განვითარებით ხელი უნდა შეუწყოს ევროპასა და აზიას შორის ყოველმხრივი ურთიერთობისა და დიალოგის განვითარებას.¹ თავისი ხასიათით ეს სტრუქტურა ტრანსრეგიონულია, რომელიც პერსპექტივაში მიზნად ისახავს ევროპული და აზიური ეკონომიკებისა და საზოგადოებების ღრმა ინტეგრაციას. ამ მიმართულებით უკვე იდგმება პირველი სერიოზული ნაბიჯები (მაგალითად, სუა-

¹ თ. ვამყრელიძე – საქართველო ევროპა თუ აზია? „ლიტერატურული საქართველო“, 2003, 4-10 ივლისი, გვ. 1-2.

მის ეკონომიკური ინტეგრაცია). აქვე გვინდა აღვნიშნოთ იმ საერთო ხასიათის მიზნების შესახებ, რომლითაც ხასიათდება ევროპა-აზიის ურთიერთობისა და დიალოგის მომავალი განვითარება სამხრეთ კავკასიის ტრანსრეგიონალიზმის გამოყენების გადასახედიდან, ეს მიზნებია:

— ევროპასა და აზიას შორის პოლიტიკური დიალოგის წინ წაწევა და განვითარება, რომელიც მოიცავს: ა) აზიასა და ევროპაში პოლიტიკური და უშიშროების სფეროებში სიტუაციის შეფასებას; ბ) საერთაშორისო საკითხების განხილვას და, მათ შორის, გაეროს მოღვაწეობასაც; გ) სამხედრო უშიშროების პრობლემებს, მათ შორის, შეიარაღებისადმი, განიარაღების პრობლემატიკასა და ატომური იარაღის გაუვრცელებლობისადმი კონტროლს.

— ეკონომიკური კოოპერაციის განვითარება, მათ შორის: ა) მრავალმხრივი ინტეგრაციის გაძლიერება და ცხოვრებაში ღია რეგიონალიზმის კონცეფციის წინ წაწევა; ბ) ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოება ევროპასა და აზიას შორის, რომელიც მოიცავს ვაჭრობას, ინვესტიციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს; გ) ევროპისა და აზიის ეკონომიკების კერძო სექტორთა კოოპერირების ხარისხის ამაღლება.

— თანამშრომლობის განვითარება სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: გარემოს დაცვა, საერთაშორისო დამნაშავეობასთან, ტერორიზმთან, ნარკოტიკების ტრანსპორტირებასთან ბრძოლა და სხვ. აგრეთვე, თანამშრომლობა კულტურისა და ადამიანური ურთიერთობების სფეროებში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და კორპორაციების შეცდომები, ალბათ, იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ ვერ შეძლეს დროულად შეენიშნათ პოსტინდუსტრიული ეკონომიკური მოდელის მიერ წარმოშობილი ობიექტური წინააღმდეგობა. პრობლემა ის კი არ არის, რა ვერ გაკეთდა, არამედ ის, რატომ ვერ გაკეთდა.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ჩამოყალიბდა

ეკონომიკური ძალების დაახლოებით შემდეგნაირი განლაგება:

– ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, საქართველო) მოხვდა ფინანსური რყევის ეპიცენტრში. ფინანსური კოლაფსის ძირითადი მიზეზი იყო – ეროვნული ვალუტის შედარებით აწეული კურსი აშშ-ს დოლართან მიმართებაში; ექსპორტის შემდგომი გაზრდის შესაძლებლობების ამოწურვა; საბანკო-საფინანსო სისტემის სისუსტე.

რეგიონში ფინანსური კრიზისით ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა.

– მაგრამ იყო რეგიონში ისეთი ქვეყანაც, რომელიც არ დაზარალდა უშუალოდ მეზობელი ქვეყნის ფინანსური კოლაფსის გავლენით (მაგალითად, აზერბაიჯანი), რასაც ხელი შეუწყო მიმდინარე საგადასახდელო ბალანსის დადებითმა სალდომ, სავალუტო და საფონდო ბაზრების დახურულობამ და მკაცრმა რეგულირებამ.

ფინანსური კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა კომპლექსში თანამედროვე ეტაპზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისათვის ძირითად მიმართულებად მიგვაჩნია: საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება და მისი რეკომენდაციით შემუშავებული საფინანსო, სოციალურ-ეკონომიკური, პროპაგანდისტული, შიგა და გარეპოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები. გაჯანსაღების პოლიტიკის ფილოსოფიურ საფუძვლად უნდა იქცეს სახელმწიფოს როლის გაძლიერება და ეკონომიკაში პირდაპირი ადმინისტრაციული ჩარევის არდაშვება. კრიზისის დაძლევის საფინანსო ღონისძიებები შეიძლება იყოს შემდეგი:

– ეროვნული ვალუტის დოლარზე მიბმის მიმართ უარის თქმა და გაცვლითი კურსისათვის საშუალების მიცემა, დაეცეს „ბუნებრივ ღონემდე“;

– რეფინანსირების განაკვეთის დროებით ამაღლება ეროვნული ვალუტის განმტკიცების მიზნით;

– მკაცრი ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისაკენ;

– ეროვნული ფინანსური და სამეურნეო ინსტიტუტების კერძო დავალიანებების პრობლემის დარეგულირება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან მოლაპარაკებით ვალების რესტრუქტურისა და ცივის თაობაზე, ეროვნულ კერძო სექტორისათვის ფინანსური დახმარების გაწევა სახელმწიფოს სახსრებით და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული თანხებით; საბანკო სისტემის გაჯანსაღება; ბანკების მიერ ფიზიკური პირების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად შესრულება; უცხოური კაპიტალისათვის ფინანსური ბაზრის გახსნა, რათა განვითარდეს კონკურენცია და ეროვნული ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია; ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის პრინციპის განხორციელება პრაქტიკულად და არა მხოლოდ დეკლარირება;

კრიზისის დაძლევის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის დონისძიებებს მიეკუთვნება:¹

– ძვირადღირებული ეკონომიკური პროექტების შეკვეცა და ნებისმიერ საქონელზე სახელმწიფო სუბსიდიების გაუქმება;

– ურთიერთობების შეცვლა სამკუთხედში – ბიზნესი-პროფკავშირები-პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც მიმართული იქნება, ერთი მხრივ კორუფციის, კლანური საფინანსო შეღავათების წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი სიცოცხლის მანძილზე დაქირავების სისტემის გაუქმებისაკენ და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის განვითარებისაკენ;

– სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება და ეროვნული წარმოების მეცნიერებატევადობის დონის ამაღლება;

– შიგა კორპორაციული კავშირების რეფორმირება ისე, რომ აღმოიფხვრას შიგა სამრეწველო-საფინანსო ჯგუფში გადაჯვარედინებული დაკრედიტების ჩამოყალიბებული სისტემა;

– ქვეყნის ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის კოორდინირება რეგიონულ დონეზე;

– რეფორმების პროპაგანდისტული უზრუნველყოფა.

¹ В. В. Михеев. Глобализация и азиатский регионализм. М., 2001., с. 123.

კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა კომპლექსში პოლიტიკური ხასიათისაა:

– ხელისუფლების კრიზისის დაძლევა, რაც შეიძლება მოჰყვეს ქვეყანაში საფინანსო კრიზისს;

– პოლიტიკური რეფორმის განხორციელება – ქვეყნის შიგარევი რეგიონებისათვის მეტი უფლებების მიცემა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის უფლებების გაფართოება, პოლიტიკოსების მსხვილ კაპიტალზე დამოკიდებულების შესუსტება.

რეფორმების საგარეო პოლიტიკური უზრუნველყოფა მოიცავს:

– აქცენტის აღებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან, რუსეთთან, აზიის რეგიონთან ურთიერთობათა გაფართოებაზე;

– მისწრაფებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ფარგლებში პოლიტიკური თანხმობისა და ურთიერთობათა ნორმალიზაციის მიღწევისაკენ.

კავკასიის რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის ფინანსურმა კრიზისმა გარკვეული გავლენა მოახდინა მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაზე, რამაც ასახვა ჰპოვა შემდეგ არხებზე:

– არასტაბილური ბაზრებიდან სპეკულაციური კაპიტალის ბაზარზე გასვლა, რაც განსაკუთრებით შეეხო განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს;

– გაჭირვებაში მოქცეული ქვეყნების მიერ იმპორტის შემცირება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავის დროზე რუსეთში განვითარებული ფინანსური კრიზისის გავლენით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ზოგიერთ სუბიექტში წარმოქმნილმა ფინანსურმა პრობლემებმა გარკვეულად იმოქმედა ამ რეგიონში პოლიტიკური ძალების განლაგებაზე და რეგიონული უსაფრთხოების სისტემაზე, რაც აისახა ისეთ გარემოებებზე, როგორცაა:

– ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაში ეკონომიკური სტრატეგიის როლის ამაღლება. რეგიონის ქვეყნები დარწმუნდნენ, რომ შიგა სტაბილურობასა და სუვერენიტეტს საფრთხე ემუქრება

არა იმდენად სამხედრო აგრესიისაგან, რამდენადაც საფინანსო და ეკონომიკური ფაქტორებისაგან. ამიტომ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები, ალბათ, ცენტრალურ ადგილს დაიკავებს რეგიონის ქვეყნებში;

— სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უსაფრთხოების სისტემაში (საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი) ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის პოზიციების შესამჩნევად გაძლიერება. ამ უკანასკნელის მუშაობის პოლიტიკურ ღირიჯორს ვაშინგტონი წარმოადგენს, როგორც აღნიშნული ფონდის წამყვანი მენაბრე. ამით კიდევ უფრო ამაღლდა აშშ-ის, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი სახელმწიფოს, იმიჯი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში წარმოშობილმა ფინანსურმა კრიზისმა გლობალიზაციის კონტექსტში განსჯისათვის შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა:

— რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის ფინანსური კრიზისი ლოკალური ხასიათისა იყო და მას არ მიუღია არც საერთო რეგიონული და მით უმეტეს მსოფლიო მნიშვნელობა;

— მსოფლიო საზოგადოება და მისი მთავარი საფინანსო ინსტიტუტი — მსოფლიო სავალუტო ფონდი, როგორც ირკვევა, არ ფლობენ მოახლოებული კრიზისის წინასწარ შეცნობა-შეტყობინების მექანიზმებს. ამავე დროს, მსოფლიო სავალუტო ფონდი ავლენს თავის მზადყოფნასა და უნარს, რეალური დახმარება გაუწიოს დაზარალებულ ქვეყნებს;

— ფინანსური კრიზისის მთავარი პოლიტიკური შედეგი გახდა ეროვნულ უსაფრთხოებაში ეკონომიკის როლის გაძლიერება. ამერიკის შეერთებული შტატების როლის განმტკიცება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთის ცდები, არ დაუშვას თავისი გავლენის შესუსტება აღნიშნულ რეგიონში; ფინანსურმა კრიზისმა დაგვანახა, რომ შესაძლებელია ეკონომიკურმა გლობალიზაციამ საფრთხე შეუქმნას ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებას. კრიზისმა გამოააშკარავა ზოგიერთი ასეთი საფრთხე;

– განვითარებადი ქვეყნების საფინანსო ბაზრების გახსნადობა და სპეკულაციური კაპიტალის თავისუფალი მიგრაცია სუსტად გილად აქცევს ეროვნულ სავალუტო და საფინანსო ბაზრებს საერთაშორისო საფინანსო სპეკულანტების დაგეგმილი შემოტევის წინაშე;

– გლობალიზაციამ, რომელიც გულისხმობს გახსნილობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, განაპირობა თავის დროზე (XX ს. 90-იან წლებში) რუსეთში განვითარებული ფინანსური კრიზისის გავრცელება იმ სხვა ქვეყნებშიც, რომლებსაც რუსეთის მსგავსი საფინანსო სიძნელეები ჰქონდა (მაგალითად, საქართველოში);

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების ირიბი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკა, რომლებიც უშუალოდ არ დაზარალებულან ფინანსური კრიზისის ზემოქმედებით (მაგალითად, საქართველოს წარმოეშვა ვალები თურქეთის, სომხეთის და სხვა ქვეყნების მიმართ).

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ჯერ არ არის სრულად მოწესრიგებული ურთიერთინტეგრაციის საკითხი სხვადასხვა გამწვავებული პრობლემების გამო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნები თვითონ დამოუკიდებლად აღწევენ სხვადასხვა ქვეყნებთან ორმხრივი, მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას. ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის გზით რეგიონის ქვეყნები ჩართული არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში და ამით ინტეგრაციული თვალსაზრისით გავიდნენ რეგიონის ფარგლებს გარეთ. ქვეყნების კოოპერირების აღნიშნული ვარიანტი, ფაქტობრივად, ხორციელდება და ვითარდება რეგიონის ფარგლებს გარეთ ურთიერთობით არა გეოეკონომიკურ სიახლოვეზე დაფუძნებული ფაქტორის მიხედვით, არამედ პარტნიორ-ქვეყნების ურთიერთკავშირების პრინციპით. ასეთი იდეის რეალიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის გლობალიზაცია, მისი გასვლა კონტინენტალურ ფარგლებს გარეთ.

გლობალიზაციის¹ როგორც მიზნის შინაარსის გაგება უკავშირდება ადამიანების, სახელმწიფოთა ლიდერების, მსხვილი ბიზნესის ხელმძღვანელების, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების, ეროვნული და საერთაშორისო ჩინოვნიკების მოღვაწეობას, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართულია ერთიანი მსოფლიო ეკონომიკის შექმნისაკენ და მის შესატყვისად მსოფლიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობისაკენ. ამასთან, შეიძლება გამოვყოთ ასეთი მოღვაწეობის სამი დონე:

- გლობალური, საერთო პლანეტარული;
- რეგიონული;
- ეროვნული.

აღნიშნულ დონეებზე თითოეული ქვეყანა წყვეტს ეროვნულ ეკონომიკასა და პოლიტიკური სისტემის გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მოთხოვნებთან ადაპტაციის თავის სპეციფიკურ ამოცანებს; ჩვენს შემთხვევაში საკითხი ეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმს.

სერიოზულ ინტერესს იწვევს ეკონომიკური გლობალიზაციის სათავეების გარკვევის საკითხი. ამას ადვილად მოეახერხებთ, თუ განვიხილავთ ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, რომელთა ანალიზიც აადვილებს ეკონომიკური გლობალიზაციის სათავეების გაგებას.

აქსიომაა, რომ ეკონომიკური განვითარების მთავარ მიზანს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება წარმოადგენს.

¹ გლობალიზაცია როგორც ტერმინი წარმოჩინდა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში და მას უკავშირებენ ტ. ლევიტის სახელს, რომელმაც 1983 წელს „პარვარდ ბიზნესრევიუში“ გამოქვეყნებულ სტატიაში დააფიქსირა ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის ფენომენი, რომელსაც ახდენენ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები. ხოლო ტერმინმა „გლობალიზაცია“ გავრცელება დაიწყო ამერიკელი სოციოლოგის, რ. რობერტსონის დამსახურებით, რომელმაც 1985 წელს მოგვცა გაგება „Globalization“, ხოლო 1990 წელს იაპონელმა კ. ომაემ გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“ (Ohmae K., The Borderless World, 1990).

ეს უკანასკნელი კი გულისხმობს საქონელზე და მომსახურებაზე ადამიანების ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ადამიანის ეკონომიკური მოთხოვნილებები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს რამდენიმე გზით: კერძოდ, ბუნების ნაბოძებით (საჩუქრით), საქონლით ან მომსახურებით, რომელიც შეძენილი იქნება ფულით ან საქონელგაცვლით, ან კიდევ სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ან კერძო ორგანიზაციის და კერძო პირის „საჩუქრით“, საქონელზე მოთხოვნილება ქმნის საქონლის მოთხოვნას და ბუნებრივად წარმოშობს მწარმოებელში მოთხოვნილებას ბუნებრივ რესურსებზე, მოწყობილობაზე, კაპიტალზე, სამუშაო ძალაზე, შრომის იდეაზე, რომლებიც აუცილებელია მოცემული საქონლის წარმოებისათვის. შრომა, მიწა, კაპიტალი, შრომის იდეა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენენ არა მარტო როგორც საზოგადოებრივი წარმოების ფაქტორებს, არამედ, აგრეთვე, მოთხოვნილებებს; ხოლო თვით წარმოება გვევლინება, როგორც „საყოფაცხოვრებო“ მოთხოვნილებათა საგნებზე, ასევე, წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნილებათა გაჯერების პროცესად.

მოთხოვნილებათა გაჯერების სტადიაზე ყურადღებას იპყრობს სამი ასპექტი: რა ზომით არის ადამიანის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული და რა ძალებითა და როგორი სიხშირით მეორდება ეს პროცესი.

მოთხოვნილებათა გაჯერების სტადიები, ან მისთვის საჭირო ძალისხმევის დონე, შეიძლება იყოს უსასრულოდ მრავალნაირი. ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ხუთი სტადიური მიდგომით:

- საერთოდ სულაც არ იქნეს დაკმაყოფილებული;
- დაკმაყოფილებულ იქნეს მინიმალური დონით;
- დაკმაყოფილებულ იქნეს მისაღები დონით (სანახევრო ვარიანტი);
- დაკმაყოფილებულ იქნეს თითქმის მთლიანად (სრულად);
- დაკმაყოფილებულ იქნეს მთლიანად.

მოთხოვნილება შეიძლება განისაზღვროს „ხედვის სხვადას-

ხვა ღონით“ (ჩვენ აქ ვუდგებით ყველაზე მნიშვნელოვანს გლობალიზაციის თემის თვალსაზრისით) და ის შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგი სახეებით:

— ინდივიდუალური მოთხოვნილება, როდესაც ადამიანი სხვებზე უკეთ განსაზღვრავს რამდენი და როგორი ხარისხის საქონელი და მომსახურება სჭირდება მას მოცემული საბაზრო სიტუაციისა და მისი საფინანსო შესაძლებლობების პირობებში;

— საფირმო-საქარხნო, ანუ საწარმოს ღონე — ამ მიკროღონეზე ფირმის ხელმძღვანელობამ შეიძლება ძალიან ზუსტად განსაზღვროს თავისი მოთხოვნა ნედლეულზე, მანქანა-დანადგარებზე, კაპიტალზე, სამუშაო ძალაზე, გასაღების ბაზრებზე;

— დარგობრივი — ამ დროს საკითხი ეხება ეკონომიკის მთელი დარგის მოთხოვნებს. ასეთი ღონის მოთხოვნილების განსაზღვრისათვის საჭიროა სამინისტროს ან მთავრობის გადაწყვეტილება;

— ტერიტორიული — აქ მხედველობაშია მოთხოვნილება წარმოების ფაქტორებზე, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ცალკეული რეგიონების (მხარეების, ავტონომიური წარმონაქმნების და სხვა) ერთი ქვეყნის ფარგლებში;

— საერთო-სახელმწიფოებრივი; ამ შემთხვევაში საქმე ეხება სახელმწიფოს მოთხოვნილებებს მთლიანად;

— რეგიონული მოთხოვნილება განისაზღვრება იმ რეგიონის ფარგლებში, სადაც განლაგებულია მოცემული ქვეყანა;

— გლობალური, საერთო-მსოფლიო მოთხოვნილება. საკითხი ამ შემთხვევაში ეხება მთელი კაცობრიობის მოთხოვნილებებს. მაგალითად, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

სიტუაციიდან გამომდინარე და მათი გავლენით ერთი და იგივე მოთხოვნილებამ შეიძლება გადაინაცვლოს ერთი პოზიციიდან მეორეში. მაგალითად, შიმშილისა და ნგრევის პირობებში ინდივიდუალური ხასიათის ბევრი მოთხოვნილება გადადის სახელმწიფოს ღონეზე.

საზოგადოებაში ეკონომიკური ურთიერთობები გამოვლინდება ინტერესების შეჯახებითა და ურთიერთქმედებით. ინტერესი

წარმოადგენს შეგნებულ მოთხოვნილებას, რომელიც გარდაიქმნება მოღვაწეობის გამაღვიძებელ მოტივად. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკურ ინიციატივას განვსაზღვრავთ, როგორც მოქმედებაში მოყვანილ ეკონომიკურ ინტერესს, როგორც ეკონომიკურ ინტერესების სარეალიზაციოდ მიმართულ მოღვაწეობას. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესსა და ინიციატივას შორის შესაძლებელია არსებობდეს განსხვავება, რაც მოსახლეობის შრომითი აქტიურობის კონსერვაციისა და ეკონომიკური განვითარების სტაგნაციის მომასწავებელია.

ეკონომიკური ინიციატივა შეიძლება გამომდინარეობდეს ორი წყაროდან: მწარმოებლისაგან (ან ადამიანისაგან) და სახელმწიფოსაგან, ე.ი. შესაბამისად „ქვევიდან“ და „ზემოდან“ – შესაბამისად – მოთხოვნილების მაღალი და დაბალი ხედვით. მოთხოვნილების ოპტიმალური ხედვის დონე წარმოადგენს მოთხოვნილების განსაზღვრის საფუძველს და ეკონომიკური ინიციატივის წყაროს – საწარმოო პროცესის სამი შემადგენელი ელემენტის წყაროს. ამ ელემენტების ურთიერთშესაბამისობა განაპირობებს ეკონომიკური განვითარების ეფექტიანობას. ამ შესაბამისობის დარღვევა ზრდის შეცდომის დაშვების ალბათობას მოთხოვნილების განსაზღვრისას და მისი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად რესურსების მობილიზაციისას.

ადამიანებს, როგორც წესი, ახასიათებთ ჰუმანიტარული მოთხოვნილება და პირადურთიერთობათა მოთხოვნილება.

ადამიანის ჰუმანიტარული მოთხოვნილებები მოიცავს:

- ცოდნას (იცოდეს), ანუ ინფორმაციის მიღების მოთხოვნა;
- იფიქროს, ანუ ცხოვრებისა და თვითანალიზის გააზრების მოთხოვნილება;
- სჯეროდეს (სწამდეს), ანუ მოთხოვნილება იდეოლოგიურ და რელიგიურ მრწამსზე;
- ჰქმნიდეს, ე.ი. შექმნას კულტურული, მეცნიერული, იდეოლოგიური ფასეულობები;
- გამოთქვამდეს და იყოს მოსმენილ-გაგებულნი;

— გავლენას ახდენდეს პირად ცხოვრებაზე და საზოგადოების (კაცობრიობის) ცხოვრებაზე საზოგადოების (კაცობრიობის) პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით. ამ მოთხოვნილებას შეიძლება ეწოდოს ადამიანის პოლიტიკური მოთხოვნილება.

პირადი უსაფრთხოების მოთხოვნილებიდან განსხვავებით, ჰუმანიტარული მოთხოვნილებები ადამიანს არ ეძლევა ბუნებისაგან, არამედ ფორმირდება საზოგადოების განვითარების კვალობაზე მისი პირადი უსაფრთხოების მოთხოვნილები და ეკონომიკურ მოთხოვნილებათა გაჯერების მიხედვით. ჰუმანიტარულ მოთხოვნილებებს ადამიანის პირადი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მოთხოვნილებების მიმართ დაქვემდებარებული ხასიათი აქვს.

ადამიანის ჰუმანიტარულ მოთხოვნილებათა ფორმირების წყარო შეიძლება იყოს ან სახელმწიფო — სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, რელიგიური, საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუტების სახით, ან კიდევ თვით ადამიანი, რომელმაც უკვე მიაღწია განვითარების გარკვეულ დონეს. ადამიანის სულიერი განვითარების დონე, რომლის შემდეგ ადამიანი თვითონ ხდება პირადი ჰუმანიტარული მოთხოვნილებების წყარო, შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმწიფის დონე.

პრიორიტეტულ, ადამიანთა ცხოვრების შემაერთებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს პირადურთიერთობათა მოთხოვნილება. ეს უკანასკნელი ერთდროულად წარმოადგენს ადამიანის სხვა დანარჩენი მოთხოვნილებების რეალიზაციის წინაპირობას. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და მისი ცხოვრების მიზანია სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, ხოლო ასეთი ურთიერთობის გარეშე ადამიანის სიცოცხლე და ცხოვრება აზრს კარგავს. ამ ურთიერთობაში ადამიანი წარმოგვიდგება თავის ორის ერთიანობაში — როგორც ადამიანი — პიროვნება და როგორც ადამიანი — ფუნქცია. ადამიანი — პიროვნება წარმოადგენს თვითონ თავის თავს, მუშაობს და საქმიანობს თავისი ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადამიანი — ფუნქცია კი წარმოადგენს იმ ორგანიზაციის ინტერესებს, სადაც ის მუშაობს და მუშა-

ობს იმ ორგანიზაციის მოთხოვნილებებისათვის, რომელსაც ის განეკუთვნება.

ზემოთ გადმოცემული ადამიანის მოთხოვნილების თეორიის კონტექსტში შეგვიძლია განვმარტოთ და ჩამოვყალიბოთ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მიმართ უფრო კორექტირებული შეხედულება. ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს (მოასწავებს):

- მოთხოვნილებათა წარმოჩენას, რომლებიც ობიექტურად არსებობს რეგიონული და მსოფლიო ხედვის დონეზე.

- მოთხოვნილებათა რაოდენობის ზრდას, რომელიც გადაადგილდება ეროვნულიდან რეგიონულ ან მსოფლიო ხედვის დონეზე;

- „ზევიდან“ ეკონომიკური ინიციატივის ფორმირებას და რეგიონული და მსოფლიო წყაროების თამაშში ჩართვას;

- რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე „ქვევიდან“ ეკონომიკური ინიციატივის ეროვნული წყაროების მოღვაწეობის სფეროს გაფართოებას;

- „ქვევიდან“ ეკონომიკური ინიციატივის ტრანსნაციონალური წყაროების ფორმირებას (ტრანსნაციონალური კორპორაციები);

- ობიექტურად არსებულ ეროვნულ ანალოგიურ მოთხოვნილებათა ხედვის დონეების გამოთანაბრებას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გამოიხატება:

- ინტეგრაციული პროცესების განვითარებით;

- ვაჭრობის პირობების ლიბერალიზაციით, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადინებით და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში მეურნეობების ეროვნული პირობების მსოფლიოს ეკონომიკური „ეტალონების“ დონეთა შესაბამისობაში მოყვანით;

- იმ სახელმწიფოთა ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის კოორდინაციით, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ინტეგრაციის დასავლეთ ევროპულ ან ჩრდილო ამერიკულ დონეს. რეგიონულ დონეზე ასეთი მუშაობა ხორციელდება ან ჩაფიქრებულია განსახორციელებლად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის ფარგლებში, აზია-წყნარი ოკეანის ეკო-

ნომიკური გაერთიანების, ლათინური ამერიკის, აფრიკის, არაბეთის და სხვა ინტეგრაციულ გაერთიანებებში. მსოფლიო დონეზე ანალოგიური საქმიანობა ხორციელდება მსოფლიო სავალუტო ფონდის ფარგლებში, ან წამყვან სახელმწიფოთა ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების თავმჯდომარეთა თათბირის ფარგლებში;

– ქვეყნის მიერ საერთაშორისო ფინანსების რეგულირების აუცილებლობის გაგებაში, რამაც შეიძლება მომავალში მიგვიყვანოს რეგიონული კოლექტიური ვალუტის შექმნამდე, ხოლო შემდეგ ერთიანი მსოფლიო ვალუტის შექმნამდე;

– კაპიტალის დამბანდებელი ქვეყნების ინვესტირების ინტერესების შეერთება-შერწყმა კაპიტალის შეტანის დარგებთან. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მოთხოვნები გადის ეროვნული ჩარჩოებიდან და კმაყოფილდება ეკონომიკური ინიციატივის ტრანსნაციონალური წყაროებიდან.

პროცესის ლოგიკიდან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის საბოლოო მიზანს (სტადიას), წარმოადგენს ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა – სხვა სიტყვით: „ზემოდან“ ეკონომიკური ინიციატივის მსოფლიო წყაროების ფორმირებისათვის ეროვნულ წინააღმდეგობათა დაძლევა და „ქვევიდან“ ეკონომიკური ინიციატივის წყაროების მოღვაწეობის გავრცელება პლანეტის ნებისმიერ კუთხეში.

შუალედურ მიზნებს (სტადიებს) წარმოადგენს რეგიონული „საერთო ბაზრები“. სხვა რეგიონებში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისა და სტიმულირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ ევროპაში ერთიან ვალუტაზე გადასვლას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ახალ შესაძლებლობებს ქმნის ადამიანის მოთხოვნების ფორმირებისა და გაჯერებისათვის. იგი საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნეს წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს მოთხოვნების ხედვის ობიექტურ დონესა და ობიექტურად არსებულ შესაძლებლობას შორის – ამოქმედოს ეკონომიკური ინიციატივის შესაბამისი წყაროები.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია თავის თავში შეიცავს საშიშროებებსა და წინააღმდეგობებს. მოთხოვნილების გამოსვლა ეროვნული საზღვრებიდან ცალკეული ქვეყნებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისაგან მოითხოვს ადეკვატურ ნაბიჯებს, მათ შორის:

– ეკონომიკური ინიციატივის ეროვნული ძირეული წყაროების მოღვაწეობის სფეროს გაფართოებას, რომლებიც მიმართულია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ;

– ეკონომიკური ინიციატივის ტრანსნაციონალური წყაროების ფორმირებას, აგრეთვე, თავისი ეკონომიკური არსით ძირეული წყაროებისას;

– ეკონომიკური ინიციატივის მრავალმხრივ მაღალი წყაროების შექმნას და მათი მოღვაწეობის ინსტიტუციოლიზაციას.

თუ ქვეყნები აგვიანებენ ამ ამოცანების გადაწყვეტას, მაშინ წინააღმდეგობა აღმოცენდება გლობალიზაციის შედეგად მოთხოვნილების ხედვის ობიექტურ ღონესა (მოთხოვნილების ეროვნული საზღვრებიდან გავრცელების გამო) და ეკონომიკური ინიციატივის წყაროების არაადეკვატურ ცვლილებას შორის, რომლებიც მიმართულია მათ დაკმაყოფილებაზე. ტრანსნაციონალური კორპორაციების მოღვაწეობა, საბაჟო კავშირების შექმნა, თავისუფალი ვაჭრობის რეგიონული ზონების ფორმირება, ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩამოყალიბება, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შექმნა, თავისი ლოგიკით, ზუსტად ამ წინააღმდეგობათა დაძლევის ამოცანას ემსახურება.

გლობალიზაციას ადამიანის მოთხოვნილებები გააქვს ეროვნული საზღვრების გარეთ. ადამიანი საერთაშორისო ურთიერთობებში უკვე გამოდის არა როგორც უბრალოდ თავისი ქვეყნის მოქალაქედ, არამედ როგორც დამოუკიდებელ სუბიექტად, როგორც მსოფლიოს მოქალაქედ. ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია აყალიბებს საერთაშორისო ურთიერთობების პერსონიფიკაციის პროცესს.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობების პროცესის პერსონიფიკაცია მხოლოდ იწყება. ადამიანი ჯერჯერობით უფრო მეტად წარ-

მოადგენს თავისი სახელმწიფოს წარმომადგენელს, ვიდრე მსოფლიოს მოქალაქეს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის განვითარების კვალობაზე თვით ამ განვითარების ლოგიკა სულ უფრო მძლავრად უბიძგებს ქვეყნებს საერთაშორისო ურთიერთობათა პერსონიფიკაციის ფაქტის აღიარებისაკენ და, მაშასადამე, ამ ახალი, გლობალიზაციის პარალელური პროცესის პოლიტიკური და სამართლებრივი მომსახურებისაკენ.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, იზრდება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების როლი. ასეთ სიტუაციაში ვერც ერთი ქვეყანა, ვერც ერთი ეროვნული ეკონომიკა (მათ შორის, საქართველოც) ვერ შეძლებს წარმატებით განვითარებას უცხოეთთან გაფართოებული თანამშრომლობის გარეშე, მსოფლიო ბაზრებთან ღრმა ინტეგრაციის გარეშე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახეზე გვაქვს უახლოესი წარსულის სამწუხარო მაგალითი, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირი და მისი ინიციატივით შექმნილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო ცდილობდა, მიეღწია სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის სფეროს გარეთ ფუნქციონირებით, რისგანაც არაფერი გამოვიდა.

დღეს აუცილებელია ყოველთვის თვალთახედვაში გვქონდეს ფიქრი და მსჯელობა თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის შესახებ.

რასაკვირველია, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული ჩართვა წარმოშობს საქართველოს მიმართ გამოწვევებსა და მუქარებსაც. მაგრამ რაციონალურ ეფექტიან გამოწვევებზე პასუხის გაცემა და მუქარების მოგერიება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთქმედებებით. ეს, ალბათ, თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ქმედების კონცეფციის საბაზისო დებულებაა.

არაერთხელ აღვნიშნავს, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა და მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეტად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მონაკვეთზე და

უშუალოდ ემიჯნება აზიის კონტინენტს. იმისათვის, რომ გატარდეს ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგია და საგარეო პოლიტიკა, საჭიროა აუცილებლად გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნის ევროპულ-აზიური ზღურბლის ვექტორის მნიშვნელობა მომავალი განვითარებისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ კარგად გვაქვს შეგნებულ-გათავისებული და აღიარებული, ქვეყნის საზოგადოებრიობის მიერ, საქართველოს ევროპული კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური ძირები, ქვეყნის თვითშეცნობის პროცესი როგორც, მათ შორის აზიური, უფრო ზუსტად ევრაზიული ზღურბლის ქვეყნის შეცნობის პროცესი შედარებით ნაკლებად იგრძნობა და მხოლოდ ახლა ვითარდება.

შეცდომა რომ არ დაუშვიათ, ევროპასა და აზიასთან ურთიერთობის საკითხში, საქართველოს ადგილის განსაზღვრისას ჩვენი აზრით, საჭიროა, გამოვიყენოთ საქართველოზე ორი დონის, ორი სახის შეხედულება. პირველი ეს არის შეხედულება საქართველოზე მთლიანად, როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილეზე, ხოლო მეორეა საქართველოზე, როგორც გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში განლაგებულ ქვეყანაზე.

ასეთი ორი სახის, ორი დონის მიდგომა, თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ საშუალებას გვაძლევს სწორად და უშეცდომოდ დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ადგილი ევროპასთან და აზიასთან ურთიერთობაში, ევროკავშირისა და აზიის რეგიონის კავშირის ქვეყნებთან ურთიერთობაში. ასეთი მიდგომებით გამოიკვეთება საქართველოს როლი, სახე და ადგილი ორ განზომილებაში – გლობალურ ეკონომიკაში და რეგიონულ ეკონომიკაში. ჯერჯერობით საქართველოს ეკონომიკის გლობალური ხასიათი საკმაოდ მოკრძალებულია ჩვენი ეკონომიკის გახანგრძლივებული მძიმე კრიზისის გამო და გამოიხატება ტვირთების გადაზიდვებით, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში საგრძნობლად გაიზრდება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლით.

აქედან შეიძლება მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა: საქართველოს განვითარების სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია (როგორც მთლიანი ფედერაციული ქვეყნის) უნდა ითვალისწინებდეს ევროპულის და ამერიკულის პარალელურად, რუსეთის ფაქტორსაც. ამიტომ საქართველოს სტრატეგია უნდა აიგოს გამომდინარე ორსახოვანი მდგომარეობიდან – როგორც გლობალური ეკონომიკიდან და როგორც რეგიონული ეკონომიკიდან. ჩვენ გვჭირდება ისეთი პოლიტიკა და ისეთი მექანიზმები მისი განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს გლობალური ინტერესების რეგიონულ ინტერპრეტაციას და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სუბიექტების ინტერესების გლობალურ ხედვასა და ამოკითხვას მსოფლიოს მოცემულ რეგიონში, პლანეტის მოცემულ მონაკვეთში. ჩვენი ხედვის არსი იმაში გამოიხატება, რომ გლობალური და რეგიონული ერთმანეთს კი არ უნდა უპირისპირდებოდნენ, არამედ უნდა ერთმანეთს შეთანხმებულად ავსებდნენ საქართველოს მიერ სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში. საკითხის კიდევ უფრო დაზუსტებისათვის აღვნიშნავთ, რომ საქართველომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ფარგლებში პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს აზიის რეგიონის ეკონომიკასთან გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესის მკვეთრად გაძლიერება.

ორიოდე სიტყვით საქართველოს მოქმედების სტრატეგიის აგების საქმეში გამოსაყენებელი ანალიზისა და რეკომენდაციების მეთოდოლოგიის შესახებ. არც მეცნიერული, არც თეორიული და არც პრაქტიკული თვალსაზრისით, არ არის გამართლებული კონცეფციის აგება რაიმე მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობის გარეშე. ამასთან, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ განსახორციელებელ გლობალურ და რეგიონულ პოლიტიკასთან დაკავშირებით მეთოდოლოგიურ საფუძველად ნაციონალიზმისა და პროტექციონიზმის იდეოლოგიამ დადებითი შედეგი გამოიღო. ნაციონალიზმის იდეოლოგია თავის თავში მოიცავს საკმაოდ საშიშ დამოკიდებულებასა და განწყობას მსოფლიო და რეგიონული ინტეგრაციული პროცესების მი-

მართ. რაც შეეხება პროტექციონიზმს, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ის კიდევ უფრო მეტად აკონსერვებს ქვეყნის ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სამართლებრივ და მმართველობით ჩამორჩენილობას, ვიდრე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ, ამავე დროს, პროტექციონიზმი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული რეგიონალიზმის განვითარებისა და გლობალურ პროცესებში აქტიურად ჩართვის ერთ-ერთი შემაფერხებელი სტრატეგიის პოლიტიკური ფაქტორია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ რეგიონში ამჟამად არსებული შიგარეგონული და ლოკალური კონფლიქტები ართულებს საერთო მდგომარეობას და წარმოადგენს სერიოზულ შემაფერხებელ მოვლენას ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების გზაზე. მართალია, აღნიშნული გარემოება შემაფერხებელია, ამასთან, მნიშვნელოვანიც, მაგრამ მაინც არა ისეთი, რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს რეგიონული თანამშრომლობისათვის და გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვისათვის. შეიგრძნობა, რომ ინტეგრაციული ფაქტორები და ინტერესები ამჟამინდელ ეტაპზე აძლიერებენ თავიანთ პოზიციებს სამხედრო-პოლიტიკურთან შედარებით იმ მოტივების სტრუქტურაში, რომლითაც ხელმძღვანელობენ ეროვნული ლიდერები სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას, გარდა მისი გეოპოლიტიკური როლისა, აძლიერებს, აგრეთვე, მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების შესაძლებლობები, რაც წარმოადგენს რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების შესანიშნავ რესურსულ პოტენციალს. რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტის (მაგალითად, საქართველოს) შესაძლებლობათა შეზღუდულობის პირობებში ძირითად წყაროდ აღნიშნული რეგიონის შემდგომი დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისათვის მიჩნეული უნდა იქნეს გარე ფაქტორი, რომლის როლიც ჯერჯერობით ნაკლებად არის გათვალისწინებული ამ რეგიონის განვითარებაში. ამ მხრივ ბედნიერ

გამონაკლისს წარმოადგენს ბაქო-ჯეიჰანის პროექტი. აღნიშნული გარემოება და ტრადიციული სამეურნეო კავშირების დარღვევა ყოფილი საბჭოთა კავშირის სიერცის ქვეყნებთან (როგორც ევროპულ, ასევე, აზიური სიერცის ქვეყნებთან) წარმოადგენს საერთო საზრუნავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებისათვის.

გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით და ჩვენი ძირითადი იდეიდან გამომდინარე, აუცილებელია განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში ინტეგრაციული ფაქტორების გათვალისწინება. გლობალიზაციის გამოწვევები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და მისი შემადგენელი ქვეყნების მიმართ ძირითადად შემდეგნაირად წარმოგვიდგენია:

პირველი. საჭირო და აუცილებელია გლობალიზაციის სწორი გაგება და მის მიმართ გაწონასწორებული და გონიერი დამოკიდებულება. საჭიროა გლობალიზაციის არსი მის ყველა განზომილებაში და გლობალიზაციისადმი დამოკიდებულება გავხადოთ ცალსახა, ვაღიაროთ, რომ გლობალიზაცია არის ეკონომიკური ზრდა-განვითარების საუკეთესო საშუალება;

მეორე. გლობალიზაცია რეგიონის ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოს) უქმნის შესაძლებლობას, მოახდინონ თავიანთი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის ადაპტირება გლობალიზაციის დინამიკასთან მიმართებაში, თავიანთი ეკონომიკის სტრატეგია შეუხამონ ევროპული და აზიური რეგიონალიზმის განვითარებას, აგრეთვე, ყველა ღონის ინტეგრაციულ პროცესებს – რეგიონულს, სუბრეგიონულს, ორმხრივს;

მესამე. გლობალიზაციისადმი, როგორც მიზნისადმი მიდგომა, რომელსაც თავის თავის წინაშე აყენებენ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები, საშუალებას იძლევა გლობალიზაციის პროცესი წარიმართოს მდიდრებისა და ღარიბების ინტერესების შეხამებისაკენ, მათ შორის, მდიდრების სტრატეგიულ ინტერესებში გათვალისწინებისაკენ. სხვა საქმეა, რომ ეს ამოცანა არ წყდება თავისთავად, არამედ მოითხოვს მრავალმხრივ კოლექტიურ ძალისხმევას. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევ-

როპის რეგიონს (მის ქვეყნებსა და მათ შორის, საქართველოს) შეუძლია და უნდა დაიკავოს თავისი ინტელექტუალური და პოლიტიკური ადგილი გლობალიზაციის მსოფლიო სტრატეგიის შემუშავებაში; საქართველოსათვის და სხვა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელი იქნებოდა მსოფლიოს ლიდერი ქვეყნებისგან გლობალიზაციის პროცესებისაგან თვითიზოლაცია.

მეოთხე. ეს არის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საქონელწარმოების დაცვის პრობლემა, რომელიც საჭიროებს ძალიან აწონილ-დაწონილ მიდგომას. არ უნდა შევექმნათ ისეთი სიტუაცია, როდესაც, მაგალითად, საქართველო ხელიდან გაუშვებს სარგებლიანობას, მათ შორის, თუნდაც აზიის ეკონომიკურ კავშირში მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესებში მონაწილეობით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ქვეყნებისა და კონკრეტულად საქართველოსათვის ხელსაყრელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთქმედების ისეთი პოლიტიკა, რომელიც ადგილობრივ მწარმოებელს თავისი პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიური დონის ამაღლების სტიმულს მისცემს ლიბერალიზაციის, ვაჭრობისა და ინვესტიციების წესებისა და სტანდარტების გამოთანაბრების მეშვეობით. ამ კონტექსტში საქართველოსა და რეგიონის ყველა ქვეყნის ინტერესებს უპასუხებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება (საქართველო უკვე რამდენიმე წელია არის ამ ორგანიზაციის წევრი).

მეხუთე. როგორ იქნეს გამოყენებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასთან და აზიის რეგიონთან მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობები. გლობალიზაციის ამ გამოწვევასთან ღირსეული პასუხი დაკავშირებულია საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის რეგიონის ეკონომიკის მეურნეობრიობის ახალ გლობალურ პირობებთან ადაპტაციის გადაწყვეტის ამოცანასთან.

მექვსე. როგორ იქნეს გამოყენებული დასავლეთ ევროპისა და

აზიის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უსაფრთხოებისა და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან.

მეშვიდე. ინტერნაციონალური ძალისხმევით როგორ გამოვაცოცხლოთ საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი და როგორ გამოვიყენოთ ის გლობალური და რეგიონული ცოდნის კონტექსტში, გლობალიზაციის ყველა ზემოთ მითითებული გამოწვევების მიმართ ეფექტიან პასუხზე არის დამოკიდებული მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების დინამიზმი. ამიტომ ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვეყნისა და, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფოს საერთო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისას.

დღეს თითქმის არავისში ბაღებს ეჭვს ის გარემოება, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე და ქვეყნის შიგაეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის გლობალურ და რეგიონულ ლიდერებთან კოორდინაციის გარეშე.

ქვეყნის ობიექტურ სტრატეგიულ მიზნად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაციისა და პერსონიფიცირების პროცესებში.

საქართველოს საშუალოვადიანი საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გამომდინარე და განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში, ქვეყნის გარეთ – საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში.

საქართველოს მოკლევადიანი (მიმდინარე, ტაქტიკური) ინტერესები, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს:

– მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის, რუსეთის, ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და აზიის რეგიონების წამყვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სახელმწიფოებთან;

– უარის თქმა სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული რაიმე სტრატეგიული ალიანსის შექმნაში მონაწილეობაზე;

– საქართველოს მონაწილეობის გაყინვა კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტაში იმ დრომდე, ვიდრე ქვეყნის სტრატეგიული პოტენციალი საკმარისი არ იქნება იმისათვის, რათა პრაქტიკულად მოახდინოს საქართველოს ინტერესების რეალიზაცია;

– მონაწილეობა რეგიონულ ფორუმებში, რომლებიც მიმართული იქნება ასეთი მონაწილეობის დაბალანსებისაკენ, რეგიონულ ეკონომიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტერესებისაკენ და საკუთარი ქვეყნის საქონელწარმოების ინტერესებისა და შესაძლებლობების ხელშეწყობისაკენ;

– სავიზო საკითხების დარეგულირება რეგიონის, აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთან;

ეკონომიკურ სფეროშიც საქართველოს მიერ არ არის მკვეთრად გამოკვეთილი ერთიანი სამეურნეო ინტერესები სხვა რეგიონების მიმართ. ასეთ პირობებში საუბარია არა იმაზე, თუ საქართველოსათვის რა არის მთლიანობაში სასარგებლო, არამედ იმის გაგებასა და ცნობაზე, რა ესაჭიროებათ, რა უნდათ საქართველოს ძირითად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მოღვაწეობის სუბიექტებს ზემოთ მითითებულ რეგიონებში.

საქართველოს ძირითად „მოთამაშეებს“ მსოფლიო და რეგიონულ ბაზრებზე წარმოადგენენ: ნავთობისა და ბუნებრივი აირის კომპანიები, საბანკო სტრუქტურები, კოსმოსური მომსახურების ექსპორტიორები, ენერგეტიკის ექსპორტ-იმპორტიორები, უცხოური ინვესტიციების მიმღებები, რეგიონული ხელისუფლებები.

მათი ინტერესები მოითხოვს ჩვენს ეკონომიკურ სტრატეგია-

ში მათ სხვადასხვაგვარ გათვალისწინებას.

ცივილიზებული აზროვნებითა და გაგებით საქართველო წარმოადგენს ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც ევროსაბჭოს წევრია და ესწრაფვის ევროპულ სტრუქტურაში სრულფასოვან გაერთიანებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის ცივილიზებული, ეკონომიკური და პოლიტიკური არსი ჯერ კიდევ რჩება საქართველოს კონკრეტული საშინაო სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის ფარგლებს მიღმა. ამასთან ერთად, ცხოვრება სულ უფრო დაუინებით მოითხოვს ამ ევროპული არსის გათვალისწინებას და ჩვენი ქვეყნის ევროპული ბედის ცალსახად აღქმას. საქართველოს ხედვა, სახელდობრ, ევროპულ კონტექსტში, აუცილებელ საფუძველს დღევანდელ და მომავალ მაღალი ტექნოლოგიების, ეკონომიკური გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მსოფლიოში ჩვენი ადგილის გაგებისათვის ქმნის.

საქართველოს, როგორც ევროპული სახელმწიფოს დასავლური კურსი საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ქვეყნისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ინტერესები მოითხოვს საქართველოსა და აზიის რეგიონის ურთიერთობის, როგორც ცალკე პრობლემის, სტრატეგიის დამუშავებას. ამოსავალ საყრდენად ამ შემთხვევაში მიჩნეული უნდა იქნეს მიდგომები, რომლებიც გულისხმობს, რომ ინტერესების შეხამების მექანიზმები არ უნდა იყოს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული; მათ უნდა ჰქონდეთ სივრცე მანევრირებისა და იცვლებოდნენ გარე ვითარებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისად და, მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკის გლობალიზაციისა და აზიის რეგიონისადმი ადაპტაციის შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ საჭიროა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია დამუშავდეს ე.წ. ეკონომიკური გლობალიზაციის „ორ ფეხზე“, რაც გულისხმობს ევროპულს – დასავლეთ ევროპული ინტეგრაციის გზას და აზიურს – აზიური გზით ინტეგრაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, პრიორიტეტულად საქართველოსა და აზიის რეგიონს

შორის ურთიერთმოქმედებისათვის გვესახება:

– ნავთობისა და გაზის რესურსების განვითარება და ნავთობ-გაზსადენი ქსელის გაყვანა კავკასიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიას შორის; აგრეთვე, შესაძლებელია ელექტროენერჯის გადამცემა მაღალი ძაბვის გადამცემა ქსელის გაყვანა ამ ორ რეგიონს შორის;

აშკარაა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის სატრანსპორტო ტრასის შექმნაში სტრატეგიული როლი განეკუთვნება საქართველოს, რამდენადაც მისი ტერიტორიის გავლით (როგორც თელიან ბაქოში, ანკარაში და ვაშინგტონში) უნდა მოხდეს კასპიის რეგიონის ენერგეტიკული რესურსების ძირითადი მასის ტრანსპორტირება. დასავლეთის ნავთობკომპანიების კონსორციუმმა უკვე განახორციელა 100 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ინვესტიცია მილგაყვანილობის ჩასაწყობად მარშრუტის გამოსაკვლევად, ხოლო აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა უზრუნველყო საქართველოსთვის მორალური მხარდაჭერა, როდესაც განაცხადა, რომ „აშშ გამოდის ბაქო-ჯეიჰანის მილგაყვანილობის მშენებლობის მხარდამჭერად“.

თუ განვაზოგადებთ ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევას ამ მიმართულებით, ის დაიყვანება იმაზე, რომ „გამოიყენოს ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების დაინტერესება უცხოური ინვესტორების მოზიდვაში, გააკონტროლოს მათი ეკონომიკა და პოლიტიკა, და, ამავე დროს, მოამზადოს ნიადაგი ამ ქვეყნების უსაფრთხოების თავის სისტემაში ჩასაყენებლად“.¹

როგორც ცნობილია, ბუნებრივი აირისა და ნავთობის ტრანსპორტირება ხდება უმეტესად მილგაყვანილობის მეშვეობით, რომელიც კვეთავს ქვეყნების ტერიტორიას, სადაც სტაბილურობა არ არის თვალში საცემი. მწვავე კრიზისის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია ამ მიწოდებათა შეწყვეტა, ამ დროს, საზღვაო გზა შეიძლება აღმოჩნდეს უფრო მყარად გამოსაყენებელი. ბუნებრივი

¹ Арин О. А., Россия на обочине мира, М., 1999, с. 153.

აირისა და ნავთობის ევროპის ბაზრებზე მიწოდების უზრუნველყოფა საიმედო მილგაყვანილობითა და საზღვაო გზებით წარმოადგენს ძალიან დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის პრობლემას. ევროპაში ენერგომატარებლების მიწოდების დივერსიფიკაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ასეთი პოტენციური რისკების შემცირებას.¹

ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კასპიის რეგიონში თვალნათლივ იკვეთება კავშირი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ეროვნული ნავთობკომპანიების მიდგომებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოსათვის ამ მიმართულებით გასატარებელი ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

– საქართველოს და მთელი სამხრეთ კავკასიის გეოსატრანსპორტო მდგომარეობის გამოყენება (როგორც ბუნებრივი ხიდის) ევროპასა და აზიას შორის (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების სისტემის შექმნით);

– საქართველოს ან მთლიანად კავკასიის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით მოხდეს აღნიშნული პოტენციალის გაერთიანება აზიის კაპიტალთან და მათი მოთხოვნილებების გაერთიანება ჩვენს ცოდნაში;

– საქართველოს დიპლომატიის ამოცანა მდგომარეობს აზიური ინტეგრაციისა და აზიური ეკონომიკის შესაძლებლობათა (თანაბრად როგორც ევროპულისა) გამოყენებაში რეფორმების განხორციელებისა და საქართველოს აღორძინების მიზნით. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებადი გლობალიზაციის შუქზე საქართველოს ეკონომიკური დიპლომატიის პოლიტიკას ესაჭიროება მნიშვნელოვანი დამატება – გლობალური შემოქმედების დიპლომატიის სახით, რომელიც მიმართული იქნება იმისკენ, რომ საქართველომ ღირსეული როლი შეასრულოს ერთიანი მსოფლიო სახლის აგებაში;

¹ Коппитерс Б., Политика Запада в области безопасности и грузино-абхазского конфликта (практика федерализма. Поиски альтернатив для Грузии и Абхазии), общ. ред. Б. Коппитерс, Д. Дарчиашвили, Н. Акаба, М., 1999, с. 18.

– ბუნებათსარგებლობა და რესურსული პრობლემები: ბუნებრივი რესურსების გამოყენების ახალი ტექნოლოგიები;

– რეგიონთაშორისი ინტეგრაცია და საქართველოს ფედერალიზმისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება–უზრუნველყოფა;

– საქართველოში სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ადამიანისეული კაპიტალის განვითარების კონცეფციის საფუძველზე.

საქართველოს და მთლიანად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპულ რეგიონს განვითარების ევროპულ ფაქტორზე დაყრდნობით გარკვეულ დრომდე შეუძლია განვითარდეს აზიის რეგიონთან ღრმა თანამშრომლობის გარეშე, მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენს ქვეყანასა და რეგიონსაც ამით ექნებათ გარკვეულად მნიშვნელოვანი დანაკარგი, პირველ რიგში დაკავშირებული ისეთ ეკონომიკურ გაგებასთან, როგორცაა ხელიდან გაშვებული ხელსაყრელობა და სარგებლიანობა.

საქართველოს სტრატეგიული მიზანია აზიის რეგიონთან ურთიერთობაში საქართველო გადაიქცეს ეკონომიკური, საფინანსო, კომუნიკაციური, კულტურული, ცივილიზებული მიმართულებებით ევროპული და აზიური რეგიონის დამაკავშირებელ რგოლად. საქართველოსათვის საშუალოვადიან პერსპექტივად აზიის რეგიონთან ურთიერთობაში უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკურ და ფინანსურ ინტეგრაციაში აქტიური მონაწილეობა, ხოლო მოკლევადიანი მიზნები დაკავშირებულია ორმხრივი ურთიერთობების განვითარებასთან მეზობელ ქვეყნებთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და სხვებთან.

დასასრულ გვინდა მივუთითოთ, რომ შეხედულება გლობალიზაციაზე როგორც მსოფლიოს ამ ქვეყნის ძლიერთა და მდიდართა გამოგონებაზე ბადებს მასზე ზოგჯერ ნეგატიურ დამოკიდებულებას. გლობალიზაციისა და სახელმწიფო ინტერესების ურთიერთკავშირის თაობაზე საუბრისას აუცილებელია, ვხედავდეთ, რომ რამდენადაც გლობალიზაცია არის ცივილიზაციის განვითარ-

რების გზა, მის გამოყენებას ანალიზის მეთოდოლოგიად და პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების საფუძვლად, აქვს უდავო უპირატესობა სხვა სახის მეთოდოლოგიურ თვალთახედვასთან შედარებით.

ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები პრაქტიკული ცდისას, გამოიყენონ გლობალიზაციის მეთოდოლოგია ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის, აწყდებიან ბევრ სხვადასხვა კითხვას. დღეს მთავარია, კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება გლობალიზაციის მეთოდოლოგიის შეხამება ეროვნულ ინტერესებთან.

რადგან ეროვნული ინტერესების ფორმირება დამოკიდებულია მოთხოვნილებათა სტრუქტურაზე და, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარულ მოთხოვნილებებზე, ამ მოთხოვნილებათა სტრუქტურის ცვლილების საშუალებითა და ფორმირების მეშვეობით გლობალიზაციის მეთოდოლოგიაში შეიძლება შეიცვალოს თვით ეროვნული ინტერესების ფორმულირებაც.

მაინც როგორია პასუხი ერთ მნიშვნელოვან კითხვაზე, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შესაბამისობის პრობლემასთან? ეროვნული ინტერესების გაგება არა როგორც „მუდმივის“, არამედ როგორც „ინტერპრეტაციაში არსებულის“, საშუალებას იძლევა, რომ დიალოგის, ურთიერთობის, ჩართვის, სადემონსტრაციო ეფექტისა და ა.შ. საშუალებით შეიძლება ზეგავლენა მოვახდინოთ გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა ჰუმანიტარულ მოთხოვნილებათა სტრუქტურაზე. ზეგავლენის მოხდენა არ ნიშნავს შეცვლას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ვაწყდებით საზოგადოებრივი განვითარების არსის სხვადასხვაგვარ გაგებას. ამაში მდგომარეობს გლობალიზაციის ერთ-ერთი გამოწვევა: აქვს რა ობიექტური ხასიათი იმ აზრით, რომ გლობალიზაცია არის რეალობა და თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური რევოლუციის ლოგიკური შედეგი და მსოფლიო ბაზრის განვითარების შედეგი, იგი არ იძლევა თავისთავად მსოფლიო პროგრესის გარანტიას. მხარდაჭერისათვის გლობა-

ლიზაციის ტენდენციები საჭიროებს ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი ქვეყნების შეცნობილ და შეგნებულ მოქმედებას, ტრანსნაციონალური კორპორაციების, აგრეთვე, საერთაშორისო ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ცნობილი პიროვნებების მხარდაჭერას, რომლებიც მიზნად ისახავენ გლობალიზაციის შემდგომ განვითარებას; ამასთან, ისინი აყალიბებენ თავიანთ ინტერესებს გლობალიზაციის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

საქართველოში დღეს გლობალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს ის შეხედულება, თითქოს მას ჩვენთვის მოაქვს მეტი ცუდი და უბედურება, ვიდრე გვთავაზობს შესაძლებლობებს. მაგრამ ამასთან ერთად იწყებს ჩამოყალიბებას სხვანაირი პოზიციის ფორმულირებაც: საქართველოს ეროვნული ინტერესების ფორმულირება გლობალიზაციის შუქზე ჩვენს ქვეყანას აძლევს მძლავრ ორიენტაციას იმაზე, რომ დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკასთან.

გლობალიზაციის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, საქართველოს ინტერესებს უდავოდ პასუხობს გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ახალ პირობებთან, ახალ შესაძლებლობებთან და გლობალიზაციის ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია.

3. ეკონომიკური პოლიტიკის ინტერნაციონალიზაცია და მასში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის განვითარების ისტორიული გამოცდილების მრავალფეროვნება ადასტურებს, რომ შეუძლებელია ნებისმიერი სახელმწიფოს მყარი განვითარება მსოფლიოს სამეურნეო კავშირებში მისი აქტიური ჩართვის გარეშე. შრომის საერთაშორისო დანაწილების თანამედროვე დონემ ფაქტობრივად არ დატოვა მსოფლიო რუკაზე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური ცხოვრება იზოლირებულია მსოფლიოს სამეურნეო პროცესებისაგან და მოქცეულია ვიწრო, ეროვნულ ფარგლებში.

ბოლო ათწლეულისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელმა ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაში საგარეო ეკონომიკური კავშირების როლის განუზრელმა ზრდამ გამოიწვია ის, რომ საგარეო ვაჭრობა, რომელიც ტრადიციულად განიხილებოდა, როგორც სახალხო მეურნეობის შედარებით დამოუკიდებელი სექტორი და რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მოცემული ეროვნული ეკონომიკისათვის დეფიციტური მატერიალური რესურსებისა და საქონლის შექმნა, ეკონომიკური ზრდის არა მარტო მნიშვნელოვან, არამედ ეროვნული აღწარმოების ორგანულ კომპონენტად გადაიქცა.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობაზე, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მონაწილეობის დონეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, ეროვნული ეკონომიკის მასშტაბების სხვაობები და ქვეყნის შიგნით შრომის დანაწილებაში არსებული შესაძლებლობები.

საშინაო ბაზრების შედარებით სივიწროვე, შრომის შიგა დანაწილების შეზღუდული შესაძლებლობები, ბუნებრივი რესურსების სუსტი დივერსიფიკაცია, რომელიც ზღუდავს წარმოების დარგების განვითარების შესაძლებლობებს, მნიშვნელოვან მასტიმულირებელ საშუალებებს წარმოადგენს ცალკეული ეროვნული მეურნეობების საერ-

თაშორისო ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობისათვის, აძლიერებს საგარეო ბაზარზე ორიენტირებული წარმოების სპეციალიზაციის მნიშვნელობას. ამის მაგალითს წარმოადგენს მთელი რიგი მცირე ტერიტორიისა და მოსახლეობის მქონე ქვეყნების ეკონომიკა, ისეთებისა, როგორცაა ნიდერლანდები, ბელგია, ირლანდია, სადაც საექსპორტო კოტის დონე 50-70%-ს შეადგენს.

ამავე დროს, შედარებით დიდი ტერიტორიისა და მოსახლეობის მქონე ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ტევადი საშინაო ბაზარი და შესაძლებლობები ეროვნული მეურნეობის უფრო კომპლექსური სტრუქტურის შესაქმნელად, ნაკლებად არიან დამოკიდებული თავის ეკონომიკურ განვითარებაში საშინაო ბაზარზე. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოებშიც ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო ვაჭრობის როლი ეკონომიკურ განვითარებაში. ასე, მაგალითად, ექსპორტის წილი ისეთი ქვეყნების მთლიან შიგა პროდუქტში, როგორცაა ინდოეთი, კანადა, ავსტრალია, 1985-1994 წწ. გაიზარდა შესაბამისად 28,2-დან 33,2%-მდე; 5,7-დან – 11,4%-მდე და 16,9-დან – 18,9%-მდე.¹

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის, მნიშვნელობა დამოკიდებულია ამ ზრდის საერთო სტრატეგიაზე. ასე, მაგალითად, ექსტენსიური ზრდის პირობებში, რომელიც მოქმედებს წარმოების უცვლელი ეფექტიანობის პირობებში და ხასიათდება ეკონომიკური იზოლაციის ტენდენციებით, გარე ფაქტორების როლი, როგორც წესი, შედარებით უმნიშვნელოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს შიგა რესურსები, მაშინ როდესაც საგარეო ეკონომიკური კავშირებით რეალიზდება ნამეტი პროდუქცია და შემოდის ის საჭირო საქონელი, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით არ იქმნება ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებას საფუძვლად უდევს

¹ იხ. Вопросы Экономики, №4, 1996, с. 16.

უმთავრესად საიმპორტო მოთხოვნები, მაშინ როცა ექსპორტი გამოიყენება საჭირო სავალუტო რესურსების მისაღებად.

ექსტენსიური ეკონომიკური ზრდისაგან განსხვავებით, ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპი დაფუძნებულია პროდუქციის გამოშვების ზრდაზე წარმოების ფაქტორებში ხარისხობრივი ხასიათის შეცვლის გზით (შრომის საშუალებები და საგნები, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონის ამაღლება, წარმოების ორგანიზაციული პარამეტრების გაუმჯობესება და ა. შ.), რაც გულისხმობს წარმოების მოცულობის ზრდას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. ასეთ პირობებში საგარეო ვაჭრობა და საგარეო ეკონომიკური კავშირები მთლიანობაში იძენს ახალ, ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ეროვნული აღწარმოების მთლიანი პროცესისათვის.

ისტორიულად, პირველ და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას, რომელიც დიდად განსაზღვრავდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურას, წარმოადგენდა საგარეო ვაჭრობა. მსოფლიოს ბაზრის მსოფლიოს მეურნეობად გადაზრდის პირობებში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლის ისეთი ფორმები, როგორცაა, კაპიტალის ექსპორტი, სამუშაო ძალის მიგრაცია, ტექნოლოგიების გადაცემა და ა.შ. თავდაპირველად, უფრო საგარეო ვაჭრობის მომსახურებისათვის განვითარებული საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ეს სხვადასხვა ფორმა, თავის მხრივ, სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენს ცალკეულ ქვეყნებს შორის და, მთლიანად, მსოფლიოს ეკონომიკის მასშტაბით მიმდინარე საგარეო ვაჭრობის მიმართულებასა და ხასიათზე.

იგი წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ სტადიაზე დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებსა და სამრეწველო რევოლუციას შორის პერიოდში. ამ დროს, ეკონომიკაში მოწინავე როლს სამრეწველო კაპიტალი თამაშობდა, შესაბამისად, საგარეო ვაჭრობა (უფრო ზუსტად კი, ექსპორტი) განიხილებო-

და ქვეყნის სიმდიდრის, ფაქტობრივად, ერთადერთ წყაროდ. მერკანტილისტები იმპორტის მკაცრ რეგულირებას თვლიდნენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის საშუალებად. მერკანტილური მიდგომა, ფაქტობრივად, გულისხმობდა, რომ საგარეო ვაჭრობის მომგებიანობის მიღწევაც გაიგივებული იყო ექსპორტის ზრდასა და იმპორტის შეზღუდვასთან, შესაძლებელი იყო ცალმხრივად, სხვა სახელმწიფოების ხარჯზე.

მხოლოდ სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში, რომელიც ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მოითხოვს ნელლელსა და გასაღების ბაზრებზე ფართო შეღწევას, ყალიბდება ახალი თეორიული შეხედულებები ეკონომიკურ განვითარებაში საერთაშორისო ვაჭრობის როლის შესახებ. იგი გულისხმობს, რომ ყოველგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალი საგარეო ვაჭრობა შეიძლება ხელსაყრელი იყოს მასში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის.

იმ უპირატესობების თეორიული დასაბუთება, რომელიც მოაქვს საერთაშორისო ვაჭრობას ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, მოგვცეს ჯერ ა. სმიტმა, შემდეგ კი — დ. რიკარდომ.

თავისი აბსოლუტური უპირატესობების თეორიაში ა. სმიტი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ ყოველ ერს გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა თავის სავაჭრო პარტნიორებთან გარკვეული საქონლის წარმოებაში, ისეთი სიდიდით, რომელიც საშუალებას მისცემს, საექსპორტოდ მიაწოდოს იმ მოცულობის სასაქონლო პროდუქცია, რომელიც ტოლია უცხოეთში შესასყიდი პროდუქციისა, იმ პირობით, რომ იყოს თავისუფალი საგარეო ვაჭრობა ანუ თავისუფალი ბაზრის დაფუძნებული პრინციპების გათვალისწინება. მაგრამ, ამასთანავე, ღიად დარჩა საკითხი, როგორ მოიტკეცვან მსოფლიოს ბაზარზე ის ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნია რაიმე აბსოლუტური უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით?¹

ა. სმიტის თეორიულმა დებულებებმა შემდგომი განვითარება

¹ Смит А., Исследование о природе и причине богатства народов. М., 1962, с. 333.

ჰპოვა ინგლისური პოლიტიკური ეკონომიკის მეორე კლასიკოსის დ. რიკარდოს შრომებში, რომლებშიც წამოყენებული იქნა „შედარებითი უპირატესობის“ თეორია. დ. რიკარდომ დაასაბუთა ნებისმიერი ქვეყნისათვის საგარეო ვაჭრობის მომგებიანობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას არ გააჩნია რაიმე უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით და, პირიქით, რომელსაც გააჩნია უპირატესობა ყველა საქონლის მიხედვით. დ. რიკარდოს თეორიის მიხედვით, ყოველ ქვეყანას გააჩნია შედარებითი უპირატესობა სხვა ქვეყნების მიმართ, მხოლოდ ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოებაში, მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია გამოუშვას უამრავი სხვადასხვა სახეობის საქონელი. საერთაშორისო ვაჭრობის არსებობის წყალობით, ყოველ ქვეყანას შესაძლებლობა აქვს სპეციალიზაცია მოახდინოს იმ წარმოებაში, რომელშიც მას გააჩნია ეს უპირატესობა და გაიტანოს პროდუქცია, რომლის საწარმოო ხარჯები მცირეა სხვა ქვეყნებთან შედარებით და შემოიტანოს იმ დარგის პროდუქცია, სადაც საწარმოო ხარჯები შედარებით ნაკლებია, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. მაშასადამე, სხვადასხვა ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მასშტაბებისა და სტრუქტურების განმსაზღვრელ, ძირითად ფაქტორად გვევლინება განსხვავება საწარმოო ხარჯებში, კერძოდ კი, შრომის ღირებულების შესაბამისად, შრომის დანახარჯებში.

შემდგომში, შედარებითი უპირატესობის თეორია არსებითად განვითარდა და განახლდა მთელი რიგი ეკონომისტების შრომებში, რომლებმაც შეიტანეს მასში საწარმოო ხარჯების ანუ წარმოების ფაქტორების (შრომის გარდა) ახალი კომპონენტები, კერძოდ კი, კაპიტალის მცნება. ასე, მაგალითად, ელი ჰექშერმა და ბექტერ ოლინმა „წარმოების ფაქტორების შედარებითი სიუხვის“ ცნებაზე დაყრდნობით, რომელშიც იგულისხმება არა მათი ფიზიკური რაოდენობა, არამედ წარმოების ცალკეულ ფაქტორებს შორის ფასების შეფარდება, შეძლეს დამაკმაყოფილებელი ახსნა მიეცათ ბევრი ისეთი კანონზომიერებისათვის, რომელიც შეიმჩნეოდა XX საუკუნის პირველ ნახევარში და მოგვიანებით, მთელი რიგი ქვეყნების საგარეო

ვაჭრობაში.

ამჟამად, მეცნიერ-ეკონომისტები, ძირითადად, მუშაობენ საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ორ მთავარ მიმართულებაზე. ერთი მხრივ, არის ცდა, სრულყოფილ უკვე არსებული თეორიული დებულებები წარმოების მსხვილი ფაქტორების შემდგომი დაშლის გზით, სადაც კერძოდ, უფრო ვრცლად იქნება გათვალისწინებული ისეთი მომენტები, როგორცაა, მაგალითად, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, აგრეთვე, ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) როლის ზრდა მსოფლიო ეკონომიკასა და საგარეო ეკონომიკურ კავშირებში. მეორე მხრივ, მუშავდება ახალი თეორიული მოდელები, რომლიდანაც ყველაზე მეტად ცნობილია ტექნოლოგიური ხასიათის სხვადასხვა თეორია (მაგალითად, რ. ვერნონის „საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორია“). აგრეთვე, ისეთი იდეები, როგორცაა „მასშტაბის ეფექტის“ თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს საფუძვლად უდევს დარგობრივი სპეციალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც ხასიათდება წარმოების მასშტაბებიდან მიღებული ეკონომიით. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მიმდინარე თეორიულ კვლევებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან და მის საგარეო ვაჭრობასა და ეკონომიკური ურთიერთგაცვლის სხვა ფორმებზე არსებულ გავლენასთან.

თანამედროვე ეპოქასთან მიმართებაში ტრადიციული დავა იმის თაობაზე, თუ ვაჭრობის პოლიტიკის რომელი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს უფრო ეფექტიანად – თავისუფალი ვაჭრობა თუ შეზღუდვის (პროტექციონისტული) პრაქტიკა – შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს, ვინაიდან მკაფიოდ გამოიკვეთა არა მარტო საგარეო ვაჭრობის, არამედ მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთგაცვლის ზოგადი მიმართულება მისი შემდგომი ლიბერალიზაციის, კონკურენციისა და საბაზრო მექანიზმების ყოველმხრივი სტიმულირებისაკენ.

თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ არსებული არგუმენტები ცნობილი იყო დიდი ხნის წინ და დღემდე არ განუცდია არსებითი ცვლილებები. აღნიშნავენ, რომ თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით, რომელიც შედარებით ნაკლები ხარჯების პრინციპს ეფუძნება, მსოფლიოს ეკონომიკამ შეიძლება მიაღწიოს შეზღუდული რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებას და, შესაბამისად, შრომის ნაყოფიერებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. აქედან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვების არსებობა ამცირებს ან საერთოდ სპობს წარმოების სპეციალიზაციისაგან მიღებულ მოგებას, ვინაიდან ასეთ პირობებში ქვეყანა იძულებულია, გადაისროლოს რესურსები ეფექტიანიდან (მინიმალური ხარჯებით) მისი გამოყენების არაეფექტიანად მოხმარებაზე საკუთარი რესურსების ხარჯზე მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით.

ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობისაგან მიღებული არაპირდაპირი მოგება შიგაეკონომიკურ ჭრილში აცოცხლებს კონკურენციას და ზღუდავს მონოპოლიზაციის ტენდენციებს, მართვის დამახასიათებელი ზედმეტი ხარჯებით. კონკურენცია როგორც შიგა, ასევე, მსოფლიოს ბაზარზე უბიძგებს ეროვნულ მწარმოებლებს გადავიდნენ, ახალ საწარმოო ტექნოლოგიებზე, გაზარდონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ასორტიმენტი, მეტი ყურადღება დაუთმონ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვასა და ათვისებას და ამით ხელი შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მომხმარებლისათვისაც, ვინაიდან მისაღებ ფასებში პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტის შეძენის საშუალებას აძლევს მას.

ამავე დროს, გადიდებული საბაჟო ტარიფების გამოყენება თითქმის ყოველთვის ამცირებს კეთილდღეობის დონეს მოვაჭრე ქვეყნებში, ვინაიდან ტარიფის სამამულო მწარმოებლების მიერ გადიდებული ტარიფისაგან მიღებული მოგება ვერ ფარავს მომხმარებლის მიერ მიღებულ დანაკარგს. მწარმოებლები უპირატესობას იღებენ მხოლოდ შიგა წარმოების საქონელზე გაზრდილი ფასებისაგან, მა-

შინ როცა მომხმარებლები იძულებულნი არიან, შეიძინონ როგორც იმპორტული საქონელი, ასევე, ეროვნული წარმოების პროდუქცია უფრო მაღალ ფასებში.

მიუხედავად ამისა, პროტექციონიზმი საგარეო ვაჭრობაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს ჩარევის ესა თუ ის ფორმა, არ გამქრალა ისტორიული ასპარეზიდან. საქმე ისაა, რომ საზოგადოების ორგანიზაციის სახელმწიფო-ტერიტორიული ფორმის შენარჩუნების პირობებში თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების სულ უფრო სრული რეალიზაციის დროს შესაძლებელია ღია ეკონომიკის საკმაოდ სერიოზული ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა ეროვნულ წარმოებასა და დასაქმებაზე, თუმცა, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, თანამიმდევრული და გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას, შესაძლებელია მათი ნიველირება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ პირობებში ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა გადიდებული საბაჟო ტარიფები, საგარეო ვაჭრობის არასატარიფო განსხვავებული ფორმები, მათ შორის, კვოტირება და ლიცენზირება შეიძლება აუცილებელიც შეიქნას.

საგარეო ეკონომიკური კავშირების პოლიტიკისაგან გადახრა მაშინაა ეკონომიკურად გამართლებული, თუ, ჯერ ერთი, ქვეყანას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ბაზრის ამა თუ იმ საქონლის ფასების დონეზე და, მეორე, უზრუნველყოფს შიგა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში მას შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც სატარიფო, ასევე, არასატარიფო შეზღუდვებმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, უმრავლეს ქვეყნებში უპირატესობა ეძლევა არასატარიფო ბარიერებს, ვინაიდან იგი უფრო მოქნილი მოქმედების საშუალებას აძლევს მთავრობებს ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას, მაშინ როცა ტარიფების მონაცემთა ზრდა მკაცრადაა შეზღუდული საგარეო ვაჭრობის სფეროში საერთაშორისო შეთანხმებების სისტემით, კერძოდ, საერთაშორისო შეთ-

ანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მექანიზმებით.

მთლიანობაში, საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროში არსებული მრავალრიცხოვანი შეზღუდვების მიუხედავად, მსოფლიო სამეურნეო კავშირების დარგში სპეციალისტებისა და პოლიტიკოსების უმრავლესობა გამოდის საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთგაცვლის სხვა ფორმების თანამიმდევრული ლიბერალიზაციის მომხრედ, მხარს უჭერს მას, როგორც საგარეო ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის აქტივიზაციის უალტერნატივო ვარიანტს, შესაძლებლობას, შეუერთდეს სამეურნეო კავშირების განვითარების თანამედროვე მდგომარეობისა და დინამიკის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას, თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმას. ერთი შეხედვით, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დღემდე არ არსებობს ეკონომიკური ინტეგრაციის ყველასათვის მისაღები ერთიანი მცნება.

ამავე დროს, ტრადიციულად, ეკონომიკური ინტეგრაციის სუბიექტად განიხილება ეროვნული ეკონომიკა, ხოლო ინტეგრაციის განვითარება უკავშირდება საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ურთიერთგაცვლის სხვა ფორმებს, აგრეთვე, ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკას შორის კულტურული, საინფორმაციო, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა სახის შეზღუდვის თანდათან მოსპობას.

შეუძლებელია ეკონომიკური ინტეგრაციის განხილვა ეკონომიკურ სისტემებს შორის არსებულ მარტივი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმით, თუ მას გავიგებთ, როგორც დღეისათვის არსებულ უმაღლეს ეროვნული ეკონომიკური ურთიერთობების ფორმას. ეკონომიკის გლობალიზაცია, ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში საგარეო კავშირების ლიბერალიზაცია, რომელიც წარმოადგენს გლობალიზაციის პირობას და რეაქციას მასზე, ბუნებრივია, გულისხმობს ეროვნებათშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას. ეს უკანასკნელი გამოდის სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც ინტენსიურად ვითარდება

როგორც დამოუკიდებელი ფორმა და ეკონომიკურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ეტაპი, გააჩნია საკუთარი განსაზღვრულობა.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს სამეურნეო მოღვაწეობის გლობალიზაციის ობიექტურ და მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც ხორციელდება ეროვნული ეკონომიკის ფარგლებში და გამოხატულებას პოულობს ეროვნული საწარმოო ძალების მოდერნიზაციისა და განვითარების, საერთო ბაზრების შექმნის, ერთიან მარკეტინგსა და ა.შ. ძალისხმევის კოოპერაციაში. ინტეგრაცია არათუ შემოიფარგლება შრომის საერთაშორისო დანაწილების სფეროთი, არამედ გამოძინარეობს მისგან, აქცენტს აკეთებს კოოპერაციაზე, რასაც მივყავართ ეკონომიკური და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კოორდინაციისაკენ.

ამგვარად, ეკონომიკური ინტეგრაციის ეკონომიკური თანამშრომლობის მარტივი ფორმებისაგან ძირეულად განსხვავდება – კოოპერაციის ყოვლისმომცველობა, თანამშრომლობის სფეროში ეკონომიკური ინსტრუმენტებისა და კონცეფციის ჩართვა, მათ შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ერთიანი პოლიტიკური საძირკველის შემუშავება.

ამასთან, საერთაშორისო მასშტაბის ეკონომიკურ ინტეგრაციას გააჩნია განვითარების საკუთარი ლოგიკა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ეტაპების გავლას, სადაც ეტაპების თანამიმდევრობა განისაზღვრება წმინდა ეკონომიკურიდან ეკონომიკურ-პოლიტიკურ კოოპერაციაზე გადასვლის მეშვეობით. საერთაშორისო მასშტაბით, ინტეგრაციის ბუნებრივ პლატფორმას წარმოადგენს პოლიტიკური, კულტურული, ისტორიული, ეთნიკური, რელიგიური და სხვ. გრძელვადიანი ეროვნებათშორისო კავშირების ერთობა.

ინტეგრაციული კავშირების განვითარების პროცესის თვისებრივ თავისებურებას სპეციფიკური რეგიონული ინტერესების გამოცალკავება წარმოადგენს, როდესაც სახელმწიფოთა ამა თუ იმგუნს გამოყ-

ოფენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საერთო სუბიექტების რიცხვიდან და გადააქცევენ ამ ინტერესებს რეგიონული პოლიტიკისა და ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად.

ამ მიდგომის თანახმად, გამოიყოფა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თანამიმდევრული საფეხურები, რომლიდანაც უმთავრესია: 1. პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბალ ტარიფებს იმპორტირებულ საქონელზე იმ იმპორტული პროდუქციის ტარიფებთან შედარებით, რომლებიც შემოდის მესამე ქვეყნებიდან; 2. თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნა, როდესაც უქმდება ტარიფები ზონის მონაწილე ქვეყნების საქონელზე და გამოიყენება ინდივიდუალური ტარიფები მესამე ქვეყნების მიმართ; 3. საბაჟო კავშირი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალ ვაჭრობას ინტეგრაციული შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის და ერთიანი საბაჟო ტარიფის შემოღებას მესამე ქვეყნების მიმართ; 4. საერთო ბაზარი, რომლის შექმნისას ხდება შეთანხმება საწარმოო ფაქტორების, მათ შორის, კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებაზე; 5. ეკონომიკური კავშირი გულისხმობს არა მარტო წარმოების ფაქტორებისა და ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გატარებას, არამედ შეთანხმებულ მაკრო და მიკროეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლას. ბოლო შემთხვევაში, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, ყალიბდება ახალი წარმონაქმნი, რომელსაც გააჩნია ერთიანი სახელმწიფოს რიგი ძირითადი ნიშანი.

მოუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მსგავსი მიდგომა არ ამოწურავს ყველა იმ მოვლენის მრავალფეროვნებას, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციასთან. ჯერ ერთი, ყველაზე ინტეგრირებულად გამოიყურება ევროპის კავშირი, მაშინ როცა მსოფლიოს სხვა რეგიონებში, სადაც მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს ეროვნულ ეკონომიკათა დაახლოებისა და აღწარმოების პროცესის გადაჯაჭვის გზაზე, ინტეგრაციის დონე, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად მაინც, მნიშვნელოვნად დაბალია. თუმცა, სავაჭრო-

ეკონომიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, მაგალითად, იაპონიასა და აშშ-ს შორის, ვერაინ უარყოფს მათი ეროვნული ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების მაღალ დონეს.

მეორეც, მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების განვითარებასთან ერთად, რომელზედაც ლაპარაკი ქვემოთ გვექნება, სულ უფრო ხშირად, ინტეგრაციული პროცესების სუბიექტებად ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეული რეგიონები გამოდიან, რომლებსაც სახელმწიფო სუვერენიტეტის ნიშნები არ გააჩნიათ. უფრო მეტიც, რეგიონულ დონეზე ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება შეიძლება მოხდეს ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტიკური ფაქტორები არათუ აღძრავენ ეკონომიკური დაახლოების პროცესებს, არამედ ამუხრუჭებენ მას.

უეჭველია, რომ წამყვან როლს მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში თამაშობს კერძო სექტორი, უწინარეს ყოვლისა, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ანუ, როგორც მათ ბოლო ხანებში ხშირად უწოდებენ, ტრანსნაციონალური საწარმოები. მიუხედავად ამისა, თანაფარდობა „ზემოდან“ მომდინარე ინტეგრაციასა (ცალკეული ქვეყნების სამეურნეო დაახლოების დაჩქარება სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების გზით) და „ქვემოდან“ მომდინარე ინტეგრაციათა შორის (კერძო საწარმოო სექტორის ტრანსნაციონალური კომერციული ოპერაციების აქტივიზაციის გზით) პლანეტის ცალკეულ რაიონებში არათანაბარია. სახელმწიფოთა შორის შეთანხმებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში (ამჟამად ევროკავშირი), მაშინ როცა NAFTA (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა) თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ ფორმალური შეთანხმებების არსებობის პირობებში უფრო მეტად ემყარება კერძო, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის კაპიტალს. ეკონომიკური ინტეგრაციის პროცეს-

ები (ARP) აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ატარებს გაურკვეველ ხასიათს. მეორე საკვანძო მცნებას თანამედროვე ეპოქის მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარებაში წარმოადგენს გლობალიზაციის მცნება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია „ზეკონკურენციის“ მცნება.

XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეული გადაიქცა ეპოქალური გარდაქმნების ხანად, რომლებმაც რიგ პუბლიკაციებში მიიღეს „ისტორიის დასასრულის“ სახელწოდება. არადა, რაც რეალურ სინამდვილეში ხდება, ეს, ალბათ, უფრო ისტორიული პროცესის დაჩქარებაა, რომლის შედეგადაც გაძლიერდა ჭეშმარიტად გლობალური ეკონომიკის შექმნის ტენდენცია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, „ცივი ომის“ დამთავრების შედეგად, ორ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას შორის ადრე არსებული პოლიტიკური ბარიერების გაუქმებაში გამოიხატება. ეს კი გულისხმობს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, საბაზრო პრინციპებზე დამყარებული მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, ფაქტობრივად ყველა ასე თუ ისე მსხვილი განვითარებადი სახელმწიფო დაადგა რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების გზას, რომლის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესებში აქტიური ჩართვა. რაც შეეხება წმინდა ეკონომიკურ სფეროს, აქ უკვე სულ უფრო აქტიურ განვითარებას პოულობენ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები, რომლის დასტურია მასტრიხტის შეთანხმება (1991 წ. დეკემბერი) დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური და სავალუტო კავშირისაკენ მოძრაობისა და 1994 წლის იანვარში ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ძალაში შესვლა. ახალ შინაარსს იძენს ეკონომიკური ინტეგრაცია განვითარებად ქვეყნებს შორისაც და თანაც, ეს ხდება ისე, რომ სულ უფრო მეტი განვითარებადი ქვეყანა განიხილავს ინტეგრაციას არა როგორც განვითარებულ ქვეყნებთან კავშირების განმტკიცების გაწონასწორებას, არამედ როგორც მის დამატებას.

ეროვნულ ეკონომიკათა დაახლოების დაჩქარების მნიშვნე-

ლოვან მომენტს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფეთქებადი ზრდა, რომელიც დროში, ფაქტობრივად, „ცივი ომის დამთავრებას“ დაემთხვა. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი კერძო ინვესტიციები წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის დაჩქარების პროცესის ერთ-ერთ მთავარ, შესაძლოა, უმთავრეს მამოძრავებელ ძალას. ყველაფერი ეს იწვევს მსოფლიოში მნიშვნელოვან ცვლილებებს წარმოების განთავსებაში, იცვლება საგარეო ვაჭრობის ნაკადები და სტრუქტურა, იქმნება თვისებრივად ახალი შრომის საერთაშორისო დანაწილების ტიპი ინტეგრირებული საწარმოო კომპლექსების ფარგლებში, რომლებიც კვეთენ ეროვნულ საზღვრებს.

მაგრამ მიკროეკონომიკური სფეროს გარდა, გლობალიზაციის პროცესების განვითარებას XX საუკუნის 80-90-იან წლებში ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების ლიბერალიზაცია, აგრეთვე, მიკროელექტრონიკაზე დაფუძნებულმა ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ და სწრაფმა გავრცელებამ, რამაც ნამდვილი რევოლუცია გამოიწვია საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლის სფეროში, მათ შორის, ტრანსპორტში, ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების სფეროში და ა.შ.

მეორე მხრივ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სულ უფრო მეტი განვითარებადი ქვეყანა, შემდეგ კი – გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (ყოფილი სოციალისტური ქვეყნები) დაადგა საბაზრო ხასიათის ღრმა ეკონომიკური გარდაქმნების გზას, რომლის ძირითად შემადგენელ ნაწილს შეადგენს ღია ეკონომიკის შექმნა, სადაც მთავარი ყურადღება საექსპორტო ორიენტაციის წარმოებების განვითარებაზე იქნება გამახვილებული. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა აღინიშნოს განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიის ევოლუცია, რომელიც, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად ყველგან დაიწყო იმპორტიანაცვლების პოლიტიკის როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შე-

მადგენელი ნაწილის არჩევით. იმპორტჩანაცვლების კონცეფცია მეტად პოპულარული იყო XX საუკუნის 50-60-იან წლებში. მაშინ საკმარისად თვლიდნენ მაღალი კვოტებისა და ტარიფების შემოღებას საიმპორტო პროდუქციაზე განვითარებული ქვეყნებიდან (როგორც წესი, ყოფილი კოლონიური მეტროპოლიებიდან), გადამუშავების სექტორში სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო კომპანიების შექმნას, უწინდელი ექსპორტის ნაცვლად, ეროვნული წარმოების განვითარებას, რითაც შეიქმნებოდა მყარი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისაგან დამოკიდებულების ლიკვიდაციის წინაპირობები.

XX საუკუნის 60-იან წლებში მხოლოდ ოთხი განვითარებული ქვეყანა და ტერიტორია, რომლებმაც შემდგომში მიიღეს აღმოსავლეთ აზიის „ახალი ინდუსტრიული ქვეყნების“ სახელწოდება (კორეის რესპუბლიკა, ტაივანი, ჰონგკონგი, სინგაპური) გადავიდა ინდუსტრიული განვითარების ახალ სტრატეგიაზე, რომელსაც საფუძვლად დაედო საექსპორტო წარმოების ყოველმხრივი წახალისება. ჰონგკონგის გარდა, ყველა ქვეყანამ გამოიყენა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, მაგრამ სახელმწიფო მხარდაჭერის სანაცვლოდ ეროვნული მწარმოებლები გარკვეულ ვადებში კონკურენტუნარიანი პროდუქციით უნდა გასულიყვნენ როგორც საშინაო, ისე მსოფლიო ბაზარზე.

ამგვარი სტრატეგია მეტად წარმატებული აღმოჩნდა. ამის დასტურია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები საკმაოდ ზანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე, ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის მაღალი დონე, რომელიც ამჟამად მთელი რიგი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს უახლოვდება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გლობალიზაციას საფუძვლად უდევს მაკროეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ კი, ეკონომიკის კორპორაციული სექტორის მოღვაწეობის გლობალიზაცია. საერთაშორისო საწარმოების ობიექტი ხდება მთელი მსოფლიოს ბაზარი. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებებს

წარმოების განლაგებისა და მზა პროდუქციის გაყიდვაზე იღებენ გაყიდვიდან მიღებული ხარჯების მინიმიზაციის და მაქსიმიზაციის წმინდა ეკონომიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით. ფაქტობრივად, მსგავსი საწარმოების მართვა გლობალურ ხასიათს იღებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაჩქარებული ზრდის შედეგად, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოების ფაქტორებით ვაჭრობას წარმოადგენს, იზრდება საწარმოო, ინოვაციური და უცხოური კაპიტალის რეციპიენტი ქვეყნის მართვის პოტენციალი. ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ განვითარებადი ქვეყნები თავის საექსპორტო ექსპანსიაში ეყრდნობიან არა მარტო იაფ სამუშაო ძალას, არამედ წარმოებული პროდუქციის შედარებით მაღალ ხარისხსაც.

როგორც განვითარებადი, ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები იძულებული არიან, სულ უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის საკითხებს, რის გამოც პრინციპულად იცვლება კონკურენციის ხასიათი მსოფლიოს ბაზარზე. როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც კონკურენცია ზორციელდებოდა საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით შედარებით უპირატესობების საფუძველზე. ახლა უკვე საუბარი შეიძლება ეხებოდეს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას მთლიანად. როგორც ჩანს, ამ გარდამავალი პერიოდით აიხსნება იმ ეკონომიკური სიბნელების ხანგრძლივობა და მასშტაბები, რომელსაც განიცდის ადრე ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანად მიჩნეული იაპონიის ეკონომიკა. ჩვენ აზრით, სწორედ მსოფლიოს ბაზრებზე კონკურენციის მიერ სულ უფრო ტოტალური ხასიათის მიღებაში ანუ კონკურენციის ცალკეული საქონლისა და ეკონომიკის სექტორებიდან ეროვნული ეკონომიკური სისტემების კონკურენციაზე გადასვლით გამოიხატება ზემოაღნიშნული ფენომენის „ზეკონკურენციის“ არსი.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისაკენ მიმართული აქტიური პოლიტიკა წარმოადგენს

საბაზრო გარდაქმნების როგორც საწინდარს, ასევე, ძირითად მამოძრავებელ ძალასაც. როგორც რუსი გეოპოლიტიკოსი კ. გაჯიევი აღნიშნავს, „თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების უდიდესი ნაწილის სტრუქტურაში შემქმნელ ძალას უფრო საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს, ვიდრე დემოკრატიასე ორიენტირებული პოლიტიკური ინსტიტუტები“. ბოლო მონაცემების მიხედვით, საბაზრო ხასიათის რეფორმებმა უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მოიცვა ქვეყნები 3,5 მლრდ მოსახლეობის ოდენობით, რაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. საქსი მიუთითებს რეფორმების იმ ელემენტებზე, რომლებიც, მისი აზრით, განსაზღვრავს საბაზრო ინსტიტუტების მშენებლობას ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც შეუდგნენ ეკონომიკურ გარდაქმნებს. პირველი. ესაა ღია საერთაშორისო ვაჭრობა; მეორე. ეროვნული ვალუტის კონვერტირება; მესამე. კერძო საკუთრება, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი მექანიზმი; მეოთხე. კორპორაციული საკუთრება, როგორც მსხვილი საწარმოების დომინირებული ორგანიზაციული ფორმა; მეხუთე. ეროვნული საწარმოების გახსნილობა უცხოური ინვესტიციებისათვის; მეექვსე. საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკსა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება.¹ საყურადღებოა, რომ მოყვანილი ექვსი ელემენტიდან ოთხი უშუალოდაა დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიკურ სფეროსთან, ამა თუ იმ ქვეყნის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციასთან.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის რეფორმამდელ პერიოდში დამახასიათებელი იყო შრომის საერთაშორისო დანაწილებაში შედარებით სუსტი მონაწილეობა, რის გამოც სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ამ ქვეყნების ჩამორჩენა შრომის ნაყოფიერების მხრივ, აგრეთვე, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნოლოგიური

¹ Sachs J. Consolidating Capitalism // Foreign Policy. 1995, №98, p. 53.

მიღწევების დანერგვის საკითხში. ასე, მაგალითად, თუ 1971-1985 წლებში ყოფილი სსრკ კავშირის საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდის საშუალო წლიური ტემპები უსწრებდა მთლიანი შიგა პროდუქტის შესაბამის მაჩვენებელს 1,2-ჯერ, შემდგომში ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირების შედეგად შეფარდება ამ მაჩვენებლებს შორის შეიცვალა საპირისპიროდ. XX ს. 80-იანი წლების დასაწყისში, ანუ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების უშუალოდ დაწყების წინ, საქსპორტო კვოტა მხოლოდ 6%-ს შეადგენდა.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროს ლიბერალიზაცია და გარდამავალი ეკონომიკის (ყოფილი სოციალისტური ქვეყნების) მსოფლიოს მეურნეობაში ინტეგრაციაზე კურსის აღებას, გარკვეული და გარდაუვალი შეფერხებების მიუხედავად, უკვე უახლოეს დროში შეუძლია, მოუტანოს მათ რეალური შედეგები, რაზედაც მეტყველებს როგორც საბაზრო ეკონომიკის მქონე ინდუსტრიული ქვეყნების, ასევე, უმრავლესი განვითარებადი ქვეყნების მდიდარი ისტორიული გამოცდილება. კერძოდ, საერთაშორისო ბანკის ექსპერტები ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მჭევრმეტყველურ დასათაურებულ წელიწდეულში „გეგმიდან ბაზრისკენ“ აღნიშნავენ, რომ ფაქტობრივად გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყნისათვის ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალად გახდა ის სექტორები, რომელთა ეკონომიკური აქტივობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დროს ყველაზე მეტად იყო „ჩახშობილი“. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში საგარეო ვაჭრობის სფეროს ლიბერალიზაცია (უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ლიბერალიზაციის ტემპები არ იყო ერთნაირი ყველა ქვეყანაში) ემყარებოდა ექსპორტის განვითარების აქტიურ ხელშეწყობას. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტს. ასევე, მაგალითად, ჩინეთსა და ვიეტნამში ექსპორტიორები გაათავისუფლეს წარმოების ორგანიზაციისათვის საჭირო იმპორტული საქონლის გადასახადისაგან და იმავდროულად ხელშემწყობი პირობები შეუქმნეს

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საექსპორტო ორიენტაციის საწარმოებს. ამის შედეგად ექსპორტის ზრდის საშუალო წლიური ტემპები ჩინეთში ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან 1978 წელს მყარად აღემატებოდა 15%-ს, ხოლო ვიეტნამში ანალოგიურმა მაჩვენებელმა (აქტიური საბაზრო რეფორმების დაწყებიდან 1986 წელს) გადაამეტა 25%-ს. ამავე დროს, გარდამავალი ეკონომიკის იმ ქვეყნებში, სადაც რეფორმები საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროში ძალიან ნელი ტემპებით ან არათანამიმდევრულად ტარდებოდა, გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები ბევრად დიდი აღმოჩნდა.

როგორც გარდამავალი ეკონომიკის მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომლებმაც თანამედროვე ეტაპზე რეფორმის გატარებაში რეალურ შედეგს მიაღწიეს, ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება იქცეს უცხოური კაპიტალის მონაწილე ორი მომუშავე საწარმოების საქმიანობა. უცხოურ კაპიტალს და, უწინარეს ყოვლისა, პირდაპირ ინვესტიციებს მოაქვს არა მარტო განსაკუთრებული აუცილებელი ფინანსური რესურსები, არამედ ახალი ტექნოლოგიებიც, მართვის გამოცდილება, აგრეთვე (ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების შემთხვევაში) გასაღების ახალ ბაზრებზე შეღწევის საშუალება. ყველა ეს ფაქტორი აუცილებლად საჭიროა გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ამოცანების განსახორციელებლად. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოები იქცა ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურად განვითარებად სექტორად ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი და უნგრეთი. ასე მაგალითად, ჩინეთის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 1994 წლის მდგომარეობით, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით მომუშავე საწარმოების წილი ქვეყანაში საერთო სამრეწველო წარმოების მოცულობის 12,1 %-ს შეადგენდა, ხოლო წარმოებაში დასაქმებული ძირითადი ფონდების მხრივ – 18%-ს და, ამავე დროს, საერთო ეროვნული შემოსავლის

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი მახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის (გლობალიზაციის) გაღრმავება, რომელიც ბევრადაა დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის განვითარებასთან.

ეკონომიკა, ვითარდება რა მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის მიერ შექმნილი მძლავრი სტიმულირების მეშვეობით, თავის მხრივ, სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების განვითარებაზე. ამჟამად, სულ უფრო იცვლება მსოფლიოს მეურნეობრივი კავშირების ხასიათი, რომელიც, ფაქტობრივად, ეროვნული აღწარმოების პროცესის შემადგენელი ნაწილი ხდება, განაპირობებს რა ამ უკანასკნელის განვითარების თავისებურებასა და ხასიათს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე პირობებში ცივილიზაცია განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადადის, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობათა უპრეცედენტო ინტენსიფიკაციის პირობებში ვითარდება. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ისტორიული პროცესი დღითიდღე მეტ ძალას იკრებს და აყალიბებს გლობალიზაციის ობიექტურ წანამძღვრებს.

გლობალიზაცია – სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის სივრცობრივი მახასიათებელია, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში მეტად ინტენსიურ ხასიათს იღებს და ფაქტობრივად მთელს მსოფლიოს მოიცავს.¹ სამეურნეო ცხოვრების მსხვილი სუბიექტები გლობალური მასშტაბის მოთამაშეებად იქცნენ, პრინციპულად შეიცვალა ეროვნული საზოგადოებრივი ორგანოების განვითარების ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ურთიერთდამოკ-

¹ Европа: вчера, сегодня, завтра, под редакцией академика РАН, Н. Шмелёва, М., 2002, с. 745.

იღებულება, ასევე, სახელმწიფოთა როგორც ორგანიზაციულ-პოლიტიკური ინსტრუმენტების როლი, რომლებიც ასახრდობენ ამგვარი ორგანიზაციების ფუნქციონირებას. იქმნება რეგიონული ეკონომიკის ხარისხობრივად ახალი მიმართულება.

საგულისხმოა, რომ ამ მიმართულების ზოგიერთი მკვლევარი გლობალიზაციის სათავედ XIX საუკუნეს მიიჩნევს, ზოგიერთი კი უფრო შორსაც მიდის და მის საწყისს ეტაპად XVI საუკუნეს ასახელებს. აიგივებს რა მას საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარებასთან, ეროვნული მეურნეობების საფინანსო ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ზრდასთან და სხვა, აღნიშნული მკვლევრები ასკენიან, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი ბევრი პარამეტრის მიხედვით არანაკლები იყო, ვიდრე XX საუკუნის ბოლოსათვის. აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდა იდეა გლობალიზაციის ორი და/ან სამი ტალღის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებსა და ზემოთ დასახელებულ პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (ძირითადად განვითარებული ქვეყნების) სამეურნეო სისტემების განვითარებასა და ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს შორის გარკვეული საერთო მახასიათებლები შეინიშნება. მაგრამ გლობალიზაციის არსი უფრო რთულია და, შესაბამისად, სამეურნეო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის რთულ თვისებრიობაში გადასვლასა და მსოფლიოს ეკონომიკის ისტორიის თვისებრივად ახალი ეტაპის დაწყებაში გამოიხატება. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ინფორმაციული რევოლუციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარების კვალობაზე მსოფლიოს ეკონომიკის განვითარება პრინციპულად და თვისებრივად ახალ საფეხურზე აღმოჩნდა, რაც რეალურ ეკონომიკასთან ერთად, ვირტუალური ეკონომიკის განვითარებასაც ითვალისწინებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წარმმართველი სუბიექტები ტრანსნაციონალური კომპანიებია, რომელთა რაოდენ-

ნობამ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის 40 ათასი მიაღწია. მათი უმეტესობა რეგისტრირებულია გერმანიაში (7100), იაპონიაში (3650), შვედეთში (3550), შვეიცარიაში (3000), ამერიკის შეერთებულ შტატებში (3000), დიდ ბრიტანეთში (2800). წამყვან ტრანსნაციონალურ კომპანიებს მსოფლიოში 200 ათასი შვილობილი კომპანია გააჩნიათ. ხოლო XX ს. 90-იანი წლების ბოლოს ტრანსნაციონალური კომპანიების საქონელბრუნვამ თითქმის 6 ტრილიონ დოლარს მიაღწია, რაც ფაქტობრივად მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის ნახევარს შედგენდა.¹

ზემოაღნიშნული ტენდენციების შედეგად ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამართლებრივი და ინფორმაციული ურთიერთდამოკიდებულების ხარისხმა მიაღწია იმ პრინციპულ ზღვარს, როდესაც გარდაუვალია მინიმუმ სამი პრინციპულად ახალი მოვლენა:²

1. მსოფლიოს ეკონომიკური თანამეგობრობა ტრანსფორმირდება ერთიან ეკონომიკურ სისტემად (ორგანიზმად), სადაც ეროვნული (ქვეყნის) სოციუმები ყალიბდება მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ელემენტებად, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მარტო შრომის საერთაშორისო დანაწილებით, არამედ გლობალური ფინანსური სისტემით და პლანეტარული ინფორმაციული ქსელით, აგრეთვე, მსოფლიოს წარმოებისა და რეალიზაციის სტრუქტურების გიგანტური მასშტაბებით;

2. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული და მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთობის როლები იცვლება. კერძოდ, წინა პლანზე გამოდის მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები;

3. გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობების სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციის დასუსტებას და გაუფასურებას, ვინაიდან მას (იგულისხმება ეკონომიკის სახელ-

¹ Винслев Ю., Хускутдинов М., Тухова Е., Ухин А., К развитию постсоветских транснациональных корпорации, РЭЖ, №11-12, 1999, с. 12-13.

² Шишков Ю., Глобализация – враг или союзник развивающихся стран?, ж. МЭ и МО, №4, 2003, с. 4-5

მწიფოებრივი რეგულირება) ამ პირობებში ნაკლებად ძალუძს ეროვნული მეურნეობის დაცვა ნეგატიური საგარეო-ეკონომიკური ზეგავლენისაგან.*

„...გლობალიზაციის პროცესში წარმოიქმნება სოციალური კავშირებისა და ურთიერთობების, ქცევის ნორმების ახალი სტანდარტები. შესაბამისად, გლობალიზაცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების რიტმს უქვემდებარებს მოცემული ეთნოსისათვის ხშირად მიუღებელ და არასასურველ ტრანსნაციონალურ სტანდარტებს. ამასთან, მიმდინარეობს იდეოლოგიური და ეკონომიკური ექსპანსია – ზეწოლა კოლექტიური თვითშეგნების აღმოსაფხვრელად და ტრადიციული სოციალური კავშირების დასასუსტებლად. გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით ილახება განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, ვინაიდან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომელიც ცდილობს ადგილობრივი წარმოების ტრადიციული დარგების მოზრჩობას, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარ სამსახურში მათ ჩაყენებას... სასურველი სასათბურე პირობები იქმნება გლობალური ფორმების მოღვაწეობისათვის, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, მიმართულია სუვერენულ სახელმწიფოთა ეროვნული მეურნეობების ინტერესების საწინააღმდეგოდ.“¹

გლობალიზაციის პროცესის პოლიტიკა ვითარდებოდა ვაშინგტონის კონსენსუსის საფუძველზე, ანუ დერეგულირების, ლიბერალიზაციისა და პრივატიზაციის კურსით. ეს კურსი ითვალისწინებდა ეროვნული ეკონომიკის უნიფიკაციას თამაშის ერთნაირი წესებით

* აღნიშნულის საილუსტრაციოდ საკმარისია გაეხსენოთ ის ფაქტი, რომ 1998 წელს მსოფლიოში განვითარებული გლობალური ფინანსური კრიზისის უშუალო ზეგავლენის შედეგად ეკონომიკური პროცესები საქართველოში ნეგატიური ტენდენციით წარიმართა. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის ტემპი 1997 წლის მაჩვენებელთან (111,2 პროცენტთან) შედარებით მკვეთრად დაეცა და 1998 წელს 102, 9 პროცენტი შეადგინა, ასევე, მკვეთრად შემცირდა სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიც.

¹ „კარატხელია ღენა, „გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო და ეროვნული ეკონომიკა“, გაზეთი „ახალი ერა“, 2003, 9 სექტემბერი, გვ. 7-8.

ანუ კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების, სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების პირობებში. თუმცა, 21-ე საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო-პრაქტიკულ წრეებში აქტიურად განიხილება გლობალიზაციის ნეოლიბერალური ტიპის კრიზისისა და მისი ახალ თვისებრიობაში, გლობალიზაციის სინერგეტიკულ* ტიპში გადასვლის საკითხები.

რუსი მეცნიერები, დ. ლ. ევსტიგნეევა და რ. ევსტიგნეევი გამოყოფენ ნეოლიბერალური გლობალიზაციის პროცესის სამ მნიშვნელოვან დამახასიათებელ ტენდენციას, რაც მთლიანობაში სისტემის ამ ფორმით ფუნქციონირებასა და განვითარებას სერიოზულად აფერხებს:¹

1. ერთპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბება;

2. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დიქტატი;

3. რაციონალურობის მოთხოვნაზე „რაფინირებული“ ზემოქმედება (ექსპორტზე ორიენტირებული შიგა ბაზრების კონსერვაცია, ეროვნულ ეკონომიკათა დოლარიზაცია, ეროვნული სამეურნო სუბიექტების სწრაფვა შიგა ფასებით მსოფლიო დონემდე აწვევისაკენ).

საგულისხმოა, რომ გლობალური ეკონომიკური და საფინანსო სისტემის ისეთი მნიშვნელოვანი სუბიექტის მოღვაწეობის შეფასებისას, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მეტად არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შეინიშნება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გლობალიზაციის პროცესის ახალ თვისებრიობაში გადასვლა-განვითარების აუცილებლობის შესახებ არსებულ პოზიციებს.

* სინერგეტიკა – მეცნიერება თვითგანვითარებადი რთული, ღია სისტემების შესახებ. ამგვარი სისტემები ხასიათდებიან გარე და შიგა რყევებით, მათში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებები მთელ სისტემას მოიცავს, როგორც ერთიან ორგანიზმს. ასევე შეინიშნება გადასვლის ფაზები ერთობიდან (თვითგანადგურება, სისტემის მოხვედრა) მოწესრიგებული ქაოსისაკენ (დისიპაცია). თანამიმდევრული ცვლილებების შედეგად სისტემა შედის ახალ დინამურ რეჟიმში, რომელიც მიმართულია განსაზღვრული საფინანსო წონასწორობის მოღწევისაკენ, რომელიც რეალიზაციას უკეთებს წინა ეპოქაში დაგროვილ ტრანსფორმაციულ პოტენციალს.

¹ Евстигнеева Л., Евстигнеев Р., Субфедеральные аспекты глобализации, ж. "Вопросы экономики", №5, 2003, с. 51.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, სახელმწიფოთა რეგიონული გაერთიანებები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, განვითარების რეგიონული ბანკები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, უმსხვილესი სავალუტო ბირჟები მსოფლიოს ეკონომიკურ ცენტრებად ყალიბდებიან, რითაც მრავალპოლუსიანობის პირობებში სერიოზულ საფუძველს უქმნიან მსოფლიოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ამდენად, თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს პროცესები გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გაძლიერებით. თუ გლობალიზაცია „მსოფლიოს ქვეყნების პროგრესულ ინტეგრაციას გამოხატავს, ლოკალიზაცია გამოხატავს რეგიონული ცნობიერების დამკვიდრების აუცილებლობას.¹

ფაქტობრივად, სახეზეა „ახალი რეგიონალიზმის“ ფორმირების პროცესები, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველი – 30 წლის წინანდელი რეგიონალიზმის ძირითადი იდეებისაგან. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ახალი რეგიონალიზმის“ რეალიზაცია, როგორც წესი „ქვემოდან“ (და არა „ზემოდან“) მიმდინარეობს. მის მონაწილე სუბიექტებად, სახელმწიფოებთან ერთად, გამოდიან სხვა ინსტიტუტებიც. იგი, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან ერთად, მოიცავს ეკოლოგიური და უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტას. რაც მთავარია, „ახალ რეგიონალიზმს“ ახასიათებს რეგიონული გაერთიანებების (ინსტიტუტების) მონაწილეთა გლობალურ პროცესებში ადაპტირებისათვის შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების ძიება.

ამ მიმართულებით მსჯელობისას პროფესორი ნ. ჭითანავა სამართლიანად აღნიშნავს,² რომ „რეგიონული წარმონაქმნები, ფაქ-

¹ ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 49.

² ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები და ტენდენციები ეკონომიკის გლობალიზაციის კონტექსტში (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა), შრომების კრებული: საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 13.

ტობრივად, ასრულებენ გლობალიზაციის „მზიდი კონსტრუქციის“ ფუნქციას, რომელთაც პროცესის გაღრმავების ხელშეწყობასთან ერთად, შეუძლიათ „გაფილტრონ“ გლობალიზაციის ამჟამინდელი ულტრალიბერალური დოქტრინა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ საბაზრო პრინციპებზე, ლიდერი ქვეყნების პოლიტიკურ, მორალურ და ეკონომიკურ შეხედულებებზე, სინამდვილეში კი დისბალანსს წარმოშობს, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან საერთოდ დემოკრატიას.“

საგულისხმოა ის გარემოება, რომ „ახალი რეგიონალიზმი“, როგორც მრავალდონიანი ცნება, რეგიონულ მაკროსტრუქტურებთან ერთად, მოიცავს ცალკეული რეგიონული წარმონაქმნის შიგა სტრუქტურას, სახელმწიფოების (ქვეყნების) ჩათვლით და, აგრეთვე, თვით ამ ტრადიციების (ქვეყნების) მიკროსტრუქტურებსაც.

ზემოთ გაანალიზებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე ტენდენციების ფონზე, მით უფრო, რომ ეს პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში, უხდება მსოფლიო მეურნეობაში თავისი (ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით) ადგილის დამკვიდრებისათვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ დღეისათვის საქართველოში ჩამოყალიბებულ არასასურველ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს და ამასთან, მსოფლიო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებს. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანას გააჩნია იმის სერიოზული პოტენციალი, როგორიც გეოპოლიტიკური (ვგულისხმობთ საქართველოში ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის ფორმირების წარმატებით გაგრძელებას), ასევე, რესურსული (ვგულისხმობთ ინტელექტუალურ, შრო-

მით, ეკონომიკურ და ბუნებრივ რესურსებს) თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და, ამავე დროს, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა.

საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობის ანალიზისას, ამ მიმართულების მკვლევარი ო. ნადარაია აღნიშნავს:¹ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ქვეყანა ლიბერალური ეკონომიკური მოდელით ვითარდება, რისი შეფასებისათვისაც ლიბერალიზაციის ინდექსი (იგივე ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი) გამოიყენება. იგი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და ქვეყნის ეკონომიკის გახსნილობაზე მსჯელობა მხოლოდ ცალკეული პარამეტრების ანალიზით არის გამართლებული. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში სწრაფი ინტეგრაციის პროცესიც აღინიშნება. ასეთ სიტუაციაში, ჩვენი აზრით, სავსებით რეალურია გლობალიზაციის ინდექსის შემუშავება, რომელიც სწორედ ამ უკანასკნელს ასახავს და შემდეგ პარამეტრებს მოიცავს:

$$G_1 = V_1 + I_1 + I_{II}$$

სადაც G_1 – გლობალიზაციის ინდექსია;

V_1 – საგარეო ვაჭრობის ჯამური ინდექსი (ჯამური ექსპორტისა და იმპორტის შეფარდება მშპ-თან);

I_1 – ინვენსტიციების ინდექსი (ძირითად კაპიტალში საზღვარგარეთ და საზღვარგარეთიდან დაბანდებული ინვესტიციების ჯამი შეფარდებული ქვეყანაში ძირითად კაპიტალში დაბანდებულ ინვესტიციებთან);

I_{II} – ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ინდექსი (საზღვარგარეთ და საზღვარგარეთიდან დაბანდებული ინვესტიციებიდან

¹ ნადარაია ო., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2003, გვ. 104-106.

მიღებული შემოსავლის ჯამი ქვეყანაში დაბანდებულ ინვესტიციებთან შეფარდებით).

აღნიშნული ფორმულის მიხედვით, მან განსაზღვრა 2000 წელს აშშ-ს გლობალიზაციის ინდექსი (G_1), რომელმაც 1,635 შეადგინა და საქართველოს გლობალიზაციის ინდექსი (G_2) 2001 წელს – 1,357. ამ მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველო აშშ-ს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამორჩება (სულ რაღაც 0,278-ერთეულით), რაც, ვფიქრობთ, რომ არ ასახავს ობიექტურ რეალობას. ჯერ ერთი, ინდექსში არ არის გათვალისწინებული ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერტის მაჩვენებლები,¹ მით უფრო რომ აშშ-ს ხვედრითი წილი უახლესი ტექნოლოგიების მსოფლიო წარმოებაში 45 პროცენტს შეადგენს,¹ ხოლო, მეორე მხრივ კი, ჩვენი აზრით, გლობალიზაციის ინდექსმა უნდა მოიცავს ვირტუალური ეკონომიკის ისეთი მიმართულებაც, როგორცაა პლანეტარულ ტელეკომუნიკაციურ, ინფორმაციულ ქსელებში (სისტემებში) მონაწილეობის მაჩვენებლები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით (რომელზე დაყრდნობითაც ო. ნადარაია გვთავაზობს გლობალიზაციის ინდექსის გაანგარიშებას), აშშ მსოფლიო რეიტინგის მიხედვით 2002 წელს 1,80 მაჩვენებლით მე-4 ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო საქართველო – 3,40 მაჩვენებლით – 108 ადგილზე.²

ამასთან ერთად, აუცილებელია გლობალიზაციის ინდექსში აისახოს თვით ამ პროცესის მახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი ფასეულობები, როგორცაა პოლიტიკური, კულტურული ინტეგ-

¹ სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიც (ო. ნადარაია) მიუთითებს ამ მაჩვენებლების გლობალიზაციის ინდექსში ასახვის აუცილებლობის შესახებ.

¹ მსოფლიო ეკონომიკა, გ. თოდუასა და შ. ვეშაიძის რედაქციით, თბ., „ნობათი“, 2001, გვ. 525.

² გველესიანი გ., ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №72, 2002, გვ.15-19.

რაციის ასპექტები." ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით გაანგარიშებული გლობალიზაციის ინდექსი, ჩვენი აზრით, შედარებით ობიექტურად ასახავს საკვლევი მიმართულების თაობაზე არსებულ ვითარებას. თუმცა თვით გლობალიზაციის, როგორც ცნების, არსის სიღრმიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ვერც აღნიშნული ინდექსი იქნება სრულყოფილი და შექმნილი რეალობის ზუსტი ამსახველი, თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანისათვის მნიშვნელოვან ორიენტირად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესებში ადაპტირებისათვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის რეგიონულ გაერთიანებებში წარმატებული მონაწილეობა. ამ მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა განსაკუთრებით აქტუალური და სასარგებლოა ისეთი ქვეყნებისათვის, მათ შორის, საქართველოსათვის, რომლებშიც ახლა ყალიბდება საბაზრო ეკონომიკის (ურთიერთობების) შესატყვისი ინსტიტუტები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა იმ პერიოდში, როდესაც გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის პროცესებმა ინტენსიური ხასიათი შეიძინა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ახლად შექმნილი საქართველოს სახელმწიფო ფაქტობრივად აღმოჩნდა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ტრადიციულად ჩამოყალიბებული ურთიერთობების, მტკიცე რეგიონული კავშირების, საერთაშორისო სისტემაში საკუთარი გამოკვეთილი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციის გარეშე. ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ადგილის ფორმირების პროცესი უკვე მხ-

* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის უცნობია პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებული რაიმე უნიფიცირებული კრიტერიუმის არსებობის შესახებ. თუმცა ფაქტია, რომ ეს ორი მიმართულება გლობალიზაციის პროცესებში ამა თუ იმ ქვეყნის მონაწილეობის ხარისხზე უშუალო ზეგავლენას ახდენს.

ოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზე.

რეგიონული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება, ჩვენი აზრით, არის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა საქართველოს მიმართ შესაძლო ინტერვენციის (ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური) დასაცავად. ამავე დროს, იგი იძლევა შესაძლებლობას, საუკუნოვანი თანაცხოვრებით ჩამოყალიბებული ურთიერთობებისა და საერთო ინტერესების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და თვით ცივილიზაციური დაპირისპირების გამძაფრების საერთო ფონზე ქვეყანათა საკუთარი ინტერესების დაცვის ძლიერი კონკურენტული გარემოა შექმნილი. ეს კონკურენცია განსაკუთრებით სიმძაფრით შეიძლება გამოვლინდეს სწორედ რეგიონულ დონეზე, რომელიც დღეისათვის, როგორც ამას პრაქტიკა ადასტურებს, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობისათვის, ფაქტობრივად, მათი ინტერესების გამოვლინებისა და რეალიზაციის ძირითად არეალს წარმოადგენს.

რეგიონულ ინტეგრაციას, დადებით მომენტებთან ერთად, ახლავს მთელი რიგი პოტენციური წინააღმდეგობები, რომლებიც თავს იჩენენ თანაცხოვრების ახალი მჭიდრო ფორმების ჩამოყალიბების პროცესში. მაგალითად:

– ინტეგრაციას, როგორც წესი, თან სდევს ქვეყნების კრიმინალურ სტრუქტურათა ორგანიზაციული გაერთიანება, რაც ეკონომიკური დივერსიების ძლიერ კერებს წარმოქმნის;

– რეგიონული ინტეგრაცია ქმნის ერთი ქვეყნის მეორეზე სუბაგრესიის – არაპირდაპირი აგრესიის როგორც წინასწარგანზრახულის, ასევე, განუზრახველი განხორციელების გაზრდილ შესაძლებლობებს. კერძოდ, ერთი რეგიონის ქვეყნებში, ჩვეულებრივ, დიდია მეზობელ ქვეყანათა დიასპორები, რომლებიც შეიძლება ადვილად იქცნენ აგრესიის განხორციელების ინსტრუმენტად;

* შესაძლებლობაში მისაღება ის გარემოება, რომ ინტეგრაციის პროცესის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დაზოკადებული ქვეყანათა მიერ ნაკისრი ვალდებულებების (შეთანხმების პირობების) განუხრეულ დაცვაზე.

– რეგიონის ქვეყნებს, ისტორიულად ჩამოყალიბებული თანაცხოვრების კულტურასთან ერთად, ძალიან ხშირად, ასევე, ისტორიული ურთიერთდაპირისპირებისა და მტრობის გამოცდილებაც მოჰყვება. ამგვარი ურთიერთობების ინერცია განსაკუთრებით იჩენს თავს რომელიმე გაჩენილ შეუთანხმებლობასთან დაკავშირებით და ხშირად საერთო სტრატეგიული ინტერესების მოუხედავად, ქვეყანათა შორის მოკლევადიან პრაგმატულ ინტერესებში დაპირისპირება აფერხებს მათი გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივების რეალიზაციას.

ეფექტიანად ფუნქციონირებადი რეგიონული სისტემები მსოფლიოს გლობალურ ინტერესთა სფეროში გროვდება, უჩნდება განვითარების საკუთარი, რამდენადმე დამოუკიდებელი ლოგიკა. რეგიონის მიმართ რეალურ გლობალურ ინტერესთა წარმოქმნის პირობებში, ამგვარი ინტერესების ზეგავლენით, ჩვეულებრივ, რეგიონის გაფართოების ტენდენცია იკვეთება, ვინაიდან სულ უფრო მეტი მოსაზღვრე ქვეყანა ცდილობს მოიპოვოს რეგიონული ინტეგრაციით შეძენილი ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელი. აღნიშნულის რეალური დადასტურებაა ახალი აბრეშუქის გზა – ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის პროექტი. ეს, თითქმის საუკუნოვანი პროექტი, ცხადყოფს იმას, რომ „კავკასიური დერეფანი“ წარმოადგენს კასპიის რეგიონის ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირების ყველაზე ხელსაყრელ მარშრუტს როგორც ტექნიკური, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ პროექტის რეალიზაციით მთლიანობაში რეგიონმა და, ასევე, კონკრეტულად საქართველომ, მოიპოვა გეოსტრატეგიული ფუნქცია და მსოფლიოს თანამეგობრობის განსაკუთრებული ინტერესების სფეროში მოექცა. საგულისხმოა ისიც, რომ პროექტის რეალიზაციის პროცესში საქართველოსთან აქტიურად თანამშრომლობენ მთელი რიგი საერთაშორისო დონორი და საფინანსო ორგანიზაციები: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მსოფლიო ბანკი (WB), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტო (USTDA), საერთაშორისო საგაღუტო ფონდი (IMF), საერთაშო-

რისო საფინანსო კორპორაცია (IFC), აგროგაერთიანების პროგრამა, აშშ-ის ექსიმბანკი (US EXIM) და სხვა ორგანიზაციები.

ჩვენი აზრით, დღეს გადაუჭარბებლად შეიძლება ვისაუბროთ აღნიშნულ პროექტზე როგორც საქართველოს სამომავლო განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს იმპერატივზე, რადგან იგი გადაიქცა საქართველოს თანამედროვე რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის დამბალანსებელ ფაქტორად, ქვეყნის სამომავლო განვითარების რეალურ ორიენტირად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერაზიის სატრანსპორტო დერეფანს მძაფრი კონკურენციის პირობებში უწევს დამკვიდრება. ეს არის ჩრდილოეთ რუსეთზე, სამხრეთ ირანზე და თურქეთზე გამავალი ალტერნატიული გზები.¹

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს განვითარების პერსპექტივების ზედვა არა მხოლოდ ვერაზიული სატრანსპორტო დერეფნის კონტექსტში (თუმცა უდავოა, რომ ქვეყნის განვითარებისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის პროცესში ამ პროექტს პრინციპულად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება), არამედ სხვა ალტერნატიული მიმართულებების რეალიზაციის თვალსაზრისითაც. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ტრანსნაციონალურ კომპანიებთან ინტეგრაცია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციების შესაბამისად ეროვნული მუდრეობის ტრანსფორმაცია, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი მოთხოვნების (ე.წ. „კოპენჰაგენის“ კრიტერიუმების) ეტაპობრივი რეალიზაციის გზით ამ კავშირში გაწევრიანების უზრუნველყოფა.

ასევე, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სახით არსებული პოტენცია-

¹ ბარათაშვილი ნ., ვერაზიული სივრცე და ამერიკის ინტერესები, თბ., სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, გვ. 110.

ლის (ძირითადად ვგულისხმობთ ღსთ-ს სივრცის სამომხმარებლო ბაზრებს) გამოყენების პერსპექტივების შესახებ, მით უფრო, რომ ქართულ პროდუქციას ჯერ კიდევ ძალუძს ღსთ-ს ქვეყნების შიგა ბაზრებზე საკუთარი ადგილის დამკვიდრება. მნიშვნელოვანი პერსპექტივებია, აგრეთვე, შავი ზღვის ქვეყნების ალიანსისა და სუამის შესაძლებლობათა ამოქმედების მიმართულებით.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის ხელსაყრელად გამოყენება და გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობა შეუძლებელია ქვეყანაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემის მდგრადი ფუნქციონირების (განვითარების) გარეშე. ამგვარი სისტემის არარსებობის შემთხვევაში ეს ტერიტორია ადრე თუ გვიან ერთვება სხვა ქვეყნის (ქვეყნების) სახელმწიფოებრივი სისტემის მოქმედების არეალში და შესაბამისად კარგავს შესაძლებლობას ისარგებლოს ზემოაღნიშნული სიკეთეებით.

აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოს გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პროცესში მონაწილეობის პერსპექტივები, მიზნები, ამოცანები და ფორმები გააზრებულნი უნდა იქნეს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის კონტექსტში.

4. საქართველოს გეოპოლიტიკური ბარემო: რეგიონული თავისებურებები, ტენდენციები

XXI საუკუნის მიჯნაზე საქართველო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანების წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის უმთავრესია სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რომელიც მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული პროგრესის საფუძველია უახლეს და შორეულ მომავალში. ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს ეროვნული და მსოფლიო განვითარების ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ისტორიული როლის გაცნობიერებას. ქვეყნის განვითარების შესაძლებლობების ახლებურად დანახვას და, შესაბამისად, სწორი სტრატეგიის განხორციელებას.

დღეს ბევრი იწერება ეროვნული ეკონომიკის საფუძვლიანად რეორგანიზაცია-განახლების ერის სამომავლო და გრძელვადიანი სტრატეგიული ეკონომიკური მიზნების განხორციელების შესახებ. ამასთან არის უშუალოდ დაკავშირებული საქართველოს უმდიდრესი, ბუნებრივი, გეოპოლიტიკური და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოყენება. თავის მხრივ, ამისათვის საჭიროა შესაბამისი თეორიული და საკანონმდებლო ბაზის მომზადება, რასაც წინ უნდა უსწრებდეს არა მარტო ღრმა მეცნიერული ანალიზი, დაგეგმვა და პროგნოზი, არამედ გარკვეულ ფარგლებში ეკონომიკური ექსპერიმენტებიც. ეს საშუალებას მოგვცემს, შევიმუშავოთ თანამედროვეობის შესატყვისი ეკონომიკური პოლიტიკა, მისი რეალიზაციის გზები და მიმართულებები.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყანას მაკროდონეზე უნდა ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა (ხანგრძლივვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების კონცეფცია), რომელიც მეცნიერულ საფუძველზე განსაზღვრავს ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებს, ეტაპებს. ამ პროგრა-

მის საფუძველზე, საჭიროა პარამონიაში იქნას მოყვანილი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან მიღებული რესურსები რეგიონების გათვალისწინებით. პროგრამამ, ასევე, უნდა განსაზღვროს კონკრეტული საშიშროება, რომელიც ემუქრება საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და დასახოს მისი პროფილაქტიკის, თავიდან აცილების ღონისძიებები. აუცილებელია საქართველოს აწმყოსა და მომავლის ფუნდამენტური, მეცნიერული ხელვა არსებული მწვავე პრობლემების გადაწყვეტისა და თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების მსოფლიო პროცესის კონტექსტში.

დღეისათვის ფართო მსჯელობა მიმდინარეობს ზოგად-საკაცობრიო გლობალურ პრობლემებზე, მათი გადაჭრის გზებსა და მომავლის შესაძლო პერსპექტივებზე. ამ საკითხთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გეოპოლიტიკური პრობლემები და, ბუნებრივია, სრულიად ლოგიკურად წამოიჭრება კითხვები: მისი რაობის, საერთოდ იმის შესახებ, თუ რა ფუნქციის შესრულება შეუძლია საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით და როგორ შეიძლება იგი გამოიყენოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის?

გეოპოლიტიკა – ესაა მსოფლმხედველობა და აქედან გამომდინარე, უკეთესია, იგი შეუდარდეს არა მეცნიერებებს ცალ-ცალკე, არამედ მეცნიერებათა სისტემას. ესაა ხელისუფლების მსოფლმხედველობა. ხელისუფლების მთელი ისტორია დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ამ პრობლემით დაკავებულნი იყვნენ ადამიანები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნების მართვაში. თანამედროვე მსოფლიოში გეოპოლიტიკა წარმოადგენს ხელისუფლებისთვის სახელმძღვანელოს, რომელშიც რეზიუმირებულია ის, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ისეთი გლობალური გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორცაა კავშირების დამყარება, ომის დაწყება, რეფორმის განხორციელება, საზოგადოების სტრუქტურული გარდაქმნა, პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების დაწესება და ა. შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშ-

ვენელოვანია საქართველოს როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში მოხდა.

საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა კავკასიის რეგიონში, მდებარეობს მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. სწორედ ეს განაპირობებს იმ ფუნქციას, რომელიც ქვეყანამ შეიძინა გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, მაკინდერის მტკიცებით, „სახელმწიფოსათვის ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა არის შუაგულში, ცენტრალური მდებარეობა, ესაა სულ უფრო სასურველი გეოგრაფიული მდებარეობა“.¹ სწორედ კავკასიის რეგიონში ჩვენი ქვეყნის ცენტრალური მდებარეობა განაპირობებს მთელ რიგ უპირატესობას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. სახელმწიფოთა შექმნის, განვითარების და, ასევე, ნგრევის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თვით მიწა, სახელმწიფოს ტერიტორია უმთავრესი სტრატეგიული რესურსია, რომელმაც თავისი მნიშვნელობით შეიძლება გადააჭარბოს ყველა დანარჩენს.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობას განაპირობებს არა მარტო მისი სამხედრო სიძლიერე, ტექნოლოგიური განვითარება და ეკონომიკური ბაზა, არამედ მისი ტერიტორიის სიდიდე, გეოგრაფიული მდებარეობა. ცნობილია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრობლემა პირდაპირ უკავშირდება გეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას. იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც მიისწაფვიან ნამდვილი დამოუკიდებლობისაკენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყვიტონ ტერიტორიული თვითმყოფადობის პრობლემა. ჩვენს დროში ასეთი თვითმყოფადობა შეიძლება ჰქონდეს სტრატეგიულად დაცულ სახელმწიფოებს. თავის წიგნში „ამერიკული სტრატე-

1. Гаджиев К. С. Геополитика М., 1998. с. 57.

გია მსოფლიო პრაქტიკაში“ და „მსოფლიოს გეოგრაფია“, ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი ნიკოლას სპიკმენი (1893-1943) გამოყოფს 10 კატეგორიას, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ სიძლიერეს. ესენია: 1. ტერიტორიის ზედაპირი; 2. საზღვრის ბუნება; 3. მოსახლეობის რაოდენობა; 4. წიაღისეულის არსებობა-არარსებობა; 5. ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარება; 6. ფინანსური სიძლიერე; 7. ეთნიკური ერთფეროვნება; 8. სოციალური ინტეგრაციის დონე; 9. პოლიტიკური სტაბილურობა; 10. ეროვნული სული.¹

დასავლეთისა და სხვა მოსაზღვრე სამყაროს მიმართ ზომიერი ორიენტაცია მიგვაჩნია, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ისტორიულ მოვლენად. ამ საკითხის გარშემო, ბუნებრივია, შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული ნიუანსები თვითდამკვიდრებისათვის. ზოგიერთები თვლიან, რომ უკეთესია რუსეთზე ორიენტაცია, ვიდრე დასავლეთზე, სხვები კი გვთავაზობენ თანაბარ მოქმედებას ორივე მიმართულებით. საქართველოსთვის სტრატეგიული მიმართულება უნდა იყოს ერთგვაროვანი, „ზომიერი, როგორც ჩრდილოეთისკენ, ისე დასავლეთისკენ, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით“, ვინაიდან სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციას, შეუძლია გარანტია მისცეს ყველა ხალხს და სახელმწიფოს ნამდვილი სუვერენიტეტის, მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

პატარა სახელმწიფოები უმნიშვნელო როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკაში. მაგრამ მათი რაოდენობისა და მნიშვნელობის ზრდა აძლიერებს მათდამი ინტერესს და უზრუნველყოფს მათ სპეციფიკური ადგილით საერთაშორისო საზოგადოებრიობაში. უმთავრეს ინტერესს იწვევს პატარა ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების

¹ Дугин А. П. Основы Геополитики, Центр специальных метастратегических исследований. М., 1999. с. 63.

პროცესები და ქვეყნის როლი და ფუნქციები მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება პატარა სახელმწიფო? ლ.გ.მ. ჟაკეს განსაზღვრებით, „პატარა სახელმწიფო ის სახელმწიფოა, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონულ დონეზე არ შეუძლია საკუთარი პოლიტიკური ნების თავზე მოხვევა ან ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის გამოყენებით“.¹ რობერტ როთშტაინი პატარა სახელმწიფოს შემდგენიად განსაზღვრავს: „სახელმწიფო, რომელიც აღიარებს, რომ ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებით და მთლიანად უნდა მიენდოს სხვა ქვეყნების დახმარებას ან მიმდინარე მოვლენებს; პატარა სახელმწიფოს მიერ გამოტანილ „განაჩენს“ საკუთარი უძლურების შესახებ, უნდა დაეთანხმონ ის სახელმწიფოებიც, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკის მონაწილეები არიან“.² ორივე ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პატარა სახელმწიფო იმაჯდროულად სუსტი ქვეყანაც არის, რომელიც ვერ იცავს ეროვნულ ინტერესებს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ პატარა სახელმწიფო სუსტი ქვეყანაა.

ქვეყანა შეიძლება იყოს პატარა და სუსტი, მაგრამ გააჩნდეს ძალიან ძლიერი და მყარი სახელმწიფოებრივი ბაზა. საქართველომ ყველა შემთხვევაში უნდა შეინარჩუნოს უნიკალურობა, დაიმკვიდროს თვითმყოფადობა დასავლეთის, თუ ჩრდილო-აღმოსავლეთის კულტურათა ფონზე.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის საფრთხე, რომელიც ადვილად შეიძლება დაემუქროს საქართველოს „სანიტარულ დერეფნად“ გადაქცევის შემთხვევაში. „სანიტარული დერეფანი“ სახელმწიფოების ტერიტორიაა, რომელიც განთავსებულია ორ

1. Jaquet, L.G.M. The role of Small States Within Alliance System. In: Small States in International Relations, August Schou and Arne O. Brundtland (Eds), Almqvist and Wiksel, Stockholm, 1971, p. 29.

2. Rothstein, Robert, Alliances and Small Powers, Columbia University Press, 1969.

უმსხვილეს გეოპოლიტიკურ წარმონაქმნს შორის, რომელიმესთან კავშირი ან შესვლა რომელიმე მათგანის სივრცეში შეიძლება გახდეს მიუღებელი დაინტერესებული სახელმწიფოსათვის. ჩვენს შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ რუსეთის ინტერესების შეჯახება ამიერკავკასიაში ნატოს გაფართოებასთან მიმართებაში, რომლისთვისაც ამიერკავკასია შეიძლება გახდეს „სანიტარული დერეფანი“, ხოლო „სანიტარული დერეფნის“ ქვეყნები, როგორც წესი, ერთდროულად ხდებიან ორი კონტინენტური სახელმწიფოს კონფლიქტის მიზეზი. შედეგად მათი გეოპოლიტიკური დამოუკიდებლობა დეფაქტო შეუძლებელია და ამის გამო ისინი იძულებულნი არიან, ეძიონ ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა გვერდით სახელმწიფოში. მესამე მსხვილი გეოპოლიტიკური ძალის პოლიტიკის არსი მოცემულ შემთხვევაში ისაა, რომ შექმნას „სანიტარული დერეფნით“ დაძაბულობის ზონა ორ ახლომდებარე დიდ სივრცეებს შორის. ამის მიღწევა შესაძლებელია „შუალედური“ სახელმწიფოების ხელისუფლებაზე დიპლომატიური ზეგავლენით, კონფლიქტის ესკალაციის პროვოცირებით. „სანიტარული კორიდორის“ ყველაზე რადიკალური ვარიანტია ის მდგომარეობა, რომლის შედეგად „შუალედური“ სახელმწიფო მიისწრაფვის სრული დამოუკიდებლობისაკენ ორივე კონტინენტური მეზობლისაგან განსხვავებით, რაც ფაქტობრივად ნიშნავს მესამის „შორეული“ სახელმწიფოს კოლონიად გადაქცევას. „სანიტარული დერეფნის“ კლასიკური მაგალითი იყო, გასული საუკუნის დასაწყისში ის ქვეყნები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ რუსეთსა და გერმანიას შორის, რომელთაც ფაქტობრივად ინგლისი აკონტროლებდა.

იმისათვის, რომ საქართველო არ აღმოჩნდეს „სანიტარული დერეფნის“ როლში, საჭიროა ხელისუფლებამ ოპტიმალურად განსაზღვროს და განახორციელოს დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა. კერძოდ კი, საქართველოს ურთიერთობა ყოველ ქვეყანასთან საჭიროა განვითარდეს თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე, ბუნებრივია, ყოველი მოკავშირე სუბიექტის

სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით.

საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს უსაფრთხოების გეოპოლიტიკურ ასპექტებზე, მის საგარეო პარამეტრებზე. მაგრამ საქართველოს მდგომარეობა მოცემული მომენტისათვის ისეთია, რომ სწორედ შიდა პოლიტიკა ბევრად განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებას. ლაპარაკია ქვეყნის შიგნით ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სტაბილურობის მიღწევის აუცილებლობაზე. სწორედ ამიტომ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საგარეო და შიდა პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტას.

სახელმწიფოს დაცვა და სტაბილურობა შეიძლება ჩაითვალოს გარანტირებულად, თუ უზრუნველყოფილი იქნება მისი საგარეო უსაფრთხოება.

ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ ჯანსაღი, კონსტრუქციული მიდგომა, ყურადღების გამახვილება სახელმწიფოებრივ იდეაზე, შეიძლება გახდეს პოზიტიური როლის შემსრულებელი სახელმწიფოს და საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში. ამიტომ მთავარია, ყურადღება მიექცეს იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს გამოუმუშავდეს ერთიანი სახელმწიფოს თანამოქალაქეობის გრძნობა. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება.

როგორც ისტორიული გამოცდილება მოწმობს, ძლიერი და ქმედითუნარიანია ის სახელმწიფო, სადაც საზღვრები თავისუფალია, ხოლო უფლებები მკაცრადაა დაფიქსირებული კანონში და ხელისუფლება იცავს მას თავისუფლების გარანტიების რეალიზებისათვის. ამის გარეშე დემოკრატია გადაიქცევა ანარქიად. სამართლებრივ სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია სრულად შეასრულოს თავისი ფუნქციები, როდესაც იგი ძლიერი სახელმწიფოა და შეუძლია არა მარტო კანონების მიღება, არამედ მათი პრაქტიკაში გატარება. მას შეუძლია თანმიმდევრულად შეათავსოს ერთმანეთთან ადამიანის უფლებები, ასევე,

ძლიერი ხელისუფლების კანონიერება, როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. დღევანდელი საქართველოს პირობებში ასეთი შეიძლება იყოს სახელმწიფო, რომელიც დაეფუძნება კანონიერებას და სადაც უფლებები რეალურად გადანაწილდება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის.

ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ საქართველოში მიმდინარე ნებისმიერი ფართომასშტაბიან მოვლენათა ცვალებადობა, ყოველთვის ახდენდა და მომავალშიც მოახდენს გავლენას მთელს კავკასიაზე. ამიტომ საქართველოსათვის ოპტიმალურად შეიძლება ჩათვალოს ის სიტუაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მის სახელმწიფოებრივ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას და განაპირობებს მის კეთილმეზობლურ სტაბილურ ურთიერთობას კავკასიაში.

ექსტრარეგიონული სახელმწიფოების დაინტერესებას კავკასიით მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის გამოვყოფდით: ენერგეტიკულ რესურსებს, რეგიონის ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მდებარეობას, კავკასიაში პოტენციური დესტაბილიზაციის თავიდან აცილების სურვილს, რეგიონში ისტორიულ ინტერესებს.

განვიხილოთ ამ სახელმწიფოების ინტერესები ცალ-ცალკე. რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაზე დიდი ხნის ისტორია აქვს. ფედერაციის ჩრდილო-კავკასიურ სუბიექტებში მიმდინარე კონფლიქტები და დაძაბულობები პირდაპირ გავლენას ახდენდნენ და დღესაც ახდენენ სამხრეთ კავკასიაზე.

რუსეთს მეგობრული ურთიერთობები აქვს ირანთან. ორი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს ატომური ენერგეტიკის სფეროში, დაახლოებით მსგავსი პოზიცია აქვთ კასპიის ზღვის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით. მათ აერთიანებთ, აგრეთვე, წინააღმდეგობა კავკასიაში აშშ-თურქეთის გავლენის ზრდის მიმართ.

დღეისათვის, რუსეთის ერთადერთი მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში სომხეთია. საქართველოსა და აზერბაიჯანს უფრო პრო-

დასავლური ორიენტაცია აქვთ, რაც რუსეთის სერიოზულ გაღი-
ზიანებას იწვევს.

სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ურთიერ-
ობას რუსეთთან. რუსეთს ყოველთვის ჰქონდა იმპერიული
იდეოლოგია საკუთარი ექსპანსიის დასასაბუთებლად და გასა-
მართლებლად. საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ, მიუხედავად
ბრავალი მცდელობისა, ვერ მოინახა ახალი იმპერიული იდეოლო-
გია, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების
ახალი ნებაყოფლობითი თუ ძალით გაერთიანების საფუძველად
გამოდგებოდა. ერთადერთი ბერკეტი, რომელიც ამ შემთხვევაში
შესაძლოა რუსეთის მხრიდან ყოფილიყო გამოყენებული, იყო
ეკონომიკური კრიზისი. სწორედ ეკონომიკურმა კრიზისმა აიძუ-
ლა ყოფილი რესპუბლიკები, საბჭოთა კავშირის სივრცეში ახა-
ლი ერთიანი ეკონომიკური და პოლიტიკური წარმონაქმნი
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა შეექმნათ.

ყბადღებული „იმპერიულ ამბიციებთან“ ერთად, რუსეთს უფრო
პრაგმატული საფუძველი აქვს, იზრუნოს სამხრეთ კავკასიაში
ჰეგემონიის აღდგენაზე. ჯერ ერთი, კავკასიაზე კონტროლი ნიშ-
ნავს იმას, რომ რუსეთის ხელთ აღმოჩნდება კასპიის ზღვისა და
ცენტრალური აზიის რესურსების სატრანზიტო გზებზე კონ-
ტროლი. ეს კიდევ უფრო გაამყარებს მის პოზიციებს ცენტრალურ
აზიაში.

მეორეც, ჩრდილოეთ კავკასიაში მოსალოდნელი პერმანენტუ-
ლი არასტაბილურობის პირობებში ამ რეგიონის შესანარჩუნე-
ბლად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანზე
კონტროლს, იმ მიზნის უზრუნველყოფას, რომ ორივე ეს ქვეყანა
ნეიტრალური დარჩეს ახლანდელი და მოსალოდნელი კონფლიქტე-
ბის მიმართ.

მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ფაქტორიც. ბრძოლა გასაღების
ბაზრებისა და მილსადენებისათვის საკმაოდ გამწვავდა და მასში
რუსეთი და აზერბაიჯან-საქართველო სხვადასხვა მხარეს აღ-
მოჩნდნენ.

სტრატეგიული თვალსაზრისით, აშშ-ის ან თურქეთის კავკასიაში „გამაგრება“ სერიოზული დარტყმა იქნება ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ამბიციებისათვის და, ამავე დროს, საბოლოოდ დაადასტურებს რუსეთის დასუსტებას.

რუსეთისათვის კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედების ყველაზე საიმედო საშუალებას ეთნოკონფლიქტები წარმოადგენს: მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის. საქართველო ყველა დონეზე აღიარებს, რომ ამ ორი უკანასკნელი კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები რუსეთში დევს. უფრო ნაკლები ხალისით, მაგრამ ამას აზერბაიჯანშიც აღიარებენ.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით რუსეთი კავკასიაში კონსტრუქციულ როლს არ ასრულებს. რაც ძალიან ნეგატიურად მოქმედებს აქ მიმდინარე პროცესებზე. არადა, სიცოცხლისუნარიანი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება რუსეთის მონაწილეობის გარეშე ძნელი წარმოსადგენია.

რუსეთისათვის, ბუნებრივია, მიუღებელი იყოს ნავთობსადენის აზერბაიჯანიდან საქართველოზე ალტერნატიული გზის მხარდაჭერა, ნავთობმომპოვებელი საერთაშორისო კონსორციული მხრიდან. ნავთობსადენის საქართველო-თურქეთზე გატარების ალტერნატიულმა გზამ კავკასიას შესაძლებლობა მისცა საკუთარი პოტენციალის რეალიზებისთვის. გარდა ამისა, კავკასია, როგორც უდიდესი საკომუნიკაციო დერეფანი, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის და ისინი საიმედოდ დაიცავენ ამ რეგიონს, რითაც რუსეთს, ადრე თუ გვიან, აიძულებენ გავიღეს ამ რეგიონიდან.

საკუთარი გეოპოლიტიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, სომხებმა მთელი რიგი ზომები მიიღეს. საქართველოს ზღვისპირეთში სომხური მოსახლეობის ჩასახლების მიზნით სომხური ეკლესია უზარმაზარ თანხას ხარჯავდა. სომხებმა მოახერხეს აფხაზეთსა და აჭარაში სომხური დიასპორების შექმნა. როდესაც რუსეთს დასჭირდა აფხაზეთში არეულობა, სომხეთის დიასპორამ შეასრულა თავისი მისია, — დაეხმარა აფხაზებს.

ახლო მომავალში სომხეთს აუცილებლად დაევალება, ხელი შეუშალოს ნავთობსადების დიდი პროექტის რეალიზაციას საქართველო-თურქეთის მარშრუტით. იგივე მიზნით სომხეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება დამლუპველი იქნება სომხეთისათვის, რადგან საქართველოს ტერიტორია მისთვის ერთადერთი სასიცოცხლო არტერიაა, განსაკუთრებით კავკასიაში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შიიტურ ირანთან სუნიტურ თურქეთს ისტორიულად წინააღმდეგობებით სავსე ურთიერთობები გააჩნდა და, აგრეთვე, იმას, რომ ისტორიულად და დღესაც სიტუაციურად ირან-სომხეთის კავშირი ძალაშია, გასაგები გახდება, რომ თურქულენოვანი ქვეყნების შეუფერხებელი ურთიერთობის და ტერიტორიულ კავშირისათვის ერთადერთია ამ ქვეყნებს შორის არსებული ქრისტიანული საქართველო.

იმპერიული მენტალიტეტის საფუძველზე ამ ქვეყნებს საერთო ძალებით უნდოდათ, დაეპყროთ საქართველოს ტერიტორია და ამ გზით მოეგვარებინათ საკუთარი პრობლემები. თანამედროვე პოლიტიკური რეალიები და კულტურა სულ სხვაგვარად წყვეტს ასეთი სახის საკითხებს. ეს გზა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად გადაქცევას და ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობს. ასევე, გამორიცხავს არსებულ პრობლემათა ძალისმიერ გადაწყვეტას. შესაბამისად, საქართველო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიაა თურქეთისთვის, რის გამოც საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის განსავითარებლად იგი ბევრს მოინდომებს.

თურქეთის დაინტერესებას კავკასიით, ასევე, მრავალი ასპექტი გააჩნია. დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შიშობდნენ, რომ პანთურქული იდეებით განმსჭვალული თურქეთი შესაძლოა მათთვის საფრთხედ ქცეულიყო. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ თურქეთს შეუძლია რეგიონულ განვითარებაში ძალიან დადებითი როლი შეასრულოს, როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დამაკავშირებელმა რგოლმა

და, გარკვეულწილად, განვითარების მოდელმა. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, კავკასიის ქვეყნებმა შეიძლება ისარგებლონ თურქეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარებითა და ექსპანსიით. თურქეთის ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანება კავკასიისათვის ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს.

თურქეთის ურთიერთობებზე კავკასიის ქვეყნებთან ზემოთ უკვე იყო საუბარი და ამიტომ მასზე ახლა აღარ შევჩერდებით.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ისლამური ტრადიციების მატარებელ რეგიონებში ირანი და თურქეთი მეტოქეების როლში გვევლინებიან. უნდა ითქვას ისიც, რომ პოსტსაბჭოური მუსლიმანური რესპუბლიკებისათვის თურქეთის სახელმწიფო მოწყობის სეკულარული მოდელი გაცილებით უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე ირანული ისლამიზმი. ამის გამოც, ირანის პოზიციები ამ სივრცეში უფრო სუსტია, ვიდრე თურქეთის. თურქეთის კავშირი აშშ-თან კიდევ უფრო ძაბავს ორმხრივ ურთიერთობებს. საქართველოსთან და აზერბაიჯანთან ირანს კორექტული, მაგრამ არც თუ ისე თბილი დამოკიდებულება აქვს. მისი რეალური მოკავშირე კავკასიაში სომხეთია. სომხეთ-ირანის ურთიერთობები სულ უფრო ღრმავდება, რისი დადასტურებაცაა ინფრასტრუქტურის განვითარების ერთობლივი პროექტები, ვაჭრობის ზრდა (სომხეთისათვის ირანი მთავარი სავაჭრო პარტნიორია), ხშირი ოფიციალური ვიზიტები და სხვ.

ირან-აზერბაიჯანის ურთიერთობაში განსაკუთრებული თემაა ირანში მცხოვრები 15 მილიონი (სხვა წყაროებით 20-22 მილიონი) აზერბაიჯანელის საკითხი. ამჟამად ისინი „ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების“ რაიმე სურვილს არ ამჟღავნებენ და საკმაოდ კარგად არიან ინტეგრირებული ირანულ საზოგადოებაში. მაგრამ თეირანი მაინც შიშობს, რომ არდებილში, თავრიზსა და რეზაიეში (ირანის აზერბაიჯანული პროვინციები) შესაძლოა სეპარატისტულმა ტენდენციებმა იჩინონ თავი. მოქმედებს „სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი“, მაგრამ მისი გავლენა საკმაოდ სუსტია.

საყურადღებოა, რომ ირანში მცხოვრები უზარმაზარი აზერბაიჯანული დიასპორის ფაქტორი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ირანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში პროაზერბაიჯანული, ან თუნდაც ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა, რაც გარკვეულწილად ირანელი აზერბაიჯანელების „ისტორიული სამშობლოსადმი“ ამბივალენტურობას მოწმობს.

დღეს-დღეობით ირანის იზოლაციაში ყოფნა ძალიან აწუხებს ამ ქვეყნების ხელმძღვანელობას და დამლუპველად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. ამასთან, მათ აშფოთებთ ის, რომ ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერმა ქვეყნებმა შესაძლოა შიგნიდან ააფეთქოს ირანი, განსაკუთრებით ირანის ეთნიკური შემადგენლობისა და ამის შედეგად არსებული დაძაბულობის ფონზე.

ისეთი საუკეთესო პერსპექტივა საკუთარი ეკონომიკის განვითარებისათვის, როგორც აზერბაიჯანს გააჩნია, კავკასიაში არავის აქვს. რუსეთის ზეწოლის ბლოკირების ერთადერთი გზა აზერბაიჯანისათვის, ისევე, როგორც შუა აზიის ქვეყნებისა და ყაზახეთისათვის, თურქეთთან მჭიდრო კავშირზეა დამყარებული. თურქეთი, სავარაუდოა, ეცადოს პანთურქული ალიანსის წყევანას გაერთიანებული ევროპის მოდელისაკენ, რაც ადაპტირებულია თურქულენოვანი ქვეყნების კულტურასთან, რელიგიასთან, ტრადიციებთან და განიცდის მოდიფიცირებას.

აზერბაიჯანიდან, ევროპისაკენ სავაჭრო გზის გაყვანა თითქმის მთლიანად საქართველოს მეშვეობით ხორციელდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აზერბაიჯანის მომავალი ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივები. საქმე ისაა, რომ ნავთობის მოპოვებით მიღებული თანხა უეჭველად მოხმარდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რამაც უნდა უზრუნველყოს მაღალგანვითარებული აზერბაიჯანის პერსპექტივა.

ყაზახეთმა, რომელიც ძალიან მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, დაიწყო ნავთობის უმდიდრესი თენგიზის საბადოს ათვისე-

ბა, რომლის ტრანსპორტირება, უპირველეს ყოვლისა, მოხდება აზიური (ჩინეთისა და იაპონიის) მიმართულებით. ევროპულ მიმართულებაზე შეთანხმება არსებობს რუსეთთან, რომლის მიხედვითაც იგი მთლიანად გააკონტროლებს ამ ნავთობსადენს. აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირების საქართველო-თურქეთის ალტერნატიული ნავთობსადენის მშენებლობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ საშუალება მისცა ყაზახეთს, ასევე, გამოიყენოს ეს გზა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

1. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა, რეგიონული სტაბილურობისათვის ხელშეწყობა;

2. დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების წახალისება;

3. არსებული კონფლიქტების მოგვარება;

4. რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება და ამ საქმეში ამერიკული კომპანიებისათვის ხელშეწყობა.

რეგიონის შიგნით ამერიკის მოკავშირეებად თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო მიიჩნევა, ე.წ. „ბაქო-ჯეიჰანის კოალიცია“. დაძაბული ურთიერთობა აქვს აშშ-ს რუსეთთან, ძალიან ცუდი ირანთან. რაც შეეხება აშშ-სომხეთის ურთიერთობებს, მიუხედავად განსხვავებული ინტერესებისა, ამერიკის სომხური ლობის უზრუნველყოფს აშშ-ის მიერ ხშირად პროსომხური პოლიტიკის გატარებას. ამის კარგი მაგალითია ცნობილი „მუხლი 907“. თავისუფლების მხარდაჭერის აქტის ეს მუხლი უკრძალავს აშშ-ს აზერბაიჯანის ხელისუფლებისათვის პირდაპირი დახმარების აღმოჩენას მანამ, სანამ აზერბაიჯანი სომხეთზე დაწესებულ ბლოკადას არ მოხსნის. ეს მუხლი ძალიან აღიზიანებს როგორც აზერბაიჯანის ხელისუფლებას, ისე აშშ-ის ნავთობისა და გაზის ბიზნესის წარმომადგენლებს და მათთან დაახლოებულ წრეებს.

ყოველ წელს ისინი კონგრესის წინაშე ამ მუხლის გაუქმების საკითხს სვამენ, მაგრამ ყოველთვის წარუმატებლად.

ამისდა მიუხედავად, აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობა მეგობრულ ხასიათს ატარებს. ამერიკული კომპანიები კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის პროექტების უმსხვილესი ინვესტორები არიან. ბაქოს იმედი აქვს, რომ ადრე თუ გვიან, „დროშა მოყვება ვაჭრებს“ და აშშ-იც, რომელიც კავკასიას თავის სასიცოცხლო ინტერესების ზონად აცხადებს, აზერბაიჯანის აქტიური მოკავშირე გახდება.

აშშ და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან, მათ განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა აქვთ. დიდი ხანია, თურქეთი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ნომერ პირველ მოკავშირედ და მისი ინტერესების გამტარებლად არის აღიარებული. ეს კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა თურქეთ-ისრაელის ალიანსმა.

აშშ-რუსეთის ურთიერთობები მუდმივი თემაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისინი მეგობრული არასოდეს ყოფილა, თუ ცივი ომის შემდგომ მოკლე პერიოდს არ მივიღებთ მხედველობაში. ექსპერტთა აზრით, ამჟამად ორი ქვეყნის ურთიერთობაში შედარებითი აცივების პერიოდი დადგა. რუსეთს ჯიუტად არ სურს, აღიაროს ამერიკის გლობალური ჰეგემონია. თავისი ძლიერების დადასტურებას რუსეთი ე.წ. ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებზე ზეწოლით ცდილობს, რაც ამერიკის უკმაყოფილებას იწვევს. ორმხრივ უთანხმოებებს კიდევ უფრო ამწვავებს აშშ-ის „ეროვნული სარაკეტო თავდაცვის“ სისტემის შექმნის გეგმა. კავკასია ერთ-ერთი ის რეგიონია, სადაც ორმხრივი დაპირისპირება ყველაზე აშკარად იჩენს თავს.

აშშ-ირანის ურთიერთობებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ის ტერმინები, რომლებითაც მხარეები ერთმანეთს მოიხსენიებენ. ამერიკისათვის ირანი „ურჩი სახელმწიფო“ და საერთაშორისო ტერორიზმის ბუდეა, ხოლო თეირანი აშშ-ს „დიდ სატანად“ და „დეკადენსის ბასტიონად“ მიიჩნევს. აშშ-ის პრეტენზიები ირანის

მიმართ შემდეგია: ამ უკანასკნელის მისწრაფება მასობრივი განადგურების იარაღის (განსაკუთრებით, ბირთულის) შექმნისადმი, ოპოზიცია ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესისადმი და ტერორისტული ორგანიზაციების (ჰამასი, ჰეზბოლა) მფარველობა. 1997 წლის შემდეგ გარკვეული დათბობა შეინიშნება, თუმცა ჭეშმარიტ შერიგებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა.

აშშ-ს მეგობრული ურთიერთობები აქვს საქართველოსთან. ორმხრივი თანამშრომლობის მომავალი აღბათ მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბედზე და საქართველოს შიგაპოლიტიკურ განვითარებაზე.

ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე ჩვენში უკვე დიდი ხანია საუბრობენ. სარკინიგზო პროექტის განხორციელება რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

რეგიონული სატრანსპორტო ქსელის შექმნა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის განვითარებაში, მისი უსაფრთხოების გაძლიერებაში და ხელს შეუწყობს უფრო გლობალურ თანამშრომლობას. ეს პროექტი სერიოზული ნაბიჯი იქნება და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაში ახალ საფეხურამდე მიგვიყვანს. ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის ენერგეტიკული სატრანსპორტო მიმოსვლის ძირითადი საშუალება გახდება.

რაც შეეხება აშშ-ის ინტერესებს კასპიის ენერგეტიკულ სექტორში, იქ ერთდროულად რამდენიმე ასპექტი იჩენს თავს. ვაშინგტონს მიაჩნია, რომ ენერჯის წყაროების დივერსიფიცირება შეამცირებს მის დამოკიდებულებას სპარსეთის ყურის აუზზე და მხარს უჭერს კასპიის აუზში ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდას. მიმომხილველების აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია აშშ-ის სურვილი, წინ აღუდგეს რეგიონში რუსეთის ან ირანის გავლენის ზრდას და ამიტომაც იგი ცალმხრივად უჭერს მხარს

ნავთობისა და გაზის დასაველეთის მარშრუტით ტრასპორტირების გეგმას.

დღესდღეობით აშშ-სა და სხვა ქვეყნების მძლავრ სამეცნიერო ცენტრებში მუშავდება უახლესი კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს ტოტალური ეკონომიკური ომის წარმოების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას, რაც აღნიშნული სამეცნიერო-გამოყენებითი ცენტრების ძირითადი ამოცანაა.

ამ ტექნოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია „ეკონომიკური დახმარების“ ის ფართომასშტაბიანი სისტემა, რომელსაც ეს ქვეყნები იყენებენ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სესხის აღებისა და მიზნობრივი ინვესტიციების განხორციელებადი პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ მოხდეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის ისეთი ტრანსფორმაცია, რომელიც რუსეთს გადააქცევს რიგით სახელმწიფოდ. ისე რომ აქ არსებული ატომური იარაღი, გარდამავალ პერიოდში კონტროლირებადი გახდეს დასაველეთის ქვეყნებისათვის.

აშშ როგორც ყოველთვის, იძულებული გახდა ეკისრა ახალ პირობებში მსოფლიოს ძირითადი დამბალანსებელის როლი. იგი დაინტერესებულია უზრუნველყოს ეკონომიკური პროგრესის უწყვეტობა. ამიტომ ღესტაბილიზაციასთან დაკავშირებულ ნეგატიურ ეფექტებს რომ თავი დაეანებოთ, ამერიკული წარმოშობის გიგანტური ტრანსკონტინენტური კორპორაციების წარმატებული ფუნქციონირება მსოფლიოში სიტუაციის სტაბილურობაზე ბევრად არის დამოკიდებული.

პოლიტიკური თაველსაზრისით, ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით აქტიური არასდროს ყოფილა. მისი მონაწილეობა ძირითადად სატრანსპორტო პროექტების დაფინანსებით (ტრასეკა, ინოგეიტი), ჰუმანიტარული ინიციატივებით და კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის დიალოგის მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საქართველოს

გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, სავსებით შეესაბამება საკრალური კანონი „წმინდა ადგილი ცარიელი არ არის“. მასზე თავისი გავლენის მოსაპოვებლად ბევრს შეიძლება ეჭიროს თვალი. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველომ შეიმუშაოს სერიოზული და საფუძვლიანი, რეალისტული და პერსპექტიული სტრატეგია, რომლის ცენტრშიც უნდა იდგეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და თავისუფლების უზრუნველყოფა.

მსოფლიო განვითარების საერთო დომინანტი პერსპექტივაში, როგორც ჩანს, განისაზღვრება პოსტინდუსტრიალიზმის იმპერატივით. მასზე დიდადა დამოკიდებული ქვეყნების და რეგიონების მდგომარეობა გეოპოლიტიკურ და მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობების სისტემაში.

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ისახება პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, მაგრამ, ამასთან, წამოიჭრება ახალი წინააღმდეგობები. ერთ-ერთი მათგანია წინააღმდეგობა პოსტინდუსტრიალიზმის საერთო ხასიათსა და შეზღუდულ რესურსებს შორის. რესურსების მოპოვების შეზღუდულობის გამო, გარდაუვალია ქვეყნებისა და რეგიონების ინტერესების შეჯახება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა შემთხვევაში პრობლემა ეხება სახსრებსა და მათზე ნებართვას. ექვვარეშეა, მოსალოდნელია ძირეული ცვლილებები მოხმარებისა და წარმოების რაციონალიზაციისას, რესურსდაზოგვისას. რაც საშუალებას მოგვცემს, გაეზარდოს საზოგადოებრივი სიმდიდრე შეზღუდული რესურსების პირობებში.

საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირებისას, მსოფლიო პოსტინდუსტრიალიზმზე გადასვლის პირობებში, საჭიროა მისი ადგილის საფუძვლიანად შესწავლა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში. ცვლილებები, რომლებიც მოხდა ამ დარგში ბოლო წლებში, კვლავაც გაგრძელდება ახლო და შორეულ მომავალშიც.

საქართველოს შესაძლო გეოსტრატეგიის ერთ-ერთი ვარიანტთაგანია ნახევრადპერიფერიული ქვეყნის სტატუსის დაფიქსირება და მიღება ისე, რომ არ ჰქონდეს უფრო მეტის პრეტენზია. ესაა რეალური საფრთხე. არის ძალები, რომლებიც დაინტერესებულია იმით, რომ საქართველო გახადონ განვითარებული ქვეყნების სანედლეულო დანამატად.

სამწუხაროდ, გეოსტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას საქართველოში დღემდე არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც აიხსნება მისი მნიშვნელობის გაუცნობიერებლობითა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობით. ამ სფეროს დღეს ფაქტობრივად მხოლოდ გეოგრაფები და ისტორიკოსები სწავლობენ, მაშინ როდესაც წინა პლანზეა წამოწეული გეოსტრატეგიის ეკონომიკური პრობლემები.

თანამედროვე გეოსტრატეგია ტრადიციული გეოგრაფიული სტრატეგიისაგან განსხვავებით, უწინარეს ყოვლისა, მოიცავს გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ, გეოინფორმაციულ, გეოკომუნიკაციურ სტრატეგიებს. გეოსტრატეგიის არსია, პლანეტარული მასშტაბის პოლიტიკის განხორციელება საკუთარი უსაფრთხოების და განვითარების უზრუნველსაყოფად. წარმატებულ გეოსტრატეგიის ნიმუშებს იძლევა განვითარებული ქვეყნები, რომლებიც რესურსებს პრივილეგირებულად ეუფლებიან და მზა პროდუქციას ამზადებენ ნებისმიერი ქვეყანაში, თუ ეს მათთვის მოგებინანა.

ბუნებრივი რესურსებიდან მთავარია საქართველოს გეოსტრატეგიული პოტენციალის, მისი მაინტეგრალბელი ძალის გამოყენება დედამიწის ამ უმშვენიერეს ნაწილში, ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული განვითარებისათვის. საქართველოს გეოსტრატეგია უნდა ემსახურებოდეს მის უსაფრთხო განვითარებას, მისი როლის ამაღლებას კავკასიასა და მთლიანად მსოფლიოში. არასწორია მოსაზრება, თითქოს საქართველოს, როგორც მცირე ქვეყანას, არ შეუძლია რაიმე სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს მსოფლიო განვითარებაზე.

მრავალი მცირე, მაგრამ განვითარებული ქვეყნის, როლი მსოფლიოში გამორჩეულია.

აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს გეოსტრატეგია მრავალსტენარიაში და მრავალვარიანტიანი მიდგომით მსოფლიოს გეოსტრატეგიული ტრანსფორმაციის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური მოდელი უნდა დაეყრდნოს, როგორც ეროვნული მოთხოვნილებებით განსაზღვრულ პრინციპებს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის მოკლევადიან და გრძელვადიან ინტერესებს. სხვების იმედით კი არ უნდა ვიარსებოთ, არამედ ჩვენ ჩვენი ხელწერა უნდა გამოვიმუშავოთ და დროის ახლებურ ღინებას ახლებური მეთოდებით მივყვეთ (ილია ჭავჭავაძე).

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, წინმსწრები სტრატეგიის განხორციელება, რომელიც იქნება აქტიური და არა პასიური, პროფილაქტიკური, რათა თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საფრთხის შედეგები, დესტაბილიზაციის ფაქტორები. ასეთი სტრატეგიის მთავარი ელემენტია საქართველოს დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა, უსაფრთხოების მიღწევა საზოგადოების ყველა სფეროში. მსოფლიო განვითარების კანონზომიერებათა შესაბამისი პრიორიტეტების გამოყოფის საფუძველზე, საქართველომ უნდა მონახოს თავისი ადგილი მსოფლიო განვითარებასა და უსაფრთხოებაში, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

მდგრადი და უსაფრთხო განვითარება განიხილება ცალკეული ინდივიდის, ფირმის, ქვეყნის და მსოფლიო მასშტაბით. ამასთან, მისი არსი და შინაარსი განიცდის ცვლილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია ეკოლოგიასთან დაკავშირებით წარმოიშვა, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეკოლოგიური მდგრადობის მიღწევა შეუძლებელია, საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში მდგრადობის უზრუნ-

ველეოფის გარეშე. რაც შეეხება უსაფრთხოების პრობლემას, იგი ბოლო პერიოდამდე გაიგივებული იყო ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთან, მაგრამ სადღეისოდ მისი ასეთი გაგება საკმარისი არ არის. მართალია, დღეს შეიძლება კიდევ იყოს აზრთა სხვაობა მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხო განვითარების არსის შესახებ, მაგრამ თანდათან ყალიბდება ერთიანი შეხედულება. მდგრადი და უსაფრთხო განვითარების თეორიის შემუშავება მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად იქცა.¹

უსაფრთხოება – ეს არის ობიექტის, მისი კავშირების მდგრადობა-გადარჩენის და განვითარების უნარის თვალსაზრისით შინაგანი და გარეგანი მუქარის, საშიშროების, აგრეთვე, შეუცნობადი და ძნელად პროგნოზირებადი ფაქტორების პირობებში სტაბილურობის შენარჩუნება.

საქართველოს უსაფრთხო განვითარება მოიცავს არა მარტო მის მდგრად განვითარებას, არამედ ხელისუფლების ინსტიტუტების მზადყოფნას და უნარს, შექმნას ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვის, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მექანიზმები. ამასთან, ხელი შეუწყოს ეროვნული ინტერესების გამოკვეთას და დაცვას ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე.

ჩვენი აზრით, საქართველოსათვის მოცემულ მომენტში უსაფრთხო განვითარების პრინციპებია:

1. საშიშროების აღმოფხვრა მთელი სპექტრით – საქართველოს მთავარი ეროვნული ინტერესი;

2. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. დღეისათვის რეალური რჩება საქართველოს ტერიტორიის ერთიანობის შენარჩუნების საშიშროება;

1. თ. ჩიკვაძე, საქართველოს ახალი პარადიგმა: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული. ტ. II, თბ., 1997, გვ. 38.

3. სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება, თავისუფლება და უფლება რეალიზებულ უნდა იქნეს საქართველოში არსებულ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კანონებში;

4. საქართველოს ინტერესები პოლიტიკურ სფეროში, რომლებიც გარკვეული ზომის გეოსტრატეგიულ მდებარეობაზეა დაფუძნებული.

გრძელვადიანი ინტერესები მოიცავს:

– მსოფლიოში საერთო სტაბილურობის შენარჩუნება, შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობის გაწევა ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტებისადმი;

– საქართველოს ტერიტორიის სიახლოვეს დაძაბულობის კერების აღმოფხვრა;

– ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება და მათი გარდაქმნა პარტნიორობის დონეზე;

– საქართველოს საშუალოვადიანი ინტერესები – ნორმალიზება და სტაბილიზაცია როგორც შიგა, ისე ახლო გარემოში.

საქართველოს მოკლევადიანი ინტერესები:

– აფხაზეთსა და შიდა ქართლში ქვეყნის იურისდიქციის აღდგენა;

– კონფლიქტების დარეგულირება კავკასიის რეგიონში.

5. საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინტერესებს განეკუთვნება:

– სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა;

– სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა კონსტიტუციური წყობის საფუძველზე;

– ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება;

– საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება კანონების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძველზე.

ვითარება კავკასიის უსაფრთხოების თვალსაზრისით კვლავ უკიდურესად რთულია, თუმცა დღის წესრიგში უფრო მწვავედ

დგას იმ საშიშროების საკითხი, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას შიგნიდან ემუქრება და არა გარედან. გარე საშიშროებაში იგულისხმება:¹

– პირდაპირი ინტერვენცია და აგრესია;

– საგარეო ეკონომიკური და სატრანსპორტო ბლოკადა;

– მეზობელი სახელმწიფოების გარკვეული პოლიტიკური ძალების მცდელობა, საქართველოს შინაური სისუსტეებისა და პრობლემების გამოყენებით გავლენა მოახდინოს მიმდინარე პოლიტიკურ კურსზე და შეცვალონ იგი;

– მეზობელი სახელმწიფოების გარკვეული პოლიტიკური ძალების მცდელობა, გააღვივონ სეპარატიზმი და ირედენტიზმი საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში, რომელიც ქართველებთან ერთად ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული;

– საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებების, განსაკუთრებით, საერთაშორისო ნარკომაფიის მცდელობა, გამოიყენონ საქართველოს ტერიტორია სატრანზიტო გზად;

– საინფორმაციო და პროპაგანდისტული ომის წარმოება საქართველოს საერთაშორისო „იმიჯის“ შელახვისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები შემდეგია:²

– სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება;

– ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ახალი კერების აღმოცენებისა და არსებული კონფლიქტების ესკალაციის თავიდან აცილება და ამ კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური გზების ძიება;

1. ა. რონდელი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები. სადისკუსიო წერილების სია. თბილისი, 1997, გვ.12.

2. იქვე გვ.13.

– სეპარატიზმისა და ირიდენტიზმის წყაროების დადგენა და მათი ნეიტრალიზება;

– ერთ ძლიერ სახელმწიფოზე ცალმხრივი დამოკიდებულების შესუსტება;

– უსაფრთხოების ნორმებისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შექმნა და განვითარება;

– საგარეო პოლიტიკის წარმატებით განვითარებისა და უსაფრთხოების მიზნების განხორციელების დასაჩქარებლად საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში უფრო ფართოდ გაწევრიანება და მონაწილეობის გააქტიურება.

დამოუკიდებლად არსებობის ხანმოკლე პერიოდში საქართველომ შეძლო სტრატეგიული დაგეგმვის უნარის გარკვეულ დონემდე განვითარება. ქვეყნის ხელმძღვანელობას უკვე შეუძლია საშიშროების სხვადასხვა წყაროს დადგენა და განსაზღვრა, უსაფრთხოების ვითარების ცვლილებაზე ადეკვატურად რეაგირება. რეალური უსაფრთხოების პრობლემატიკის გაგების თვალსაზრისით, კვლავ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან პოლიტიკური ელიტის მცირე ნაწილი (ქვეყნის ხელმძღვანელობა) და ყველა დანარჩენი. კიდევ უფრო დიდია სხვაობა ამ მხრივ პოლიტიკური ელიტასა და, საერთოდ, საზოგადოებას შორის. ამის მიზეზი ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურის საკმაოდ დაბალი დონეა, რასაც საბჭოთა ეპოქას უნდა ვუმაღლოდეთ.

საქართველოს კვლავ აკლია გამოცდილი პოლიტიკოსები და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების სფეროს პროფესიონალები. ქვეყანაში იგრძნობა სტრატეგიული აზროვნების და, საზოგადოდ, სტრატეგიული კულტურის დეფიციტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად და გლობალური უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად საქართვე-

ლოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა, მაგრამ ასეთი პროგრამის შესამუშავებლად, ეროვნული ინტერესების განსაზღვრის გარდა, საჭიროა უპირველეს ყოვლისა, ეროვნული პრიორიტეტების ფორმირება. ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნულ პრიორიტეტთა კომპლექსი შემდეგ პრიორიტეტებს უნდა მოიცავდეს:

– ჭეშმარიტი სისტემის ფორმირება, რომელიც დაეფუძნება ერის სულიერ და კულტურულ ფასეულობებს, ისტორიას, ტრადიციებსა და მართლმადიდებლობას;

– ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, მისი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა-შენარჩუნება.

– თავისუფლებისა და ადამიანთა უფლების დაცვა, მათი უსაფრთხოება და მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფოს მოვალეობა ერის წინაშე;

– დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელება, ეროვნულ იდეებზე დაფუძნებული ცივილიზაციის მოწინავე ტენდენციებისა და ჭეშმარიტად საერთო-საკაცობრიო ფასეულობების გათვალისწინებით;

– ეროვნული ეკონომიკის აღორძინება და განვითარება, ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის გამყარება მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევებით, ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის მხარდაჭერა;

– საგარეო-ეკონომიკური კავშირების აღდგენა-განვითარება მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან. მათთან თანამშრომლობა, მსოფლიოში მიღებული სტანდარტების შესაბამისად;

– სახელმწიფოს თანასწორი უფლებები რესურსთა საგარეო წყაროებზე, ვაჭრობის თავისუფლებაზე, ნაოსნობაზე, საჰაერო შეტყობინებაზე და სხვა;

– კორუფციისა და დანაშაულობათა ლიკვიდაცია;

– განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება;

– ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს უპირატესად ეროვნულზე და არა კომპრადორულზე (შუა-

მავლობით განხორციელებული უცხოური კაპიტალისა და ბაზრების, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების), რომელიც ორიენტირებული იქნება მეცნიერებატექვადი წარმოებისა და ეროვნული ტექნოლოგიების განვითარებაზე;

– მსოფლიოში საქართველოს ინტერესების დაცვის უზრუნველყოფი ეროვნული უსაფრთხოების საიმედო სისტემის შექმნა.

დასმული საკითხები ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ რთული და საპასუხისმგებლოა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩვენი აზრით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მატერიალური საფუძველი არის მისი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც იქნება უზრუნველყოფი – ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის, საქართველოს ინტერესების საზღვარგარეთ დაცვის, ერის ფიზიკური და სულიერი განვითარების საფუძველი.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია, გადაიჭრას რომელიმე ამოცანა, როგორც შიგასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო არენაზე.

ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებას გააჩნია მატერიალურ-საგნობრივი საფუძველი, საწარმოო ძალების განვითარების საკმაოდ მაღალი დონე, რომელსაც შეუძლია, უზრუნველყოს ეროვნული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის გაფართოებული კვლავწარმოება. ეკონომიკური უსაფრთხოების შიგა სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლისათვის საკმარისია, საზოგადოებრივი თანხმობის მაღალი დონე გრძელვადიან ეროვნულ მიზნებთან მიმართებაში, რაც საქართველოს სინამდვილეში დღეისათვის პრობლემატურია.

წარმოების ინტერნაციონალიზაციის ფონზე, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

წარმოების ეკონომიკურ უსაფრთხოებას შესწევს უნარი, სა-

მართლებრივად უზრუნველყოს წარმოება საწარმოო ურთიერთობებითა და ორგანიზაციული კავშირებით, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსებით, რომელთა შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება განვითარების სტაბილურობა, საფინანსო-კომერციული წარმატება, პროგრესული სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური განვითარება.

ცნობილია, რომ ცნება „ეროვნული უსაფრთხოება“ არსებითად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ეკონომიკური უსაფრთხოება“ და მოიცავს სამხედრო, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, სოციალურ, ენერგეტიკულ და სხვა სახეობის უსაფრთხოებას. ეროვნული უსაფრთხოების ყველა ეს სახეობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ავსებს ერთიმეორეს. ეროვნული უსაფრთხოების სახეობიდან თითოეულ მათგანს შეუძლია, მკვეთრად გამოჩნდეს სხვა ფაქტორის მოქმედების სფეროში, შეავსოს ან შეასუსტოს მისი მოქმედება. მაგალითად, არ შეიძლება არსებობდეს სამხედრო უსაფრთხოება სუსტი და არაეფექტიანი ეკონომიკის პირობებში, ისე როგორც არ შეიძლება არსებობდეს ერთდროულად არც სამხედრო, არც ეკონომიკური უსაფრთხოება ისეთ საზოგადოებაში, სადაც სოციალური კონფლიქტია. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ეროვნული უსაფრთხოების ბაზისად ისევ რჩება ეკონომიკური უსაფრთხოება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში ჩარევით, თავის მხრივ, აკუმულირებას უკეთებს მათ ზემოქმედებას და თვითონ რჩება ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლად.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების არსი უნდა გამოიხატებოდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში, მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში შრომის ანაზღაურების ოპტიმალურ პირობებში, ბუნებრივი და სანედლეულო რესურსების, გარემომცველი სამყაროს მინიმალური დანახარჯებით. აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის განხილვა შიგა და

გარე ეკონომიკურ პირობებთან მიმართებაში, აგრეთვე ისეთ სფეროებში, როგორცაა: სამხედრო-ეკონომიკური, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის დაცვა; საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა (ჩრდილოეთი ეკონომიკის პრობლემები, ეკონომიკაში ორგანიზებული დანაშაულები და კორუფცია; ეკონომიკური თაღლითობა განხორციელებული კანონის ჩარჩოებში და ა.შ.); ბუნებისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების სფერო და ა.შ.

ყველა დარგსა და სფეროში უსაფრთხოების პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა, კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ეკონომიკის საბაზისო როლს, იმდენად, რამდენადაც წარმოება, განაწილება და მოხმარება განსაზღვრავს საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტს განეკუთვნება არა მარტო სახელმწიფო, მისი სისტემა და ყველა ბუნებრივი რესურსი, არამედ საზოგადოება მისი ინსტიტუტებით, დაწესებულებებით, ფირმებითა და მოთხოვნებით.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სუბიექტებია: ფუნქციურ-დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, ბანკები, ბირჟები, ფონდები და სადაზღვევო კომპანიები, ასევე, პროდუქციის მწარმოებლები და გამყიდველები, მუშათა, მოსამსახურეთა და მომხმარებელთა საზოგადოებები. ხოლო ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნება:

— ფაქტორთა სისტემის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;

— ისეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ააცილებს, ან შეარბილებს ამ ფაქტორების საზიანო მოქმედებას ეკონომიკური რეფორმის ჩარჩოებში.

ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია მოიცავს:

— ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის საშიშ შიგა და გარე

ფაქტორების დახასიათებას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ ეკონომიკურ ინტერესებს;

— ეკონომიკის მდგომარეობის ისეთი კრიტერიუმების და პარამეტრების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.

სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში, საჭიროა განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოების მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ინსტიტუტების გამოყენებით, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედებით.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, საქართველოს კონსტიტუციური წყობის საფუძვლების განსამტკიცებლად, საერთო სახელმწიფოებრივი ფასეულობების და ინტერესების ფორმირების მდგრადი სისტემის შესაქმნელად.

ჩვენი ქვეყნის ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირება. ეს მიზნები არა მარტო უნდა განისაზღვროს, არამედ მიღებული და გაგებულ იქნეს ქართველი საზოგადოების ყველა წევრის მიერ.

ისტორიული განვითარების დღევანდელი ეტაპისათვის არსებობს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უფრო რეალური შიგა და გარე საშიშროებანი. მათი თავიდან აცილება, ან კიდევ დაძლევა უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უმთავრესი მიზანი.

შიგა საშიშროებად ითვლება:

— წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკის დე-

ფორმირებული სტრუქტურა;

– მრეწველობის და, საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა (გამოწვეული ტექნოლოგიური ბაზის უქონლობით, მაღალი ენერგო და რესურსტევადობით, პროდუქციის დაბალი ხარისხითა და წარმოების მაღალი ხარჯებით);

– მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაუარესება, პოზიციების დაკარგვა მეცნიერების ცალკეულ დარგებში. შედეგად კადრების გადინება საზღვარგარეთ და საქმიანობის სხვა სფეროებში;

– ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი დონე;

– დაბალი ინვესტიციური აქტივობა საშუაშელო და საფინანსო საქმიანობაში, მეწარმეობის საზიანოდ;

– მოსახლეობის ქონების განადგურება, ერთდროულად ისეთი ფენების რაოდენობის ზრდა, რომელთაც აქვთ საარსებო მინიმუმზე დაბალი შემოსავალი. ყოველივე ამის ფონზე სახეზეა სოციალური პრობლემების გამწვავება, უმუშევრობა, ნარკომანია, ორგანიზებული დანაშაული, პროსტიტუცია და ა.შ. ამასთან, სოციალური სფეროს დაწესებულებების დეგრადაცია, ნაკლებანაზღაურებადი პირებისათვის ჯანდაცვის სფეროს ხელმიწვდომლობა, ასევე, ითქმის განათლებისა და კულტურის შესახებ, რის შედეგადაც გაუარესდა მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა;

– რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების განსხვავებული დონე. ამის შედეგად ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების რღვევა ცალკეულ რეგიონების საწარმოებს შორის, ცენტრსა და რეგიონებს შორის ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა, ეკონომიკის დარგთაშორისი ბალანსის დარღვევა, შიგა ვალის უკონტროლოდ გაზრდა;

– ეკონომიკის კრიმინალიზაცია; კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობების ზრდა, მისი შეღწევა ეკონომიკის წამყვან დარგებში, რის შედეგადაც შესუსტდა სახელმწიფოებრივი კონტროლი; ეკონომიკის მართვის კრიმინალიზაცია და კორუმპირე-

ბა; ადეკვატური კანონმდებლობის და სასამართლო სისტემის არარსებობა; საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი ინსტიტუტების შეუქმნელობა;

ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმების ფორმირების არასრულყოფილებამ, შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ბალანსირების რღვევა, სოციალური კონფლიქტების გაჩაღება, მცდარი სამამულო მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ხელოვნურად შენელება;

– პოლიტიკის გატარება პრივატიზების სფეროში, რაც გამოიხატება საპრივატიზაციო ობიექტების ღირებულების მკვეთრად შემცირებაში და სხვა.

გარეგანი საშიშროებანი:

– საქართველოს შინაგანი ბაზრის დაპყრობა უცხოური ფირმების მიერ და ამის შედეგად, მრავალი სახის საქონლის იმპორტის მოზღვაება;

– ქვეყნის საექსპორტოდ ნედლეულის მრავლად გატანა და ტრადიციული ბაზრების დაკარგვა;

– უცხოური ფირმების მხრიდან ჩვენი ქვეყნის საწარმოების დაპატრონება სამამულო პროდუქციის როგორც შიგა, ისე გარე ბაზრებიდან გაძევების მიზნით;

– საქართველოსადმი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დროს საზღვარგარეთის ქვეყნების დისკრიმინაციული ზომების მიღება;

– საგარეო ვალის დიდი რაოდენობა, მისი გაზრდა და ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის გასავლების გადიდება მის დასაფარავად;

– არასაკმარისი საექსპორტო კონტროლი, საბაჟო საზღვრების მოუწყობლობა;

– სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა იმპორტ-ექსპორტის ოპერაციების შესასრულებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალ ეტაპზე უფრო მიუღებელია შიგა საშიშროებანი. ამასთან ერთად, გარე საშიშროება უფრო

აძლიერებს ზოგიერთი შიგა საფრთხის საშიშროებას.

საქართველოს ეკონომიკის შიგა და გარე საშიშროებების განხილვის შემდეგ, ინტერესმოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ, სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების მეთოდებს. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შესაფასებლად, დღეისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

– ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე ყურადღების მიქცევა და მათი შედარება სხვა მაჩვენებლებთან, რომლის ხარისხობრივ მაჩვენებლადაც ითვლება საერთო მსოფლიო მაჩვენებლები;

– ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფასება ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით და მათი დინამიკა;

– ექსპერტული შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება გამოსაკვლები პროცესების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისათვის, რისთვისაც იყენებენ გადაწყვეტილების მიღების ლოგიკურ წესებს, რომლებსაც აყალიბებენ ექსპერტები საკუთარი შეხედულებებისა და ცოდნის მიხედვით რომელიმე დარგის პროგრამის საფუძველზე. მათში შედის კრიზისის დონის მტკივნეულად შეფასება და ტერიტორიების რანჟირება ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროების მიხედვით, რომლის საფუძველია ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტობრივი ინდიკატორების გათვითცნობიერება ანალიზის საშუალებით და რომელიც მიიღება ეკონომიკური უსაფრთხოების შემსწავლელი ინდიკატორების ერთიანობით. მათში იგულისხმება:¹

- ანალიზისა და სცენარების შემუშავების მეთოდი;
- ოპტიმიზაციის მეთოდები;
- თეორიული თამაშის მეთოდები;
- სარგებლიანობის მეთოდები;
- გაურკვეველი თეორიის სისტემის მეთოდები;
- მრავალმხრივი სტატისტიკური ანალიზის მეთოდები;

1. Стратегия экономической безопасности и инновационной политики (страна, регион, фирма). Под редакцией Олсейникова Е. А., М., 1994. с. 69

გარდა ამისა, აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის, რომ რამდენადაც სასარგებლოც არ უნდა იყოს მრავალმხრივი მიდგომა, იგი მაინც არაა უნივერსალური. ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა მაჩვენებელი არ შეიძლება გამოისახოს რაოდენობრივი ფორმით, მაგრამ მრავალმხრივი მიდგომის გამოყენება საშუალებას იძლევა, მოვლენის იმ მხარეებს შევხედოთ, რომელთა გახსნაც ძნელია ერთ ან ორ უმთავრეს მაჩვენებელზე დაყრდნობითაც კი; იმავედროულად იგი არის სამეცნიერო ანალიზის სხვა ხერხების დამატება და გაგრძელება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კონკრეტული ინსტრუმენტის განსაზღვრისას, საჭიროდ მიგვაჩნია, გავითვალისწინოთ ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროებანი. ასევე, მხედველობაში მივიღოთ ამ საშიშროების მოკლევადიანი, ან გრძელვადიანი მოქმედების ხასიათი და მათი შეწყვეტის შესაძლებლობა.

გარდამავალ პერიოდში საქართველომ უნდა მიიღოს ზომები ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად. კერძოდ, საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფომ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები.

— შექმნას ინფორმაციული ბაზა: ეკონომიკისა და საზოგადოების ობიექტები, რომელიც აუცილებელია ყოველმხრივი მონიტორინგისათვის. ამ მონიტორინგის გამოყენება ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნით შიგა და გარე საშიშროების გამოვლენა-პროგნოზირების საფუძველზე;

— ოპერატიული და გრძელვადიანი ზომების შემუშავება შიგა და გარე საშიშროების მითითება-ნეიტრალიზებისთვის. ასევე, მოხდეს მათი შედეგების შეფასება;

— სახელმწიფო ზომების კომპლექსის რეალიზება.

ამ ფუნქციების განხორციელება მოითხოვს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორული სისტემის გამოყენებას. სწორედ ეს სისტემა უნდა განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიაში.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში უნდა განხორციელდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

– მკვეთრად გაიმიჯნოს საქართველოს პრეზიდენტის, მისი აპარატის, მთავრობის და აღმ.სრულლებელი ხელისუფლების ფუნქციები;

– ზუსტად განისაზღვროს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე განსახორციელებელი ამოცანები. ასევე, გაიმიჯნოს სახელმწიფო მართვის ფუნქციები რეგიონულ და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ერთიანი სისტემის უზრუნველყოფის პირობებში;

– სახელმწიფო რეგულირებისა და მისი ადეკვატური ინფორმაციული უზრუნველყოფა. ამასთან, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში რეალიზდებოდეს გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, თუ რა არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, რომლის ხერხემალიც შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ გონიერულად გააზრებული სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში. სწორედ ეს უნდა დაედოს საფუძვლად საქართველოს ისეთი ორიენტაციით განვითარებას, როგორცაა: გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში არსებული რესურსების გამოყენებით, სწრაფად გამოსვლა კრიზისიდან და ადაპტაცია გლობალურ პროცესებთან; უცხოური ინვესტიციების მასშტაბური მოზიდვა საქართველოში, რაც განაპირობებს დაგროვების და ინვესტიციური საქმიანობის მაღალ ტემპს; პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის სწრაფი მიღწევა; განათლების, მეცნიერების და ინფორმაციული კომპლექსის განვითარების დაჩქარება; ჩამორჩენილობის დაძლევის ტემპის ინტენსიფიკაცია. შედეგად მივიღებთ იმას, რომ საქართველო გახდება

ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო რეგიონში, ცხოვრების მაღალი დონით, საერთაშორისო თანამშრომლობით. საბოლოო ჯამში, მისი როლი მსოფლიოში მნიშვნელოვნად ამაღლდება.

სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება არის საერთაშორისო მასშტაბით შრომის დანაწილების შედეგი. საერთაშორისო კავშირები ის ძირითადი ფაქტორია, რომელიც ზეგავლენას ახდენს ცალკეული სახელმწიფოების და რეგიონების განვითარების დონეზე.

სახელმწიფოებს შორის შრომის დანაწილების ერთ-ერთი ძირითადი ფორმათაგანია შრომის ტერიტორიული დანაწილება. ის გამოხატავს საერთაშორისო მასშტაბით შრომით საქმიანობას.

შრომის საერთაშორისო ტერიტორიული დანაწილება ობიექტური პროცესია და იგი ყველა ქვეყანას იზიდავს. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ღრმადაა ჩართული ქვეყნები ამ პროცესში, მით უფრო მაღალია მსოფლიო მეურნეობის, რეგიონების და სახელმწიფოების ეკონომიკური ეფექტიანობის ტემპები. ამ კანონზომიერების უარყოფა და მხოლოდ საკუთარ ძალებზე ორიენტირება გამოიწვევს ეკონომიკის ჩამორჩენას და კრიზისს.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გამოიხატება მსოფლიო მეურნეობაში ცალკეული ქვეყნების (რეგიონების) სპეციალიზებით ამა თუ იმ სახის სამრეწველო, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე. რის გამოც უმთავრეს როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, განვითარების ისტორიული და ეროვნული თავისებურებანი, მოსახლეობის შრომითი ჩვევები, ბუნებრივი პირობები და სიმდიდრე.

გეოპოლიტიკური გარემო, როგორც სახელმწიფოს განვითარების აუცილებელი პირობა, ზემოქმედებს აღნიშნულ პროცესზე, აჩქარებს ან აფერხებს მას. ამასთან ერთად, ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება მატერიალური სიკეთის წარმოების უნარი, წარმოებითი ურთიერთობების ხასიათი, რადგანაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა მიეკუთვნება წარმოებითი

ურთიერთობების სფეროს.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე და ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე არსებით გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, კერძოდ კი:

– ამა თუ იმ სახელმწიფოს სამეურნეო სპეციალიზაციის და ეკონომიკური განვითარების დონე;

– სხვადასხვა ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული მოსახლეობის სამეურნეო ჩვევა.

თანამედროვე პირობებში შრომის საერთაშორისო დანაწილების დონეზე, სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი. შრომის საერთაშორისო დანაწილება გარკვეული დონით დამოკიდებულია საერთაშორისო ვითარებაზე და ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური, წარმოების სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო სპეციალიზაციის პროცესში წარმოიშვა შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი ტიპი – ინტეგრაცია. იგი ხელს უწყობს საიმედო ეკონომიკური კავშირების დამყარებას და შრომის დანაწილებას. განაპირობებს საერთაშორისო სამეურნეო კომპლექსების ჩამოყალიბებას. ცალკეულ საწარმოებს და დარგებს შორის მიმდინარეობს ეკონომიკური ინტეგრაცია. ინტეგრაციული პროცესების რეგულირების პროცესში დიდ როლს თამაშობს ქვეყნების სახელმწიფო აპარატი და სახელმწიფოთაშორისო ინსტიტუტები.

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, მომავალში განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.

XX საუკუნის მეორე ნახევარი ხასიათდება სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებით, ცალკეულ ქვეყნებს შორის კავშირების

გაფართოებით, შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებით. ახლა არ არსებობს ქვეყნები, რომლებიც არ არიან ჩართულნი საწარმოო ურთიერთობებში. დღეისათვის, მთელი მსოფლიო ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ურთიერთდამაკავშირებელი არენაა.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა – ესაა საქმიანობის განსაკუთრებული სფერო, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო დანაწილებას. იგი ობიექტურად გამომდინარეობს შრომის დანაწილების პრინციპიდან, მეცნიერებისა და წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციიდან, ასევე, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციიდან. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება განისაზღვრება, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებს შორის ურთიერთკავშირების და ურთიერთდამოკიდებულების დამყარებით. იგი დამოკიდებულია ბუნებრივ (გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ და ა.შ.) და შენაძენ (საწარმო, ტექნოლოგიურ და ა.შ.) ფაქტორებზე, ასევე, სოციალურზე, ეროვნულზე, ეთნიკურზე, პოლიტიკურზე და ზნეობრივ-სამართლებრივ პირობებზე. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო დანაწილებას, მოიცავს საქმიანობის მთელ რიგ სფეროებს საერთაშორისო ვაჭრობის ყველა კომპონენტის სახით.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სფეროში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (სეუ) ძირითად ნიშნებად აღიარებულია:¹

პირველი. როგორც ნებისმიერ ეროვნულ ეკონომიკაში მსოფლიო მეურნეობის და სეუ საფუძველია შრომის დანაწილება და გაცვლა. მაგრამ არა შიგაეროვნული, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, რომლის მიხედვითაც ცალკეული ქვეყნის წარმოება ან მოხმარება, ამა თუ იმ ზომით დამოკიდებულია ერთმანეთზე.

მეორე. სეუ მონაწილეები ეკონომიკურად განცალკავებულია. კერძოდ, განსაკუთრებული ფორმით იგრძნობა ეროვნულ-სამეურ-

1. Портер М., Международная конкуренция. М., 'Международные отношения', 1993. с. 231

ნეო განცალკავებულობა, რაც ობიექტურად აფუძნებს კავშირებს სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში.

მესამე. მსოფლიო-სამეურნეო გაცვლითი კავშირების ერთობლიობა. სეუ მოქმედებს მიწოდების და თავისუფალი ფასწარმოქმნის კანონებით, რომლებიც ძირითადი ქვაკუთხედია ნებისმიერი საბაზრო მექანიზმისათვის.

მეოთხე. ისევე როგორც ეროვნული ბაზრები, სეუ მსოფლიო ბაზარი ხასიათდება საქონლის და მომსახურების, გამყიდველებსა და მყიდველების კონკურენციით, რაც ბაზარზე მოძრავი საქონლისა და მომსახურების უდიდესი ნაკადის ძალით უმკაცრესია. იგი ივსება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების გადაადგილებით.

მეხუთე. სეუ ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც წარმოადგებს დარგთაშორისი პროდუქციის უდიდეს ნაკადს. ამ პირობებში ფორმირდება მსოფლიო სასაქონლო ბაზრები, სადაც ხორციელდება ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება საქონლის ყიდვა-გაყიდვას. ეს ოპერაციები სისტემატურია და საიმედო.

მეექვსე. საქონლის და მომსახურების გაცვლა, წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილება, გაშუალებულია ფულის მოძრაობით; ანგარიშსწორების სისტემით; სასაქონლო კრედიტებით; სავალუტო ურთიერთობებით. სასაქონლო ბაზრების გვერდით ფუნქციონირებს მსოფლიო საფინანსო ბაზარი, საერთაშორისო საფინანსო-სავალუტო სისტემა. კაპიტალის მოძრაობა, უცხოური ინვესტიციები, გრძელვადიანი საერთაშორისო, სახელმწიფო კრედიტები აძლევს მსოფლიო ფინანსურ სისტემას დასრულებულ სახეს. ქვეყნებს შორის განსხვავება შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში, მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებით და პირობებით განსაზღვრავს: სახელმწიფოთაშორისო სამუშაო ძალის ნაკადების წარმოშობას და განვითარებას, რაც საფუძველს უქმნის შრომის მსოფლიო ბაზრის წარმოშობას. ინფორმაციული უზრუნველყოფის მზარდი როლი, ინ-

ტელექტუალური საკუთრება, პატენტირება-ლიცენზირების სიახლეების სისტემების ფართოდ დანერგვა, სახელმწიფოთაშორისო შეთანხმება საავტორო უფლებების დასაცავად ქმნის წინაპირობებს მსოფლიო საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად.

მეშვიდე. სეუ ითვალისწინებს საკუთარ ინფრასტრუქტურას, სპეციალურ ინსტიტუტებს. ისინი წარმოდგენილი არიან საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ როგორც მსოფლიო, ისე რეგიონული მნიშვნელობის მიხედვით.

მერვე. სეუ მიდრეკილება აქვს მონოპოლიზაციისაკენ. იგი შესაძლებელია წარმოების გასაღების და კონცენტრაციის ხაზით კერძო საწარმოო სტრუქტურებით (მაგალითად, ტრანსეროვნული კომპანიების შექმნა და საქმიანობა). ასევე, საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებით და კავშირებით, რომლებიც აერთიანებს ზოგიერთი სახეობის პროდუქციის მიმწოდებელ მსხვილ ქვეყნებს და ფირმებს (მაგალითად, ოპეკი).

ყოველივე ამასთან, სეუ არაა თავისუფალი საერთაშორისო, რეგიონული, სახელმწიფოებრივი ჩარევისაგან. იგი თავს იჩენს სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ, სასაქონლო, საკრედიტო, სავალუტო, საბაჟო და საგადასახადო შეთანხმებებსა და კავშირებში. გარდა ამისა, ყოველ ცალკეულ ქვეყანაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების შედეგები, ასევე ზეგავლენას ახდებს სეუ-ს მდგომარეობაზე.

სპეციალისტთა შეფასებით თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობასა და საერთოდ ეკონომიკურ ურთიერთობას განსაზღვრავს ოთხი ძირითადი ელემენტი;

პირველი. მსოფლიო ეკონომიკის მზარდი ინტეგრაცია, რომელშიც ვაჭრობა ვითარდება ეკონომიკური აღმავლობის წინმსწრები ტემპით;

მეორე. დემოგრაფიული ტენდენციების მკვეთრი სხვადასხვაობა. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული ზრდის მინიმალური ან ნულოვანი ტემპის ფონზე მოსახლეობის მკვეთრი

ზრდა განვითარებად ქვეყნებში;

მესამე. საბაზრო რეფორმების ფართო გავრცელება მსოფლიო მასშტაბით. ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის შედეგად განვითარებადმა ქვეყნებმა 1982 წლიდან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ (11 პროცენტიდან 25 პროცენტამდე) გაზარდეს თავიანთი ხვედრითი წილი მსოფლიო ვაჭრობაში;

მეოთხე. „ცივი ომის“ დასრულების შედეგად ქვეყნებს შორის სამხედრო პოლიტიკურ სფეროში კონკურენციამ გადაინაცვლა ეკონომიკურ სფეროში.

ყველა ეს მიდგომა საყურადღებოა საქართველოსათვის, განსაკუთრებით კი გარდამავალი პერიოდის სასტარტო ეტაპზე. სწორედ დღეს დამყარებული საგარეო კავშირები იქნება მომავალში ქვეყნის განვითარების ხასიათის განმსაზღვრელი. ამასთან, საერთაშორისო კავშირების დამყარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებები, დღევანდელი რეალიებით და მომავლის შესაძლო პერსპექტივებით. ხოლო უშუალოდ საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხის შესწავლისას, ჩვენი აზრით, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს შრომის საერთაშორისო დანაწილების საკითხებზე.

ვფიქრობთ, შრომის დანაწილება, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაფიქსირდეს კავკასიის რეგიონით. ეს რეგიონი მოიცავს რუსეთის ფედერაციის შესაბამის ნაწილს, როსტოვის ოლქს, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებს, დაღესტანის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულებს, სომხეთს, აზერბაიჯანს. თუმცა ჩვენთვის, ამავე დროს, საინტერესოა გეოპოლიტიკური ინტერესით, გარკვეული ზომით საქართველოსთან დაკავშირებული ქვეყნები: თურქეთი, ირანი, უკრაინა, მოლდოვა, რუმინეთი, ბულგარეთი და შავი ზღვით ჩვენთან დაკავშირებული სხვა სახელმწიფოები.

შრომის საერთაშორისო დანაწილების საკითხი ორმხრივად უნდა დამუშავდეს:

- პირველი. რა ადგილს დაიკავებს საქართველო მსოფლიო ბაზარზე, როგორც მიმწოდებელი და როგორც მომხმარებელი;
- მეორე. როგორი იქნება კავშირურთიერთობა თანამშრომლობის ქვეყნებს შორის.

ეფიქრობთ, საკითხის გარკვევა საშინაო ბაზრის შესწავლით უნდა დაიწყოს და რეგიონულ ჭრილში განისაზღვროს, რისი გაკეთება შეუძლია ცალკეულ რეგიონებს საშინაო და საგარეო ბაზარზე მონაწილეობის მისაღებად. ამის შემდეგ აუცილებელია კავკასიის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინება და საქართველოს როლის განსაზღვრა. ჩვენი აზრით, კავკასია ერთ-ერთი დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე რეგიონია მსოფლიოში და მისი გამოყენების მაშტაბების დადგენა აქ მცხოვრებ ხალხთა ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამ რეგიონში საქართველოს სწორი სტრატეგიული ამოცანაა, ვიყოთ ამ რეგიონში არა მხოლოდ მომხმარებელი ან მწარმოებელი, არამედ ქვეყანა, რომელიც ორი კონტინენტის შესაყარზე იმყოფება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების სახალხომეურნეობრივი კავშირებისა და ტრანზიტული ფუნქციების განხორციელების საქმეში, ეკონომიკის, კულტურის და სოციალური საკითხების გადაჭრაში. ამასთან, ჩვენთან ერთად დაინტერესდებიან დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ინგუშეთის, ოსეთის, ჩეჩნეთის და სხვა ხალხები, რომელთათვის კავკასიის რეგიონი სამეურნეო მოქმედების მთავარი ორიენტირი უნდა გახდეს. თუ საქართველო ამას მიაღწევს, მაშინ იგი შესძლებს შედარებით მოკლე პერიოდში ქვეყანა ააღორძინოს და ჩვენზე უფრო განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებს შესაძლებლობა ექნებათ საქართველოს მეშვეობით საიმედო კავშირი დაამყარონ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ამავე ღროს, ჩვენთანაც კონკრეტულ ურთიერთობას დაამყარებენ. ეს რთული ამოცანა გადასაწყვეტია საკუთარი ძალებით, მაგრამ საჭიროებს მეცნიერულ დასაბუთებას, რომლის გარეშეც შესაძლებელია საქართველომ ქმე-

დუნარიანობა დაკარგოს და ეკონომიკურად სამუდამოდ სხვაზე დამოკიდებული ქვეყანა გახდეს. კავკასიაში საკითხის ამგვარად მოგვარებას განამტკიცებს პოლიტიკური ხაზიც, რაც საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით წამოიჭრა – მშვიდობიანი კავკასიის ფუნქციონირება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტის პირობებში, შედარებით ადვილად მოსაგვარებელი იქნება რუსეთთან ურთიერთობაც, რადგან იგი დაინტერესებული იყო და არის კავკასიის რეგიონით. რუსეთი საქართველოს დღეს განიხილავს როგორც მსოფლიო პოლიტიკურ სუბიექტს, რომელსაც საკუთარი ინტერესები ამოქმედებს და თავადაც ითვალისწინებს ამ რეგიონში რუსულ-დასავლური ფაქტორების დაბალანსების მიღწევას. ამ კავშირს შუა აზიის ქვეყნებიც შეუერთდება, რადგან მათთვის დასავლეთთან ურთიერთობა ხელსაყრელია კავკასიის გავლით. ეს კი მოგვაძებნინებს კავშირის ხელსაყრელ ფორმებს დასახელებულ ქვეყნებთან და საქართველოს დარგობრივი სტრუქტურაც არსებითაც შეიცვლება.

ასეთი კურსის გატარება გულისხმობს:

– საქართველოს ფართომასშტაბიან ვაჭრობას დასახელებულ ქვეყნებთან.

– ეკონომიკური კავშირურთიერთობების ქსელის სრულმასშტაბიან უვნებელყოფას, საქართველოს პარტნიორი ქვეყნების სათანადო მომსახურებაზე ორიენტაციის გზით;

– პარტნიორ ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნოლოგიური შედეგების გაცვლას;

– კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობას;

– საბაჟო შეზღუდვების მოხსნას და სტრატეგიული დარგების შესაბამისი ტექნიკური ბაზის შექმნას, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კვლავწარმოებითი დარგების მასშტაბების დადგენით;

– სამეურნეო თანამშრომლობის გლობალური პრობლემის გადაწყვეტას;

– შიგარეგონული მნიშვნელობის დარგების ეკონომიკურ შე-

ფასებას და მათი პერსპექტივების დადგენას.

აღნიშნული ეკონომიკური კურსის გატარებას საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ეკონომიკის ჩართვა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, სტრატეგიული მიზნის დასახვითაც მოხდება და მისი რეალიზაციის ტაქტიკური გზების გატარებითაც. რაც საქართველოსთვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მნიშვნელოვანი ციკლის – შესაბამის ქვეყნებთან თანამშრომლობის დამყარების წარმატებით დამთავრებაც იქნება.

რაც შეეხება ამიერკავკასიის ქვეყნებს – აზერბაიჯანსა და სომხეთს, მათთან ურთიერთობის ყველაზე მისაღები გზა იქნება „სამთა კავშირის“ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ეკონომიკური ინტეგრაცია. თუმცა ამ ეტაპზე ეს ძალიან ძნელი განსახორციელებელია, მაგრამ ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყნებს შორის განვითარებული მოვლენები გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ამასთან, მომავლისათვის აზერბაიჯანთან კავშირი უნდა განხორციელდეს მისი ინტერესების შეუღალხავად. ბაქოს ნავთობსადენის საქართველოზე გავლა ამის რეალურ შესაძლებლობას იძლევა, ხოლო, რაც შეეხება სომხეთთან თანამშრომლობას, ამაში თვით სომხები იჩენენ ინიციატივას. კერძოდ, მათი მოსაზრებით, სომხეთს დღეისათვის შეუძლია ურთიერთსასარგებლო კოოპერაცია საქართველოსთან. მაგალითად, მომპოვებელი დარგებით, სატრანზიტო გზით, ელექტროენერჯის წარმოებით. გარდა ამისა, ლაპარაკი შეიძლება იყოს ქვეყნების ერთიანი ენერგეტიკული კომპლექსის შექმნის შესახებ. მაგრამ, ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გადაუჭრელია რიგი პოლიტიკური საკითხები.

უკრაინის ეკონომიკასთან კავშირი ურთიერთშემავსებელია და მასთან საბედისწერო კონკურენტული ბრძოლა მოსალოდნელი არ არის, რადგან ეს ქვეყანა დაინტერესებულია საქართველოს გაძლიერებით და არა მისი დასუსტებით. იგი ერთ-ერთი მოსარგებლეა ამიერკავკასიის ღერეფნისა და ამ ღერეფანში მასთან თანამშრომლობა საქართველოს ინტერესებს ეხმიანება. მიუხედა-

ვად ამისა, უკრაინასთან ურთიერთობა მეცნიერულად უნდა დასაბუთდეს.

შვე ზღვაზე გავლენა აუცილებლად საჭიროებს სათანადო კავშირებს ბულგარეთსა და რუმინეთთან.

თურქეთთან კავშირი უკვე გამოიკვეთა. საქართველოს საშინაო ბაზარზე მისი გავლენის დადებითი და უარყოფითი კონტურები იგრძნობა, არადა, საქართველოს და თურქეთის მეურნეობების დარგობრივ სტრუქტურაში ბევრი რამ საერთოა. ეს თითქოს აადვილებს მასთან კავშირს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თურქეთში დიდია უცხოელ ინვესტორთა როლი, რაც უთუოდ შეგვზღუდავს მასთან ურთიერთობებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკა ზემოთ დასახელებულ სახელმწიფოებთან ურთიერთობების გაღრმავება – გაფართოების გარეშე ვერ განვითარდება. დღეს, როცა მიმდინარეობს მსოფლიო მეურნეობის ახალი ერთიანობის ჩამოყალიბების ხანგრძლივი და საინტერესო პროცესი, ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ნორმალიზაცია და განმტკიცება, მხოლოდ მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირების მექანიზმების გაჯანსაღება-რეგულირების პირობებშია შესაძლებელი. სწორედ საგარეო ეკონომიკური კავშირები ქმნიან მსოფლიო მეურნეობის ერთიან ეკონომიკური სივრცეში ქვეყნის ჩართვის აუცილებელ პირობებს, რომელთა გამოყენება სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის რეალური ფაქტორია.

5. ძველის რევიზიული დაცვის რევიზიული და პერსონალი

ცნობილია, რომ ტერიტორიულ-კვლავწარმოებითი მიდგომა გამოხატავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის ერთიანობას, რაზეც აღმოცენდება სუვერენული სახელმწიფო. საქართველოს სახელმწიფოებრიობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ცხადია, სახელმწიფო შედგებოდა ქვეყნის გარკვეული კუთხეებისაგან და წარმოადგენდა ცალკეულ სივრცობრივ-ტერიტორიული რევიზიების ერთობასა და ერთობლიობას.

ჩვენს ყურადღებას ყველაზე მეტად ის გარემოება იპყრობს, რომ ნებისმიერი ეკონომიკური საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისათვის აუცილებელია ადგილობრივი თავისებურებების, ადგილობრივი ჩვეულებების გათვალისწინება. ადგილობრივი გარემო პირობებისა და ჩვეულებების გათვალისწინება ილია ჭავჭავაძეს რეფორმის გატარებისას აუცილებლად მიაჩნდა. ამიტომ მას არ მოსწონდა ის რომ, „მთელი კანონმდებლობა ამ საგანზედ (მამულების შესყიდვის შესახებ) იმავე საფუძველზედ არის დამყარებული, როგორც საერთოდ რუსეთში“-ო¹.

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ საერთო ეროვნული და რევიზიული ინტერესები და მმართველობა ერთმანეთთან უთუოდ შეთანხმებული უნდა იყოს ზომიერად, ანუ უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, საჭიროა მათ შორის ზომიერი თანაფარდობის დადგენა. ასეთი ზომის დადგენა საჭირო სახელმწიფო და საზოგადოებრივ საჭიროებას შორის, ეროვნულ და რევიზიულ ინტერესებს შორის, ზოგადსაკაცობრიოსა და ეროვნულს შორის. ცხოვრება ისეთია, რომ ერთდროულად ყველა მომენტს მოიცავს, მაგრამ მათ შორის თანაფარდობის ზომის დადგენაა უმთავრესი. მხოლოდ ასეა შესაძლებელი მათი გონივრული სინთეზი. ილია მიიჩნევდა, რომ ადგილობრივ საქმეებს უნდა განაგებდნენ ადგილობრივი

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 25.

მკვიდრნი. რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი უნდა განაგებდეს, მართავდეს ისეთ საკითხებს, რომელიც ყველა ადამიანს ერთნაირად შეეხება და მათ კეთილდღეობას ერთნაირად განაპირობებს. მათ მიეკუთვნება: საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება, საყოველთაო ფინანსები (შემოსავალ-გასავალი) და „საყოველთაო მხედრობის განწყობილება“, ანუ ქვეყნის თავდაცვა.

დასაბუთებულია, რომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დამკვიდრებაში, სამოქალაქო საზოგადოების აშენებაში ილია ჭავჭავაძე ხელაველა ქართველთა საკუთარ მე-სა და პირადი ეგოისტური ინტერესების ტყვეობიდან გამოხსნის საშუალებას. სწორედ ამ სენის დაძლევის მიიჩნეოდა იგი ხსნის გზად. საზოგადოებრივი ინტერესების წინა პლანზე წამოწევის, ერის ნამდვილი მთლიანობის მთავარ გზად ილია ჭავჭავაძეს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შემოღება მიაჩნდა. ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდა. ეს ერთიანობა დიდ ილიას ესმოდა ისე, რომ ყველა მოქალაქეს აქტიური მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს ყველა ფუნდამენტური ინტერესების გადაწყვეტაში, ეს იქნებოდა – საზოგადოებრივი-ეკონომიკური ცხოვრება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, სამხედრო სამსახური თუ სხვა საკითხები. ილია გენიალურად ასაბუთებდა, რომ ჩვენი წინაპრები ასეთი ერთიანობით ახერხებდნენ ქვეყნის გადარჩენას.

ილიას ნაშრომებიდან ნათელია, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნდა სხვა ქვეყნების კანონების გამოყენება, იქიდან ყოველივე იმის ამოღება, რაც მოცემულ ქვეყანას სიკეთეს მოუტანდა. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ კანონების გამოყენებას ადგილობრივი თავისებურებების უეჭველი გათვალისწინების საფუძველზე. ამას კი მხოლოდ მაშინ მივალწევდით, თუ დაეამკვიდრებდით ადგილობრივ თვითმმართველობას, მის უმთავრეს საფუძველებს. 1905 წლის 9 მარტს თავადაზნაურობის კრებაზე ილია ჭავჭავაძეს აღუნიშნავს: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა

კრებულისაგან¹. ამ სიტყვებიდან შეიძლება სახელმძღვანელო დასკვნის გაკეთება. ეკონომიკური რეფორმის გატარებისას ადგილობრივი თავისებურებების სრულყოფილი გათვალისწინება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების პირობებში შეიძლება.

ეკონომიკური რეფორმის გატარებაში, ადგილობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სხვა ქვეყნიდან ზუსტი კოპირების სახით გადმოტანილ უხეირო (ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობიდან გამომდინარე) კანონებთან ერთად, ავტორს უმთავრეს პრობლემად მიაჩნდა ბიუროკრატიზმი. ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ბიუროკრატიზმი საქმის უდიდესი მტერია. თუ როგორ მოქმედებს იგი საქმის საზიანოდ, ილიას კლასიკურად აქვს აღწერილი 1887 წელს დაწერილ სტატიაში – „ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი“.

ცივილიზაციის მიღწეული ღონე ახალ აზროვნებას მოითხოვს. თანამედროვე ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ღრმა მეცნიერულობა, რეალისტურობა, მასშტაბურობა, სისტემაურობა, მოქნილობა. ახალი აზროვნება უნდა დაფუძნდეს ობიექტურ კანონზომიერებათა ღრმად შემეცნებაზე, რომელიც ახლანდელ რეალობებს ითვალისწინებს. უნდა შეგვეძლოს წარსულის სამართლიანი შეფასება. საჭიროა გონივრულად მივუდგეთ საქმეს, არ შემოვიფარგლოთ ამწუთიერი ამოცანებით. ყოველი საკითხი კომპლექსურად უნდა გადავწყვიტოთ. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის მსვლელობისას დროულად უნდა გავითვალისწინოთ ახლადწარმოშობილი გარემოებები, ახალი მოვლენები და პროცესები. ასეთია მეცნიერული აზროვნების ლოგიკა. ილიას აზროვნება ხასიათდება როგორც ყოვლისმომცველი, მასშტაბური, გლობალური აზროვნება. აღსანიშნავია, რომ იგი იმდროისათვის მსოფლიოს ყველაზე უფრო განვითარებული

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2, გვ. 275.

ქვეყნის, ინგლისის „სარგებლობას“, მის „კარგად ყოფნას“ დამოუკიდებლად, ცალკე აღებულად კი არ განიხილავს, არამედ რეგიონულ, გლობალურ კონტექსტში. ასევე უდგება იგი საქართველოსაც.

ჩვენი ქვეყანა ტერიტორიული განსხვავებულობის თავისებური კალეიდოსკოპია, რეგიონული სიჭრელისა და სირთულეების მიხედვით საქართველოს ცოტა ანალოგი თუ მოებენება მსოფლიოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეგიონების ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტური საფუძველი სწორედ რეგიონული თავისებურებანი და განსხვავებანი უნდა გახდეს.

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან განვითარების დონეების მიხედვით, მეურნეობის სპეციალიზაციისა და სტრუქტურის მიხედვით, მთლიანად ქვეყანასთან მიმართებაში თითოეული რეგიონის როლით, მნიშვნელობითა და ადგილით.

ცალკეულ რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავება კონკრეტულად გამოიხატება ზოგიერთ ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელში, როგორცაა, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, რეგიონების საწარმოო და სოციალური სპეციალიზაცია, დემოგრაფიული სიტუაცია, ყოფითი ტრადიციები, ადატ-წესები, კულტურის დონე და სხვა.

აღბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის აღნიშნული ხასიათის მკვეთრი განმასხვავებელი მახასიათებლები არსებობს და არსებობდა შორეულ წარსულშიც. ვფიქრობთ, რომ ძირითადად, ეს ედებოდა საფუძველად იმ გარემოებას, რომ საქართველოში უკვე შუა საუკუნეებში ეხვდებით ქვეყნის ცალკეული ტერიტორიული სივრცეების მიხედვით მსჯელობას. მართალია, საქართველოს ცალკეული კუთხეები, როგორც ასეთი, ადრეულ პერიოდებში რეგიონის კონკრეტული სახელწოდებით არ მოიხსენიებოდნენ, მაგრამ მათ ირგვლივ მსჯელობის შინაარსი სწორედ ქვეყნის სივრცობრივ, რეგიონულ შინაარსზე მიანიშნებს. ნათქვამის სისწორე-ჭეშმარიტებაში დაგ-

ვარწმუნებს ზოგიერთი ქართველი მეცნიერისა და მკვლევარის შრომები, მოსაზრებები და გამონათქვამები.

ამ მხრივ ხელშესახებია პროფესორ შ. მესხიას მოღვაწეობა და მისი შრომები, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქების ისტორიასა და საქალაქო წყობას ფეოდალურ საქართველოში.

„XI საუკუნის შუა წლების თბილისში „ქალაქის ბატონის“ მფლობელობის გვერდით და მისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული „ქალაქის ბერთა“ ხელისუფლება, „ქალაქის უხუცესთა კრებული“, რომელიც უმთავრესად საქალაქო საქმეების გადაწყვეტას დამოუკიდებლად აწარმოებდა, საქალაქო თვითმმართველობის ორგანო იყო. ამრიგად, XI საუკუნის 40-იანი წლებისათვის საქალაქო თვითმმართველობას თბილისში სავსებით ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. ამ მხრივ თბილისმა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად გაუსწრო დასავლეთ ევროპის ბევრ ქალაქს (ლონდონში 1193 წლიდან იწყება საქალაქო საბჭოს ჩამოყალიბება)“¹.

ამავე ავტორის მიერ სხვაგან შემდეგი მოსაზრებებია განვითარებული: „ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში, ძველსა და ახალ მოხელეობასა და სამოხელეო ინსტიტუტებს შორის ბრძოლის პერიოდში წარმოიშვა ახალი სამოხელეო ინსტიტუტი „მოსაკარგავეობისა“ და მისი შესაბამისი ახალი მოხელეები „მოსაკარგავე აზნაურები“; „საკარგავე მეფის მიერ განსაგებლად, სამართავად“ გაცემულ ტერიტორიას, ქვეყანა ეწოდებოდა, „მოსაკარგე“ კიდეც მეფის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიის, ქვეყნის მხოლოდ განმგებლად, მმართველად დანიშნულ მოხელეს. „მოსაკარგავეობის“ ინსტიტუტმა დასრულებული სახე დავით აღმაშენებლის დროს მიიღო“².

პროფესორი შ. მესხია აგრძელებს რა მოცემულ თემაზე მსჯელობას, შემდეგი თანმიმდევრობით ავითარებს ისტორიულ

¹ შ. მესხია – საისტორიო ძიებანი, ტ. I. თბ., „მეცნიერება“, 1982, გვ. 234.

² იქვე, გვ. 29.

ფაქტებზე დაყრდნობილ თავის მოსაზრებებს: „ადგილებზე წარგზავნილი მოხელეების თანამდებობათა რეორგანიზაციასთან და აგრეთვე საქართველოს სამეფოს საზღვრების გაფართოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული დავითის დროს სანაპირო ქვეყანათა მცველების, განმგებლების საგანგებო თანამდებობის შემოღება. ამ მოხელეს, როგორც დავითის დროის წარწერებიდან ჩანს, „მარზპანი“ ეწოდებოდა... სამოხელეო ტერმინი „მარზპანი“ ანუ „ნაპირთა მჭირავი“ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან შეცვალა ქართულმა „მონაპირემ“. თამარის დროისათვის სწორედ „მონაპირე“ იხმარებოდა ცალკეული სასაზღვრო (სანაპირო) ოლქის განმგებლის აღსანიშნავად, თუმცა ზოგ წყაროში ამავე მნიშვნელობით მარზპანიც გვხვდება“¹.

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ქალაქების ზოგი მკვლევარის აზრით, მუნიციპალიტეტის ჩანასახი ვაჭართა (სავაჭრო) ორგანიზაციებში უნდა ვეძებოთ (სტეფენსონი), ზოგის მიხედვით კი – ქალაქის სასამართლოში (მეტლანდი). ძნელია იმის თქმა, თუ რომელმა ფაქტორმა შეასრულა გადამწყვეტი როლი თბილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმოშობაში. ჩვენი აზრით, ვაჭართა ორგანიზაციების სრულყოფილად განვითარება და ამასთანავე, დიდ ვაჭართა განსაკუთრებული როლი შუა საუკუნეების საქართველოში უდაოდ ხელშემწყობი პირობა იქნებოდა საქალაქო მუნიციპალიტეტის წარმოშობისათვის. აღსანიშნავია, რომ პროფესორ პაატა გუგუშვილის მიხედვით, „იმდროინდელ თბილისში „ვაჭართა გილდია (კავშირი) წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სწორედ „ტფილელ ბერთა“ კორპორაციის სახით, ანდა მათი მეთაურობით“². ასე რომ, პ. გუგუშვილსაც შესაძლებლად მიაჩნდა საქალაქო თვითმმართველობის საწყისები თბილისში ვაჭართა ორგანიზაციებში დაინახოს, მაგრამ ამავე დროს

¹ შ. მესხია – საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., „მეცნიერება“, 1986, გვ. 29-30.

² Гугушвили П. В. - Развитие промышленности в Грузии в XIX-XX вв., Тб., 1957, с. 28.

„ქალაქის უხუცესთა“ სასამართლო ხელისუფლებით აღჭურვა იქნებ იმაზე მიგვიითებდეს, რომ ამ ხელისუფლებამ – ქალაქის უხუცესობამ – თავისი დასაბამი სწორედ ქალაქის სასამართლო საგან მიიღო. ცხადია, მხოლოდ შუა საუკუნეების ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში შეიძლებოდა გამხდარიყო ორივე ეს ფაქტორი საქალაქო თვითმმართველობის წარმოქმნის მიზეზი¹.

საინტერესო მსჯელობებს გეთავაზობს თავის ცნობილ მონოგრაფიაში „ერი და კაცობრიობა“ მიხაკო წერეთელი ერის, სამშობლოს, სივრცე-ტერიტორიებისა და კუთხეების მნიშვნელობისა და არსის თაობაზე. „ერი უსამშობლოდ, უტერიტორიოდ თითქმის სივრცის გარეშე მდგომია... ეხლაც ბევრი არ არის ისეთი, ინტელიგენტთა შორისაც, რომ თავის სამშობლოს გულწრფელად მთელს საქართველოს სთვლიდეს, არამედ მისთვის სამშობლო ან კახეთია, ან ქართლი, ან იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა. ჩვენში ჯერ არ არის მამასადამე დამთავრებული, სრული კოჰეზია ერისა, მაგრამ ამ მხრით დიდი იდეური მუშაობა სწარმოებს ამჟამად ჩვენს შორის და როდესაც ჩვენი ეროვნული ერთობის შეგნება იქნება განხორციელებული და არა მხოლოდ სასურველი იდეა, მაშინ ჩვენი ბედიც სხვანაირად დატრიალდება... ტერიტორიის მნიშვნელობა უბრალო სიტყვა არ არის. იგი დიდია და უპირველესი. არც ისტორიულ ტერიტორიას აქვს უაზრო მნიშვნელობა. ის ნაწილი ტერიტორიისა, რომელიც ოდნავ შეიძლება სხვა ელემენტით იყოს დასახლებული, მაინც თავის კანონიერ პატრონს ეკუთვნის სამართლის თვალთახედვით, თუ რასაკვირველია ეროვნული ელემენტი იქ სავსებით არ არის აღმოფხვრილი. თუ იგი ერის ტერიტორიის ორგანული ნაწილია, დარჩენილი არის ოდნავ მაინც მისი კულტურა და ისტორიული ნაშთი, თუ ერის გულში მესხიერება ამ ახლო წარსულისა კიდევ ღვივის – ერს სრული უფლება აქვს მისი დაბრუნებისა და

¹მ. მესხია – საისტორიო ძიებანი, ტ. I თბ., „მეცნიერება“, 1982, გვ. 235.

თავის კულტურის აყვავებისა, თუმცა მისი მოვალეობაა იმ ელემენტთა უფლებათა პატივისცემა, რომელნიც მას დროთა ვითარებაში ჩამოეთესლებია“¹.

როგორც ცნობილია, ყოფილ საბჭოთა სივრცეში (მათ შორის საქართველოშიც) დაახლოებით XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ფართო დიაპაზონით დაიწყო ეკონომიკურ კვლევათა ახალი მიმართულება – რეგიონული ეკონომიკის თაობაზე. ამავე საუკუნის 70-იან წლებში ცნობილი რუსი მეცნიერი ნ. ნეკრასოვი მიუთითებდა: „ამჟამად სავსებით ჩამოყალიბდა ეკონომიკის მეცნიერების ახალი მიმართულება – რეგიონული ეკონომიკა, რომლის ამოცანაა იმ ახალი თეორიული პრობლემების დაყენება და გაშუქება, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის მეურნეობის დაგეგმვისა და ტერიტორიული ორგანიზაციის თანამედროვე ამოცანათა გადაწყვეტისათვის“². მართლაც ასეა, პრაქტიკულად ქვეყანაში რეგიონული ეკონომიკის საფუძველზე გადასაჭრელი პრობლემების აქტუალობა განსაზღვრავს საკითხთა იმ წრეს, რომელთა გაშუქებას მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

საქართველოში, სივრცობრივი ეკონომიკური კვლევის საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია არსებობს. კერძოდ, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების ტრადიცია სათავეს სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბაგრატიონისა და მათ მიმდევართა შემოქმედებიდან იღებს. უნდა აღინიშნოს რეგიონული გეოგრაფიის ფუძემდებელი – ვახუშტი ბაგრატიონი და მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იოანე ბატონიშვილის (კალმასობა), რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ალ. ჭიჭინაძის, ს. რობაქიძის, ვ. კიკნაძის, ე. ხაბელაშვილის აღწერილობითი ხასიათის სახელმძღვანელოები. მათი უძრავლეოსობა „სამშობლოს აღწერასა“ და „სამშობლოს მცოდნეობას“ ეხებოდა. ეს ტრადიციები შემდგომ კარგად ააღორძინეს და განავითარეს XX საუკუნეში

¹ მ. წერეთელი – „ერი და კაცობრიობა“; თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990, გვ. 110-112.

² Н.Н. Некрасов - Региональная экономика, М., 1978, с. 14.

მოღვაწე ქართველმა სწავლულებმა. თვალსაჩინო წვლილი აქვთ თავიანთი ნაშრომებით შეტანილი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა ასპექტების განვითარებაში პროფესორებს: გიორგი გეხტმანს, ლუარსაბ კარბელაშვილს, გიორგი ზარდალიშვილს. 1924 წელს გამოვიდა გ. გეხტმანის „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია“, 1926 წელს – გ. ჯანაშვილის, ზ. კლიშიაშვილის სახელმძღვანელოები. დ. დონდუამ (1923, 1926, 1933 წწ-ში) გამოსცა ანალოგიური შინაარსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოები.

XX ს-ის 40-იანი წლებიდან მოქმედი გეოგრაფიული სახელმძღვანელოს ავტორები იყვნენ: ალ. ჯავახიშვილი, გ. გეხტმანი, ლ. კარბელაშვილი, ი. შაქარიშვილი. მოგვიანებით, იგი ორ ნაწილად დაიყო: ფიზიკური გეოგრაფია შეადგინა ალ. ჯავახიშვილმა, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია ჯერ ლ. კარბელაშვილმა, შემდეგ კი ვ. ჯაოშვილმა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ დარაიონებას მრავალმა ჩვენმა მეცნიერმა მიუძღვნა თავისი შრომები და გამოკვლევები. ამ მხრივ აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის, ალ. ჯავახიშვილის, ნ. კეცხოველის, ი. მიქელაძის, ა. გუნიას, ვ. მელქაძის, ნ. იაშვილის, გ. გველესიანის, პ. უღენტის, ლ. ჩიქავას, ნ. ჭითანავას, ო. საღარეიშვილის, დ. მოურავიძის და სხვათა ნამოღვაწარი.

საქართველოს ეკონომიკური დარაიონების პრობლემებს არაერთი ქართველი მეკვლევარის მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. ამ მხრივ გამორჩეულია XVIII საუკუნის სახელოვანი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის ღვაწლი. მეცნიერმა საქართველოს ზონალურ დანაწილებას მთად და ბარად საფუძვლად დაუდო ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა ვენახ-ხილიან და უვენახო-უხილო არეებად. ამის შესახებ მითითებული აქვს აგრეთვე აკად. ი. მიქელაძეს, რომელიც წერდა: „საგულისხმოა, რომ ვ. ბაგრატიონმა საქართველოს დარაიონებას სამეურნეო დარგების განვითარების ნიშანი დაუდო, მან დარაიონების საფუძვლად აიღო

მევენახეობისა და მეხილეობის, ე. ი. ისეთი დარგების გავრცელების არეალი, რომელნიც ფეოდალური საქართველოს ეკონომიკის ძირითად საფუძველს ქმნიდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საერთაშორისო ურთიერთობაში“.¹

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ეკონომიკური რეგონების თვალსაზრისით დაყოფის საკითხში ჩვენი ერის სახელოვანი მეცნიერ-ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ნამოღვაწარი. მან მოსავლიანობისა და ნაყოფიერების თვალსაზრისით საქართველო ძირითადად ხუთ არედ დაჰყო; ესენია: 1. თურინჯ-ნარინჯის არე; 2. ბრინჯ-ბამბის არე; 3. ვენახ-ხილიანი არე; 4. უვენახო ხილიანი არე; 5. ბალახოვან-ყვავილიანი, უმთავრესად საზაფხულო საძოვრების არე.

რასაკვირველია, საქართველოს ივ. ჯავახიშვილისეული აგრო-ეკონომიკური დარაიონება არ გამოხატავს ქვეყნის თანამედროვე ვითარებას, თუნდაც იმ არცთუ უბრალო ვითარების გამო, რომ ზოგიერთი მის მიერ დასახელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა (მაგ., ბრინჯი, ბამბა) არ არის კულტივირებული დღევანდელ საქართველოში, ხოლო ჩაისა და სიმინდის კულტურა, რომელთაც საქართველოში თავის დროზე ფართო განვითარება მიეცა, დიდი მეცნიერის ჩამონათვალში ნახსენები არ არის.

მიუხედავად აღნიშნულისა, ივანე ჯავახიშვილისეულ, ჩვენი ქვეყნის აგრო-ბოტანიკურ დახასიათებას დღესაც აქვს სერიოზული შემეცნებითი მნიშვნელობა. ივანე ჯავახიშვილის მიერ განხორციელებული დარაიონება, როგორც მოსწრებულად მიუთითებდა აკადემიკოსი ი. მიქელაძე, „იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ფეოდალური წარმოების წესის პირობებშიც კი საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენდა“.² თვით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი კი ფეოდალურ საქართველოს მთლიან

¹ ი. მიქელაძე — ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები, თბ., „მეცნიერება“, 1980, გვ. 138.

² იქვე გვ. 140.

ერთეულად შემდეგნაირად წარმოგვიდგენს: „საქართველო ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკერისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“.¹

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში ძირითადად დარგობრივი ხასიათის რამდენიმე სქემა იქნა შედგენილი. ამ მხრივ აღსანიშნავია აკადემიკოს ნ. კეცხოველის აგრო-ბოტანიკური დარაიონება, 1960 წელს ავტორთა კოლექტივის პროფ. პ. ჟღენტის, ნ. კუპრავას, პროფ. მ. რჩეულიშვილის, კ. როგავასა და დ. ცალქალამანიძის მიერ შედგენილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარაიონების სქემა.

დარაიონების ამ ბოლოს აღნიშნულმა „სქემამ“ ფართო გავრცელება მოიპოვა ჩვენი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისას. იგი ითვალისწინებს საქართველოს ფარგლებში 11 ზონისა და 3 ქვეზონის გამოყოფას: 1. მევენახეობის ზონა – ალაზნის ველი; 2. მარცვლეულ-მეცხოველეობის ზონა – გარე კახეთის ზეგანი; 3. საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა – ქვემო ქართლის დაბლობი; 4. მთიანი მეცხოველეობის ზონა – აღმოსავლეთ კავკასიონი; 5. მეხილეობისა და მარცვლეულის ზონა, შაქრის ჭარხლის წარმოებით – შიდა ქართლის დაბლობი; 6. მეცხოველეობა-მარცვლეულის ზონა – ჯავახეთის ზეგანი; 7. მეცხოველეობა-მეხილეობის ზონა მარცვლეულის მეურნეობით – სამცხე-თრიალეთი; 8. მევენახეობის ზონა – იმერეთის მაღლობი და რაჭა-ლეჩხუმი; 9. მთიანი მეცხოველეობის ზონა – დასავლეთი კავკასიონი; 10. სუბტროპიკული მეურნეობის ზონა – კოლხეთის დაბლობი სამი ქვეზონით: ა) მეთამბაქოების და ციტრუსოვან კულტურათა ქვეზონა; ბ) მეჩაიეობისა და ციტრუსოვან კულტურათა ქვეზონა; გ) მეჩაიეობის ქვეზონა, განვითარებული

¹იანე ჯავახიშვილი – საქართველოს ეკონომიკური ისტორია, პირველი წიგნი, თბ., 1930, გვ. 315.

საგარეუბნო სოფლის მეურნეობით; 11. მეთამბაქოება-მეცხოველეობის ზონა – ზემო აჭარა“¹.

წლების მანძილზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაში მომხდარი ცვლილებებისა და მის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად 1970 წელს პროფ. პ. ჟღენტისა და პროფ. ო. ქეშელაშვილის მიერ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალურ სქემაში შეტანილი იქნა ცვლილებები – გამოიყო 11 ზონა 7 ქვეზონით. ამავე ავტორების მიერ 1981 წელს დამუშავდა ამ სქემის კორექტირებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად დადგინდა 13 ზონა 11 ქვეზონით.

უკანასკნელ წლებში მომხდარმა მნიშვნელოვანმა გარდაქმნებმა, კვლავ საჭირო გახადა ამ სქემის შეცვლა-კორექტირება. სქემის ავტორები არიან პროფესორები ვ. ბურკაძე და ო. ქეშელაშვილი, რომლებიც საქართველოში სოფლის მეურნეობის გადაადგილებისა და სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროდ სთვლიან გათვალისწინებული იქნას „ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი – პირველ ყოვლისა ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და ისტორიული ტრადიციები და მეორეს მხრივ – საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვლილებები, ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები, სტრატეგია“².

საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონების დღევანდელ სქემას შემდეგი სახე აქვს (იხ. სქემა №1):

ზემოთ მოყვანილ სქემაში მისი ავტორები ეფუძნებიან რა სოფლის მეურნეობის თითოეული დარგისა და ცალკეული რეგიონის მარკეტინგული სტრატეგიის ძირითად პირობებს ასკენიან,

¹ ი. მიქელაძე – ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები, თბ., „მეცნიერება“, 1980, გვ. 140-141.

² ვ. ბურკაძე, ო. ქეშელაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პროგრამა. თბილისი, 2001. გვ. 3.

ზონებისა და ქვეზონების დასახელება		ადმინისტრაციული რაიონები
1		2
I - შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონა	ა - სამრეწველო- მევენახეობის ქვეზონა	ახმეტის, თელავის, გურ- ჯაანის, ყვარლის
	ბ - მევენახეობისა და მეთამბაქოების ქვეზონა, საადრეო მებოსტნეობით	ლაგოდეხის
II - გარე კახეთის მევენახეობისა და მე- მარცვლეობა-მეცხოველეობის ზონა		სიღნაღის, დედოფლის- წყაროს, საგარეჯოს
III - ქ. ქ. თბილისისა და რუსთავის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		მცხეთის, გარდაბნის, მარ- ნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის
IV - აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა		ღუშეთის, თიანეთის, ყაზბე- გის, ახალგორის, ჯაეის
V - შიდა ქართლის მეზილეობის ზონა, საგარეუბნო სოფლის მეურნეობით		კასპის, გორის, ქარელის, ზაშურის, ცხინვალის
VI - სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველე- ობისა და მეკარტოფილეობის ზონა		წალკნის, დმანისის, ნინო- წმინდის, ახალქალაქის, ახ- ალციხის, ასპინძის, აღიგე- ნის, ბორჯომის
VII - იმერეთის მევენახეობის ზონა მეცხ- ოველეობით		თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის (ქ. ჭიათურა), საჩხერის, ხარაგაულის, ბაღ- დათის, ვანის

სქემა №1-ის გაგრძელება

1		2
VIII – რაჭა-ლეჩხუმის მეცხოველეობისა და მევენახეობის ზონა		ცაგერის, ამბროლაურის
IX – დასავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონა		ონის, ლენტეხის, მესტიის
X – კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზონა		ოზურგეთის, ლაჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის (ქ. ფოთი), ხობის, სენაკის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის, ზნის
XI – ქ. ქუთაისის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა		აბაშის, სამტრედიის, წყალტუბოს, ტყიბულის (ქ. ტყიბული)
XII – აფხაზეთის სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ზონა	XII ^ა – სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა, მეთამბაქოებით	გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის
	XII ^ბ – მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის ქვეზონა	ოჩამჩირის, გალის
XIII – აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის ზონა	XIII ^ა – სუბტროპიკული და საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა	ქობულეთის, ხელვაჩაურის
	XIII ^ბ – სამთო მეცხოველეობისა და თამბაქოეობის ქვეზონა	ქედის, შუახევის, ხულოს

რომ „მარკეტინგული მოდელის ფორმირების პრობლემას თუ რაიონულ ასპექტში შევხებით, თითოეულ რაიონს მეტნაკლებად მკვეთრად განსხვავებული მოდიფიკაცია და სვედრითი წილი ექნება ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში... საყურადღებო საკითხია მარკეტინგის მართვა რაიონულ დონეზე. ამ თვალსაზრისით (თუ სხვა ასპექტებს არ შევხებით) სამხარეო დაყოფა მიუღებელი და გაუმართლებელი ჩანს. იგი მართვის პროცესის ძალად, არავისთვის საჭირო გართულებას იწვევს. როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური გაგებით პრიორიტეტი და გამართლება უნდა მიეცეს კვლავ რაიონულ რგოლს, როგორც ძირითად და ამოსავალ ტაქსონომეტრიულ ერთეულს რეგიონულ ეკონომიკაში. საქართველოს სინამდვილეში სწორედ ადმინისტრაციული რაიონი უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოებრივი კოორდინაციისა და მართვის საშუალო რგოლს“¹

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ დარაიონებას გამოკვლევები მიუძღვნეს სწავლულებმა აკადემიკოსმა ალ. ჯავახიშვილმა, პროფესორებმა – გ. გეხტმანმა, ლ. კარბელაშვილმა, გ. ზარდალიშვილმა, ნ. იაშვილმა და სხვებმა. მოხსენიებულ მეცნიერთა მიერ ქვეყნის დარაიონების სქემებს ძირითადად საფუძვლად ედება განსხვავება მათ ლანდშაფტურ პირობებში (მთისა და ბარის), მათი ეკონომიკის ერთგვაროვნება და ისტორიულად ჩამოყალიბებული პროვინციები (სამეგრელო, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა).

ინტერესს იწვევს პროფესორ გ. გველესიანის მიერ შემოთავაზებული შიგარესპუბლიკური დარაიონების ქსელი, რომელსაც მისმა ავტორმა საფუძვლად დაუდო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონულ ნაწილებს შორის ურთიერთეკონომიკური და სოციალური მიზიდულობის პრინციპი, ოპტიმალური სატრანსპორტო პირობები და სხვა. პროფესორ გ. გველესიანის მიერ შემუშავებული საქართველოს საერთოეკონომიკური დარაიონება, რომელიც 8 შემადგენე-

¹ ვ. ბურაკაძე, ო. ქველაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პროგრამა. თბილისი, 2001. გვ. 12-14.

ლი რეგიონული ერთეულისაგან შედგება, შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

1. აღმოსავლეთ-ცენტრალური (თბილისის) ეკონომიკური რაიონი – თბილისი-რუსთავის, გორი-ხაშურის (შიდა ქართლი), დუშეთ-თიანეთის (ფშავ-ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი) და თეთრიწყარო-ბოლნისის (ქვემო ქართლი) ქვერაიონებით;
2. აღმოსავლეთის ეკონომიკური რაიონი – თელავ-ლაგოდეხის (შიდა კახეთი) და საგარეჯო-წითელი წყაროს (გარე კახეთი) ქვერაიონებით;
3. დასავლეთ-ცენტრალური (ქუთაისის) ეკონომიკური რაიონი – ქუთაისის (ქვემო იმერეთი), ჭიათურა-ზესტაფონის (ზემო იმერეთი) და ამბროლაურ-ცაგერის (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი) ქვერაიონებით;
4. დასავლეთის ეკონომიკური რაიონი – მახარაძე, ლანჩხუთი (გურია), ზუგდიდ-სენაკის (სამეგრელო), ზემო სვანეთის ქვერაიონებით;
5. სამხრეთის ეკონომიკური რაიონი – ახალციხე, სამცხე და ახალქალაქის (ჯავახეთი) ქვერაიონებით;
6. აფხაზეთის ეკონომიკური რაიონი – ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვერაიონებით;
7. აჭარის ეკონომიკური რაიონი აჭარის ზღვისპირითა და შიდა აჭარით;
8. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აღნიშნული დარაიონების საფუძველად აღებულია არა ბუნებრივ-ლანდშაფტური და სამეურნეო საქმიანობის ერთგვაროვნების ნიშნები, არამედ ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულ ცალკეულ ტერიტორიათა შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური მიმზიდველობა, მთიანეთისა და ბარის თანამშრომლობის პრინციპი, სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობის მქონე ტერიტორიათა მთლიანობა. დარაიონების აღნიშნული სქემის მიხედვით, რაიონის ჩამოყალიბებაში უპირატესი მნიშვნელობა

მიკუთვნებული აქვს სამეურნეო და სატრანსპორტო კავშირთა შესაძლებლობას და ტვირთთა ნაკადის განაწილებას. მიგვაჩნია, რომ იგი ბევრად უახლოვდება პ. პოტიეს მიერ „განვითარების ღერძად“ მოდიფიცირებულ „ზრდის პოლუსების თეორიას“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ გ. გველესიანის ხელმძღვანელობით მომზადებული და გამოქვეყნებული არაერთი გამოკვლევა საქართველოს საწარმოო ძალთა განლაგების სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტის თაობაზე. ამ ნაშრომებში რეგიონული ანალიზის მეთოდები შერწყმულია ტერიტორიული დარაიონებისა და წარმოების განლაგების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან. მეტად საყურადღებოა პროფესორ ვ. ჯაოშვილის ნაშრომები, რომლებიც შეიცავენ ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული პროცესების კომპლექსურ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევას.

მეტად საყურადღებო მონოგრაფია აქვს მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის რეგიონული პრობლემებისადმი პროფესორ ვ. მელქაძეს – „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის რეგიონალური სტრუქტურა“ (1978 წ.). აქ ავტორს მოტანილი აქვს აბსოლუტური და შეფარდებითი მონაცემები მთლიანი და წმინდა პროდუქციის რეგიონული სიდიდეები და სტრუქტურის როგორც მაშინდელ (მიმდინარე), ასევე შესადარ ფასებში; კვლავწარმოების ტერიტორიული ჭრილისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ასპექტი; მრავალმხრივი ინფორმაცია დაჯგუფებულია დარგობრივი, სოციალური და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, ხოლო ჩვენი ქვეყნის შიგატერიტორიული ერთეულები დაჯგუფებულია სხვადასხვა რანგის რეგიონებად, კერძოდ, პროფ. გ. გველესიანის მიერ შემოთავაზებულ რვა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონად, რომლებიც მოიცავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აღმოსავლეთ-ცენტრალურ (თბილისის), აღმოსავლეთის, სამხრეთის, დასავლეთ-ცენტრალურ (ქუთაისის) და დასავლეთის ზონებს.

70-იან წლებში პროფესორი ვ. მელქაძე ხაზგასმით მიუთითებდა რეგიონული ეკონომიკის მეცნიერების ამოცანებზე და მნიშვნელობაზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლისათვის. იგი წერდა: „რეგიონალური ეკონომიკის მეცნიერების ყველაზე აქტუალური საერთო ამოცანებია: სხვადასხვა რანგის რეგიონების მეურნეობის მიზანდასახული ფორმირება ქვეყნის საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგების გზით; რეგიონების ეკონომიკის დარგობრივი სპეციალიზაციის, მთელი ქვეყნის მასშტაბით შრომის ტერიტორიული დანაწილების სისტემაში მათი ადგილის განსაზღვრა ბუნებრივი რესურსებისა და სამეურნეო პირობების გათვალისწინებით; ადგილობრივი წარმოებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი ელემენტების, ე. ი. სამეურნეო კომპლექსის განვითარება; საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის პროპორციული განვითარება, დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი და შიდარეგიონული სამეურნეო კავშირების სრულყოფა...“¹.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (შემდგომში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) დამუშავდა პროგრამა – „საქართველოს რეგიონები – 2000“. ეს იყო მიზნობრივი პროგრამა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი და როლი განეკუთვნებოდა ქვეყნის სხვა მიზნობრივ პროგრამებს შორის, თუნდაც იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველ მიზნობრივ კომპლექსურ პროგრამას.

პროგრამა „საქართველოს რეგიონები – 2000“-ის დამუშავების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვის და მართვის ინსტიტუტის დირექ-

¹ ვ. მელქაძე – საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის რეგიონალური სტრუქტურა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1978, გვ. 6.

ტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი კ. ჩარკვიანი.

თვალსაჩინოა საქართველოს რეგიონული კვლევის საქმეში ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის, აკადემიკოს ირაკლი მიქელაძის ღვაწლი. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მისი მონოგრაფია „ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები“. ავტორი საქართველოს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური დარაიონების საფუძველს ხედავს მკვეთრად გამონათულ სპეციფიკურ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებში. „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ეკონომიკური რაიონები, – აღნიშნავს ბ-ნი ი. მიქელაძე, – თავის მხრივ მკვეთრად გამონათული სპეციფიკური ბუნებრივი და ეკონომიკური პირობებით ხასიათდებიან. უფრო მეტიც, ცალკეული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რაიონების ფარგლებშიც განსხვავებულია ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალური პირობები. მაგალითად, აფხაზეთის ტერიტორიის მთისა და ზღვისპირა ნაწილები ერთმანეთისაგან განირჩევიან რელიეფით, კლიმატით, მოსახლეობის სიმჭიდროვით, მისი დასაქმებულობით და საერთოდ, ეკონომიკური და სოციალური თავისებურებებით.

ასევე განსხვავება აღინიშნება აჭარაში, სადაც სხვადასხვა ზონებში სავსებით განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალური პირობებია. ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალური პირობების დიდი სხვაობაა დამახასიათებელი საქართველოს თითქმის ყველა ადმინისტრაციული რაიონებისათვის, განსაკუთრებით რესპუბლიკის მთის, მთისწინა და ზღვისპირა ნაწილებს შორის“¹.

აღმოსავლეთის (კახეთის) ეკონომიკური რაიონი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და მას ქვეყნის ტერიტორიის 16% უჭირავს 444,3 ათასი მოსახლეთი, რომელიც სახელმწიფოში მევენახეობა-მელვინეობის ძირითადი რეგიონია.

¹ ი. მიქელაძე – ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები, თბ., „მეცნიერება“, 1980, გვ. 137.

აღმოსავლეთ-ცენტრალური რაიონი (თბილისის) რესპუბლიკაში ყველაზე დიდი იყო – ფართობი შეადგენდა 21,1 ათას კვ. კმ-ს (ქვეყნის ტერიტორიის 30,4%), მოსახლეობა – 2455 ათას კაცს (ქვეყნის მოსახლეობის 45,3%). ეს რეგიონი საქართველოს ტერიტორიულ-წარმოებრივი კომპლექსის ბირთვი იყო, მასზე მოდიოდა ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 50,7% (დარგებით: ელექტროენერგეტიკა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, საავიაციო მრეწველობა, ელმაგალმშენებლობა, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა).

დასავლეთ-ცენტრალურ (ქუთაისის) ეკონომიკურ რაიონს უჭირავდა დასავლეთ საქართველოს ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები. იგი მეურნეობრივი განვითარების დონით მეორე ადგილზე იყო (თბილისის რაიონის შემდეგ); მასზე მოდიოდა ქვეყნის ტერიტორიის 16,0% და მოსახლეობის 15,3% (831,4 ათასი). ამ რეგიონს ქვეყანაში პირველი ადგილი ეკუთვნოდა წიაღისეული სიმდიდრით. მრეწველობის დარგებია: სათბობენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, მსუბუქი, კვებისა და სხვა.

დასავლეთის ეკონომიკურ რაიონს ქვეყნის ტერიტორიის 14 და მოსახლეობის 10,9 პროცენტი ეჭირა.

სამხრეთის ეკონომიკური რაიონი მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ზონაში და ახალციხის ქვაბურისა და ჯავახეთის მთიანეთის დიდ ნაწილს შეადგენდა, ქვეყნის ტერიტორიის 7,6%-ით და ქვეყნის მოსახლეობის 3,6%-ით.

აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ფართობით 8,7 ათასი კვ. კმ (საქართველოს ტერიტორიის 12,5%) და მოსახლეობა 523,2 ათასი კაცი (საქართველოს მოსახლეობის 9,7%).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; მისი ფართობი შეადგენს 2,9 ათას კვ. კმ-ს (საქართველოს ტერიტორიის 4,2%), ხოლო მოსახლეობა 381,2 ათას კაცს (ქვეყნის მოსახლეობის 7,0%). აქ მრეწველობის წამყვანი დარგები იყო ნავთობგადამამუშავებელი,

მსუბუქი, კვების, მანქანათმშენებლობა და სხვა.

ბუნებრივია, ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რელიეფი გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანთა დასახლებების ქსელის სივრცით ორგანიზაციაში. ქვეყანა ბუნებრივად აშკარად არის გაყოფილი ორ ნაწილად – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. თვითონ ამ რეგიონებში მნიშვნელოვანი განსხვავებებია მთას, ბარსა და სხვა მახასიათებლებს შორის. ისტორიულად მდინარეთა ხეობები დასახლების ძირითად ბაზას შეადგენდა. ეს როლი გაძლიერდა XIX საუკუნის ბოლოდან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, იმ გზატკეცილებისა და რკინიგზების მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად მდინარეებს მიყვებოდა. თუმცა, გზის ახალმა სისტემამ დასავლეთ საქართველოში დასახლების სქემა შეცვალა, რადგან მან ძირითადად მთისწინები გადაკვეთა და გაიარა ზღვის ნაპირის გასწვრივ და არა მდინარეების ხეობებში. გზებმა და რკინიგზებმა ბიძგი მისცა გზაჯვარედინზე განლაგებული ქალაქების ზრდას, რაც ხშირად ემთხვეოდა განსახლების იმ სისტემას, რომელიც ფეოდალური დროიდან არსებობდა და თითქმის უცვლელია დღემდე.

1921 წლის დასაწყისისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რკინიგზის ტრანსპორტის საექსპლუატაციო სიგრძე 881 კილომეტრს, ხოლო ყოველ 10 ათას კვადრატულ კილომეტრზე რკინიგზის სიხშირე 126,0 კილომეტრს უდრიდა. 1994 წლის მდგომარეობით ყოველ 10 ათას კვადრატულ კილომეტრზე საქართველოში მოდის 210,9, ხოლო ყოველ ათას მცხოვრებზე 2,93 კმ რკინიგზა. ეს მაჩვენებელი შესაბამისად უკრაინაში უდრის 376,0 და 4,95; ბელორუსიაში – 271,9 და 5,53; აზერბაიჯანში – 239,0 და 3,08; სომხეთში – 255,0 და 2,26; ლიტვაში – 308,2 და 5,58; ლატვიაში – 373,6 და 3,62; ესტონეთში 223,9 და 6,54; პოლონეთში 886,6 და 7,23; ბულგარეთში – 387,7 და 4,81; უნგრეთში 849,5 და 4,2; რუმინეთში 471,6 და 4,92; იტალიაში – 657,8 და 3,47, ხოლო საფრანგეთში 62,7 და 6,2

კილომეტრს.¹

ქვეყნის ბუნებრივმა დაყოფამ ორ ნაწილად განსახლების სისტემის ისტორიულად ბიცენტრული ხასიათიც განაპირობა, სადაც თბილისი და ქუთაისი თითქმის თანაბარ როლს ასრულებდნენ საუკუნეების განმავლობაში. XIX საუკუნიდან დაწყებული, რუსული ადმინისტრაციული დაყოფა იგივე სქემას მიყვებოდა, თუმცა თბილისი, როგორც რუსეთის მეფისნაცვლის ადგილსამყოფელი ამიერკავკასიაში, თანდათანობით ლიდერი გახდა. რუსულმა დაყოფამ რამდენიმე ძველი ფეოდალური ცენტრის როლი გააძლიერა, მიანიჭა რა მათ სხვადასხვა რანგის ტერიტორიული სტატუსი (გორი, თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ახალციხე და ა. შ.). საქართველოს საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შეყვანას (1921 წ.) გადაადგილების თავისუფლების რიგი შეზღუდვები მოჰყვა, რამაც დაარღვია არსებული განსახლების სისტემის თავისუფალი განვითარება და ფაქტობრივად, იგი არაბალანსირებული გახდა.

კომუნისტური ხელისუფლების მიერ იქნა შემოღებული საქართველოში ქვეყნის რაიონებად დაყოფა. ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის ეს წესი დღემდე არის შენარჩუნებული თავიანთი ადმინისტრაციული რაიონული ცენტრებით. პერსპექტივაში, იმედია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის სრულყოფილად განხორციელების შედეგად საქმე ლოგიკურ დასასრულამდე იქნება მიყვანილი და მოხდება მცირე ადმინისტრაციული რაიონების საბოლოოდ გაუქმება, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ადგილობრივ ბიუროკრატიულ ელიტას შესაბამისი პრივილეგიებით.

რეგიონული განვითარების პრობლემების მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია. განვითარების მრავალი ასპექტი სახელმწიფოს დონეზე უბრალოდ არ ჩანს, ხშირად შეუმჩნეველი ტენ-

¹ა. კუჭუხიძე. ნარკვევები დღემდე განუხორციელებელი ტრანსკავკასიის სარკინოგზო მაგისტრალის მშენებლობაზე, თბილისი, 1999 წ. გვ. 69-73.

დენციები რეგიონებში იჩენს თავს.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ზემოქმედებენ რეგიონული განვითარების პროცესზე დღეს საქართველოში, უნდა გამოვყოთ შემდეგი ყველაზე მნიშვნელოვანი:

- ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის საერთო ცვლილება, რომელსაც სხვადასხვა რეგიონის როლის, შედარებითი უპირატესობისა და მათი ურთიერთობის გადაფასებისაკენ მივყავართ;
- ეთნიკური კონფლიქტების შედეგად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული სტრუქტურის იძულებითი გადათამაშება;
- მიმდინარე ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმები რეგიონული განვითარების პრობლემებს უშუალოდ იშვიათად უკავშირდება. მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად სრულიად მოულოდნელი ფორმით ახდენენ გავლენას რეგიონებზე.

ვფიქრობთ, საკვებით სწორად არის აღნიშნული გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ერთ-ერთ ჰუმანიტარულ ანგარიშში საქართველოს პოსტსაბჭოური რეგიონების ამჟამინდელი სავალალო მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ „იშვიათი გამონაკლისით, საქართველოს რეგიონები შემდეგი სამწუხარო თვისებებით გამოირჩევიან:

- ეკონომიკური აქტიურობის ტრადიციული ტიპების ღრმა, ხშირად დაუძლეველი კრიზისი;
- დაშლის პროცესში მყოფი ინფრასტრუქტურა. ელექტროენერჯისა და წყლის არამდგრადი მიწოდება, ან საერთოდ არმიწოდება;
- აგრარული მეურნეობისათავის პირვანდელ, ნატურალურ ფორმასთან დაბრუნება (გლეხებში ფულის უქონლობის გამო);
- სახელმწიფო პენსიები და ხელფასები დაგვიანებით და არარეგულარულად გაიცემა;

- მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ძალზე დაქვეითება, სიღარიბე ფართო მასშტაბით;
- მოსახლეობის თვითმმართველობაში შეზღუდული მონაწილეობა;
- ეკონომიკური აქტივობის სიმცირე და არაეფექტურობა;
- ტყეების მასშტაბური გაჩეხვა, რასაც შედეგად მოაქვს გარემოს შეცვლა, ნიადაგის საფარის მოშლა და ეროზია;
- ადგილობრივ ადმინისტრაციებში არსებული სირთულეების გადასალახავად რაიმე მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული იდეების არარსებობა.

როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას უჭირს სიტუაციის გამოსწორება, რადგან რესურსები ფაქტიურად არ არსებობს, პირველ რიგში, ფინანსური. არ ჩანს აგრეთვე ახალი პირობების ადეკვატური მართვის უნარი... საქართველოს 61 ადმინისტრაციული ერთეულიდან 2/3-ს სჭირდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერი, რათა საკუთარი უკიდურესად მცირე საბიუჯეტო მოთხოვნები მაინც დაექაყოფილებინა. 14 შემთხვევაში ეს ტრანსფერები უფრო მაღალი იყო, ვიდრე ადგილზე მიღებული შემოსავლები და ზოგიერთ შემთხვევაში ამ თანხის 200%-ს შეადგენდა. განსაკუთრებით შემამფოთებელი იყო სიტუაცია ისეთ მთიან რეგიონებში, როგორიცაა ლენტეხი და მესტია, აგრეთვე სამხრეთ საქართველოს რაიონებში – ძირითადად შერეული მოსახლეობის მქონე ახალქალაქსა და ნინოწმინდაში. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების, ისევე როგორც ხარჯების, სივრცითი განაწილება არასოდეს არ უახლოვდება მოსახლეობის განაწილების სურათს¹.

მიმდინარე რეფორმები, სხვა მრავალრიცხოვან პრობლემასთან ერთად, მიზნად ისახავს საქართველოს ცალკეულ რეგიონებს შორის არსებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების

¹კუმანური განვითარების ანგარიში საქართველოში 1997 წ.; გაერთიანებული ერების პროგრამა; თბილისი, 1998 წელი, გვ. 74.

დონებს შორის მკვეთრი განსხვავების შემცირებას, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მათი ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის განმტკიცებას. ამასთან, ცალკეული რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები ყველგან ერთნაირი მონდომებით როდი იღწვიან რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისათვის ყველა პოტენციური შესაძლებლობის გამო-საყენებლად. თუ შევეცდებით რეგიონების მიმართ ქვეყნის ცენტრის მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობის შეფასებას, ბოლო ათეული წლის შედეგები უდაოდ უკმარისობის გრძნობას აღგვიძრავს. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ ერთია სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის ამოცანები და მეორეა მათი განხორციელების მოკრძალებული საშუალებები.

საქართველოს ცალკეული რეგიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით. ეს განსხვავება ძირითადად განპირობებულია რეგიონული თავისებურებებით. ამიტომ საჭიროა შემუშავებულ იქნას და განხორციელდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაემყარება რეგიონების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომას მათი თავისებურებების, შრომის დანაწილებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რესურსების გამოყენებას და მის საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. კერძოდ, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის, განსაკუთრებით შალის წარმოებისა და მეაბრეშუმეობის დიდი ტრადიციები აქვს. ამიტომ, საჭიროა დაუყოვნებლივ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში და მის ცალკეულ რეგიონებში (სადაც ამის საშუალებაა) შალისა და აბრეშუმის წარმოების აღორძინებისათვის.

საქართველოსა და მის რეგიონებს მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების საუკეთესო სანედლეულო და რესურსული შესაძლებლობა მოეპოვება. საჭიროა მათი ამოქმედება და საწარმოო პროცესებში ჩართვა.

ეჭვს გარეშეა, რომ ქვეყნის რეგიონული სამრეწველო პოლი-

ტიკის მიზნებიდან გამომდინარეობს მისი განხორციელების ძირითადი მიმართულებები, პრინციპები და ამ პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის ხასიათი. იგი ძირითადად უნდა ემყარებოდეს თითოეულ რეგიონში არსებული ბუნებრივი, შრომითი, ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ინვესტიორების მოზიდვას.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებს შორის, ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავების გარდა, ადგილი აქვს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მხრივ და ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის არაიდენტურობას, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდა გახდეს პრიორიტეტული, პროტექციონისტული და დიფერენციული, ცალკეული რეგიონების მიხედვით.

საქართველოში, რეგიონების ეკონომიკის განვითარებისათვის ყველაზე უმთავრესი ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტაა. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ქვეყანა ფლობს ჰიდროენერჯის სოლიდურ რესურსს. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროელექტრული ენერჯია შეადგენს ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის 75-80 პროცენტს, ამჟამად გამოყენებულია ჰიდროენერჯის წარმოების არსებული დიდი რესურსის ძალზე უმნიშვნელო ნაწილი. ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში უხვად არის ჰიდროენერგეტიკული რესურსები და ამიტომ რეგიონების ადმინისტრაციების საზრუნავი, პირველ რიგში, ჰიდროენერგეტიკული დარგის განვითარება უნდა იქცეს. დღეს ეჭვს არ იწვევს ის, რომ ქვეყნის ენერგეტიკაში შექმნილი პრობლემები დიდ დაბრკოლებას უქმნის თითოეული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოში სწორი რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ქმედითი ინსტრუმენტის უნარიან გამოყენებას, როგორიცაა პროგნოზირება და დაგეგმვა. რეგიონებში ამ მხრივ ყველაფერი ვერჯერობით არ არის წესრიგში. არადა პროგნოზირება და დაგეგმვა ის საშუალებაა, რომელსაც ძალუძს ხელი

შეუწყოს რეგიონებში მიღვომების ჩამოყალიბებას და განსაზღვროს მიზნის მიღწევის მთელი სისტემა. რეგიონულმა დაგეგმვამ ჩვენში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების ის ელემენტები უნდა გამოიყენოს, რომლებიც მოერგება საქართველოს სინამდვილესა და ტრადიციებს.

ქვეყნის ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად სახელმწიფოს მასშტაბით ეკონომიკის წინსვლისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სანედლეულო რესურსების მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქციის მასალატევადობის შემცირებას. ამასთან დაკავშირებით უდაოდ სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის მეორადი სანედლეულო რესურსების გამოყენებას, რაც გამოშვებული პროდუქციის რესურსშემცველობის შემცირებისა და რესურსდაზოგვის საუკეთესო რეზერვია.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ წარმოების ნარჩენებისა და მეორადი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია ცალკეული რეგიონების მიხედვით დამუშავდეს მეორადი ნედლეულის გამოყენების ბაზაზე პროდუქციის წარმოების პერსპექტიული მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამები. ამ პროგრამებში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული:

- სამრეწველო საწარმოების აღჭურვა მეორადი რესურსების გადამუშავებისათვის საჭირო თანამედროვე მოწყობილობით, მანქანა-დანადგარებით, ტექნოლოგიური ხაზებით;
- საწარმოებში მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით. ფართოდ იქნას გამოყენებული ამ საქმეში მოწინავე უცხოური გამოცდილება;
- ქვეყნის მასშტაბით სამეცნიერო გამოკვლევების ორგანიზება მეორადი რესურსების გამოვლენის, მათი გამოყენების გზების დასაზვისა და პროდუქციის ასორტიმენტის გა-

ფართოებისათვის.

ამრიგად, მიმდინარე ეტაპზე რეგიონული მეურნეობრივი კომპლექსების უმთავრეს მიმართულებად უნდა განისაზღვროს არსებული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, რაშიც ჩვენ ვგულისხმობთ მატერიალურ, სათბობ-ენერგეტიკულ, შრომით რესურსებსა და რეგიონების საწარმოო პოტენციალს.

საბაზრო პირობებში რეგიონის განვითარება გულისხმობს მოცემული რეგიონის შიგნით საბაზრო ურთიერთობების ფორმირებას, სადაც პარტნიორები რეგიონულ ბაზარზე, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში არკვევენ ურთიერთობებს. პერსპექტივაში კი რეგიონული სუვერენიტეტის განვითარება-გაღრმავების პირობებში შესაძლებელი გახდება ისეთი მექანიზმების ფართოდ ამოქმედება, რომლებიც სხვა რეგიონებსა და ქვეყნებსაც კი გაუხსნის რეგიონულ ბაზარზე შეღწევის საშუალებას. ამასთან, პროტექციონისტულმა პოლიტიკამ არ უნდა მიიღოს ბიუროკრატიული ადმინისტრირების სახე, რათა არ განვითარდეს რეგიონის თვითიზოლაციის ტენდენცია. პარალელურად ფართო გზა უნდა გაეხსნას კონკურენციას და რეგიონული ბაზარი ღია უნდა იყოს ყველა სახის პროდუქციისათვის (საქონლისათვის), კაპიტალისათვის, ინფორმაციისათვის (რა თქმა უნდა ეროვნული ინტერესების დაცვის პირობებში). ასეთ სიტუაციაში ბაზარი შეძლებს შეასრულოს რეგიონული ბაზრის თვითრეგულირების როლი. მიგვაჩნია, რომ, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის შედარებით მცირე მოცულობისა, რეგიონული თვითრეგულირება მაინც შეასრულებს უახლოეს მომავალში სოლიდური გარანტიის როლს ეკონომიკის რეალური წინსვლის საქმეში.

რეგიონის საბაზრო რეფორმები და წარმოების რესტრუქტურისაცია მაშინ იქნება ეფექტური, თუ მიმწოდებლისა და მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ხელსაყრელი პირობები იქნება შექმნილი.

რეგიონებში, განვითარების მიმდინარე ეტაპზე, წარმოების რესტრუქტურისაციის პოლიტიკის მიზანია რეგიონების ეკო-

ნომიკის ბაზრისათვის მორგება-შეხამება, ამიტომ წარმოების რესტრუქტურისაცაა საქართველოს თითოეულ რეგიონში უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული კვლევისა და იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად რეგიონების ფინანსური შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია რესტრუქტურისაციისა და სიმძლავრეების რეკონსტრუქციის პროცესების განსახორციელებლად, რეგიონების ხელისუფლებამ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივად უნდა განახორციელოს ღონისძიებები აღნიშნული მიღწევისათვის ინვესტიციების ფართოდ მოზიდვის გზით. საქართველოს თითოეულ რეგიონში ახალი სიმძლავრეების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს შემდეგ ძირითად მიზნებს: რეგიონის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას; რეგიონის მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების მიღწევას (წარმოებული საქონლის რეგიონის გარეთ რეალიზაციით); კაპიტალის მოზიდვის მიზნით რეგიონის რესურსების გამოყენებას.

კონკრეტულ რეგიონში საინვესტიციოდ გამოსაყენებელი ფინანსური რესურსების შექმნის საქმეში სერიოზული წვლილი შეუძლია შეიტანოს რეგიონში საბანკო სისტემის განვითარებამ.

რეგიონში ეკონომიკური პოლიტიკის სწორად განსაზღვრისათვის, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გვერდი აუუაროთ ისეთ პრობლემას, როგორცაა ინტეგრაციული პროცესი. რეგიონი არ არის რაღაც ჩაკეტილი მუუნიციპალიტეტი, არამედ ის არის ღია ქვესისტემა. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ კონკრეტულმა რეგიონმა სხვა რეგიონებთან და ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გაძლიერებით განახორციელოს ეკონომიკური ზრდა და განვითარება. ეჭვსგარეშეა, რომ რაც უფრო მჭიდრო და ფართოა რეგიონის ეკონომიკური კავშირურთიერთობები ქვეყნის სხვა რეგიონებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მით უფრო მაღალ ხარისხში და შედარებით დამოუკიდებლად განხორციელდება რეგიონული კვლავწარმოება. ქვეყნის რეგიონების ფართოდ გასვლა საქართველოს შიგა და საგარეო

ბაზრებზე შექმნის მოცემული კონკრეტული რეგიონის მსოფლიო მწარმოებელთა შორის ჩადგომის რეალურ საშუალებას.

ამრიგად, რეგიონებში რეფორმების განხორციელების პროცესი უნდა წარიმართოს იმგვარად და ისეთი მიმართულებით, რომ შეიქმნას ხელსაყრელი და რეალური პირობები სამეურნეო ერთეულების ქვეყნისა და უცხოეთის ბაზრებზე თავისუფლად გასასვლელად.

იმ რეგიონების გამოყოფა, რომლებიც მზად არიან მსოფლიო ბაზარზე კონკურენციული ბრძოლისათვის, საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ფართოდ ინტეგრირების შესაძლებლობას მისცემს და ამით მინიმუმამდე შემცირდება რისკის ფაქტორი.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა იმაზეც მივანიშნოთ, რომ თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა (რომელთა შექმნის საკითხს რატომღაც ძალზე ფრთხილად ვუდგებით) და თავისუფალი მეწარმეობის ზონებმა ფართოდ უნდა წარმოადგინონ ჩვენი რეგიონების რესურსები და ხელი უნდა შეუწყონ რეგიონული ეკონომიკის აღმავლობას. ამ ზონებს, ჩვენი ღრმა რწმენით, დაეკისრებათ როგორც ქვეყნის სრულყოფილებიანი წარმომადგენლის ფუნქცია მსოფლიო მეურნეობაში, ასევე მეწარმეობისა და მეცნიერების სინთეზის როლიც.

განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე, საბაზრო რეფორმების მიმდინარეობაში ადგილი აქვს იმის მცდელობას, რომ რეგიონების სტრუქტურა გადაყვანილი იქნას ახალ მდგომარეობაში, რაც გულისხმობს ახალი კავშირების, ახალი მოტივაციებისა და ურთიერთქმედების ახალი მექანიზმების ფორმირებას, რეგიონული მეურნეობრიობის მთელი სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას, და მაინც, აღნიშნული ჯერჯერობით მხოლოდ ილუზიისა და სურვილების დონეზეა. დღეს საქართველოში მთლიანად, და მათ შორის რეგიონებში, მართვის ბიუროკრატიული სტილი ამჟამად ჭარბობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საბაზრო სტილს, სუსტად არის განვითარებული საბირჟო ურთიერთობები, არასაკმარისია აუქციონები, მეურ-

ნეობრიობის კონკურსული ფორმები და სხვა. რეგიონული მეურნეობის უკეთესად სამართაყად მიზანშეწონილია განხორციელდეს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სურათის ცვლილების დინამიკის პროგნოზირება. აღნიშნულმა უნდა მოიცვას ეკონომიკის მდგომარეობის, საწარმოო ძალების განვითარებისა და მისი რეზერვების, რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ღრმა ანალიზი, შეფასებული უნდა იქნას წარმოებისა და შრომის ეფექტიანობა და მოტივაცია, ინტელექტუალური და სამეწარმეო პოტენციალი, შემოსავლების სოციალური განაწილება და მათი დიფერენციაცია, განსაზღვროს კრიტერიუმები დასახული მიზნების მისაღწევად და სხვა.

რეგიონის სუვერენიტეტი, რაც ჩვენს მიერ განიხილება ცხოვრების დონისა და ხარისხის პოზიციიდან, იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფალი ადამიანების რეგიონულმა ასოციაციამ შეძლოს თავისი პოტენციალი წარმართოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრამების რეალიზაციისათვის.

ამრიგად, საქართველოს და მისი ცალკეული რეგიონების ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1. საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გეოგრაფიული მდებარეობის დადებითმა მხარეებმა, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ეფექტურმა გამოყენებამ. ეროვნული მეურნეობისათვის მყარი საფუძვლის შექმნა უნდა ეფუძნებოდეს ბუნებრივ საწარმოო ძალებს, რომლებსაც სრული შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ მატერიალური წარმოების ადგილობრივი რესურსებით მოსახლეობის მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილება;
2. საქართველოს მცირემიწიანობის ერთგვარი კომპენსაცია ხდება კარგი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებით, რომლებიც ხელს უწყობენ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო

- კულტურების გავრცელებას;
3. ძვირფას რესურსს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წყლები და ნიადაგ-მცენარეული საფარი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ მდინარეებსა და წყალსაცავებს, რომლებიც ქვეყნის მთავარ ენერგეტიკულ რესურსს წარმოადგენენ. დიდი ფუნქციები აქვს ტყეებს, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ნიადაგდაცვა, წყალშენახვა და კლიმატრეგულირება. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მთავარ რესურსს წარმოადგენს მაღალნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწები, ბუნებრივი საძოვრები და სათიბები. განუსაზღვრელია შავი ზღვის სატრანსპორტო-ეკონომიკური როლი;
 4. საქართველოს აქვს სოლიდური მოცულობის მინერალური რესურსები. ქვეყანა საკმარისადაა უზრუნველყოფილი შავი და ფერადი ლითონების, სამთო-ქიმიური ნედლეულით. ჩვენში არსებობს სამშენებლო მასალების მდიდარი საბადოები, საუკეთესო მინერალური წყლები, რომელთა სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა ბევრად უნდა დაჩქარდეს. როგორც მოკვლევა ადასტურებს, საქართველოს გააჩნია ნავთობისა და ბუნებრივი აირის საკმარის სოლიდური რესურსები, რომელთა ათვისების დაჩქარებით ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფს მისი საჭიროების დაკმაყოფილებას.

საქართველოს ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფა არ არის საბოლოო და იგი შემდგომ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კვალობაზე საჭიროებს დახვეწას.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე მრავალმა ქართველმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. შევეცდებით ამ მიმართებით ზოგიერთი მოსაზრება წარმოვადგინოთ მკითხველის სამსჯავროზე და შემდეგ შემოგთავაზებთ ამ სტრიქონების ავტორთა მოსაზრებასაც.

ცნობილ რეგიონალისტ მეცნიერს ბატონ დ. მოურავიძეს ჩამოყალიბებული აქვს რეგიონის შემდგენაირი განმარტება: „რეგიონები, მათი სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსები ობიექტურად არის

ქვეყნის მოწყობის საწყისი, პირველადი რგოლები. რეგიონები წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სტრუქტურების სივრცობრივ-ტერიტორიულ ჭრილს, მისი ერთიანი მეურნეობრივი და სოციალური კომპლექსის შემადგენელ ნაწილებს. ობიექტურად ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესი მიმდინარეობს, საგნობრივად ვლინდება და იმართება ადგილებზე, რეგიონებში¹.

„თანამედროვე პირობებში, – მიუთითებს იგივე ავტორი, – რომელიმე ქვეყნის შიგნით, ე. ი. ერთი ქვეყნის ფარგლებში, მათ შორის საქართველოში... რეგიონის ცნება თანდათანობით ერწყმება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ანუ რეგიონის ისეთ გაგებას, როდესაც მას ტერიტორიული მართვის საკუთარი ორგანოები გააჩნია. ეს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების, საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება-მართვის, საერთოდ ცნობიერების მზარდი რეგიონალიზაციით არის განპირობებული. ამის გამოა, რომ ამჟამად ისეთი ცნებები, როგორცაა: ქვეყნის „ტერიტორიული დაყოფა“, „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა“, „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული“ – მაგიერ, მათი მნიშვნელობით ჩვეულებრივ მსჯელობენ ან წერენ: „რეგიონალიზაცია“, „რეგიონული დაყოფა“, „რეგიონული მართვა-გამგებლობა“ და ა.შ. და ეს, გარკვეული აზრით, სწორიც არის, ფეხდაფეხ მიჰყვება თანამედროვეობას“².

ვფიქრობთ, საყურადღებოა ბატონ დ. მოურავიძის მოსაზრება და თვალსაზრისი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე. იგი სწორად მიუთითებს, რომ ქვეყნის „არსებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა შემთხვევითი არ არის. იგი ათეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა

¹ დ. მოურავიძე – რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში; საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. I, თბ., 1996, გვ. 516.

² იქვე, გვ. 516.

და მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას ემყარება. მასში გათვალისწინებულია თითოეული რაიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური თავისებურებანი, მოსახლეობის საწარმოო გამოცდილება, სამეურნეო ფსიქოლოგია, მეურნეობის სპეციალიზაცია, კულტურული, ყოფითი ტრადიციები და ა. შ. ამის გამოა, რომ არსებული, რეგიონული ადმინისტრაციული სტრუქტურები პრაქტიკულად კარგად პასუხობს ქვეყნის პოლიტიკური მართვის, მისი დემოკრატიზაციის, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მოთხოვნებს. საზოგადოების, მოსახლეობის და რეგიონული მართვის ორგანოების მუშაკთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აზროვნებაც ამის მიხედვით არის ადაპტირებული და მორგებული, რაც მართვის თვალსაზრისით სულაც არ არის მეორე, ან მესამეხარისხოვანი საკითხი“¹.

ამჟამინდელ ეპოქაში ადგილი აქვს ძალიან სწრაფ და ზოგჯერ მოულოდნელ ცვლილებებსაც, რაც გარკვეული კორექტივების შეტანას მოითხოვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დამკვიდრებულ წესებში. თუმცა იგი იმავე ნაშრომში კატეგორიულად ეწინააღმდეგება რადიკალური ცვლილებების შეტანას ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში, რაც უნაყოფო, ხარჯიანი და საზიანო იქნებოდა ქვეყნისათვის. იგი აღნიშნავს, რომ „გაუმართლებლად მიგვაჩნია საქართველოს ისტორიული პროვინციები დაედოს საფუძვლად მის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას“². თუ ჩვენ ვერწმუნებით ცნობილ, ხატოვან გამოთქმას, რომ ყოველი ახალი

¹ დ. მოურავიძე – რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში; საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. I, თბ., 1996, გვ. 518.

² დ. მოურავიძე. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. ბათუმის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები – „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი. 2001 წ. გვ. 22-23

კარგად დაეწიებული ძველის განმეორებაა, აყვანილი უფრო მაღალ ხარისხში, რატომ არ შეიძლება ასეთი გადასახედიდან სერიოზული განსჯის საგანი გავხადოთ საქართველოს ისტორიული პროვინციული დაყოფის პრინციპის მიზანშეწონილობა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის განხორციელების გზაზე? თუმცა ბატონი დ. მოურავიძე უარყოფითად მოიხსენიებს ძველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, როდესაც აღნიშნავს, რომ „გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ საქართველოს მეფეები, თუ დამპყრობნი ქვეყანას ყოველთვის ყოფდნენ ძველი რომაელების პრინციპით – „დაყავი და იბატონე“. სამთავროები, საერისთავოები, სადროშოები, საემიროები, ვილაეთები, გუბერნიები, მაზრები და ა. შ. ერთიანი ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ნაწილები იყო. ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოთა, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის და ა. შ. სამთავროების არსებობაც რეგიონული თავისებურებებით იყო გაპირობებული და გამაგრებული. ისტორიულად ცალკეული რეგიონების სეპარატიზმიც აქედან მოდიოდა, რაც დღემდე გრძელდება“¹. ვაანალიზებთ რა ბატონი დ. მოურავიძის ნააზრევს არ შეიძლება არ გავიხსენოთ აკადემიკოს პ. გუგუშვილის მიერ თავის ნაშრომში² მოყვანილი ი. სტალინის შეხედულებანი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ „ქართველები... ნაწილდებოდნენ რა ერთმანეთისაგან მოწყვეტილ მთელ რიგ სამთავრობად, მათ არ შეეძლოთ საერთო ეკონომიკური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეების განმავლობაში ომობდნენ ურთიერთშორის და ანადგურებდნენ ერთმანეთს, უსისინებდნენ ერთიმეორეს სპარსელებსა და თურქებს. სამთავროების ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულად ად-

¹დ. მოურავიძე. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. ბათუმის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები – „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულეები გარდაშვალ პერიოდში“, ბათუმი. 2001 წ. გვ. 92.

² პ. გუგუშვილი. კახიტილიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და აზიურკავკასიაში. თბილისი. „სახელგამი“, 1941, გვ. 4-5.

მინისტრაციულ სფეროს ეხებოდა, და ეს გაერთიანება ჩქარა ინგრეოდა თავადების ჟინიანობით და გლეხების გულგრილობით. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს ეკონომიკური დაქსაქსულობის პირობებში¹. ბოლო ფრაზაში დ. მოურავიძის მიერ გამოთქმულ შიშს მითითებული რეგიონული დაყოფიდან სეპარატიზმის განვითარების საშიშროების თაობაზე, ვფიქრობთ, არ უნდა ჰქონდეს რეალური საფუძველი, რადგანაც დღეს საქართველოს ძირითად რეგიონებში არ არის სეპარატიზმის საშიშროება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ აფხაზი, ოსი და ჯავახეთში მცხოვრები სომეხი ერთი მუჭა სეპარატისტების ქმედებას, რასაც თავის დროზე და ახლაც რბილად რომ ვთქვათ ზურგს უმაგრებს საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რუსული წრეები). აღნიშნულიდან გამომდინარე ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „საქართველო არა მარტო პლაცდარმი იყო აზიის სიღრმეში შეჭრისათვის, მან აგრეთვე თვითმპყრობელობას მისცა სამხედრო საქმის მოტრფიალე თაყადაზნაურობა, რომელმაც კარგად იცოდა ირან-თურქეთისა და მთელი კავკასიის ხალხთა სამხედრო ვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები. ყოველივე ამის გამო კ. მარქს შეეძლო ეთქვა, რომ „ტფილისი, ეს არის ცენტრალური პუნქტი აზიაში რუსეთის ბატონობისა“!

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება აუცილებელია მჭიდროდ უკავშირდებოდეს მისი რეგიონების თავისებურებებს, რესურსულ პოტენციალს, ინტერესებსა და მოცემულ ეტაპზე კონკრეტულ ამოცანებს. „დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მართვა და ეკონომიკის რეგულირება საბაზრო მექანიზმზე დაყრდნობით ჯეროვან ეფექტს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებანი დეცენტრალიზებული, ანუ დელეგირებული იქნება ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. პრაქტიკულად ეკონომიკური რეფორმები, კრიზისის დაძლ-

¹ პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბილისი. „სახელგამი“, 1941, გვ.

ევა და ეკონომიკური აღმავლობა უშუალოდ ხორციელდება ტერიტორიულ განფენილობაში, საგნობრივად აღიქმება და იმართება რეგიონების დონეზე“.¹

მართლაც, ალბათ არავისში ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ობიექტური გარემოება, რომ რეგიონულ დონეზე უფრო მეტად ხერხდება სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით გადაიჭრას როგორც რეგიონული, ასევე საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანები.

არაერთხელ, არაერთ ჭკვიან ადამიანს გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს ჩვენი რეგიონებისათვის დამახასიათებელი მრავალმხრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული თავისებურებანი და განსხვავებანი. საქართველოს რეგიონულ თავისებურებათა სპექტრი საკმაოდ ფართოა. არაერთხელ თქმულა და დასაბუთებულა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით „საქართველოში აუცილებელია განხორციელდეს ისეთი რეგიონული პოლიტიკა, რომელიც დაემყარება დიფერენცირებულ მიდგომებს რეგიონების მიმართ, გაითვალისწინებს მათ თავისებურებებსა და კონკრეტულ ამოცანებს. მიზანშეწონილი არ არის ყველა რეგიონში გავატაროთ ერთნაირი, შაბლონური ეკონომიკურ-ფინანსური პოლიტიკა. დიფერენცირებული მიდგომები, შესაბამისი მექანიზმი უნდა გახდეს რეგიონების განვითარების, მათი მართვის, მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი შინაარსი და საფუძველი გარდამავალი პერიოდის საქართველოში. ეს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საბაზრო ურთიერთობებსა და დემოკრატიული განვითარების პრინციპებს...

ამგვარად, საქართველოში საჭიროა განხორციელდეს აქტიური, დიფერენცირებული, პროტექციონისტული რეგიონული

¹დომენტი მოურავიძე. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები. ბათუმის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები – „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულეები გარდამავალ პერიოდში“, ბათუმი. 2001 წ. გვ. 21.

ეკონომიკური პოლიტიკა“¹

საინტერესოა დ. მოურავიძის მიერ ჩამოყალიბებული და შემოთავაზებული საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები, მათი გადაჭრისათვის რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტები, მიმართულებები და მექანიზმები, რომელთაგან ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ შემდეგს:

1) უმეტეს რეგიონებში და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში მოსახლეობის შრომითი და სამეწარმეო აქტივობის დაქვეითების ფონზე აუცილებელია განხორციელდეს უმუშევრობის ზრდის შესაჩერებლად მიმართული ღონისძიებები, დასაქმების და შემოსავლების გადიდების უზრუნველსაყოფად, სამუშაო ძალის გაუმართლებელი შიდამიგრაციული და მიგრაციული პროცესების შესაჩერებლად და თავიდან ასაცილებლად;

2) კრიზისის შედეგად ცალკეულ რეგიონებს შორის განვითარების დონებისა და ტერიტორიული დისპროპორციებით არსებული განსხვავების კიდევ უფრო გაღრმავებული შედეგების დაძლევის მიზნით ერთ-ერთი ძირითადი საშუალება უნდა გახდეს ტერიტორიული და დარგობრივ-ტერიტორიული პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი პროგრამების რეალიზაცია, სახელმწიფოს მხრივ ხელშემწყობი ეკონომიკური და ფინანსური რეჟიმის შემოღებით. ამასთან საზღვარგარეთული ფინანსური დახმარების გამოყენებაში მიღწეულ უნდა იქნას არა მარტო დარგობრივი, აგრეთვე რეგიონების მიხედვით ტერიტორიული პრიორიტეტებისა და დიფერენცირებული მიდგომის პრინციპის გამოყენება;

3) საქართველოს რეგიონებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება პრიორიტეტულ პროგრამულ მიდგომებს უნდა დაექვემდებაროს;

4) საქართველოს რეგიონების ეკონომიკის განვითარებისა და

¹ნ. ჭითანაია – სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში; ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-აკადემიური ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. V, თბ., 2000 წ., გვ. 457.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის დაჩქარების ერთ-ერთი საშუალებაა ეკონომიკური ზონების შექმნა. მათი საქმიანობა უნდა განვიხილოთ, როგორც რეგიონში ეკონომიკური აქტივობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე საქართველოში რეგიონი სივრცობრივ-ტერიტორიული აზრით სხვადასხვა გაგებით იზმარება. ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით რეგიონის ცნების სივრცობრივ-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეკონომიკური შინაარსის დადგენა-დაზუსტება უდაო აუცილებლობას წარმოადგენს. ამის საჭიროება და აუცილებლობა თუნდაც იმ გარემოებითაც არის ნაკარნახევი, რომ „როგორც არასდროს, მსოფლიო მასშტაბით, გლობალიზაციის საპირისპიროდ და მასთან ერთად მიმდინარეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიური რეგიონალიზაცია, რაც რეგიონული შემეცნების, პოლიტიკის, მართვის რეგულირების საფუძველი ხდება“¹.

რეგიონი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ტერიტორიულ სივრცეს აღნიშნავს. ამასთან, ამ გაგებაში იგულისხმება ისეთი ტერიტორია, რომელიც რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს შეადგენს, ხოლო მსოფლიო მასშტაბით, ჩვეულებრივ, რეგიონის ცნებაში გულისხმობენ რომელიმე კონტინენტის ნაწილს (მაგალითად, ლათინური ამერიკის რეგიონი). ჩვენ ვეთანხმებით ბატონ დ. მოურავიძის მოსაზრებას, რომ თანამედროვე პირობებში რეგიონის ცნება თანდათანობით ერწყმება სხვადასხვა რანგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ანუ რეგიონის ისეთ გაგებას, როდესაც მას სხვადასხვა კომპეტენციის ტერიტორიული მართვის საკუთარი ორგანოები გააჩნია.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ახალმა საერთაშორისო გარემომ, დასაველურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ორიენტ-

¹ნ. ჭითანავა – სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში; ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. V, თბ., 2000 წ., გვ. 456.

აციაში, ჩვენი ახალი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოების წარმოშობამ და მათი შინაგანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და რეგიონული სტრუქტურების არსებული პრაქტიკის გაცნობა-შესწავლამ ზეგავლენა იქონია ჩვენში რეგიონულ აზროვნებასა და შინაარსზე. მეტწილად ამის შედეგია, რომ საქართველოში წარმოიშვა დასავლურ ყაიდაზე საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის წინადადებები და პროექტები.

მართლაც, აღნიშნულის გათვალისწინებით 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ქვეყანა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარდა დაიყო შემდეგი სახის სამხარეო ერთეულებად: კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-თიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, სამეგრელო – ზემო სვანეთის მხარეებად. თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, დამოუკიდებელ ერთეულად იქნა მიჩნეული; ქ. ფოთი, რომელსაც განსაკუთრებული ქალაქის სტატუსი მიენიჭა, მაგრამ იგი ადმინისტრაციულად მაინც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის შემადგენლობაში შევიდა.

ამჟამინდელ საბაზრო მეურნეობრიობაზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ორი პოზიცია, ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა მუსირებს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ბატონ ნოდარ ჭითანავას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „შექმნილ სიტუაციაში, ვიდრე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საბოლოო მოდელი განისაზღვრება, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ჩამოყალიბებული სისტემა სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ სრულყოფას საჭიროებს“¹.

¹ ნ. ჭითანავა – სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში; ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კლექტივი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. V, თბ., 2000 წ., გვ. 458.

ამასთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნეთ, ორი პოზიცია, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომა განიხილება. ერთი მოსაზრება იქითკენ იხრება, რომ შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საბჭოური უნიტარული მოდელი, ხოლო მეორე ვარიანტი გეთავაზობს მოწყობის ფედერალიზმის პრინციპებს. „ამ ორი პოზიციის დაპირისპირებისას სახელმწიფოსა (ცენტრი) და რეგიონებს შორის ამჟამად ჩამოყალიბებულმა ურთიერთობამ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რთულ კვანძად ფორმირება განაპირობა. ამიტომ ეს პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას, არასტანდარტულ მიდგომებს საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ძლიერდება ფედერალიზმის პრინციპებზე სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიმართ საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური მიდგომა“¹. აქვე დავძენთ, რომ ჩვენც ფედერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისზე ვდგევართ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ასეთი მოწყობა არის ცივილიზებული მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში კულტივირებული.

დღეს უკვე აშკარად და რეალურად იკვეთება ქვეყნის ფედერალური მოწყობის კურსი, დაფუძნებული ავტონომიურ და სამხარეო სტრუქტურებზე. ამ გადასახედიდან ზოგიერთი ოპონენტი ეჭვქვეშ აყენებს მხარეებში პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტის შექმნა-ფუნქციონირების მიზანშეწონილობას, ხოლო ზოგიერთი კი პირდაპირ სვამს საკითხს, რომ მიზანშეწონილი არ არის აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციონირება. „ჩვენი აზრით, აღნიშნულმა სტრუქტურამ ექსტრემალურ სიტუაციაში თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაადასტურა, თუმცა ამჟამინდელი ფუნქციებით მას არ შეუძლია თვისებრივად ახალი რეალიების შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული

¹ პროფ. ო. საღარეშვილის მოხსენების სრული ტექსტი ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის თაობაზე, დაიბეჭდა გაზეთში „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“, №5, 1997 წ.

ამოცანების გადაწყვეტა“¹. ჩვენ ვიზიარებთ ისეთ მიდგომასა და მოსაზრებას, რომ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი შენარჩუნებული უნდა იქნეს. ამ მოსაზრების გამმაგრებელი არგუმენტაცია იმაში მდგომარეობს, რომ „რათა მართვის იერარქიის შესაბამისად, ცენტრის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების ოპტიმალური გადანაწილების პროცესი დაჩქარდეს და ადგილობრივი თვითმმართველობითი სისტემის სათანადო ორგანიზაციული და ეკონომიკური ბაზა შეიქმნას. ასეთი სტრატეგიით მიზანშეწონილი იქნება კონკრეტული რეგიონის თავისებურებათა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინებით სახელმწიფო მართვის რეგიონული სტრუქტურის ფორმირება. მიზანშეწონილია ცენტრალური სტრუქტურების (სამინისტროების, უწყებების) ფუნქციების გაფართოება რეგიონებში და რწმუნებულის აპარატთან მათი კოორდინაციის მექანიზმის ჩამოყალიბება“². ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს მეორე თვალსაზრისიც, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის საქმიანობა ძირითადად განისაზღვროს კონტროლის ფუნქციებით (კერძოდ, როგორ ასრულებენ რეგიონის ტერიტორიაზე ქვეყნის კონსტიტუციას, კანონების, ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, როგორ პასუხობს პრობლემათა გადაწყვეტის პრინციპები და ორგანიზაცია სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიასა და ინტერესებს. ამ თვალსაზრისის მხარის დაჭერა გამართლებულად არ მიგვაჩნია, რადგანაც პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი მომავალში უნდა გახდეს რეგიონული მართვის სისტემა, რომელსაც თანაბრად ეხება რეგიონში სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, მაკონტროლებელი და სხვა ფუნქციები.

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 142.

² საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 142-143.

საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხების პერსპექტივების მიმართ საინტერესო მოსაზრებები აქვს შემოთავაზებული აწგარდაცვლილ პროფესორს ო. საღარეიშვილს თავის კონცეფციაში, რომელიც მოხსენების სახით იყო წარმოდგენილი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სადისკუსიო კლუბის სხდომაზე. მეცნიერი სამართლიანად მიუთითებდა იმის თაობაზე, რომ რეფორმების წარმმართველმა ორგანიზაციებმა სასურველია ორიენტაცია შეიცვალოს და სერიოზულად მოეკიდონ ქართველ მეცნიერებთან ერთად ეკონომიკური გადაწყვეტილებების რეალიზაციას. განიხილავს რა მხარის სტატუსის, რეგიონალიზმისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მოწყობის პოლიტიკის ფორმირების პრობლემებს, იგი ცალსახად ადასტურებს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის საჭიროებასა და აუცილებლობას. სავსებით მართალია ბატონი ო. საღარეიშვილი თავის მოსაზრებაში, რომ „მხარეების არსებობას დღეს მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით თუ ვცნობთ, თორემ ეკონომიკურად მათი დაარსების არავითარი კონცეპტუალური პრინციპები არ ყოფილა დამუშავებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით. არადა ამის გარეშე სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა საიმედო მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ვერ დაემყარება“!

ვუქირობთ, გასაზიარებელია მეცნიერის ის მოსაზრებაც, რომ საქართველოში არსებული ტერიტორიული (რაიონული) დაყოფის შენარჩუნების პირობებში ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების გამოყოფას არ შეიძლება დადებითი შედეგები მოჰყვეს. დღეისათვის 60-ზე მეტი რაიონის არსებობის პირობებში სამხარეო დაყოფა რამდენადმე ზედმეტია. რასაკვირველია, ჩვენც იმ თვალსაზრისზე ვართ, რომ რაიონული რგოლები პერსპექტივაში უნდა გაუქმდეს.

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 146-147.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გააზრებულად გამოყენება გარკვეულ გავლენას მოახდენს ყოველი მხარის (რეგიონის) ფორმირებასა და განვითარებაზე. როგორც ბატონი ო. საღარეიშვილი აღნიშნავს: „ეს გავლენა მით უფრო დადებითი იქნება ქვეყნის განმტკიცებისათვის, რაც უფრო გამოყენებული იქნება პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფისა და ეკონომიკური დარაიონების ერთობლიობა. სახელმწიფო-ტერიტორიულმა დაყოფამ უნდა უზრუნველყოს ყოველი გამოყოფილი ერთეულის ორიენტირი როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. ეს კი წარმოშობს ახალ კავშირურთიერთობებს, რომელთა ბაზაზე განვითარდება საერთაშორისო თანამშრომლობებიც კი“. საინტერესოა დასახელებული მეცნიერის მოსაზრება იმ თვალსაზრისითაც, რომ სამხარეო დაყოფას აზრი არ აქვს, თუ ქვეყნის ტერიტორიული დაყოფა არ ითვალისწინებს ყოველი ერთეულისათვის ეკონომიკური როლის მინიჭებას. თუ ისინი კვლავ ბიუჯეტის დაფინანსებას დაექვემდებარებიან, ეს უმართებულო იქნებოდა. მართლაც, სამეურნეო ერთეულისათვის ეკონომიკური როლის მინიჭება საპატიო და რთული ამოცანაა. ბატონი ო. საღარეიშვილი არ ეთანხმება ზოგიერთი მხარის ტერიტორიული ფორმირების სისწორისა და მიზანშეწონილობის საკითხს. მაგალითად, მას მართებულად არ მიაჩნია მცხეთის მიკუთვნება მთიულეთ-ხევსურეთთან, რადგანაც მცხეთა თავისი ბუნებით და მეურნეობით არსებითად განსხვავებულია მთიულეთ-ფშავეხევსურეთისაგან. მათი მექანიკური გაერთიანება არც მცხეთისთვის გამოდგება და არც მთიულეთ-ფშავეხევსურეთს განამტკიცებს. ამის არგუმენტად მას ის გარემოება მოჰყავს, რომ თითქოსდა ვერცერთი (ვერც მცხეთა და ვერც მთიულეთ-ფშავეხევსურეთი) ვერ მოძებნის თავის ადგილს შრომის როგორც საერთაშორისო, ისე შიგნითა სახელმწიფოებრივ დანაწილებაში. ამ არგუმენტის ღრმა საფუძვლიანობას გარკვეულად ეჭვქვეშ ვაყენებთ. ზემოაღნიშნული თვალსაზრისით მას არამართებულად მიაჩნია სვანეთის იმგვარი გათიშვა, როდესაც მესტია ზუგდიდის მიზიდულობის არემია, ხოლო ლენტეხი

- რაჭა-ლეჩხუმის. ის იმ თვალსაზრისს იცავს, რომ მესტია-ლენტეხის ერთად არსებობა აუცილებელია.

რეგიონების ფორმირება ჩვენში დამთავრებული არ არის და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება აგრეთვე გამახვილებული იქნება მათი ტერიტორიებისა და საზღვრების შემდგომი დახვეწა-დაზუსტების თვალსაზრისითაც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ზოგიერთთა შეხედულება, რომ სამხარეო დაყოფა ადმინისტრაციულ ერთეულთა მხოლოდ უფლებამოსილების გამიჯვნით შემოიფარგლება, არამართებულია, რადგანაც ჩვენ მხარედ მივიჩნევთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ ერთეულს, რომელსაც ექნება როგორც დადგენილი საზღვრები, ასევე ბიუჯეტი, თვითმმართველობა და თავისი ცენტრი.

რეგიონალიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია თანმიმდევრული და მწყობრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ქვეყნის სამხარეო პრინციპებით ტერიტორიული მოწყობა და ამჟამად შემორჩენილი რაიონული დაყოფის გაუქმება გამოიწვევს მმართველობაში ხარჯების მკვეთრ შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ყოველი კონკრეტული მხარის თვითდამკვიდრების აუცილებელი პირობა იქნება. დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (რაიონების შენარჩუნებით) არათუ ამცირებს, არამედ კიდევაც ზრდის მმართველობაზე საბიუჯეტო ხარჯებს.

ამრიგად, როგორც პროფ. ო. საღარეიშვილი მიუთითებს, „სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა უნდა ემყარებოდეს ქვეყნის შესაბამისი ნაწილის (მხარე და ა. შ.) თვითდამკვიდრების პრინციპს, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ არა მარტო მოვებნოთ ქვეყნის სამეურნეო პოტენციალის შინაგანი რეზერვები, არამედ დავსახოთ გზები მათი უნარიანი გამოყენებისათვის. საქართველოსათვის ისტორიულად საყურადღებო იყო არა მისი დანაწილება მხოლოდ ეთნოგრაფიულ საფუძველზე, არამედ ბარისა და მთის ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების გონებრივი შეთანაწყობა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ შევქმნათ ერთიანი სახელმწიფოს

სამეურნეო კომპლექსის ურთიერთშემავსებელი კომპონენტები, რათა თავიდან ავიცილოთ, ერთი მხრივ, სეპარატიზმი და, მეორე მხრივ, სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობილება. ასეთად მიგვაჩნია არა ეთნოგრაფიული მხარე, არამედ ტერიტორიულ-ეკონომიკური დეპარტამენტი (ფრანგული ვარიანტი)“.

უთუოდ ყურადსაღებად უნდა მივიჩნიოთ პროფესორ ო. სალარეიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენი ერის მიერ სამომავლო აღმშენებლობის გზაზე გასათვალისწინებელია ეროვნული მემკვიდრეობა, რომელიც ერის ნების საფუძველზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა. ეს და მრავალი სხვა საჭირობოროტო საკითხი აქვს განხილული და ახლებური ხედვით დასაბუთებული ბ-ნ ო. სალარეიშვილს თავის ნაშრომში „ძველი ქართული ეკონომიკური წყობის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის“.

„რა ეროვნულ მემკვიდრეობას აქცევდნენ ყურადღებას ერის მესვეურები? სხვასთან ერთად – „ეკონომიკურ აგებულებას, ეკონომიკურ წყობას“, რომელმაც ერი საუკუნეების მანძილზე თავისთავადობის („ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუნოდა“) გრძნობით გამოატარა და ბოლოს, როგორც ღიდი ბრძენი ილია აღნიშნავდა, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავითარი ვალი და ვახში არ დასდებია...“¹ ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ისტორიულად ქართული ეკონომიკური წყობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გამორიცხავდა სოციალურ უსამართლობას. „ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ეკონომიკამცოდნეებს შეუძლიათ უშუაშაველოდ თვალი გაადევნონ ეკონომიკური წყობის განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე, სხვათა დაუხმარებლად ეზიარონ იმ ქმედით მეთოდებს, რომლებსაც ქმნიდნენ ჩვენი წინაპრები და საიმედოდ გადასცემდნენ მომავალ თაობებს სამემკვიდრეოდ. ეს ის მემკვიდრეობაა, ნებისმიერი მოწინავე ერის საქმიანობას რომ

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 156.

დაამშვენებდა. ამას სჭირდება მოვლა-პატრონობა, ღირსეულად აღქმა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა“.¹

მართლაც, სამწუხაროა, რომ წარსულ საუკუნეთა დიდი მონაპოვარი თანდათან დაგკარგეთ და მივივიწყეთ, რის გამოც დღეს უკვე ძნელი ხდება ჩვენი ტრადიციების, მემკვიდრეობის აღდგენა-დაზუსტება და ახალი ვითარებისადმი მისადაგება. ეჭვი არ არის, რომ ღრთა განმავლობაში გარკვეულ სწორ ორიენტირს ავიღებთ და თანამედროვე კრიზისულ მდგომარეობასაც თავს დავაღწევთ. მაგრამ ამასთან საჭიროა „ერთხილად მოვეკიდოთ იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარება ეროვნულის მივიწყებას გვიქადის“ და ყველაფერი „უცხოთამოყვარეობას“ ეფუძნება. ვფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე ყველაფერში ყურადღების „მსოფლიო მეურნეობრიობაზე“ გადატანა და მსხვერპლად ყოველგვარი ეროვნულის შეწირვა, ყველაფერ ეროვნულზე უარის თქმა ნამდვილად არ გამოგვადგება. საჭიროა მთელი სიგრძე-სიგანით გავითავისოთ, რომ ყოველგვარი უცხოური მოდელების საქართველოში მექანიკურად გადმოტანის პრაქტიკა აშკარად გამოუსადეგარია და აღნიშნულმა იდეამ შთანთქა ეროვნული მეურნეობრიობის გამოსაყენებლად ვარგისი ყველა კომპონენტი.

ამრიგად, ახალი ისტორიული ვითარება ახალი გზების ძიების საჭიროების წინაშე აყენებს ერსა და საზოგადოებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს გამოსადეგი ძველის უკუგდებას; წარსულიდან საჭიროა აღებულ იქნას ის, რაც გააძლიერებს აწმყო-საც და მომავალსაც.

თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში, როდესაც საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესმა საქართველოს სინამდვილეში შეუქცევადი ხასიათი მიიღო, საჭიროა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ისტორიული ფუნქცია, რომელსაც შორეულ წარსულში აქვს ფესვები, ახლებურად იქნას გააზრებული და გათავისებუ-

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 156.

ლი. განა ცნობილი არ არის საქართველოს მსოფლიო ისტორიული ფუნქცია შრომის საერთაშორისო დანაწილების თვალსაზრისით? ამის ნათელი დადასტურებაა აღრინდელი ეპოქების დაწინაურებული აზია და მის ცხოვრებაში ჩვენი ქვეყნის სოლიდური როლი და მონაწილეობა, როდესაც ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით V-IV საუკუნეებში აზიაში ახალი დარგების განვითარებამ წარმოშვა ევროპასთან აზიის დაკავშირების იდეა და გადაწყდა „აბრეშუმის დიდი გზის გაყვანის“ საკითხი. სწორედ ამ საქმიანობაში იყო საქართველო ერთ-ერთი თანამონაწილე (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) და იგი გახდა სამი კონტინენტის (აზია, ევროპა, აფრიკა) დამაკავშირებელი რგოლი. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართვამ განაპირობა ქვეყნის ახალი დარგობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება და ახალი ამოცანების გადაჭრისაკენ წაყვანის პროცესის განვითარება. ქვეყნის ისტორიული მისია განაპირობებდა იმას, რომ „ეკონომიკური წყობაც შესატყვისი უნდა შექმნილიყო, და შეიქმნა კიდევ; საერთო საკუთრების (ამხანაგური) არსებობა; პატრონყმობა – ბატონყმობის ნაცვლად; გლახაკთა და ხელმოკლეთა არა დამონება, არამედ დახმარება; ოჯახის კულტი და სხვა ქვეყნის ისტორიულ ფუნქციებზე მიუთითებს; შეიძლება ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ჰეგელისეული თეზისი – კავკასიის რასის ისტორიული მისიის შესახებ“¹

საინტერესო მდგომარეობა აქვს ბ-ნ ო. სალარეიშვილს თანამედროვე პირობებში ეკონომიკური წყობის შემადგენელი ნაწილების ფორმირება-ჩამოყალიბების მიმართ. კერძოდ, ის იხილავს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის, მმართველობის იერარქიის, საკუთრების, საბიუჯეტო ურთიერთობების საკითხებს, აგრეთვე პირად შემოსავლებზე მოქალაქეობრივი დამსახურების გავლენის მნიშვნელობის საკითხს. არ გამოვრიცხავთ, რომ ზოგიერთი მდგომარეობი შესაძლებელია საკამათოც იყოს, ან განსხვავებული მოსაზრებებიც

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 157.

გვეყენებს, მაგრამ მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული და შემოთავაზებული მიდგომები, უდაოდ, მხედველობაში მისაღები და გასათვალისწინებელია მათ მხრიდან, ვისაც ზემოაღნიშნული პრობლემების ოპტიმალურად მოგვარება ეხება.

ჩვენი და მთლიანად საზოგადოების დიდ ყურადღებას მაინც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრიორიტეტული საკითხი იმსახურებს. ეს პრობლემა პრიორიტეტულია იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით ხორციელდება სახელმწიფოს მმართველობა ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე.

ამრიგად, საკითხი ეხება სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს და ქვეყანამ განვითარების მაღალ შედეგებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებით უნდა მიაღწიოს.

მიმოიხილავს რა ისტორიულ მასალებს და ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ გამოკვლევებს წარსულში საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში, პროფესორი ო. საღარეიშვილი სწორად დასძენს, რომ ისტორიული მასალების მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ის აუცილებელი, რაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სამომავლოდ და რამაც საბოლოოდ ხელი აგვადებინოს „უცხოთმოყვარეობაზე“ (ილია); რომლის მიხედვითაც ეროვნული მეურნეობრიობა უცხოთა „რჩევაზე“ გვინდა ავაგოთ. მას მიაჩნია, და სავსებით სწორია, რომ „მათი გათვალისწინება დაგვეხმარება ახალი მეურნეობრიობის ჩამოყალიბებასა და ეკონომიკური რეფორმების მართებულ გატარებაში“.¹ ამასთან აგრძელებს რა მსჯელობას, იგი დასძენს, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ტერიტორიული მოწყობა ფედერალიზმის პრინციპით არ არის ტრადიციული და მასზე ხელი უნდა ავიღოთ“.² კი ბატონო, აუცილებელია ბევრი ტრადიცია გათვალისწინებული იქნას საბაზრო პირობებში ჩვენი

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 157.

² საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, თბილისი, 2001, გვ. 161.

ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობისა და მეურნეობრიობის ასაგებად ახლებური პირობების შესატყვისად, მაგრამ სულაც არ არის სავალდებულო ყველაფერი უცხოეთისაგან კოპირებით ან უცვლელად და კოპირებით გადმოვიღოთ ჩვენი ისტორიული წარსულისაგან. არ მიგვაჩნია მართებულად იმის აგრუმენტად გამოყენება, რომ რადგან ფედერალიზმის პრინციპი არ არის ტრადიციული დღეს, აუცილებლად უარი უნდა ვთქვათ ამ პრინციპზე, რადგანაც თურმე „ქვეყნის განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესის სახით უნდა წარიმართოს და არა ვინმეს ნება-სურვილით“. ჩვენ სულაც არ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნის განვითარება აუცილებლად ვინმეს ნება-სურვილით უნდა წარიმართოს, მაგრამ განა ასე უნდა დავხუჭოთ თვალები ყველაფრის მიმართ, რაც წარსულში გვქონდა და ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე მსოფლიო პროგრესული და ცივილიზებული სამყაროს გამოცდილებიდან? თუმცა ფედერაციული მოწყობის მოწინააღმდეგე ავტორი კი აღიარებს იმას, რომ „ერის მოვალეობაც ისაა, რომ ღრმად ჩაწვდეს ამ პროცესს და განსაზღვროს მსოფლიოს მაგისტრალური გზა. მხოლოდ ამის შესაბამისად შეიძლება სწორი ეკონომიკური სტრატეგიის არჩევა და ქვეყნის გონივრული მართვა“. ღიახ, ჩვენი ქვეყნის გონივრული მართვის სწორ გზად ამჟამინდელ ეტაპზე უნდა მიჩნეულ იქნას ფედერალური მოწყობა. თუმცა ჩვენ სულაც არ ვამტკიცებთ იმის აუცილებლობას, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის აღნიშნული ფორმა მუდმივი იქნება და თითქოს არ შეიძლებოდეს დროთა და ჟამთა მსვლელობამ არ დააყენოს დღის წესრიგში სხვაგვარი მოწყობის საჭიროება. თუ ბ-ნი ო. საღარეიშვილი ფედერალური მოწყობის უვარგისობას იმით გვისაბუთებს, რომ იგი ბოლშევიკების მიერ ოციან წლებში გატარებული ქვეყნის ტერიტორიული მოწყობაა, სადაც დაშვებული იყო აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულებად ფორმირება, რაც თითქოს ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მარადისობას და

თითქოს ნიადაგს უქმნის მის დაქუცმაცებას, რაც შინააშლილობისა და სეპარატიზმის საფუძველი ხდება; მაშინ ამ იდეის ავტორმა ისიც უნდა შემოგვთავაზოს, თუ როგორ აპირებს იგი თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (თანაც მშვიდობიანად) ქვეყნის ფედერალური მოწყობის გარეშე. ჩვენ კვლავ დაეძენთ, რომ გარკვეულ ეტაპზე, შეიძლება 20-30 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყანა წელში გაიმართება და სრულფასოვნად ჩადგება მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს რიგებში, სულაც არ არის გამორიცხული, რომ დადგეს საკითხი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად სხვაგვარ ჭრილში მოწყობის საკითხი.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ბ-ნ ო. სალარეიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, როდესაც ის წერს, რომ საჭიროა ვიფიქროთ „საქართველოს თვითმყოფადობაზე და უარი ვთქვათ უცხოთა ბაძვის თუთიყუშურ გამოძახილზე, აუცილებელია მეურნეობრიობის გაძღოლის „ძველი გზა“ ახალ ვითარებას მივუსადაგოთ“. ჩვენც ამ მოსაზრებას ვიზიარებთ, მაგრამ მარტო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ხომ არ არის მეურნეობრიობის გაძღოლა.

საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თაობაზე. აკადემიკოს ლეო ჩიქავას. მისი აზრით, საქართველო არ უნდა იყოს არც უნიტარული და არც ფედერალური სახელმწიფო. ამის დასასაბუთებლად ბატონ ლ. ჩიქავას ცალ-ცალკე მოყავს უნიტარული და ფედერალური წყობისათვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეები. ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში ვერსად ნახავთ ვერც „წმინდა“ ფედერალურ და ვერც „წმინდა“ უნიტარულ სახელმწიფოს. ისეთი კლასიკური ფედერაციული სახელმწიფო, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, უნიტარიზმის საკმაოდ მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს, ისე როგორც საფრანგეთი – ფედერალიზმისა.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ვარიანტი ბატონ ლ. ჩიქავას შემდეგნაირად აქვს გააზრებული: „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას საფუძვლად ოპტიმალურად ურთიერთშერწყმული უნიტარულ-ფედერალური სისტემა უნდა დაედოს. მისი ამოსავალი გზა იქნება მზარდი საზოგადოებრივი, პარტიულ-პოლიტიკური, აგრეთვე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი უნიტარიზაცია. იგი კი არ განსაზღვრავს ერთიანობას მრავალფეროვნებაში, არამედ ახალ სიბრტყეში გადაიყვანს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. აღიარებს მხოლოდ ერთ სუვერენულ სახელმწიფოს, სადაც „წმინდა“ უნიტარული სახელმწიფოსაგან განსხვავებით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება გადანაწილებულია ტერიტორიულად დიფერენცირებულ და დამოუკიდებელი პასუხისმგებლობით მოქმედ ორგანიზაციებს შორის.

ამრიგად, ნეგატიური თვისებებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი უნიტარიზმი უნდა შეივსოს ფედერალიზმისათვის დამახასიათებელი დადებითი თვისებებით. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები ფედერაციის სუბიექტებად ვერ გამოდგებიან. სუბიექტები ასეთი ოდენობით ცივილიზებულ სუპერსახელმწიფოებსაც არა აქვთ. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სუბიექტების ფუნქციები (ცხადია, სრულიად ახლებური უფლება-მოვალეობებით) შეიძლება შეასრულონ არსებულმა, გადახალისებულმა და გააზრებულად შევსებულმა სამხარეო სტრუქტურებმა. ტერიტორიული მოწყობა, როგორც წესი, უნდა დაემყაროს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ და არა ეთნიკურ პრინციპს. ცალკეულ შემთხვევებში იგი საქართველოს ისტორიულ პროვინციებს (კახეთი, იმერეთი, გურია და ა. შ.) თუ დაემთხვევა, არც ამაში უნდა დავინახოთ რაიმე ტრაგედია.

არსებითად უნდა შეიცვალოს ამჟამად არსებული ადმინისტრაციული რაიონების ფუნქციები, მათი საქმიანობა ძირითადად

ადგილობრივი თემების, სოფლებისა და დაბების ფუნქციონირების კოორდინაციით უნდა შემოიფარგლოს. ქვეყნის კონსტიტუციონითა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით ზუსტად უნდა განისაზღვროს ფედერაციის სუბიექტთა ორგანიზაციული სტრუქტურა და თითოეული დანაყოფის ფუნქციები“¹.

რასაკვირველია, ბატონ ლ. ჩიქავას მოსაზრებები არსებითად გასაზიარებელი და ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის დახვეწისათვის პრაქტიკულად გამოსაყენებელია, მაგრამ ჩვენ ამასთან ერთად ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას არსებული რაიონების შენარჩუნების შესახებ.

საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა პროფესორმა გ. ხელაიამ საქართველოს ისტორიულ მისიას, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მსჯელობს მისი საზღვაო ნავსადგურის – ფოთის პერსპექტივის თაობაზე. აღნიშნულის საფუძვლიანობის შესახებ მოიშველია მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ბრძნული გამონათქვამები და წინასწარმეტყველებანი. ნ. ნიკოლაძე, როგორც ცნობილია, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე დიდი მოაზროვნე გახლდათ. როგორც ბ-ნი გ. ხელაია მიუთითებს „მისი გონება გასაოცარი სიღრმით სწვდებოდა საზოგადოებრივი მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. ილია ჭავჭავაძე 33 წლის ნიკოზე ამბობდა: „ნიკო ნიკოლაძის გონიერებისა, მიხვედრილობისა და ყველასაგან ცნობილი ნიჭიერების დიდი პატივისმცემელი ვარო“.² საგულისხმო და აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ფოთელი ხმოსნები (საკრებულოს წევრები) სთხოვდნენ ბატონ ნიკო ნიკოლაძეს, რათა იგი გამხდარიყო ქალაქის თავი, როდესაც მიდიოდა უკომპრომისო დავა იონა მეუნარგიასთან ამ ადგილის

¹ საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ლეო ჩიქავას მოსაზრებანი; გაზეთი „განათლება, მეცნიერება, ბიზნესი“, 2000, №15.

² გ. ხელაია. ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური შეხედულებები და თანამედროვეობა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2, 2001, გვ. 298.

დასაკავებლად.¹ ფოთელი ხმოსნების წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი გამოქვეყნებულია ალექსანდრე ბენდიანიშვილის წიგნში „საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში“. საყურადღებო და ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძის მდიდარი და ფართო სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებების მწყობრი სისტემიდან ზოგიერთი მოსაზრებანი თავისი აზრობრივი სიღრმით დღევანდელი ჩვენი ქვეყნის გაპარტახებული ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისათვის მეტად საჭირო და ყურადსაღებიც არის.

ნ. ნიკოლაძეს ეკონომიკა წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც კერძო და კოლექტიური საკუთრების ერთიანობაზე დაფუძნებული მეწარმეობის, კომერციული და ფინანსური საქმიანობის სინთეზი, სადაც თავისუფალ თაოსნობასთან კანონზომიერად არის შერწყმული ადმინისტრაციული რეგულირების ფორმები. მისი აზრით, მეურნეობრივ საქმიანობაში მმართველი ორგანოების ჩარევა აუცილებელია, რის შედეგადაც უნდა მოხდეს თავისუფალი კონკურენციის კანონის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება. ნ. ნიკოლაძის შეხედულებებმა თეორიული დასაბუთება ჰპოვეს თანამედროვე პოლიტიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჰოლანდიელი პროფესორის ი. ტინბერგენის წიგნში „ეკონომიკური პოლიტიკა“, აგრეთვე კონვერგენციისა თუ ტექნოიდილიის სხვა თეორეტიკოსთა შრომებში; პრაქტიკულად კი ხორცი შეისხეს შვეციის, დანიის, ნორვეგიის, ფინეთის, შვეიცარიის, ჰოლანდიისა და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ მოდელეებში, რომლებიც მსოფლიოში ცნობილია დასავლეთის დემოკრატიული სოციალიზმის სახელით. ამ მოდელების სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია მათი მისწრაფებით მაქსიმალურად განხორციელდეს სამი ძირითადი პრინციპი: შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმებულობა, ღოვ-

¹ აკაკი ბაქრაძე, ნიკო ნიკოლაძე (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება). თბილისი, ნაკადული, 1989, გვ. 207.

ლათის სამართლიანი განაწილება და შემოსავლის რაც შეიძლება ნაკლები დიფერენციაცია: ამავე დროს წარმოების მფლობელთა შეზღუდვის პოლიტიკის გატარებასთან ერთად არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ხელყოფილი წარმოების მფლობელთა უფლებანი წარმოების საშუალებებსა და კერძო საკუთრებაზე.

დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად იზრდება ეტატიკური ტენდენციები. ავსტრალიისა და საფრანგეთის კონსტიტუციებში სპეციალური შესწორებანი იქნა შეტანილი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების განხორციელებაში სახელმწიფოს როლის გაზრდის აუცილებლობის შესახებ. ქართულ სინამდვილეში კი ნ. ნიკოლაძის მიერ საუკუნის წინ აღძრული პრობლემა – კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ – კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად და სერიოზულ ანალიზსა და კვლევას მოითხოვს.

სახელმწიფოს ფორმებს ნ. ნიკოლაძე მიმოიხილავს ნაშრომებში: „მოკლე განხილვა მმართველობის სხვადასხვა ფორმისა“, „აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქია და რესპუბლიკა“, „ბუღარია“ და სხვა.

იგი თვლის, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმები ძირითადად ორგვარია – მონარქიული და რესპუბლიკური. „მონარქიული ეწოდება იმ მმართველობის ფორმას, რომელშიაც უზენაესი უფლება ერთი პირის ხელშია. ამ პირს ჰქვია მონარქი, ანუ ხელმწიფე და სახელმწიფოს მონარქიას ეძახიან“¹. ნ. ნიკოლაძე გამოყოფს მონარქიის ორ სახეს: მემკვიდრეობითსა და არჩევითს და ახდენს მათ კლასიფიკაციას მმართველობის წესის მიხედვით: 1. დესპოტური მონარქია; 2. გარემუქსაზღვრელი ანუ აბსოლუტური მონარქია. იგი ფართოდ განიხილავს მონარქიული მმართველობის თითოეულ ფორმას, ადგენს მსგავსებასა და განსხვავებას მათ შორის და ასკვნის, რომ ყველაზე მეტად პროგრესული

¹ ნიკო ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 370.

ფორმა მათ შორის არის კონსტიტუციური მონარქია, ვინაიდან ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს ხალხის მასებს მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმიანობაში. კონსტიტუციური მონარქიის ფუნქციების დროს „ხელმწიფე მეფობს და არა მართავს (Le roi renga, mais ne gouverne pas)“¹. სახელმწიფოს ფაქტიურად მართავს ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო — პარლამენტი, რომელიც თავის მხრივ ორი პალატისაგან შედგება: ერთს ჰქვია კვემო პარლამენტი, დეპუტატთ ან წარმომადგენელთ პალატა, აგრეთვე პალატა კომუნებისა. რანციაში ამ დეპუტატთ პალატას სჯულისდამდებს კორპუსს ებახიან (Le corpus legislatif). მეორეს უწოდებენ ზემო პარლამენტი, ზემო პალატა ფრანციაში და იტალიაში ზემო პალატის მაგიერათ სენატი არის... ზემო პარლამენტის წევრები უფრო არისტოკრატიის წარმომადგენლნი პირები არიან. ანგლიის ზემო პარლამენტში წევრის ადგილი ლორდებს ეკუთვნის შტამომავლობით, იქ სხედან აგრეთვე თანამდებობის ძალით ანგლიის მთავარ-ეპისკოპოსები და ეპისკოპოსები. გარდა ამისა კაროლს შეუძლიან უბოდოს ზემო პარლამენტის წევრობა დამსახურებულ კაცებს. რანციაში სენატორებს თვითონ იმპერატორი ნიშნავს“¹.

თუმცა, ნ. ნიკოლაძე აღიარებს კონსტიტუციური მონარქიის, როგორ საზოგადოებრივი წყობისა და მმართველობის ფორმის პროგრესულობას დესპოტიასა და აბსოლუტურ მონარქიასთან შედარებით, მაგრამ საერთოდ მონარქიულ მმართველობას იგი ნაკლები სიმპატიით ეკიდება. მისი აზრით მომავალი რესპუბლიკას ეკუთვნის. მართლაც, ისტორიამ დაადასტურა მისი პროგნოზი.

განიხილავდა რა ვაჭრობისა და კომერციის გონივრულად მოწყობის საკითხებს, ქვეყნებსა და ცალკეულ კუთხეებს შორის გასაყიდი და შესასყიდი საქონლის მოცულობათა მოთხოვნის მიხედვით გათვალისწინების აუცილებლობას, ნ. ნიკოლაძე ყურა-

¹ ნიკო ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 307.

დღეებს ამხვეილებდა საქონლის გადასაზიდად საჭირო იაფი გზების გამონახვის საჭიროებაზე, საქონლის შენახვისა და დაცვის საიმედოობაზე, სავაჭროდ ისეთი ადგილების შერჩევის აუცილებლობაზე, სადაც მოსახლეობის (მომხმარებლების) დიდი რაოდენობაა და ამასთან გასაყიდ საქონელზეც დიდი მოთხოვნილებაა. აღნიშნულის გათვალისწინებით ნ. ნიკოლაძემ 1871 წელს სავაჭრო ცენტრების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის ანალიზის გზით უდიდესი პერსპექტივა და მომავალი უწინასწარმეტყველა ფოთს: ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რკინის გზა მალე შეაერთებს მას თბილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება აღებ-მიცემობა ერთის მხრივ ევროპასა და მეორეს მხრივ საქართველოს, შუა აზიასა და სპარსეთს შორის... და იგი შეიქმნება უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი თავისი პორტით. დღეს უკვე მართლაც აღარავის ეჭვს აღარ იწვევს ფოთისა და მისი საზღვაო პორტის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის, რომელმაც უკვე რეალურად ფართოდ დააკავშირა ევროპა მთელ აღმოსავლეთთან და ეჭვსგარეშეა ეს კავშირურთიერთობა კონტინენტებისა ფოთის მეშვეობით კიდევ უფრო გაღრმავდება და მკვეთრად გაფართოვდება უახლოეს წლებში, როდესაც მწყობრში ჩადგება ტრასეკას დიდი საზღვაო სატრანსპორტო-სანავსადგურო-სატერმინალო დელტა – ბათუმი – სუფსა – ფოთი – ყულევი – ანაკლია – ოჩამჩირე – სოხუმი, მას შეეძლება ყოველწლიურად ევრაზიის დერეფნის პროგრამით გათვალისწინებული 60 მლნ ტონაზე მეტი ტვირთნაკადების მიღება-გადამუშავება-გაგზავნა. ერთი სიტყვით ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის სისტემაში საკვანძო როლი ეკისრება ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებს, სუფსის ნავთობტერმინალს, ბათუმისა და ფოთის საბორნე გადასასვლელებს, ყულევის ტერმინალს, ანაკლიის ღრმამწყლიან ნავსადგურს, რომლებიც კავკასიისა და შუა აზიის ქვეყ-

ნებს მოემსახურებიან და ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ საზღვაო სატრანსპორტო პუნქტებად გადაიქცევიან.

ქვეყანაში რეგიონების საბოლოო ფორმირებისა და მათი საზღვრების მომავალი დაზუსტების პროცესის განხორციელებისას საჭიროდ მიგვაჩნია, გარდა ადმინისტრაციულია, აუცილებლად გათვალისწინებული იქნეს აგრეთვე ისეთი გარემოებებიც, როგორცაა, მაგალითად, ა) ისტორიული მემკვიდრეობითობის პრინციპი (ე. ი. როდესაც ადმინისტრაციული მართვის საფუძველად აღებულია დიდი ხნის ისტორიული ტრადიციები); ბ) გეოგრაფიული პრინციპი (რეგიონების საზღვრების დაზუსტებისას საზღვრების გაკლებას საფუძველად უღვევს მდინარეები, მთები და სხვა გეოგრაფიული ობიექტები); გ) რეგიონის კელაქმარობითი მიდგომის პრინციპი. კელაქმარობელურმა მიდგომამ უნდა დაძლიოს ყველა შეზღუდვა რეგიონის მასშტაბების განსაზღვრაში.

ქვეყნის ეკონომიკის მართვის რეგიონული სისტემა პერსპექტივაში ისე უნდა აიგოს, რომ იგი სტიმულის მიმცემი იყოს სამეცნიერო ინფორმაციის მოხმარებისა და რეალიზაციის ზრდისათვის როგორც შიგა, ისე გარე ბაზარზე. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების წახალისება კრედიტების პოლიტიკით, საგადასახადო და ფასების პოლიტიკით, საბანკო შეღავათებით და სხვა.

ეკონომიკური გლობალიზაციის რთული პროცესების შემდგომი გაღრმავება აქტუალურობას მატებს და დღის წესრიგში აყენებს ქვეყნის რეგიონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების ამოცანის ახლებურად (თანამედროვე მოთხოვნათა ადეკვატურად) გააზრების საკითხს.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონეებს შორის არსებული კონტრასტების შერბილება, სოციალური და ბუნებრივი-საწარმოო პირობების გაუმჯობესება, მეურნეობრიობის ტრადიციების შენარჩუნება და თვისობრივად, განვითარების ახალ სიმაღლეზე აყვანა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს

კომპლექსური მიდგომით. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ამ პროცესის წარმართვა დაეფუძნოს მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების რეალიზაციის პირობებში პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში რეგიონული განვითარების მიზნების ამოცანებისა და მათი რეალიზაციის მექანიზმების ობიექტურად განსაზღვრას.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის რევიზიონალიზაცია წარმოადგენს ობიექტურ პროცესსა და ეკონომიკური გარდაქმნების მიზანმიმართულად (წარმატებით) განხორციელების მნიშვნელოვან პირობას. მასთან ნიშანდობლივია ის, რომ გეგმიური ეკონომიკის პირობებშიც პერიოდულად დღის წესრიგში ღებობდა ეს პრობლემები, ხოლო მეთოდოლოგიურ დონეზე მისი სრულყოფა წარმოადგენდა სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის აუცილებელ პირობას.¹

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში რეგიონული ფაქტორის პრიორიტეტული როლი დაადასტურა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებამაც, სადაც გარდაქმნები ჩვენზე ადრე და შედარებით წარმატებულად განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვეთრი რეგიონული კონტრასტები არ შეინიშნებოდა, რეფორმების პროცესმა მაინც დააყენა რეგიონების პროგრამული მართვისა და სამეურნეო სისტემის ორგანიზაციის ახალ პირობებთან ადაპტირებული და შეთავსებული სპეციფიკური ხერხების გამოყენების აუცილებლობის საკითხი.²

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პი-

¹ იხ. მაგალითად: Региональные проблемы развитых капиталистических стран: возможности практического использования зарубежного опыта, М.: ИГАН, 1987; Региональные исследования за рубежом, М.: Наука, 1973; Павлов Ю. М., Региональная политика капиталистических государств, М., Наука, 1970; Моргачев В. Н., Формы и методы территориального управления США и Канады, М., Наука, 1987; Кистанов В. В., Территориальная организация производства, Яр.: Экономика, 1981; Некрасов Н. Н., Региональная экономика, М.: Экономика, 1978.

² Бошик Ю., Переходные процессы в Центральной и Восточной Европе. Проблемы теории и практики управления, 1992, №4, ст. 7-10.

რობებში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრები მკვეთრად შემცირდა. ვერ მოხერხდა სახელმწიფო ტერიტორიული და ადმინისტრაციული მოწყობის საკითხის კონსტიტუციურად გადაწყვეტა, არ შემუშავებულა სახელმწიფოს რეგიონული მოწყობის პრინციპების ჩამოყალიბება, არ არის გააზრებულად (ოპტიმალურად) გამოიყენული უფლებამოსილებები ცენტრსა და რეგიონებს შორის. ამიტომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა კომპლექსურ და თანმიმდევრულ ხასიათს არ ატარებს.

საქართველოს თანამედროვე პირობებში, განვითარებული ქვეყნების წარმატებული გამოცდილებისა და რეგიონული სტრუქტურების პრაქტიკის შესწავლა-გაცნობამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ამ მიმართულებით ჩვენი პოზიციების ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, ეროვნულ თავისებურებათა და ქვეყნის განვითარების დღევანდელი ტენდენციების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მოწყობის ორიენტაცია ფედერალურ პრინციპებზე ობიექტურად უნდა მივიჩნიოთ.

ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ არის ზოგიერთი ქართველი მკვლევარის პოზიციის გაცნობა. მაგალითად, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჭითანავა აღნიშნავს, რომ „ამ ორი პოზიციის დაპირისპირებისას სახელმწიფოსა (ცენტრი) და რეგიონებს შორის ამჟამად ჩამოყალიბებულმა ურთიერთობებმა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რთულ კვანძად ფორმირება განაპირობა. ამიტომ ეს პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას, არასტანდარტულ მიდგომას საჭიროებს. ნიშანდობლივია, რომ ძლიერდება ფედერალიზმის პრინციპებზე სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიმართ საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური მიდგომაც“.¹

აწვარდაცვლილი მეცნიერი დ. მოურავიძე აღნიშნავდა, რომ „დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მართვა და ეკონომიკის რეგული-

¹ ჭითანავა ნ., სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში, თბ.: ესსკი-ის შრ. კრებული, ტ. V, 2000, გვ. 456.

რება საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით ეფექტს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნით განხორციელებული ღონისძიებანი დეცენტრალიზებულია, ანუ დელეგირებული იქნება ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით“.¹

დღევანდელ პირობებში პრინციპულ საკითხად მიგვაჩნია ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრობლემის გადაწყვეტა კონსტიტუციურ დონეზე, რის შესაბამისადაც განისაზღვრება სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტები შემდეგი მიმართულებებით:

- რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება საქართველოს სტრუქტურული, ინვესტიციური, ფინანსური, სოციალური და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციაში;
- რეფორმების აქცენტირების გადატანა რეგიონულ დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე;
- რეფორმების წარმართვის დეცენტრალიზაციისა და ადგილებზე ეკონომიკურ საქმიანობათა აქტივიზაციაზე;
- განსაკუთრებული პირობების მქონე, კრიზისულ (ჩამორჩენილ) რეგიონებში სპეციალური პროგრამების შემუშავებაზე და სხვა.

სპეციალური რეგიონული პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ უწინარეს ყოვლისა იგი ხელს უწყობს, როგორც ამას მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის არსებული უთანაბრობის (დიფერენციაციის) შერბილებას.²

¹ შორაიძე დ., საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტები, ბათუმის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები – „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, 2001, გვ. 21.

² Когут А. Е., Теория экономических реформ, Л., 1991, ст. 17.

მთლიანობაში, როდესაც ვაანალიზებთ ქვეყანაში ფედერაციული სახელმწიფოს ფორმირების აქტუალურ საკითხებს, გათვალისწინებული და რეალიზებული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპები:


- ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობა;
- საკუთრების განაწილება ფედერალურ და სუბფედერალურ დონეებზე;
- ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები;
- ქვეყნის ფედერალურ კანონმდებლობასთან რეგიონების კანონმდებლობის სრული შესაბამისობა;
- ერთიანი ეკონომიკური სივრცე;
- სახელმწიფოს მართვის სისტემის ვერტიკალის ფორმირება;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მმართველობის ცენტრალური (ფედერალური) ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებათა გადანაწილება და გამოჯენა;
- ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

ამგვარად, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების კონსტიტუციურ დონეზე გადაწყვეტა მიგვაჩნია, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და ორიენტირების განსაზღვრის მნიშვნელოვანი საფუძველია.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მკვლევარი რუსი მეცნიერები ბ. შტულბერგი და ვ. ვედენსკი, რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელობაზე და ადგილზე (მთლიანობაში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონტექსტში) საუბრისას განსაკუთრებულად აღნიშნავენ მისი (რეგიონული პოლიტიკის) პრიორიტეტულობის შესახებ. ამასთან ერთად, ამ მიმართულებით მათ მიერ შემუშავებულია მეტად საინტერესო და საყურადღებო სქემა¹ (იხ. სქემა 2), რომლის გაცნობაც, ვფიქრობ, მეტად საინტერესოა ჩვენთვის, მით

¹ Штульберг Б. М., Введенский В. Г., Региональная политика в России, М.: «Гелиос АРВ», 2000, ст. 25.

რეგიონული პოლიტიკა
სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სისტემაში



უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მიღის აქტიური საუბრები საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე.

როგორც სქემის ანალიზიდან ირკვევა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემის გადაწყვეტა მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის მასშტაბით საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზაციას.

აღნიშნულის გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნა – საქართველოში მიმდინარე რეგიონული პროცესების ერთიან, კომპლექსურ მიმართულებად ჩამოყალიბებისა და წარმართვის მიზნით, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიგვაჩნია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება. ამ დოკუმენტში უწინარეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი შიგა ფაქტორები: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მასშტაბები; ეკონომიკის მდგომარეობა და მისი სტრუქტურის სრულყოფის ინსტრუმენტები; რეგიონების სპეციალიზაციის თავისებურებები; მცირე და საშუალო ბიზნესის რეგიონული ბაზრების ფორმირების პრობლემები და სხვ. ამასთან ერთად უნდა განისაზღვროს საგარეო ფაქტორების როლი. კერძოდ: საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობები; ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და მისი რეგიონული ასპექტები; მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა და სხვ.

აქედან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია დღის წესრიგში დადგეს საქართველოში რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საკითხი, სადაც პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთის კვალობაზე, ჩამოყალიბდება რეგიონების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები. ამასთან მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ სამომავლოდ რეალიზებადი ღონისძიებები დაიყოს რეალიზაციის პერიოდების მიხედვით ანუ გამოიყოს კონკრეტული ეტაპები. სტრატეგიის განსაზღვრის პირობებში მისი განხორციელების ტაქტიკურმა მექანიზმებმა, შესაძლოა დროის მოთხოვნათა

ცვალებადობის კვალობაზე გარკვეული დაზუსტებები და კორექტივები განიცადოს.

განვითარებული ქვეყნების (საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვ.) გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმების შემუშავება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და წარმატებული გამოცდილებაა დაგროვილი სამხრეთ კორეაში. ომის შემდგომ პერიოდში, 1953 წლისათვის, ეს ქვეყანა წარმოადგენდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნდა შეზღუდული რესურსები და მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული უცხოურ დახმარებებზე. რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნები, სამხრეთ კორეაში 1961 წელს დაიწყო, როდესაც ეკონომიკის განვითარების ძირითად ორიენტირებად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანის გადაწყვეტა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლება გამოცხადდა. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა სამხრეთ კორეის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხის ამაღლებას.¹

რეგიონული განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა დღეისათვის დამახასიათებელია თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში ფუნქციონირებს შტატების განვითარების მართვის ეროვნული ასოციაცია, რომელიც კოორდინაციას უწევს როგორც შტატების საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობების წარმართვას, კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისობის ფარგლებში.²

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, უცხოური გამოცდილების გაზიარებისა და შესაბამისი მეცნიერული არგუმენტაციის შედეგად, ჩვენი ქვეყნის ისტო-


¹ იხ. მაგალითად: Лексин В. Н., Швецов А. Н., Государство и регионы, М.: УРСС, стр. 267-352.

² იხ. იქვე.

რიული თავისებურებების, განვითარების ტენდენციებისა და დღეისათვის არსებული აქტუალური პრობლემების გათვალისწინებით, სქემის (იხ. სქემა 3) სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ;

სქემა 3

რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების ბლოკ-სქემა



როგორც ჩანს, სქემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რეგიონის თეორიული მოდელის შემუშავებას. მისი შემუშავების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ განსახორციელებ-

ლი გარდაქმნები წინააღმდეგობაში არ მოდიოდნენ რეგიონების ეკონომიური და სოციალური განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებთან. საქართველოს პირობებში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიმღები პირები (ჩინოვნიკები) სუსტად არიან გარკვეულნი რეგიონების შესახებ თეორიული საკითხით, რაც ხშირ შემთხვევაში უკუეფექტს იძლევა ანუ გადაწყვეტილების შესაბამისად მიღებული შედეგი ან ეკონომიკური ზარალით სრულდება და (ან კიდევ უარყოფითი სოციალური შედეგით) ან ბუნებრივი გარემოს დაბინძურებით. ამდენად ამ ეტაპის ძირითადი მიზანია რეგიონის მისიის (დანიშნულების) მკაფიოდ განსაზღვრა, მისი ეკონომიკური სტრუქტურის შემუშავება, კვლავწარმოებითი მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების მექანიზმების ჩამოყალიბება კომპლექსური განვითარების ობიექტური კანონზომიერებების განსაზღვრა და ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროების დადგენა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არჩევა და შესაბამისი კონცეფციის შემუშავება უნდა დაეფუძნოს რეგიონის განვითარების საწყისი მდგომარეობის შესწავლის შედეგებს. რეგიონული მარკეტინგული გამოკვლევების პროცესში უნდა გამოვლინდეს რეგიონის ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასდეს ეკონომიკური პოტენციალი და განვითარების საგარეო ფაქტორების როლი. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური ანალიზის შედეგად უნდა გამოვლინდეს პრობლემური სიტუაციების შექმნის მიზეზები, განვითარების ტენდენციები და თავისებურებები. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრის (ამორჩევის) დასკვნით ეტაპზე უნდა შემუშავდეს, გრძელვადიან პერიოდში, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული მოდელი, გრძელვადიანი პერიოდისათვის, რომელიც უპასუხებს როგორც სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მოთხოვნებს, ასევე დაეფუძნება მეცნიერების თანამედროვე მიღწევების პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანებს.

ამის შემდგომ ეტაპზე უნდა ჩამოვაყალიბოთ რეგიონების კომ-

პლექსური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების სისტემა. ამ მიმართულებებში განისაზღვრება რეგიონის ეკონომიკის კომპლექსურობის კანონზომიერებები: სტრუქტურული გარდაქმნები, სოციალიზაცია, რეგიონული ინფრასტრუქტურის ფორმირება, საგარეო ეკონომიკური კავშირ-ერთიერთობების განვითარება, კომპლექსური ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია რეგიონის ეკონომიკის განვითარების ფინანსური და ორგანიზაციული მექანიზმებით უზრუნველყოფა. უნდა განხორციელდეს როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე, ასევე ინვესტიციების მოზიდვით. ხოლო, რაც შეეხება ორგანიზაციულ მექანიზმებს, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: რეგიონული პოლიტიკა, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ეკონომიკური რეგულირების მეთოდები, პროგნოზირება, პროგრამირება.

როდესაც საუბარია საქართველოში რეგიონების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე ყურადღება უნდა მიექცეს:

- 1) რეგიონების აგრარული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის ამაღლების მიზნით;
- 2) სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე რეგიონებში მრეწველობის განვითარების მხარდაჭერასა და მეწარმეობის ადგილობრივი ფაქტორების ამოქმედება-გააქტიურებას;
- 3) მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე რეგიონების სპეციფიკურობის გათვალისწინებას (საკურორტო მეურნეობის, ტურიზმის განვითარებას და სხვა).

რეგიონული პრობლემების გადაწყვეტა უნდა იქცეს სახელმწიფოში განხორციელებული რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებად. ამ კონტექსტში კი საჭიროა პრობლემათა მთელი სპექტრის კომპლექსურად გააზრება და შესაბამისი მიდგომების ჩამოყალიბება. ანუ აუცილებელია რეგიონულ დონეზე არსებული პრობლემების არა ცალკეულ დროსა და სივრცეში გადაჭრის პრაქტიკის დანერ-

გვა, არამედ კომპლექსურად, არგუმენტირებულად და პრობლემების მთელი სპექტრის – მათი არსობრივი აქტუალობის და არა „ხანძრის ჩაქრობის“ პრინციპის გათვალისწინებით – გეგმაზომიერი და გააზრებული გადაწყვეტისათვის ღონისძიებების შემუშავება-რეალიზაცია.

ამ მიმართულებით ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დაუყენოთ ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობის საკითხი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ სუბიექტური და/ან ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდება საქართველოს რეგიონული მოწყობის საკითხის კონსტიტუციურ დონეზე გადაწყვეტა, დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს ის საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც დაეფუძნება რეგიონული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოსა და მისი რეგიონების გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესები, ხოლო მათი რეალიზაციის ტექნიკური გზების შემდგომი სრულყოფა და დახვეწა დროის მოთხოვნათა ადეკვატურად უნდა განხორციელდეს. ხოლო ამ ღონისძიებათა განხორციელების კვალობაზე შეიქმნება მნიშვნელოვანი წინაპირობა საქართველოს რეგიონების სტაბილურად განვითარებისათვის, რაც საბოლოო ჯამში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების წარმატებულ დამკვიდრებას და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

6. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და სახელისუფლებო დონეების საკითხები

1995 წლის კონსტიტუციით მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო (აფხაზეთი, სამაჩაბლო) ღიადა დატოვებული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხები და მის წინაპირობად განსაზღვრულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენა.

კონსტიტუციით განისაზღვრება სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ორი ძირითადი პრინციპი: 1. სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა; 2. სახელმწიფოსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის კომპეტენციის გამიჯვნა.

კონსტიტუციაში არ არის მითითებული საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმა („ფედერაცია“, „უნიტარული სახელმწიფო“), რაც ლაიერების საშუალებას იძლევა ანუ შეიძლება ისეთი კანონის მიღება, რომელიც სახელმწიფოს მოწყობის, როგორც ფედერაციული, ისე უნიტარული სახელმწიფოს ფორმას გაითვალისწინებს. კონსტიტუცია არ აზუსტებს „ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა განსაზღვრებას“, ასევე არ არის დაზუსტებული ამ საკითხთა ერთიანი კანონით განსაზღვრების თუ დიფერენციალური მიდგომის საკითხები ცალკეულ რეგიონთან მიმართებაში.

კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის შემდეგ საქართველოს პარლამენტი ორპალატიანი იქნება: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“.

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ქვეყანაში, სახელისუფლო დონეების რაოდენობის განსაზღვრა და შესაბამისად, კომპეტენციისა და უფლება-

მოსილებათა გამოიჯგუნა. დღეისათვის საქართველოში მმართველობის 4 დონეა: ცენტრალური, სამხარეო, რაიონული, მუნიციპალური, რომელთაგანაც ცენტრალური ხელისუფლება უკეთესადაა ჩამოყალიბებული (როგორც ინსტიტუციური, ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით), რაც საშუალებას იძლევა პირდაპირი და დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეული იქნას ქვეყნის პრეზიდენტი და პარლამენტი.

მეორე სახელისუფლებო დონეს (მსხვილი ტერიტორიული ერთეულების არსებობას), შეიძლება ითქვას, არსებობის რამდენიმე წინაპირობა გააჩნია, რაც განპირობებულია ქვეყნის ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სამეურნეო მრავალფეროვნებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს საქართველოში მხარეები (რეგიონები) ფაქტიურად არსებობს, როგორც ისტორიულად და ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულად (ფარნავაზის ღროინდელი საერისთავოები), ისე ეკონომიკურად და პოლიტიკურად.

დღეს საქართველოში ხელისუფლების ინსტიტუციური დონე საკმარისად სუსტია, რასაც უფრო აძლიერებს ლეგიტიმურობის დაბალი ხარისხი (დანიშვნების პრინციპი საერთოდ გამორიცხავს რეგიონის მოსახლეობის მონაწილეობას სამხარეო ხელისუფლების შექმნაში, რაც იწვევს ხალხის გაუცხოებას ხელისუფლებისადმი). მოსახლეობის მანდატი ფაქტობრივად მხოლოდ პრეზიდენტს და პარლამენტს გააჩნიათ.

აუცილებელია რწმუნებულის სტატუსი განისაზღვროს კანონით, რომელიც მკვეთრად გამოიხატავს მის ფუნქციებს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე რაიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციებისგან, რაც გამორიცხავს პარალელიზმს და ეფექტურს გახდის მმართველობას. დასაძინია, რომ მხარეთა არსებობას არ გააჩნია (გარდა პოლიტიკურისა) კონცეპტუალური ეკონომიკური პრინციპები. რწმუნებულის ფუნქცია უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების ან ადგილობრივი ორგანოების კოორდინირება, პრეზიდენტის პოლიტიკისა

და საერთო ეროვნული პროგრამების გატარების უზრუნველყოფა ადგილებზე.

ხელისუფლების მესამე დონეს წარმოადგენს რაიონული დონე, ამ საკითხებში გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯია წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების მოწყობა (საკრებულოები). ძლიერი რეგიონული და მუნიციპალური (საკრებულო) სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოში ხელისუფლების მხოლოდ 3 დონის არსებობა იქნება ოპტიმალური: ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი. შემდგომში, როცა ჩამოყალიბდება ქმედითუნარიანი მუნიციპალური და რეგიონული სტრუქტურები და განისაზღვრება მათი უფლებამოსილებები, მათი საქმიანობა მთლიანად გადაფარავს დღევანდელი რაიონის უფლებამოსილებებს.

ხელისუფლების მეოთხე დონეს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები), რომელთა ჩამოყალიბების მოდელი აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ორ ძირითად პრინციპს:

- ხელი შეუწყონ დემოკრატიული მართვის სისტემის შექმნასა და დამკვიდრებას;
- უზრუნველყონ ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს სწრაფად და ეფექტურად გადაჭრას მათ წინაშე მდგარი ამოცანები და დაძლიოს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დღეისათვის დამახასიათებელი სუსტი მხარეები. ყოველივე ამას თან უნდა ახლდეს პოლიტიკური პასუხისმგებლობაც.

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოში შეიძლება დაინერგოს ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის 2 მოდელი:

- თვითმმართველობაში აირჩევა როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი ორგანოები;
- არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო ნიშნავს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელ პირს.

ათწლეულების მანძილზე საქართველოში თვითმმართველობის ორგანოები ითვლებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების იერარქიული სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად, ამიტომ დღეს თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ფუნქციათა და უფლებათა გამიჯვნა. ფუნქციათა მკვეთრი გამიჯვნა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან თვითმმართველობის საქმიანობაში ჩაურევლობას და გამორიცხავს პარალელულობას.

არსებობს კომპეტენციების გამიჯვნის ორი შესაძლებლობა:

- კანონით ზუსტად არის განსაზღვრული თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციები, ხოლო ყველა სხვა უფლებამოსილება რჩება სახელმწიფოს გამგებლობაში;
- კანონით გათვალისწინებული (გარანტირებული) კომპეტენციების გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება ყველა ის ადგილობრივი საკითხი, რომელიც კანონმდებლობით ცენტრალური, რეგიონული ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის.

შემდგომში (განვითარების შემდგომ საფეხურზე) თვითმმართველობას უნდა გადაეცეს ისეთი ფუნქციები, რომელთა განხორციელებისათვის მათ გააჩნიათ როგორც ფინანსური, ისე ორგანიზაციული შესაძლებლობები. ხოლო, მეორე მხრივ, ამ მომენტში გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რამდენად შეუწყობს ეს ხელს მართვის ეფექტურობის ამაღლებას; მესამეც, გააუმჯობესებს თუ არა უფლებამოსილებათა გადაცემა სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობათა არსებულ ბალანსს. ყოველივე ამას თან უნდა ახლდეს (გამორიცხული უნდა იყოს პარალელიზმი) იმის შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე უფლებამოსილება ერთდროულად გააჩნდეს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ თვითმმართველობას.

სახელმწიფომ უნდა შეძლოს კონტროლის განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დელეგირებული უფლე-

ბების გამოყენებაზე. არადელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაზე დაუშვებელია სახელმწიფოს ჩარევა ან კონტროლი.

საქართველოში სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის არჩეული მოდელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- საქართველოს (როგორც ერთიანი ქვეყნის) ეროვნული უსაფრთხოების დაცვა;
- ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობების უფლებათა გარანტიების შექმნა;
- ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობა;
- დემოკრატიული მართვის ტრადიციების დაფუძნება.

სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმებთან დაკავშირებით განიხილება ორი ფორმა – ფედერალური და უნიტარული სახელმწიფო. არსებობს ხელისუფლების გადანაწილების მრავალი ფორმა. ისინი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მდგრადი ფორმები, რამდენადაც იმყოფებიან მუდმივი განვითარების პროცესში, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კი თითოეული ეს ფორმა ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს.

მიუხედავად იმისა, თუ სახელმწიფო მოწყობის რომელ ფორმას მიენიჭება უპირატესობა, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ქვეყანაში უნდა არსებობდეს ძლიერი და ქმედითუნარიანი ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეეძლება საერთოეროვნული პრობლემების მოგვარება. მას უნდა გააჩნდეს ისეთი უფლებამოსილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარებას, ქვეყნის დაცვას საგარეო საფრთხისაგან და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას;
- უნდა არსებობდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უნიფიცირებული სისტემა;
- უნდა შეიქმნას პირობები ადგილობრივი თავისებურებები-

სა და სპეციფიკის განვითარებისათვის და მოხდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა ინტერესების ჰარმონიზაცია;

- ცენტრალური ხელისუფლება ისეთი უფლებამოსილებით უნდა აღიჭურვოს, რომელიც მას საშუალებას მისცემს ჩაერიოს ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაში იმ საგანგებო სიტუაციებში, როდესაც საფრთხე ექმნება ქვეყნის კონსტიტუციური წყობის საფუძვლებს და ერთიანობას.

შექმნილი ვითარების გამო იკვეთება ტერიტორიული მოწყობისადმი ორი ძირითადი მიდგომა: მკვეთრად ცენტრალიზებული სახელმწიფო წყობილების ფორმა (როცა ცენტრალური ხელისუფლების ხელში იქნება თავმოყრილი ყველა სახელმწიფო ფუნქცია) და მეორე – უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გადანაწილება ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის. ორივე ეს პირობა მოითხოვს შესაბამის კონსტიტუციურ ცვლილებათა შეტანას მოქმედ კანონმდებლობაში. დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეფექტური მმართველობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ქვეყნის სტაბილურობა დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილებაზე (დაფუძნებულ) სახელმწიფო სისტემაში.

დემოკრატიის განვითარების პირობებში ხელისუფლებას ცენტრში შეუძლია (და ვალდებულიცაა) გამოხატოს და ცხოვრებაში გაატაროს საერთო ეროვნული ინტერესები, მაგრამ ის უუნაროა გაითვალისწინოს რეგიონული სპეციფიკური პირობები. დეცენტრალიზებულ სახელმწიფოში რეგიონებში მოქმედებენ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები, რომლებსაც ფართო უფლებამოსილებები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, დეცენტრალიზმი გაზრდის რეგიონებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობებს, რაც თავისთავად აამაღლებს მართვის დონეს და ეფექტურობას. ცენტრალური ხელისუფლება (დეცენტრალიზაციის პირობებში) გათავისუფლებულია სპეციფიკური ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტი-

საგან, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას უფრო ხელეწიფება და, შესაბამისად, ცენტრალურ ხელისუფლებას მეტი შესაძლებლობა აქვს კონცენტრირება მოახდინოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საკითხებზე.

რეგიონული ხელისუფლების არსებობა საშუალებას იძლევა ჩატარდეს ეკონომიკური ექსპერიმენტები ცალკეულ საკითხებზე, რისი შედეგებიც ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს განაზოგადოს ამ ექსპერიმენტის შედეგები და რეკომენდაცია მისცეს მის დასაწერგად სხვა რეგიონს.

დეცენტრალიზაცია ადამიანისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის საშუალებას იძლევა.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ, მომავალი კონსტიტუციური კანონი უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის შემდეგ საკითხებს:

- ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალი, მათი ტერიტორია და საზღვრები;
- ტერიტორიული ერთეულების სტატუსი;
- ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურა, მათი უფლებამოსილება, შექმნის და საქმიანობის წესი;
- ტერიტორიული ერთეულების განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები;
- ტერიტორიული ერთეულების და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობის ფორმები.

კონსტიტუციურ კანონში აუცილებლად გადასაწყვეტია საკითხი ტერიტორიული ერთეულების სტატუსის შესახებ. დღევანდელი საქართველოს რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელია ქვეყანაში ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ყველა რეგიონს თანასწორ იურიდიულ სტატუსს მიანიჭებს. შეუძლებელია ავტონომიური მართვის ტრადიციების არმქონე რეგიონებმა (სადაც პოლიტიკურ ძალთა სპექტრი არ არსებობს) ისეთივე ადგილი დაიკავონ ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც

გამოცდილმა რეგიონებმა (აფხაზეთი, აჭარა). აქედან გამომდინარე, ქვეყნის რამდენიმე რეგიონს სხვა თანასწორი სტატუსის მქონე რეგიონებისგან განსხვავებით ექნებათ განსაკუთრებული სტატუსი (მეტი უფლებამოსილებები, მეტი შინაგანი ავტონომია).

ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადაწყვეტიასა მნიშვნელოვანია ტერიტორიული ერთეულების რაოდენობის და მათი კომპეტენციების განსაზღვრა. კონსტიტუციურ კანონში ასევე უნდა განისაზღვროს ტერიტორიული ერთეულების ორგანოთა სტრუქტურა და ურთიერთდამოკიდებულება. ყველა ტერიტორიულ ერთეულში უნდა არსებობდეს მოსახლეობის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებამოსილების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის უფლებამოსილების ვადაც უნდა განსაზღვროს ტერიტორიული ერთეულების სტატუსმა (არჩევნებს შორის 4-წლიანი პერიოდით). წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირების წესი თვითონ მან უნდა განსაზღვროს.

განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მეთაურს და მთავრობის შემადგენლობას უნდა ნიშნავდეს რეგიონის წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო სხვა დანარჩენ რეგიონებში უნდა წარმოადგინოს პრეზიდენტმა (გამარჯვებული პოლიტიკური გაერთიანების შემადგენლობიდან) და დანიშნოს მხარის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

ყველა ზემოჩამოთვლილი მოითხოვს კონსტიტუციურ ცვლილებას, რომლის წინაპირობად აუცილებელია რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანოების არანაკლებ სამი მეოთხედის თანხმობა.

ყოველ ტერიტორიულ ერთეულს უნდა ჰქონდეს თავისი დებულება-სტატუსი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ტერიტორიულ ორგანოთა სტრუქტურას, მათი შექმნის და საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. ყოველივე ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს პარლამენტის ზედა და ქვედა პალატის ურთიერთდამოკიდებულება. პარლამენტის ზედა პალატის დაკო-

მკლექტება რეგიონების მხრიდან, საერთო-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მათ აქტიურ მოქმედების საშუალებას მისცემს და გაზრდის პასუხისმგებლობას კონსტიტუციის წინაშე. სენატორები არჩეულ უნდა იქნენ ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობისა და არა ტერიტორიული ერთეულის მთავრობის ან წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ პირველ ეტაპზე მაინც გარდაუვალია ზედა და ქვედა პალატაში განსხვავებული პოლიტიკური ძალების მოხვედრა, რაც გაართულებს მათ შორის კონსენსუსის მიღწევას. ეს კი ხელს შეუშლის სხვადასხვა საკითხების სწრაფ და ოპერატიულ გადაწყვეტას, რაც თავისთავად უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ნორმალურ განვითარებაზე.

კომპეტენციების გადანაწილება ცენტრსა და რეგიონებს შორის მომავალი კონსტიტუციური კანონის გადასაწყვეტი ურთულესი საკითხია. კომპეტენციები სამ ჯგუფად შეიძლება გავანაწილოთ:

- ცენტრის განსაკუთრებული კომპეტენციები;
- რეგიონის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები;
- ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები.

ცენტრის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა სრული სია მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში, ხოლო ერთობლივ და ტერიტორიულ (რეგიონულ) ერთეულთა კომპეტენციების დარეგულირება უნდა მოხდეს შესაბამისი კონსტიტუციური კანონით. ამ დებულებებში აუცილებლად უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საკითხთა ფართო წრე რომელიმე ორი სახისათვის, ხოლო დანარჩენი საკითხები (უფლებამოსილებები, კომპეტენციები) ჩაითვალოს მესამე სახის კომპეტენციად.

სავარაუდოდ, ტერიტორიული ერთეულების განსაკუთრებულ გამგებლობას შეიძლება მივაკუთვნოთ:

- ტერიტორიული ერთეულებისადმი დაქვემდებარებული უწყებების და ადმინისტრაციული დაწესებულებების ორ-

განიზაცია;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების შექმნა;
- სოცუზრუნველყოფის და ჯანდაცვის რეგიონული პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- პროფესიული და საშუალო განათლების დაწესებულებათა ორგანიზაცია და მართვა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტურიზმის განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კომუნიკაციათა ეფექტური მუშაობის ორგანიზება;
- ნაოსნობა ტბებზე და ნავმისადგომები;
- შიდა წყლებში ნადირობა და თევზჭერა;
- ტყის რესურსების მართვა;
- კონტროლი გარემოს დაბინძურებაზე;
- სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა;
- სპორტულ-კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება;
- გასართობი ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება;
- მიწათსარგებლობის წესების (საკითხების) სამართლებრივი რეგულირება.

საქართველოს ეკონომიკური მოდელი უნდა დაეფუძნოს როგორც ეროვნულ მოთხოვნილებათა პრინციპებს, ისე საზღვარგარეთთან ურთიერთობის მოკლევადიან და გრძელვადიან ინტერესებს; საკუთრების სხვადასხვა ფორმის თანასწორუფლებიანობას; ყველა მათგანის მოქალაქეობრივ აღიარებასა და დაცვას; შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ჩართვას (განსაკუთრებით საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან კავკასიის რეგიონსა და შავი ზღვისპირა აუზში).

შრომის საერთაშორისო დანაწილება შესწავლილი უნდა იყოს ორმხრივად:

- საქართველოს მიერ მსოფლიო ბაზარზე, როგორც ექსპორტიორის, ისე იმპორტიორის თვალსაზრისით ადგილის

დაკავების მიხედვით;

- თანამონაწილე ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობების მიხედვით.

ამ საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია საშინაო და საგარეო ბაზრის სრულყოფილი ცოდნა. განისაზღვროს ცალკეული რეგიონების საშინაო და საგარეო ბაზარზე მონაწილეობის შესაძლებლობები, შემდგომ კი კავკასიის ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, დადგინდეს მასში საქართველოს როლი (ტრანზიტული ფუნქციები, ნავთობსადენები, გაზსადენები და სხვა).

აუცილებელია მოგვარდეს მშვიდობიანი კავკასიის ფუნქციონირების საკითხები, რომელიც გააადვილებს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასაც, რადგანაც რუსეთი დაინტერესებული იყო და იქნება კავკასიის რეგიონით. ძველი კავშირები მიუღებელია და მას დღეს ვერ გამოვიყენებთ, რისი მკაფიო დადასტურებაცაა სავიზო რეჟიმის გარშემო ატეხილი სკანდალები.

ეკონომიკაში საქართველოს კურსის აუცილებელ ატრიბუტებად უნდა წარმოვიდგინოთ:

- საქართველოს კორპორაციული თანამშრომლობა ზემოთ-დასახელებულ ქვეყნებთან;
- საბაჟო შეზღუდვათა მოხსნა და შესაბამისი ტექნიკური ბაზის შექმნა;
- შიგა რეგიონული მნიშვნელობის დარგების ეკონომიკური შეფასება და პერსპექტივების დადგენა.

ყველა საკითხი მჭიდრო კავშირშია საქართველოს რეგიონულ მოწყობასთან (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგიონული მოწყობის კონსტიტუციური მოდელი დღეს არ არსებობს).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ორიენტირის საშინაო და საგარეო ბაზარზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანიზება, სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს

შორის ურთიერთობა.

აღნიშნულის შესაბამისად, თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის თეორიაში გამოყოფენ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ორ ძირითად ფორმას: უნიტარულსა და ფედერაციულს. ძირითადი განსხვავება ამ ორ ფორმას შორის გამოიხატება იმაში, რომ უნიტარული სახელმწიფო დაყოფილია და შედგება მხოლოდ ადმინისტრაციული ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებისაგან, რომელთაც არ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშანი. ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ტერიტორიული ერთეულები წარმოადგენენ სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს სუვერენიტეტის გარეშე; მათ გააჩნიათ თვითმმართველობის მაღალი დონე.

უნიტარული სახელმწიფო (ლათინურად ერთს, ერთიანს ნიშნავს) ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოა, სადაც ასევე ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება ზორციელდება და რომელიც ერთადერთი უმაღლესი ხელისუფლებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ფედერაციული სახელმწიფოს (ლათინურად კავშირს ნიშნავს) პირობებში მის ტერიტორიულ ერთეულებს გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის ძირითადი ელემენტები: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, სახელმწიფო აპარატი და სხვა. ფედერაციულ სახელმწიფოში რეალიზებულია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. ფედერაციული სისტემის წყობის ერთიანობის პრინციპზე აგება უზრუნველყოფს ფედერაციას, როგორც ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს სახით არსებობას. ამით რეალიზდება ფედერალიზმის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორიცაა განსხვავებულ ტერიტორიულ ერთეულთა ინტეგრაციის ფუნქცია. ამ ფუნქციის მნიშვნელობასა და ფედერალური სახელმწიფოს ერთიანობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ამ დროს არსებობს საერთო სახელმწიფოებრივი კომპეტენცია, ფედერალურ ორგანოთა ერთიანი სისტემა.

ფედერალიზმი უნიტარიზმთან შედარებით უფრო პროგრესუ-

ლი და დემოკრატიული ფორმაა. მისი დემოკრატიულობის განმ-
საზღვრელად გამოდგება სახელმწიფო ხელისუფლების დეცენ-
ტრალიზაციის ფაქტი. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ხელისუ-
ფლების ორ დონეს: საერთო ფედერალური ხელისუფლება და
ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლება. საერთო ფედერალურ
დონეზე სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალა-
ტიანი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ერთ-ერთი ორგა-
ნო – ზედა პალატა, უმაღლეს წარმომადგენლობაში სწორედ
ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს გამოხატავს.

საჭიროა აღინიშნოს თანამედროვე სახელმწიფოებში მიმდინარე
ტენდენცია, რომელიც კონსტიტუციურ სამართალში რეგიონალ-
იზმის ცნებით მოიხსენიება. იგი გულისხმობს ადმინისტრაციუ-
ლი ერთეულების გამსხვილებას. თანამედროვე პირობებში, როდ-
ესაც საქართველოში გამოკვეთილად აღებულია კურსი სახელმ-
წიფოს ფედერაციულ მოწყობაზე მისი ადმინისტრაციულ-ტერი-
ტორიული ერთეულების რეგიონულ (ავტონომიები და მხარეები)
პრინციპით დაყოფით, მაშინ ალბათ დადგა იმის დრო, რომ ვი-
ფიქროთ სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობიდან რაიონ-
ული სახელისუფლებო დონის რგოლის ამოგდების მიზანშე-
წონილობაზე. ჩვენ ვიზიარებთ და ვემხრობით იმ მოსაზრებას,
რომ რაიონული დონის ხელისუფლების არსებობა-შენარჩუნების
პირობებში საკმაოდ ძნელი და რთული იქნება სამხარეო და
რაიონულ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის
მექანიზმის შემუშავება, რამაც შეიძლება მომავალში გაართულოს
ურთიერთობა რაიონული და სამხარეო დონის ხელისუფლებებს
შორის. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყ-
ობიდან რაიონული სახელისუფლებო დონის ამოგდება, გარდა
იმისა, რომ შეამცირებს და სამამდე დაიყვანს (ცენტრალური, რე-
გიონული, ადგილობრივი) ქვეყანაში ხელისუფლების დონეებს,
ამასთან, მნიშვნელოვნად შეამცირებს მმართველობის ბიუროკრა-
ტიულ აპარატს და მისი შენახვის ხარჯებს.

ამრიგად, საქართველოს ფედერაციული მოწყობა ჩვენ ერთად-

ერთ სწორ სახელმწიფოებრივი მოწყობის გზად და ფორმად მიგვაჩნია, რადგანაც აქ სამოკავშირეო საფუძველზე ერთიანდებიან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონული წარმონაქმნები ფედერაციის სუბიექტების სახით. ამასთან, ჩვენი აზრითა და ღრმა რწმენით, საქართველო, როგორც ფედერაციული რესპუბლიკა, უნდა აიგოს ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპებზე, სადაც სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს განსხვავებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი ექნებათ (მაგალითად, ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქი და სხვა).

7. რეგიონების თანამედროვე ტიპოლოგია- კლასიფიკაცია და მათი გამოთანაბრების ასპექტები

ტერიტორიული განვითარების სამართლებრივი აქტები, სახელმწიფო რეგულირებისა და სტიმულირების გამოყენებული მეტოდები უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს თითოეული რეგიონის ინტერესებსა და თავისებურებებს. ყველა ტიპის რეგიონისათვის გამოსაყენებელი ერთიანი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, ტერიტორიების სპეციფიკის გათვალისწინებით, მოითხოვს მრავალი სპეციფიკური საკითხის დამუშავებას.

ცენტრის პოლიტიკამ, თითოეული ცალკე რეგიონის (სუბიექტის) მიმართ სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესებამ, ვერ გაამართლა. ამიტომ საჭიროა მისი შეცვლა სპეციალური, ტიპური გადაწყვეტილებებით და მათი საკანონმდებლო წესით დადგენა.

ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების მეთოდების გამოსაყენებლად, საკანონმდებლო აქტებისა და რეკომენდაციების შემუშავებისა და მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ცალკეული რეგიონების ეკონომიკური, ბუნებრივი, სოციალურ-პოლიტიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, ტექტიკური და სტრატეგიული ფაქტორების სხვადასხვაობა.

აღნიშნულის გამო, სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის რეგიონების ტიპოლოგიის პრობლემას. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს საზღვარგარეთში შემუშავებული რეგიონების ტიპოლოგიისა და კლასიფიკირების მეთოდების ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტები, ამიტომ, მიზანშეწონილია მათი მოკლე მიმოხილვა.

პირველი ვარიანტით, რეგიონების კლასიფიკაციის ტიპოლოგია არის სამგანზომილებიანი ხასიათის მატარებელი. მისი პირველი საკლასიფიკაციო ნიშან-თვისება დაკავშირებულია რეგიონის

ეკონომიკური განვითარების დონესთან. ამ ნიშნის მიხედვით გამოყოფილია: ა) მაღალგანვითარებული (საყრდენი) რეგიონები; ბ) განვითარებადი (ფორმირების პროცესში მყოფი) რეგიონები; გ) სუსტად განვითარებული რეგიონები.

თითოეული სახის (ტიპის) რეგიონის შიგნით გამოყოფილია ქვეტიპები, რომლებიც ასახავენ ეკონომიკური განვითარების ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა სპეციალიზაცია, დივერსიფიკაციის ხარისხი და კიდევ სხვა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა ცვლილებაც შეიძლება მიმდინარეობდეს თანდათანობით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მეორე საკლასიფიკაციო მახასიათებელ თვისებად მიჩნეულია რეგიონების ეკონომიკის, ფინანსების, სოციალური სფეროსა და ბუნებრივი გარემოს მიმდინარე მდგომარეობა. ასეთის მახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია: ა) მიღებული საბაზრო ურთიერთობათა მოდელი; ბ) რეგიონის მეურნეობის ამა თუ იმ სფეროში არსებული კრიზისული მდგომარეობა, ან ამავე რეგიონის ცალკეული დარგებისა და წარმოებების კრიზისული მდგომარეობა; გ) მთელი სამეურნეო კომპლექსის, ცალკეული დარგებისა და წარმოებების ან მოსახლეობის სფეროთა დეპრესია; დ) რეგიონის ფინანსური მდგომარეობა.

მესამე მაკლასიფიკირებელ ნიშან-თვისებად გამოყვანილია ბუნებრივ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მახასიათებლები: ა) ექსტრემალური და ბუნებრივ-კლიმატური ზონები; ბ) ზღვისპირეთის რეგიონები; გ) საზღვრისპირა რეგიონები; დ) სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორიებიდან დაცილებული რეგიონები.

საკვალიფიკაციო ნიშნები გვეხმარებიან და საშუალებას იძლევიან განვსაზღვროთ რეგიონის თითოეული ტიპის მიმართ მართვისა და რეგულირების ყველაზე უფრო მისაღები (ხელსაყრელი) მეთოდები.

პირველი ვარიანტით რეგიონების კლასიფიკაციის გარკვეულად მოდიფიცირებული სახით შემოთავაზებულია ტაქტიკური და სტრატეგიული ტიპოლოგია, რომლებიც გაანგარიშებულია

ეკონომიკის რეფორმირების ეტაპობრიობისა და მასშტაბურობის ნიშნებით. ტაქტიკური ტიპოლოგიით გამოიყოფა:

– „დასაყრდენი“, ანუ კარგად განვითარებული რეგიონები (ხასიათის, ეკონომიკური პროცესების დონისა და ინტენსიურობის თვალსაზრისით);

– „თვითუზრუნველმყოფელი“ (საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებაში მონაწილეობის თავისებურებებით) რეგიონები;

– ფინანსურად სტაბილური რეგიონები;

– „ეროვნულად არასტაბილური“ რეგიონები;

ხანგრძლივვადიანი რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის გამოიყოფა სტრატეგიული ხასიათის შემდეგი რეგიონები:

– ძველი სამრეწველო;

– გარდამავალი ტიპის;

– ათვისებადი ტიპის.

რეგიონების ტიპოლოგიის მეორე ვარიანტი შემუშავებულია ფუძემდებლური პრობლემების დაჯგუფებისა და მათი გადაწყვეტის პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნით. აქ გამოყოფენ რეგიონების ოთხ ჯგუფს (ტიპს):

– ტრადიციულად ჩამორჩენილები;

– დეპრესიულები (რეფორმამდლები, ახლები);

– ტრადიციულად განვითარებულები (ინდუსტრიული, ინდუსტრიულ-აგრარული, აგრარული, სანედლეული).

კლასიფიკაციის მიხედვით, ზემოთმითხებული რეგიონები, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფო მნიშვნელობის რესურსები, ტრადიციულად, ჩამორჩენილ ანუ სუსტად განვითარებულ რეგიონებად ითვლებიან, რადგან აქვთ ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების ძალიან დაბალი დონის მქონე ტერიტორიები, გამოირჩევიან სამეურნეო საქმიანობის სუსტი ინტენსივობით, მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის მცირე დივერსიფიცირებით, საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის დაგროვილი დონითა და სხვა რეგიონებთან შედარებით სოციალ-

ური ინფრასტრუქტურის განვითარების დონის მკვეთრი ჩამორჩენით.

რეგიონების ამ ტიპის დასადაგენად უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებად გამოიყენება საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების საშუალო-სულადობრივი მაჩვენებლები (მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით ან წარმოებული ეროვნული პროდუქტით), მოსახლეობის ფულადი შემოსავლები და ძირითადი ფონდების მოცულობა.

დეპრესიულს განეკუთვნებიან ტერიტორიები დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალის საკმაო მაღალი დონით, მეურნეობის სტრუქტურაში სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით და ადგილობრივი შრომითი რესურსების კვალიფიკაციის შედარებით მაღალი დონით, უმუშევრობის არსებითად უფრო მაღალი დონით, ინვესტიციური აქტიურობის დაბალი ხარისხითა და საბიუჯეტო უზრუნველყოფის შედარებით დაბალი საშუალო სულადობრივი დონით. განარჩევენ რეფორმამდელ დეპრესიულ რეგიონებსა (1990 წლამდე) და ახალ დეპრესიულ რეგიონებს (ასეთი რეგიონების განვითარების დონე მთლიანობაში იყო უფრო მაღალი, ვიდრე ქვეყნის მასშტაბით საშუალო დონე. ხოლო შემდგომ გამოიკვეთა ეკონომიკური აქტიურობის მყარი დაცემის ტენდენცია).

ტრადიციულად, განვითარებული ან მაღალგანვითარებული (ფორმირებული) რეგიონები იყოფიან ინდუსტრიულ, ინდუსტრიულ-აგრარულ, აგრარულ და სანედლეულ ტერიტორიებად. რეფორმების მიმდინარეობის თვალსაზრისით, ისინი შეიძლება განვიხილოთ ახალი საბაზრო პირობებისაღმძი ადაპტირებულ და არაადაპტირებულ რეგიონებად.

განვითარებულ რეგიონებში, დარგობრივი პოზიციებიდან, განარჩევენ მომპოვებელ და გადაამუშავებელ ტერიტორიებს.

გამოშვებული პროდუქციის რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი კავშირების თვალსაზრისით, განარჩევენ იმპორტზე და ექსპორტზე ორიენტირებულ ტრადიციულად განვითარებულ

რეგიონებს. იმპორტზე ორიენტირებულ რეგიონებად მიიჩნევიან ისეთები, რომელთა ტერიტორიაზეც განლაგებულია შემოტანილ სტრატეგიულ ნედლეულზე პროდუქციის გამომშვები საწარმოები. ექსპორტზე ორიენტირებულად ითვლებიან რეგიონები, რომელთა საწარმოებშიც იწარმოება პროდუქცია, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს და ამასთან ერთად, უზრუნველყოფს ქვეყნის გარეთ პროდუქციის ნაწილის გატანას.

რეგიონები, რომელთაც აქვს ქვეყნისათვის მნიშვნელობის მქონე რესურსები, ძირითადად ვითარდებიან ქვეყნის მიზნობრივი პროგრამების, ამოცანებისა და მიმართულებების შესაბამისად.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მოცულობის ნიშნის მიხედვით, რეგიონებს ყოფენ არსებულ და პოტენციურ ტერიტორიებად. რეგიონისა და ქვეყნის მნიშვნელობის ნიშნის მიხედვით – დასაყრდენად და ათვისებულად.

რეგიონების მოყვანილ კლასიფიკაციათა შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი იქნენ დამუშავებული. მათგან არცერთი არ შეიძლება იქნეს განხილული როგორც უნივერსალური.

სტრატეგიული ტერიტორიები. რეგიონების განსაკუთრებულ სიტუაციებში ფუნქციონირებისათვის მზადყოფნის შეფასების თვალსაზრისით გამოიყოფა ეგრეთწოდებული სტრატეგიული ტერიტორიები:

– ზღვისპირა რეგიონები (განსაკუთრებით ისეთები, რომლებსაც აქვთ მსხვილი საზღვაო პორტი და ბაზები);

– საზღვრისპირა რეგიონები (უპირველეს ყოვლისა ისეთები, რომლებსაც წინათ არ ქონდათ საზღვრები სხვა სახელმწიფოებთან);

– ცენტრისაგან დაცილებული რეგიონები და ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან დაცილებული ტერიტორიები;

– რეგიონები, რომელთაც განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, რომელთა ეკონომიკაშიც აქტიურად ბანდდება უცხოური კაპიტალი;

– ისეთი ტერიტორიული ზონა, რომელსაც ნედლეულის დეფიციტი ან მეურნეობრიობის ექსტრემალური პირობები აქვს.

კრიზისული რეგიონები. ამა თუ იმ ფორმით, ყველა კლასიფიკაციაში გამოიყოფიან ე.წ. კრიზისული რეგიონები. კრიზისულ რეგიონებს მიეკუთვნებიან ისეთი ტერიტორიები, რომლებმაც განიცადეს ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფების დამანგრეველი ზემოქმედება, ადგილობრივი მნიშვნელობის ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალის დაცემასთან ან მოსახლეობის იძულებითი მიგრაციის მნიშვნელოვან მოცულობასთან. აგრეთვე ისეთი რეგიონები, რომლებშიც ეკონომიკურმა კრიზისმა მიაღწია ისეთ ზღვარს, როდესაც უკვე შეუძლებელი ხდება საზოგადოებაში სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება.

რეგიონების კლასიფიკაცია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რეალიზაციისა და რეგიონების საგანგებო სიტუაციებში ფუნქციონირებისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა გატარებისას, ფინანსური და მატერიალური დანახარჯების შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ხარჯები, რომლებიც საჭირო იქნება ეროვნული საფრთხის ლიკვიდაციაზე ან ნეიტრალიზაციაზე საშინაო და საგარეო საშიშროებისაგან.

ორი სახის საშიშროებისა და საფრთხის (შიგა და გარე) გამოყოფა შეესაბამება სახელმწიფოთა პრაქტიკაში მიღებულ კლასიფიკაციას. ამასთან ერთად საშიშროების აღნიშნული სახეებისაგან მოსალოდნელი საფრთხე შეიძლება ატარებდეს საერთო ეროვნულ, ლოკალურ, რეგიონთაშორის, დარგთაშორის ან სახელმწიფოთაშორის ხასიათს და არ შეესაბამებოდეს რეგიონების ამა თუ იმ ტიპს.

რეგიონების ყველა ტიპისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს საერთო ეროვნულ ხასიათის საშიშროების შინაგან სა-

ფრთხედ შეიძლება მიჩნეულ იქნას: მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის გაძლიერება; დაბალი საინვესტიციო აქტიურობა; სასიცოცხლო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავლიანი და უმუშევარი მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა; ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია; ეკონომიკის ზედმეტი მონოპოლიზაცია; ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის ჩამორჩენილობა და ა.შ. ხოლო საერთო ეროვნული ხასიათის საგარეო საფრთხეს წარმოადგენს: საგარეო ვალების მზარდი დონე; საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში უცხოური ქვეყნების ტრადიციული საგარეო ბაზრების დაკარგვა; ექსპორტში სანედლეულო საქონლის სიჭარბე; იმპორტული ექსპანსია; საზღვრებისა და საბაჟოების არასაიმედო მოწყობა და სხვა.

რეგიონთაშორისი ხასიათის მატარებელია ისეთი შიგა საფრთხეები, როგორცაა კომუნიკაციური სისტემების ამორტიზაცია და ავარიული საშიშროება, ბუნების დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაბალი დონე.

შინაგან საფრთხეთა დარგთაშორისი ხასიათი დამახასიათებელია, ძირითადად, ინდუსტრიულად განვითარებული რეგიონებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება მრავალი დარგის ტექნიკური ბაზის ჩამორჩენით, მაღალი ენერგოტევალობითა და რესურსტევალობით, პროდუქციის დაბალი ხარისხითა და არაკონკურენტუნარიანობით, წარმოების მაღალი დანახარჯებით, საწარმოო აპარატის სწრაფი დაძველებით.

სახელმწიფოთაშორისი ხასიათის საგარეო საფრთხეთა შორის აღსანიშნავია საზღვარგარეთის ქვეყნების დისკრიმინაციული ზომები მოცემული ქვეყნის საქონლის მიმართ და მათი შევიწროება-გამოდევნა მსოფლიო ბაზრიდან. ამასთან, ასეთი პოლიტიკის გავრცელებაა მოცემული ქვეყნის ბაზარზე ეროვნულ საწარმოთა საზიანოდ უცხოური საქონლით აქტიური იმპორტული ექსპანსია (მათ შორის სასურსათო საქონლით).

საზღვრისპირა რეგიონებში საგარეო საფრთხეს წარმოადგენს საზღვრების სუსტად მოწყობა და დაცვა.

რეგიონების განსხვავებული ტიპების გამოყოფა მიზანშეწონილია რეგიონული ეკონომიკის ანალიზური და პროგნოზული სამუშაოების ჩატარებისას. ეს საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს რეგიონების სპეციფიკა გამოსაკვლევი ობიექტების შემცირებისას მათი რაოდენობის მხოლოდ რამდენიმე ჯგუფამდე დაყვანისათვის, რომელთაც ექნებათ მკვეთრად გამოხატული განსაკუთრებული ხარისხობრივი მახასიათებლები.

რეგიონების ტიპის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის განვითარების დონის ანალიზისათვის და რეგიონული პოლიტიკის დასაბუთებისათვის (ტერიტორიული განვითარების პროგნოზირების ჩათვლით).

რეგიონების ტიპოლოგია აგებულ უნდა იქნას იმ ფაქტორებისა და ნიშნების გათვალისწინებით, რომლებიც ძირითად როლს ასრულებენ რეგიონების დახასიათებაში და პასუხობენ გამოკვლევის ამოცანებს. განვითარების დონის ანალიზისათვის, მნიშვნელოვანია გამოიყოს ჯგუფები ეკონომიკური პოტენციალისა და ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგების საერთო და ზეედრითი მახასიათებლების ნიშნების მიხედვით. რეგიონული პოლიტიკის დასაბუთებისათვის, პოტენციურ შესაძლებლობათა დახასიათებასთან ერთად, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, აგრეთვე ის ბუნებრივი და გეოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ სახელმწიფოს რეგიონების ეკონომიკაზე.

თითოეულ პრობლემაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობამ შეიძლება რამდენიმე ათეულს მიაღწიოს. ამ დროს, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ 3-4 ფაქტორს, რომელთა ერთობლივი ზემოქმედება 75-80%-ით განსაზღვრავს შედეგს. აქედან გამომდინარე, ტიპოლოგიზაციის ამოცანაა რეგიონის მოცემული ტიპის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და ნიშნების საერთო რაოდენობიდან გამოვყოთ რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

რეგიონის ანალიზის მიზნად შეიძლება მიჩნეულ იქნას:

– რეგიონის ეკონომიკური განვითარების შედეგებისა და ტენდენციების შეფასება;

– რეგიონის ეკონომიკური განვითარების შედეგების შეფასება და პრობლემების გამოვლენა;

– ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიის მდგომარეობის შეფასება;

– საგარეო ეკონომიკური კავშირების შეფასება;

– სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის შედეგიანობის შეფასება;

– რეგიონული კრიზისული სიტუაციების გამოვლენა;

– რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობათა და პოტენციურ შესაძლებლობათა შეფასება.

თითოეულ რეგიონული ანალიზის მიზანს ახასიათებს საკუთარი ამოცანები. კერძოდ:

– რეგიონის ეკონომიკური განვითარების შედეგების შეფასებისა და პრობლემების გამოვლენის ამოცანა: ა) განსაზღვროს რეგიონის წარმოების დინამიკა და ცვლილება სამეურნეო კომპლექსის სტრუქტურაში, გამოავლინოს ნეგატიური ტენდენციების მიზეზები; ბ) შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში განსაზღვროს რეგიონის სპეციალიზაციის ცვლილების ტენდენცია და მოახდინოს არსებულ რესურსებთან და პირობებთან მათი შესაბამისობის შეფასება; გ) განსაზღვროს მეურნეობრიობის კომპლექსურობის დონე და გამოავლინოს მისი ამაღლების შესაძლებლობები; დ) გამოავლინოს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობაში და რეგიონში ფინანსური რესურსების ცვლილებებში არსებული ტენდენციები; ე) გამოავლინოს ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისათვისაც საჭიროა სახელმწიფო მხარდაჭერა; ვ) შეაფასოს რეგიონში მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ეკონომიკური ეფექტიანობა (მათ შორის სტრუქტურული ძვრებიც).

– რეგიონის სოციალური განვითარების შედეგების შეფასება-

ისა და პრობლემების გამოვლენის ამოცანაა: ა) შეაფასოს მოსახლეობის ცხოვრებისა და მოხმარების ღონის ცვლილებები (მათ შორის რეალური შემოსავლების ცვლილებები) და გამოავლინოს ჩამოყალიბებული ტენდენციების მიზეზები; ბ) განსაზღვროს საზოგადოების ფენებად დაშლის პროცესების ინტენსიურობა და საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა; გ) შეაფასოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შრომითი რესურსების ცვლილებების ტენდენცია; დ) შეაფასოს მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში ცვლილებების ტენდენცია; ე) განსაზღვროს უმუშევართა დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა; ვ) შეაფასოს ფარული უმუშევრობისა და არასრული დასაქმების მასშტაბები; ზ) შეაფასოს მოსახლეობის საბიუჯეტო უზრუნველყოფის მდგომარეობა, აგრეთვე ბიუჯეტის უზრუნველყოფადობა საკუთარი ფინანსური რესურსებით.

– ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიის მდგომარეობის შეფასების ამოცანაა: ა) შეაფასოს სხვადასხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი; ბ) შეაფასოს ეკოლოგიაში არსებული ტენდენციები და განსაზღვროს მათი მიზეზები; გ) განსაზღვრონ ზენორმატიული დაბინძურებისა და სხვა ეკოლოგიური წონასწორობის სერიოზული დარღვევის მქონე ქალაქები და ტერიტორიები; დ) განსაზღვრონ სხვა რეგიონის ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები; ე) გამოავლინონ ქალაქებსა და ცალკეულ ტერიტორიებზე არსებული დაჭუჭყიანების ძირითადი წყაროები; ვ) განსაზღვრონ ბუნების დაცვის ღონისძიებების საკუთარი ფინანსების ხარჯზე განხორციელების შესაძლებლობა.

– საგარეო ეკონომიკური კავშირების შეფასების ამოცანაა: ა) შეაფასოს რეგიონთაშორისი კავშირების დინამიკა და ინტენსივობა, აგრეთვე მათი როლი რეგიონის სამეურნეო ცხოვრებაში; ბ) შეაფასოს რეგიონის წარმოების საშუალებებითა და ფართო მოხმარების საგნებით თვითუზრუნველყოფა; გ) შეაფასოს მაპროფილებელ წარმოებათა კონკურენტუნარიანობა რეგიონულ, შიგა-

რესპუბლიკურ და მსოფლიო ბაზრებზე; დ) შეაფასოს რეგიონის უფრო მსხვილ ეკონომიკურ რეგიონთან ინტეგრაციის ხარისხი და სარგებლიანობა.

– სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის შედეგიანობის შეფასების ამოცანაა: ა) განსაზღვროს რეფორმის ძირითადი მიზნების რეალიზაციის ხარისხი და დონე; ბ) განზოგადებული დახასიათება მისცეს რეგიონის ტერიტორიაზე რეალიზებულ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქვეყნის მიზნობრივ პროგრამად მიჩნეულ ღონისძიებებს, შეაფასოს მათი შესრულების მიმდინარეობა და შედეგები; გ) შეაფასოს საკანონმდებლო უფლებამოსილებათა განაწილების სრულყოფილების ხარისხი ერთობლივად წარმართვის საკითხებში და განსაზღვროს იმ საკითხთა წრე, რომელთა თაობაზეც ცენტრისა და რეგიონების შეხედულებებს შორის ჯერ კიდევ რჩება არსებითი განსხვავება.

– რეგიონული კრიზისული სიტუაციების გამოვლენის ამოცანაა: ა) გამოავლინოს ღრმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი დარგები (წარმოებები), გამოავლინოს ამ კრიზისის მიზეზები და შესაძლო შედეგები; ბ) გამოავლინოს ის ქალაქები და რაიონები, რომლებიც იმყოფებიან ეკონომიკურ, სოციალურ ან ეკოლოგიურ სფეროთა კრიზისულ მდგომარეობაში, განსაზღვროს მიზეზები და სიტუაციის საკუთარი ძალებით შეცვლის შესაძლებლობები.

– რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობათა და პოტენციურ შესაძლებლობათა შეფასების ამოცანაა: ა) ბუნებრივი რესურსების მარაგისა და გამოყენების მდგომარეობის შეფასება; ბ) სოციალურ-ისტორიული განსაკუთრებულობისა და დემოგრაფიული ტენდენციების შეფასება; გ) საწარმოო პოტენციალის არსებული დონის, მისი სტრუქტურის, მდგომარეობისა და გამოყენების შეფასება; დ) ფინანსური პოტენციალის შეფასება; ე) მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შეფასება; ვ) საკადრო პოტენციალის შეფასება; ზ) სატრანსპორტო-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეფასება; თ) საწარმოო, სოციალური და საბაზრო ინფრასტრუქტურის

მდგომარეობის შეფასება; ი) რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება.

რეგიონული პოლიტიკის დასაბუთების მიზნებისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ქვეყნის სუბიექტების დაჯგუფება შემდეგი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით: ეკონომიკური განვითარების დონე; მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; ბუნებრივი პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა.

ეკონომიკური განვითარების დონემ უნდა მოიცვას: ქვეყნის მაღალგანვითარებული (ანუ უკვე ფორმირებული), აქტიურად განვითარებადები (ფორმირებადი), სუსტად განვითარებული სუბიექტები და სხვა.

მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ უნდა ასახოს მატერიალური წარმოების დინამიკა, კრიზისული სიტუაციები, ფინანსური უზრუნველყოფის და სხვა პრობლემები.

ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დაჯგუფებამ უნდა მოიცვას გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სატრანსპორტო გეოგრაფიული მდგომარეობა და სხვა.

განვითარების დონის მაჩვენებლები მნიშვნელოვანია არამარტო რეგიონების შედარებითი ანალიზისათვის, არამედ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებისათვის.

საბაზრო მოთხოვნის მაჩვენებლები წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად შემზღუდეველებს (ან მასტიმულირებლებს) განვითარების პერსპექტივის შეფასების დროს და ამიტომ, პირველ რიგში, გამოყენებული უნდა იქნან პროგნოზირების მიზნებისათვის. ამასთან, ისინი არსებით როლს ასრულებენ აგრეთვე რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებშიც და ა.შ.

რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებისას მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას, ერთის მხრივ, არსებული პოტენციალი, ხოლო მეორეს მხრივ, ის წანამძღვრები და შეზღუდვები, რომლებიც სერიოზულ ზეგავლენ

ნას ახდენენ მეურნეობის ცალკეული დარგებისა და სფეროების განვითარების პერსპექტივაზე. რეგიონების პოტენციალის მახასიათებლებს შორის მნიშვნელოვანია გამოვყოთ არსებული სიმძლავრეები და მათი გამოყენების დონე, სამეურნეო კომპლექსის სპეციალიზაციის დარგების და მათი კონკურენტუნარიანობის დონე რეგიონულ, ქვეყნისა და მსოფლიო ბაზრებზე, სამეცნიერო და საკადრო პოტენციალი.

წანამძღვრები, უპირველეს ყოვლისა, ხასიათებიან ტერიტორიის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფით, მინერალურ-სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სამრეწველო მარაგების არსებობით, დემოგრაფიული სიტუაციებით. ზოგიერთი რეგიონებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელსაყრელ სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას. უმნიშვნელოვანესი წანამძღვრების ჩამონათვალში ხშირად რთავენ საინვესტიციო კლიმატსაც.

რეგიონული განვითარების უმნიშვნელოვანეს წანამძღვრად არის მიჩნეული პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობებზე (მაპროფილებელზე) საბაზრო მოთხოვნის კონიუნქტურა.

ამოცანა მდგომარეობს რეგიონის დამახასიათებელი იმ 4-5 მაჩვენებლის შერჩევაში, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ რეგიონების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისათვის.

პროგნოზირების მიზნებისათვის რეგიონების ტიპოლოგია ფორმირდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ეკონომიკური პოტენციალი, რესურსული შესაძლებლობები და საბაზრო წანამძღვრები.

ტიპოლოგიური მახასიათებლების რაოდენობის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია თითოეული ასპექტის მიხედვით გამოყენებულ იქნას ერთი-ორი მაჩვენებელი. კერძოდ, ეკონომიკური პოტენციალის მახასიათებელი სხვადასხვა მაჩვენებლების ნაცვლად გამოიყენება რეგიონის განვითარების დონის მაჩვენებელი; საბაზრო ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო კავშირების განვითარების პირობების დახასიათების ნაცვლად – ინვესტიციური მიმზიდველობის მაჩვენებელი, რომელიც აღნიშნულ ფაქ-

ტორებთან ერთად ითვალისწინებს აგრეთვე საბაზრო რეფორმების განვითარებისა და განხორციელების ხარისხს. რესურსული უზრუნველყოფისა და საბაზრო მოთხოვნის ფაქტორები მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნენ, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორები, ვინაიდან ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წარმოებების განვითარების პერსპექტივებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი რეგიონული შიგა პროდუქტი წარმოადგენს რეგიონების დაჯგუფებისათვის და პროგნოზისათვის საბაზო და განვითარების განმაზოგადებელ მაჩვენებელს, ქვეყნის რეგიონული სუბიექტების დაჯგუფება მიზანშეწონილია ამ მაჩვენებლის მიხედვით.

უფრო ფართო ანალიზური პოტენციალი აქვს კომბინირებულ დაჯგუფებას, როდესაც ქვეყნის სუბიექტები დაიყოფიან არა ერთი, არამედ ორი ან სამი ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გააჩნიათ. ასეთი დაყოფის გაზიარების შემთხვევაშიც მაზანშეწონილია ძირითად კრიტერიუმულ მაჩვენებლად მიჩნეული იქნას მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. სხვა მაჩვენებლები კი ისე უნდა იქნენ შერჩეული, რომ ისინი ახასიათებდნენ რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა ასპექტებს. მაგალითად, ასეთ მაჩვენებლად რეგიონების დაჯგუფებისათვის გამოდგებოდა სამრეწველო წარმოების განვითარების ან შემცირების მაჩვენებელი, ან ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი. შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას რეგიონების დაჯგუფება სიღარიბის დონის მიხედვით, ანუ იმ მოსახლეობის ხვედრითი წონა პროცენტებში მოსახლეობის მთელ რაოდენობასთან შედარებით, რომელთა შემოსავალიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებს შეადგენს.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ე.წ. პრობლემური რეგიონების წარმოქმნა დაკავშირებულია საბაზრო კონიუნქტურის არახელსაყრელ ინერციულ გადრმაკვებასთან და როგორც შედეგი, რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის დაუბალანსებულობასთან.

ამასთან, ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული ფაქტორების გარკვეული კომბინაციის გამო ეს რეგიონები ამოვარდებიან ხოლმე საერთო ეროვნული ეკონომიკური პროცესის დინამიკიდან.

„დეპრესიული რეგიონები“, როგორც ტერმინი, პირველად იხმარეს დიდ ბრიტანეთში 1929 წლის კრიზისის პერიოდში. ასეთი ტერიტორიების რიგს იმხანად მიაკუთვნეს ქვეყნის შემდეგი რეგიონები: ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია. მათი უმეტესობა წარმოადგენს ძველ სამრეწველო ცენტრებს. მათში ძველთაგანვე წარმოიშვა გადამამუშავებელ მრეწველობასთან, შავ მეტალურგიასა და გემთმშენებლობასთან დაკავშირებული ვიწრო სპეციალიზაცია. აღნიშნულ რაიონებში დეპრესიის მთავარი მიზეზი იყო სტრუქტურული გარდაქმნები და მათ შედეგად დეპრესიული დარგების (ქვანახშირის მოპოვების, ფოლადისა და ტექსტილის წარმოების) სწრაფმზარდი, თანამედროვე (ელექტრონიკა, ქიმიკა და სხვა) დარგებით სწრაფად შეცვლის სიძნელეები.

ეკონომიკის ასეთი მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორებს წარმოადგენენ:

- ადგილობრივი ტრადიციული დარგების სწრაფი დაცემა (უფრო სწრაფი, ვიდრე ეს იყო ეროვნული მასშტაბით);
- საქმიანი აქტიურობის დაბალი რეიტინგი;
- უმუშევრობის მაღალი დონე (დაკავშირებული ძველ დარგებში დასაქმებულთა გამონთავისუფლებასთან);
- რეგიონიდან მოსახლეობის მაღალი მიგრაციის დონე;

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, დეპრესია გამწვავდა ქვანახშირის აუზების რეგიონებში – საარში და რურში. დეპრესიული გახდნენ სხვა სამრეწველო რეგიონებიც (უპირატესად ტექსტილის) – მიუნხენში და ა.შ.

რეგიონული დეპრესიის ნიშნები განსაკუთრებით თვალნათლივ წარმოჩინდა XX საუკუნის 50-იანი წლებისათვის რურის ეკონომიკაში – გერმანიის მსხვილ ინდუსტრიულ რეგიონში. მკვლევარები სწორედ ამ პერიოდს უკავშირებენ რურის ეკონომიკის „გაჭ-

იანურებული დეპრესიის სტადიაში“ შესვლას, როდესაც:

– დარგობრივ სტრუქტურაში რეგიონული დისბალანსი წინააღმდეგობაში მოვიდა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მოთხოვნებსა და მსოფლიო კონიუნქტურაში მომხდარ ცვლილებებთან;

– ტრადიციული დარგების კვლავწარმოების პირობებში აღმოცენებულმა დეფორმაციებმა (მხედველობაში გვაქვს ნახშირისა და მეტალურგიის დარგები) გამოიწვიეს ინდუსტრიული კომპლექსის პორიზონტალური და ვერტიკალური ურთიერთკავშირების რღვევის ჯაჭვური რეაქცია;

გერმანიაში წარმოიშვა პრობლემური რეგიონების სხვა ტიპებიც, კერძოდ, უპირეტესად აგრარული ორიენტაციის რეგიონები, სადაც მწვავედ იგრძნობოდა სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის უკმარისობა.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის მკვლევარები ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობენ აპალაჩის რეგიონს, როგორც ტოტალური დეპრესიის ზონას. ამ რეგიონს აქვს თავისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის განსაკუთრებული კულტურულ-გენეტიკური ბუნება.

თავისი მოცულობითა და სიღრმით ასეთი გაუგონარი დეპრესიის მიზეზებიდან და ფაქტორებიდან შეიძლება გამოვყოთ:

– რეგიონის გეოგრაფიულმა იზოლირებამ ეკონომიკური და კულტურული პროგრესის ცენტრებისაგან ის აქცია გარე გავლენისაგან ჩაკეტილ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემად;

– ნატურალურ-მეურნეობრიობის სიმყარემ და მოსახლეობის მძლავრმა მიდრეკილებამ პატრიარქალურ-საოჯახო კავშირებისადმი და ტრადიციებისადმი, შეასრულა საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების მძლავრი დამამუხრუჭებელი როლი;

– აპალაჩის ინდუსტრიული განვითარება უპირატესად ორიენტირებული იყო რეგიონის ინტენსიურ რესურსულ ექსპლუატაციაზე და კაპიტალის ამ ტერიტორიის გარეთ გატანაზე;

– რეგიონში ურბანიზაციის პროცესებს, როგორც სამთო-მო-

მპოვებელი მრეწველობის განვითარების შედეგს, თან არ სდევდა აგლომერაციული ეფექტი.

მითითებული ფაქტორების ერთობლივმა მოქმედებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა წარმოების დაცემის, გარემოს მკვეთრი გაუარესების, სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების დაბალი მაჩვენებლების სწრაფ ტემპებში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ტიპიური დეპრესიული რეგიონის მაგალითს წარმოადგენდა აშშ-ს რეგიონი – ახალი ინგლისი. ამ რეგიონმა პირველმა აიღო სტარტი ინდუსტრიაში, რამაც კიდევაც განაპირობა საკმაოდ ხანგრძლივი დროით ახალი ინგლისის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი უპირატესობანი. აღნიშნულ რეგიონში ინდუსტრიალიზაცია დაიწყო მსუბუქი მრეწველობის – საფეიქრო და ფეხსაცმლის მწარმოებელი დარგების ფართო განვითარებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ინგლისის რეგიონში მე-20 საუკუნეში გამწვავებული კულტურული პრობლემები ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა.

უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღნიშნულ რეგიონში, განვითარებას იწყებს მრეწველობის ახალი დარგები – ხელსაწყოთმშენებლობა, ზუსტი მანქანათმშენებლობა, რადიოელექტრონიკა. ასეთი ეკონომიკური ტრანსფორმაცია შესაძლებელი გახდა იმის მეშვეობით, რომ ახალ ინგლისში დაგროვილი იყო საწარმოო ინფრასტრუქტურის დიდი ფონდი, სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი რეზერვი, ასევე შენარჩუნებული იყო პირველხარისხოვანი უმაღლესი სასწავლებლების მძლავრი ქსელი.

70-80-იანი წლების მიჯნაზე ახალი ინგლისი მიმზიდველი გახდა წარმოების იმ მეცნიერებატევადი დარგებისათვის, რომლებიც ეფუძნებოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის ბოლო მიღწევებს. ამ პროცესების შედეგად რეგიონში უმუშევრობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ დაიწყო საშუალო ეროვნული ტემპისადმი წინსწრება.

საფრანგეთის ტერიტორიული სტრუქტურის მკვლევარები

აღნიშნავენ ქვეყნის რეგიონული განვითარების სპეციფიკის განმსაზღვრელი სამი ძირითადი პრობლემის არსებობას:

– ჰიპერტროფირებულ დედაქალაქსა და მის პროვინციებს შორის წინააღმდეგობას;

– სუსტად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო რეგიონების არსებობას;

– დეპრესიული რეგიონების ჩამოყალიბებას, რომლებიც სტრუქტურულ მოდერნიზაციას საჭიროებენ.

საფრანგეთის დეპრესიულ სამრეწველო რეგიონებს მიეკუთვნებიან საკმაოდ ძველი ნახშირის საბადოების რეგიონები, კერძოდ: ლუარის რაიონში, სვეენის მთებში, აკვიტანიაში, ოვერნაში და სხვა.

სწრაფმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა და თანმხლები ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებებმა უფრო გააძლიერეს ქვეყნის რეგიონული დისპროპორციები. ახლო წარსულში, მოწინავე ინდუსტრიული რეგიონები, ლოტარინგია და ჩრდილო-სამრეწველო რეგიონი, თითქმის მოულოდნელად აღმოჩნდნენ გაღატაკებულების რიცხვში, რომლებიც სახელმწიფოს ჩარევას საჭიროებდნენ. სტრუქტურული ძვრების გავლენით ამ რეგიონების ეკონომიკა, რომელიც ბაზირებული იყო ტრადიციულ დარგებზე, მოუმზადებელი აღმოჩნდა ბაზარზე მოთხოვნის ცვლილებების ხასიათისადმი და თანამედროვე მოხმარების საგნების წარმოებაზე გადასვლისათვის.

მე-20-ე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსათვის, მრეწველობის მხრივ განვითარებულ ჩრდილოეთისა და ლოტარინგიის რეგიონებში შრომისუნარიანი მოსახლეობის სამიმოთხედი დასაქმებული იყო იმ დარგებში, რომლებიც დაუძლურებული იყო დეპრესიით. ესენია ქვანახშირისა და საფეიქრო დარგები.

საფრანგეთის დეპრესიული სამრეწველო რეგიონების საერთო პრობლემას წარმოადგენდა ადგილობრივი მუშახელის ნაკლებობა. ამით საფრანგეთი განსხვავდებოდა ინგლისისაგან, სადაც დეპრესიული რეგიონებისათვის დამახასიათებელი იყო ქრონიკული უმუშევრობა.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელია რეგიონული ეკონომიკის დეპრესიულობის ეროვნულ-ისტორიული სპეციფიკა. ამასთან, ამ მოვლენის მრავალსახეობრივი მოდელების მიუხედავად, შესაძლებელია დეპრესიული რეგიონების ფორმირების ობიექტური საერთო მიზეზებისა და ფაქტორების დადგენა.

გადმოცემული ფაქტების განზოგადების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული დეპრესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძირითადი მიზეზი კონკრეტული ტერიტორიის სამეურნეო განვითარების არჩეულ სქემაში მდგომარეობს. განხილული უცხოური რეგიონებისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა მრეწველობის ცალსახა დამოკიდებულება ერთი-ორი სახეობის დარგზე (ნახშირის, მეტალურგიის, საფეიქროს), რომელთა განვითარების საფუძველსაც შეადგენდა ბუნებრივი რესურსების მდიდარი მარაგები. დეპრესიული რეგიონები ერთმანეთის მსგავსნი არიან არა მხოლოდ მრეწველობის შედარებით ვიწრო სტრუქტურით, არამედ, აგრეთვე საქმიანობის ალტერნატიული სახეობებისადმი სუსტი ადაპტაციით, წარმოების სუსტი დივერსიფიციურობით, სოციალური და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მოძველებული ხასიათით, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებაში დისბალანსით, წარმოების მაღალი კონცენტრაციით. მიუხედავად გარეგნული დინამიზმისა, რაც განპირობებულია ლიდერი დარგების მძლავრი განვითარებით, ასეთი ეკონომიკური სისტემა ზდება განსაკუთრებით ინერტული საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებისადმი. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, ნედლეულის ბაზის ცვლილებები, ახალი მასალების ბაზრებისა და მომხმარებლების გამოჩენა უშუალო გავლენას ახდენენ დეპრესიული სამრეწველო რეგიონების წარმოშობაზე. ტრადიციული დარგების აღწარმოების ციკლების დარღვევა იწვევს ყველა ერთმანეთთან დაკავშირებულ ტერიტორიული კომპლექსების კრიზისულ მოვლენათა ჯაჭვურ რეაქციას. ძველი დარგები რეგიონის განვითარების სტიმულატორიდან სწრაფად იქცევიან მის დამამუხრუ-

ჭებლად.

დეპრესიული რეგიონების სამეურნეო სტრუქტურის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: განვითარების ინერტულობა, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების დაუბალანსებლობა, მრეწველობის ვიწრო სპეციალიზაცია, ისტორიულ-კულტურული განსაკუთრებულება, გეოგრაფიული იზოლირებულობა, სასარგებლო წიაღისეულის არსებობა, მრეწველობის მაღალი კონცენტრაცია, ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ექსპლუატაცია, რესურსების სრულად ათვისება და მათგან სასარგებლო პროდუქციის მიღება, დივერსიფიკაციის დაბალი ხარისხი, ტექნოლოგიური განახლებისადმი ნაკლები სტიმულები, ტრადიციულ დარგებზე დამოკიდებულება, ორიენტაცია რეგიონიდან რესურსების გატანაზე, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება და ა.შ.

დეპრესიული რეგიონების წარმოშობისა და განვითარების უცხოური გამოცდილება საშუალებას იძლევა დადგინდეს რეგიონული დეპრესიის გამომწვევი რიგი ფაქტორები, აგრეთვე ამ ფაქტორების მახასიათებლები და ნიშნები.

რეგიონული დეპრესიის შიგა მიზეზებიდან გამოყოფილ უნდა იქნას: მრეწველობის მონოდარგობრივი სტრუქტურა; ახალი, დინამიური დარგების არ არსებობა ან ჩამორჩენა მათ განვითარებაში; წარმოების დივერსიფიკაციის მცირე ხარისხი; ტექნოლოგიური კონსერვატიზმი; ეროვნული ბაზრის მომსახურებისადმი დამორჩილება; წარმოების ზეკონცენტრაცია; რესურსების ინტენსიური ექსპლუატაცია.

რეგიონული დეპრესიის მითითებული მიზეზების მიერ განპირობებულ შედეგს კი წარმოადგენს: ქრონიკული უმუშევრობა; მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე; მოსახლეობის უარყოფითი მიგრაცია; ტრადიციული წარმოებების სწრაფი შემცირება; ბუნებრივი რესურსების ამოწურვა; ეკოლოგიური კრიზისი.

რეგიონული დეპრესიის მითითებული მიზეზებისა და შედეგების საფუძველზე რეალურად შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს განვითარების ორ ძირითად ვარიანტს: ხელსაყრელი საბაზრო

კონიუნქტურის პირობებში მაღალ ეკონომიკურ ეფექტს; სამეურნეო სტრუქტურის კრიზისულ მდგომარეობასთან დაკავშირებით რეგიონული სისტემის დეპრესიულ სინდრომს.

რეგიონული დეპრესიის გამომწვევი მიზეზების გავლენა-შემდეგების პირობებში ფორმირებული რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურა ხასიათდება მისი დარგებისა და სექტორების დაბალანსების და კომპლექსურობის არ არსებობით; აგრეთვე განვითარებაში ინერციულობითა და გარე სამყაროში მიმდინარე პროგრესული ცვლილებების ათვისების უუნარობით.

დეპრესიული რეგიონული ეკონომიკური სისტემა განსაკუთრებით მოწყვეტილია გარე ფაქტორების, კერძოდ, საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებისაგან, ამას განეკუთვნება: სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესი; სანედლეულო ბაზის ცვლილება; ახალი ბაზრებისა და მომხმარებლების გამოჩენა და სხვა.

არასახარბიელო საბაზრო კონიუნქტურის პირობებში დეპრესიის სინდრომი იმორჩილებს რეგიონული სისტემის ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეს.

დეპრესიული პროცესების განვითარების უმნიშვნელოვანეს მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს წარმოადგენენ: წარმოების კატასტროფული დაქვეითება, ქრონიკული უმუშევრობა, მოსახლეობის შვირსავლების მკვეთრი შემცირება, გარე სამყაროს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ნეგატიური ტენდენციების ზრდა სოციალურ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ სფეროებში.

დეპრესიულ რეგიონებში კრიზისული, დესტრუქციული პროცესების ძირითად მახასიათებლების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს დეპრესიულობის შედარებითი სიღრმე და ინტენსიურობა, კრიზისული და დესტრუქციული პროცესების სიმყარე და გრძელვადიანობა, მათი სისტემურობა და თვითრეგულირების მექანიზმების არქონა.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რეგიონული დეპრესიის ერთ-ერთი სიღრმისეული მიზეზი მოცემული ტერიტორიის სამეურნეო განვითარების არჩეულ სქემაში მდგომარეობს. დეპრე-

სიული რაიონების წარმოშობის საფუძველი კი რეგიონის კომპლექსური და დაბალანსებული განვითარების სტრატეგიის უქონლობაშია.

„დეპრესიული რეგიონის“ გაგების არსი და შინაარსი. დასავლურ რეგიონალისტიკაში დეპრესიული ტერიტორიების განმარტებაში გარკვეული სიცხადე არსებობს. პრაქტიკოსებისათვის ამოცანა რამდენადმე გაურკვეველია. დეპრესიული რეგიონების გამოყოფის სიმძნელე განპირობებულია იმით, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში რეგიონული დეპრესიის ბუნებრივ წარმოჩენაზე მიაწერენ აგრეთვე ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ხარჯებსაც. მაშასადამე, დეპრესიული ტერიტორიის განსაზღვრისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობის თავისებურებანიც.

თვალნათელია აგრეთვე ისიც, რომ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიებზე რეგიონული დეპრესიის გენეზისს აქვს თავისი თავისებურებები, რაც განპირობებულია ღირეპტიული დაგეგმვისა და მართვის ცენტრალიზებული სისტემის ხანგრძლივადიანი ბატონობით.

რასაკვირველია, საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების სტრატეგიის რეალიზაციის და ეროვნული მეურნეობის სივრცობრივი ორგანიზაციის არაეკონომიკური მეთოდების პირობებში ფორმირებადი რეგიონალიზმის საბჭოთა თეორია არ გულისხმობდა დეპრესიული ტერიტორიების შესახებ საკითხის დაყენებას.

საბაზრო გარდაქმნების დაწყება შესაძლებლობას იძლევა ნათლად დანახული იქნეს რეგიონების ბაზარში შესვლისას არაერთნაირი სასტარტო პირობები, რომლებიც განპირობებული იყო როგორც ობიექტური მიზეზებით (ბუნებრივ-კლიმატური, გეოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული ფაქტორებით), ასევე სუბიექტურით (საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სტრატეგიით). მეორეს მხრივ, საბაზრო რეფორმებმა იმპულსი მისცეს ქვეყნის ეკონომიკაში სტრუქტურულ ძვრებს, შედარებით სტაბი-

ლური სანედლეულო, აგრეთვე მომსახურეობის სფეროს როლის გაძლიერებას და შესაბამისად, თანამედროვე პირობებში ძალიან დაბალი კონკურენტუნარიანი დარგების პოზიციების შემცირებას. ამ პროცესებმა განსაზღვრეს რეგიონული დისპროპორციების ანომალური გაძლიერება.

ამ პირობებში, როდესაც პრობლემური რეგიონები, მათ შორის დეპრესიულები, ცხოვრების რეალობად იქცა, წარმოჩინდა უფრო შეცნობილი და აქტიურ რეგიონულ პოლიტიკაზე გადასვლის მაუწყებელი ნიშნები, რომლებიც გამოიხატება ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოცემაში, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისა და პროგრამების შემუშავებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის განვითარებაში, საბაზრო რეფორმების საკუთარი რეგიონული კონცეფციების რეალიზაციის მცდელობებში და ა.შ.

ყველაფერი ეს რეგიონული დეპრესიის პრობლემების გამოკვლევებისადმი ახალი თეორიული მიდგომების შემუშავებას მოითხოვს. ამ მიმართულების ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ, ცალკე სწრაფად ჩამოყალიბება-გაფორმების დადასტურებას ემსახურება მე-20-ე საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში ქართველი მეცნიერების ლ. ჩიქავას, ნ. ჭითანავას, ო. საღარეიშვილის, დ. მოურავიძის და სხვათა შრომები.

ამასთან, ბოლო წლებში მეცნიერ-რეგონალისტების დისკუსიის საგნად იქცა შემდეგი მიმართულებები:

- „დეპრესიული რეგიონის“ თეორიული არსის გააზრება;
- დეპრესიული რეგიონებისადმი მისაკუთვებელი მეთოდური საფუძვლების დასაბუთება;
- ქვეყნის დეპრესიული ტერიტორიების მიმართ რეგიონული პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლების შემუშავება.

დეპრესიული რეგიონების პრობლემებისადმი მიდგომები აუცილებელს ხდის განსაზღვროს ამ ტერმინის გამოყენების ტაქსონომიური დონე.

დასავლეთ ევროპული ტრადიციისათვის დამახასიათებელია

პლურალიზმი ასეთი დონის განსაზღვრაში: აქ რეგიონი გაგებულა, როგორც ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობით. რეგიონები, როგორც დეპრესიულები, შეიძლება ხასიათდებოდნენ:

– ტერიტორიებად, რომლებიც აერთიანებენ ფედერაციის რამდენიმე სუბიექტს (აპალაჩის რეგიონი, ახალი ინგლისი, აშშ-ში);

– საკუთრივ რეგიონულ წარმონაქმნად (მოტლანდია, უელსი-დიდ ბრიტანეთში);

– ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რგოლად, საქალაქო აგრომერაციებად (რური გფრ-ში, პიტსბურგი აშშ-ში).

ასეთი პოზიცია თეორიული ანალიზის ჩარჩოებში გამართლებულია, და ამ აზრით გაგება „რეგიონი“-ს გამოყენება წარმოადგენს პირობითს. ამასთან, დეპრესიულობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით, უფრო სამართლიანად და პროდუქტიულად უნდა იქნას მიჩნეული ამ გაგების ფედერაციის სუბიექტების დონიდან კონკრეტული ტერიტორიების დონეზე გადატანა (ერთი ან რამოდენიმე მუნიციპალური გაერთიანების, მით უმეტეს, როგორც ამ მოვლენის თვისებათა ანალიზმა აჩვენა, წმინდა სახით რეგიონული დეპრესია ან რეგიონული ჩამორჩენილობა ვლინდება დაბალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დონეზე (ქალაქები და დაბები მეურნეობის მონოდარგობრივი სტრუქტურით). რაც უფრო დიდია განსახილველი ტერიტორია, მით უფრო მეტია საფუძველი ვილაპარაკოთ ტერიტორიის დეპრესიულობის შერეულ ხასიათზე (ამის მაგალითია აშშ-ში აპალაჩის რაიონი).

ტერმინ „დეპრესიული რეგიონის“ გაგება არ შეიძლება მიკუთვნებულ იქნეს ეკონომიკური თეორიის კლასიკურ განსაზღვრებათა რიცხვს. მეცნიერ რეგიონალისტებს შორის აგრეთვე არ არის ერთნაირი აზრი მოცემული გაგების განსაზღვრის საკითხში. უფრო მეტიც, რიგი ეკონომისტები ამ ტერმინის გამოყენების მიზანშეწონილობასაც სადავოდ ხდიან. ასეთი პოზიცია აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, მოცემული კატეგორიის „სირთულით“ და „წინააღმდეგობრიობით“, ხოლო მეორეს მხრივ, „გადაუწყვეტი-

ლი“ პრობლემების აღმოცენების შესაძლებლობებით ამ გაგების საბიუჯეტო პრაქტიკაში გამოყენებისას.

აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო გამოკვლევებმა უნდა მოხსნან მოცემული კატეგორიის განმარტების არაცალსახობა და უნდა დამკვიდრდეს დეპრესიული ტერიტორიების დადგენის ობიექტური კრიტერიუმები და წესები, რაც შესაძლებელს გახდის ამ ტერმინის საკანონმდებლო წესით დამაგრებასა და მის პრაქტიკაში დამკვიდრებას.

ზემოაღნიშნული საფუძველს ვგაძლევს ჩამოვყალიბოთ „დეპრესიული რეგიონის“ გაგების განსაზღვრისადმი საკუთარი მოთხოვნები:

– უნდა შეიცავდეს მის რეგიონული მართვის დონისადმი მიბმას;

– განსაზღვრებაში უნდა ახასიათებდეს დეპრესიის სიღრმისეულ მიზეზებს;

ანცალკეებდეს რეგიონული დეპრესიის შინაგან და გარეგან ფაქტორებს;

– განსაზღვრებაში ასახვა უნდა ჰქონდეს რეგიონული დეპრესიის, როგორც მოვლენის, სისტემურმა ეფექტმა.

ასეთი მოთხოვნები რეგიონული დეპრესიის არსის ბუნების გამოვლენის თვალსაზრისითა და დეპრესიული რეგიონების პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობით არის დასაბუთებული.

ასეთი პოზიციებიდან რამდენადღე გამარტივებულად გვეჩვენება ამ კატეგორიის ფორმულირება – დეპრესიული რეგიონებია – ტერიტორიები, რომლებიც ძლიერად და მყარად ჩამორჩებიან სხვა ტერიტორიებს მთავარი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, მათ შორის განვითარების ტემპებით. ეს განმარტება შეიცავს რიგ უარყოფით მხარეებს. კერძოდ, გაგება „ტერიტორია“ საჭიროებს მოვლენის მასშტაბის დაზუსტებას; განმარტება მოიცავს მითითებას მხოლოდ ჩამორჩენის საერთო კრიტერიუმზე, მაშინ, როდესაც რეგიონული განვითარების დეპრესიულობის პრობლემები მოიცავენ მიზეზების სპეციფიურ ფაქტორებს, რომლებიც განსხვავებულია

უბრალო ჩამორჩენის ფაქტორებისაგან ან რეგიონული მეურნეობის განუვითარებლობისაგან. განმარტება უნდა ახასიათებდეს რეგიონის დეპრესიული განვითარების არსებით მხარეებს და არ უნდა იფარგლებოდეს მხოლოდ ჩამორჩენის ფაქტორების კონსტანტაციით. ამიტომ ტერმინ „დეპრესიული რეგიონის“ განმარტება-განსაზღვრაში სწორი იქნებოდა დავეყრდნობოდით ამ მოვლენის მიზეზობრივ განპირობებულობას. განმარტებაში ასახვას ვერ პოულობს რეგიონული დეპრესიის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – ზემოქმედების სისტემურობა.

დეპრესიული ტერიტორიების უფრო ფართო განსაზღვრას წარმოადგენს ისეთი სივრცობრივად ლოკალური წარმონაქმნები, რომლებშიც ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა მიზეზების გამო მოქმედებას წყვეტს თვითგანვითარების სტიმულები, და ამდენად, არ არის საფუძველი იმედი ვიქონიოთ კრიზისული სიტუაციების თვითგადაწყვეტისა. ეს განმარტება არსებითად მიგვანიშნებს ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა რეგიონული პროცესების ნორმალური კვლავარმოების შეუძლებლობაზე. მეცნიერთა განმარტებაში ყურადღებას იქცევს „სივრცობრივად ლოკალური წარმონაქმნის“ გაგების შემოტანა, აგრეთვე მოვლენის სისტემური ხასიათის ასახვა. ამავე დროს განმარტებაში არ არის სიცხადე რეგიონული დეპრესიის მიზეზობრივი განპირობებულობის თაობაზე.

ვლადიმერ კობტ რა დეპრესიულ რეგიონებზე, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება იყოს ტერიტორიები, რომელთა დეგრადაციაც გამოწვეულია სხვადასხვა ხასიათის პრობლემებით. ასეთი შეიძლება იყოს ეკოლოგიური კრიზისები, ეთნიკური კონფლიქტები, პერიფერიული რაიონები, სასაზღვრო ზონები და სხვა.

ყველა აღნიშნულ დეპრესიულ რეგიონში განვითარების ამა თუ იმ პრობლემის არსებობა, რომლებიც არ შეიძლება გადაწყდეს სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე, წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ისინი გაერთიანებულ იქნენ ერთ

ჯგუფში, ე.წ. პრობლემური რეგიონების ჯგუფის სახელწოდებით.

ამდენად, ზემონათქვამის კონტექსტში აზრი აქვს განხილული იქნეს „დეპრესიული რეგიონის“ გაგების შინაარსობრივი მახასიათებლები. ვფიქრობთ, ეს მოსაზრებანი სწორია და მიგვაჩნია, რომ პრობლემური რეგიონების ძირითად მახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს:

– რომელიმე მსხვილი და მნიშვნელოვანი პრობლემის განსაკუთრებით კრიზისული სახით წარმოჩენა, რომლის გადაუწყვეტელობაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, შეუძლია გამოიწვიოს პოლიტიკური არასტაბილურობა, გამოიწვიოს ბუნებრივი გარემოს კატასტროფული მდგომარეობა და ა.შ;

– რესურსული პოტენციალის არსებობა, რომლის გამოყენებაც უადრესად აუცილებელია ქვეყნის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად;

– რეგიონის ეკონომიკურ-ტერიტორიული, გეოპოლიტიკური მდგომარეობის ან მისი ბუნებრივი კომპლექსის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც განაპირობებს ხელისუფლების ორგანოების დონეზე სახელმწიფოებრივი რეგულირების სპეციალურ ღონისძიებათა რეალიზაციის საჭიროებას;

– რეგიონის საკუთარი რესურსების უკმარისობა, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ან რეგიონული მნიშვნელობის წარმოშობილ პრობლემათა გადასაწყვეტად და რაც გულისხმობს სახელმწიფოს აუცილებელ პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობას რეგიონისათვის მატერიალური ან ორგანიზაციული დახმარების გასაწევად;

– პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობა, პროგრამების რეალიზაციის სპეციალური ფორმების გამოყენება და პრობლემური რეგიონის, როგორც სახელმწიფო რეგულირების ობიექტის სტატუსის ოფიციალური გაფორმება.

ყველა ტიპის პრობლემური რეგიონებისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშან-თვისებას წარმოადგენს წარმოშობილი კრიზისუ-

ლი სიტუაციის ან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ნეგატიური ტენდენციების საკუთარი (ლოკალური) წყაროებითა და რეზერვებით, აგრეთვე თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმების ჩარჩოებში დაძლევის შეუძლებლობა.

ბოლო ხანებში საქართველოს პრობლემური რეგიონები გახდნენ სახელმწიფოს მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. ამაზე მეტყველებს რიგი ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები; ზოგიერთი პრობლემური რეგიონი მიჩნეული და გამოცხადებულია სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტად. საქართველოში ამჟამად რეალურად განარჩევენ რეგიონების შემდეგ ტიპებს: ჩამორჩენილი, დეპრესიული, კრიზისული, აგრეთვე განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონები.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩამორჩენილი რეგიონები ხასიათდებიან მოსახლეობის ძალიან დაბალი სულადობრივი შემოსავლებით, აგრეთვე არასაკმარისი საწარმოო და ფინანსური პოტენციალით.

დეპრესიული რეგიონები წარმოადგენენ ტერიტორიებს, რომლებსაც გააჩნიათ საკმაო ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ მოცული არიან სტრუქტურული კრიზისით, რის შედეგადაც ხდება წარმოების მოცულობის და მოსახლეობის შემოსავლების შემცირება, ამასთან ერთად, იზრდება უმუშევრობა.

კრიზისული რეგიონები გამოირჩევიან ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ეკობუნებრივი პროცესების ექსტრემალური ხასიათით (ეს გამოიხატება სამრეწველო საწარმოთა უმეტესობის უმოქმედობაში, ეთნიკურ კონფლიქტებში, ბუნებრივი კატასტროფების შედეგებში).

პრობლემური რეგიონების მოცემული ტიპოლოგია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აბსოლიტურად გამართლებულად, რადგანაც არ არის მკვეთრად გამოკვეთილი არსებითი განსხვავება ამა თუ იმ ტიპებს შორის. გარდა ამისა „საკმაო ეკონომიკური პოტენციალის“ არსებობა არ წარმოადგენს დეპრესიული რეგიონების საერთო მახასიათებელსა და გამოკვეთილად გამორ-

ჩეულ ნიშან-თვისებას.

„ჩამორჩენილი“ და „დეპრესიული“ რეგიონის ტერმინების უფრო გაფართოებული დეპრესიულობის ძირითადი მახასიათებელი ნიშნების მიხედვით, რომელთა რიგს ეკუთვნის:

– ეკონომიკაში კრიზისული მოვლენებისა და დესტრუქციული პროცესების შედარებით დიდი სიღრმე არსებული კრიზისის საერთო ფონზე;

– კრიზისული სიტუაციის დროში სიმყარე, რომელიც დაკავშირებულია როგორც მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენასთან, ასევე თვითგანვითარებისათვის შინაგანი სტიმულების უქონლობასთან ან მათ უკმარისობასთან, აგრეთვე, მყარი ეკონომიკური ზრდის ნამდვილი შიგა რეზერვების უქონლობასთან მთლიანად ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის პირობებშიც კი;

– მოცემული დეპრესიული რეგიონის მეურნეობის კრიზისული მოვლენების ტრადიციული, მაპროფილებელი დარგების (რომლებიც შეადგენენ ამ რეგიონის სამეურნეო სპეციალიზაციის საფუძველს) სტაგნაცია;

– როგორც წესი, დეპრესიულობის მოვლენების აშკარად გამოკვეთილი ლოკალიზაცია განსაზღვრულ ტერიტორიაზე (მხარის, ქალაქის, ადმინისტრაციული რაიონის, და ა.შ.);

– ეკონომიკის დეპრესიული მდგომარეობის შედეგების სისტემურ ხასიათს, რომელიც, კერძოდ, თავს იჩენს და მუდავნდება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის მკვეთრად შემცირებაში, უმუშევრობის ზრდაში, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში, ნეგატიური დემოგრაფიული პროცესების ზრდაში.

მთლიანად რეგიონული ეკონომიკის დეპრესიულობა შეიძლება ხასიათდებოდეს, როგორც განსაზღვრული ტერიტორიის ეკონომიკის მყარი კრიზისული მდგომარეობით (რაც დაკავშირებულია მაკროეკონომიკური ფაქტორების მოქმედებასთან და თვითგანვითარებისათვის შიგა სტიმულის არქონასთან ან უკმარისო-

ბასთან), რომელიც მელავნდება დესტრუქციული ეკონომიკური და სოციალური პროცესების შედარებით მეტი სიღრმითა და ინტენსიურობით და რომლებიც განპირობებულია მეურნეობის ტრადიციულად წამყვანი დარგების სტაგნაციით და გამოწვეულია კვლავწარმოებითი პროცესების მკვეთრი დარღვევის დომინირებადი ზემოქმედებით.

ამგვარად, დეპრესიული რეგიონების ტიპს ხშირად მიაკუთვნებენ ადრე დაგროვილი შედარებით მაღალი დონის ეკონომიკური პოტენციალის მქონე ტერიტორიებს, მეურნეობის სტრუქტურაში სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით, ადგილობრივი შრომითი რესურსების შედარებით მაღალი კვალიფიკაციის დონით, მაგრამ მაპროფილებელი დარგების დაბალი კონკურენტუნარიანობის შედეგად ეკონომიკური დაცემის წინმსწრები ტემპებით, არსებითად უფრო მაღალი უმუშევრობის დონით, ინვესტიციური აქტივობის დაბალი ხარისხით, აგრეთვე შედარებით დაბალი საბიუჯეტო უზრუნველყოფითა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების დონით.

დეპრესიულებისაგან განსხვავებით, სუსტად განვითარებული რეგიონების (ეკონომიკურად ჩამორჩენილების) ტიპს აკუთვნებენ ტერიტორიებს სამეურნეო მოღვაწეობის უკიდურესად დაბალი ინტენსიურობით, ეკონომიკის ნაკლებად დივერსიფიცირებული დარგობრივი სტრუქტურით, ქვეყნის ბევრ რეგიონთან შედარებით დაგროვილი საწარმოო-ტექნიკური პოტენციალის მკვეთრი ჩამორჩენით და აგრეთვე სოციალური სფეროს განვითარების დაბალი დონით.

პრობლემური რეგიონების ტიპოლოგიზაციისათვის საფუძვლად გამოიყენებენ ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ, ეთნიკურ და და ეკოლოგიურ პრობლემებს. ეკონომიკური პრობლემების მიხედვით გამოყოფენ რეგიონების შემდეგ ტიპებს: ტრადიციულად ჩამორჩენილებს, დეპრესიულებს, ტრადიციულად განვითარებულებს, პროგრამულად განვითარებადებს.

დეპრესიული რეგიონების ჩამორჩენილობისაგან პრინციპულ

განსხვავებას ჩვენ ვხედავთ იმაში, რომ მიუხედავად ამჟამად უფრო დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლებისა, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში, წარსულში ეს რეგიონები იყვნენ განვითარებული, ხოლო ზოგიერთი მახასიათებლებით ქვეყანაში საკმაოდ თვალსაჩინო ადგილიც ეჭირათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგალითად, რესურსების ამოწურვის, უფრო უარეს გეოლოგიურ პირობებში გადასვლის გამო, რეგიონის პროდუქციაზე მოთხოვნის დაცემის ან მისი კონკურენტუნარიანობის დაქვეითების მიზეზით) ამ რეგიონებმა დაკარგეს თავიანთი მაშინდელი მნიშვნელობა.

რეგიონების ტიპების გამოყოფისას დომინირებადი ეკონომიკური პრობლემების მიხედვით, საკმარისია შემოვიფარგლოთ რეგიონის მხოლოდ ორი გაგებით: ჩამორჩენილი და დეპრესიული რეგიონები. ორივე გაგების შემთხვევაში ადგილი აქვს ტერიტორიის არაკეთილსასურველი სოციალურ-ეკონომიკური გამოვლენის საერთო სიმპტომებს, რომლებიც გამოიხატება მოსახლეობის უკიდურესად დაბალ რეალურ შემოსავლებში, მზარდ უმუშევრობაში, უარყოფით მიგრაციაში. მაგრამ თუ მივმართავთ რეგიონული განვითარების პრობლემის გენეტიკურ ბუნებას, მაშინ შეგვიძლია ნათლად დავინახოთ მათი განსხვავებული მიზეზობრივი განპირობებულობა.

ასე მაგალითად, რეგიონული ჩამორჩენილობის რეგიონული დეპრესიისაგან განმასხვავებელი ძირითადი ფაქტორებიდან ერთ-ერთი გამოიხატება რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ხასიათში, ანუ სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულების ხარისხში და მასში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრით წილში. რეგიონების ჩამორჩენის მთავარი მიზეზები გამოიხატება შემდეგში: მათ ეკონომიკაში ჭარბობს სოფლის მეურნეობა, მისი გაძღოლის მოძველებული ფორმები და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების დაბალი ხარისხი, ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება, არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, კაპიტალურ დაბანდებების უკმარისობა.

რასაკვირველია, ასეთ პროცესებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს

დებრესიულ რეგიონებშიც, მაგრამ იქ, როგორც წესი, ისინი გამო-
დინან არა როგორც კრიზისული სიტუაციების აღმოცენების სპეცი-
ფიური პირობები, არამედ, უფრო მეტად, მათი გამოვლენის ან
თანმხლები არასასურველი მოვლენების სახით, რითაც აძლიერ-
ებენ დებრესიულობის საერთო უარყოფით ეფექტს.

როგორც უცხოური გამოცდილების განზოგადოებისას იყო
აღნიშნული, დებრესიული რაიონები განეკუთვნებიან სამრეწველო
რეგიონების თანრიგს. ამასთან, ასეთ რეგიონში შედარებით მაღა-
ლი იყო წინათ დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალი, არსე-
ბობდა განვითარებული სახელმწიფო ინფრასტრუქტურა, კვალი-
ფიციური სამუშაო ძალა, შიდა რეგიონული და რეგიონთაშორისი
კავშირების ქსელი. მაგრამ რეგიონული განვითარების თვითრეგ-
ულირების შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმის უქონლობა იწვევს
კვლავწარმოებითი კავშირების – „წარმოება-მოხმარება“-ს შესა-
ბამისობის დარღვევებს, შეუსაბამობას სამეურნეო მოთხოვნილე-
ბებსა და არსებულ რესურსებს შორის, აგრეთვე სამეურნეო კო-
მპლექსის ცალკეულ ნაწილებს შორის, რაც ქმნის დებრესიული
სინდრომის აღმოცენების პოტენციურ შესაძლებლობას. ასეთი
შესაძლებლობა იწყებს სრულად რეალიზებას, როდესაც რეგიონ-
ში შექმნილი სამეურნეო სტრუქტურა კონფლიქტში შედის გარე
სამყაროში მომხდარ ცვლილებებთან, რაც გამოწვეულია და დაკავ-
შირებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესთან, ეკონომიკის
გლობალიზაციასთან, ეკონომიკურ ინტეგრაციასთან და სხვა პრო-
ცესებთან.

ზემოხსენებულმა გათვალისწინებით, დებრესიული რეგიონები
ჩვენს მიერ განსაზღვრულ და განხილულ იქნა როგორც ლოკალური
ტერიტორიული წარმონაქმნები, რომლებშიც შიდა ფაქტორების
(რეგიონული სტრუქტურულ-ფუნქციონალური დისპროპორციე-
ბი) და გარეშე ფაქტორების (მაკროეკონომიკური, პოლიტიკური,
მეცნიერულ-ტექნოლოგიური და სხვა) ერთობლივი მოქმედებით
დაიკარგა ტერიტორიის, როგორც მთლიანი ბუნებრივი, ეკონომიკური
და სოციალური სისტემის, მყარი კვლავწარმოებითი მოღვაწეო-

ბის სტიმულები.

საქართველოს ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლა, ანუ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული ჩამორჩენილობის მიზეზების დაძლევა, საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, მყარად მხარდი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და პოლიტიკურად სტაბილური საზოგადოების ფორმირება შეუძლებელია საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დისპროპორციების დაძლევისა და გამოთანაბრების გარეშე.

რეგიონული დისპროპორციების გაღრმავების შედეგს წარმოადგენს ე.წ. პრობლემური რეგიონებისა და რაიონების წარმოქმნა, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები მკვეთრად ჩამორჩება საერთო-ეროვნული მაჩვენებლების დონეს. ასეთი ვითარება ხელს უშლის ერთიანი, დაბალანსებული ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის დეზინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის. ამასთან, ადგილი აქვს სოციალურ-ეკონომიკური, რესურსული და ინტელექტუალური პოტენციალის დეგრადაციას და ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გაფართოებულ კელაფწარმოებას მულტიპლიკაციური ეფექტის შესაბამისად. თავისთავად ცხადია, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიფერენციაცია საფრთხეს უქმნის ქვეყანაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასა და ქვეყნის ერთიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს მკვეთრი ტერიტორიული დისპროპორციების არდაშვებასა და შერბილებას. პრობლემური რეგიონების მხარდაჭერის ეფექტიანობა, მათ შორის დისპროპორციების გამოთანაბრების ეფექტიანობა დამოკიდებულია ამ მოვლენის შესახებ ზუსტი წარმოდგენის არსებობაზე. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის ობიექ-

ტური მიზეზებისა და მათი გამოთანაბრების პრიორიტეტების დადგენას.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ღიფერენციაციის მიზეზებია:

1. საბჭოური პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული წარმოების მეტისმეტი კონცენტრაცია მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, განსაკუთრებით კი, თბილისში. ეს უკანასკნელი იქცა ეგრეთ წოდებულ „თავკომბალად“, სადაც კონცენტრირებულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის (საწარმოო ფონდების, შრომითი რესურსების, მ.შ. მისი ყველაზე აქტიური და უნარიანი ნაწილის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალისა და ფინანსური რესურსების) მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განაპირობებს ეკონომიკური აქტიურობის შედარებით მაღალ დონეს და რეგიონებიდან რესურსების შემდგომ მოზიდვას. ეს კი იწვევს რეგიონებიდან და რაიონებიდან, მათი განვითარებისათვის აუცილებელი რესურსების გადინებას, რითაც კიდევ უფრო ამწვავებს მათში არსებულ კრიზისულ ვითარებას.

2. ეგრეთწოდებული „მონოქალაქების“ არსებობა, რომელთა ეკონომიკაც ცალმხრივად დამოკიდებულია ერთ-ორ დარგზე (მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაზე რუსთავეში და ქვანახშირის მრეწველობაზე ტყიბულში). ასეთმა ეკონომიკურმა სისტემამ, წარმოების მცირე ღიფერსიფიკაციისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების განვითარებაში არსებული დისბალანსის შედეგად, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში გარე გარემოს ცვლილებების მიმართ გამოავლინა სუსტი ადაპტაციის უნარი. ამის შედეგად, აღნიშნულ ქალაქებში წარმოების დაცემა და უმუშევრობის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

3. საყოველთაო ხასიათის ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც გააჩნია რეგიონული სპეციფიკური თავისებურებანი. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სპეციფიკა გარკვეულწილად გან-

პირობებულაა გარე ძალების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის შედეგად აფხაზეთის არ-სთან გამყოფი საზღვრის ძალდატანებითი დადგენით, რის შედეგადაც, ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი სატრანსპორტო-ეკონომიკური და კულტურული კავშირი გაწყდა, როგორც აფხაზეთის რეგიონთან, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე მხარეებთან.

4. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებით. სსრკ-ის შემაღენლობაში მყოფი რესპუბლიკა, ერთბაშად აღმოჩნდა მეტად რთულ გეოპოლიტიკური სიტუაციაში, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ქვეყანაში, მ.შ. რეგიონებში არსებული ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. ყოველივე ამან ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ხელი შეუწყო დეზინტეგრაციისკენ მისწრაფებას პოლიტიკასა და ეკონომიკის სფეროში.

5. რეგიონული ეკონომიკური სისტემის დესტაბილიზაციით (საქართველოში) გამოვლინდა რეგიონული განვითარების დესტაბილიზაციის შიგა და გარე ფაქტორები.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის დესტაბილიზაციის შიგა ენდოგენური ფაქტორებია:

– რეგიონული ეკონომიკური სისტემების მოცულობის გაზრდა არა მხოლოდ ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და მრავალრიცხოვანი ახალი ეკონომიკური სუბიექტების წარმოშობის შედეგად, არამედ აგრეთვე საკუთრების ახალი ფორმირებისა და საქმიანობის ახალი სფეროების წარმოქმნის შედეგად;

– სისტემის ელემენტებს შორის კავშირების ხასიათის ცვლილება, რეგიონული ეკონომიკური სისტემის სუბიექტების ინტერესებს შორის დისბალანსის გაძლიერება;

– მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, მისი ხასიათისა და ეკონომიკური სისტემის სხვა კომპონენტებთან დამოკიდებულების ცვლილება;

– გარე ეგზოგენურ ფაქტორებს, რომლებიც არღვევენ რეგიონული ეკონომიკური სისტემის ერთიანობასა და სტაბილურობას, მიეკუთვნება კანონმდებლობის ხშირი ცვლილება (არა-

სტაბილურობა), სოციალური დაძაბულობის გაძლიერება საზოგადოების სოციალური დანაწევრების გაძლიერებისა და ღირებულებითი ფასეულობების შეცვლის შედეგად და ა.შ.

6. საბაზრო ინფრასტრუქტურით ეკონომიკური სისტემის არაადეკვატური შევსება. საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწავობა და წინააღმდეგობრივი ხასიათი;

7. რეგიონული ეკონომიკური პრობლემებით დასაქმებულ სახელისუფლო სტრუქტურებს შორის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ზუსტი განაწილების არარსებობა, მათ შორის კომპეტენციის აღრევა, რაც ხელს უშლის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებასა და ქვეყნის და რეგიონების ჰარმონიულ, დაბალანსირებულ განვითარებას;

8. ქვეყნის ტერიტორიაზე გამწვავებული ეთნოკონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა არსებობა, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად არიან განსახლებულნი სამეგრელოს ტერიტორიაზე, რაც იწვევს იქ არსებული ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას;

9. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონული ეკონომიკური პრობლემისადმი არაადეკვატური დამოკიდებულება, რაც, ძირითადად, განპირობებულია ყურადღების ძირითადი გამახვილებით მაკროეკონომიკური და ფინანსური პრობლემების მიმართ (მონეტარიზმის თეორიულ პოსტულატებზე დაყრდნობით), რის შედეგადაც, სტრუქტურულ ცვლილებებსა და რეგიონულ პოლიტიკას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება;

10. ეკონომიკის სტრუქტურის დაუბალანსებლობა, როგორც ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების მასშტაბით, რომლის ძირითად მიზეზზე წინა პუნქტში გვქონდა საუბარი; პოსტსოციალისტურმა ტრანსფორმაციამ გამოიწვია უარყოფითი სტრუქტურული ძვრები, რის შედეგადაც, საქართველოს ეკონომიკის არსებული სტრუქტურა წარმოადგენს არაეფექტიანსა და დისპროპორციულს;

11. ეკონომიკური პოლიტიკის დაშორება ეკონომიკური კანონ-

ებისაგან და სამეურნეო სუბიექტების რეალური ინტერესებისაგან. აღნიშნული პოლიტიკა არ ითვალისწინებს მეწარმეთა, განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესის, აგრეთვე ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ ინტერესებს. მისი მთავარი მიზანია სტაბილური ვითარების შენარჩუნება დედაქალაქში და ძირითადი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო არტერიების მოსაზღვრე ლოკალურ ტერიტორიებზე.

12. ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება, რაც კიდევ უფრო დაბავს სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას;

13. ეკონომიკის სექტორებისა და დარგების განვითარების დაუბალანსებლობა და არაკომპლექსურობა, როგორც საერთოეროვნულ, აგრეთვე რეგიონულ ჭრილში;

14. მძიმე მრეწველობის იმ დარგებში სპეციალიზაცია, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან შიგა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან;

15. სტრუქტურული და ტექნოლოგიურ-ინოვაციური ინერციულობა.

16. სასოფლო-სამეურნეო რაიონებში სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის სრული მოშლა და ა.შ.

საქართველოს რეგიონებს, ფინანსური რესურსების უკმარისობის, სათანადო ინსტიტუციური გარემოს არარსებობისა და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის შედეგად არ შეუძლიათ ევოლუციური განვითარების გზით, მხოლოდ საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით, არსებული მძიმე ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევა და მათ შორის არსებული დისპროპორციების უმოკლეს ვადებში დაძლევა.

ამრიგად, საქართველოს რეგიონებში არსებული ეკონომიკური პოტენციალის, უპირველეს ყოვლისა კი, ბუნებრივი და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მათი საქმიანობის რაციონალური ორგანიზება რეგიონული პრობლემების რეგულირებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას მოითხოვს, უპირატესად ეკონომიკური სტიმულებისა და ბერკეტების, აგრეთვე

საკანონმდებლო ბერკეტების გამოყენებით.

საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დისპროპორციების აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს საერთოეროვნული მიდგომები და პრიორიტეტები, აგრეთვე რეგიონების განვითარების სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილება, რომლის თანახმადაც, რეგიონული პრობლემები, რომლებსაც გააჩნიათ სტრატეგიული ხასიათი, ხვდებიან საერთო ეროვნული პრიორიტეტების რიცხვში და მათ გადასაწყვეტად საწარმოების ყველა რეგიონის რესურსების მობილიზაცია, ხოლო პრობლემები, რომლებსაც გააჩნიათ ლოკალური ხასიათი, გადაწყდება ძირითადად რეგიონული რესურსების ბაზაზე – ცენტრალური ხელისუფლების გარკვეული მხარდაჭერის პირობებში.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისას და დასაბუთებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორც კავკასიის რეგიონში არსებული ვითარება და მოვლენების შესაძლო განვითარება, აგრეთვე მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე გლობალური ტენდენციები, ვინაიდან საქართველოს თავისი უნიკალური გეოგრაფიული და ეოპოლიტიკური მდებარეობით შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს შორის სამეურნეო კავშირების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როგორც მსოფლიო სამეურნეო კავშირების განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები, აგრეთვე მოსაზღვრე ქვეყნების მომიჯნავე რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობების, უპირველეს ყოვლისა კი, ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობები.

აუცილებელია ისიც, რომ რეგიონულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ძირითად მიზნად დაისახოს რეგიონების სოციალურ-

ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დისპროპორციის გამოთანაბრება პრობლემური რეგიონების შიგა პოტენციალის აქტივიზაციის საფუძველზე. ე.ი. რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი უნდა გახდეს პერსპექტივაში თვითგანვითარებადი რეგონული ეკონომიკური სისტემის ფორმირება. თვითგანვითარების მექანიზმი გულისხმობს სისტემაში პროგრესული ცვლილებების აკუმულირების უწყვეტ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს მის ფორსირებულ გადასვლას ზრდის ახალ სტადიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული დისპროპორციის გამოთანაბრების პრიორიტეტებია:

ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება, ბაზრის ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირების დასრულება, მისი სტაბილურობისა და გარკვეულობის უზრუნველყოფა;

საქართველოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის ახალი პირობების შესაბამისი საბაზრო ინფრასტრუქტურა, რაც განპირობებულია ინსტიტუციური ცვლილებებისადმი არასათანადო ყურადღებით, ეს კი ხელს უშლის ეკონომიკის სტაბილურ ფუნქციონირებას.

საქართველოში მეწარმეობის სამართლებრივი ბაზის სრულყოფასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგონებში ფინანსური ინსტიტუტების, სატრანსპორტო ქსელის, კავშირგაბმულობის სისტემის განვითარებასა და სამუშაო ძალის მომზადება-გადამზადების ქსელის შექმნას.

ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, რაც მოითხოვს რეგიონებში სტრუქტურული გარდაქმნების დაჩქარებას, საწარმოთა პროფილის შეცვლას და იმპორტ-შემცველი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას, აუცილებლობის შემთხვევაში გაკოტრებისა და სანაციის პროცედურების განხორციელებას, წამგებიანი და არაპერსპექტიულ საწარმოთა ლიკვიდაციასა და პერსპექტიულ საწარმოთა მოდერნიზაციას, ინვესტიციების სტრუქტურის სრულყოფას, პროგრესული ტექნოლოგიების, წარ-

მოების მართვისა და შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მე-
თოდების დანერგვას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და
კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას და ა.შ.

უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ადეკვატური, ზუს-
ტი განაწილება ეკონომიკური პრობლემებით დაკავებულ ხელისუ-
ფლების ცენტრალურ და რეგიონულ ორგანოებს შორის და ეფექ-
ტიანი მართვის სისტემის შექმნას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ფუნქციების განაწილება
შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს. საბჭოთა ეკონომიკი-
სათვის დამახასიათებელი იყო საქმიანობის როგორც ეკონომიკური,
აგრეთვე ფინანსური სფეროს მეტისმეტად მაღალი ცენტრალიზა-
ცია მართვის საკავშირო ორგანოების ხელში. ჰოლანდიაში ადგ-
ილი აქვს ფინანსური რესურსების ძლიერ ცენტრალიზაციას
ცენტრალური მთავრობის ხელში (რაც აიხსნება მსხვილი რე-
გიონული პრობლემების გადაწყვეტის რეალიზაციის აუცილე-
ბლობით). ხოლო გერმანიაში მნიშვნელოვან როლს საქმიანობის
ყველა სფეროში ასრულებს მიწები, რომლებიც ქვეყნის კონსტი-
ტუციით ფლობენ დამოუკიდებლობას სოციალურ-ეკონომიკური
ხასიათის თითქმის ყველა საკითხის გადაწყვეტისას. ამგვარად,
ამ შემთხვევაში საუბარი მიმდინარეობს არა იმაზე, თუ რომელი
სისტემაა უფრო ეფექტიანი. მთავარია ტერიტორიული განვი-
თარების რეგულირებაში საქმიანობის სისტემური ორგანიზაცია.
მართვის დაბალანსებული, კარგად ფუნქციონირებადი მექანიზმი
წარმოადგენს რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგ-
ულირების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბაზრო ელემენტს.

ჩამორჩენილი რეგიონების სანაცია და მათი დეპრესიულობის
დაძლევა.

რეგიონული ეკონომიკის სანაცია გულისხმობს ეკონომიკური,
სოციალური და პოლიტიკური ღონისძიებების კომპლექსური
გამოყენებით კრიზისული მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და
შედეგების აღმოფხვრასა და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდ-
ისათვის საჭირო პირობების ფორმირებას.

მსოფლიოში ცნობილია რეგიონების ეკონომიკის სანაციის სტანდარტული წესები.¹

– სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაციის უზრუნველყოფი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წანამძღვრების შექმნა;

– შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის ახალი პროფესიული ორიენტაცია და კვალიფიკაციის ამაღლება, ამით სამუშაო ძალის ზარისხის გაუმჯობესება;

– რესტრუქტურისაცია, ანუ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ტრანსფორმაცია, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მეწარმეობის წახალისება პრობლემურ რეგიონებში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მცირე და საშუალო საწარმოების წახალისებას, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან ინოვაციური კონკურენციის საფუძველზე, რითაც ხელს უწყობენ ახალი ტექნოლოგიების გავრცელებასა და რეგიონების ეკონომიკის რესტრუქტურისაციას, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სუსტად განვითარებულ, დეპრესიულ რეგიონებში და რაიონებში საწარმოთა გადაადგილების წახალისება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და რეგიონებიდან მოსახლეობის გაუმართლებელი მიგრაციის აღმოფხვრას.

რეგიონების სპეციალიზაციის შეცვლა ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. რეგიონებში ეკონომიკის სანაციამ, მისმა რესტრუქტურისაციამ და სამუშაო ძალის გადამზადებამ მიზნად უნდა დაისახოს წარმოების იმ სფეროებში სპეციალიზაცია, რომლებშიც რეგიონებს ქვეყნის შიგა და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე

¹ Региональные проблемы переходной экономики. (под. ред. проф. В. Алиева) М. 2002 с. 383.

ტენდენციების გათვალისწინებით შეფარდებითი უპირატესობა გააჩნიათ.

რეგიონებს შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებას. მიზანშეწონილია რეგიონებში საწარმოო-ტექნოლოგიური ციკლით ურთიერთდაკავშირებული წარმოების განვითარების წახალისება.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს კაპიტალის, უახლესი ტექნოლოგიებისა და მართვის პროგრესიული მეთოდების გავრცელებას.

მეწარმეობის წახალისების მიზნით საგადასახადო შეღავათების, ინვესტიციური გრანტებისა და შეღავათიანი სესხების გამოყენება და ა.შ.

8. რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირება

რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების უცხოური გამოცდილების გაცნობა-შესწავლას, ვფიქრობთ, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრობლემების ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება-განხორციელებისათვის, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესის დაჩქარებისა და ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული რეგიონების ჭრილში სტაბილიზაციისა და გამოცოცხლების მიღწევის თვალსაზრისით. უცხოური გამოცდილება დაგვეხმარება საფუძვლიანად გავერკვეთ აღნიშნული მიმართებით სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებში, წარმატებით გამოვიყენოთ მსოფლიო პრაქტიკის მიღწევები ჩვენს პირობებთან მისადაგებით.

რეგიონული ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდებოდეს. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ რეგიონული პროცესების განვითარებაში სახელმწიფოს, როგორც რეგულატორის როლის მინიმიზაცია ხშირ შემთხვევაში რეგიონების წინააღმდეგობრივად და არათანაბრად განვითარებას განაპირობებს, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება გარკვეული პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველიც გახდეს.¹

ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და მთლიანობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში მიმდინარე პროცესების სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან დაკავშირებით გამოიყოფა ორი ძირითადი მიმართულება:² ეტატიზმი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობების პრო-

¹ К. Баранова - Бюджетный федерализм и местное самоуправление в Германии. М., „Дело и сервис“, 2000, с. 199.

² Российский экономический журнал, №1, 2001 г., с. 105.

ცესებსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ითვალისწინებს და ანტიეკატატიზმი, რომელიც ცნობილია ლიბერალური მიდგომით და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოს ჩარევის მინიმალიზაციას ემხრობა.

პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ნეოკლასიკურმა მიდგომამ არ გაამართლა. რეგიონების განვითარებებს შორის არსებული დისპროპორციების დაძლევას საბაზრო „უხილავი ხელი“ ვერ უზრუნველყოფს, შედეგად კი წარმოიშვა ამ პროცესებში სახელმწიფოს „ხილული ხელის“ მონაწილეობის აუცილებლობა.

გ. კამერონმა გამოყო სამი ძირითადი მიმართულება:

1. ნეინტერვენციონალისტები. რომლებიც უგულველყოფდნენ სახელმწიფოს როლს რეგიონულ განვითარებაზე.
2. „ადაპტორები“, რომლებიც აყენებდნენ საკითხს სტიქიურად მოქმედ საბაზრო ძალებზე ზემოქმედების შერბილების, რეგიონული განვითარების პროცესში სამუშაო ძალის მიგრაციისა და ინვესტიციების სტიმულირების თაობაზე.
3. „რადიკალური გარდამქმნელები“, რომლებიც მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს რეგულირების პოლიტიკის აქტივიზაციას.

„ადაპტირების“ იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს რეგულირების არსი და მიზანი უნდა გამოიხატოს რეგიონებში ბუნებრივად მიმდინარე პროცესების დაჩქარებაში, ანუ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს კატალიზატორის როლი და რეგიონების განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე კერძო კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით, გაატაროს ეფექტიანი პოლიტიკა. მან ხელი უნდა შეუწყოს შედარებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ინვესტიციური პოლიტიკის წახალისებას.

რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების თეორიის ფუძემდებლად ითვლებიან ს. დენისონი და ა. ლიოში.

სწორედ ამ ორმა მეცნიერმა ჩაუყარა საფუძველი ზემოთ

აღნიშნულ მიდგომებს. კერძოდ, ა. ლიოში მხარს უჭერდა სახელმწიფოს ზომიერად ჩარევას რეგიონული განვითარების პროცესებში, ანუ აძლიერებდა „ადაპტირების“ თეორიას. ხოლო ს. დენისონი კი იყო ე.წ. „რადიკალური გარდაქმნის“ თეორიის ფუძემდებელი. იგი დეპრესიული რეგიონების რეგულირების საკითხს განიხილავდა. მეორე მსოფლიო ომამდე დიდ ბრიტანეთში არსებულ პრობლემებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იგი ანიჭებდა სამრეწველო ინვესტიციების გეოგრაფიულ განვითარებაზე ზეგავლენის მოთხოვნას, რაშიც უდავოდ წამყვანი როლი სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნოდა.

ა. ლიოში კი რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების უფრო ფართო სპექტრის მექანიზმს განიხილავდა. ამასთან რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბაზრო თვითრეგულირების ინსტიტუტებს.

რეგიონების განვითარების სახელმწიფო რეგულირების საკითხებში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა აგრეთვე ე. ჰუვერმა. ის სახელმწიფო რეგულირების ობიექტად განიხილავდა როგორც კერძო საწარმოების ოპტიმალური განვითარების პრობლემებს, ასევე ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულირების საკითხებს. ე. ჰუვერი მიუთითებდა რა გრძელვადიან პერსპექტივაზე სახელმწიფო რეგულირების კონკრეტულ ღონისძიებების მნიშვნელობაზე, ის პირველ რიგში აყენებდა საკითხს მოკლევადიანი ანტიციკლური ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ.

საქართველოს განვითარების თანამედროვე ტენდენციების ანალიზიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით რეგიონული პოლიტიკის სახელმწიფოებრივი მიდგომების ჩამოყალიბებისას აქცენტი შეიძლება ალბებულ იქნეს „ადაპტირების“ თეორიაზე.

„ინეიტერვენციონალისტთა“ მიდგომის ძირითადი ნაკლოვანებაა ის, რომ მთლიანობაში ქვეყნის პოტენციული არასაკმარისად იქნება გამოყენებული.

ვინაიდან განუვითარებელი რეგიონების საბაზრო „თვითღინებაზე მიშვება“ ვერ შეუწყობს ხელს იმ რესურსების გამოყენებას, რომელიც ამა თუ იმ რეგიონს მოეპოვება.

რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების უცხოური გამოცდილების გაცნობისას წარმოჩინდა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი საინტერესო პარადოქსი – მთლიანად ცალკეულ ქვეყნებს შორის დიდი განსხვავებები რალაცხაირად შეხამებულია მათი რეგიონების გარკვეული ტიპების მნიშვნელოვან ერთიანობას. ამიტომაც თვალშისაცემია სხვადასხვა სახელმწიფოების მხრივ თავიანთი შიგა რეგიონული პრობლემებისადმი მიდგომის მრავალი საერთო ნიშანი.

ქვეყნის მეურნეობრიობის სივრცობრივ ორგანიზაციაზე ზრუნვა ნებისმიერი სახელმწიფოს აუცილებელი ფუნქციაა. რეგიონული რეგულირების განხორციელებაში ამა თუ იმ დოზით ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მონაწილეობს, რამეთუ მათი მოღვაწეობა ასე თუ ისე უკავშირდება ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიას. ამჟამად სახელმწიფოს სპეციალიზებულ რეგიონულად ორიენტირებულ მოღვაწეობას, მიღებული წესის შესაბამისად, რეგიონულ პოლიტიკას უწოდებენ. რეგიონული პოლიტიკის მთავარ ობიექტს წარმოადგენს რეგიონული (სივრცობრივი) უთანაბრობა – განსხვავება განვითარების დონეებში, მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლებში, მეწარმეობის პოტენციალში და სხვა. ამიტომაც სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის უმაღლესი მიზანი და ამოცანაა მინიმუმამდე უზრუნველყოს ასეთ უთანაბრობათა დაყვანა.

რეგიონული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ აღნიშნული პრობლემა მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს: 1. სახელმწიფო მოწყობასა და რეგიონების როლს; 2. რეგულირების ინსტიტუტებს; 3. მათ სამართლებრივ საფუძვლებს; 4. ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებს; 5. განსაკუთრებულ რეგიონულ ფორმებს.

რეგიონული განვითარების რეგულირება ხერხდება და ხორ-

ციელდება ქვეყნების განსხვავებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პირობებში (ფედერაციულის, უნიტარულის, მონარქიულის).

თანამედროვე სახელმწიფოების ევოლუციის უპირატეს ტენდენციას წარმოადგენს ხელისუფლების თანდათანობითი დეცენტრალიზაცია და სულ უფრო მეტი სახელმწიფო ფუნქციების ცენტრიდან რეგიონებისათვის გადაცემა. ამ კურსის იდეურ საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიზაცია და ხელისუფლებასა და ხალხს შორის დაშორების მანძილის შემცირება. ამასთან ყველა ქვეყნის რეგიონებში მოქმედებენ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლობები (ფედერალური სამსახურები), რომლებიც არ ემორჩილებიან რეგიონულ ადმინისტრაციას. რეგიონული განვითარების რეგულირების ფუნქციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება მუნიციპალური (ადგილობრივი) თვითმმართველობის მეშვეობით, რომლებიც პირდაპირ თანამშრომლობენ რეგიონების სახელმწიფო ხელისუფლებასთან და ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ქვეყნების ტერიტორიულ მოწყობაში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავიათ მსხვილ რეგიონებს (როგორც რუსეთის ეკონომიკური რაიონებია), რომლებიც, თავის მხრივ, თავიანთ შემადგენლობაში აერთიანებენ პირველი რანგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს (რომელთაც არა აქვთ სრული სახელმწიფო მმართველობის ფუნქცია). აღნიშნული სახის მაკრორეგიონები იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით, ეკონომიკური სივრცის მაკროსტრუქტურის სრულყოფისათვის. როგორც ზოგიერთი სწავლული მკვლევარი აღნიშნავს, საფრანგეთის გამოცდილებამ (სადაც 22 რეგიონია), რომლის რეგიონებსაც სრული სახელმწიფოებრივი სტატუსი აქვთ მინიჭებული და რომლებიც ტრანსფორმირებულ იქნენ უწინდელი ვიწრო ფუნქციონალური „დასაგეგმავი რეგიონებიდან“, დაადასტურა ეკონომიკური დარაიონების საფუძველზე გამსხვილებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განხორციელების პრაქ-

ტიკული შესაძლებლობები.

არც ერთ ქვეყანაში არ არის რომელიმე ერთი ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს მონოპოლია, რომელსაც ეკისრებოდა კასუხისმგებლობა რეგიონული განვითარების რეგულირებისათვის. სახელმწიფოს ეს ფუნქციები განაწილებულია სახელმწიფოს რამდენიმე ცენტრალურ უწყებას შორის, თუმცა ამასთან გამოიყოფა ხოლმე წამყვანი (ან მაკოორდინირებელი) ორგანო (სამინისტრო, კომიტეტი და სხვა). სახელმწიფოში ხელისუფლების ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ორგანოებს ემატებათ საკონსულტაციო, საპროექტო, ექსპერტთა, მკვლევართა ორგანიზაციები.

ქვეყნების რეგიონულ განვითარებაში სახელმწიფო ჩარევა რეგლამენტირებულია კონსტიტუციით, აგრეთვე საეკონომიკური კანონებით, რომელთა მეშვეობითაც არის გამიჯნული უფლებამოსილება ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მმართველობას შორის.

რაც შეეხება რეგიონული განვითარების ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებს, უცხოეთის ქვეყნებში ისინი სამ ძირითად ჯგუფში არიან გაერთიანებული: 1. დაგეგმვა და პროგნოზირება; 2. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა; 3. სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტები.

შემუშავებული გეგმები თავიანთ საფუძვლებში მხოლოდ ინდიკატიური ხასიათის არიან (რეკომენდირებული ხასიათის). მაგრამ ამასთან გეგმების ის ნაწილები, რომლებიც სახელმწიფო სექტორს ეხება და განსაზღვრავენ ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ობიექტების განლაგებას, ბუნების დაცვასა და სხვას, აუცილებელ ხასიათს ატარებენ.

ამრიგად, გეგმა კონსენსუსის ფორმას ატარებს, რადგანაც ის არსებითად მრავალი ეკონომიკური და სოციალური სუბიექტის ინტერესების შეთანხმების შედეგს წარმოადგენს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ყველაზე უფრო მოცულობითი ხასიათის საშუალებას საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა წარმოადგენს. როგორც

წესი, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემას სამი დონე აქვს: ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი. საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ცალკეული დონეების ბიუჯეტების ავტონომიურობის შეხამება ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებთან.

საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო ფედერალიზმისათვის ძირითადად დამახასიათებელია ორი ტიპი: დეცენტრალიზებული და კოოპერაციული ფედერალიზმი. კოოპერაციული საბიუჯეტო ფედერალიზმი იმით განსხვავდება დეცენტრალიზებულისაგან, რომ აქ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება უფრო მეტად მონაწილეობს საგადასახადო შემოსავლების განაწილებაში.

ქვეყნები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საბიუჯეტო დონეებს შორის შემოსავლების განაწილების ხასიათით. შეინიშნება, რომ დიდი ქვეყნები საშუალო და პატარა ქვეყნებთან შედარებით პრაქტიკაში იყენებენ შემოსავლების ნაკლები დონით ცენტრალიზაციის წესს.

საბიუჯეტო დისბალანსის რეგულირების მთავარ მექანიზმს წარმოადგენს ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტები. ასეთი ტრანსფერტების ორი ძირითადი სახეა გავრცელებული: ვერტიკალური (ზემდგომის ბიუჯეტიდან) და ჰორიზონტალური (თანაბარი დონის ბიუჯეტებს შორის). საბიუჯეტო ტრანსფერტების გამოყოფის მიზანია ცალკეულ რეგიონებს შორის საბიუჯეტო უზრუნველყოფის საქმეში არსებულ განსხვავებათა შერბილება. რიგ ქვეყნებში ფინანსური შესაძლებლობების გამოთანაბრების საქმეში დიდ როლს ასრულებენ ჰორიზონტალური ტრანსფერტები, რომელთა წყაროსაც დონორი რეგიონების სახსრები წარმოადგენენ.

შემოსავლების განსაკუთრებული წყაროებიდან მიღებული სახსრების რაციონალურად გამოსაყენებლად, ან განსაკუთრებულ საჭიროებათა დაფინანსების მიზნით რიგ ქვეყნებში ქმნიან სპეციალურ ფინანსურ ფონდებს. ამ მხრივ სანიმუშოა ცნობილი ალიასკის მუდმივი ფონდი. მისი ძირითადი მიზანია მომავალში უზრუნველყოს გარანტირებული შემოსავლების მიღება (ამჟამად)

ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებლები-საგან. ამ ფონდში ირიცხება შემოსავლების 25% (საბადოთი სარგებლობის უფლებისათვის) და აგრეთვე სხვა გადასახადე-პიდან შტატში შემოსული თანხებიდან (აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით). აღნიშნულ შენა-ტანებს კიდევ ემატება სხვა დამატებითი შემოსავლები და თვით ფონდის შემოსავლები. ფონდის განკარგულებაში არსებული სახ-სრების რეინვესტირება ხდება საიმედო პროექტებში და ფასიან ქალაქებში.

უნივერსალობისა და შესაძლებლობათა სივრცის ხარისხის მიხედვით რეგიონული რეგულირების ინსტრუმენტებს ორ ჯგუფად ყოფენ: 1. საერთო ეკონომიკური რეგულატორები (ანუ მაკროინსტრუმენტები), რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ გარკვეული ტერიტორიის სუბიექტებზე; 2. სამისამართო ზემოქმედების რეგულატორები (ანუ მიკროინსტრუმენტები).

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მაკროინსტრუმენტები ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით წარმოადგენენ რეგიონების მიხედვით დიფერენციალურ ზოგიერთ პარამეტრს (დაბეგვრის, დაკრედიტების, საინვესტიციო, სოციალურ და სხვა მიმართებით).

მიკროინსტრუმენტები გამოიყენებიან სამეურნეო სუბიექტებზე უშუალო ზემოქმედებისათვის (კადრების მომზადება, სუბსიდიების მიცემა, მიზნობრივი კრედიტის გამოყოფა და სხვა).

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ინსტრუმენტების გარდა უცხოეთის ქვეყნებში სახელმწიფოს მხრივ ადგილი აქვს ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებების გამოყენებასაც. მაგალითად, გადატვირთულ ქალაქებში ახალი საწარმოს აგების ან ძველის გაფართოების აკრძალვა, ან პირიქით, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში საწარმოთა დისლოკაციის შეცვლა.

მთელ რიგ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირების, კრიზისული სიტუაციის დაძლევისა და სპეციფიური ლოკალური პირობების ეფექტიანად გამოყენების მიზნით

შექმნილია რეგიონების ორიგინალური სტილი, სადაც გამოიყენება ეკონომიკური მოღვაწეობის რეგულირების განსაკუთრებული ფორმები და მექანიზმები. ამ მხრივ პრაქტიკულად უფრო მეტად არის გავრცელებული ე. წ. პრობლემური რეგიონები, სპეციალური ზონები (მათ შორის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მეწარმეობისა და ტექნიკურ-დანერგვითი). პრობლემური რეგიონის სახელმწიფოებრივი რეგულირების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მდინარე ტენესის სივრცის მართვა. მას შემდეგ, რაც შეიქმნა აღნიშნული მდინარის აუზის სამართავი ადმინისტრაცია (1933 წ.), თანმიმდევრულად ხორციელდება აღნიშნული რეგიონის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც სულ 11 შტატს მოიცავს. პრობლემური რეგიონები გვხვდება ნიდერლანდებში, გერმანიაში (რურის რეგიონი, აღმოსავლეთის ახალი მიწები), ავსტრალიაში და ა.შ.

ფედერაციული სახელმწიფოებისათვის, პროფესორ ჰანს-ვოლფგანგ არნდტის გამოთქმით, საჭიროა „ეფექტური ფედერალიზმის“ განვითარება, რომელიც გამორიცხავს სახსრების გადაქაჩვას რამდენიმე მდიდარი რეგიონიდან მრავალრიცხოვან ღარიბ რეგიონებში, რასაც ადგილი აქვს გერმანიაში. ეფექტური ფედერალიზმი გულისხმობს რეგიონის თვითდაფინანსებას, ე. ი. სახელმწიფო წყობას, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ღონეზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო მართვის ცნობილმა სპეციალისტმა პროფესორმა ჰერმან ჰილმა შემოიტანა „რეგიონების კონკურენციისა“ და „ადგილობრივი ადმინისტრაციების კონკურენციის“ ცნებები¹.

XX საუკუნეში განვითარებული ინტეგრაციული პროცესების უმნიშვნელოვანესი მიღწევა იყო ევროკავშირის წარმოშობა და განვითარება. ამ ევოლუციის შესწავლა ძალიან სასარგებლოა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გაგებისათვის და რეგიონული განვითარების რეგულირებისათვის. ევროკავშირის

¹ Российский экономический журнал, №2, 2001 г., с. 108.

გამოცდილება ფასეულია ქვეყნების (რეგიონების) ეკონომიკური ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონების დაახლოების შეხამების თვალსაზრისით. სასარგებლოა ევროკავშირის ერთიანი რეგიონული პოლიტიკა იმ თვალთახედვითაც, თუ როგორ ხორციელდება მის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ეროვნულ პოლიტიკასთან პარმონიზაცია. ევროკავშირი შეგნებულად მიდიოდა და მიდის მისი შემადგენლობის გაფართოებაზე (ეტაპობრივად 6-დან ავიდა 15 ქვეყანამდე), იმაზე გათვლით, რომ მომავალში ინტეგრაციული ეფექტი გადაფარავს მის რიგებში ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შემოერთების ნეგატიურ შედეგებს. ევროკავშირს კვლავ კურსი აქვს აღებული შემდგომი გაფართოებისაკენ. უახლოეს ხანში ევროკავშირის წევრები გახდებიან აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები.

ევროკავშირის ზეეროვნული პოლიტიკის ორგანიზაციისა და რეალიზაციის საფუძველში სამი პრინციპი დევს, რომელიც ძირითადადში ასახავს ევროპული ინტეგრაციის იდეოლოგიას – პარტნიორობა, სუბსიდირება და ურთიერთშევესება. რეგიონულ პოლიტიკასთან მიმართებაში პარტნიორობა ნიშნავს ევროკავშირს, ეროვნულ მთავრობებს, რეგიონულსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის მოქმედებათა მჭიდრო კოორდინაციას. სუბსიდირება, როგორც ფედერალიზმის ერთ-ერთი საფუძველი, ნიშნავს იმას, რომ პრობლემები უნდა გადაწყვედეს იქ, სადაც ისინი აღმოცენდებიან, ხოლო ზევით გადაეცემათ მხოლოდ ის უფლებამოსილებანი, რომლებიც ქვევით ვერ შესრულდება ან ნაკლებ ეფექტიანად განხორციელდება. რაც შეეხება ურთიერთშევესების პრინციპს, ის გამოიყენება რეგიონის მხარდასაჭერად რესურსების აკუმულირებისას. რესურსები აქ ყალიბდება ერთმანეთს დამატებული წყაროების შეკრებით: ევროკავშირისა და ეროვნული (საზოგადოებრივის და კერძოს) ინვესტიციების შერწყმით.

საერთო ევროპული რეგიონული პოლიტიკის მთავარ ფინანს-

სურ ინსტრუმენტს წარმოადგენს რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი. რეგიონული მიმართულებები აქვს აგრეთვე ორ სხვა ფონდსაც – ევროპის სოციალურ ფონდს და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის საგარანტიო ფონდს. უფრო მოგვიანებით შეიქმნა შეკავშირების ფონდი, რომლის თანხებიც გამოიყენება ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარებისათვის.

ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ძირითად ფორმას წარმოადგენს პროგრამები ან ერთობლივი განვითარების გეგმები, აგრეთვე ევროკავშირის საინიციატივო ანუ საკუთარი პროგრამები.

ევროკავშირის მოღვაწეობაში რეგიონული მიმართულების როლი სულ უფრო იზრდება. ამას ადასტურებს ევროკავშირის ბიუჯეტში რეგიონულ განვითარებაზე გამოყოფილი სახსრების ხვედრითი წილი, რამაც შეადგინა 1988 წელს 17,5%, 1993 წელს – 21,3% და 1999 წელს – 36,0%.

ევროკავშირში არსებული სახელმწიფოთაშორისი ზოგიერთი ბარიერის ლიკვიდაციამ, ნაწილი სახელმწიფო ფუნქციების ეროვნულიდან ზეეროვნულ დონეზე გადაცემამ, ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებამ – ხელი შეუწყო რეგიონების როლის გაძლიერებას ევროკავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების პირობებში ევროკავშირის ძირითად იდეოლოგიურ პრინციპს მაინც წარმოადგენს ყველა ქვეყნის კულტურულ-ეროვნული მემკვიდრეობის, ევროპის ყველა ქვეყნის და ხალხის მრავალსახეობათა შენარჩუნება.

სხვა ქვეყნების გამოცდილებას, სადაც სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს რეგიონული პრობლემების გადაწყვეტაში და ამისათვის იყენებს სხვადასხვა სახის საშუალებებს, მიყვევართ მოსაზრებამდე – საქართველოს შეუძლია თუ არა გამოიყენოს რაიმე ამ მხრივ უცხოური გამოცდილების არსენალში დაგროვილი შესაძლებლობებიდან. რასაკვირველია, პირდაპირი და უბრალო პასუხი ამ შემთხვევაში გამორიცხულია, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს მსოფლიო გამოცდილების მრავალსახეობასთან,

ღონისძიებათა მრავალფეროვნებასთან. რეგიონული განვითარების რაიმე დომინირებადი მოდელი, როგორც ასეთი, პრაქტიკულად არ შეინიშნება, ხოლო ქვეყნებს შორის ამ სფეროში განსხვავებები საკმაოდ თვალშისაცემია. ამიტომ უფრო მიზანშეწონილია რეგიონული განვითარების ძირითადი მიმართულებების მიხედვით გამოვყოთ ლიდერი ქვეყნები. ასეთებს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნებიან აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრალია, ჩინეთი, რომლებმაც რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მდიდარი გამოცდილება დააგროვეს.

საქართველო, მართალია პატარა ქვეყანაა, მაგრამ უნიკალურია თავისი რეგიონული ნაირსახეობით. ამიტომ ჩვენს პირობებში გამორიცხულია რომელიმე ერთი ქვეყნის გამოცდილების ზუსტი კოპირების განხორციელების მიზანშეწონილობა.

ამასთან, საესებით შესაძლებელია, მრავალი ქვეყნის მაგალითზე მოიძებნოს რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის ჩვენთვის საინტერესო და პერსპექტიული მიდგომები.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძირითად საშუალებებად გამოიყენება: 1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული და რეგიონული პროგნოზირება და ანალიზი; 2. რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური სფეროს ობიექტების განვითარებაში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობა; 3. სახელმწიფო შეკვეთების (შესყიდვების) განთავსება; 4. რეგიონებისათვის ორგანიზაციული, სამართლებრივი და საინფორმაციო მხარდაჭერა საქმიანობის ისეთ სფეროებში, რომლებშიც რეგიონული ხელისუფლების კომპეტენცია და შესაძლებლობები არასაკმარისი ან განსაზღვრულია; 5. რეგულირების ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება; 6. რეგიონული განვითარების ფედერალური პროგრამები; 7. განსაკუთრებული ეკონომიკური სტატუსის მქონე ტერიტორიების ჩამოყალიბება.

რეგიონული განვითარების რეგულირების ეფექტიანობის მისაღწევად გამოიკვეთა ძირითადად ორი მიმართულება: 1. სისტემურობის გაძლიერება და 2. სისტემის მნიშვნელოვანი ბლოკების

სრულყოფა.

სამართლებრივ სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია სპეციალური კანონის მიღება ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო რეგულირების საფუძვლების შესახებ ან რეგიონული პოლიტიკის საფუძვლების შესახებ.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებელი საშუალებების შედეგიანობის გაძლიერება შეიძლება მიღწეული იქნას შემდეგი მიმართულების ღონისძიებებით: ა) რეგიონებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა უმეტესად მიმართული უნდა იქნას რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისაკენ და შედარებით ნაკლები ღირებულებით – პასიური ფინანსური დახმარებისაკენ. ასეთ ორიენტაციას შეუძლია უზრუნველყოს რეგიონების საბიუჯეტო დამოუკიდებლობის გაუმჯობესება, შეამციროს ტრანსფერტის მიმღები რეგიონების რაოდენობა; ბ) რეგიონული განვითარების სამართლებრივი სახელმწიფო რეგულირება ინვესტიციების, დოტაციებისა და სუბსიდიების გამოყოფის სახით ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კონკრეტულ ობიექტებზე. ამასთან აღნიშნულ მიმართულებათა ფინანსირების გამოყოფა უნდა განხორციელდეს ერთობლივ საფუძველზე, ანუ ცენტრის, ფედერაციის სუბიექტისა და მუნიციპალიტეტის მიერ; როგორც ზემოთაღნიშნა, საჭიროა არსებითად შემცირდეს რეგიონული განვითარების ფედერაციული პროგრამების რაოდენობა, ძირითადი ყურადღებისა და რესურსების საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონთაშორისი მნიშვნელობის პროგრამებზე თავმოყრით და მათი რეალიზაციის ვადების შემცირების მიღწევით; გ) რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული მაკროეკონომიკური რეგულატორებისა და მარეგულირებლების გამოყენების გაფართოება (შელავათიანი დაბეგვრა, დაკრედიტება და სხვა). მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ დაწესებული იქნება ქმედითი კონტროლი ეკონომიკური შეღავათების სწორ გამოყენებაზე (არა სხვა რეგიონების საზიანოდ, რომლებიც სტანდარტულ პირობებში მუშაობენ).

მითითებული მიმართულებები სავსებით შეესაბამებიან რეგიონული განვითარების რეგულირების მსოფლიო სტანდარტებს. რეგულირების სისტემის პროგრესული ევოლუცია და რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამდენად აუცილებლად გასათვალისწინებელ-განსახორციელებელიც.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ამჟამინდელი ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა (მხედველობაშია ადმინისტრაციული რაიონები და ავტონომიური წარმონაქმნები) საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას დაემატა სამხარეო დაყოფის ინსტიტუტი, რომლებიც ფაქტიურად ფედერაციის სუბიექტებად გადაიქცნენ (თუმცა ეს ჯერ კონსტიტუციურად დაკანონებული არ არის). მიუხედავად აღნიშნულისა, სახეზე გვაქვს დე-ფაქტო ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რომელშიც გაერთიანებული და თავმოყრილია: პოლიტიკა ხელისუფლების სტრუქტურების სახით ავტონომიების, მხარეების და რაიონების დონეზე; ეკონომიკა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას და საკუთრების ყველა ფორმის ბაზაზე არსებულ მეურნეობრიობის აგენტებს (იხ. რუკა 1).

9. საქართველო და მკროკავშირის რეგიონული განვითარების გამოცდილება

უცხოური გამოცდილების ანალიზისა და განზოგადოების საფუძველზე შეიძლება შემდეგი ძირითადი დასკვნების გამოტანა: 1. ევროპული ეკონომიკური სივრცის ევოლუციის ბევრი კანონზომიერება აუცილებლივ გავრცელდება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში; 2. ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო აქტიურ როლს ასრულებს რეგიონული პრობლემების გადაწყვეტაში და ამისათვის ფართო სპექტრის ინსტრუმენტარიუმს იყენებს.

ბუნებრივია, ასეთი დასკვნის შემდეგ ლოგიკურად იბადება კითხვა იმის შესახებ, უცხოური გამოცდილებიდან საქართველოს კონკრეტულად რისი და როგორი ფორმებით შეუძლია გამოყენება?

ამ კითხვაზე ჩვენ რომ ველოდოთ უბრალო პასუხს, ალბათ, ამის იმედი არ უნდა ვიქონიოთ თუნდაც იმიტომ, რომ ამ მხრივ მსოფლიო გამოცდილებას ახასიათებს მრავალსახეობანი და არაერთგვაროვნობა. მსოფლიო გამოცდილების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ამჟამინდელ მსოფლიო პრაქტიკაში არ ჩანს რეგიონული განვითარების რომელიმე მკვეთრად გამოხატული, დომინირებული მოდელი. უფრო მეტიც, სწორედ ამ სფეროშია ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები მკვეთრი და თვალშისაცემი, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია რეგიონული მრავალსახეობებითა და მრავალფეროვნებით.

რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა მიხედვით შეიძლება გამოკვეთილად გამოვეყოთ ამ მხრივ ლიდერი ქვეყნები. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ავსტრალია ფლობენ მსხვილი რეგიონული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შესანიშნავ და საინტერესო გამოცდილებას (მათ შორის ახალი რეგიონების სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით), გერმანია კოოპერაციული ფედერალიზმისა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის განვითარებაში ახდენს სერი-

ოზული მიღწევების დემონსტრირებას (მაგალითად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფედერალური მიწების გაერთიანება); ნიდერლანდებისათვის დამახასიათებელია სივრცობრივი დაგეგმვის ძლიერი ტრადიციები; საფრანგეთმა კი მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეროვნული ეკონომიკის დეცენტრალიზაციის საქმეში; ესპანეთი გამოირჩევა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის გარდაქმნაში; ჩინეთისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის პრაქტიკა და გამოცდილება.

საქართველო, როგორც ქვეყანა, მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა, უნიკალურია თავისი ბუნებრივ-კლიმატური და რეგიონული კონტრასტული მრავალსახეობით. ამიტომ უპრიანია არავითარ შემთხვევაში არ შევეცადოთ რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა მიხედვით, რომელიმე ერთი ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილების ზუსტ კოპირებას. პირიქით, უნდა ვეცადოთ მსოფლიო პრაქტიკის საინტერესო გამოცდილების საფუძველზე სხვადასხვა ქვეყნებში მოვებნოთ (მივაგნოთ) მნიშვნელოვანი რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის ჩვენთვის საინტერესო და პრაქტიკულად გამოსაყენებელი მიდგომები. ყოველ შემთხვევაში, გაუთავებელი და გაუმართლებელი მტკიცებანი ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობის, განსაკუთრებულობის, განუმეორებლობის შესახებ არ უნდა გახდეს და არ უნდა იქნას მიჩნეული საზღვარგარეთული გამოცდილების პროდუქტიული სელექციისათვის გადაულახავ ბარიერად. უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში 90-იან წლებში განხორციელებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ ხელი შეუწყო საქართველოს ინსტიტუციონალურ-სამართლებრივ დაახლოებას ზემოთ მითითებულ ქვეყნებთან და არა მხოლოდ მათთან. საქართველოს დღეს მრავალი მაღალგანვითარებული მეგობარი ქვეყანა ჰყავს, რომლებიც მზად არიან გვერდში ამოვიდგნენ და ყოველმხრივი დახმარება გავვიწიონ მათი წარმატებული გამოცდილების ჩვენთან გამოსაყენებლად (და არა მხოლოდ აღნიშნულ საქმეში დასახმარებლად). ჩვენი ქვეყნის მითითებული დაახლოება

უცხოეთის ქვეყნებთან დამახასიათებელია აგრეთვე ჩვენი რეგიონული პოლიტიკის მიზნებისათვის, პრინციპებისათვის, ინსტრუმენტებისათვის და რეგიონულ განვითარებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ფორმებისთვისაც, თუმცა ჯერჯერობით ძალიან მოკრძალებულად და არასრულყოფილი მასშტაბებით.

საქართველოში რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა ძირითადად ასახავს გარდამავალი პერიოდის ძირითად თავისებურებებს; სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების დაუსრულებლობას; აგრეთვე გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულ ეკონომიკურ დაცემა-დაქვეითებას მისივე უმძიმესი შედეგებით.

ზემოთ გადმოცემული ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ არსებითი ხასიათის პრობლემები, როგორც საქართველოში რეგიონული განვითარების რეგულირებისა და რეგიონული პოლიტიკის სისტემურ ორგანიზაციაში, ასევე ფუნქციონირებადი სისტემის მნიშვნელოვანი ბლოკების შემადგენლობაში (მიზნობრივ, ნორმატიულ-სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ, ინსტრუმენტალურ და ა. შ.). აქედან გამომდინარეობს რეგულირების ქმედითობისა და ეფექტიანობის გაძლიერების ორი ძირითადი მიმართულება (რაზედაც სხვაგანაც გვქონდა აღნიშნული): 1. სისტემურობის (კომპლექსურობის) განმტკიცება-გამაგრება; 2. სისტემის უმნიშვნელოვანესი ბლოკების სრულყოფა.

პრაქტიკულად ქვეყნის რეგიონულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ აქტიურად უნდა შეასრულოს სახელმწიფოს მარეგულირებელი სისტემის მაინტეგრირებელი ბირთვის როლი.

ქვეყანაში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების პროცესი ევოლუციური უნდა იყოს, ანუ მან უნდა უზრუნველყოს: 1. განსახორციელებელი პოლიტიკის თანმიმდევრობითობა; 2. პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირება; 3. თანმიმდევრული წინსვლა ტერიტორიული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიის მიზნების განხორციელებაში.

ქვეყანაში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გააქტიურებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციის შედეგად, ეკონომიკური ზრდის განახლებით, ფედერალური და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების მოღვაწეობაში სტრატეგიული პირობითების შეგრძნების გაძლიერების შედეგად. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო გარემოს შესაქმნისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების სრულყოფის ფონზე, უფრო მასშტაბურად გაფართოვდება განვითარებული ქვეყნების რეგიონული რეგულირებისა და რეგიონული პოლიტიკის პოზიტიური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები და გეოგრაფია.

უახლოეს წლებში, ალბათ, არ უნდა ველოდოთ ჩვენი ქვეყნის რეგიონალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში ხარისხობრივად დიდი ახალი ამოცანებისა და მიზნების წარმოშობას (რასაკვირველია, იმ განსხვავებით, თუ ახლად არ მივიჩნევთ და არ ჩავთვლით უკვე კარგად დავიწყებულ ძველს), რადგანაც ადრე დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში ადგილი აქვს ძალიან შენელებულ რეალიზაციას.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამის მექანიზმების სრულყოფა, ასევე საჭიროების მიხედვით მარეგულირებელი მექანიზმების კორექტირება. ამ მხრივ, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, უპირველეს ყურადღებას იმსახურებს სამართლებრივი სფერო. განსაკუთრებით აქტუალურად მიგვაჩინია კანონის მიღების საჭიროება ტერიტორიული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების საფუძვლების შესახებ ან რეგიონული პოლიტიკის საფუძვლების შესახებ. რეგიონული პოლიტიკის საკითხებზე ცალკეული კანონების ან კანონთა პაკეტის მომზადება ორიენტირებული უნდა იყოს ფორმირებადი სამართლებრივი სივრცის შემუშავებულ სქემაზე (სტრუქტურაზე), რათა რაციონალური თანმიმდევრობით უზრუნველვყოთ მომავალში ასეთი სივრცის შევსება.

რეგიონული რეგულირების სფეროსა და საკითხების ორგანიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მკვეთრად განაწილდეს ფუნქციები სახელმწიფო ორგანოებს შორის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია (რიგი ქვეყნების ანალოგიურად) შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია (ან კომიტეტი) სახელმწიფო მინისტრის მეთაურობით. ეს კომისია შეასრულებს სამინისტროებისა და უწყებების წარმმართველ და მაკოორდინირებელ საქმიანობას რეგიონული რეგულირების სფეროში. აგრეთვე საჭიროა სათანადო მუშაობის განხორციელება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ვერტიკალის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად; ასევე უნდა გაძლიერდეს და განმტკიცდეს ცენტრალური ხელისუფლებისა და სამსახურების რეგიონებში საქმიანობის კოორდინაცია.

ამჟამად ბევრი მოსაზრება და წინადადებაა გამოთქმული საქართველოს მომავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ეკონომიკური დარაიონების თაობაზე. ამიტომ აქ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკურ რეგიონებს აუცილებელია მიეცეთ საკმაოდ ფართო მმართველობითი და სამართლებრივი სტატუსი. ამ მიმართებით საჭიროა ხელისუფლების მიერ შემუშავებულ იქნას გარკვეული სტრატეგია, რათა შემდგომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ხელსაყრელი პირობების მომწიფების კვალობაზე განხორციელდეს მისი ეტაპობრივი რეალიზაცია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ მნიშვნელოვან იმედებს ვამყარებთ ქვეყნის სამხარეო მოწყობაზე.

წარსული 70-წლიანი ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით, როდესაც ხშირად გაუმართლებელი ორგანიზაციული და საკადრო ღონისძიებები ხელს უშლიდა თანმიმდევრული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნას იმ სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურისა და ფუნქციების სტაბილურობა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ტერიტორიული და რეგიონული განვითარებისათვის, აგრეთვე ამ ორგანოთა ხელმძღვანელო-

ბისათვის სტაბილურობაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში რეგიონების ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენებული მექანიზმების ანალიზისას გამოიკვეთა მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. აქედან გამოვყოფთ იმ მთავარ ტენდენციებს, რომელთაც ძალუბთ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ქმედითობის გაძლიერება ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში:

1. რეგიონებისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა უმეტესწილად მიმართული უნდა იყოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე, მათი საბაზრო კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაზე და შედარებით ნაკლები ხარისხით უნდა იყოს მიმართული საბიუჯეტო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, პასიურ ფინანსურ დახმარებებზე. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ასეთი ორიენტაცია გულისხმობს რეგიონების საბიუჯეტო თვითდაკმაყოფილების გაუმჯობესებას (გადასახადების სტრუქტურის შეცვლით, სახელმწიფო ხარჯების საბიუჯეტო დონეებს შორის განაწილებით და სხვა), ფედერალური ფონდიდან ტრანსფერტის მიმღები რეგიონების რიცხოვნობის შემცირებას და სხვა.
2. რეგიონული განვითარების პირდაპირი, მისამართიანი სახელმწიფოებრივი რეგულირება ინვესტიციების, ლოტაციებისა და სხვათა სახით რეგიონების ეკონომიკის კონკრეტულ ობიექტებზე და სოციალურ სფეროზე უფრო მეტად უნდა განხორციელდეს ერთობლივ საფუძველზე (ფედერაციული ცენტრი, ფედერაციის სუბიექტი და მუნიციპალიტეტი) სახელმწიფო გარანტიების მექანიზმებთან შეთანაწყობით, მიზნობრივი დაკრედიტებით და ა. შ. მიზანშეწონილია არსებითად შემცირდეს რეგიონული განვითარების ფედერალური პროგრამების რაოდენობა და ყურადღება მეტად გამახვილდეს საერთო-სახელმწიფოებრივ და რეგიონთაშორის პროგრამებზე მათი განხორციელების ვადების შემცირების უზრუნველყოფით.

3. რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული მაკროეკონომიკური რეგულატორების უფრო ფართოდ გამოყენება (შელავათიანი დაბეგვრის წესი, შელავათიანი დაკრედიტება და სხვა). ასეთი რეგულატორების გამოყენებას აზრი აქვს ეკონომიკური შელავათების გამოყენებისადმი ქმედითი კონტროლის შექმნით და არა სხვა რეგიონების საზიანოდ, რომლებიც სტანდარტულ პირობებში საქმიანობენ. მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი ახალი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ან განსაკუთრებული ეკონომიკური სტატუსის მქონე სხვა ტერიტორიული წარმონაქმნების ჩამოყალიბება.

აქ მითითებული ტენდენციები შეესაბამებიან ევროპული გამოცდილების გაკვეთილებს და სოლიდური წვლილი აქვთ შეტანილი რეგიონული განვითარების რეგულირების საქმეში და ერთიანი ინტეგრირებული, მაღალეფექტური ეკონომიკური სივრცის ფორმირებაში. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის ღირს მათზე ყურადღების გამახვილება და ჩვენი სინამდვილისათვის მათი მისადაგებისათვის ზრუნვა.

სუბსიდირება – პრინციპია, რომელიც საფუძვლად უდევს უფლებამოსილებისა და კომპეტენციების განაწილებას ხელისუფლების პირამიდის განსხვავებულ დონეებზე მყოფ სუბიექტებს შორის. სუბსიდირების პრინციპი გულისხმობს, რომ მართვა ხორციელდება, როცა ეს შესაძლებელია, რაც შეიძლება შესაძლო დაბალ დონეზე; ამასთან ევროპული დონე გამოდის ეროვნულის მიმართ როგორც დამატებითი (მაგალითად, ევროკავშირის დონეზე განხორციელებული ფინანსირება ჩვეულებრივ ამატებს და არ ცვლის ცალკეული ქვეყნების რესურსებს). სუბსიდირების პრინციპი ძალაში არის შესული 1992 წელს მასტრიხტის ხელშეკრულებით. მაშინვე საკონსტიტუციო ორგანოს სახით შეიქმნა რეგიონების კომიტეტი.

ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 პარაგრაფის თანახმად თანამეგობრობა მოქმედებს თავიანთი უფლებამოსილების ფარ-

გლებში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით. იმ დარგებში, რომლებიც არ შეესიტყვებიან მის კომპეტენციას თანამეგობრობა მოქმედებს სუბსიდირების პრინციპების შესაბამისად. თანამეგობრობის ნებისმიერი მოქმედება არ უნდა მიდიოდეს იმის იქით, რაც აუცილებელია ამ ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად. ამრიგად, თანამეგობრობას შეუძლია გააფართოვოს თავისი კომპეტენცია ახალ სფეროებში, როდესაც ისინი მიიჩნევა „მასშტაბურებად“. ხელშეკრულების მე-5 პარაგრაფს შესაძლებელია ეყრდნობოდეს თანამეგობრობის ყველა ცალკეული აქტი, რაც საშუალებას იძლევა საკანონმდებლო წესით შეიზღუდოს აღნიშნულის მოღვაწეობის საზღვრები, სუბსიდირება, ამგვარად შეიძლება გავიგოთ როგორც თანამეგობრობის საქმეებისადმი ხელმძღვანელობის პოლიტიკური პრინციპი და მისი კომპეტენციის კანონმდებლივად შეზღუდვის საშუალება.

მასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერამდე სუბსიდირების თაობაზე დისკუსიები იმართებოდა თანამეგობრობის ორგანოების მიერ, ხოლო მისი ხელმოწერის შემდეგ უკვე სუბსიდირების პრინციპის განხილვა ფართოდ დაიწყო ეროვნულ სახელმწიფოებში. ამასთან აღსანიშნავია, ისიც, რომ ხელშეკრულების ხსენებული მე-5 პუნქტი უტოვებს სუბსიდირების პრინციპის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას (რამაც განაპირობა წევრი ქვეყნების მიერ მისდამი ყოველმხრივი მხარდაჭერა), ხოლო მასიური უკმაყოფილებების პირობებში ევროკავშირის პოლიტიკაში ზეეროვნულობისათვის ზეწოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, საჭირო იყო, სუბსიდირების უფრო მკაფიო განსაზღვრა და აგრეთვე მისი გამოყენების წესების განმარტება. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტი მოქმედებს ყოველგვარი შეზღუდვებისა და გამონაკლისების გარეშე.

ევროკავშირის თაობაზე ხელშეკრულების მე-5 პუნქტში რეგონული დონე საერთოდ არ არის მოხსენიებული, იქ ლაპარაკია მხოლოდ ევროპულ დონეზე და წევრ-სახელმწიფოებზე, რაც იმის შესაძლებლობას ნიშნავს, რომ ეროვნული სახელმწიფოებისათვის

არ განიხილებოდეს სუბეროვნული ღონე და როცა ეს მათთვის ხელსაყრელია შეწყვიტონ გადაწყვეტილება თავიანთთვის. სუბსიდირების პრინციპმა და მისი გადმოცემის წესმა შეამცირა დაძაბულობა, რაც გამოწვეული იყო ზეეროვნულობის გაძლიერებით. სუბსიდირების პრინციპს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პოსტმაასტრიხტის პერიოდის ევროპული პოლიტიკის გაგებისათვის.

ევროკავშირში სუბსიდირების პრინციპის იდეოლოგიად ითვლება ჟ. დელორი (მან სუბსიდირების იდეის შესწავლა დაიწყო იმ მომენტიდან, როგორც კი გახდა ევროპული კომისიის თავმჯდომარე). მას ესმოდა, რომ თანამეგობრობას შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ იმ სფეროში, რომელშიც მას ამის შესაძლებლობას აძლევს მონაწილე ქვეყნის ხელისუფლება. მას „ბიუროკრატიული ბარიერის“ დანგრევა, რომელიც გარს ერტყა ბრიუსელს (როგორც ევროკავშირის მთავარი ინსტიტუტების განთავსების ადგილი) მიაჩნდა საუკეთესო საშუალებად მოქალაქეთა დასარწმუნებლად იმაში, რომ თანამეგობრობას შეუძლია იყოს სასარგებლო, თუ კი, რასაკვირველია, მას განზრახული აქვს ვითარდებოდეს მათი მხარდაჭერით. ჟ. დელორის აზრით, სუბსიდირების პრინციპმა უნდა განსაზღვროს საერთო კურსი: თანამეგობრობას სად შეუძლია იმოქმედოს ეროვნული სახელმწიფოების ავტონომიურად და სად არ შეუძლია ამის გაკეთება, ეს იმის მსგავსად, როგორც აშშ-ის კონსტიტუცია უტოვებს შტატებს უფლებებს, რომლებიც არ არიან დელეგირებული ფედერალური მთავრობისადმი; ფედერაციული მიდგომა მოწოდებულია ნათლად განსაზღვროს — ვინ და რას აკეთებს — მიუთითებდა ჟ. დელორი.

სუბსიდირების პრინციპი საშუალებას იძლეოდა დაძლეულიყო ზოგიერთი მონაწილე ქვეყნის ნეგატიური დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთისა, ევროკავშირის განვითარებაში ფედერაციული ტენდენციებისადმი. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების პროექტში 1991 წელს ევროპული ინტე-

გრაცია განისაზღვრებოდა როგორც პროცესი, რომელსაც მიყევ-
ვართ კავშირის შექმნისაკენ, რომლის მიზანიცაა – ფედერაცია.
ინგლისი ამას ნეგატიურად გამოეხმაურა და განაცხადა, რომ თუ
კონტინენტალური ევროპის ქვეყნებში ფედერალიზმი არ იწვევს
პოლემიკას, დიდ ბრიტანეთში მისი განხილვა თავის თავში ატარებს
ფარულ არალოიალობას.

განსაკუთრებით ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა ფედ-
ერალიზმისადმი დიდი ბრიტანეთის კონსერვატულ პარტიას. მისი
წარმომადგენლები ევროპელ ფედერალისტებს ბრალს სდებდნენ
ბრიუსელელი ჩინოვნიკების ხელში ხელისუფლების ზედმეტად
ცენტრალიზაციისაკენ მისწრაფებაში. მ. ტეტჩერი მიიჩნევდა, რომ
ხელისუფლების ცენტრალიზაცია წარმოადგენს თავისუფლების
ყველაზე უფრო არასასურველ შეზღუდვას. ასეთი შეხედულებებ-
ის გავლენით 1991 წელს ევროპის კომისიამ დაიწყო სუბსი-
დირების პრინციპის დამუშავებაზე საქმიანობა, რაც პოლიტიკურ
კავშირზე მოლაპარაკების ღამის ერთადერთი პუნქტი გახდა.

ევროკავშირის დოკუმენტებში სუბსიდირების პრინციპის
გამოკვეთილი განსაზღვრის არქონა საშუალებას არ იძლევა ის
განხილულ და მიჩნეულ იქნეს, როგორც სამართლებრივი ნორმა.
ეს პოლიტიკური პრინციპია. მისი გამოყენება დამოკიდებულია
იმ კონკრეტულ ინტერპრეტაციებზე და სიტუაციაზე, რომლებიც
განსაზღვრულია ევროკავშირში პოლიტიკური ძალების განლაგე-
ბით. სწორედ ეს ხდის მას ხელსაყრელად ინტეგრაციული პრო-
ცესის მონაწილეთა უმრავლესობისათვის და უზრუნველყოფს
სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ მის მხარდაჭერას. თუმცა
ისეთი ქვეყნები, როგორიც დიდი ბრიტანეთია, სუბსიდირების პრინ-
ციპში ხედავს ინტეგრაციული პროცესის შენელებისა და ეროვნულ
სახელმწიფოთა კომპეტენციების გაძლიერებას. ობიექტურად კი
სუბსიდირების პრინციპის გამოყენება ევროკავშირის პოლიტიკაში
აძლიერებს ზეეროვნულ ვექტორს.

სუბსიდირების პრინციპის განვითარების მნიშვნელოვან სტიმ-
ულად იქცნენ ის სიძნელეები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მას-

ტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით ისეთ ქვეყნებში, როგორცაა დანია, საფრანგეთი, სიბნელებს ქონდა ადგილი დიდ ბრიტანეთშიც.

ევროკავშირში სუბსიდირების პრინციპის საფუძველზე პირველ რიგში წყდება რეგიონული პრობლემები. რეგიონი ევროკავშირში წარმოადგენს მრავალფენოვანი სტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დონეს. საქმე იმაშია, რომ თანამეგობრობის რა დონეზეც არ უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება, ის უშუალოდ ამა თუ იმ რეგიონში რეალიზდება. რეგიონი – ესაა ინვესტიციების მიზნის კონკრეტული ადგილი.

ევროკავშირის სტრუქტურული ოპერაციები ითვალისწინებენ რეგიონული პოლიტიკის გატარების მეთოდების ფართო სპექტრს, რაზედაც 32 მლრდ. ევრო იხარჯება ყოველწლიურად, რაც ევროკავშირის ბიუჯეტის მესამედზე მეტს შეადგენს. სტრუქტურული დახმარების განხორციელება იმპულსის როლს ასრულებს რეგიონების მიერ ეკონომიკური და სოციალური დამოუკიდებლობის შექმნისათვის, მათ მიერ თავიანთი სუბეროვნული ერთობის შეგრძნებისათვის, ამასთან წარმოადგენს ევროპული კომისიის მიერ მონაწილე ქვეყნებზე მძლავრი გავლენის განხორციელების ინსტრუმენტს; საქმე იმაშია, რომ მასზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ან რეგიონის ამორჩევა, რომელმაც უნდა მიიღოს ეს დახმარება.

ამრიგად, სუბსიდირების პრინციპი ხელს უწყობს ზეეროვნულობის განვითარებას, რამდენადაც განვითარების ლოგიკა ისეთია, რომ რეგიონების ეკონომიკური განმტკიცება, საშუალებას ჰქმნის მათი სივრცის სტრუქტურირებისათვის ინსტიტუციური სტრუქტურების განვითარების გზით. რეგიონულ დონეზე აღმოცენებული სამართლებრივი ბაზა, საკუთრების უფლება, განათლების სისტემა და დანარჩენი ინსტიტუტები, ასე თუ ისე, ახდენენ ეროვნულის კვლავწარმოებას, რომლებიც თავის მხრივ სულ უფრო მეტად ერთვებიან ევროკავშირის ზეეროვნულ სისტემაში. ამასთან ეროვნული და სუბეროვნული საზღვრები უფრო „შელწევალი“ ხდება

ზეეროვნული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის, საზღვრების გადალახვა ხორციელდება „ზემოდან“ – ევროკავშირის მხრიდან და „ქვევიდან“ – რეგიონების მხრიდან.

სტრუქტურული ფონდები, ისეთები როგორც: რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი, ევროპული სოციალური ფონდი, სოფლის მეურნეობის ორიენტაციისა და გარანტიების ევროპული ფონდი და თევზჭერის ორიენტაციის ფინანსური ინსტრუმენტი – ესენი თანამეგობრობის ძირითადი მექანიზმებია რეგიონული განვითარების სფეროში, ხარჯების განაწილება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სფეროებს შორის და პრიორიტეტების განსაზღვრა ხორციელდება შესაბამისი მთავრობების მიერ ევროპული კომისიის უშუალო გაკლენით. რეგიონებში, სადაც ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა მოქმედებს, ცხოვრობს წევრი-ქვეყნების მოსახლეობის 50%-ზე მეტი, ანუ ის მეტნაკლები ხარისხით ეხმარება ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ინტერესებს. სტრუქტურული ფონდები აფინანსებენ რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის განვითარებაში ჩამორჩენილი რეგიონების სტრუქტურულ რეორგანიზაციას და კრიზისული სამრეწველო რეგიონების კონვერსიას, აგრეთვე არა ისე მასშტაბურ, მაგრამ დამოუკიდებელ რეგიონულ პროგრამებს.

სტრუქტურული ფონდების პოლიტიკა განლაგდება ხოლმე ორი ან სამსაფეხურიანი (დაინტერესებული რეგიონების ჩათვლით) დაგეგმვის პროცესის ირგვლივ (კონკრეტული პრიორიტეტებისაგან დამოკიდებულებით). სუბსიდირების პრინციპზე აგებული რეგიონული განვითარების გეგმები შემუშავდება საწყის ეტაპზე წევრი ქვეყნების მიერ რეგიონულ დონეზე პარტნიორობის სხვადასხვა კომბინაციების მოზიდვით (სამთავრობო დეპარტამენტები, ადგილობრივი ხელისუფლება, განვითარების სააგენტოები, სასწავლო ინსტიტუტები, ეკოლოგიური ორგანიზაციები). გეგმები საშუალოვადიანი პროგრამებისათვის ევროპული კომისიის მიერ თანხმდება ეროვნულ ხელისუფლებებთან საერთო სტრატე-

გვის შემუშავების მიზნით, პრიორიტეტების დადგენისათვის, მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარების მიზნით. ჩვეულებრივ ფონდები გამოიყენებიან ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების პროექტების განვითარების ნაწილობრივ დაფინანსებისათვის (დახმარება ბიზნესს, ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო კვლევები, ტექნიკური მოდერნიზაცია, ადამიანური რესურსები, ტურიზმი, გარემომცველი გარემო, ტრანსპორტი, ქალაქების აღორძინება).

ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში რეგიონულ პოლიტიკას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს; მათში რეგიონებისა და ცენტრის დამოკიდებულება ყალიბდებოდა მაშინდელი დროისათვის აქტუალური პრობლემების აღმოცენების კვალობაზე. თანამედროვე ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურები ინარჩუნებენ სხვადასხვაობასა და სახესხვაობას, ეროვნული განსაკუთრებულებაც ახდენს გავლენას და მოქმედებს ამ ქვეყნების ადმინისტრაციულ მოწყობაზე. მაგალითად, ერთი ქვეყნის ფარგლებში – შეერთებულ სამეფოში – რეგიონებისადმი მართვის სტრუქტურა თვით ინგლისში არსებითად განსხვავებულია იმისაგან, რაც არსებობს ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში და უელსში. თვით ამოცანების დონეც, რომლებიც დგას თითოეული ამ ცალკე აღებული ქვეყნების წინაშე, ასევე განსხვავებულია. ყველაფერი ეს ართულებს კომისიის მუშაობას, რომელიც იძულებულია ურთიერთობა იქონიოს მრავალრიცხოვან ეროვნულ სტრუქტურებთან, ხოლო წინადადებების მომზადებისას დაეყრდნოს მათ, რადგანაც თანამეგობრობის მიერ გათვალისწინებული ნებისმიერი ღონისძიება იღებს დირექტივის ფორმას მხოლოდ მისი ქვეყანაში განხილვის შემდეგ.

ევროკავშირის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტაში სუბსიდირების პრინციპის მნიშვნელობაზე ლაპარაკისას ანსხვავებენ ოთხ დიდ ჯგუფს, რომლებიც ასახავენ მათ წინაშე მდგომი რეგიონული პრობლემების განსხვავებულ ბუნებასა და სირთულეს.

უპირველეს ყოვლისა ესაა საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი – ის ქვეყნები, რომლებიც მიჩნეული არიან

ევროკავშირში ყველაზე ნაკლებად განვითარებულებად, რომლებშიც თავმოყრილია ევროკავშირში ყველაზე ღარიბი რეგიონები.

მეორე ჯგუფს ქმნიან გერმანია და იტალია. ამ სახელმწიფოებში წარმოიშვა ძალიან დიდი შიგა განსხვავებანი ცალკეული რეგიონების განვითარების დონეში – გერმანიის „ძველ“ და „ახალ“ მიწებს შორის, იტალიის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

მესამე ჯგუფს შეადგენენ ფინეთი და შვეცია, სადაც მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე დამახასიათებელია გეოგრაფიულად და ეკონომიკურად დაშორებული რაიონებისათვის, სადაც ადგილი აქვს მკაცრ კლიმატურ პირობებს და დიდია მანძილი ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს შორის.

მეოთხე ჯგუფი – ეს ევროპის ის ქვეყნებია, სადაც რეგიონების განვითარება გამოირჩევა შედარებითი თანაბარზომიერებით: ავსტრია, დანია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი და დიდი ბრიტანეთი. აქ რეგიონული პრობლემები დაკავშირებულია დასაქმების უზრუნველყოფასთან და მის სტრუქტურასთან, ამასთან არა იმდენად დარგობრივ, რამდენადაც მის ქალაქურ და სასოფლო შემადგენლებთან.

პირველი ჯგუფის ქვეყნებისათვის ეროვნული განვითარების ამოცანების პრიორიტეტულობა და ცალკეული რეგიონების განვითარების უთანაბრობის ლიკვიდაცია ჩვეულებრივ სადაოა, მაგრამ როგორც წესი, საქმე წყდება საერთოეროვნული ეკონომიკური განვითარების სასარგებლოდ და რეგიონულისათვის ნაკლები ხარისხით. ამასთან საბერძნეთში, ირლანდიაში და პორტუგალიაში გამოიყენება ცენტრალიზებული მიდგომა. ასე მაგალითად, საბერძნეთში რეგიონული პოლიტიკის გატარება იმყოფება ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს გამგებლობაში. დაჟინებითი მცდელობა, რათა არადიდი პროექტების განხორციელების პასუხისმგებლობა გადაცემულიყო რეგიონულ დონეზე, 1989 წელს შეეჯახა ადგილებზე სათანადო გამოცდილების უქონლობას. პორტუგალიაში რეგიონული პოლიტიკის გატარებისათვის პასუხისმგებლობა ძირითადად დაკისრებული აქვს დაგეგმვისა და რეგიონ-

ული განვითარების სამინისტროს რეგიონული განვითარების დირექტორატს.

ესპანეთში რეგიონულ ხელისუფალთა როლი გამოკვეთილია საკმაოდ ნათლად. დამახასიათებელ ნიშანთვისებას აქ რეგიონული პოლიტიკის ორგანიზებისას არ წარმოადგენს ესპანური რეგიონების ავტონომიურ თანამეგობრობათა და თანასაზოგადოებების მონაწილეობა მის დამუშავებაში. ამასთან ცენტრალური მთავრობის მონაწილეობას ასევე შეაქვს არსებითი წვლილი რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრაში. ესპანეთი, რომელსაც უკავია რა ძლიერი პოზიცია ევროკავშირში, ხაზს უსვამს, რომ სუბსიდირების პრინციპი არ უნდა ეხებოდეს სახელმწიფოს მხარეებთან ურთიერთდამოკიდებულებას.

თავისებური პროტექციონიზმია დამახასიათებელი ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნებისათვის, სადაც ჭარბობს ჩამორჩენილი რეგიონები. სუსტი რეგიონები არ არიან კონკურენტუნარიანი, მაშასადამე არ ძალუძთ მთელი სისრულით გამოიყენონ ინტეგრაციის მთელი უპირატესობანი. დეცენტრალიზაციის ან უფლებამოსილებათა დელეგირების დონე რეგიონულ დონეზე დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოწყობასთან, მაგრამ ამასთან რეგიონების შეზღუდული დამოუკიდებლობა რეგიონული პოლიტიკის ფორმირებაში (ან მისი არ არსებობა) ამ ქვეყნების ჯგუფებში აღიქმება როგორც თავისებური „პროტექციონიზმი“ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტი, არაკონკურენტუნარიანი რეგიონების მიმართ.

იტალიაში ომის შემდგომ პერიოდში მოქმედებდა ეგრეთწოდებული „სპეციალური ინტერვენციის“ პროგრამა სპეციალურად ქვეყნის სამხრეთ ნაწილისათვის, მაგრამ უკმაყოფილებამ, რომელიც გამოწვეული იყო შესაბამისი პოლიტიკის არაეფექტურობით, აგრეთვე ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობით, გამოიწვია ახალი კანონმდებლობის მიღება, რომელიც პოლიტიკურ

მნიშვნელობას ანიჭებდა მთელ ქვეყანაში რაიონების განვითარების საკითხს. სუბსიდირების თვალსაზრისით დიდია იტალიის 1992 წლის 19 დეკემბრის №488 კანონის მნიშვნელობა, რომლის ძალითაც შეიქმნა მკვეთრად გამოხატული საფუძველი ეროვნული რეგიონული პოლიტიკის გატარებისათვის.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს რეგიონული პრობლემების შესწავლის თვალსაზრისით გერმანია იწვევს. „იდეალში სუბსიდირების პრინციპი – ესაა გზა ევროპული ფედერალური დემოკრატიისაკენ, სადაც ევროკავშირი – ეს არის ეროვნულ სახელმწიფოთა ფედერაცია (ცალკეულ შემთხვევებში რეგიონების), ხოლო თვით ევროკავშირი არ ექვემდებარება ეროვნულ დონეს, მაგრამ სუბსიდირებას კი მის მიმართ“.¹

სწორედ გერმანელი პოლიტიკური მოღვაწეები სხვებზე უფრო ხშირად გამოთქვამენ აზრს ეროვნული ფედერაციის შექმნის შესაძლებლობის შესახებ. აშკარაა, რომ სუბსიდირების პრინციპის გამოყენება არსებითად შესაძლებელია მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში, მაგრამ არასგზით დიდ ბრიტანეთში. ამიტომ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განვითარდება ევროკავშირი და თუ განვითარდება ის სწორედ ევროპული სახელმწიფოებისა და ხალხების ფედერაციული კავშირის მიმართულებით.

გერმანიაში რეგიონული პოლიტიკის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ძირითადი კანონი, რომელიც, კერძოდ, ხაზს უსვამს ქვეყნის ყველა ნაწილში ხალხისათვის შრომისა და ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანაა – ეკონომიკურად უფრო სუსტი რეგიონებისათვის პირობების შექმნა თანაბარუფლებრივი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში.

¹ Бусыгина И. М. _ Кошечпупальные основы европейского регионализма: Проблемы европейского регионализма, Доклады Института Европы РАН, №61, М., 1979.

დაგეგმვის კომიტეტი შეიმუშავებს რეგიონებისათვის დახმარების აღმოჩენის ყოველწლიური გენერალური გეგმის პროექტს. რეგიონული პოლიტიკის დაფინანსება ხდება ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ და ხორციელდება ფედერალური მთავრობის მეშვეობით. გერმანიაში საგნების ასეთი მდგომარეობა აისახება ევროკავშირში მის პოზიციაზეც, სადაც გერმანია მუდმივად ხაზს უსვამს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ფედერაციული მიწების უშუალო გაყვანის აუცილებლობას, ხოლო მიწები თავის მხრივ იმედოვნებენ, რომ სუბსიდიების პრინციპი დაეხმარება მათ წინ აღუდგნენ მათ საქმეებში ევროკავშირის ჩარევას.

ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები არსებითად ახდენენ გაყვანას გერმანიაში და იტალიაში ეროვნული რეგიონული პოლიტიკის შინაარსზე. 1992 წელს იტალიაში რეგიონული პოლიტიკის გადასინჯვის მცდელობა მიზნად ისახავდა უზრუნველყო ერთობლივი ფინანსირების შესაძლებლობა ეროვნული მთავრობისა და სტრუქტურული ფონდების მხრიდან, რომელთა რესურსების მეოთხედი მიდიოდა სწორედ რეგიონების განვითარებაზე (პრიორიტეტები იყო: ინფრასტრუქტურა – 22%, სოფლის მეურნეობა 16%, აგრეთვე კავშირი და ადამიანური რესურსები – 14,5%). მთლიანობაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მითითებულ ქვეყნებში მართვის დეცენტრალიზაციის ტენდენციებზე.

სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკაში მართვის მოქმედი სისტემა საკმაოდ ცენტრალიზებულია, რაც ბუნებრივია პატარა ქვეყნებისათვის. ამასთან, სპეციფიკურმა პრობლემებმა, რომლებიც დაკავშირებული არიან ზოგიერთი რაიონების ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებასთან ან ნაკლებად დასახლებულ ადგილებში განლაგებასთან, განაპირობებს მართვის რეგიონული დონის არსებობას და ხელს უწყობს მთელ ქვეყანაში განვითარების „დაბალანსებულ“ გაგების წარმოშობას.

ფინეთში 1994 წლიდან მოქმედებს კანონი რეგიონული განვითარების შესახებ, რომლის თანახმადაც რეგიონული პოლიტიკის ისეთი ასპექტები, როგორცაა საკანონმდებლო აქტების

მომზადება, ძალიან პრობლემური რეგიონების განსაზღვრა, კოორდინაციის საკითხები, რომლებიც იმყოფება შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში, ხოლო სინამდვილეში კონკრეტულად პოლიტიკის გატარებით დაკავშირებული არიან სხვა ცენტრალურ სამინისტროებთან; მაგალითად, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო. ამრიგად, ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება ეროვნულ დონეზე, ხოლო რეგიონების წილად რჩება არადიდი პროექტების შემუშავება, რომლებსაც ახორციელებენ რეგიონული და ადგილობრივი ქვეგანყოფილების ქსელები.

შვეიცარიაში რეგიონების შექმნის ახალი პოლიტიკური კურსი ტარდება 1990 წლიდან. ის გამოიხატება ძალიან სუსტ რეგიონებში ეკონომიკურად ძლიერი და სწრაფად განვითარებადი კომპანიების შექმნაში. შედეგად ჩამოყალიბდა რეგიონული ადმინისტრაციის მიერ საერთოეროვნული ღირებულებების ცხოვრებაში გატარების პრაქტიკა, რომელიც კიდევაც აგებს პასუხს ყოველდღიურ საქმიანობაზე. მთელი ამ სტრუქტურის სათავეში, ისე როგორც ფინეთში მთლიანად, დგას მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაშიც არის ქვედანაყოფი, რომელიც განსაზღვრავს დასახმარებელ რაიონებს, ის აკონტროლებს პოლიტიკის გატარებას და ახორციელებს კავშირს ევროპულ კომისიასთან. ცენტრალური ხელმძღვანელი ხელისუფლება იმყოფება სამრეწველო და ტექნიკური განვითარების საკითხებში ეროვნული საბჭოს ხელში, რომელიც პასუხს აგებს კომერციული საწარმოებისათვის რეგიონული მხარდაჭერის გატარებისათვის. ადგილებზე ადმინისტრაციული საბჭოები პასუხს აგებენ თავიანთ დონეზე მოღვაწეობის კოორდინირებისათვის. ამ მიზნებისათვის ისინი იღებენ საბიუჯეტო ასიგნებებს, და მათვე უნდა შეიმუშაონ თავიანთი რეგიონების განვითარების სტრატეგია.

ევროკავშირის მომავალი წევრებისათვის – ქვეყნებისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან – რეგიონული პოლიტიკა ასევე არ არის ახალი გაგება. მართლაც, უკვე 1990 წლიდან ამ ქვეყნებს ჰქონდათ სტრუქტურული მხარდაჭერა ევროკავ-

შირიდან. ასეთი ქვეყნების უმრავლესობაში ჩნდება რეგიონული განვითარების არასამთავრობო ორგანოების სულ უფრო მჭიდრო ქსელი.

აქ რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელობა უკვე საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო მომავალში არსებული საფინანსო რესურსებისადმი კონტროლის უფლების მიღების შესაძლებლობა გახდა ბოლო წლებში დავისა და სამინისტროებს შორის წინააღმდეგობის საგანი. მაგრამ პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სახელმწიფო სისტემაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილების მიუხედავად, რეგიონული პოლიტიკის განვითარება საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე ამ ქვეყნებში მიმდინარეობს შენელებული ტემპებით. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (რომლებიც მოგვიანებით გაწევრიანდნენ ევროკავშირში) უკვე არსებული სტრუქტურების დამატებით ფორმირდებიან რეგიონების განვითარებისათვის ხელშემწყობი სტრუქტურები. ჩნდებიან ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სულ უფრო მეტი ორგანოები.

უნგრეთში რეგიონული განვითარების ეროვნული საბჭო 1996 წლიდან ახორციელებს გადაწყვეტილებების მომზადებას რეგიონული პოლიტიკის სფეროში. შექმნილია რეგიონული განვითარების კოორდინაციის ორსაფეხურიანი სისტემა. ის მოიცავს განვითარების 19 საოლქო საბჭოს და რეგიონული განვითარების 7 საბჭოს, რომლებიც მოქმედებენ როგორც დამაკავშირებელი რგოლები სამინისტროებს შორის. ეროვნულ ეკონომიკურ პალატებს შორის, სახელმწიფო კომპანიებს შორის ეროვნულ და ლოკალურ დონეზე, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის.

ანალოგიურ მიდგომას აქვს ადგილი ესტონეთში; პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებს რეგიონული პოლიტიკის საბჭო, რომელშიც წარმოდგენილი ყველა სამინისტრო, მხარეების ადმინისტრაციები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ეს საბჭო პასუხს აგებს რეგიონულ დონეზე დარგობრივი პროგრამების კოორდინაციისათვის (მაგ. ბიზნესის, ტურიზმის, მომ-

სახურების სფეროს მხარდაჭერისათვის, ინვესტიციების სტრატეგიული დაგეგმვისათვის).

რეგიონული განვითარების ეროვნული საბჭო სლოვენიაში ახდენს რეგიონულ განვითარებაზე ცენტრალური მთავრობის ხარჯების კოორდინირებას, აგრეთვე დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ატარებს კონსულტაციებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. უნგრეთში, ესტონეთში და სლოვენიაში რეგიონული განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციები იქმნებოდნენ „ზევიდან ქვევით“, სულ სხვაგვარი სურათია წარმოჩენილი პოლონეთში, სადაც პრინციპით „ქვევიდან ზევით“ შექმნილ იქნა რეგიონული განვითარების დაახლოებით 70 სააგენტო; აღნიშნულთა მუშაობაში მონაწილეობას იღებენ როგორც რეგიონული, ასევე ადგილობრივი ორგანოები. მათ საფუძველზე 1998 წლის აგვისტოს თვეში ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილი იქნა რეგიონული განვითარების დეპარტამენტი, ხოლო უკვე 1998 წლის სექტემბერში – მინისტრთა საბჭოსთან არსებული რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი.

ბოლო წლებში შეიმჩნეოდა სახელმწიფოს ეკონომიკური მოღვაწეობის, როგორც რეგიონული პოლიტიკის ინსტრუმენტის, მნიშვნელობის დაქვეითება; ეს ძირითადად ხდებოდა ეკონომიკაში საზოგადოებრივი სექტორის როლის შემცირების შედეგად. წარმოების სფეროში განხორციელებულმა ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ მთავრობებს წაართვა გავლენის რიგი ბერკეტები. ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებები სულ უფრო ამცირებს სამეურნეო სფეროში სახელმწიფოს როლს.

სუბსიდირების პოლიტიკა მოქმედებს არა მხოლოდ იმ სტრუქტურების სისტემაში, რომლებიც განლაგებული არიან ვერტიკალურად, ის ჩართულია საზოგადოებრივ პროცესებში, რომლებიც ფუნქციონირებენ სხვადასხვა ტიპის გაერთიანებების სახით და რომლებიც ურთიერთქმედებენ პორიზონტალურად. ასე, რომ აღმოცენდება სხვადასხვა კავშირების, ეკონომიკური გაერთიანების, პოლიტიკური, პროფკავშირული, კულტურული, სამეცნიერო,

საორტული ხასიათის ურთიერთგადანასკული ფართო ქსელი. მათი მოღვაწეობის რეგლამენტაცია ან აკრძალვა გამორიცხულია, თუ ისინი თავიანთ მოქმედებაში არ გამოდიან კანონმდებლობის ჩარჩოებიდან. სუბსიდირების პრინციპი თანასაზოგადოებას საშუალებას აძლევს თავის თავზე აიღოს ახალი ფუნქციები, შეავსონ ეროვნული სახელმწიფოების მოღვაწეობა და თანასაზოგადოების ეს მოღვაწეობა შეიძლება დამოკიდებული იყოს კონკრეტულ პირობებზე და მიიღოს განსხვავებული ფორმები.

პრაქტიკულად ევროკავშირის ყველა ქვეყანა იყენებს ფინანსურ სტიმულირებას. ამით მათ სურთ დააინტერესონ ფირმები პრობლემურ რეგიონებში წარმოებისა და ინვესტიციების განთავსებაში, რისთვისაც ფირმებს სთავაზობენ ფინანსურ შეღავათებს, სუბსიდიებს სამუშაო ადგილების შექმნისას, ღოტაცობებს ინვესტიციების განსაზღვრულ მოცულობაზე, უადვილებენ კრედიტების მიღების პროცედურას. გარდა პირდაპირი სამისამართო დახმარებისა ფირმებს ექმნებათ ხელსაყრელი პირობები ბიზნესის წარმოებისათვის.

დაბანდებისათვის რაიონების შესარჩევ კრიტერიუმებად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: უმუშევრობის დონე, მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე, სამრეწველო სტრუქტურა, ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, აგრეთვე დემოგრაფიული მაჩვენებლები და რეგიონის ადგილმდებარეობა. თითქმის ყველა შემთხვევაში ევროპული კომისია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ რაიონების განსაზღვრაში, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებს არა აქვთ სრული დამოუკიდებლობა. შერჩეული რეგიონები (იქ კი ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს) უნდა შეესაბამებოდნენ თავიანთ შიგა კრიტერიუმებს, მაგრამ ამასთან უნდა მიიღონ ევროკავშირის კომისიის კონკურენციის ღირექტორატის მოწონება. ევროკავშირი რეგიონების შერჩევისადმი თავის მიდგომებში მიისწრაფის გაითვალისწინოს მათ წინაშე მდგომი ამოცანები და რამდენადაც შესაძლებელია ისარგე-

ბლოს მკვეთრად განსაზღვრული კრიტერიუმების სისტემით.

ზეეროვნულისა და სუბსიდირების შინაარსის გაგებებს შორის მოჩვენებითი ანტაგონიზმის მიუხედავად, ევროპულ პოლიტიკაში ისინი ავლენენ წინააღმდეგობრივ ერთიანობას. ამჟამად სუბსიდირების პრინციპის გამოყენება შეზღუდულია. ის არ მოიცავს ყველა დონეებს თანაბარზომიერ ხარისხში. ყოველივე აღნიშნულიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არის ყველა საფუძველი იმისათვის, რომ სუბსიდირება გამოყენებული იქნას ზეეროვნულ და რეგიონულს შორის ურთიერთობისათვის, ასევე მართვის ეროვნულ და რეგიონულ დონეების მიმართ. მაგრამ ამასთან, საზღვრავს რა სუბსიდირების პრინციპს, ხელშეკრულება საერთოდ არ მოიხსენიებს რეგიონებს, ანუ ფორმალურად საკითხი ეხება და ლაპარაკია მხოლოდ ევროკავშირზე და მისი წევრ სახელმწიფოებზე.

კომპეტენციების მკვეთრი გამიჯვნა სამ დონეს შორის (ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულს შორის) არ არსებობს. ის რომ არსებულებიყო, მაშინ ევროპელები ადვილად შეძლებდნენ გაეტარებინათ განსხვავება პოლიტიკასა და ევროკავშირის პროგრამებს შორის; ამასთან კავშირის ინსტიტუტების უფლებამოსილების განსაზღვრაში და შეცვლაშიც კი პრიორიტეტის თავიანთთვის შენარჩუნებას დაჟინებით ცდილობენ წევრი-სახელმწიფოები.

პრაქტიკული მოღვაწეობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში უფრო აშკარა ხდება (და ალბათ მომავალშიც ასე იქნება) სფეროებში კომპეტენციების გამიჯვნა ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ ხელისუფლებებს შორის. ამასთან, როგორც სხვა სფეროებში (მაგალითად, სამართლებრივ საკითხებში, სადაც არსებობს ეროვნული ნორმები, ევროკავშირის სამართალი მუდმივად აფართოებს თავისი გამოყენების საზღვრებს) საზღვრები მათ შორის საკმაოდ მოძრავი რჩება. ევროპულ პროცესებში რეგიონების ჩართვა ჯერ-ჯერობით მთლიანობაში მაინც არ არის მნიშვნელოვანი დოზით. მაგრამ ამასთან ერთად შეიძლება შევამჩნიოთ რეგიონული აქტიურობის უფრო და უფრო სწრაფი გავლა ზეეროვნულ დონეებზე.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე პირდაპირ არ არის დაკავშირებული თვითმმართველობის განვითარებასთან ან სუბსიდირებასთან. მიუხედავად ამისა, ის მაინც არსებით გავლენას ახდენს შესაბამის პროცესებზე.

რეგიონული პრობლემების ბუნება ისეთია, რომ ის მოითხოვს მათ გადაწყვეტაში მთელი რიგი ეროვნული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობას, ასევე რეგიონული დონის სხვადასხვა ორგანიზაციების, ეკონომიკის კერძო სექტორის მონაწილეობას. შედეგად სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში სუბსიდირების დონე მართვაში რეგიონების განვითარების დონის შესაბამისად იზრდება.

დასავლეთ ევროპის ისტორიული გამოცდილება, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება კერძო საკუთრების გარანტიებს ეფუძნება, ხელს უწყობს არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში სუბსიდირების მიდგომების ფორმირებას; საქმე იმაშია, რომ კერძო საკუთრება, როგორც წამყვანი სოციალური ინსტიტუტი, საშუალებას აძლევს ადამიანს განკარგოს თავისი მონაპოვარი, არ აყენებს მას (ე.ი. ადამიანს) ზემდგომი სტრუქტურების მკაცრ დამოკიდებულებაში. კერძოდ მეწარმეობის განვითარებისათვის კეთილმყოფელი და ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ეგრეთწოდებული ბიზნეს-გარემოს შექმნას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკაში, და აღნიშნულზე მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები წარიმართება გაერთიანების ბიუჯეტიდან.

თანამედროვე ეტაპზე ამოცანა მდგომარეობს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმებით განსაზღვრული პარამეტრების მიღწევის უზრუნველყოფაში. ეს კრიტერიუმები კი შემდეგია:

- მშპ-ს საშუალო წლიური მატება 4 წელიწადში – 3,1 პროცენტი;
- მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითუნარიანობის სტანდარტის (პარიტეტის) გათვალისწინებით – 4900 ევრო;

- ინვესტიციების წილი მშპ-ში - 22,81 პროცენტი;
- უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე - 83 ევრო;
- ერთ ჰექტარზე წარმოებული დამატებული ღირებულება - 284 აშშ დოლარი;
- აგროპროდუქტების (სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების) ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე - 68 აშშ დოლარი;
- ექსპორტის მიერ სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების იმპორტის გადაფარვა - 79 პროცენტი;
- საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ - 32 პროცენტი;
- ბიუჯეტის დეფიციტი - 3,3 პროცენტი;
- საგარეო ვალები მშპ-ს მიმართ - 36 პროცენტი;
- საბაჟო შემოსავლები მშპ-ს მიმართ - 4 პროცენტი;
- საშუალო წმინდა საპროცენტო მარჟა - 2,6 პროცენტი;
- სადაზღვევო პრემიების საერთო წილი მშპ-ს მიმართ - 24,1 პროცენტი;
- ბაზრის კაპიტალიზაციის წილი მშპ-ს მიმართ - 4 პროცენტი;
- აქციებით ვაჭრობის წილი მშპ-ს მიმართ - 1,5 პროცენტი;
- უმუშევრობის დონე მკაცრი კრიტერიუმით - 10,9 პროცენტი;
- საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მიმართ - 10 პროცენტი;
- ინვესტიციები მრეწველობის სფეროში ინვესტიციების საერთო მოცულობის მიმართ - 39 პროცენტი;
- სამრეწველო წარმოების მატება - 4,3 პროცენტი;
- მრეწველობის წილი მშპ-ში - 27 პროცენტი;
- სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე - 400 აშშ დოლარი;
- მცირე და საშუალო საწარმოების წილი მშპ-ში - 63 პროცენტი;

- სატელეფონო აბონენტები 1000 მცხოვრებზე – 328 ერთეული;
- ინტერნეტ კავშირების რაოდენობა 1000 მცხოვრებზე – 2,53 ერთეული;
- საქონლის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე – 476 ევრო;
- საქონლის ექსპორტი მშპ-ს მიმართ – 47,7 პროცენტი;
- ექსპორტით იმპორტის გადაფარვა – 74,6 პროცენტი;
- ევროკავშირთან საქონლით ვაჭრობის წილი ვაჭრობის საერთო მოცულობაში – 43,6 პროცენტი.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ აღნიშნული ძიზნობრივ-ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოებულია რა ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატთა (ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკია) საშუალო პარამეტრებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ისინი პერსპექტივაში საერთო ეკონომიკური განვითარების კვალობაზე შეიცვლებიან გამკაცრების მიმართულებით.

ამის გათვალისწინებით საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგიის პროექტში ხშირ შემთხვევაში გაცილებით მაღალი პარამეტრებია აღებული, კერძოდ, 2004-2015 წლებში საშუალოდ წელიწადში მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობის დაახლოებით 5 პროცენტიანი ზრდაა ნავარაუდები რეალისტური სცენარით, ბიუჯეტის დეფიციტის შენარჩუნება კი 1-1,5 პროცენტის ფარგლებშია გათვალისწინებული და რაც მთავარია 2015 წლისათვის საშუალო თვიური ხელფასი საარსებო მინიმუმს დაახლოებით 3-ჯერ გადააჭარბებს.

10. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები

საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიის შემუშავება უნდა დაეფუძნოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს, მისი ტენდენციების თავისებურებათა გამოვლენასა და დეპრესიის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების დადგენას. განვითარების დღევანდელ ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით. ამასთან პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების განვითარების დისპროპორციების გამოვლენასა და პრობლემათა იმ წრის კონკრეტიზაციას, რომლებიც პირველ რიგში საჭიროებენ გადაწყვეტას. ამ მიმართულების გაანალიზების საბოლოო მიზანი კი, ჩვენი აზრით საქართველოში საბაზრო ურთიერთობების წარმატებულად დამკვიდრებისათვის აუცილებელი რეგიონული რესურსული, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, სოციალური და სხვა პრიორიტეტების გამოვლენაა.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზი მიმართული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე:¹

- * რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მდგომარეობის ანალიზი;
- * მიგრაციული პროცესების ძირითადი მიზეზების შესწავლა;
- * ძირითადი სამეურნეო დარგების ჭრილში შრომითი რესურსების გამოყენების შეფასება;
- * რეგიონში არსებული უმუშევრობის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა;
- * მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება;
- * რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის

¹ Котилько В. В., Региональная экономическая политика, М., изд.: «РДУ», 2001, стр. 55-56.

შეფასება (მრეწველობა. სოფლის მეურნეობა, საწარმოო ინფრასტრუქტურა);

- * რეგიონების რეგიონთაშორისი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი;
- * წარმოების საექსპორტო რეზერვების გამოვლენა;
- * რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;
- * რეგიონში სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების მიზნით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თავისებურებათა გამოვლენა;

ამ პრობლემებზე მსჯელობისას პროფესორი ნ. ჭითანავა აღნიშნავს:¹ „რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაფასებლად საჭიროა ინდიკატორთა სისტემა (შესაბამისი კრიტერიუმებით) გამოვიყენოთ. მაგალითად, ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის შესაბამისი რეგიონული მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე მისი მოცულობა, ცხოვრების დონე (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემოსავლები, განათლების მიღების შესაძლებლობა), მრეწველობისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების მოცულობა, შრომითი რესურსების (დასაქმება), საკუთრებითი ფორმების სტრუქტურა, ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური პოტენციალი, დემოგრაფიული სიტუაცია, ინვესტიციები, რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირები და სხვ.“

როგორც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის შეფასების ზემოთ მოყვანილი მიდგომების ანალიზი ცხადყოფს, ამ მიმართულების კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონების განვითარების კომპლექსურ გაანალიზებას.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-

¹ ჭითანავა ნ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები და ტენდენციები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა), საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, შრ. კრებული, თბილისი, 2001, გვ. 19-20.

ბის ანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონული შიგა პროდუქტის მაჩვენებლის დადგენას. დღეისათვის ოფიციალური სტატისტიკის კრებულებში აღნიშნული მაჩვენებელი არ გაიანგარიშება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ამ მიმართულების ანალიზის პროცესს. რეგიონული შიგა პროდუქტი განისაზღვრება, როგორც რეგიონის ეკონომიკურ რესურსთა გამოყენებით წარმოებული საქონლისა და მომსახურების ერთობლივი ღირებულება გარკვეული პერიოდისათვის. მის შემადგენლობას მიაკუთვნებენ რეგიონის შიგნით მიღებულ ყველა შემოსავლებს, მოუხედავად მუშაკთა საცხოვრებელი და საწარმოს რეგისტრაციის ადგილისა. რეგიონში შექმნილი პროდუქტის მოცულობისა და სტრუქტურის ტერიტორიული ასპექტების გამოყოფა მეურნეობის კომპლექსური განვითარებისა და უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენს რეგიონის მმართველობისათვის აუცილებელ წინამძღვარს მის წინაშე მდგომი ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად.

სპეციალური გათვლები გვიჩვენებენ,¹ რომ მთლიანი ეროვნული პროდუქტი ათას კვადრატულ კილომეტრზე საქართველოში დაბალია – დაახლოებით 73 ათასი დოლარი. ხოლო ნ. ხაღურის მონაცემებით რეგიონების ეკონომიკური ათვისების ინდექსი ანუ მთლიანი შიგა პროდუქტი 1 კვადრატულ კილომეტრზე 1993 წელს საქართველოში 100 ლარს შეადგენდა. ამასთან ნ. ხაღურის მიერ შემოთავაზებულია რეგიონის ეკონომიკური ათვისების ინდექსი,² რომლის გაანგარიშებით ქვეყნის ყველა ტერიტორიული ერთეულის მიხედვით მათი განვითარების ღონეთა შედარების საკმაოდ ნათელ და ობიექტურ სურათს მივიღებთ.

¹ შანია მ., „ეკონომიკური ზრდა და სავადასახდელო ბალანსი საქართველოში“, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ. 16.

² ხაღური ნ., მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ. 11.

$$R_{\text{რა}}^i = \frac{VA_i}{S_i}$$

სადაც $R_{\text{რა}}^i$ – i -ური რეგიონის ეკონომიკის ათვისების ინდექსია;
 VA_i – ამ რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება;
 S_i – ამ რეგიონის ფართობი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ბევრი ქვეყანა უკვე 10 წელზე მეტია აწარმოებს ფედერაციის სუბიექტებში ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას. ეს მაჩვენებლებია – პროდუქციისა და მომსახურების გამოშვება, შუალედური მოხმარება, მთლიანი დამატებული ღირებულება (მსხვილ დარგებში მთლიანად), მთლიანი რეგიონული პროდუქტი, შემოსავლების ძირითადი სახეები, დანახარჯები საბოლოო მოხმარებაზე, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში.

ამ მიმართულების ანალიზისას გეთავაზობენ მეთოდოლოგიურ მიდგომას ტერიტორიის ეკონომიკური გამოყენების (ათვისების) მაჩვენებლების დადგენის თვალსაზრისით. ტერიტორია (რეგიონი) უნდა გავიაზროთ არა როგორც აბსტრაქტულ-მათემატიკური სივრცე, არამედ როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე (რეგიონში) სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის, საწარმოო ძალების გადანაწილების, წარმოების განვითარების სპეციფიკური კანონზომიერების გამოვლენის ობიექტური ფორმა.¹ შეუმავებული მეთოდოლოგიური მიდგომების მოდიფიცირებითა და საქართველოს პირობებთან მორგების საშუალებით ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი კვლევა და გაანგარიშებები რიგი მიმართულებებით.

როგორც უკვე ავლინშნეთ წინა თვეებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორია მოიცავს 67,9 ათას კვ. კილომეტრს, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი ნაკლებად არის ათვისებული. საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის რეგიონების მიხედვით წარმოებაში გამოყენებული ტერიტორიების

¹ Бахрах М., Показатели экономического использования территории, Вопросы экономики, 1971, №6, ст. 81-91.

გამოვლენა. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა გათვლები და შედგა ბალანსი საქართველოს რეგიონების ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების გამოსავლენად 2005 წლის მდგომარეობით. ამ გამოთვლებმა მოიცვა სასოფლო-სამეურნეო მიწების ყველა სახეები: ტყეების საექსპლუატაციო ფართობები, ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების მიწები, აგრეთვე ტერიტორიები, რომლებზეც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები (გზები) და სხვ. (იხილე ცხრილი 1).

გათვლების საფუძველია ქვეყნის მიწისა და სატყეო ფონდების შესახებ არსებული მონაცემები. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითადი საშუალება არის მიწა. ამდენად ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების რეგიონული ბალანსის შედგენის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია ის ფართობი, რომელზეც განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების მიწების ფართობები ძირითადად პროპორციულია საქალაქო დასახლებათა (ურბანიზაციის დონე) და ქალაქების მოსახლეობის რაოდენობასთან. ფართობები, რომლებიც დაკავებულია სამრეწველო საწარმოთა მიერ, იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში სამრეწველო-საწარმოო ფონდებთან. ხოლო ის ტერიტორიები, რომლებიც გამოიყენება სარკინიგზო ტრანსპორტისათვის პროპორციულია ექსპლოატაციაში მყოფი სარკინიგზო გზების სიგრძესთან. ამგვარი დამოკიდებულება გამოვლინდა საავტომობილო ტრანსპორტის გზების გამოყენებასთან მიმართებაშიც.

საქართველოს ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიები ჩვენი გათვლებით შეადგენს 54,4 ათას კვადრატულ კილომეტრს ანუ ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 80,1 პროცენტს. ამგვარად, ამ მიმართულებით თანამედროვე პირობებში (2005 წლისათვის) არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ გამოყენებულ მიწებზე არსებული დარგობრივი განსხვავებანი. ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების მოცულობათა (მაჩვენებელთა) შედარებით და რეგიონული ბალანსის შედგენით შეიძლება გამოიკვეთოს რეგიონული სპეციალიზაციისა და ურბანიზაციის თავისებურებები, რისი

საქართველოს ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების რეგიონული ბალანსი

	ეკონომიკურად აქტიური ტერიტორია ათას კვ. კმ	ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების სტრუქტურა (%-ში)					
		სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული	საექსპლუატაციო ტყეების ფართობი	ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებების მიწები	სამრეწველო საწარმოებით დაკავებული მიწები	საგემობილო და სარკინოზო მაგისტრალებით დაკავებული მიწები	სხვა არასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მიერ დაკავებული მიწები
ქ თბილისი	0,2	1	—	80	4	15	—
აფხაზეთის არ	7,6	25	57	0,8	1	0,2	15
აჭარის არ	2,8	27	63	0,6	1	0,4	8
სამეგრელო-ზემო-სვანეთის მხარე	5,7	37	40	0,6	6	0,4	16
გურიის მხარე	2,1	34	46	1	1	1	17
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	3,8	35	60	0,1	1	0,2	3,7
იმერეთის მხარე	4,9	35	54	3	5	1	2
შიდა ქართლის მხარე	4,3	53	38	0,5	2	0,5	6
მცხეთა-მთიანეთის მხარე	5,0	48	42	0,3	0,2	0,5	9
კახეთის მხარე	7,9	58	32	0,2	1	0,5	8,3
ქვემო ქართლის მხარე	5,2	62	25	0,5	3	0,5	9
სამცხე-ჯავახეთის მხარე	4,9	65	28	0,4	3	0,6	3

გათვალისწინებაც უპრიანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირების და კონკრეტული მიზნობრივი პროგრამების შემუშავების პროცესში. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაანალიზება ვერ წარმოგვიდგენს რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არსებულ სრულ სურათს, ამიტომ, ინფორმაციული ვაკუუმის გარკვეულწილად შესავსებად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი გათვლები ეკონომიკურად აქტიურ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის მაჩვენებლების დადგენის მიმართულებით (იხ. ცხრილი 2).

ტერიტორიის 1 კვ. კილომეტრში გათვლილი საერთო-ეკონომიკური კრებსითი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ სამეურნეო საქმიანობის რეგიონული სიმჭიდროვის რეალური სურათი, განვსაზღვროთ ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური აქტიურობის დონე. რეგიონების მაჩვენებლების შეპირისპირებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ფარდობითი სიდიდეები – ინდექსები, რომლებიც გამოხატავენ რეგიონის მაჩვენებლის გადახრას ქვეყნის საშუალო სიდიდესთან (100 პროცენტი) მიმართებაში. გათვლები ადასტურებს პირდაპირ კავშირს რეგიონის ტერიტორიების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხისა და სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის მაჩვენებლებს შორის. ტერიტორიის ეკონომიკური აქტიურობისა და დასახლების მაღალი კოეფიციენტების არსებობის პირობებში (მაგალითად, ქ. თბილისი), აგრეთვე მაღალია ინვესტიციების, მთლიანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ტრანსპორტით უზრუნველყოფის ინდექსები.

ტერიტორიების ათვისების (გამოყენების) ეფექტიანობის დონის დადგენა (განსაზღვრა), ჩვენი აზრით, წარმოადგენს საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიის შემუშავება-რეალიზაციის ამოსავალ პოზიციას. ვინაიდან ამ მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკის ფუნქციონირებაში არსებული წინააღმდეგობები, გამოვაჯლინოთ მათი

საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის რეგიონული მაჩვენებლები
(1 კვ. კმ-ზე პროცენტებში საშუალოდ საქართველოში)

	ტერიტორიის ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი % -ად მილიონ ტერიტორიაში	სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვე			
		დასახლებულთა კაცი	ინვესტიციები (1993-2003 წ.წ.) ათ. ლარი	მწეველობისა და სოფლის მეურნეობის ერთობლივი პროდუქტები (ათ. ლარი)	საავტომობილო და სარკინო გზების გახეხილობა (სიგრძე) კმ-ში
ქ. თბილისი	70,3	3175	1103,3	1470,0	0,703
აფხაზეთის არ					
აჭარის არ	96,6	128	16,5	43,21	0,004
სამეგრელო-ზემო-სვანეთის მხარე	87,3	63	1,5	32,50	0,003
გურიის მხარე	88,8	66	2,82	59,05	0,008
რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	96,9	11	0,01	18,18	0,002
იმერეთის მხარე	97,6	114	3,62	71,1	0,010
შიდა ქართლის მხარე	88,7	75	0,41	39,30	0,005
მცხეთა-მთიანეთის მხარე	89,1	20	0,07	20,83	0,004
კახეთის მხარე	96,1	35	0,46	29,63	0,005
ქვემო ქართლის მხარე	95,0	83	2,78	46,41	0,005
სამცხე-ჯავახეთის მხარე	95,5	34	0,00	23,61	0,006

დაძლევის ორიენტირები და მთლიანობაში რეგიონების დიფერენციაციის თვალსაზრისით შევქმნათ ის რეალური სურათი, რომლის ადეკვატურადაც შემუშავებული და გატარებული კონკრეტული ღონისძიებები ხელს შეუწყობს რეგიონების ეკონომიკური ათვისების (გამოყენების) ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს რეგიონების პერსპექტიული განვითარებისა და მათი ღონეების გამოთანაბრების ამოცანების გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალური განლაგების პრობლემა. მხედველობაში გვაქვს რეგიონების რაციონალური სპეციალიზაციის დასაბუთება, სტრუქტურული გარდაქმნები, რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება, შიგა და მსოფლიო ბაზრის კონონქტურის შესწავლა და სხვ.

რეგიონების სოციალური მდგომარეობის ანალიზის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტორს წარმოადგენს მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტის გათვლა. აღნიშნული გათვლა კი შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{ფ}} = 1 - \frac{\sum_i H + H_{\text{უ}}}{H_{\text{პ}}}$$

სადაც: $K_{\text{ფ}}$ – მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტი;

i – მოსახლეობის ჯგუფების რაოდენობა დასაქმების ნიშნის მიხედვით;

H – მოსახლეობის რაოდენობა დასაქმების არახელსაყრელი პირობებით;

$H_{\text{უ}}$ – მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შედგება უმუშევარი მოქალაქეებისაგან;

$H_{\text{პ}}$ – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.¹

ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ მოსახ-

¹ ბარათაშვილი ე., ვეშაბიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ. შპს „ვერქი“, 2002, გვ. 255-256.

ლეობის დასაქმების ეფექტიანობა განპირობებულია ორი ძირითადი მოქმედებით; დასაქმების არახელსაყრელი პირობების მინიმიზაციით და უმუშევრობის შემცირებით. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი გაანგარიშებები, რომლის შედეგების მიხედვითაც ქ. თბილისში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 0,57, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 0,57, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში – 0,38, გურიის მხარეში – 0,44, იმერეთის მხარეში – 0,51, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მხარეში – 0,44, შიდა ქართლის მხარეში – 0,45, კახეთის მხარეში – 0,47, ქვემო ქართლის მხარეში – 0,55, ხოლო სამცხე-ჯავახეთის მხარეში – 0,45.⁶ როგორც გათვლებით დასტურდება ქ. თბილისის, აჭარის არ-ას, იმერეთისა და ქვემო ქართლის მხარეებს, გააჩნიათ შედარებით მაღალი მაჩვენებლები, აქედან გამომდინარე კიდევ უფრო არგუმენტირებულად შეიძლება დაბალი სოციალური მაჩვენებლებით დამახასიათებელი რეგიონებისათვის შესაბამისი პრიორიტეტების გამოკვეთის ფონზე, სათანადო მასტიმულირებელი (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოთანაბრების თვალსაზრისით) ღონისძიებების გატარების აუცილებლობის დასაბუთება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებზე მსჯელობისას პროფესორი რ. გაჩეჩილაძე სამართლიანად აღნიშნავს:⁷ „აფხაზეთში ეთნიკური წმენდის შედეგად დევნილების (განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის) სოციალური ადაპტაცია ქალაქებში (მათი ღროებითი განსახლების ადგილებში) რთულია. დასაქმების ძირითად სფეროდ მათ ექცათ წვრილი ვაჭრობა ქუჩებსა და ბაზრობებზე სხვადასხვა ღროებითი, ნაკლებკვალიფიციური სამუშაო. მათი მშობლიურ კერაზე დაბრუნება საქართველოს უმნიშვნელოვანესი

⁶ გაანგარიშებები ჩატარებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

⁷ გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, საღისკუსიო წერილების სერია, №1, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა – საქართველო, თბილისი, 1997, გვ. 58.

პრობლემაა“.

მთლიანობაში კი საქართველოს შიგა მიგრაციის პრობლემებსა და დამახასიათებელი ტენდენციების გაანალიზების კვალობაზე, ზემოთ დასახელებული ავტორი, აკეთებს მნიშვნელოვან განზოგადებულ დასკვნას, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ. კერძოდ: ყველაზე მეტად ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა სამრეწველო ქალაქები და ის მცირე ქალაქები და მათი მიმდებარე სოფლები, რომლებისთვისაც დასაქმებას იძლეოდა მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი-ორი დიდი საწარმო. ამ რეგიონების ათიათასობით უმუშევარმა დიდ ქალაქებს მიაშურა, განსაკუთრებით თბილისს. იქ კი, მართალია, დასაქმების მეტი საშუალებაა, ვიდრე მცირე ქალაქებში, მაგრამ ნაკლებ კვალიფიციურ შრომის ბაზარზე ყველა ნიშა უკვე დაკავებულია ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულების ფაქტობრივი უმუშევრებით ან აფხაზეთიდან დევნილების მიერ“¹.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მთიანი რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინება. საქართველოში მთიანს განეკუთვნება დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ჯავის (შიდა ქართლის მხარე), ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ცაგერის, ამბროლაურის, ლენტეხის, ონის (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მესტიის (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ქედის, შუახევის, ხულოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) რაიონები.²

მთის რაიონის მოსახლეობის ხვედრითი წონა საერთო მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენს. მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლების წარმოებაში მთის რაიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქვეყნის საერთო მაჩვენებლებს (1990 წ.

¹ გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, სადისკუსიო წერილების სერია, №1, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა – საქართველო, თბილისი, 1997, გვ. 58.

² იქვე.

მონაცემებით 1,7-ჯერ).¹ ამასთან, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მონაცემები და განზოგადებები გვაძლევს იმის არგუმენტირებულ საფუძველს, რომ ამ მაჩვენებლის დღეისათვის უფრო მეტი კონტრასტულობა (ზრდა) უნდა ვივარაუდოთ.

აღნიშნული პრობლემების გარკვეულწილად შეზღუდვის თვალსაზრისით მიღებულ იქნა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა სერიოზული შეღავათიანი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა მაღალმთიანი რეგიონებში. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის სფეროში არსებულმა კრიზისმა შეუძლებელი გახადა მათი ამოქმედება და აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ამ რეგიონებში არსებული ვითარების გამოჯანსაღება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ არსებული პირობების გათვალისწინებით მიზანშეწონილია (აუცილებელია) ხსენებულ კანონში ასახული სამართლებრივი ნორმების სრულფასოვანი ამოქმედებისათვის გადადგმულ იქნას შესაბამისი ნაბიჯები, რამაც, უწინარეს ყოვლისა, კანონის რეალიზაციის ინსტრუმენტარიუმის სრულყოფის კვალობაზე მისი განუხრელი მოქმედება უნდა განაპირობოს.

საბოლოო ჯამში, ჩვენს მიერ ზემოთ გაანალიზებული საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონული ასიმეტრია შესაძლებელია გაცნობიერებულ იქნას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორი. ამდენად, ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისპროპორციების ნიველირება უნდა განისაზღვროს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერიტორიული ერთეულების შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

¹ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ტომი I, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 1997, გვ. 301.

11. რეზიონული ეკონომიკური ინტერესები და მათი რეპულირების მმქანიზმები

ნებისმიერ საზოგადოებრივ ფორმაციაში, მისი განვითარების წამყვან ფაქტორებს შორის, განიხილავენ ეკონომიკური ინტერესების ფორმირებისა და რეალიზაციის პრობლემას. ამდენად, ლოგიკურია ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის შემსწავლელი მეცნიერული მიმართულებები ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ამჟამადაც უთმობენ ამ პრობლემატიკის კვლევას.

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე შექმნილ საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ მთელ რიგ ფილოსოფიურ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომებში და დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა „კეთილშობილი“ (გაბატონებული) კლასის (ფენის) ინტერესების დაცვას, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის რანგში იყო აყვანილი.¹

XVI-XVII საუკუნეებში პოლიტიკური ეკონომიკის სკოლის პირველმა წარმომადგენლებმა, მერკანტილისტებმა სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების პრობლემები ძირითადად ძვირფასი ლითონების დაგროვებასა და საგარეო ვაჭრობის განვითარებას დაუკავშირეს.²

ინტერესების პრობლემა ზედმიწევნით იქნა შესწავლილი ფრანგი მატერიალისტებისა (XVIII საუკუნე) და ისტორიკოსების (XIX საუკუნე) მიერ. ისინი საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებად ინტერესებს აღიარებდნენ. ერთი მხრივ,

¹ მაგალითად: მეფე ჰაბურაბის (ჩვ. წ.-მდე 1792-1750 წწ.) კოდექსი; კონფუციის (ჩვ. წ.-მდე 551-479 წწ.) სწავლება – „კონფუციანელობა“, კაუტილია (ჩვ. წ.-მდე IV-III საუკუნეები) – ტრაქტატი „ართამასტრა“; პლატონი (ჩვ. წ.-მდე 427-347 წწ.) – „პოლიტიკა თუ სახელმწიფო“ და სხვ.

² Хрестоматия по экономической теории, составитель Е.Ф.Борисов, М.: Юрист, 2000 с. 8-13.

მიჩნევენ, რომ ინტერესების ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენს საზოგადოების „ეკონომიკური სტრუქტურა“, ხოლო მეორე მხრივ ადამიანური ფაქტორი.

მაგალითად, გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოს-მატერიალისტი ჰელვეციუსი ინტერესს „ყოველსაშემძლე ჯადოქრად“ მიჩნევდა. ინტერესების ცვალებადობას იგი უკავშირებდა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას და მის საფუძველზე წმინდა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების ზრდას.¹

აღნიშნულ შეხედულებებს იზიარებდნენ ისტორიკოსები გიზო, ტერრი და მინე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი მოძრაობა მიმართულია ყოფითი ინტერესების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევაზე.²

პ. გოლბახი ინტერესს ნებისმიერი ადამიანის ბედნიერების მიღწევისათვის აუცილებელ ატრიბუტად მიჩნევდა.³

ფაქტობრივად, „ინტერესზე“ როგორც კატეგორიაზე აავო თავისი კონცეფცია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის გამოჩენილმა წარმომადგენელმა ა. სმიტმა. ამ კონცეფციის მიხედვით, ადამიანების მოტივაციის (საქმიანობის გააქტიურების) მამოძრავებელი ძალაა პირადი ინტერესები. კერძოდ, ნებისმიერი ინდივიდი თავის ქმედებაში საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს: როგორც მომხმარებელი – ცდილობს რაციონალური მოქმედებით მაქსიმალურად გაზარდოს სარგებლიანობა, ხოლო როგორც მეწარმე-მოგება (homo economicus).⁴

ფრანგმა ეკონომისტმა ფ. ბასტიამ შეიმუშავა „ეკონომიკური ჰარმონიის“ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დაქირავებულთა და

¹ Гелвещий К.А., Об уме, изд.: Соцэкгиз, 1938, с. 34-42.

² Радаев В.В., Экономические интересы при социализме, Изд. Московского университета, 1971, с. 63.

³ Голбах П.А., Избранные философские произведения, изд. Соцэкгиз, т. 1., 1963, с. 311.

⁴ Классики менеджмента, под редакцией Мальюльма Уорнера, Энциклопедия, Питер, БК, 2001, с. 721-729

დამქირავებელთა ინტერესების ჰარმონიზაცია უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობების ჩამოყალიბებას.¹

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ინტერესების ბუნების განსაზღვრა, მისი თავისებურებათა გამოვლენა და რეალიზაციის პირობების უზრუნველყოფა მარქსისტული პოლიტიკონომიკური თეორიის ამოსავალ ღირებულებას წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც კლასობრივი ინტერესების დაძლევა მხოლოდ პროლეტარული რევოლუციით იქნებოდა შესაძლებელი.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირებდნენ მოთხოვნილებებს და ინტერესებს. საზოგადოებრივი განვითარების ზოგად კანონზომიერებაზე საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ საზოგადოება უპირატესად დაფუძნებულია არა კანონებზე (ეს იურისტების ფანტაზია), არამედ კანონი უნდა იყოს დაფუძნებული საზოგადოებაზე და გამოხატავდეს მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების რეალიზაციის საშუალებებს. ხოლო მოთხოვნილებებს, როგორც ინტერესების ფორმირების ობიექტურ საფუძველს, უწინარესად განიხილავდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების კონტექსტში და საერთო ინტერესს მიიჩნევდნენ სამოქალაქო საზოგადოების წევრების მდგრადი და ურთიერთსასარგებლო კავშირის უზრუნველყოფ კმედით ინსტრუმენტად.²

ეკონომიკური ინტერესების ფორმირებისა და რეალიზაციის პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ეკონომიკური თეორიებიც.³ მაგალითად, „საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის“ მეცნიერული აპარატი მიმართულია იმ ინსტრუმენტარუმი შესწავლა-შემუშავებაზე, რომლის პრაქტიკული რეალიზაციის პირობებში მოსახლეობას შეეძლება სამთავრობო დაწესე-

¹ Хрестоматия по экономической теории, составитель Е.Ф.Борисов, М.: Юрист, 2000 с. 22-27.

² Маркс К. Энгельс Ф., Сочинения, Т. II, ст. 134.

³ Нурсев Р., Теория общественного выбора, ж. экономики, 1996, №7, ст. 130.

ბულებების თავისი კერძო ინტერესების რეალიზაციისათვის გამოყენება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, კატეგორია „ეკონომიკური ინტერესი“ უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივი (მ.შ. ეკონომიკური) ურთიერთობების განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებული მატერიალური მოთხოვნების რეალიზაციის გამოხატვის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ფორმა.

ეკონომიკური ინტერესების სუბიექტების რანჟირება შეიძლება შემდეგი სახით:

1. სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები;
2. რეგიონის ეკონომიკური ინტერესები;
3. ფირმის ეკონომიკური ინტერესები;
4. ინდივიდის ეკონომიკური ინტერესები.

რეგიონული ეკონომიკური ინტერესების ფორმირებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, პრაქტიკულად, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მიღმა დარჩენილი.

ჩვენი ძირითადი მიზანი რეგიონული ეკონომიკური ინტერესების გამოკვლევაა, ამიტომ ეკონომიკური ინტერესების დანარჩენი სუბიექტების თავისებურებათა გაანალიზებას არ შევეცდებით (მით უმეტეს, რომ ამ კუთხით გარკვეული სახის განზოგადებები წინა გვერდზეა მოცემული).

განსხვავებული რანგის ტერიტორიების, როგორც მართვის სუბიექტების გამოყოფის ობიექტური საფუძველი უკავშირდება იმ ფაქტორს, რომ საზოგადოებრივი კლავწარმოების ყველა სტადიას (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება) გარკვეული (განსაზღვრული) სივრცობრივი საზღვრები გააჩნია, რომელიც განსხვავდება წარმოებისა და მომსახურების ფორმების მიხედვით. ეროვნულ მეურნეობაში კლავწარმოებითი ციკლები მათი გამოვლენის არეალის მიხედვით შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგი სახით: ეროვნული საზღვრების მქონე; მსხვილი ეკონომიკური რაიონის ფარგლებში; ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნის ჩარ-

ჩოებში; ლოკალური (მუნიციპალური)¹.

ეკონომიკურ, ფინანსურ, ინვესტიციურ და სხვა სახის პროცესებში მონაწილე რეგიონული სუბიექტების ინტერესები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივ ხასიათს იღებენ. ამგვარად, საზოგადოებრივი კვლავწარმოების სიერცობრივი ასპექტების რეგულირების მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ მიმართულებით გარკვეული ბალანსის მიღწევა (ინტერესების შეთანაწყობა), რა დროსაც ცალკეული სუბიექტების ინტერესების გარკვეულწილად შეზღუდვა პრაქტიკულად გარდაუვალია.

რეგიონული ეკონომიკის სუბიექტების ინტერესებისა და მიზნების შეთანაწყობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპილვარი ამ სუბიექტების ინტერესების ანალიზია, რისი საშუალებითაც შესაძლებელია მათი ინტერესთა თანხვედრის, წინააღმდეგობების, კონფლიქტურობისა და სხვა ხასიათის თავისებურებათა გამოვლენა.

ცხრილი 1-ში მოცემულია კვლავწარმოებით პროცესში მონაწილე სხვადასხვა რეგიონული სუბიექტების ინტერესების მატრიცის აგების ცდა. მატრიცის ელემენტები საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ იმ სუბიექტთა წრე, რომელთა ინტერესებიც წარმოებული პოლიტიკის პირობებში გატარებულ ღონისძიებების ფარგლებში ერთმანეთს ემთხვევა.

საგულისხმოა, რომ „ცენტრისა“ და „რეგიონის“ ურთიერთობებში საქართველოს სინამდვილეში არც თუ ისე იშვიათია მათი ინტერესების წინააღმდეგობაში მოსვლა. მაგალითად, პროფესორი ვლ. პაპაეა² აანალიზებს რა საგადასახადო ფედერალიზმის აქტუალურ საკითხებს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ურთიერთობების კონტექსტში, აღნიშნავს რომ, როცა ფედერაციის

¹ Маршалова А.С., Новоселов А.С., Основы теории регионального воспроизводства, М.: Экономика, 1998, с. 162.

² პაპაეა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., „პლპ“, 2002, გვ. 272-273.

„საგადასახადო ინტერესები“ საერთო-სახელმწიფო „საგადასახადო ინტერესებისაგან“ სრულად იქნება იზორილებული, ეს ფულერაციული სახელმწიფოს მთლიანობაზე უარყოფითად აისახება. აქედან გამომდინარე ხსენებული მიდგომის გამოყენებას საგადასახადო უფლებამოსილებათა გამოიჯენაში მან „საგადასახადო სეპარატიზმის დოქტრინა“ უწოდა.

საქართველოში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და ეფექტიანი რეალიზაციის მნიშვნელოვან წინაპირობას რეგიონების ეკონომიკური ინტერესებისა და მათი გამოვლინებების თავისებურებათა საფუძვლიანი შესწავლა წარმოადგენს. რეგიონული ეკონომიკური ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება კვლავწარმოების ეფექტიანი პირობების შექმნას. ჩვენი აზრით, შიგარეგიონული მოხმარების მოცულობა გვევლინება კვლავწარმოების ახალი ციკლისათვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად. ასევე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს რეგიონის კვლავწარმოებით პროცესებზე, რეგიონული დაგროვების მოცულობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დაისვას შემდეგი სახის ლოგიკური კითხვა. რამდენად მართებულია რეგიონის დონეზე საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობაში (კვლავწარმოებით პროცესში) ამ ორი მიმართულების ჩართვა? ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია, თუ რეგიონის დონეზე სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას განვიხილავთ როგორც გაფართოებულ კვლავწარმოებას.

ამის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია, ვისაუბროთ რეგიონის ინტერესების ამსახველ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდე (რეგიონის დონეზე), რაც შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$R_{\text{აა}} = R_{\text{წა}} - B_{\text{ა}} + B_{\text{ტა}}$$

სადაც $R_{\text{აა}}$ – რეგიონის ინტერესების ამსახველი სოციალურ-

ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდეა, რომელიც შიგა რეგონული მოხმარების მოცულობას უდრის;

$R_{\text{წ}} -$ რეგიონში შექმნილი წმინდა პროდუქტია, რომლებიც წარმოადგენს სხვაობას მთლიანი რეგიონული პროდუქტისა და რეგიონში საამორტიზაციო ანარიცხების ჯამისა;

$B_{\text{ს}} -$ რეგიონის ანარიცხები, რომელიც მიემართება ცენტრალურ ბიუჯეტში;

$B_{\text{ტ}} -$ რეგიონზე ცენტრალური ბიუჯეტიდან განხორციელებული ტრანსფერტები.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შიგარეგონული მოხმარების მოცულობის თანაფარდობით მიმდინარე დანახარჯებთან შეიძლება კვლავწარმოებისათვის ჩამოყალიბებული პირობების ილუსტრირება, რისი უზრუნველყოფაც რეგიონის ეკონომიკური ინტერესების ძირითადი მიზანია. ამგვარად, შეიძლება ვისაუბროთ რეგიონის ინტერესების ამსახველი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშებაზე, რომელიც შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოვსახოთ:

$$R_{\text{სგ}} = \frac{R_{\text{წ}}}{R_{\text{წგ}}}$$

სადაც $R_{\text{სგ}} -$ რეგიონის ინტერესების ამსახველი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებელია;

$R_{\text{წგ}} -$ რეგიონში კვლავწარმოებით პროცესებზე მიმდინარე დანახარჯები.

აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებით, ჩვენი აზრით, შეიძლება მივიღოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების) ეკონომიკური ინტერესების ამსახველი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის დონის საკმაოდ ნათელი და ობიექტური სურათი, რაც ხელს შეგვიწყობს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სწორი ორიენტირების განსაზღვრისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის დისპროპორციების მინიმუმამდე დაყვანის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკური

ორგანოების დოკუმენტებში რეგიონული ანგარიშების სისტემა საკმაოდ მოკრძალებულად არის წარმოდგენილი, ეფიქრობთ, რომ ამ მაჩვენებლის გაანგარიშებით (პერსპექტივაში მაინც) სეროიზული ნაბიჯი გადაიდგმება რეგიონების ეკონომიკური ანალიზის სრულყოფისაკენ.

ყოველივე ზემოთ გაანალიზებულის ფონზე, ჩვენი აზრით, საქართველოს თანამედროვე პირობებში მეტ აქტუალურობას იძენს რეგიონული ეკონომიკური ინტერესების რეგულირების სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფის ამოცანა.


უწინარეს ყოვლისა, ის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ქვეყნის, მისი რეგიონებისა თუ ცალკეული პიროვნებების ინტერესების რეალიზაციისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას, უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის ძირითადი მოთხოვნებიდან. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს რეგიონული მოწყობის საკითხები თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის კონსტიტუციის ყურადღების მიღმა დარჩენილი, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად აფერხებს ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას.

ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების განვითარების თვალსაზრისით, საეტაპო მნიშვნელობის იყო 1998 წელი, ვინაიდან ამ წელს ჩატარებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებმა საფუძველი ჩაუყარა მმართველობის დეცენტრალიზაციასა და ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის უფლებამოსილებათა ოპტიმალური გამოყენების პროცესს. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ორგანულმა კანონმა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ქვეყნის რეგიონებში თვითმმართველობის განხორციელების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები, ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2001 წელს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის განხორციელების

მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფის მიმართულებით განხორციელდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ადგილობრივი და ქვეყნის საერთო ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობას ისახავდა მიზნად.

რეგიონის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მნიშვნელოვანი მექანიზმი ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების პრობლემის გადაწყვეტაა. ჩვენი აზრით, სერიოზულ დახვეწას საჭიროებს ე.წ. „სპეცტრანსფერტების“ მოცულობების განსაზღვრისა და განაწილების ამჟამად მოქმედი პროცედურა, რომელიც, ფაქტობრივად, იგნორირებას უკეთებს ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარჯების პროგრამული დაფინანსების პრინციპების საფუძველზე განხორციელებას.

როდესაც ჩვენი ქვეყნის ცენტრსა და რეგიონებს შორის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ასპექტებს ვაანალიზებთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ალორმინების ხანის გამოჩენილი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული იტალიელი შემოქმედის ლეონარდო და ვინჩის მეთოდოლოგიური მიდგომის – „ოქროს პროპორციის“ – გამოყენება, რაც ჩვენი აზრით, გარკვეული სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.



პრაქტიკა გვიჩვენებს და სამეცნიერო გამოკვლევები ადასტურებს, რომ ტექნიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, ფერწერის, არქიტექტურისა თუ სხვა სფეროებში სისტემის მდგრადობასა და ჰარმონიულობას უზრუნველყოფს ამ სისტემის ელემენტთა შორის „ოქროს პროპორცია“ ანუ მათი ისეთი მდგომარეობა,

რომელიც „ოქროს კვეთის“ წესს შეესატყვისება. ეს პროპორცია გულისხმობს სისტემის უთანაბრო გაყოფას ორ ნაწილად, რომელთა შორის თანაფარდობაა:

$$1 = 0.618 + 0.382$$

უფრო ადვილი დასამახსოვრებელი რომ იყოს, შეგვიძლია ავიღოთ ციფრები:

$$1 = 0.62 + 0.38 \quad (100\% = 62\% + 38\%)$$


$$\text{ან, ციფრები } 1 = 2/3 + 1/3$$

ფერწერის, ქანდაკების, არქიტექტურის შედეგებში, მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებში მანვე უწოდა ამ პროპორციას „ოქროს კვეთი“. შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ოქროს კვეთის“ პროპორცია მხოლოდ სკულპტურულ შედეგებსა და მატერიალური კულტურის სხვა ნიმუშებში კი არ „მუშაობს“, არამედ ბუნებისა და საზოგადოების თითქმის ყველა სფეროში და ამიტომ იგი ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს.

ჩვენს დროში „ოქროს პროპორციის“ კანონის მიმართ ინტერესი ახალი ძალით იწყებს ზრდას. მუსიკათმცოდნეობის სფეროს მრავალ ნაშრომში ხაზს უსვამენ მოცარტის, ბახის, შოპენის, ბეთჰოვენის, ეიზენშტეინის და სხვათა ნაწარმოებების კომპოზიციაში „ოქროს პროპორციის“ არსებობას. აკადემიკოსმა წერეთელმა დაადგინა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსის ჰარმონია ამავე წესს არის დაქვემდებარებული. მაგრამ „ოქროს კვეთის“ კანონის მოქმედება სულ უფრო საცნაური ხდება არა მხოლოდ ხელოვნების ან ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის ან არქიტექტურის, ქანდაკების ან მუსიკის, არამედ ეკონომიკურ, სოციალურსა და ბიზნესის მართვის სფეროებშიც.

„ოქროს პროპორციის (გადაკვეთის)“ ქვეშ ლეონარდო და ვინჩი გულისხმობდა AC მონაკვეთის გაყოფას იმგვარად, რომ მისი დიდი ნაწილის (იხ.ნახაზი 1) AB-ს თანაფარდობა მცირე ნაწილთან BC-თან უთანაბრდება მთლიანად AC მონაკვეთის თანაფარდობას AB-თან ანუ $AB:BC=AC:AB$. ეს თანაფარდობა კონკრეტული ციფრების

სახით უდრის 5/3, 8/5, 13/8 და ა.შ. საბოლოოდ კი ვლებულობთ კონსტანტას, რომელიც 1,6 ტოლია!



ნახაზი 1. ლეონარდო და ვინჩის „ოქროს პროპორციის“ ილუსტრაცია.

აღნიშნული დამოკიდებულება მათემატიკის გარდა ფართოდ გამოიყენება არქიტექტურაში, სახვით ხელოვნებაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მისი გამოყენება ეკონომიკური სისტემის მდგრადობის შესაფასებლადაც შეიძლება. ამგვარი სტატისტიკური სიმეტრიის გამოყენება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ საზოგადოებრივი ფორმაციების მდგრადი განვითარების თავისებურებები და კანონზომიერებები, რაც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზის ახალ, ფართო შესაძლებლობებს ავლენს.²

წინამდებარე გამოკლევაში, აღნიშნული მიდგომის გამოყენების საფუძველზე, ჩვენ შევეცდებით ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გადასარიცხი ტრანსფერების (დაჯამებულია რეგიონების მიხედვით) მოცულობების გაანალიზების საშუალებით, ჩამოვავალიბოთ და განვაზოგადოთ საქართველოს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების თავისებურებები, ტენდენციები და აქტუალური საკითხები.

კერძოდ, განვიხილოთ აღნიშნული 2002 წლის მაგალითზე. ლეონარდო და ვინჩის AC მონაკვეთის სიდიდე ტოლი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში 2002 წელს გადასარიცხი

¹ Настенку А.Д., Васина Т.Б., Прогнозирование отраслевого и регионального развития, М.: «Гелиос АРВ,» 2002, с.123.

² Азроянц Э., Колмаков И., Харитонов А., Закономерности самоорганизации социально-экономических процессов-правила игры, М.: Институт макроэкономики при Мин.экономике РФ, 1995, с. 124.

ტრანსფერტების მოლიანი მოცულობისა ანუ $AC=55807,0$ ლარი. ხოლო ცალკეული რეგიონის მიხედვით გადასარიცხი ტრანსფერტები ანუ BC კონკრეტულ შემთხვევაში მიიღებს განსხვავებულ სახეს. მაგალითად, გურიის მხარეში 2002 წელს $BC=3603,0$ ათას ლარს, ხოლო AB კი $52204,0$ ათასი ლარის ტოლი იქნება. ამ პრინციპის მიხედვით, ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შესაბამისი გაანგარიშებები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილი №2 სახით.

ცხრილის ანალიზი ადასტურებს და არც ჩვენ გვეჩინა იმის ილუზია, რომ „ოქროს პროპორციის“ პრინციპი დაცული იქნებოდა საქართველოს რეგიონებზე 2002 წელს გადასარიცხი ტრანსფერტების მოცულობასთან მიმართებაში და უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში სულაც არ არის საჭირო „ოქროს პროპორციის“ დაცვა (ანუ კოსტანტას – 1,6 მიღება ყველა რეგიონის მიხედვით) და, ალბათ, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება იგი სიზუსტით დაცული. მაგრამ ლეონარდო და ვინჩის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ჩვენ მიერ გაანგარიშებების ჩატარების ძირითადი არსი ისაა, რომ გამოგვეკვეთა სატრანსფერტო პოლიტიკის თავისებურებები, რეგიონების დაფინანსებაში არსებული დისპროპორციები და ის ზოგადი ტენდენციები, რომელიც ამ პროცესებს ახასიათებს.

ჩატარებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ „ოქროს პროპორციასთან“ ყველაზე მეტად მიახლოებული მაჩვენებლები აქვთ იმერეთისა (1,25 და 3,9) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (1,18 და 5,39) რეგიონებს. საგრძნობლად ირღვევა ეს „პროპორცია“ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (1,05 და 18,5), მცხეთა-მთიანეთის (1,066 და 15,09), აგრეთვე, გურიის (1,06 და 14,4) რეგიონების მაგალითებზე. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მდგომარეობა ამ კუთხით (1,01 და 97,5) საერთოდ სცდება, ალბათ, ლოგიკური გაანალიზების შესაძლებლობის ფარგლებს (რა თქმა უნდა ნეგატიური კუთხით). აქვე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ რეგიონებში გადასარიცხი ტრანსფერტების ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშება სულ სხვა სურათს გვაძლევს (ისევ აჭარის ა.რ. მაგალითის გამოკლებით, სადაც ეს მაჩვენებელი – 1,7 ლარს უტოლდებოდა 2002 წელს). ასე

საქართველოს რეგიონებში 2002 წელს გადასარიცხი ტრანსფერტები ლეონარდო და ვინჩის „ოქროს პროპორციის“ პრინციპის მიხედვით.

რეგიონები	ტრანსფერტები სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით ანუ - BC (ათასი ლარი)	სხვაობა ტრანსფერტების მთლიან მოცულობასა (AC) და რეგიონებზე გათვალისწინებულ ტრანსფერტებს (BC), შორის ანუ - AB (ათასი ლარი)	„ოქროს პროპორციის“ მაჩვენებლები	
			AC:AB	AB:BC
1	2	3	4	5
აფხაზეთის ა.რ.	5046,0	50761,0	1.09	10,0
აჭარის ა.რ.	566,0	55241,0	1.01	97,5
ქ. თბილისი				
კახეთი	6181,0	49626,0	1.12	8,02
იმერეთი	11210,0	44597,0	1.25	3,9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8731,0	47076,0	1.18	5,39
შიდა ქართლი	4338,0	51469,0	1.08	11,8
ქვემო ქართლი	4068,0	51739,0	1.07	12,7
გურია	3603,0	52204,0	1.06	14,4
სამცხე-ჯავახეთი	5736,0	50071,0	1.11	8,7
მცხეთა-მთიანეთი	3467,0	52340,0	1.066	15,09
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2861,0	52946,0	1,05	18,5

სულ საქართველოში 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი რეგიონებზე გადასარიცხი ტრანსფერტების მოცულობა (AC) – 55807,0 (ათ. ლარი)

მაგალითად, თუ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ზემოაღნიშნული „ოქროს პროპორციის“ მაჩვენებლით უარყოფითად ხასიათდებოდა, ერთ სულ მოსახლეზე ტრანსფერტის მოცულობით უდავოდ ლიდერი რეგიონია (55,2 ლარი), ხოლო იმერეთი კი პირიქით (16,6 ლარი) და ა.შ.

ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ, პრაქტიკულად მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში წარმოებული საბიუჯეტო პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი სპექტრი, როგორცაა ტრანსფერტების მოცულობათა განსაზღვრა და გადაცემა რეგიონებზე, ფაქტობრივად, შესაძლებელია არაეფექტურად ჩავთვალოთ. შესაბამისად, ამ კუთხით საჭიროა გარკვეული ხასიათის მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავება, რაშიც ე.წ. „ოქროს პროპორციის“ მიდგომის გამოყენებაც არის შესაძლებელი.

ამასთან ნიშანდობლივია, რომ აჭარისა და აფხაზეთის გარდა, საქართველოს არცერთი რეგიონის დონეზე ბიუჯეტი არ დგება (ამას არ ითვალისწინებს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა), რაც კიდევ უფრო ართულებს რეგიონების მიხედვით შესაბამისი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას.

საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგიონული ასპექტების გაანალიზებისას, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფაქტორს. ამ მიმართულებით კვლევისას რუსი მეცნიერები ე. შტულბერგი და ვ. ვედენსკი გეთავაზობენ რეგიონის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებლის ($K_{სვ}$) გაანგარიშებას შემდეგი ფორმულით:¹

$$K_{სვ} = \frac{(D_a + \Pi)}{(P_b + B_{სვ})}$$

სადაც, D_a – მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მთლიანი

¹ Штудльберг Е.М., Введенский В.Г., Региональная политика России, М.: „ГЕЛИОС АРВ“, 2000, с. 198.

მოცულობა; Π – საწარმოთა მოგება; P_4 – რეგიონული ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობა; B_{18} – რეგიონული ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებია.

აღნიშნული მაჩვენებლის საქართველოს რეგიონების მიხედვით გაანგარიშებით, შესაძლებელია გამოვავლინოთ ტერიტორიების ღონეებს შორის არსებული დიფერენციაციის თავისებურებები და ტენდენციები, მათი სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონტექსტში. აქედან გამომდინარე კი შესაძლებლობა მოგვეცემა დავსვათ სწორი (ობიექტური) აქცენტები, რაც, თავის მხრივ, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული მიდგომის გამოყენებით, ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა შესაბამისი გათვლები საქართველოს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებლების გაანგარიშების მიმართულებით (იხ. ცხრილი 3) გათვლებმა აჩვენა, რომ საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (152,9) ქ. თბილისი, შიდა ქართლისა (67,0) და ქვემო ქართლის(69,7) რეგიონები, აგრეთვე, აჭარის ა.რ. (42,1) გამოირჩევიან. საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით მცხეთა-მთიანეთის რეგიონი (12,1) ხასიათდება.

აღნიშნული ანალიზით პრაქტიკულად შესაძლებელია საქართველოს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური განვითარების, მდგომარეობისა და თვითმყოფადობის მიმართულებით გარკვეული აქცენტების გაკეთება, რაც, ჩვენი აზრით, უდავოდ მნიშვნელოვანი და პრინციპული ორიენტირია არა მარტო ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობებისა და საფინანსო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით, არამედ მთლიანად რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გზების განსაზღვრის, არსებული მდგომარეობის ანალიზის, დებარესიული რეგიონების გამოვლენისა და მთლიანობაში რეგიონული პოლიტი-

კის ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავების კუთხითაც.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფადამკვიდრების თვალსაზრისით, შესაძლებელია გარკვეული ღონისძიებების განხორციელება. იმ პირობებში, როდესაც შემოსავლე-

ცხრილი 3.

საქართველოს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებლები (2002 წ.)*

რეგიონები	К _{სედ} საფინანსო- ეკონომიკური დამოუკ. მაჩვენებ.	Д _ა მოსახლ. ფულადი შემოსავლ. მთლიანი მოცულობა (მლნ ლარი)	П საწარმოთა მოგება (ათასი ლარი)	Р _ბ რეგიონის ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობა (ათასი ლარი)	В _ს რეგიონის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლ. (ათასი ლარი)
აფხაზეთის ა.რ.	—	—	26,0	8700,5	2108,3
აჭარის ა.რ.	42,1	259,2	1021,5	107565,7	101406,0
ქ. თბილისი	152,9	930,0	38296,5	183007,0	176677,8
კახეთი	40,5	289,2	280,5	17703,7	10559,3
იმერეთი	—	—	777,0	36949,9	22783,7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	28,5	276,0	1566,0	23408,0	13700,0
შიდა ქართლი	67,0	260,4	254,0	11879,4	7992,5
ქვემო ქართლი	69,7	360,0	3845,5	28484,9	23271,8
გურია	22,0	93,6	175,0	7213,1	2954,8
სამცხე-ჯავახეთი	21,7	145,6	201,5	13344,6	6655,6
მცხეთა-მთიანეთი	12,1	60,0	543,5	10037,9	5060,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	—	—	284,5	4461,3	1367,1

* ცხრილი შედგენილია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

ბის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის მოქცეული საგადასახადო აღმინისტრირების სფეროში, ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებაში შეიძლება შემუშავდეს სტიმულირების სისტემა.

ასევე მეტად მნიშვნელოვან ორიენტირად შეიძლება იქნეს მიჩნეული და ვფიქრობთ, რომ საქართველოს პრაქტიკაშიც წარმატებით შეიძლება დამკვიდრდეს დეპრესიული რეგიონების გამოკვეთისა და მათთვის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის მეთოდური მიდგომა. ამ მეთოდური მიდგომის (დეპრესიული რეგიონების განსაზღვრის) ძირითად კრიტერიუმად გამოიყენება ბიუჯეტის ჯამში (Q) გასაველების გაანგარიშებითი გადაჭარბება შემოსავლებზე, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:¹

$$Q = \frac{P - D}{P} \times 100\%$$

სადაც P – სუბიექტების (რეგიონების) ბიუჯეტების სოციალური დანიშნულების ხარჯებია, რომელიც იზრდება საკრედიტო ვალდებულებებით, საბინაო-კომუნალური მეურნეობების სუბსიდიებით და სხვ.

D – სუბიექტების (რეგიონების) შემოსავლებია, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარების გათვალისწინებით, რომელიც იზრდება სუბიექტების ბიუჯეტების 20%-იანი დეფიციტის პირობებში;

Q-ს პროცენტულ მნიშვნელობაში უნდა ჰქონდეს დადებითი 0-ზე მაღალი მაჩვენებელი. გასაველების გაანგარიშებით გადაჭარბება შემოსავლებზე ან სოციალურ მუხლების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების უკმარისობის აბსოლუტური ჯამი უტოლდება P-D.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ისეთი პრინციპული საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა, როგორცაა ცენტრალურ ხელისუფლებასა

¹ Прогнозирование и планирование в условиях рынка, под редакцией Т.Г. Морозовой и А.В. Пиккулькина, М.: ЮНИТИ-ДАНА, 2000, с. 308.

და თვითმმართველობას შორის ქონებრივი ურთიერთობების პრობლემა. აუცილებლად უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე ადგილობრივი საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხები. სახეზეა მდგომარეობა, რა დროსაც ადგილობრივი საკუთრება ვერ ასრულებს მის ძირითად ფუნქციებს – ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ზრდა; დახვეწას მოითხოვს სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტების ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემის პროცედურა და ა.შ. აღნიშნული პრობლემები, ფაქტობრივად, მტყველებს იმაზე, რომ ილახება რეგიონის ეკონომიკური ინტერესები და დღის წესრიგში აყენებს არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსების აუცილებლობას.

რეგიონების (რაიონების) ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ერთგვარ, ტრადიციულ ფორმად პოსტკომუნისტურ საქართველოში ლობისტური საქმიანობის წარმართვა ჩამოყალიბდა. აქ მხედველობაში გვაქვს ლობისტური საქმიანობის წარმართვა არა საკანონმდებლო აქტის – „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ 1998 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, არამედ გარკვეული მერკანტილური ინტერესებით. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ არც თუ ისე იშვიათად მიღებულია გადაწყვეტილებები, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონის (რაიონის) ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისწინების პირობებში იგნორირებას უწევს სხვა ტერიტორიული ერთეულების ინტერესებს. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ბიუჯეტის მიღების პროცესი, როცა მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების ავტორიტეტსა და გავლენის დონის გათვალისწინებით ხდება მისი რაიონისათვის პრივილეგიის მინიჭება (რაც საბიუჯეტო ტრანსფერტის მოცულობაზე ამ სახსრების გამოყოფის დინამიკაზე და სხვა პირობებზე აისახება). აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, სახეზეა რეგიონის (რაიონის) ეკონომიკური ინტერე-

სების რეალიზაციის მანკიერი ფორმების დამკვიდრების ტენდენცია, რაც „უმრავლესობის“ ინტერესების იგნორირების ხარჯზე „უმცირესობის“ ინტერესების დაკმაყოფილებაში გამოიხატება. ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო აღრმავებს საქართველოში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის პრობლემას.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ რეგიონების ეკონომიკური ინტერესები რეალიზაციის პირობებში უწინარესად მორგებული უნდა იყოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს თვით ამ რეგიონების (რაიონების) ინტერესების დაბალანსირების უზრუნველყოფის პრობლემებს.

ათ წელზე მეტი გავიდა, რაც პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს. ეს სოციალისტური ეკონომიკის და ცენტრალიზებული დაგეგმვიდან კერძო საკუთრებას და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ყველაზე მტკივნეული პერიოდია. შედეგები, რომელიც ამ ქვეყნებმა ერთმანეთისაგან მიიღეს, არსებითად განსხვავდება. კერძოდ: ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ზოგიერთი ქვეყნები უკვე მიუახლოვდა ეკონომიკის საბაზრო პრინციპებით შშენებლობას, სწრაფად ვითარდება საბაზრო ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. მათ მიაღწიეს ეკონომიკის არსებით გადაყვანას ახალ მექანიზმზე და მნიშვნელოვან პროგრესს ევროპის კავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო ეკონომიკური და სხვა სახის პროცედურების შესრულებაში. ხოლო, მთელი რიგი სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნები რეფორმების ჩატარების მიუხედავად, კერძო სექტორის ფორმირებისას მნიშვნელოვან სიძნელეებს კვლავაც განიცდიან — ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ფასების ლიბერალიზაცია და ფასსწარმოქმნის დემონოპოლიზაცია, საბაზრო ინსტიტუტების შექმნის პროცესი, არ მომხდარა სახელმწიფო მართვის ორგანოთა საქმიანობის რაციონალიზაცია და ეფექტური მართლწესრიგის სისტემის ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, საქართველოც მათ რიგში აღმოჩნდა. ამ ფაქტის ახსნა შეიძლება ორი გარემოებით, პირველი: საქართველოს სხვა ქვეყნების

მსგავსად უფრო რთული სასტარტო პირობები ჰქონდა; უფრო მჭიდროდ იყო ჩართული საბჭოთა კავშირის ერთიან ეკონომიკურ კომპლექსში და მოუხდა სამოქალაქო კონფლიქტების გადატანა. მეორე: წარუმატებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ რეფორმების გატარების მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფები, რომელთათვისაც ხელსაყრელი იყო ცენტრალიზებული ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის შუა გზაზე შეჩერება. აღნიშნული არასახარბიელო სასტარტო პირობები ასეთ ჯგუფებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების უზურპირების შესაძლებლობას აძლევს. ასეთი უზურპირება მით უფრო მიუღებელია, რომ გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფები სოციალური სტრუქტურის მეტისმეტად ძლიერ, მაგრამ იმდენად განყენებულ, არაორგანულ ნაწილს წარმოადგენენ, რომ ეს საშუალებას არ იძლევა ისინი სოციალური კლასის ფუნქციების მატარებლად ჩავთვალოთ.

მაშასადამე, მეორე ფაქტორის შემთხვევაში გადამწყვეტი როლი დაინტერესებული გავლენიანი ჯგუფებისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედებამ ითამაშა, რასაც შეიძლება ლობირება ეუწოდოთ.

თუ 90-იანი წლების დასაწყისში ახალმა გავლენიანმა ეკონომიკურმა ჯგუფებმა ისარგებლეს შექმნილი ქაოსით, რომელსაც სამოქალაქო კონფლიქტებიც თან ერთვოდა და რომლებიც ზეწოლას ახდენდნენ ხელისუფლებაზე, რათა მიეღოთ სუბსიდიები (მაგალითად, ენერჯის და ნედლეულის ძირითად სახეობებზე, თუნდაც პურის ტალონების შემოღება და პურის ბიზნესის დოტაცია, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობაში კრედიტების გაცემა დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, რომელიც, ფაქტიურად, არასაინვესტიციო მიზნით მათ მითვისებაში და უარყოფითი რეალური საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბებაში და სხვ. გარდაქმნა) საგადასახადო შეღავათები და მიზნობრივი კრედიტები მაკროეკონომიკური სტაბილურობის საზიანოდ, 1995 წლისათვის სიტუაცია ნაწილობრივ შეიცვალა. ამ დროისათვის

ეს ჯგუფები უკვე აკონტროლებდნენ უმსხვილეს ბანკებს, საწარმოებს და ამიტომ დაინტერესებულნი იყვნენ ფინანსურ სტაბილიზაციაში და მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში. ამგვარად, გავლენიანმა ჯგუფებმა, საბოლოო ჯამში, მხარი დაუჭირეს, როგორც მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ასევე პრივატიზებას. საქართველოში მოკლე ვადებში მოხდა აქტივების მონოპოლისტური კონცენტრაცია, რამაც მდიდარი ჯგუფების ერთობლივი ზეგავლენა კიდევ უფრო გაზარდა.

კანონის უზენაესობას და საკუთრების უფლებების დაცვის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი სისტემის დანერგვაც წინააღმდეგობას აწყდებოდა, რადგან ეს ამცირებს პრივილეგირებული პოზიციების ეკონომიკურ ღირებულებას, ხოლო ეს პრივილეგიები ხშირ შემთხვევაში, შეძენილი იყო გაუმჭვირვალე მეთოდებით ბიუროკრატიებთან და ჩრდილოვანი ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ წრეებთან კავშირში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონოპოლისტურ ჯგუფებად ჩამოყალიბებული გავლენიანი ძალები არ არიან დაინტერესებულნი საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლით, ცდილობენ შეინარჩუნონ გარკვეული წონასწორობა, სადაც შექმნილია ისეთი მდგომარეობა, როდესაც არსებობს კერძო საკუთრება არა კონკრეტული ბაზრის პირობებში, სამეწარმეო საქმიანობაში ყოველთვის თანაბარი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობით. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში შესაძლებელია გავლენიანი ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ რეფორმების პროცესების გაგრძელება. კერძოდ, ისეთი რეფორმებისა, როგორიც შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება, განსაკუთრებით, ეროვნული ბანკის განმტკიცება, თუნდაც საბანკო ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერების გარეშე, საზინის როლის გაზარდა, სახელმწიფო მართვის სისტემის გარდაქმნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ გავლენიანი ჯგუფები ხშირად საგადასახადო სისტემის რეფორმის და საგადასახადო ადმინისტრირების განმტკიცებას ეწინააღმდეგებიან.

ბუნებრივია, ზემოთ განხილული სიტუაციები „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია. თუ განვითარებული ბაზრის პირობებში „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა მთელი ეკონომიკის ნაწილია, საქართველოს მთელი „ეკონომიკა“ თავისი ხასიათით არსებითად „ჩრდილოვანია“. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა და კორუფცია შესაძლებლად მიგვაჩნია ჩავთვალოთ ერთი და იგივე მოვლენის მხარეებად. „ჩრდილოვანი“ ურთიერთობების ქართული სისტემა სხვა არაფერია, თუ არა პრივატიზებული სახელმწიფო, რომელიც იმით განსხვავდება ლეგალური და კონსტიტუციური სახელმწიფოსაგან, რომ მისი არასაბაზრო ფუნქციები, როგორცაა სასამართლო სისტემა თუ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, კარგავენ საზოგადოებრივი მონაპოვრის ხასიათს და ყიდვა-გაყიდვის, ალებ-მიცემობის სფეროში ექცევიან, რის შედეგადაც „სახელმწიფო“ და „ბაზარი“ ერთ ცნებას გამოხატავენ.

ლობი – მეწარმეებს საქართველოში კი არა ამერიკაშიც სჭირდება.

ლობისტობა მონაწილეობას კი არ ნიშნავს (როგორც ეს საქართველოშია გაიგივებული), არამედ გულისხმობს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში – პარლამენტში ქვეყნისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღებისათვის შენი დარგის ლობირება გასწიო. მსხვილი ტრანსნაციონალური ამერიკული კომპანიები, როგორც წესი, პოლიტიკაში უშუალოდ არ მონაწილეობენ, მაგრამ ისინი განაგებენ პოლიტიკის მთელ ფინანსებს. კერძოდ, ზრდიან პოლიტიკოსებს, რომლებიც შემდგომ პარლამენტში მათ ბიზნესს ლობირებას გაუწევენ და იღწვიან საკუთარი ბიზნესის წარმატებით განვითარებისათვის.

ლობისტი – მხარდამჭერი ხელისუფლებაში, ან მფარველი ხელისუფლებაში, ან კრიმინალურ სამყაროში.

საინტერესოა, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ გამოკითხულ მეწარმეთა თითქმის 1/3 მიიჩნევდა, რომ მის ბიზნესს არაკანონიერი მფარველი სჭირდება. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მეწარმეთათვის მისაღები იყო კრიმინალური სამ-

ყაროს წარმომადგენლის „კრიშობა“ (რაც იძულებითი ნაბიჯია) სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. გამოკითხულთა 60%-ზე მეტი მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელ ძირითად ფაქტორებად საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობას (72.2%) და სახელმწიფო სექტორში კორუფციას (62.7%) მიიჩნევენ;
2. გამოკითხულთა 51% ხელისუფლების მხრივ მეწარმეობის ინტერესების დაუცველობას, 42% – მოსახლეობის დაუსაქმებლობას;
3. გამოკითხულთა 25% – ენერგეტიკულ კრიზისს, 19% – მმართველობის და მაკონტროლებელი ორგანოების ბიზნესში ზედმეტ ჩარევას, 11% – საბანკო სისტემის არასაიმედობას.

ლობირებისა და ინტერესთა სისტემის საკითხის განხილვის დროს მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ კორუფციის შესახებ ტრადიციულ წარმოდგენას, რომელსაც ადმინისტრაციულ კორუფციას უწოდებენ და რომელიც ბიუროკრატიების მიერ კომპანიების ექსპლუატაციას გულისხმობს. კომპანიათა გარკვეული (უმეტესი) ნაწილი თვითონაა დაინტერესებული არაკანონიერი გასამრჯელოს გაღებისა თაბამდებობის პირებისა და პოლიტიკოსებისათვის ორმხრივი სარგებლობის მიღების მიზნით. კერძოდ, კომპანიები თანამდებობის პირებს მოქმედი ნორმების და დებულებების „კორექტირებული“ გამოყენების მიზნით მაღალი შემოსავლის გარკვეულ პროცენტს უხდიან – სახელმწიფო ინსტიტუტებზე არაკეთილსინდისიერი ლობირების და სხვა გარეგებების მეშვეობით ზემოქმედებენ.

1999 წ. ზემოთ აღნიშნული პრობლემების შესწავლის, გაანალიზებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ერთობლივად ჩატარდა გამოკვლევა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში. საანალიზო მონაცემების საფუძველზე

დადგინდა, რომ „სახელმწიფოს დამორჩილების (მოსყიდვის) ინდექსი ამ ქვეყნებში საშუალოდ 21%-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 41%-ა, უზბეკეთში – 5% და საქართველოში – 24%. ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა აღმინისტრაციული კორუფცია და ქრთამი, როგორც პროცენტი კომპანიების შემოსავლებიდან (რასაც ქართულად „წილი“ ეწოდება) საშუალო დონე 3%-ა, აზერბაიჯანში – 5.7%-ის ტოლია, უზბეკეთში – 4.4%-ის და საქართველოში – 4.3%-ის.

აღბათ, საჭიროა ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, თუ რა იწვევს „სახელმწიფო დამორჩილებაში“ კომპანიების დაინტერესებას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ქვეყანაში საკუთრების უფლების დაცულობის დაბალი დონე, რის შედეგადაც, საჭირო ხდება დამატებითი „დაცვის ყიდვა“ და მეორე, „მყიდველებს“ აკლიათ კონკურენტული ბრძოლისათვის საჭირო მენეჯერული და მარკეტინგული ცოდნა და გამოცდილება, რის შევსებასაც „ნაყიდი“ პრივილეგიებით ახერხებენ.

კორუფციის უარყოფა გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და მის უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე – ინვესტიციებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების ბაზაზე ჩატარებული გაანგარიშებებით, კორუფციის ინდექსის შეცვლა 1-ის ნაცვლად 8-ით (0-დან 10-მდე შკალით) იმავე ეფექტს იძლევა, რასაც ინვესტიციების 4 პროცენტით ზრდა, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის 0,5 პროცენტით მატების ტოლფასია.

უცხოელ დამკვირვებელთა გარკვეული ნაწილი გამოთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ გარდამავალი პერიოდის დასაწყისში რეფორმების გატარებისას იქნებოდნენ მოგებულები და წაგებულები, ხოლო ეს უკანასკნელი შეეწინააღმდეგებოდნენ გარდაქმნებს. ამასთანავე მოიაზრებდნენ, რომ წაგებულთა შორის აღმოჩნდებოდნენ დაბალრენტაბელური საწარმოების მუშაკებთან ერთად საბჭოთა ნომენკლატურა და ბიუროკრატია, მაგრამ ნომენკლატურისა და ბიუროკრატის წარმომადგენლებმა ძველი პირადი

კავშირების ლობირების მძლავრ შესაძლებლობებთან ერთად, სამთავრობო პრივილეგიებით ისარგებლეს, რამაც, ფაქტობრივად, ახალი კაპიტალისტური ელიტა ჩამოაყალიბა, რომელთა ხელშიც კონცენტრირებულმა სიმდიდრემ მოიყარა თავი.

ნეონსტიტუციონალიზმის კლასიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატის – რონალდ ქოუსის თეორიების თანახმად, საკუთრების უფლებების ზუსტად განაწილების პირობებში კერძოდ გარიგებები სოციალურ სტაბილიზაციას ხელს შეუწყობენ. ეს თეორემა პრაქტიკული მნიშვნელობისაა, მაგრამ უგულებელყოფს საკუთრების წარმოშობის წყაროს, იმ გარიგებებს, რომლის შედეგადაც, გუმინდელი ქურდი, დღეს მიტაცებული საკუთრების უფლებების დამცველად გვევლინება. ე.ი. საკუთრების უფლებების არსებული განაწილების დაკანონება ჩვენ ქვეყანაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იქნებოდა. კრიტიკოსები, ამის საწინააღმდეგოდ აღნიშნავენ, რომ საკუთრების უფლებების ამა თუ იმ ხერხით განაწილების კანონიერება და მაშასადამე, მათი დაცულობა განპირობებულია იმით, თუ როგორ იქნა ეს უფლებები განაწილებული და მითვისებული.

საქართველოში სახელმწიფო ქონების გადანაწილება მიუხედავად იმისა, რომ არ ჩატარებულა სამართლიანად, საკუთრების უფლებები დაცულია როგორც „ჩრდილოვანი“, ასევე ლეგალური მეთოდებით. ამას ემატება ისეთი საშუალებები, როგორიცაა მეწარმეების მიერ „საკუთარი“ პოლიტიკური პარტიების ლიდერობა, მთავრობაში და პარლამენტში მოხვედრა, ძალოვან თავდაცვით სტრუქტურაში მფარველების ყოლა და სხვა, რაც თანაარსებობს უკიდურეს სოციალურ უთანასწორობასა და ფართოდ გავრცელებულ სიღარიბესთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლებების არსებული განაწილება არც თუ ისე სამართლიანია, ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ წამოყენებული წინადადებით, მისი ხელმეორედ გადანაწილება, ჩვენი აზრით, კითხვის ქვეშ დააყენებს საერთოდ საკუთრების უფლებების მთელი სისტემის დაცულობას, როგორც მიმდინარე, ისე მომავალ პერიოდში. რენაცეიონალ-

იზაციის მოთხოვნით, ქონების ხელახალი პრივატიზება, ვფიქრობთ, სხვადასხვა პოპულისტური ჯგუფების იარაღი კარგა ხნის განმავლობაში იქნება. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ფორმებთან შედარებით ყველაზე უფრო ადეკვატურად ასახავენ სოციალურ დინამიკას, მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისის დროს, როგორც წესი პარტიული, ჯგუფური ინტერესები გადაძლევენ ხოლმე პოლიტიკური კონსენსუსის ინტერესებს და შესაბამისად, იწყება ბრძოლა ხელისუფლებისა და ქონების ხელახალი გადანაწილებისათვის. ვფიქრობთ, რენაციონალიზაციის ყოველი მცდელობა არა სამართლიანობის აღდგენა, არამედ გადანაწილებისათვის უზენაესობის პრინციპის კვლავ დაცემა იქნება.

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის დროს კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირების ურთულესი პროცესი კორუფციის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია, რაც მას განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში არსებული კორუფციის გამოძვევე მიზეზებისგან პრინციპულად განასხვავებს. კერძო საკუთრების ინსტიტუტის განმტკიცების საფუძველს მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო ლიბერალური საკანონმდებლო გარემოს შექმნა წარმოადგენს. ამასთან ერთად აუცილებელია ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების თანაბარ პირობებში ჩაყენება, რაც მათ შორის გამარჯვებულს მხოლოდ სამართლიანი კონკურენცია გამოავლენს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების გარეშე პრინციპულად შეუძლებელია. განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში ამ პროცესს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ისტორიაში ისიც ცნობილია, რომ „სუფთა ხელებით“ და ლეგალური გზებით კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება შეუძლებელია. ეს პროცესი თანამედროვე ტერმინოლოგიით კორუფციის სახელით მოიხსენიება.

თანამედროვე პირობებში განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კორუფციის ობიექტური ეკონომიკური საფუძველი თითქ-

მის აღარ არსებობს, რაც იმით არის განპირობებული რომ: 1) მაღალი თანამდებობის პირები საკმაოდ მაღალი ხელფასებით არიან უზრუნველყოფილნი და ამავე დროს, რაც მთავარია, მათ, წინაპრების მიერ დაგროვილი კაპიტალი უკვე აქვთ, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში, მათი ღირსეული არსებობის ვარიანტია. 2) ამ ქვეყნებში, პრაქტიკულად, სრულყოფილი ინსტიტუტები უკვე ჩამოყალიბებულია, რომლებიც რიგით მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესაძლებლობას უზრუნველყოფენ. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს კორუფციის ცალკეული შემთხვევები. ამ ქვეყნებში კორუფციის შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ მეთოდებს იყენებენ, რაც ზემოთ აღწერილი ვითარების გათვალისწინებით, სავსებით გამართლებულია. ჩვენს პირობებში კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების კორუფციის მიზნით ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება უარყოფითი შედეგის მომტანია. რადგან: 1) მხოლოდ დამსჯელი ზომების გატარებით კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი კვლავ დაუბრუნდება თავის ამოსავალ წერტილს, რითაც კორუფციის პერიოდი განხანგრძლივდება; 2) გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ დამსჯელი ღონისძიებების გატარებით კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი შენიღბული ფორმებით განხორციელდება, რაც უფრო მეტად დაამაზინჯებს ამ მოვლენას. დღეს საქართველოში ახალდაგროვილი კაპიტალის განივთება, ძირითადად, სახლების მშენებლობასა და სხვა უძრავ ქონებაში ხდება, რის შედეგადაც, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დასაქმების პრობლემა გარკვეულწილად დღის წესრიგიდან იხსნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იზრდება საშიშროება არაკანონიერი გზით მითვისებული კაპიტალის საზღვარგარეთ გატანისა.

კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესით განპირობებული კორუფციის შეზღუდვის ყველაზე მარტივი გზა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების არსებული შედეგების დაკანონებაა, რაც ამ კაპიტალს „ხელ-ფეხს გაუხსნის“, რათა ხალხის საკეთილდღეოდ „იმოქმედოს“.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და საბაზრო ეკონომიკის სისტემის დამკვიდრება სხვა დანარჩენ ღონისძიებებთან ერთად კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკურ მიდგომას წარმოადგენს. „ვარდების რევოლუციამდე“ კორუფციის შეზღუდვის მხოლოდ წმინდა ეკონომიკური მიდგომის საფუძველზე განხორციელებული უმარტივესი გზის ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი დაუსჯელობის სინდრომი იყო.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელია კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკური მიდგომა იმ ტიპის დასჯელი ხასიათის ზომებთან ისე იყოს შერწყმული, რომ ქვეყანაში „ბიზნესის განვითარებისათვის „ამინდი“ შეიქმნეს.

ამ საკითხის ეფექტურ გზად სწორი საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა მიგვაჩნია, რომლის შედეგად, საკუთრების უსამართლო განაწილების შედეგები თანდათანობით გაბათილდება. როგორი კეთილი მიზნებითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი, უკანონოდ მითვისებული ქონების დაბრუნება, ეს პროცესი დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. ამიტომ, დღეს მთავარი ამოცანა საკუთრების ხელახალი გადანაწილება კი არ უნდა იყოს, არამედ ის რომ ქვეყანაში არსებული მაღალცენტრალიზებული კაპიტალი ჩამოვაშოროთ მის მიერ ხელში ჩაგდებულ ეკონომიკური პოლიტიკის უზურპირების ფუნქციას, რათა მან თავისი საქმე აკეთოს. ამ კაპიტალზე საკუთრების უფლებების დაცვა, რაც არ უნდა უკანონო იყოს, შესაძლებელი უნდა გახდეს საკუთრების უფლებების მთელი ეროვნული სისტემის დაცვის დონის ამაღლება, საკონტაქტო ვალდებულების შესრულების სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფა და კანონის უზენაესობის პრინციპის სრული ამოქმედება.

საქართველოში საკუთრების უფლებების დაცვის დონის ამაღლების ამოცანები მთელ რიგ გადაუდებელ ინსტიტუციონალურ ცვლილებებს მოითხოვს. კერძოდ:

- სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს თავისი როლი კეთილსინდისიერად შეძენილი ფასიანი ქაღალდების, უძრავი და

სხვა ქონების დაცვაზე;

- უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები საკუთრების უფლებების სახელმწიფო რეგისტრაციის სამართლებრივი მექანიზმის სრულყოფის სფეროში;
- გარიგებების შესახებ ინფორმაციის უვადო შენახვაში საკუთრების უფლების სხვა პირზე გადასვლისას შესაძლო თაღლითობის გამომრიცხავი კანონმდებლობის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში;
- საკუთრების ობიექტის შეძენისას უფლებების დაზღვევაში.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება ქონებრივ მიმოქცევისას ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ტექნიკური პროცედურების სტანდარტიზაციის მეშვეობით მათ ხელი უნდა შეუწყონ კორუფციის აღმოფხვრას და რაც მთავარია, დასაბეგრი ბაზის გაფართოებას.

ეკონომიკური ინტერესების მიხედვით გაერთიანება თანამედროვე პირობებში წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობების მქონე განვითარებულ და მნიშვნელოვან წილად განვითარებადი ქვეყნების ეროვნული მეურნეობის მართვის სისტემის განუყოფელ ელემენტს. მათი მოღვაწეობა შემადგენელი ნაწილია რეალური და არათეორიული საპარლამენტო ან საპრეზიდენტო დემოკრატიის.

ინტერესების მიხედვით კავშირების შექმნის დადებით მხარეებზე უნდა მიკუთვნებულ იქნეს შემდეგი:

- 1) ისინი მუდმივად ასრულებენ შუამავლის ფუნქციას სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. ამომრჩევლები გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ ნებას, როდესაც არჩევნებში ხმას აძლევენ ამა თუ იმ პარტიას. კავშირები მუდმივად გამოხატავენ თავიანთი წევრების ინტერესებს მთავრობის წინაშე. ისინი რაღაცნაირად თითქოს მთარგმნელთა როლს ასრულებენ სამეურნეო ინტერესების მატარებლებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის;
- 2) გაერთიანებები ზრდიან ეკონომიკისა და პოლიტიკის მართვაში მონაწილეთა რაოდენობას და ამით ზღუდავენ სამეურ-

ნეო სისტემის ცენტრალიზებულად მართულ სისტემაში გადაზრდის საშიშროებას;

- 3) ინტერესების მატარებელი ჯგუფები უსაშიშროესი ტენდენციებით საწინააღმდეგოდ მოქმედებენ – ქვეყნის ბელისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაწყდეს პარტიული დისციპლინის პრინციპებით. კავშირები თავიანთ წარმომადგენლებს დელეგირების პრინციპით წარგზავნიან სხვადასხვა პარტიებში და თავიანთ მიზნებს აღწევენ სახელმწიფო ორგანოების წინაშე მიუხედავად იმისა, თუ რომელი პარტია აკონტროლებს მათ.
- 4) კავშირების ინტერესების მიხედვით არა მარტო გავლენას ახდენენ სახელმწიფო ორგანოებზე, არამედ კიდევაც უადვილებენ და უმსუბუქებენ მათ მუშაობას. ისინი სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს უზრუნველყოფენ ინფორმაციებით, კონსულტაციებით, ექსპერტიზით, თავიანთ სფეროებში ახორციელებენ საკოორდინაციო მოღვაწეობას, რითაც ამსუბუქებენ სახელმწიფო დარგობრივი, რეგიონული, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებს;
- 5) გაერთიანებები ასრულებენ თავისებური ფილტრის როლს; ამას ისინი აღწევენ სხვადასხვაგვარი და ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დიდი მასიდან უმნიშვნელოვანესი ჯგუფური ინტერესების გამოცალკევება-გამოყოფით. ისინი უამრავი ფიზიკური და იურიდიული პირების სამეურნეო ინტერესებს თავს უყრიან და მიაქვთ ისინი სახელმწიფო ორგანოებამდე.

ამასთან კავშირების დემოკრატიის ჩამოყალიბებულ სისტემას არსებითი უარყოფითი მხარეებიც ახასიათებს.

- 1) უპირველეს ყოვლისა, ყველა საზოგადოებას შესწევს ჯგუფებში, ინტერესების მიხედვით გაერთიანების უნარი. არსებობს მოსახლეობის გარკვეული კატეგორია, რომლებიც

საჭიროებენ სოციალურ დაცვას, მაგრამ ისინი მოკლებული არიან თავიანთი ინტერესების ჯგუფების შექმნის უნარს და იმის შესაძლებლობას, რომ ორგანიზებულად დაიცვან თავი სხვა ჯგუფებისაგან ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე, ასეთ კატეგორიას განეკუთვნებიან მოხუცები, ინვალიდები, უპატრონოები, უმუშევარი ქალები, დროებითი სასოფლო-სამეურნეო მუშები და სხვა. მათ არ შეუძლიათ გაერთიანდნენ ორგანიზაციაში, ხოლო თუ კი შექმნიან ისეთ ჯგუფს, რომელიც მოიცავს მათ მცირე ნაწილს, ასეთ ჯგუფს, რასაკვირველია, არ ძალუძს ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: ხომ არ ცვლის ინტერესების მატარებელი კავშირების ზემოქმედება დემოკრატიის მექანიზმის გადაწყვეტილებების მიღებას?


- 2) მთავრობაში გადაწყვეტილებების მიღებაზე კავშირების ზემოქმედების ძალა სრულიად სხვადასხვაგვარია და სრულებითაც არ არის დამოკიდებული კავშირებში მათი წევრების რაოდენობაზე, ანუ მათი ზეგავლენის ეფექტიანობა არ არის დამოკიდებული წარმომადგენლობის პროპორციულობაზე.
- 3) სულ უფრო ხშირად დგება ეჭვის ქვეშ კავშირების ხელმძღვანელობის მიერ მათი წევრების ინტერესების „გაფილტვრის“ ობიექტურობა, ხომ არ წარმოადგენს კავშირების ოფიციალური მოთხოვნა მათი წევრების ნაწილის ინტერესების ასახვას, პირველ რიგში კი მისი ხელმძღვანელობის, რომელთა ინტერესებიც შესაძლებელია არ დაემთხვეს წევრების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს?
- 4) ინტერესების მატარებელი გაერთიანებათა ხანგრძლივი ზემოქმედება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე ქმნის გაერთიანებებს შორის ძალების გარკვეულ დინამიურ წონასწორობას. აქედან წარმოიშობა ეკონომიკის სახ-

ელმწიფო რეგულირების ელასტიურობისა და სიტუაციების ცვლილებების ამთვისებლობის საშიშროება. საქმე იმაშია, რომ ყოველი ცვლილება არღვევს გაერთიანებათა ძალების წონასწორობას ერთთა საზიანოდ და მეორეთა სასარგებლოდ. როგორც ზოგიერთი ევროპული ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები აღნიშნავენ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის საფუძვლიანი შეცვლის ინიციატივას წარმატების ისეთივე შანსი აქვს, როგორც ჭაობში ცურვაში რეკორდის დამყარების მცდელობას.

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ ეკონომიკური ინტერესების მატარებელი კავშირების მთავრობაზე ზემოქმედების სქემა.

ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე და მათ შესრულებაზე ორგანიზებული სამეურნეო ინტერესებისათვის ზემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში კავშირების წარმომადგენელთა პირადი მონაწილეობა, აგრეთვე ლობიზმი.

ტერმინ „ლობის“ შინაარსობრივი გაგება თავდაპირველად ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ქვეყნების პარლამენტის ფოიეს სახელწოდებას ნიშნავდა, ლობისტად მიიჩნეოდა ის ადამიანი, რომელიც ცდილობდა პარლამენტის სხდომების შესვენებისას თავის სასარგებლო ზემოქმედება მოეხდინა პარლამენტის დეპუტატებზე. ამჟამად კი ლობიზმს, ლობირებას უწოდებენ პირადი ზემოქმედების მცდელობას ინდივიდუალური ან ჯგუფური ინტერესებისათვის ნებისმიერი ხელისუფლების წარმომადგენლებზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ლობიზმად ხშირად თვლიან დეპუტატებისა და ჩინოვნიკების პირდაპირ ან ზაუვალირებულ მოსყიდვას. სინამდვილეში ამას მართლაც აქვს რეალურად ადგილი, მაგრამ ლობისტები პირველ რიგში ცდილობენ პროფესიონალ პოლიტიკოსებსა და ჩინოვნიკებს მიაწოდონ ინფორმაცია, გადაწყვეტილებების არგუმენტები და პროექტები, რომლებიც



ხელსაყრელია მათთვის, ვის ინტერესებსაც ეს ლობისტები წარმოადგენენ და წარმოსახვენ.

ლობისტების აქტიურობამ და მათმა ზემოქმედებამ მთავრობის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე ზოგიერთ ქვეყნებში ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მათი მოღვაწეობა რეგულირებადი გახდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვალდებული არიან გატარდნენ რეგისტრაციაში, განაცხადონ თავიანთი შემო-

სავლების სიდიდისა და წყაროების შესახებ, ყოველწლიურად ანგარიში წარუდგინონ სახელმწიფო დაწესებულებებს თავიანთი მოღვაწეობის შესახებ; ასეთივე ანალოგიური წესები მოქმედებს ლობისტებისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდ-ესტაგში.

ჩვენს სამამულო, ქართულ ლობიზმს თავისი ისტორია აქვს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ლობიზმი პოლიტიკურად და კლასობრივად საზოგადოებაში „უცხო“ მოვლენად მიიჩნეოდა, ის რეალურად მაინც არსებობდა. გეგმიური ეკონომიკის პირობებში მსხვილ საწარმოთა დირექტორებს შეეძლოთ ზემოქმედება მოეხდინათ სამთავრობო ჩინოვნიკებზე და მიეღწიათ გასული (ძველი) თარიღით მოსკოვის მიერ დამტკიცებული გეგმიური დავალების შემცირების მიზნით გადახედვისათვის. ასეთ ვითარებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში საწარმოები წარმოჩინდებოდნენ მოწინავეთა რიგებში, მათი მუშაკები იღებდნენ პრემიებს, ხოლო დირექტორები სახელმწიფო ჯილდოებსაც.

სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფო კომპანიების (საწარმოების) ურთიერთობის საბჭოური მოდელი სრულიად მიუღებელი და გამოსაყენებლად უვარგისია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი თანამედროვე ეტაპისათვის. სახელმწიფო საგეგმო დავალებები უკვე კარგა ხანია აღარ არსებობენ, ამიტომ მათი გადასინჯვაც უკვე საჭირო აღარ არის. ამიტომაც 90-იანი წლების დასაწყისიდან ლობიზმის წინათ არსებულმა ფორმამ მშვიდობიანად დაასრულა „არსებობა“, ხოლო მსხვილმა და საშუალო ბიზნესმა დაიწყო ხელისუფლებაზე ზემოქმედების ახალი მეთოდების გამომუშავება.

სიტყვა „ლობიზმი“ ჩვენს პოლიტიკურ ლექსიკონში ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ (არაშორეულ წარსულში) მიიჩნეოდა ლამის სალანძღავ ტერმინად. ჩვენს ქვეყანაში ლობიზმად ყველაზე უფრო ხშირად მიჩნეულია რომელიმე დარგობრივი, რეგიონული ან კორპორაციული ჯგუფის მისწრაფება პარლამენ-

ტში „გაიტიანონ“, ე.ი. პარლამენტს მიაღებინონ მათთვის ხელსაყრელი კანონი ან მიაღწიონ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისაგან მათთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღებას. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულის მისაღწევად არ ერიდებიან აშკარა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსაც კი. ასეთი ლობისტური მოღვაწეობის შედეგები არც თუ იშვიათად კიდევაც ეწინააღმდეგება მთლიანად საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს.

90-იან წლების მეორე ნახევარში და მე-21 საუკუნის პირველ ათწლეულში (2000-2004 წწ.) საქართველოში კორპორაციული სტრუქტურებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა ურთიერთქმედების მექანიზმი საიდუმლოების სქელი საფარით იყო დაფარული და ამასთან უსაზღვროდ იყო კორუმპირებული. ლობიზმი საქართველოში იქცა საკმაოდ მომგებიან, სარფიან ბიზნესად, რომელშიც ბრუნავდა სოლიდური კაპიტალი. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნულ პერიოდში ლობიზმი ჩვენი სინამდვილის რაღაცნაირ ნორმალურ მოვლენადაც კი იქცა. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს საქართველოში ჩამოყალიბდა პროფესიონალ ლობისტთა წრე, რომელშიც კარგად და წარმატებულად წარმოაჩინეს თავიანთი თავი სადეპუტატო არჩევნებში წარუმატებელმა პირებმა, დარგობრივ უწყებათა ყოფილმა ხელმძღვანელებმა, მთავრობის, პარლამენტისა და კანცელარიის თანამშრომლებმა; გაქნილმა საქმოსნებმა და სხვადასხვა ჯურის მაქინატორებმა, პარლამენტის დეპუტატებმა და ა.შ.

საკანონმდებლო მუშაობის პროცესში ლობისტები დეპუტატისათვის შეიძლება გახდეს საკმაოდ ძვირფასი თანამშემწე, მას შეუძლია მოუმზადოს პარლამენტს კონკრეტული პრობლემატიკის სოლიდური საექსპერტო შეფასება. ამჟამინდელ პერიოდშიც ზოგიერთი ბიზნეს-სტრუქტურები და კომპანიები სუსტი მენეჯმენტის გამო უბრალოდ მზად არ არიან გამოკვეთილად ჩამოაყალიბონ და კვალიფიციურად დაიცვან თავიანთი ინტერესები სხვადასხვა ინსტანციებში და უწყებებში, ხოლო ზოგიერთი ოლი-

გარქიული ჯგუფების უსურველობა მიჰყვენ „თამაშის ცივილიზებულ წესებს“ ქართულ ლობიზმს მახინჯ ფორმებს აძლევს.

საქართველოში „ჩრდილოვანი“ ლობიზმის აყვავების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების გამოკვეთილად გაგების უქონლობა. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს გააზრებული და მიზანმიმართული ნება და სწრაფვა, სახელმწიფო მექანიზმის ცალკეული სამსახურები ადვილად ხდებიან ადამიანთა მძლავრი და ძლიერი ჯგუფების ზეწოლის მონაპოვარი. ამასთან ასეთი სიტუაციის გაღრმავება-გაღვივებას ისიც უწყობდა ხელს, რომ სახეზე გექონდა სუსტი და არაეფექტური სახელმწიფო, რომელიც ნაკლებად იყო დანტერესებული ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის ობიექტური ინფორმაციით.

დღეს საქართველოში საკითხი დგას არა იმაზე თითქოს ლობიზმი სასარგებლო ან საჭირო აუცილებელი მოვლენა იყოს; საკითხი ეხება იმას, ხომ არ მოხდება ისე, რომ მისი რომელიმე სახესხვაობა მაინც დამკვიდრდება კიდევ დღევანდელ აღმავალ საქართველოში. საჭიროა ყველამ გაიგოს, რომ სახელმწიფოს მიერ მდგომარეობის ეფექტურად რეგულირების პირობებში თანაბარი პირობები ექნებათ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების გამოსახატავად.

ლობიზმი, უპირობოდ და აუცილებლივ ნიშნავს და წარმოადგენს გარკვეულ მექანიზმს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მისაღებად საგარეო ურთიერთობათა საკითხებში მხოლოდ სხვადასხვა განსხვავებული პოზიციებისა და ინტერესების შეთანხმების საფუძველზე. აუცილებელია ის გადაწყვეტილებით მნიშვნელოვან და სრულფასოვან ინსტიტუტად, ისეთად, როგორც ის დღეს არის აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში, სადაც ხელისუფლების ორგანოებში წარმოდგენილი არიან ძირითადად საზოგადოების სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლები, რომ-

ლებიც ძირითადად საზოგადოების ინტერესების გამომხატველები არიან. იქ, დასავლეთის ქვეყნებში ლობიზმი დღეს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტებს შორის ინტერესების შეთანხმების და უკუკავშირის გამომხატველს, ჩვენში მიუხედავად ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებისა, ჯერ კიდევ არ ვართ დარწმუნებული ლობიზმის აღმოფხვრაში.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე პოლიტიკური არგუმენტები მაღალხარისხოვან გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებაზე და მექანიზმზე. ამ გავლენის შედეგები ზოგ შემთხვევაში კეთილმყოფელ გავლენას ახდენდნენ ქვეყნის ეკონომიკაზე, ხოლო სხვა შემთხვევებში ამუხრუჭებდნენ განვითარებას, ხელს უწყობდნენ კრიზისებისა და სოციალური დაძაბულობის აღმოცენებასა და გამწვავებას. საკმარისია გავიხსენოთ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შეიარაღებული ძალების მიერ კოსოვოს კონფლიქტის დროს სერბიის ტერიტორიის დაბომბვის შემთხვევა. ხილების დანგრევის შედეგად საკმაოდ დიდხანს იყო შეწყვეტილი ღუნაიზე გემების მოძრაობა, რითაც უდიდესი ზარალი მიაღება საგარეო ვაჭრობას, ტრანზიტულ გადაზიდვებსა და ტურიზმს რიგ მეზობელ ქვეყნებში.

პოლიტიკური მიზნების ჭარბობა ეკონომიკურის მიმართ გამართლებულად მიიჩნევა კრიტიკული სიტუაციის მომენტში. ომის დროს ქვეყანა ცხოვრობს ლოზუნგით „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“. ორი დაპირისპირებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კონფრონტაციის პერიოდში სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა ორივე სისტემის ქვეყნებში იმყოფებოდა სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მძლავრი ზემოქმედების ქვეშ. გამალებული შეიარაღება და არასაიმედო კრედიტები გამოყოფილი ზოგიერთი ქვეყნებისათვის, რომლებითაც სსრ კავშირი, ჩინეთი და დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ ეს ქვეყნები თავიანთ მოკავშირეებად გაეხადათ, შეუძლებელია ეკონომიკურად დასაბუთდეს და დადებით მოვლენად


შეფასდეს. ანალოგიურ სიტუაციას წარმოადგენს ერთი სოციალურ-ეკონომიკური წყობიდან მეორეში გადასვლის პერიოდიც. აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე მრავალი რეფორმა და სახალხო მეურნეობის მარეგულირებელი აქციები ტარდება არა ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ინტერესებისა და მიზნებისათვის, არამედ ისინი მათი განმახორციელებლების მიერ საბუთდება ძველი წყობის დანგრევისა და ახლის შექმნის აუცილებლობით.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მაღალ ხარისხში პოლიტიზირების საშიშროება აღნიშნულ ამ პერიოდში მოიცავს შესაძლებლობებს პოლიტიკური არგუმენტებით იქნეს მიჩქმალულ-დაფარული მოქმედების ეკონომიკური მიზანშეუწონლობა, აღნიშნული სიტუაცია აიხსნება აგრეთვე ზოგიერთების არაკომპეტენტურობით, უპასუხისმგებლობით, პოლიტიკური კარიერისაკენ მისწრაფებით ან კიდევ კლანური, პირადი მზაკერული მიზნების განხორციელების სურვილით.


პოლიტიკური ფაქტორების გავლენა სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაზე უცხოური ინვესტიციების ეროვნულ ეკონომიკაში მოზიდვის პროცესის სახით შეიძლება წარმოჩინდეს შემდეგი სახით.

პოლიტიკური ფაქტორების გავლენა სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაზე

ვარიანტი 1



კარიანტი 2




სინამდვილეში არაკომპეტენტურობა, უპასუხისმგებლობა ან არაკეთილსინდისიერება, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საკითხებში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, ეკონომიკის განვითარებას უბრალოდ კი არ ამუხრუჭებს, არამედ ძლიერ დარტყმას აყენებს და ანგრევს მას, ეკონომიკაში დაუსაბუთებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ან აუცილებელი გადაწყვეტილებების მიუღებლობა უკუქმედებას იწვევს ქვეყანაში პოლიტიკურად სოციალურ სიტუაციაზე და შემდეგ ისევ ეკონომიკაზე. ამგვარად, მათ შორის, ე.ი. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ეკონომიკას შორის პირდაპირი და უკუკავშირების რთული ქსელი ფუნქციონირებს.

თუ როგორ შესაძლო ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე გენერალური პოლიტიკური გადაწყვეტილებები და როგორია მათი ეკონომიკური შედეგები გარდამავალი პერიოდის პრივატიზაციის პროცესში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სქემის სახით:

ამრიგად, აქ მოტანილი სქემიდან ნათლად სჩანს, თუ მცდარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს როგორი შესაძლო ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკურ პროცესებზე პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედების საკმაო მაგალითები და მისი პოზიტიური შედეგების ფაქტებიცაა. აღნიშნულის კონკრეტულ ფაქტს წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკის აღორძინება, 60-70-იან წლებში საფრანგეთის ხანგრძლივი კრიზისის დაძლევა და ეკონომიკური

აღმავლობა, ჩინეთის ეკონომიკის წარმატებული გარდაქმნა და განვითარება, ევროპული ეკონომიკური ინტეგრაცია და კიდევ მრავალი სხვა.



12. საბიუჯეტო ფედერალიზმი

სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც წესი, მოწოდებულია ფინანსური საშუალებების ფონდის შექმნისა და ხარჯვისათვის, სახელმწიფო ფუნქციების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ფულადი სახსრები საბიუჯეტო შემოსავლების სახით ხდება ხელისუფლების ორგანოების სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განკარგულებაში.


შემოსავლების ფორმირებისა და ხარჯების გაწევის პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა სუბიექტებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის მყარდება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები. ისინი ეფუძნებიან შესაბამისი კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს საბიუჯეტო პროცესის რეგულირების სფეროში.

ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც აინტერესებს, თუ რა ხდება მის რეგიონში ან ქალაქში, აუცილებლად აწყდება საზოგადოებრივი, კერძოდ, რეგიონული და მუნიციპალური ფინანსების პრობლემას. უფრო მეტიც, ადამიანი თუნდაც არ იყოს დაინტერესებული აღნიშნული პრობლემით, მაინც ცხადია, რომ საზოგადოებრივი ფინანსების მდგომარეობა უშუალოდ ზემოქმედებს მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი ადამიანი, ჩვეულებრივად, ვალდებულია ჰქონდეს გარკვეული წარმოგენა თავის რეგიონში, ქალაქში საზოგადოებრივი ფინანსების, ბიუჯეტის მოწყობისა და საბიუჯეტო პროცესის შესახებ. უნდა იცოდეს არა მარტო თუ სად, როდის და როგორ მოითხოვოს ინფორმაცია, არამედ როგორ შეამოწმოს და გააანალიზოს იგი.. შევეცდებით შეგიქმნათ მცირე წარმოდგენა საზოგადოებრივი ფინანსების, ბიუჯეტის მოწყობისა და საერთოდ საბიუჯეტო პროცესის მენეჯმენტის შესახებ რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.


უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ბიუჯეტის როლი და ადგილი საზოგადოებრივი ფინანსების სისტემაში. ამის გაკეთება

კიდევ იმიტომ არის აუცილებელი, რომ საზოგადოებაში ბიუჯეტის შესახებ დამკვიდრებულია წარმოდგენა, როგორც რაღაც ერთიან საფულეზე, რომელიც რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების ხელში იმყოფება. ეს რომ ასე არ არის, ამაზე ხელისუფლების ორგანოების ფინანსების სტრუქტურა მიგვითითებს (იხ. ნახ. 1)



ნახ. №1

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობით ფედერალური ქვეყანა უნდა იყოს, მისი ფინანსური სისტემის პრინციპულ თავისებურებას ცენტრალური ფინანსური რესურსების და ფინანსური უფლებამოსილების ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი წარმოადგენს, რაც გამომდინარეობს იმაში, რომ რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებები საკუთარი ტერიტორიების ყველა ფინანსურ ნაკადებს სრულად ვერ აკონტროლებენ (იხ. ნახ. 2).



ნახ. №2

საქართველოს პირობებებში მნიშვნელოვან პრობლემას ხელისუფლების სხვადასხვა დონის ერთობლივი გაძლიერების საკითხების საკმარის დიდი ნუსხა და უფლებამოსილების საკითხებში შენარჩუნებული განუსაზღვრელობა წარმოადგენს. როგორც წესი, ხელისუფლებების ძირითადი დაპირისპირება წარმოიშობა არა ისეთ საკითხებზე, თუ რამდენი ფინანსური რესურსი და რა მიზნით იქნება მიმართული, არამედ, თუ კონკრეტულად ვინ განახორციელებს მის განკარგვას.

ამრიგად, ბიუჯეტი საზოგადოებრივი ფინანსების განსაზღვრულ, ამასთან მნიშვნელოვან ნაწილსაც შეადგენს. თავისთავად, ბიუჯეტი ერთდროულად პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს, რადგანაც იგი სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების, სხვადასხვა სუბიექტების, მათი ინტერესებისა და შეხედულებების შეჯახების შედეგებს განასახიერებს და საბოლოო ჯამში, მრავალრიცხოვანი კომპრომისების გამოხატულებაა. იგი, ასევე, იურიდიულ საბუთსაც წარმოადგენს, რამდენადაც მისი გაფორმება კანონით ან ხელისუფლების წარმომადგენლო-


ბითი ორგანოს გადაწყვეტილებით ხორციელდება. ბიუჯეტი ფინანსური გეგმაც არის, რადგანაც იგი ხელისუფლების მხრიდან განსაზღვრული შემოსავლების შეგროვების მცდელობას და მათ განსაზღვრულ მიზნებზე მიმართვას ითვალისწინებს; ბიუჯეტი ასევე ორგანიზაციულ გეგმასაც წარმოადგენს, რამდენადაც ის ადმინისტრაციის სხვადასხვა ქვედანაყოფების მიერ საზოგადოებრივი სახსრების განაწილებასთან დაკავშირებით უფლებამოსილებასაც განსაზღვრავს; აგრეთვე იგი ინფორმაციული საბუთიცაა, რადგან მისი გამოქვეყნება აუცილებელ პირობას წარმოადგენს (სხვაგვარად მას იურიდიული ძალა არ ექნება) და ხელისუფლების მიზნების, პრიორიტეტებისა და სამომავლო მოქმედების შესახებ მონაცემებს შეიცავს.

საბიუჯეტო დაგეგმვა ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო და საბიუჯეტო კოდექსების, რეგიონული კანონმდებლობის, რეგიონული და მუნიციპალური ნორმატიული აქტების, ფინანსთა სამინისტროს საუწყებო ინსტრუქციებისა და ფედერაციის სუბიექტების საფინანსო დეპარტამენტების (კომიტეტების, სამინისტროების) ანალოგიური ინსტრუქციების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნული აქტების ანალიზი და მათი პრაქტიკაში რეალიზაცია კიდევ უფრო რელიეფურად ამუქებს საბიუჯეტო სფეროში ფაქტიური ცენტრალიზაციის პრობლემას.

ბიუჯეტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს ფულადი სახსრების ცენტრალიზებულ ფონდს, რომელიც სახელმწიფო ხარჯების გაწევის მიზნით არის შექმნილი (ნახ. 3).

ბიუჯეტი, როგორც სამართლებრივი კატეგორია ფულადი სახსრების ფონდის წარმოშობისა და გახარჯვის ფორმას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანებისა და ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფისათვის არის განკუთვნილი. მოცემულ განსაზღვრებაში შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფა არის შესაძლებელი:

1. ბიუჯეტი — არის ფულადი სახსრების საერთო სახელმწიფოებრივი, ცენტრალიზებული ფონდი, რომელიც სახელმწიფო



ნახ. №3

ფობერივი ხარჯების გაწევის მიზნით იქმნება;

2. ბიუჯეტი – არის სახელმწიფოს ფინანსური გეგმა, რომელშიც დამდეგი წლის შემოსავლები და ხარჯებია მითითებული;

3. ბიუჯეტი – არის სახელმწიფოს ძირითადი ფინანსური გეგმა, რომლის საფუძველზეც და შესრულების მიზნითაც მიიღება დანარჩენი საფინანსო გეგმები.


საბიუჯეტო სისტემა თავისთავად წარმოადგენს ბიუჯეტის სამი დონის ერთობლიობას როგორებიცაა:

– პირველი დონე – ფედერალური ბიუჯეტი და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტები;

– მეორე დონე – ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტები და სახელმწიფო ტერიტორიული არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტები;

– მესამე დონე – ადგილობრივი ბიუჯეტები.

ამგვარად, საბიუჯეტო სისტემა თავისთავად წარმოადგენს ფედერალური ბიუჯეტის, ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ერთობლიობას და ზემოაღნიშნული ბიუჯეტების ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებზე არის დაფუძნებული (ნახ. 4).



ნახ. №4

კონსოლიდირებული ბიუჯეტი – არის შესაბამის ტერიტორიაზე ყველა დონის ჯამური ბიუჯეტი, რომელიც პროგნოზირების, გაანგარიშებისა და ანალიზისათვის გამოიყენება. ფედერაციის კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის ფედერაციის სუბიექტების კონსოლიდირებული ბიუჯეტების და ფედერაციული ბიუჯეტების (კრებსითი) საბუთი, რომლებიც, თავის მხრივ, ფედერაციის ადმინისტრაციულად შემაჯავალი ტერიტორიული სუბიექტების რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ნაერთს წარმოადგენენ.

ფედერაციის საბიუჯეტო სისტემის პრინციპებია:

- საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა;
- საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნა;
- ყველა დონის ბიუჯეტების დამოუკიდებლობა;
- ყველა დონის ბიუჯეტებისა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ასახვის სისრულე;
- ყველა სახის საბიუჯეტო ფონდების დაბალანსებულობა;
- საბიუჯეტო სახსრების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;

- საბიუჯეტო სახსრების საერთო (ერთობლივი) დაფარვა;
- ღიაღობა;
- ყველა ღონის ბიუჯეტის უტყუარობა;
- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების კუთვნილებითი და მიზნობრივი ხასიათი.

ყველა ღონის ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების დაჯგუფება ხორციელდება ისეთი სახით, რომელიც ბიუჯეტის მაჩვენებლების შედარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. სისტემის ყველა ღონის ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების დაჯგუფებას საბიუჯეტო კლასიფიკაციას ვუწოდებთ, რომელშიც ფედერალურ დონეზე ჩაირთვება:

- ფედერაციის შემოსავლების კლასიფიკაცია;
- ფედერაციის ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია;
- ფედერაციის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია;
- ფედერაციის ბიუჯეტის დეფიციტის შიგა დაფინანსების წყაროების კლასიფიკაცია;
- ფედერაციის ბიუჯეტის დეფიციტის გარე დაფინანსების წყაროების კლასიფიკაცია;
- ფედერაციის სახელმწიფოებრივი შიგა, ფედერაციის სუბიექტების, მუნიციპალური წარმონაქმნების, ვალების სახეების კლასიფიკაცია;
- ფედერაციის სახელმწიფოებრივი საგარეო ვალისა და აქტივების სახეების კლასიფიკაცია;
- ფედერაციული ბიუჯეტის ხარჯების საუწყებო კლასიფიკაცია;

ფედერაციის სუბიექტების დონეზე შეიძლება მიღებული იქნას ისეთი ნორმატიული აქტები, რომელთა მეშვეობითაც დადგინდება საბიუჯეტო კლასიფიკაციის პარამეტრების დიდი რაოდენობა.

ფედერალური ბიუჯეტის გარდა, ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდები იქმნება მოქმედი კანონმდებლობით დადგე-

ნილი დანარიცხების საფუძველზე და განკუთვნილია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციისათვის. სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდი – არის ფულადი საშუალებების ფონდი, რომელიც ფედერალური ბიუჯეტისა და ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად იქმნება, აქვს მიზნობრივი ხასიათი და იმართება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ.


არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდების სახსრები იმყოფება ფედერალურ საკუთრებაში, არ შედის ფედერაციის საბიუჯეტო სისტემის ნებისმიერი დონის ბიუჯეტების სისტემაში და არ ექვემდებარება ამოღებას.

სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებს მიეკუთვნება:

- ფედერაციის საპენსიო ფონდი;
- ფედერაციის საპენსიო დაზღვევის ფონდი;
- სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფედერალური ფონდი;
- ფედერაციის დასაქმების სახელმწიფო ფონდი.

ბიუჯეტების ყველა დონის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გადასახადები და მოსაკრებლები. გადასახადი – არის სავალდებულო, ინდივიდუალური, აუნაზღაურებადი გადახდა, რომლის ამოღება, დადგენილი წესით, ხორციელდება ორგანიზაციებიდან (იურიდიული პირი) და ფიზიკური პირებიდან, მათ საკუთრებაში არსებული ქონებიდან, რომელიც მიღებულია სამეურნეო საქმიანობით ან ფულადი სახსრების ოპერაციული მართვის შედეგად, სახელმწიფოს ან მუნიციპალური წარმონაქმნების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით (ნახ. 5).

მოსაკრებელი – არის სავალდებულო შენატანი, რომელიც ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან ამოიღება და რომლის გადახდა, გადამხდელების ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა რწმუნებული ორგანოების და თანამდებობრივი პირებისაგან იურიდიულად მნიშვნელოვანი მო-



ნახ. №5

ქმედებების ჩატარების, მათ შორის განსაზღვრული უფლებების ან ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

სავაღსახლო სისტემაში იგულისხმება ვაღსახაღლებისა და მოსაკრებლების, მათი ამოღების პრინციპებისა და პირობების, სავაღსახლო განაკვეთებისა და ვაღსახაღების, მოსაკრებლების ამოღების ორგანიზაციის ერთობლიობა.

დაღგენილი ვაღსახაღლები და მოსაკრებლები მიეკუთვნება ფეღერაღურებს და ისინი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სავაღღ-

ბულო გადასახადს წარმოადგენენ.

რეგიონულებად ითვლება ისეთი გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც ფედერაციის საგადასახადო კოდექსით არის დადგენილი და მოქმედებაში შედის ფედერაციის სუბიექტების კანონების შესაბამისად.

ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები – ისეთი სახის გადასახადები და მოსაკრებლებია, რომლებიც ფედერაციის საგადასახადო კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დგინდება და მოქმედებაში მოიყვანება.


გადასახადები იყოფა პირდაპირ და ირიბ გადასახადებად. პირდაპირი ეწოდება გადასახადებს, რომლის გადახდისას გადასახადის გადამხდელი უშუალოდ შედის სახელმწიფო ორგანოებთან საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობაში, ანუ მათ შორის შუამავალი არ არის. ირიბ გადასახადებს მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომელთა ამოღებისას სამართალურთიერთობებში სამი სუბიექტი მონაწილეობს: ორი გადამხდელი – ფაქტიური და იურიდიული და სახელმწიფო ორგანო. ფაქტიურ გადამხდელად იგულისხმება მყიდველი, საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ფაქტიური მომხმარებელი. იურიდიული გადამხდელი – არის საქონლის მწარმოებელი ან გამყიდველი (სამუშაოს, მომსახურების). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, გადასახადების გადახდა უშუალოდ საქონლის ფასის მეშვეობით ხორციელდება. ირიბ გადასახადებს მიეკუთვნება დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციები, საბაჟო მოსაკრებლები, გადასახადი გაყიდვებიდან.

მიზნობრივი გადასახადები – არის გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში წინასწარ განზრახული მიზნებისათვის შედის და მხოლოდ მათზე გაიხარჯება.

სახელმწიფოებრივი ხარჯები – არის სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების გეგმაზომიერი გამოყენება. (ნახ. 6).

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულება – ნიშნავს ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებას. წარმოადგენს ოპერატიულ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ბიუჯეტის შესრულება – შემოსავლებისა და ხარჯების კვარტალური განაწერი. გარდა კვარტალური გაწერისა, ამჟამად მოქმედებს ბიუჯეტის შესრულების საკასო (ერთთვიანი) გეგმები. საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ხარჯების ლიმიტირება, როდესაც ფინანსირება ხორციელდება დადგენილი ლიმიტის ფარგლებში, უფრო ხშირად, რეალური შემოსავლებიდან.

სახელმწიფოს ხარჯები




ნახ. №6

სახელმწიფოებრივი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების, ქვეყნის ფედერალური ბიუჯეტის შესრულების პროცესში შემოსავლებისა და ხარჯების ეფექტიანად მართვის, სახელმწიფო

პროგრამების დაფინანსებაში ოპერატიულობის ამაღლების, სახელმწიფო სახსრების შემოსულობაზე, მიზნობრივად და ეკონომიურად გამოყენებაზე კონტროლის მიზნით, ქვეყანაში შეიქმნა ფედერალური ხაზინის ორგანოები.

საბიუჯეტო პროცესი – არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საბიუჯეტო პროცესის სხვა დანარჩენი მონაწილეების სამართლის ნორმებით რეგლამენტირებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების, ნაერთი ფინანსური გეგმების, ყველა დონის ბიუჯეტების პროექტების, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების პროექტების შედგენასა და განხილვას, ყველა დონის ბიუჯეტების, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების დამტკიცებასა და შესრულებას, მათ შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას. საბიუჯეტო წლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) (ნახ. 7).




ნახ. №7

აღნიშნულ საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები ადგენენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზს, ნაერთ ფინანსურ გეგმას, ბიუჯეტის პროექტს, ადასრულებენ ბიუჯეტს და ახორციელებენ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების შესრულების კონტროლს.

ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების უფლება-

ბოსილებას მიეკუთვნება შესაბამისი ბიუჯეტის პროექტების განხილვა, მისი დამტკიცება, შესრულებაზე კონტროლი და მის აღსრულებაზე ანგარიშგების დამტკიცება.

საბიუჯეტო პროცესის შემადგენელ ნაწილს საბიუჯეტო რეგულირება, ანუ საბიუჯეტო რესურსების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის გადანაწილება წარმოადგენს (ნახ. 8).



ნახ. №8

ყველა დონის ბიუჯეტების ურთიერთდაბალანსების მიღწევის მიზნით საბიუჯეტო რეგულირების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება, როგორცაა:


- დამკვიდრებული შემოსავლები - შემოსავლები, რომლებიც შესაბამის ბიუჯეტში მთლიანად ან მყარად ფიქსირებული წილით დადგენილი თანამიმდევრობით შედის;
- მარეგულირებელი შემოსავლები - შემოსავლები, რომლებიც

შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსების მიზნით შედის შესაბამის ბიუჯეტში გადასახადებიდან პროცენტული ანარიცხების სახით ან სხვა გადასახადებიდან ნორმატივების მიხედვით, რომლებიც მომავალი საფინანსო წლისათვის დადგენილი წესით არის დამტკიცებული;

ბიუჯეტის შესრულების მიზანს დამტკიცებული ბიუჯეტების – ფედერალურის, ფედერაციის სუბიექტების, ადგილობრივის – ფარგლებში შემოსავლების შემოსვლისა და ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ოპერატიული საბუთი, რომლის მეშვეობითაც ბიუჯეტის შესრულება ხორციელდება, არის შემოსავლებისა და ხარჯების კვარტალური გაწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვედანაყოფებსა და საბიუჯეტო ასიგნებების განმკარგულებლებზე.

ბიუჯეტის პროექტების შედგენისა და განხილვის, ბიუჯეტების დამტკიცების, ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტის შესრულების, აღსრულებისა და კონტროლის საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით დადგენილი წესის შესაბამისად, ბიუჯეტის შეუსრულებლობა ან არასრულყოფილი შესრულება საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევად ითვლება და იგი დამრღვევების წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღებას ითვალისწინებს (ნახ. 9).

აიუჯებარე კანონმდებლობის დარღვევით მიხარტ მისაღებ მონისქიებებ



ნახ. №9

ფედერაციის საბიუჯეტო კოდექსში შემდეგი სახის საბიუჯეტო დარღვევები არის დასახელებული:

- საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი გამოყენება;
- დაბრუნებადობის საფუძველზე მიღებული საბიუჯეტო სახსრების არდაბრუნება ან არადროული დაბრუნება;
- დაბრუნებადობის საფუძველზე მიღებული საბიუჯეტო სახსრების გამოყენებაზე პროცენტების არგადარიცხვა ან არადროული გადარიცხვა;
- ბიუჯეტების პროექტის შედგენისათვის, მათ აღსრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭირო მონაცემების არწარმოდგენა ან არადროული წარმოდგენა;
- საბიუჯეტო სახსრების მიმღებისათვის კუთვნილი საბიუჯეტო სახსრების არგადარიცხვა ან დროულად არ ჩარიცხვა;
- საბიუჯეტო სახსრების მიმღებებამდე საბიუჯეტო ასიგნებებისა და საბიუჯეტო ვალდებულებების ლიმიტების შესახებ შეტყობინების არადროული გაგზავნა;
- საბიუჯეტო ინვესტიციების დადგენილი წესების დარღვევით მიწოდება;
- ბიუჯეტის მიხედვით დამტკიცებული ხარჯების საბიუჯეტო განაწილებასთან შეუსაბამობა;
- საბიუჯეტო ასიგნებებისა და საბიუჯეტო ვალდებულებების ლიმიტების შესახებ შეტყობინებების საბიუჯეტო გაწერასთან შეუსაბამობა;
- საბიუჯეტო სახსრების საბანკო დეპოზიტებზე განთავსებაზე ან მათი ნდობითი მართვის სახით გადაცემაზე აკრძალვის დარღვევა;
- საბიუჯეტო ანგარიშებზე ჩასარიცხი თანხების გადასარიცხი საგადასახადო საბუთების არადროული შესრულება;
- ბიუჯეტის შემოსავლების ჩარიცხვის სავალდებულობის დაუცველობა;
- ხარჯების დაფინანსება დადგენილი ლიმიტის ზევით;
- საბიუჯეტო კრედიტების, სესხების მიწოდება დადგენილი

წესის დარღვევით;

– დადასტურებული საბიუჯეტო ვალდებულებების მიხედვით გადახდების დროულად არგანხორციელება.

საბიუჯეტო კონტროლი – არის ფინანსურ-ეკონომიკური კონტროლის შემადგენელი ნაწილი – სახელმწიფო ორგანოების მიერ ქვეყნის, მისი სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფულადი ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების კანონიერების, მიზანშეწონილობის და ქმედებების ეფექტიანობის შემოწმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.

საკონტროლო ფუნქციები კანონით დაკისრებული აქვს კონტროლის პალატას, ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ შექმნილ საკონტროლო-სააღრიცხვო ორგანოებს, საგადასახადო სამსახურს, საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებს, კომისიებს და სხვ.

ფედერაციაში, მის რეგიონებსა და მუნიციპალურ წარმონაქმნებში საზოგადოებრივი ფონდების, საბიუჯეტო მოწყობისა და საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციის შესახებ საკითხების გათვითცნობიერება და ცოდნა ხელისუფლების ფუნქციონირების, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების, ასევე, ბიუჯეტის, მისი პროექტებისა და ანგარიშგებების შესრულების ანალიზის, თვით საბიუჯეტო პროცესის უკეთესად გაგების შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც შედეგი ბევრად არის დამოკიდებული მის ორგანიზაციაზე.

საბიუჯეტო ურთიერთობებს საფუძველი ეყრება ქვეყნის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებებით. აღნიშნულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების თანახმად შემოსავლების გადანაწილება;
- საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის ხარჯების განაწილება;

- საბიუჯეტო უფლებების თანასწორობა უფრო მაღალი ღონის ბიუჯეტთან ურთიერთობისას;
- სუბიექტებისა და მუნიციპალური ორგანოების მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფის გათანასწორება.

აღნიშნულ საკითხში საკვანძო მომენტს წარმოადგენს საფინანსო დამოუკიდებლობის გარანტიების, საბიუჯეტო ფედერალიზმის უზრუნველყოფა, რომელიც აძლევს რეგიონს იმის საშუალებას, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები.

აღნიშნულთან დააკვირებით ჩვენ ვეთანხმებით ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის ვლ. პაპავას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის“ ამა თუ იმ მოდელის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს თავად ცენტრალური ხელისუფლება და რა ფუნქციების დელეგირება ხდება ფედერაციის სუბიექტებზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ამოსავალია ცენტრალური ხელისუფლების ე. წ. „მინიმალური ფუნქციათა“ განსაზღვრა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო როგორც ასეთი ვერ იარსებებს.

ამ „მინიმალურ ფუნქციათა“ რიცხვს განეკუთვნება ქვეყნის თავდაცვა, ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნა, საგარეო ურთიერთობები, საგარეო ვაჭრობის ერთიანი რეჟიმის დამყარება, ერთიანი ვალუტის ემისია და მის ბრუნვაზე კონტროლის განხორციელება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ნებისმიერი „სხვა ფუნქცია“ სრულიად ან ნაწილობრივ შეიძლება განახორციელონ ფედერაციის სუბიექტებმა.¹

¹ კაკულია რ., ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, შრომების კრებული, ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 123.

შემოსავლებისა და ხარჯების პარამეტრები განისაზღვრება მართვის ორგანოების უფლებამოსილებების პირველადი გადაწვევებით თითოეულ დონეზე. რეგიონები იღებენ კანონმდებლობით დადგენილი შემოსავლების დონეს და ხარჯების მიმართულებებს იმისათვის, რომ განახორციელონ ტერიტორიის განვითარების პროგრამები, მათ შორის გრძელვადიანი პროგრამები.

გადაწვევების აუცილებლობა განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით. პირველს მიეკუთვნება რეგიონებს შორის განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების არსებობა, ხოლო მეორეს – საბიუჯეტო შემოსავლების მოზიდვაში არსებული ნაკლოვანებები.

რეგიონებს შორის შეიმჩნევა არსებითი განსხვავებები წარმოებითი პოტენციალის, ეკონომიკური ეფექტიანობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებითი განსხვავებების არსებობა ქმნის ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის საშიშროებას. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ატარებს მოქალაქეთათვის სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამიზნულ ერთიან რეგიონულ პოლიტიკას.

ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები იღებს ორ ძირითად მიმართულებას:

1. სამხარეო და რეგიონულ ბიუჯეტებს შორის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნორმატიული განაწილების გათვალისწინებით ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება;
2. გეგმიური დანახარჯების დაფინანსებისა და სოციალური განვითარების თანაბარი პირობების შექმნის აუცილებლობიდან გამომდინარე რეგიონების მიერ ცენტრალური ბიუჯეტიდან სახსრების მიღება.

შემოსავლები ფორმირდება საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობების შესაბამისად. საკუთარი შემოსავლები მთლი-

ანად ან ნაწილობრივ რჩება შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტებს (საგადასახადო, არასაგადასახადო შემოსავლები, აუნაზღაურებელი გადარიცხვები). რეგიონული შემოსავლები ქმნიან სამხარეო და რეგიონულ გადასახადებსა და სხვა გადასახდელების სისტემას. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება სუბიექტების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხების ნორმატივები წლის განმავლობაში, ასევე გრძელვადიან პერიოდში.

ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება საგადასახადო შემოსავლები, გარდა სხვა დონის ბიუჯეტებში რეგულირებადი შემოსავლების სახით გადაცემულისა (არასაგადასახადო შემოსავლები, სხვა გადარიცხვები). ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლები შეიძლება გადაეცეს სხვა დონეების ბიუჯეტებს, კანონით დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

სუბიექტების ბიუჯეტების შემოსავლები ფორმირდება საკუთარი და რეგულირებადი საგადასახადო შემოსავლების საფუძველზე. ისინი მოიცავენ:

- რეგიონული გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთების მიხედვით დაწესებულ საკუთარ საგადასახადო შემოსავლებს;
- ნორმატივების საფუძველზე ანარიცხებს სამხარეო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან.

ადგილობრივი ბიუჯეტები ფორმირდება საკუთარი შემოსავლების, ცენტრალური და რეგიონული რეგულირებადი შემოსავლებისა და მოსაკრებლების ანარიცხებიდან.

ბიუჯეტების ხარჯების განსაზღვრა, პირველ რიგში, დამოკიდებულია სახელმწიფო ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ფუნქციების გადანაწილების ხასიათზე. ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება სამხარეო ორგანოების საქმიანობა, საერთაშორისო საქმიანობა, ეროვნული თავდაცვა, ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევები, უმნიშვნელოვანესი დარგების სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა, სახელმწიფო ვალის მომსახურება და ა.შ.

სუბიექტებსა და მუნიციპალურ ორგანოებს ეკისრებათ ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით მიღებული კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რეალიზაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფუნქციები. სუბიექტების ბიუჯეტებიდან ფინანსდება მათი უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების რეალიზება, სუბიექტების განკარგვაში არსებული საწარმოების განვითარება, ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის ფინანსური დახმარებების გაწევა და სხვა ხარჯები. ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ფინანსდება თვითმმართველობის ორგანოები, განათლების, ჯანდაცვის, კულტურის დაწესებულებები, მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი სხვა ორგანიზაციები, მუნიციპალური საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობა, ზორციელდება მიზნობრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ხარჯები.

ხარჯების ნაწილი, რომელიც განსაზღვრულია მრეწველობის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის, სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციონირების, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოების, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, ფინანსდება ერთობლივად – ცენტრალური ბიუჯეტის, სუბიექტების ბიუჯეტებისა და მუნიციპალური ბიუჯეტებით.

ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების ცალკეული სახეები შეიძლება გადაეცეს სუბიექტებს ბიუჯეტში, ხოლო სუბიექტების ბიუჯეტების გარკვეული სახეები ადგილობრივ ბიუჯეტებში. სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების უზრუნველყოფის მიზნით გადაცემული სახსრები განისაზღვრება შესაბამის ბიუჯეტში, როგორც შემოსავალი აუნაზღაურებელი გადარიცხვების ფორმით.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დაგეგმვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს შემოსავლების გადაცემა ფინანსური დახმარების ფორმით ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის

ბიუჯეტში.

ფინანსური დახმარების სახეები შეიძლება იყოს:

1. დოტაცია – მიმდინარე ხარჯების დასაფარად, აუნაზღაურებელ და დაუბრუნებელ საფუძველზე, სახსრების გადაცემა სხვა ღონის ბიუჯეტისათვის;
2. სუბვენცია – გარკვეული მიზნობრივი ხარჯების განსახორციელებლად, აუნაზღაურებელ და დაუბრუნებელ საფუძველზე, სახსრების გადაცემა სხვა ღონის ბიუჯეტისათვის;
3. სუბსიდიები – მიზნობრივი ხარჯების წილობრივი დაფინანსების პირობებით სახსრების გადაცემა სხვა ღონის ბიუჯეტისათვის;
4. საბიუჯეტო სესხები – დაბრუნებად, აუნაზღაურებელ ან ანაზღაურებად საფუძველზე, სახსრების გადაცემა სხვა ღონის ბიუჯეტისათვის.

დახმარება ცენტრალური ბიუჯეტიდან სუბიექტების ბიუჯეტებს მიეცემათ:

- ა) მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფის გათანაბრებისათვის. სუბიექტებისათვის ფინანსური დახმარება მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფის გათანაბრებისათვის უნდა გაიცეს დოტაციების სახით. მისი პარამეტრები განისაზღვრება მთავრობის მიერ დადგენილი მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფის, სახელმწიფო მომსახურებისა და ნორმატივების წარმოდგენისთვის ფინანსური ნორმატივების დანახარჯების საფუძველზე;
- ბ) ცალკეული მიზნობრივი ხარჯების დაფინანსებისათვის. ცალკეული მიზნობრივი ხარჯების დასაფინანსებლად გაიცემა სუბვენციები. ფინანსური სახსრები მიემართება მიზნობრივი პროგრამების, კაპიტალდაბანდებების სხვა ღონის ბიუჯეტებიდან გადაცემული ხარჯების და სხვა მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად;
- გ) „სალაროში“ არსებული სხვაობის დასაფინანსებლად. აღნიშნული სხვაობები განპირობებულია ხარჯებისა და

შემოსავლების სეზონური ხასიათით. სუბიექტის ბიუჯეტის შესრულებისას წარმოშობილი დროებითი სხვაობის დასაფარად წარიმართება საბიუჯეტო სესხები ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი პირობებით. ხოლო თუ არ მოხდა მათი დაბრუნება საფინანსო წლის ბოლომდე, მაშინ დარჩენილი სესხი იფარება სუბიექტის ბიუჯეტისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ფინანსური დახმარების ხარჯზე.

ფინანსური დახმარება სუბიექტის ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტისთვის ასევე შეიძლება გაწეული იქნეს ანალოგიური მიზნებისათვის.

საზღვარგარეთული გამოცდილებით რეგიონული ბიუჯეტი-სათვის ფინანსური დახმარებების გაწევის წყაროს წარმოადგენს ამ მიზნით შექმნილი სპეციალური ფონდები. ესენია:

1. სუბიექტების ფინანსური დახმარების ფედერალური ფონდი (ფდფფ). ფდფფ-ს ფინანსური სახსრების განაწილება ხორციელდება გაანგარიშებათა ნორმატიული მეთოდის საფუძველზე. საწყის ინფორმაციას წარმოადგენს წინა წლების მონაცემები ინდექსაციისა და დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით. მისი განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმს კი წარმოადგენს მთლიანად სუბიექტებს შორის საშუალო სულადობრივ საბიუჯეტო შემოსავლებს შორის სხვაობა. თუ ეს მაჩვენებელი რეგიონში ნაკლებია ვიდრე ქვეყანაში, მაშინ იგი იღებს უფლებას მიიღოს ტრანსფერტი ფდფფ-დან.

აღსანიშნავია, რომ სახსრები გამოეყოფათ მხოლოდ იმ რეგიონებს, რომლებიც ასრულებენ საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს. სუბიექტებს, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი ფინანსური ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებებით, ფედერალური ორგანოებიდან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ მიიღონ სახსრები ფდფფ-დან სუბვენციების სახით, აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად.

სუბიექტებისათვის გადარიცხული სახსრების სიდიდე მცირ-

დება ფედერალური საკუთრებიდან სუბიექტების საკუთრებაში შეთანხმების საფუძველზე გადაცემული ქონების ღირებულებით, ასევე სუბიექტებისათვის შემდგომი გაყიდვის საფუძველზე გადაცემული ფედერალურ საკუთრებაში არსებული აქციების ღირებულებით.

მთავრობა შეიმუშავებს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც განაპირობებს სუბიექტების დაინტერესების ზრდას მათი ფინანსური რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციაში, ხარჯების ოპტიმიზებაში, ბიუჯეტების დეფიციტის შემცირებასა და კონტროლის გაძლიერებაში.

2. მიზნობრივი სუბვენციების ფონდი (მსფ) შექმნილია ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების შემადგენლობაში. ფონდის სახსრები მიმართულია:

- უკიდურესად ჩამორჩენილი რაიონებისა და მათთან გათანაბრებული ადგილების საფინანსო ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად;
- მაღალდოტაციური სუბიექტების ფინანსური ხელშეწყობისათვის;
- რეგიონების განვითარების პროგრამების დასაფინანსებლად;
- რიგი ტერიტორიებისათვის ელექტროენერგიაზე არსებული მაღალი ტარიფების კომპენსირებისათვის.

ასეთი მაგალითი არსებობს ჩვენთანაც: აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მთიან რაიონებში შესაბამის ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასთან შეთანხმებით შეღავათები დააწესა ელექტროენერჯის გადასახადზე.

თუმცა არსებული მექანიზმი მთლიანად ვერ წყვეტს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობების ამოცანებს. სოციალური განვითარების პირობების გათანაბრებაში, რეგიონული ბიუჯეტებისათვის ხარჯების კომპენსირებაში, საგადასახადო შემოსავლები ფედერალურ და რეგიონულ ბიუჯეტებს შორის ნაწილდება პროპორციით რეგიონების სასარგებლოდ, მაგრამ ფდფფ-ს სახსრები არაა საქმარისი და რეგიონებისთვის ფინანსური სახსრები გამოიყოფა

ფედერალური ბიუჯეტიდან. ცალკეული რეგიონები სარგებლობენ პრივილეგიებით. რიგი რეგიონების ფინანსური დახმარება კი შეადგენს მათი ბიუჯეტების შემოსავლების 70-80 პროცენტს.

მკაფიო კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, რეგიონებისათვის რეგულირებადი შემოსავლების არასაკმარისი რაოდენობით გამოყოფის საშუალებათა განაწილების მეთოდის არასრულყოფილების გამო საბიუჯეტო ფედერალიზმის მექანიზმი, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, საიმედოდ არ მუშაობს. ფაქტობრივად სხვა დონის ბიუჯეტებისათვის სახსრების გადაცემა ყველაზე მარტივი ხერხით – არსებული საკუთარი სახსრებისა და საჭირო რაოდენობის ხარჯებს შორის სხვაობით ხდება. ეს არ იწვევს რეგიონების საკუთარი საშემოსავლო ბაზის გაფართოებას. ამის გარდა ცენტრი არ უნდა აგებდეს პასუხს, მათთან შეუთანხმებლად რეგიონების მიერ ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებზე (გარდა ფედერალური კანონმდებლობით გათვალისწინებულისა).

ფინანსური დახმარებების კრიტერიუმებს წარმოადგენენ საბიუჯეტო ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ მინიმალურ საბიუჯეტო უზრუნველყოფას. მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფა ასახავს მინიმალურად დასაშვებ მომსახურების ღირებულებას, მართვის ორგანოების მიერ ერთ სულზე გადაანგარიშებით. მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების ნუსხა, სახეები და რაოდენობრივი მნიშვნელობები მყარდება კანონით და განისაზღვრება კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესაძლებლობებით. ისინი დიფერენცირდება რეგიონების მიხედვით მათი ობიექტურად განპირობებული თავისებურებების გათვალისწინებით.

გარდა საბიუჯეტო უზრუნველყოფის გათანაბრებისა, აგრეთვე გათვალისწინებულია რეგიონების განვითარებისათვის საინვესტიციო ხელშეწყობა ორი მიმართულებით:

1. სოციალური. ძირითადად დაუბრუნებელ საფუძველზე რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში;
2. სამეწარმეო. ძირითადად დაბრუნებად საფუძველზე ქვეყ-

ნის განვითარების ბიუჯეტის ფარგლებში.

რეგიონული განვითარების ფონდი აერთიანებს კაპიტალდაბანდებებს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე სოციალური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, მინიმალურად აუცილებელი კონსტიტუციური გარანტიების სარეალიზაციოდ. სახსრების გამოყოფის პირობას წარმოადგენს სუბიექტების ხელისუფლების ორგანოების მიერ საინვესტიციო საქმიანობის გეგმების შემუშავება სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ბიუჯეტის სახსრების განაწილებისას უპირატესობა ენიჭება ეკონომიკურად ეფექტიან პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დოტაციური რეგიონების წარმოებითი და საგადასახადო პოტენციალის ზრდას. დასაკრედიტებელი პროექტებისა და პროგრამების შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. ბევრ ქვეყანაში განვითარების ბიუჯეტის ოპერატიულ მართვას ახორციელებენ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები. ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს საინვესტიციო პროექტის ანალიზსა და მის შეფასებას, ხოლო შემდგომ ეტაპზე წარადგენს წინადადებებს განვითარების ბიუჯეტის სახსრების ხარჯვაზე და სახელმწიფო გრანტების მიღებაზე. ფინანსთა სამინისტრო კი, თავის მხრივ, მთავრობისაგან დელეგირებული უფლებების გამოყენებით, საკონკურსო შერჩევის შედეგების მიხედვით საინვესტიციო პროექტებისათვის გამოყოფს სახელმწიფო გრანტებს. აღნიშნული სამინისტროები უზრუნველყოფენ საინვესტიციო პროექტების შეთანხმებით დაფინანსებას.

სუბიექტების ბიუჯეტების ფინანსური გაჯანსაღებისათვის იქმნება რეგიონული საფინანსო ინსტიტუტების განვითარების ფონდი. ფონდის შექმნის წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ორგანოების კრედიტები, ასევე მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა სახსრები. ფონდის სახსრები გამოეყოფა ფედერაციის სუბიექტებს, ცალკეულ შემთხვევაში მსხვილ ქალაქებსაც დაბრუნებად საფუძველზე. სახსრების მიმღებები, პირველ რიგში, არიან დაბალდოტაციური რეგიონები, მათი ფინანსური

დამოუკიდებლობის სწრაფი მიღწევის შესაძლებლობების მხედველობაში მიღებით.

და ბოლოს, ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე საქართველოში ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო უფლებამოსილებების განსაზღვრის, გამიჯვნისა და დადგენის აუცილებლობის ამოცანის აქტუალობიდან გამომდინარე, ქვეყნის განვითარების პერსპექტივაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს საზღვარგარეთული გამოცდილება, საქართველოს რეალობისა და ტრადიციებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანათა შორის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს საბიუჯეტო ურთიერთობების, კერძოდ კი საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის საკითხები.

პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურებაა დემოკრატიული დეცენტრალიზაციის პროცესი. დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია რეგიონული ფინანსები, რომელიც მოიცავს რეგიონების ბიუჯეტებსა და სამეურნეო სუბიექტების ფინანსებს და ისინი გამოიყენება რეგიონულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

„საბიუჯეტო ფედერალიზმი“, ისევე, როგორც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ახლად დამკვიდრებული სხვა მრავალი ტერმინი სხვადასხვა ავტორების მიერ არაერთგვაროვნად განიმარტება. ყველაზე ხშირად ამ ტერმინის გამოყენებით ახასიათებენ ფინანსური დეცენტრალიზაციისა და ტერიტორიული წარმონაქმნების თვითმყოფადობის სხვადასხვა ასპექტებს. ამასთან, პირველ რიგში „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ გაიგებულა ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებთან, მეორე რიგში გულისხმობს დასახელებული ურთიერთობების სუბიექტების არსებობას ერთიანი „ცენტრისა“ და „რეგიონის“ ფორმით, ხოლო მესამე რიგში კი თვით ეს ურთიერთობები მოქცეულია ფედერაციის სუბიექტების საზღვრებში (არ ვრცელდე-

ბა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემებზე).¹

ცნობილი რუსი რეგიონალისტი, აკადემიკოსი ა. გრანბერგი მი-
აჩნევს რა სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ქმედით ბერ-
კეტად საბიუჯეტო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, „საბიუ-
ჯეტო ფედერალიზმს“ ახასიათებს, როგორც ცალკეული დონის
ბიუჯეტების ავტონომიურობისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთო-
ბების შეხამებას.²

რუსი პროფესორები ი. გლადკი და ა. ჩისტობაევი საბიუჯეტო
ფედერალიზმს განმარტავენ, როგორც ფედერაციულ სახელმწიფოში
სხვადასხვა დონის ბიუჯეტის ურთიერთობათა სისტემას.³ ამასთან,
უნდა ავლნიშნოთ, რომ იურიდიულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ
არის სრულად ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ფედერაციული
სახელმწიფოს ცნებების დეფინიციის საკითხი და უფრო მეტიც,
ზოგიერთი ქართველი იურისტი საერთოდ უარყოფს ამ ცნების
განმარტების შესაძლებლობას.⁴

აღნიშნულ პრობლემებზე მსჯელობისას, საკვანძო მომენტად, ჩვენ
მიგვაჩნია საფინანსო დამოუკიდებლობის გარანტიები, რომელიც აძლევს
რეგიონს საშუალებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სოციალურ-
ეკონომიკური ამოცანები.⁵ აგრეთვე, ეკონომისტები იყენებენ ტერმინს
„საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი“ იმისდა მიუხედავად, თუ
სახელმწიფო როგორია მოწყობის თვალსაზრისით – ფედერაციუ-
ლი თუ უნიტარული.⁶

¹ Лексин В. Н., Швецов Л. Н., Государство и регионы, М.: УРСС, 2000, ст. 163.

² Гранберг А. Г., Основы региональной экономики, М., Высшая школа экономики, 2001, ст. 365.

³ Гладкий Ю. Н., Чистобаев А. И., Основы региональной политики, Санкт-Петербург, изд.: «Михайлова В. А.», 1998, ст. 418.

⁴ იხ. მაგალითად გოგაშვილი გ., შედარებითი ფედერალიზმი, თბ., „ინტელექტი“, 2000, გვ. 22-23, ხუბუა გ., ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2000, გვ. 212-216.

⁵ ბარათაშვილი ე., ვეშაბიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ.: შპს „ვერდი“, 2002, გვ. 205.

⁶ Хьюнтт Д., Михальек Д., Финансово-бюджетный федерализм, в книге: Налогово-бюджетная политика в странах с экономикой переходного периода, под ред. В. Танзи, Вашингтон, МВФ, 1993, ст. 392.

ცნობილი პროფესორი ვლ. პაპავა ამ მიმართულების ანალიზისას აღნიშნავს: „საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი“ მოიცავს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს: ერთის მხრივ არეგულირებს საგადასახადო შემოსავლების, ხოლო მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ („ცენტრსა“) და ტერიტორიულ („რეგიონებს“) სახელისუფლო სტრუქტურებს შორის. ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში „რეგიონებიდან“ ცალკე გამოიყოფა ფედერაციის სუბიექტები, რომელთაც პირობითად ვუწოდოთ „ფედერაციული რეგიონები“¹.

გარდამავალი პერიოდის აღიარებული მკვლევარი, პროფესორი ნ. ჭითანავა ამ მიმართულებით პოზიციის დაფიქსირებისას აღნიშნავს, და ჩვენც ვიზიარებთ მის აზრს, რომ: „საქართველოს ეკონომიკური რეფორმების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საბიუჯეტო ფედერალიზმის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებაა. საბიუჯეტო ფედერალიზმი ეკონომიკური ცნებაა, რომელიც ახასიათებს ბიუჯეტის მრავალდონიან სისტემას. ჩვეულებრივ, მსოფლიო პრაქტიკაში განიხილავენ ხელისუფლების 3 დონეს: ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი საფინანსო გეგმა, ბიუჯეტი და კონკრეტულ ქვეყანაში დადგენილ წესისამებრ არეგულირებს მის შემოსავლებსა და გასავლებს. სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ცალ-ცალკე ფუნქციონირება და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ნორმებს, იწოდება საბიუჯეტო ფედერალიზმად. ამ საყოველთაოდ აღიარებულ ტერმინს მართებულად მივიჩნევთ და ავლნიშნავთ, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმი გულისხმობს დონებს შორის ფუნქციების გამოიჯენას, საგადასახადო რესურსების არსებობას, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის დისბალანსის აღმოფხვრას, სათანადო ეკონომიკურ და ორგანიზაციულ პირობებს“².

¹ პაპავა ვლ. საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი?, თბ., 2000, გვ. 3-4.

² ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ.: ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1997, გვ. 158-159.

„საბიუჯეტო ფედერალიზმის“ სრულყოფა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს რეგიონების სოციალური უთანაბრობის პრობლემების გადაწყვეტასა (შერბილებას) და ტერიტორიული სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფას, ამასთან აღნიშნულის რეალიზაციის პროცესში წამოჭრილი წინააღმდეგობების დაძლევა და თითოეული მოქალაქისათვის (მოქალაქეთა ჯგუფებისათვის, ფენებისათვის) გარკვეული მოცულობის სოციალური მომსახურებითი უზრუნველყოფის საკითხიც „საბიუჯეტო ფედერალიზმის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პრიორიტეტულობა დეკლარირებული და დაფიქსირებულია საქართველოს მთავრობის მიერ, ბოლო პერიოდში მიღებულ თითქმის ყველა სამთავრობო დოკუმენტში.

აღნიშნულიდან და ჩვენს მიერ ზემოთ გაანალიზებული „საბიუჯეტო ფედერალიზმის“ არსის თაობაზე ცნობილი რეგიონალისტებისა და მეცნიერ-ეკონომისტების ზემოაღნიშნული განმარტებების განზოგადების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვაცალიბოთ შემდეგი დასკვნა: „საბიუჯეტო ფედერალიზმი“ (საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი) მრავალასპექტიანი და შესაბამისად, რთული მექანიზმია, რომლის ძირითადი მიზანია „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის ფუნქციათა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის კვალობაზე (ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე „მეტი ფუნქციების“ დელეგირების გათვალისწინებით) ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ამდენად, „საბიუჯეტო ფედერალიზმის“ პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამი ძირითადი ფაქტორი:

- ხელისუფლების ყველა დონეს შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა საფინანსო რესურსების განკარგვაზე (ხარჯვაზე);
- სხვადასხვა სახელისუფლო დონეებისათვის მინიჭებული (გადაცემული) უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის, მათი

- შესაბამისი საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა;
- სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დისბალანსის შერბილება ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტების გამოყენებით, მკაფიოდ განსაზღვრული ნორმების (წესების) ფარგლებში.

ტერიტორიული (რეგიონული) სამართლიანობის პრინციპის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ტიპის ამორჩევაზე. ამ თვალსაზრისით მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბიუჯეტო ფედერალიზმის ორი ძირითადი ტიპი: კონკურენტული (დეცენტრალიზაციის) და კოოპერაციული.¹

საბიუჯეტო ფედერალიზმის კონკურენტული ტიპი მეტწილად გავრცელებულია განვითარებული ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანაში და გამოირჩევა მმართველობითი დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით, აგრეთვე რეგიონული ხელისუფლების მიერ ფინანსური დამოუკიდებლობითა და სახელმწიფო სექტორის (როლის) სისუსტით. აღნიშნული მოდელის უმთავრეს ღირსებად (დადებით მხარედ) ითვლება ცენტრის მიმართ რეგიონების დამოკიდებულების შედარებით მაღალი ხარისხი და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში გადანაწილებითი პროცესის მინიმიზაცია.

ხოლო საბიუჯეტო ფედერალიზმის კოოპერაციული ტიპი უფრო მეტად არის გავრცელებული მსოფლიოში და ხასიათდება ცენტრალური ხელისუფლების შედარებით აქტიური მონაწილეობით რეგიონთაშორისი დისპროპორციების გამოთანაბრების პროცესში (პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაციაში), აგრეთვე „ცენტრის“ მაღალი პასუხისმგებლობით რეგიონებში საფინანსო რესურსების წარმართვაზე (შესვლაზე) და მთლიანობაში ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მჭიდრო ურთიერთ-თანამშრომლობით. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის ზოგიერთი ნაკლოვანება (მაგალითად, გადანაწილებითი პროცესის რუტინიზაცია, ადგი-

¹ Гладкий Ю. Н., Чистобаев А. И., Основы региональной политики, Санкт-Петербург, изд.: «Михайлова В. А.», 1998, ст. 418.

ლობრივი ადმინისტრაციის „ცენტრზე“ დამოკიდებულების, კონკურენტულ მოდელთან შედარებით მაღალი ხარისხი და სხვ.) კომპენსირდება მისი ისეთი უპირატესობებით, როგორიცაა გადასახადების ცენტრალიზებულად აკრეფის ეკონომიურობა, ტერიტორიული ბიუჯეტების ჰორიზონტალური გამოთანაბრების მიზნით სახსრების აკუმულირების კარგი შესაძლებლობები და სხვ.

მსოფლიოში არ არსებობს საბიუჯეტო ფედერალიზმის იდეალური (სრულყოფილი) მოდელი: თითოეული მათგანის ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორზე, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის დამახასიათებელ თავისებურებებს, განვითარების ტენდენციებსა და ისტორიულ კანონზომიერებებს.

როგორც პრაქტიკა და მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს კონკურენტული (დეცენტრალიზებული) მოდელი წარმატებით გამოიყენება ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და სხვ. ხოლო კოოპერაციული მოდელი კი სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში.

ამდენად საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის არჩევასთან დაკავშირებული გარკვეული წინააღმდეგობებისა, კოოპერაციული მოდელისათვის დამახასიათებელი რეგიონული ხელისუფლების ფართო მონაწილეობა ეროვნული შემოსავლების გადანაწილებისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესში, და აქედან გამომდინარე სხვადასხვა საბიუჯეტო დონეებს შორის მჭიდრო ურთიერთანამშრომლობის უზრუნველყოფა შეიძლება მივიჩნიოთ (ჩავთვალოთ) ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წინაპირობად.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ სრულად ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ პროფესორ ნ. ჭითანავას პოზიციას იმის შესახებ, რომ: „საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის კოოპერაციული ტიპი (მისი საერთო ნიშან-თვისებებით, ასევე ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით) გარდამავალ ეტაპზე უფრო მისაღებად უნდა ჩავთვალოთ. რეგიონების (მხარეების, რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ფორმირებების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარ-

რების პროგრამებში სრულად უნდა აისახოს შესაბამისი ღონეების ბიუჯეტების ფორმირების პრინციპები, მიმართულებები. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჰორიზონტალურ გამოთანაბრებას.¹

როდესაც საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის პრობლემებს ვაანალიზებთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვაზოგადოთ არსებული საბიუჯეტო (ბიუჯეტთაშორისი) ურთიერთობების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანი მხარეები.

პირველი – საქართველოს რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გარკვეულწილად მოგვარების საკითხები ტერიტორიული ბიუჯეტების შესაძლებლობების ფარგლებში მეტად არაერთგვაროვანია და მისი განსაზღვრის არსებული მეთოდოლოგია (სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობისა და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ოდენობის გათვალისწინებით) მოითხოვს სრულყოფას.

მეორე – არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული (განსაზღვრული) ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტების გადანაწილების მეთოდოლოგია. არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისად განისაზღვრება რეგიონებისათვის ტრანსფერტების დიფერენცირებულად გადაცემის ნორმები. ასეთ პირობებში კი „ცენტრს“ საბიუჯეტო ტრანსფერტების მანიპულირების შესანიშნავი შესაძლებლობები ექმნება. ხოლო საბოლოოდ კი საბიუჯეტო ტრანსფერტების არსებული სისტემა უფრო მეტად უწყობს ხელს რეგიონული დისპროპორციების გაღრმავებას, ვიდრე მის ნიველირებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირებული საქართველოს მთავრობის პოზიცია გვაძლევს იმის იმედს, რომ ეს პრობლემა უახლოეს პერიოდში დადებითად გადაწყდება. კერძოდ: „სერიოზულად დაიხვეწება ე. წ. „სპეცტრანსფერტების“ მოცულობების განსაზღვრისა და განაწილების ამჟამად მოქმედი პროცედურა, რომელიც იგნორირებას უკეთებს ცენტრალური ბიუჯეტიდან ხარ-

¹ პაპუა ვლ. საგადასახლო ფედერალიზმი: თანხმობა თუ სეპარატიზმი?, თბ., 2000, გვ. 5.

ჯების პროგრამული დაფინანსების პრინციპების საფუძველზე გაწვეას.“¹

მესამე – ცენტრალური ხელისუფლება არ ფლობს რეგიონების საგადასახადო შესაძლებლობებისა (რეზერვების) და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შესახებ არსებულ რეალურ ინფორმაციას. ამასთან, არ გააჩნია ჩრდილოვანი ეკონომიკის, როგორც არაკრიმინალური ნაწილის ლეგალიზაციის, ასევე მისი კრიმინალური სვემენტის მასშტაბების შემცირების რეალურად ეფექტური ბერკეტები.

მეოთხე – საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ვერტიკალური დაუბალანსებლობის პირობებში, რომელიც დაკავშირებულია სოციალური ხარჯების რეგიონულ დონეზე გაწვევის მზარდ ტენდენციასთან (მით უმეტეს რეგიონების არასათანადო ოდენობით საგადასახადო ბაზის უზრუნველყოფის მდგომარეობაში), ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენით, არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

თავისთავად ცხადია, რომ საბიუჯეტო ფედერალიზმის არსებულ მოდელს, საქართველოში არც ერთი მეცნიერი და პრაქტიკოსი არ მიიჩნევს სრულყოფილად და საბოლოოდ ჩამოყალიბებულად. მაგრამ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ფუნქციონირებად სისტემაში რადიკალური ცვლილებების შეტანა, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო დღემდე ჭიანჭურდება.

თუმცაღა, დღევანდელ საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იდგმება. შეიქმნა პირველი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას და მათ კავშირს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. შეტანილია სათანადო ცვლილებები ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ურთიერთობაში, კერძოდ შემოსავლებისა და განაწილების საქმეში, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური

¹ შთანაგა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ.: ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1997, გვ. 162. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატორი გეგმა, თბ.: ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, გვ. 157.

შესაძლებლობების ფარგლებში მათ შორის ურთიერთობებს აწესრიგებს. ამასთან, ქვეყანაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც აღმასრულებელი ორგანოები, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეებზე არღვევენ საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს – კუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებების საერთოდ მიუღებლობა, მათი დაგვიანებით ან ნაწილობრივ მიღება, მიზნობრივი ფინანსური რესურსების არამიზნობრივად ხარჯვა და მრავალი სხვა.¹

საქართველოს კანონით „საბიუჯეტო სისტემებისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ (მუხლი 1) – „ბიუჯეტი არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ფინანსური გეგმა“.

მთლიანობაში საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის გაშლილი სტრუქტურა, ნახაზის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით (იხ. ნახაზი 10):²


ზემოთ აღნიშნული საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების (მათ შორის ქ. თბილისის), სრულად დამოუკიდებელ ბიუჯეტებს. 1998 წლის 15 ნოემბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საქართველოში ფუნქციონირებს 900-მდე სხვადასხვა სახისა და დონის ბიუჯეტი. ჩამოყალიბებული საკრებულოების საქმიანობის პრიორიტეტს ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა, დამტკიცება და საბოლოო ანგარიში წარმოადგენს.

საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის

¹ კაკულია რ., ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, შრომების კრებული, ბათუმ-თბილისი, 2001, გვ. 124.

² ჩიხლაძე ნ., ქაჯაია ვ., ბიუჯეტების პარამონიზაციის პრობლემები სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში, ქუთაისი: „ქუთაისინფორმი“, 2001, გვ. 97.

ნახაზი 10. საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის გაშლილი სტრუქტურა



ევროპის ქარტიის შესაბამისად ყველა ეს ბიუჯეტი დამოუკიდებელია. მათი დამოუკიდებლობის გარანტიაა ისიც, რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ რომელიმე სხვა უფრო მაღალი დონის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი, ან შექმნან სხვა ასეთივე ბიუჯეტებთან ერთად რაიმე ერთობლივი ბიუჯეტი და ა.შ.¹ საქართველოს კანონმდებლობით ადგილობრივ ბიუჯეტებს განსაზღვრული წესით ადგენენ ადგილობრივი საფინანსო ორგანოები და იგი ემყარება: „შემოსავლების საკუთარ წყაროებს, დამატებით შემოსავლებს, რომლებსაც გამოძენიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების მოთხოვნილებებს“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში განასხვავებენ ფედერალურ და ადგილობრივ გადასახადებს, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში დაწესებულია აგრეთვე რეგიონული გადასახადი, რომელიც იერარქულად ფედერალური და ადგილობრივი გადასახადების შუა საფეხურზე მდებარეობს.²

საქართველოს კანონმდებლობით რეგიონული ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირება ხდება ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით, არასაგადასახადო შემოსავლებითა და ზემდგომი ბიუჯეტის ანარიცხებით. ამ წყაროებს შორის თანაფარდობა დამოკიდებულია მართვის რეგიონულ ორგანოებზე დაკისრებულ ფუნქციებზე, ადგილობრივი გადასახადების ამოღების პოტენციურ შესაძლებლობებზე, აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურ შესაძლებლობებზე.

ტერიტორიული ერთეულების შემოსავლების გამოყენების საკითხს, გარდა მიზნობრივი ტრანსფერებისა და სხვა დონის ბიუჯეტებიდან გადაცემული სესხებისა, ადგილობრივი ორგანოები წყვეტენ დამოუკიდებლად.

¹ ნანობაშვილი გ., ბრეგაძე ბ., თბილისის ბიუჯეტი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №52, 2001, გვ. 2.

² მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ.: ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 2002, გვ. 167-168.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაციას.¹ ამჟამად ურთიერთობები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის რეგულირდება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების საშუალებით.


ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენენ რიგი სუბიექტური და ობიექტური პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება წარმოვანინოთ ის „ნათელი სურათი“, საიდანაც გამოვლინარე მკაფიოდ წარმოჩინდება იმ ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორების ხასიათი (იხ. ნახაზი 11).

ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებზე მოქმედი ობიექტური ფაქტორებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ფაქტორი. საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბდა რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისპროპორციების სტაბილური ზრდის ტენდენცია. რიგი რეგიონები ხასიათდებიან ცხოვრების დაბალი დონით, განსხვავებული სამეურნეო სპეციალიზაციით და შესაბამისად განსხვავებული საგადასახადო პოტენციალით (შესაძლებლობებით). ამასთან, „ცენტრი“ ვერ ფლობს რეგიონების საგადასახადო შესაძლებლობების რეალურად შეფასების ინსტრუმენტარიუმს, რისი გათვალისწინებითაც შეძლებდა ამ მიმართულებით შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაციას.

ამ ასპექტების გაანალიზებისას, ობიექტური ფაქტორებიდან ასევე აღსანიშნავია ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რომლებიც რეგიონების ფინანსური მოთხოვნილებების ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ. მაგალითად, ცნობილია რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სხვა რეგიონების ზოგიერთი რაიონი წარმოადგენს

¹ იხ. ზურაბიშვილი ვ., ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების სრულყოფისათვის, საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში, ექსპო-ის შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 1999, 281-284.

საქართველოს ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებზე მოქმედ ფაქტორთა სისტემა.



ბუნებრივ-კლიმატური რისკების (მეწყვერები, წყალდიდობები, დიდ-თოვლობა და სხვ.) ქვეშ პერმამენტულად მყოფ ტერიტორიებს. ამდენად ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირების პროცესში უდაოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ეს ობიექტური ფაქტორი.

ასევე მნიშვნელოვანია რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, როგორც ობიექტური ფაქტორის ზეგავლენა ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირებაზე. საქართველოში სამართლებრივი და პოლიტიკური არასტაბილურობის პირო-

ბებში. ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელები შეეცადნენ ამ მიმართულებით არსებული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას, რაც როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, არც თუ წარმატებით გამოვიდათ (გავიხსენოთ მადნეულის საბადოების მაგალითი). თუმცა, როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, სტრატეგიულ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არის მოქცეული, ზოლო მათ რეალურ განკარგვას კი შეიძლება ახორციელებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. გარდა აღნიშნულისა ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიური და დემოგრაფიული ფაქტორები.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირებაზე მოქმედი სუბიექტური ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც უწინარეს ყოვლისა, ასოცირდება ისეთ მოვლენასთან, როგორცაა რეგიონული ელიტის ზეწოლა, ლობიზმი, წინასაარჩევნო პერიოდში გარკვეული (ურთიერთსასარგებლო „ცენტრის“ და „რეგიონის“ ხელისუფლების წარმომადგენელთათვის) შეთანხმების მიღწევა და სხვ.

ასევე, გარდამავალ პერიოდში მეტი აქტუალობა შეიძინა ნაციონალურ-ეთნიკურმა პრობლემებმა, რაც საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მუდმივი ზრუნვისა და დაშანტაჟების საგნად იქცა. ამდენად, მიუხედავად ამ პრობლემების პოლიტიკური ასპექტების სიმწვავისა, გააზრებული რეგიონული პოლიტიკის წარმოების პირობებში, მათ შორის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ურთიერთსასარგებლო პრინციპებზე დაყრდნობით რეალიზაციით, ამ ნეგატიური მოვლენების შედეგების მინიმიზაციის ეფექტიანი ბერკეტი მოექცევა, როგორც „ცენტრალური“, ასევე „რეგიონული“ ხელისუფლების მმართველობით (მარეგულირებელ) აპარატში.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირების სუბიექტურ

¹ აღსანიშნავია, რომ ეს მანკიერი ტენდენცია ბოლო დროში მეტად არასტაბილური დინამიკით ვითარდება და რეგიონალურ დონეზე უკვე მოხდის წარმატებებს, ხშირ შემთხვევაში თან სდევს სხვა მიმართულებით გატარებული წარუმატებელი ღონისძიებები.

ფაქტორთა შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა სოციალური დაძაბულობის დონე რეგიონებში, რომლის მინიმუმაცია-შერბილება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა.

ამგვარად, შეიძლება დაეასკვნათ, რომ საქართველოში ბიუჯეტ-თაშორისი ურთიერთობების ფორმირებაზე მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების სიმწვავე ხელს უშლის ქვეყანაში საბიუჯეტო ფედერალიზმის დამკვიდრებას. ამდენად, როდესაც ქვეყანაში საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის გზებს ვაანალიზებთ, უდაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების იმ ნაკლოვანებების გამოსწორებას, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ხოლო თავის მხრივ, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფის (რეფორმირების) ძირითად მიზნებად შეიძლება განისაზღვროს:

- საქართველის საბიუჯეტო სისტემის ფინანსური რესურსების გამოყენებისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლება;
- ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მინიმალური სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა, რაც ყველა დონის ბიუჯეტის შესაძლებლობების გამოყენებით უნდა განხორციელდეს;
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანი განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე, საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფადამკვიდრების თვალსაზრისით, შესაძლებელია გარკვეული ღონიძიებების განხორციელება. იმ პირობებში, როდესაც შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის მოქცეული საგადასახადო ადმინისტრირების სფეროში, ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებაში შეიძლება შემუშავდეს სტიმულირების სისტემა. კერძოდ:¹

¹ შექმარია შეილი გ., შევარდნაძე კ., რეგიონული ეკონომიკური და ფინანსურ-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; კრებულიდან „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში, ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 47-48.

- თითოეულ რეგიონთან მიმართებაში ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის და აქედან გამომდინარე, ტრანსფერის მოცულობის პროგნოზირებისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას საგადასახადო შემოსავლების მობილიზების წინა წელს მიღწეული ღონის შენარჩუნება, რომლის ამოღება ირიბი გზით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დამატებითი ფინანსური შესაძლებლობების მიღების ტოლფასი იქნება;
- ამჟამად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო ბაზა ისედაც მწირია, მით უმეტეს ჩრდილოვანი ეკონომიკის მზარდი მასშტაბების გათვალისწინებით მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, რის შედეგადაც ქვეყნის ადმინისტრაციულ რაიონებს შორის მხოლოდ რამდენიმე გვევლინება არადოტაციურად, ხოლო დანარჩენი რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები კი ფაქტობრივად, ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერების მოცულობაზე და სახელმწიფო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით, ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების განაწილების მოქმედი სისტემის შემდგომი ოპტიმიზაცია, რაც, თავის მხრივ, ამ თვალსაზრისით ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების საქმიანობის გააქტიურებისათვის დამატებითი სტიმული იქნება.

საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის თვალსაზრისით კონსტიტუციაში ღიად დარჩენილი მწვავე პრობლემების გადაწყვეტის გარეშე, მეტად რთული და ალბათ შეუძლებელიცაა საბიუჯეტო ფედერალიზმის ქართული მოდელის ჩამოყალიბება. თუმცა ამ პრობ-

ლების გადაწყვეტის მიმართულებით (იგულისხმება საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა), ბოლო პერიოდში, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში დაწყებული დადებითი პროცესები გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. აქედან გამომდინარე კი, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საბიუჯეტო ფედერალიზმის დამკვიდრების მიმართულებებით გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რაც შესაბამისად „ცენტრსა“ და „რეგიონს“ შორის საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების სწორად გამოყენას, ქვეყნის შიგნითა და გარეთ რეგიონთაშორის ინტეგრაციის ახალი პრინციპებით წარმართვას უნდა დაეფუძნოს.

13. რეგიონული დასაქმების ფორმირება და სოციალური პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება

დასაქმების რეგიონული პოლიტიკის ფორმირება და შესაბამისი რეგიონული პროგრამების შემუშავება მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: რეგიონში დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების ანალიზი და პროგნოზირება მათი შეფასების დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე; რეგიონში დასაქმების და უმუშევრობის მიმართ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შერჩევა; დასაქმების რეგიონული პოლიტიკის მიმართულებების და პრიორიტეტების განსაზღვრა საერთო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე; რეგიონის მოსახლეობის დასაქმების მუდმივმოქმედი და სრულყოფილი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნა რეგიონის დასაქმების პროგრამის რეალიზაციის საფუძველზე; რეგიონის დასაქმების პროგრამის რეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება.

დასაქმებისა და უმუშევრობის საერთო მახასიათებლებთან ერთად ანალიზის საგანს წარმოადგენს მათი სტრუქტურული და ხარისხობრივი მახასიათებლები, რაც გულისხმობს დასაქმების პროგრესული სტრუქტურის შექმნას და სამუშაო ძალის გამოთავისუფლების სოციალური შედეგების შემსუბუქებას. ამ გარემოებების მიხედვით რეგიონის მოსახლეობის დასაქმების ფაქტიური მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$K_{\text{გ}} = I - \frac{\sum_i H_i + H_{\text{უ}}}{H_{\text{პ}}}$$

სადაც $K_{\text{გ}}$ მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტი; i – მოსახლეობის ჯგუფების რაოდენობა დასაქმების ნიშნის მიხედვით; H – მოსახლეობის რაოდენობა დასაქმების არახელსაყრელი პირობებით; $- H_{\text{უ}}$ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც

შედგება უმუშევარი მოქალაქეებისაგან; - H_p ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა.

ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტი განპირობებულია ორი ძირითადი მომენტით: დასაქმების არახელსაყრელი პირობების მინიმიზაციით და უმუშევრობის შემცირებით.

მოსახლეობის დასაქმების პროგნოზი ობიექტურად განპირობებულია სამუშაო ძალის მოთხოვნის და მიწოდების და სამუშაო ადგილების ბალანსში სხვაობით, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკაში მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაში, მომუშავეთა კვალიფიკაციასა და შრომის ანაზღაურებაში, მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებით.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების შედეგად რეგიონების მიხედვით დასაქმების სფეროში შემდეგი სიტუაცია ჩამოყალიბდა: ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა ღონის ფორმირებაში გადამწყვეტი იყო მრეწველობასა და მშენებლობაში მიმდინარე პროცესების გავლენა. კერძოდ, 1990-2000 წლებში საქართველოში მოქმედი სამრეწველო საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის სრულმა ან ნაწილობრივმა გაჩერებამ დასაქმებულთა რიცხოვნობის თითქმის 4-ჯერ შემცირება გამოიწვია, ხოლო მშენებლობაში კი დასაქმებულთა რიცხოვნობა თითქმის 10-ჯერ შემცირდა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და დასაქმებულთა რიცხვის ზრდას კი ადგილი ჰქონდა ეროვნული ეკონომიკის ისეთ დარგებში, როგორცაა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა. არსებითად გაიზარდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი, რაც მიწის პრივატიზების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს¹.

დასაქმების სფეროში რეგიონული ცვლილებების ანალიზისა და პროგნოზირების გაღრმავებისათვის აუცილებელია მატერი-

¹საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატორი გეგმა. თბილისი, 2001 წ., გვ. 87.

აღსრული წარმოების (გარემოს დაცვისა და ნარჩენების გადამუშავების ჩათვლით), სოციალური ბიზნესის (კომერციული მომსახურების ჩათვლით) და ინსტიტუციონალური (სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ორგანოების ჩათვლით) სფეროს დასაქმების დინამიკის კვლევა.

საქართველოში გარდამავალ პერიოდში, ასევე მომავალშიც, შენარჩუნებული იქნება მოთხოვნა ისეთ სპეციალობებზე, როგორცაა ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი, აუდიტორი, მენეჯერი, მდივან-რეფერენტი, ოფის-მენეჯერი და სხვა.

მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა მისაღებ დონემდე უმუშევრობის შემცირების მიზნების შესწავლა. უმუშევრობის დონის შეფასების კრიტერიუმად მიიღება: 2%-მდე – უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომელიც ასახავს სამუშაო ძალის მობილურობას სტაბილური ფასების პირობებში; 10%-მდე – უმუშევრობის მისაღები დონე, რომელიც არის სამუშაო ძალის ღირებულების შემცირების და არასტაბილური ეკონომიკური სიტუაციის შედეგი; 10%-ის ზემოთ – უმუშევრობის სოციალურად საშიში დონე, რომელიც არის სამუშაო ძალის ჰიპერინფლაციისა და გაუფასურების შედეგი. აღნიშნული კრიტერიუმების შეფასების საშუალებით შესაძლებელია დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტის ცვლილების პროგნოზირება.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებსა და განვითარების პირობებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები იწვევენ უმუშევრობის მისაღები დონის მიმართ დიფერენცირებული მიდგომების აუცილებლობას. ამასთან, მიზანშეწონილია მხედველობაში მივიღოთ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი H_p . რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი, მით უფრო ძნელია სამუშაოს პოვნა; სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის დასაქმება $H_{\text{ს}}$, რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია

უმუშევრობის ალბათობა, რაც აიხსნება სამუშაოს სეზონურობით; შინამეურნეობაში (საოჯახო მეურნეობაში) დასაქმებულ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის ზევდრითი წილი $H_{აა}$, რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო მცირეა უმუშევრობის დონე; შრომის მწარმოებლურობის დონე, რომელიც განისაზღვრება მშპ-სა და დასაქმებულობის (Π) თანაფარდობით – აღნიშნული მაჩვენებლების ზრდისა და წარმოების მოცულობის უცვლელობის პირობებში უმუშევრობის დონე მცირდება; მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი (D) – რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო იზრდება უმუშევრობა; დასაქმების ფონდის საშუალებების დონე (Φ) – რაც უფრო იზრდება მაჩვენებელი, მით უფრო მცირდება უმუშევრობის დონე.

უმუშევრობის დონეზე აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენის შესწავლისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ რეგიონის მონაცემების კორელაციური და ექსპერტული ანალიზი. ათელის წერტილი ამ შემთხვევაში არის უმუშევრობის ბუნებრივი დონე Q_0 . მისაღები უმუშევრობის დონე (Q_3) კონკრეტული რეგიონისათვის შესაძლებელია გამოვსახოთ შემდეგი ფორმულის სახით:

$$Q_3 = Q_0 \frac{H_2^a \times H_{აა}^b \times \Pi^c \times D^d}{H_{აა}^e \times Q_3^f}$$

სადაც a, b, c, d, e, f – დონეების მაჩვენებლებია.

რეგიონის დასაქმების ანალიზისა და პროგნოზის მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დასაქმების საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტა. დასაქმების რეგიონული პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია დასაქმების სამსახურების საწარმოებთან ურთიერთობებზე, წარმოადგენს აქტიურ პოლიტიკას. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას, პირველ რიგში, ორიენტაცია ზდება უკვე არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე და ეფექტიანად გამოყენებაზე და არა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

თუ ერთმანეთს დავუკავშირებთ ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას, მაშინ ამ ორი ფაქტორის დამოკიდებულების მოდელირება უნდა განვიხილოთ ორ ასპექტში: გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდში. პირველ შემთხვევაში დასაქმება მთლიანად არის დამოკიდებული წარმოების და შრომის მწარმოებლურობის დონეზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ეფექტიანი დასაქმება მიიღწევა გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანით. შრომის მწარმოებლურობისა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ზრდის შესაბამისად დასაქმება და წარმოების მოცულობა თანაბრად იზრდება. ეს პირობები დამახასიათებელია გრძელვადიანი პროგნოზირებისათვის.

ზემოთ აღნიშნული მიდგომები მისაღებია მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკისათვის. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ჩნდება დასაქმების და მასთან დაკავშირებული ფაქტორების რეგულირების მიმართ ახალი მიდგომების მოძიების აუცილებლობა.

დაზურული ეკონომიკის პირობებში უნდა განვიხილოთ შემდეგი კავშირი: ფასი-შრომის ანაზღაურება-უმუშევრობა. თუმცა მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ დაზურული ეკონომიკის პირობებში შრომის ანაზღაურების ინდექსაცია ინფლაციის ტემპთან შედარებით უფრო გვიან ტარდება. ღია ეკონომიკის პირობებში კი პირიქით, ინდექსაცია ინფლაციის ტემპის პარალელურად მიმდინარეობს. ინფლაცია-უმუშევრობის კავშირის დინამიკა და გრძელვადიან პერიოდში შემოსავლების განაწილება დამოკიდებულია შრომის ანაზღაურების სრული ინდექსაციის დონეზე. ამ შემთხვევაში უმუშევრობის დაძლევის ერთადერთი პირობა შეიძლება იყოს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა მით უფრო მეტია, რაც უფრო ღიდია სხვაობა პროდუქციის მოცულობისა და მწარმოებლურობის ზრდას შორის.

როგორც აღვნიშნეთ, ინფლაცია და უმუშევრობა ურთიერთდაკავშირებულ კატეგორიებს წარმოადგენენ. მაკროეკონომიკურ

ანალიზში ამ კატეგორიებს შორის კავშირი აისახება ოუქენის ინდექსით, რომლის რიცხობრივი მნიშვნელობა მიიღება ინფლაციისა და უმუშევრობის პროცენტების ჯამით. ამასთან ცნობილია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის აუცილებელია ინფლაციის ტემპის შემცირება წლიურ 40%-მდე (ან 2,8% თვეში), ხოლო უმუშევრობის (მისაღები უმუშევრობის დონე) დონე მერყეობს 1-2-დან 7-10%-ის ფარგლებში. ამ შემთხვევაში უნდა დავაჯამოთ არა მაჩვენებლები, არამედ მათი შემცირების პროცენტები წინა პერიოდთან შედარებით მონიტორინგის პროცესში. ინფლაციისა და უმუშევრობის დინამიკის ერთობლივი განხილვისა და შეფასების მეთოდიკა საკმაოდ ნაყოფიერია და მნიშვნელოვანი შედეგის მომცემი.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, აღნიშნული მიდგომა მისაღები როგორც მაკროდონეზე, ასევე რეგიონებისა და საწარმოების დონეზე.

მოსახლეობის დასაქმების პროგნოზის შემუშავება განპირობებულია სამუშაო ძალასა და სამუშაო ადგილებზე მოთხოვნასა და მიწოდებაში მოსალოდნელი ცვლილებებით, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის მდგომარეობაზე ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების, მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის დინამიკის, მომუშავეების კვალიფიკაციისა და შრომის ანაზღაურების დონის, მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის დონის ზეგავლენას. აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში დასაქმების სფეროში მიმდინარე ტენდენციები: მცირდება მრეწველობაში, მშენებლობასა და მეცნიერებაში დასაქმებულთა რიცხვი ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ჯანმრთელობის, განათლებისა და მართვის ორგანოებში დასაქმებულთა რიცხვის ზრდის შესაბამისად. მსხვილ და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვის შემცირების კვალობაზე, იზრდება მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი. ასევე გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში დასაქმებულთა რიცხვის შემცირების შესაბამისად იზრდება მომპოვებელი მრეწველობის დარგებში დასაქმებულთა

რიცხვი.

ეკონომიკური ზრდის სტრატეგია ხელს უწყობს დასაქმების პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას. აღნიშნული მიმართულებებია: ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური განვითარების საფუძველზე მატერიალური წარმოებისა და მეცნიერების სფეროში ადრე გაუქმებული სამუშაო ადგილების აღდგენა, გარემოს დაცვის და ნარჩენების გადამუშავების ეფექტიანი სისტემის შექმნა, ნორმატიულ დონეზე მოსახლეობის უზრუნველყოფა სოციალური მომსახურებით, ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა და თვითდასაქმების თანამედროვე ფორმების განვითარება.

მოსახლეობის დასაქმების პროგნოზირებისათვის აუცილებელია მოსალოდნელი სამუშაო ძალის მიწოდებისა და ეკონომიკის სუბიექტების სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაბალანსება. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განსაზღვრა შესაძლებელია როგორც საანგარიშსწორებო, ასევე ექსპერტული შეფასების მეთოდის გამოყენების გზით. პირველ ეტაპზე ხდება მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამოვლენა, მათი სტრუქტურის ჩამოყალიბება და დაჯგუფება და დგინდება სამუშაო ადგილების მოთხოვნაზე მათი ზეგავლენის შეფასების ვადები. მეორე ეტაპზე ხდება აღნიშნულის შეფასება და მოწმდება გამოვლენილი ფაქტორების გამოყენების შესაძლებლობა.

დასაქმების სტრუქტურაზე გავლენას ახდენენ შემდეგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები: შემოსავლების მოცულობა, საქონელმწარმოებლების დაბეგვრა და სოციალური შესანხმებები, პროდუქციის ხარისხზე მოთხოვნა, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა. ორგანიზაციული სტრატეგიის შემუშავების დროს დასაქმების დონის ზრდა მიიღწევა: რისკის საერთაშორისო და ეროვნული კომპენსაციის მოცულობის გაზრდით; ნოვატორული საქმიანობის (ნოუ-ჰაუ) განვითარებით; მაღალი ტექნოლოგიების

დანერგვისა და ბაზრის განვითარებისათვის ინოვაციური და საბაზრო ციკლების შექმნის დაჩქარებით; შრომითი საქმიანობის პროცესის უწყვეტობისა და ფუნქციონალური შესაძლებლობების უზრუნველყოფით. დასაქმების შემცირების გამომწვევი ფაქტორებია: ჯგუფური სამუშაოების ფორმებისა და იერარქიული ღონეების გამოყენებით რეორგანიზაციის განხორციელება; განვითარებად ქვეყნებში კვალიფიციური მუშახელის ადგილობრივ პირობებში დაუსაქმებლობა გამოწვეულია მაღალხარისხიან პროდუქტიაზე შეუსაბამო ფასის დაწესებით. შესაბამისად, კვალიფიციური მუშახელი კარგავს ადგილობრივ პირობებში დასაქმების ინტერესს და სამუშაოს ეძებს ქვეყნის გარეთ; ფუნქციონალური შესაძლებლობების გაუარესება.

შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ დასაქმებულთა რიცხოვნობის გაზრდის ისეთი არგუმენტები, როგორცაა შრომის ანაზღაურების მიმართ მოთხოვნების შემცირება უმუშევართა რიცხვის ზრდის პირობებში და უცხოეთის ქვეყნების შრომის ბაზრის გამოყენების შესაძლებლობები, ასევე არასრული დასაქმების სხვადასხვა ფორმების გამოყენება. დასაქმების შემცირების არგუმენტებია: განსაზღვრული სპეციალობისა და კვალიფიკაციის მუშახელზე დეფიციტი, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დიდი სხვაობა იწვევს სხვადასხვა კვალიფიკაციისა და შემოქმედებითი პოტენციალის სპეციალისტების შრომის გაუფასურებას გრძელვადიანი უმუშევრობის პირობებში; მომუშავეთა ვიწრო სპეციალიზაცია ამცირებს ახალი სპეციალობის ათვისების შესაძლებლობებს.

რეგიონში დასაქმების განვითარების პროგნოზირების დროს აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება, თუმცა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ხელოვნური გადმოტანა განვითარებად ქვეყნებში ხშირად მნიშვნელოვან სიძნელეებს წარმოშობს. აღნიშნული, პირველ რიგში, დაკავშირებულია განვითარებულ ქვეყნებში მაღალი სახელფასო განაკვეთის არსებობასთან. ამიტომ აუცილებელია შრომის ანაზღაუ-

რების და სამუშაო დროის გადანაწილება ცალკეულ მომუშავეებს შორის. არასრული სამუშაო დღის გამოყენება ამცირებს უმუშევრობას ბაზრის არახელსაყრელი კონიუნქტურის არსებობის პირობებშიც კი. მსოფლიოში ძალიან დიდი გამოცდილება არის დაგროვებული უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეში. არსებობს უმუშევრობის დაძლევის მიმართ ორი ძირითადი მიდგომა: კეინსიანური და მონეტარისტული. 50-იან წლებში სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაში გამოიყენებოდა კეინსიანური მეთოდები. კეინსიანელები თვლიდნენ, რომ თვითრეგულირებად ეკონომიკას არ შეუძლია უმუშევრობის დაძლევა. დასაქმების დონე ამ შემთხვევაში დამოკიდებულია ე. წ. „ეფექტიან მოთხოვნაზე“ (მოხმარების და ინვესტიციების დონე). ჯ. მ. კეინსი წერდა: „საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქრონიკული არასრული დასაქმების ტენდენცია არასრულ მოხმარებაში მდგომარეობს“. არასრული მოხმარება გულისხმობს იმას, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად მომხმარებელს უჩნდება შემოსავლების დაზოგვის მოთხოვნილება, რაც იწვევს წარმოების დაცემასა და უმუშევრობის ზრდას. კეინსიანელები თვლიდნენ, რომ სრული დასაქმებისათვის აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის განხორციელება. ნეოკეინსიანელებმა შემოიტანეს განსაზღვრება „დასაქმების მულტიპლიკატორი“, რომელიც განიხილება როგორც მთელი დასაქმების ნამატი პირველად დასაქმებასთან შედარებით იმ ფარგლებში, რომლებშიც განხორციელდა ინვესტიციები. არსებობს ასეთი ცნება, რომ ბუნებრივი ინფლაცია წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის ეკონომიკა მიაღწევს სრულ დასაქმებას. ამ ეტაპამდე კი ფულადი მასის ზრდა ზეგავლენას ახდენს არა ფასებზე, არამედ წარმოების მოცულობაზე. კეინსიანელების აზრით, მცოცავი ინფლაცია ხელსაყრელია წარმოებისა და შემოსავლების ზრდისათვის.

60-იან წლებში კეინსიანური მიდგომის მომხრეებმა გამოიყენეს ფილიპსის მრუდი, რათა უკეთ განესაზღვრათ უმუშევრობისა და ნეგატიური ზეგავლენა გრძელვადიან პერიოდში.

მონეტარისტები გამოვიდნენ კენისიანური მიდგომის და, შესაბამისად, ფილიპსის მრუდის წინააღმდეგ. 1967 წელს მ. ფრიდმენმა გამოთქვა აზრი „უმუშევრობის ბუნებრივი ღონის“ არსებობის შესახებ. ფრიდმენის უმუშევრობის ბუნებრივი ღონე განისაზღვრება შრომის ბაზრის პირობებით და არ შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებით. თუ სახელმწიფო ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას „ბუნებრივი ღონის“ ზევით ტრადიციული საბიუჯეტო და საკრედიტო მეთოდების საშუალებით, მაშინ ამ მეთოდებს ექნება მოკლევადიანი ეფექტი და გამოიწვევს ფასების ზრდას. მონეტარისტების აზრით, რაც უფრო მაღალია ინფლაციის ტემპები, მით უფრო ჩნდება მომავალში ფასების ზრდის გათვალისწინების საჭიროება. წარმოების პროცესის უკეთ რეგულირებისათვის სახელმწიფო იძულებულია მიმართოს ინფლაციის შემცირების ღონისძიებებს, რაც იწვევს უფრო დეფიციტური ბიუჯეტის შექმნის საშიშროებას. დასაქმების რეგულირების მონეტარისტული მეთოდები საკმაოდ რადიკალურია, მაგრამ ამავე დროს არ ხასიათდებიან ადეკვატური ეფექტიანობით. დასაქმების რეგიონული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში უნდა მოიცავდეს სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებების მთელ კომპლექსს, რომელიც მიმართული იქნება უმუშევრობის შემცირებისაკენ. დასაქმების რეგიონული პოლიტიკის ფორმირება შესაძლებელია იმ ღონისძიებების გატარებით, როგორცაა:

1. არასრულ სამუშაო დღეზე, სამუშაო კვირაზე და სხვა საწარმოების გადასვლის სტიმულირების გზით სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნის გადანაწილება. ასეთი საწარმოები უნდა იღებდნენ საგადასახადო შეღავათებს, რათა კომპენსაცია გაუწიონ ახალი მომუშავეების მიღებით გამოწვეულ დანაკარგებს;
2. მოქმედ საწარმოებში დამატებითი სამუშაო ძალის საბიუჯეტო სუბსიდირების განხორციელება, რაც გულისხ-

მობს სახელმწიფოს მიერ დამატებითი დაქირავებული მომუშავეების ხელფასების დაკრედიტებას;

3. კანონით დადგენილი საპენსიო ასაკის შემცირების გზით სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება ასევე მიიღწევა კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამსახურების განვითარებით;
4. იმ სამუშაო ადგილების შექმნა, რომლებიც, მართალია, არ იძლევიან გარკვეულ ეკონომიკურ მოგებას, მაგრამ ემსახურებიან საზოგადოების ინტერესებს, მაგალითად, გარემოს დაცვის სფეროში დასაქმება და სხვა;
5. სოციალური პარტნიორობის სისტემის შექმნაზე გადასვლა, მათ შორის სამმხრივი შეთანხმებების მექანიზმის შემუშავება (სამუშაო ადგილების მიმწოდებლები-პროფკავშირები-სახელმწიფო).

დასაქმების განვითარება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია აგრეთვე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით. მართალია, საწარმოების რესტრუქტურიზაციასა და ტექნოლოგიურ გადაიარაღებაში ჩადებულ ინვესტიციებს აქვს შრომის დაზოგვის ეფექტი, მაგრამ კაპიტალური დაბანდების ზრდა იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. რეგიონებში უმუშევრობის დაძლევის პრობლემის გადაწყვეტა, პირველ რიგში, შესაძლებელია ინვესტიციებისა და რეგიონების დონეზე მცირე ბიზნესის სტიმულირების გზით. ამასთან, რეგიონული დასაქმების პროგრამების განხორციელებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოში არსებობს მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება დასაქმების ბაზრის რეგულირებისა და განვითარებისათვის, თუმცა დასაქმების რეგიონული პოლიტიკის ფორმირება და პროგნოზირება ნაკლებად არის შესწავლილი და გაანალიზებული.

სოციალურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა, რომლებიც

საქართველოს საზოგადოებამ ბოლო წლების განმავლობაში განიცადა, სრულიად შეცვალა დასაქმების სტრუქტურა. საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მნიშვნელოვნად არის განსხვავებული რეგიონების მიხედვით მისი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვში შედის. ბოლო მონაცემებით, ოფიციალური უმუშევრობის დონე 5,8 პროცენტის ფარგლებშია. აღრიცხული უმუშევრობის დაბალი დონე რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ჯერ ერთი, ძალზე მცირეა უმუშევრობის შემწეობის თანხა და გართულებულია მისი მიღების პროცედურა. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება, იგი მაინც უმნიშვნელოა და ამდენად ადამიანებს არა აქვთ იმედი, რომ ამ სამსახურის დახმარებით იპოვიან სამუშაოს. მესამე, წარმოებები, ორგანიზაციები და დაწესებულებები არ ასრულებენ „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და არ აწვდიან დასაქმების სამსახურს ვაკანტური სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას. სწორედ უკანასკნელით არის განპირობებული დასაქმების სამსახურებში აღრიცხული თავისუფალი სამუშაო ადგილების სიმცირე.

აღრიცხული უმუშევრობის დაბალ დონეზე მოქმედი პირველი ფაქტორი, რაც დაკავშირებულია შემწეობების მიღების პროცედურის სირთულეებთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონებთან მიმართებაში, რადგან რეგიონებში აღნიშნული პროცედურა ჯერ კიდევ არ არის დახვეწილი და სრულად ჩამოყალიბებული. ამ რეგიონებიდან შეიძლება გამოვყოთ სამეგრელოსა და გურიის მთელი რიგი რაიონები.

საქართველოში უმუშევრობის რეალურ დონეზე სრული სურათის ჩამოყალიბება შეუძლებელია რეგისტრაციაზე დაფუძნებული უმუშევრობის მონაცემების საფუძველზე, რადგან ეს ციფრები სამუშაოს გარეშე დარჩენილთა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მოიცავს. ამავე დროს, ზოგიერთი მათგანი, ვინც დასაქმების სამ-

სახურში რეგისტრირებული, სინამდვილეში შეიძლება არაფორმალურ სექტორში იყოს დაკავებული.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ რეგისტრირებული უმუშევრობის მაჩვენებლები, რომლებიც მეტად არაერთგვაროვან სურათს იძლევა, სრულად ვერ ასახავენ შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის მთელ სიმწვავეს ან უმუშევრობის და სიღარიბის რეალურ მასშტაბებს. ეს გამოკვლევა, პირველ რიგში, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის მიზნით არის გამოყენებული, თუმცა ამ გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემები უმუშევრობის დონეებსა და სამუშაო ძალის მონაწილეობის კოეფიციენტებში, სამუშაო ძალის, უმუშევრობის, დასაქმებისა და სამუშაო ძალის მიღმა დარჩენილი მოსახლეობის სტრუქტურაში არსებული ტენდენციების გამოვლენისა და მათ შესახებ დასკვნების გაკეთების დროს, ყველაზე საიმედოდ არის მიჩნეული.

უმუშევრობის დონის ამსახველი მონაცემების მოპოვება განსაკუთრებით გართულებულია რეგიონების მიხედვით. ამიტომ საქართველოში დასაქმების რეგიონული პოლიტიკის რეალურად პროგნოზირება ფაქტიურად შეუძლებელია მანამ, სანამ რეგიონების შესაბამისი დასაქმების სამსახურები უფრო მეტი პასუხისმგებლობით და ყურადღებით არ მოეკიდებიან საკუთარ საქმიანობას, რადგან აქამდე აღნიშნული სამსახურების საქმიანობა ატარებდა ფორმალურ ხასიათს და არ იძლეოდა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას.

რეკონტები	1997		1998		1999		2000		2004	
	ათ. კაცი	%	ათ. კაცი	%	ათ. კაცი	%	ათ. კაცი	%	ათ. კაცი	%
კახეთი	224.5	11.3	192.6	11.1	212.6	12.5	181.6	9.9	206.3	11.6
თბილისი	375.2	18.9	327.1	18.8	310.3	18.2	341.2	18.5	315.8	17.7
შიდა ქართლი	218	11.0	184.9	10.6	155.6	9.14	213.6	11.6	124.0	6.9
ქვემო ქართლი	243.8	12.2	205.7	11.8	223.4	13.1	212.3	11.5	209.1	11.7
სამცხე-ჯავახეთი	86.2	4.3	80.3	4.6	86.7	5.09	88.8	4.8	108.9	6.1
აჭარა	187.4	9.4	139.3	8.0	158.1	9.28	144.4	7.8	142.5	8.0
გურია	73.4	3.7	76.7	4.4	81.8	4.8	77.9	4.2	82.2	4.6
სამეგრელო	226.8	11.4	197.9	11.4	178	10.5	22.4	12.2	189.0	10.6
იმერეთი	355.1	17.8	338.4	19.4	296.8	17.4	356.9	19.4	356.4	20.0
სულ	1990.4	100.0	1743	100.0	1703.3	100	1840.7	100	1783.3	100.0

სოციალური პრობლემების თვალსაზრისით რეგიონულ პოლიტიკაში შეიძლება გამოვყოთ ორი პერიოდი, მათ შორის ზღვარი დაახლოებით 70 წლების შუა პერიოდს ემთხვევა.

მთლიანად პირველი პერიოდისთვის (50-60-იანი წლები) დამახასიათებელია მაღალი ეკონომიკური კონიუნქტურა და სახელმწიფო ფინანსების და მატერიალური რესურსების სათანადო გადანაწილება. ამ პერიოდში რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სოციალურ მონაცემებზე დაყრდნობით რეგიონთა თანასწორობის მიღწევა იყო, რომლის რეალიზაციასაც სახელმწიფო იღებდა თავის თავზე, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულების შემუშავებით ამა თუ იმ რეგიონში, ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის ვერ ითვალისწინებდა რეგიონის სპეციფიკას და ადგილობრივ ხელისუფალთა აზრს. საბოლოო ჯამში, მაგალითად მსხვილ საწარმოთა მშენებლობას ისეთ რაიონებში, სადაც საჭირო კვალიფიკაციის მუშახელის ნაკლებობა იყო, არ მიყავდით მოსალოდნელი უმუშევრობის შემცირების და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასთან.

გადანაწილებულ რეგიონულ პოლიტიკაზე ყველაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა იტალია რიგი მიზეზების გამო (მათ შორის უნდა აღინიშნოს ისტორიულად წარმოჩენილი ზონები). რეგიონული პოლიტიკის მოცემული ვარიანტი იტალიაში საკმაოდ სრულად და შედეგიანად ჩატარდა. აქვე გამოიკვეთა ცენტრალიზაციის საკმაოდ მაღალი ხარისხი.

მაშ ასე, სამხრეთ რეგიონებში მსხვილი სამრეწველო საწარმოების მშენებლობამ, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაწყდა და არ იქნა გათვალისწინებული სამხრეთ რეგიონების სპეციფიკა, საბოლოო ჯამში ამ პოლიტიკამ რეგიონებში ვერ გამოიწვია მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა და სოციალური პრობლემების გაუმჯობესება. მთავარი წინააღმდეგობანი იყო არა მარტო დაბალი ეკონომიკური განვითარება და არ-

აკვალიფიციური მუშახელი, არამედ მზა პროდუქციის მოხმარების ბაზრის დონე. ახალ სამეურნეო სტრუქტურებს წინ აღუდგენ უწინარესად ტრადიციული საზოგადოებრივი სტრუქტურები (ეკლესია, მაფია, კლანები), რომლებიც აკონტროლებდნენ არა მარტო საწარმოო და სოციალურ ურთიერთობებს, არამედ ხალხის აზროვნებასაც.

რეგიონული პოლიტიკის ყველაზე რადიკალური ვარიანტი რეფორმირებული იყო დიდ ბრიტანეთში. როგორც ხშირად ხდება, დასაწყისისათვის ერთმა უკიდურესობამ შეცვალა მეორე. მთავრობამ უცბად შეამცირა რეგიონების ცენტრიდან დაფინანსება და სოციალური სამართლიანობის პრინციპი სამეურნეო ეფექტების პრინციპმა შეცვალა. მ. ტეტჩერის ხელისუფლებამ შეამცირა რეგიონული ხარჯები 40%-ით, ამავე დროს მან შეამცირა იმ რაიონების რიცხვი, რომლებიც ღებულობდნენ დახმარებას და შეასუსტა საწარმოების უზრუნველყოფა მეჩხერად დასახლებულ რაიონებში.

როგორც ცნობილია, არარეგულარული პოლიტიკის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის მიღებულ გადაწყვეტილებათა დეცენტრალიზაცია. ფუნქციათა გადანაწილება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი რანგის ადმინისტრაცია ატარებს ძირითად დაგეგმარებას, მაგ: განათლების ან ჯანდაცვის სფეროში. ხოლო უფრო დაბალი რანგისა (ანუ ადგილობრივი) — ყოველთვის უწევს მოსახლეობას სოციალურ მომსახურებას.

დაფინანსების საკითხები რა თქმა უნდა ყველაზე რთულ საკითხთაგანია, რომელიც იწვევს კამათსა და კონფლიქტს განსხვავებული დონის ხელისუფალთა შორის. ცენტრი არც თუ იშვიათად ვალდებულია გადააბაროს ადგილობრივ ორგანოებს ისეთი ამოცანები, რომლებიც ადგილობრივი რესურსებით და სახელმწიფო ტრანსფერებით არ არის უზრუნველყოფილი, თავის მხრივ კი ადგილობრივი ხელისუფალნი ცდილობენ მიიღონ რაც

შეიძლება მეტი საშუალებები, რომელსაც შემდეგ ზშირად არარაციონალურად იყენებენ ცენტრის აზრით. ამისთვის რა თქმა უნდა არსებობს კონტროლის მექანიზმი. მაგ: აშშ-ში ასეთი კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო ინსპექტორების მიერ, რომლებიც ამოწმებენ ადგილობრივ ხელისუფალთა საქმიანობას და აგრეთვე ფინანსურ ოპერაციებს აუდიტის დახმარებით.

რამდენადაც საზოგადოების ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს ადამიანური კაპიტალი, მას დიდი როლი ეკუთვნის რეგიონული პოლიტიკის განვითარებაში, მისი პრიორიტეტული მიმართულებაა ადგილობრივი კადრების მომზადება, ახალი ტექნოლოგიების შესწავლის საშუალებათა უზრუნველყოფა და სხვა. განსაკუთრებული როლი პოლიტიკის რეალიზაციაში ეკუთვნის უნივერსიტეტებს, არა როგორც მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებს. აშშ-ს უნივერსიტეტები მონაწილეობას ღებულობენ პროგრამების დამუშავებაში, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაუმჯობესდეს შრომითი რესურსების მოხმარება. ისინი შეისწავლიან შტატების მოთხოვნას კადრებზე, მათ შორის ხელმძღვანელებზეც და ახორციელებენ მათ გეგმიურ მომზადებას საეციალურ კურსებზე, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტები ეხმარებიან რეგიონებს განვითარების პროგრამების შედგენაში, ტერიტორიის დაგეგმარებაში და ა.შ.

თავისი შეცვლილი პრინციპების შესაბამისად თანამედროვე რეგიონული პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს ირიბი მეთოდებით სახელმწიფოს ჩარევას რეგიონულ განვითარებაში: ფინანსური და საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები და მიზნობრივი დაფინანსება. ერთის მხრივ, ეს არ ნიშნავს უარს პირდაპირ ჩარევაზე, ის ხორციელდება მაგალითად, სახელმწიფო რეგიონული კორპორაციის მეშვეობით, რომელიც გამოიყოფა ფართო მასშტაბიანი პროგრამების რეალიზაციისთვის, რომელიც მიმართულია რომელიმე რეგიონის ასაღორძინებლად. ეს კორპორაციები აქ-

ცენტს აკეთებენ ახალი პროდუქციის გამოშვებაზე და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. ისინი თავს უფლებას აძლევენ თავიანთი ინტერესები მოახვიონ თავს სხვადასხვა დონის ხელისუფალთ და ამასთან არ შებოჭონ მათი თავისუფლება.

იტალიამაც სცადა თავისი რეგიონული პოლიტიკის მოდერნიზაცია, შეიქმნა სამხრეთის სალარო, რომელიც ახორციელებდა სამხრეთ იტალიის განვითარებას. მისი ფუნქციები განაწილებული იყო სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებს შორის. ადგილობრივმა ორგანოებმა ყველაზე მეტი თავისუფლება და ხელისუფლება 90-იან წლებში მიიღეს, ამით მათ წინაშე მდგარი ამოცანები კიდევ უფრო გაიზარდა.

მიუხედავად ამისა 90-იან წლებში რეგიონული პოლიტიკა იტალიაში მცირედ შეიცვალა. სახელმწიფომ მაინც ვერ დააღწია თავი სამხრეთ რეგიონების მეურვეობას. ხელისუფლება აფინანსებს და საზოგადოებრივ სამუშაოებს მცირე და საშუალო ბიზნესის საზიანოდ. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ სამხრეთ რაიონებია, სადაც ყოველგვარი სახელმწიფო დახმარების გარეშე იხსნება მცირე საწარმოები და ზოგჯერ ძალიან ეფექტურადაც ფუნქციონირებს.

ძირითადი მონაცემებით სამხრეთი ძველებურად აშკარად ჩამორჩებოდა ჩრდილოეთს და ცენტრს თავისი განვითარებით. ცენტრალური ხელისუფლების მოქმედებამ გარკვეულად კიდევ გააუარესა სიტუაცია. ინვესტირებისთვის ამორჩეული ორიენტირების შეცდომებმა და ეფექტური მექანიზმების უქონლობამ იტალია მიიყვანა სამხრეთ რეგიონების კიდევ უფრო მეტ კრიმინალიზაციამდე, კორუმპირებულ ჩინოვნიკებამდე, რომლებიც სახელმწიფო ქონების დატაცების ხარჯზე არსებობდნენ. აღსანიშნავია, რომ კორუფციასთან ბრძოლის მიზნით იტალიის ბანკი უფლებას არ იძლევა, რომ მისმა თანამშრომლებმა სამხრეთით 2-3 წელზე მეტხანს იმუშაონ.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა ჩინეთის გამოცდილება, აქ 90-

იან წლებში დაიწყო ახალი ეტაპი „ღია“ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. მისი შემადგენელი ნაწილი იყო განსაკუთრებული შეღავათების მქონე რაიონების განვითარება უცხოური ინვესტიციების წახალისების მიზნით. მხოლოდ 1992 წელს სხვადასხვა დონეზე სანქცირებული იქნა დაახლოებით 2 ათასამდე ახალი პრეფერენციული ზონის შექმნა. შემდეგ, საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის საშუალოწლიური ტემპები, რომლებიც ისედაც მაღალი იყო, კიდევ უფრო გაიზარდა. განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ და ცალკეული რაიონების თვითუზრუნველყოფისკენ სწრაფვამ გამოიწვია მცირე და საშუალო საწარმოთა ზრდა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ეკონომიკა საბჭოთა ეკონომიკისგან განსხვავებით მცირედ იყო დამოკიდებული ერთიან გეგმაზე. ადგილობრივ ორგანოებს აქ თავიდანვე საკმაოდ დიდი უფლებამოსილება გააჩნიათ, რომლის წყალობითაც ეკონომიკის თანდათანობით და შედარებით უმტკივნეულო დეცენტრალიზაციის სათანადო საფუძველი არსებობდა. ამავე დროს, გატარებულმა ბიუჯეტური უფლებამოსილების დეცენტრალიზაციამ საშუალება მისცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ადგილზე დაეტოვებინათ ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლები, რამაც უდიდესი სტიმული მისცა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას.

დღეისათვის საქართველოს, რეგიონების განვითარებისთვის ძალიან ესაჭიროება ეფექტური რეგიონული პოლიტიკა, რომლის ჩამოყალიბებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ აქ განხილული ქვეყნების გამოცდილებაც, ჩვენი აზრით, ბიუჯეტსაერთაშორისო ურთიერთობების რეფორმა, პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებათა გაფართოებისაკენ. ამ პროცესების აქტივიზაციისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება რიგი პრობლემების გადაწყვეტას.

პრობლემების პირველი ჯგუფი დაკავშირებულია ადგილო-

ბრივი ბიუჯეტების სისტემის ორგანიზაციის ეკონომიკური საფუძვლების გადასინჯვასთან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ადგილობრივი ბიუჯეტების ფუნქციონირების სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების ურთიერთობების საკითხები. მათი გადაწყვეტა გულისხმობს ცენტრალურ დონეზე ერთიანი სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებას: საბიუჯეტო უფლებამოსილებათა საკანონმდებლო განმტკიცებას ქვეყნის სუბიექტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის.

ხელისუფლების ადგილობრივ დონეზე ხარჯების საჭიროების შეფასების და ადგილობრივი ბიუჯეტების მინიმალური უზრუნველყოფის ნორმატივების ფორმირებას: მინიმალური უზრუნველყოფის ნორმატივების ფორმირებას.

ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის შესაძლებელია ადგილობრივი შემოსავლების საკუთარი წყაროების გაფართოება (რადგან დღეისთვის ადგილობრივი შემოსავლების უმნიშვნელო ნაწილი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში) ცენტრალური და რეგიონული გადახარჯების ნაწილის მუდმივი მიმაგრების საფუძველზე.

ამრიგად, საქართველოს ეფექტური რეგიონული პოლიტიკის შექმნისთვის აუცილებელია უცხოური გამოცდილების გათვალისწინება, რომლის მისადაგებითაც საქართველოს რეალობასთან, შესაძლებელი იქნება ეფექტური და რეალური შედეგების მომტანი რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბება.

14. თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების ამრსაქტივები

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და არსებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი წინაპირობა ღია ეკონომიკაზე გადასვლაა (რა თქმა უნდა ოპტიმალურ დონეზე). თავის მხრივ, ღია ეკონომიკის ფუნქციონირების აპრობირებული ინსტრუმენტია თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ).

„სპეციალური ეკონომიკური ზონის“ ცნება, როგორც წესი, აერთიანებს კომპაქტურ ტერიტორიებზე ეკონომიკური ცხოვრების განსაკუთრებული ორგანიზაციის რამდენიმე ტიპს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის ეროვნული ეკონომიკური სივრცის განცალკევებული ნაწილი (ტერიტორია, სეგმენტი), სადაც მიღებულია შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსაკუთრებული სისტემა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (ან ეკონომიკის სხვა სეგმენტში) არ გამოიყენება. თავისუფალი ეკონომიკური ზონის სხვადასხვა ორგანიზაციული და ფუნქციური სტრუქტურა არის ცნობილი. პრაქტიკაში განასხვავებენ ზონის ორ სახეობას. ზონის ერთი სახეობა ეყრდნობა ტერიტორიულ მიდგომას და წარმოადგენს განსაზღვრულ ტერიტორიას, სადაც ზონის ყველა რეზიდენტზე ვრცელდება იქ დადგენილი სამეურნეო საქმიანობის რეჟიმი. თავისუფალი ეკონომიკური ზონის მეორე სახეობა ფუნქციური ხასიათისაა და წარმოადგენს შეღავათიან რეჟიმს, რომელიც გამოიყენება გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ, იმის მიუხედავად, თუ სად მდებარეობს ეკონომიკური აგენტი, რომელიც ეწევა ამ სახის საქმიანობას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია მათი სამეურნეო სპეციალიზაციის ნიშნით განსაზღვრავს ზონების შემდეგ ძირითად სახეობებს: საბაჟოს, სავაჭროს, სამრეწველო საწარმოს, სამეცნიერო-ტექნიკურსა და სერვისულს.

ყველაზე ფართოდ მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ზონების სხვადასხვა მოდიფიკაციაა გავრცელებული. ისინი წარმოადგენენ შეზღუდულ ტერიტორიულ უბნებს, სადაც ზორციელდება სავაჭრო ოპერაციები და საქონლის შეფუთვა, დახარისხება, დადამლვა მათზე შეღავათიანი ეკონომიკური და ფისკალური რეჟიმის გავრცელების პირობებში.

ჩვენი აზრით, თავისუფალი ეკონომიკური ზონა სახელმწიფოს მიერ დაშვებული პროტექციონისტული ღონისძიების (პოლიტიკის) გარკვეული (თუ არა განსაკუთრებული) სახეობაა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ) მთავარი მახასიათებელი ნიშანია ის, რომ მის ტერიტორიაზე არ მოქმედებს საბაჟო პირობები (სატარიფო და არასატარიფო). თავისუფალი ეკონომიკური ზონები იქმნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ახალი ტექნოლოგიების განვითარების უზრუნველსაყოფად, ექსპორტის გაზრდისა და დივერსიფიკაციის მიზნით, იმპორტის შემცველი წარმოებების განვითარებისათვის. იმის გამო, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრივ დიდ მხარდაჭერასთან, მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებთან, ინსტიტუციონალურ ძალისხმევასთან (სპეციალური კანონების შექმნასთან, კონტროლთან და სხვა) და რიგ სხვა ზომებთან, ამიტომ ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული ასეთი ზონები არ უნდა იყოს ბევრი.

სხვადასხვა სპეციალიზაციის თავისუფალი ეკონომიკური ზონები უკვე დიდი ხანია არსებობს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ბოლო ორი ათეული წელია განსაკუთრებით სწრაფად ვრცელდება ისინი განვითარებად ქვეყნებში. ამ მხრივ საინტერესოა ჩინეთის გამოცდილება, რადგანაც იქ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირებასთან. თავიანთი ფუნქციონირების პერიოდში ჩინეთის თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა მიიზიდეს ათეულ მილიარდობით უცხოური ინვესტიციები, რამაც (სახელმწიფო და სამამულო კერძო ინვესტიციებთან ერთად) საშუალება მისცა მათ

გამხდარიყვნენ მთელი ქვეყნის საბაზრო და ინოვაციური ეკონომიკის შუქურები. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ არის თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობის მაგალითებიც. ეს კი გამოწვეულია ძირითადად საწყისი საინვესტიციო ბიძგის უკმარისობით, ეკონომიკური შეღავათების უსისტემო შემოღებით, შექმნილი საწარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობით, ჩრდილოვანი ეკონომიკის უკონტროლო განვითარებით.

მეწარმეობის ზონების არსია ლოკალური ტერიტორიები, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკური მოღვაწეობის აქტივიზაციის, უმუშევრობის შემცირების და მოსახლეობის შემოსავლების გაზრდის მიზნით მეწარმეებისათვის წესდება შეღავათიანი ადმინისტრაციული, საგადასახადო და საკრედიტო რეჟიმი. როგორც წესი, ასეთი ზონები განსაზღვრული ვადით იქმნება ქალაქების დებრესიულ და დეგრადირებად ნაწილებში.

მეწარმეობის განსაკუთრებულ ტიპად უნდა იქნას მიჩნეული ოფშორული ზონები. მათი მთავარი ნიშანია უცხოური კომპანიების თავისუფალი რეგისტრაცია და მათი დაქვემდებარება ადგილობრივი კანონმდებლობისაღმი. ოფშორული ზონების მიმზიდველობა უცხოური საწარმოებისათვის ძირითადად გამოიხატება დაბეგვრის დაბალ ტარიფებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ოფშორული კომპანიების შესახებ ინფორმაციათა და მათი მფლობელების შესახებ კონფიდენციალობა. ოფშორული კომპანიების ადგილმდებარეობის ქვეყნები მათგან გარკვეულ სარგებელს ნახულობენ დამატებითი ინვესტიციების, დასაქმების და სხვა სახით. მაგრამ ისიც ხდება, რომ სახელმწიფოები, სადაც რეალურად მოქმედებენ აღნიშნული სახის კომპანიები, დანაკარგებს განიცდიან საგადასახადო შემოსავლების თვალსაზრისით და კონტროლს კარგავენ ასეთ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ნაკადებზე.

ტექნიკურ-დანერგვითი ზონები წარმოადგენენ სპეციალური ზონების ნაირსახეობას, რომლებიც ხასიათდებიან კომპაქტურ

ტერიტორიაზე კვლევითი, საპროექტო და სამეცნიერო-საწარმოო ფირმების მაღალი კონცენტრაციით. ტექნიკურ-დანერგვით ზონებს განეკუთვნებიან ტექნოპოლისები, სამეცნიერო პარკები და ტექნო-პარკები, რომლებიც უფრო ხშირად იქმნებიან უნივერსიტეტების ბაზაზე ან სამრეწველო ზონების რესტრუქტურირების გზით. მათ მიმართ მხარდაჭერა სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტებიდან გამოიხატება დამუშავებებზე შეკვეთების მიცემაში, საწარმოო და საოფისე შენობების შეღავათიანად ან უფასოდ გამოყოფაში, ლაბორატორიული მოწყობილობის მიცემაში, კრედიტის მიღებისათვის მხარდაჭერაში, კონსულტაციური მომსახურების გაწევაში და სხვა.

როგორც უკვე ავლინებთ თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის სპეციფიკურ ფორმას განსაზღვრულ ტერიტორიაზე (პორტი, ქალაქი, რაიონი და ა.შ.) და განსაკუთრებულ რეჟიმს. თეზი არ არის განცალკევებული გეოგრაფიული ტერიტორია, იგი ეროვნული ეკონომიკური სივრცის ნაწილია, სადაც დაშვებულია და გამოიყენება შეღავათების, სტიმულების განსაზღვრული სისტემა. ხშირად თეზ-ები განიხილება, როგორც ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბების სელექციური შემცირების მექანიზმი.

კიოტოს 1973 წლის 18 მაისის კონვენციით თავისუფალი ეკონომიკური ზონა განმარტებულია როგორც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც საქონელი განიხილება ქვეყნის ეროვნული საბაჟო ტერიტორიის გარე ობიექტად და ამიტომ არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს და დაბეგვრას.

საგულისხმია, რომ თეზ-ების ისტორია ჯერ კიდევ ჩვ. წაღ-მდე იღებს სათავეს (მაგალითად, საბერძნეთის ტერიტორიაზე კუნძულ დელოსზე ჩვ.წაღ-მდე 166 წელი, ასევე შემდგომ პერიოდში რომის იმპერიის ტერიტორიებზე მოძრავლებული ზონები), რომლებიც ძირითადად ვაჭრობის პრეფერენციულ სისტემაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

აღსანიშნავია, რომ 1595 წელს იტალიურმა ქალაქმა გენუამ

ერთ-ერთმა პირველმა მიიღო თავისუფალი პორტის სტატუსი.¹ ხოლო მე-19 საუკუნიდან თეზ-ების ჩამოყალიბებამ და განვითარებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო გერმანიაში, სადაც ჩამოყალიბდა ჰამბურგისა და ბრემენის ზონები, რომლებიც დღესაც აგრძელებენ წარმატებულ საქმიანობას. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ს პრეზიდენტის თ. რუზველტის ინიციატივით კონგრესი ლებულობს გადაწყვეტილებას (კანონს) „თავისუფალი სავაჭრო ზონების“ შესახებ. ასეთი ზონები განსაკუთრებით მრავლდება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. დღეისათვის სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მათი რაოდენობა დაახლოებით 1000 ერთეულით განისაზღვრება (მათ შორის ნახევარი თავისუფალი სავაჭრო ზონებია). საგულისხმოა ამ მიმართულებით ე.წ. „აზიური ეფეზვების (სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი, ჰონგ-კონგი)“, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილება.

თეზ-ებს თავისი ისტორია აქვს საქართველოშიც, რომელიც 1878 წლის ბერლინის კონგრესიდან იწყება, სადაც თურქეთის მიერ რუსეთისათვის ბათუმის გადაცემის საკითხი წყდებოდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მარკიზ სოლსბერის მოთხოვნით, რუსეთმა ივალდებულა ბათუმი (ნავსადგური, ქალაქი და შემოგარენი) „პორტო ფრანკოდ“, ანუ საბაჟო გადასახადებისაგან თავისუფალ ტერიტორიად გამოეცხადებინა. ეს რეჟიმი 8 წელიწადს გაგრძელდა, ამ პერიოდში ქალაქში განვითარდა ძრეწველობა, მოსახლეობა 35 000 კაცამდე გაიზარდა და ბათუმი ამიერკავკასიაში სავაჭრო საქონელბრუნვით მესამე ადგილზე გავიდა თბილისისა და ბაქოს შემდეგ, ხოლო შავ ზღვაზე კი ტვირთბრუნვით (ოდესის შემდეგ) მეორე გახდა.²

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ 1989 წელს გარკვეული ნაბიჯები იყო გადადგმული თეზ-ის ქ. ფოთში დაარსე-

¹ Шеховцев А., Шестакова М., Громов А., Свободные экономические зоны: мировой опыт и перспективы в России, Ж. Вопросы экономики, №10, 2000, с. 105.

² არჩაბე ზ., საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ, ე. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, ნოემბერი, 1998 წ. გვ. 41.

ბის მიმართულებით (შემუშავდა შესაბამისი კონცეფცია), თუმცა მისი პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მოხერხდა.

საქართველოში თეზების ფორმირებისა და ფუნქციონირების პერსპექტივების, მისი რეგიონული ასპექტების გაანალიზებამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ ამ მიმართულებით არსებული მეთოდოლოგიურ-მეთოდური და კონცეპტუალური მიდგომები.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის მიღებულია ორი სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომა, კერძოდ: ტერიტორიული და ფუნქციონალური (სარეჟიმო). ტერიტორიული მიდგომის დროს ზონა განიხილება როგორც სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია, სადაც მოქმედებს პრეფერენციათა სამეურნეო რეჟიმი. ფუნქციონალური (სარეჟიმო) მიდგომის დროს კი, ზონა განიხილება როგორც განსაკუთრებული პრეფერენციული რეჟიმი, რომელიც ადგილმდებარეობის მიუხედავად, ვრცელდება სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობაზე. ასევე მსოფლიო პრაქტიკაში წარმატებით არის აპრობირებული კომპლექსური, საწარმოო ხასიათის თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

თეზ-ის თითოეულ ფორმას შეუძლია შეასრულოს განსხვავებული, ეროვნულ-მეურნეობრივი და საგარეო-ეკონომიკური ფუნქცია. კერძოდ, მათი საშუალებით შეიძლება ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა:

- ქვეყნის (რეგიონის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა;
- სამამულო და საზღვარგარეთული სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის აქტივიზაცია;
- საექსპორტო ბაზრის განვითარება და სავალუტო შემოსავლების ზრდა;
- ინვესტიციების მოზიდვა;
- შიგა ბაზრის უზრუნველყოფა საქონლითა და მომსახურებით და სხვ.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების სხვადასხვა მოდიფიკაცია

შესაბამისად სხვადასხვა დასახელებით არსებობს: თავისუფალი ზონები, თავისუფალი საგარეო-საევაჭრო ზონები, თავისუფალი სამრეწველო ზონები, თავისუფალი საევაჭრო ტერიტორიები, საექსპორტო წარმოების ზონები, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები და ა.შ. ზოგადად კი თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია, მათი სამეურნეო სპეციალიზაციის ნიშნის შესაბამისად, ზონების შემდეგ ძირითად სახეობებს გამოყოფს: საბაჟო, საევაჭრო, სამრეწველო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სერვისული.

თავისუფალი საბაჟო ზონები წარმოადგენს ზონების ერთ-ერთ უმარტივეს ფორმას. მათ მიეკუთვნება ტრანზიტული, კონსიგნაციური და სხვა თავისუფალი საწყობები, რომლებშიც საქონელი განთავსდება ქვეყანაში დაწესებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად.

თავისუფალი საევაჭრო ზონების სხვადასხვა მოდიფიკაციები მსოფლიოში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. როგორც წესი, ისინი წარმოადგენენ შეზღუდულ ტერიტორიულ უბნებს, სადაც ხორციელდება საევაჭრო ოპერაციები და საქონლის შეფუთვა, დახარისხება, გადაზიდვასთან დაკავშირებული საქმიანობა მათზე შეღავათიანი ეკონომიკური და ფისკალური რეჟიმის გავრცელების პირობებში.

სამრეწველო-საწარმოო ზონები იქმნება საექსპორტო და იმპორტზემცველი პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით. ასეთ ზონებში რეგისტრირებული ეკონომიკური აგენტები სარგებლობენ მნიშვნელოვანი საგადასახადო და სხვა სახის შეღავათებით. გარდა ამისა, ამ ზონებში მოქმედებს საწარმოების რეგისტრაციის, ინვესტირების, მოგების, რეპატრიაციის, უცხოელ ფიზიკურ პირთა ზონის ტერიტორიაზე გადაადგილების გამარტივებული ადმინისტრაციული წესები.

სამეცნიერო-ტექნიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ტექნოპარკები, რომლებიც იქმნებიან მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ირგვლივ (ბაზაზე) კვ-

ლევითი, საპროექტო და სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებისათვის.


სერვისული ზონები, როგორც მათი დასახელება მიუთითებს, წარმოადგენს ზონებს, რომელთა სპეციალიზაცია სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის შეღავათიანი რეჟიმის დაწესებას გულისხმობს. სერვისული ზონების მეტად პოპულარული და გავრცელებული სახეობაა ოფშორული ზონები, რომლებიც ძირითადად კუნძულებზე ან ზღვისპირა ტერიტორიებზე იქმნება. სხვათა შორის, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ოფშორული ზონები „ჭუჭყიანი ფულის“ გათეთრებისა და სხვადასხვა სახის ფინანსური თაღლითობის ცენტრებად იქცევა.*

გარდა ჩამოთვლილი ზონების ნაირსახეობისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო პრაქტიკაში, აგრეთვე, აპრობირებულია კომპლექსური თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რომლებიც წარმოადგენენ ორი ან რამდენიმე სახის ზონის შერწყმულ მოდელებს. მაგალითად, ბრაზილიაში არსებული თავისუფალი ეკონომიკური ზონა „მანაუსი“ წარმოადგენს მსხვილ ტერიტორიულ წარმონაქმნს, სადაც 1967 წლიდან მოყოლებული თანდათანობით, წანამძღვრების მომწიფების საფუძველზე, ჩამოყალიბდა უნიკალური სამეურნეო კომპლექსი, რომელიც თავისუფალი ზონის რამდენიმე სხვადასხვა ტიპისაგან შედგება (იხილეთ სქემა 1.).

რაც შეეხება თეზების მართვის ორგანიზაციულ, სისტემურ ასპექტებს, იგი მრავალ პარამეტრზეა დამოკიდებული: მის ტიპზე, ტერიტორიის სიდიდეზე, მოცემული ქვეყნის სახელმწიფო მოწყობაზე, ქვეყანაში კერძო სექტორისა და კაპიტალის ბაზრის განვითარების დონეზე და სხვ.

იმ დამოუკიდებელი ფუნქციონალური ამოცანიდან და ზემოთ აღნიშნული ტიპოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, რაც თავისუფალ ეკონომიკურ ზონას გააჩნია, იგი უნდა ფლობდეს სამეურნეო

* საგულისხმოა, რომ ასეთი აზრი არც თუ იშვიათად თავისუფალი ეკონომიკური ზონების მიმართაც გამოითქმება.



სქემა 1. თავისუფალი კაცობის ზონების ტიპების კლასიფიკაცია

ცხოვრების რეგულირების საკუთარ წესებს, რაც არ შეევა დარგობრივი უწყებების იურისდიქციის სფეროში, რომლებიც სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს კურირებენ. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეზ-ის ჩამოყალიბებასთან ერთად, აუცილებელია იმ ლოკალური სამეურნეო მმართველობითი სისტემის შექმნა, რომელიც ეროვნულთან შედარებით დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით იქნება უზრუნველყოფილი. პირობითად თეზ-ის ორგანიზაციული მართვის სამი ძირითადი ფორმა გამოიყოფა: სახელმწიფო-ადმინისტრაციული, კორპორაციული და შერეული (ადმინისტრაციულ-კორპორაციული) მართვა.

ცალკე გამოყოფას საჭიროებს პრეფერენციათა კომპლექსი, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონების წარმატებით ფუნქციონირების ძირითად პირობა-ფაქტორს წარმოადგენს და საგარეო სავაჭრო, ფისკალური, ფინანსური და ადმინისტრაციული შეღავათების მინიჭებაში აისახება. საგულისხმოა, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა, რაც არ უნდა ლიბერალური (შეღავათიანი) იყოს იგი, ვერ უზრუნველყოფს თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში სოლიდური ინვესტიორების მოზიდვას. ამ პროცესში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის ისეთი მიმართულებები, როგორცაა თეზ-ში შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, საწარმოო და სასაწყობო შენობა-ნაგებობები, წყალმომარაგება, ენერგო-მომარაგება და სხვ.) განვითარების დონე, ასევე თეზ-ის გარშემო მოცულობითი რეალიზაციის ბაზრების არსებობა. ამა თუ იმ ინვესტორისათვის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობის წარმართვა ყოველთვის დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამდენად, შეღავათებისა და შრომითი რესურსების სიიაფის მიუხედავად, თეზ-ების ფორმირების საწყის ეტაპზე იქ წარმოებული პროდუქცია საკმაოდ მაღალი თვითღირებულებით ხასიათდება და ამიტომ, უცხოელი ინვესტიორების დაინტერესებისათვის აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორების (ასპექტების) ურთიერთშეთანაწყობილი არსებობა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს 26 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის თანახმად თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ხელისუფლების მიერ გასაწევი დანახარჯები უცხოური ინვესტიციის ყოველ 1 დოლარზე საშუალოდ 4 დოლარს შეადგენს. მაგალითად, ჩინეთის ოთხ ზონაში ჩადებული უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 4 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა საკუთრივ ჩინეთის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა და ხარჯებმა 22 მლრდ. აშშ დოლარს გადააჭარბა.¹ ასევე, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, რომ 1-2 კვადრატული კილომეტრის ზონის ინფრასტრუქტურის კომპლექსური მოწყობა მოითხოვს 30-50 მილიონ დოლარს.²

მოკლედ გვინდა შევეხოთ პრეფერენციათა კომპლექსს, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების ამოსავალ პოსტულატს წარმოადგენს. თითქმის ყველა ტიპის ზონისთვის დამახასიათებელია შემდეგი შეღავათებისა და გამარტივებული მექანიზმების მოქმედება:

- საგარეო-სავაჭრო შეღავათები, რომლებიც ითვალისწინებენ საბაჟო-სატარიფო ლიბერალიზაციას (საბაჟო გადასახადების შემცირება ან მოხსნა; ექსპორტ-იმპორტზე დღგ-სა და აქციზის შეღავათიანი სისტემის დაწესება და სხვ.) და საგარეო ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების გამარტივებული წესის შემოღებას;
- ფისკალური შეღავათები, რომლებიც დაკავშირებულია პირდაპირი გადასახადების ლიბერალური სისტემის არსებობასთან. ეს შეღავათები ეხება მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადებს, საამორტიზაციო ანარიცხებს და სხვ.

¹ პაპუა ელ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., „ბეჭ“, 2002, გვ. 322.

² მესნია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგერა, თბ., ფსკი-ის გამომცემლობა, 2002, გვ. 252

- ფინანსური შეღავათები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ფორმის სუბსიდიებს, შეღავათიან საკრედიტო სისტემას, მიწითა და შენობებით სარგებლობის საიჯარო გადასახადის შემცირებულ განაკვეთებსა და ა.შ.;
- ადმინისტრაციული შეღავათები, რომელთა მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის, ანგარიშების სისტემის, სავიზო რეჟიმების გამარტივება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების დიდი ნაწილი წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გასათვალისწინებელია ის რეალობაც, რომ ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში თეზ-ების ეფექტიან ფუნქციონირებას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა და დღეისათვის პრაქტიკულად ეს პროცესი ჩიხშია მოქცეული.

მაგალითად, რუსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პროცესის დამახასიათებელი შემდეგი თავისებურებები გამოიკვეთა:¹

- თავისუფალი ეკონომიკური ზონების პრინციპებისა და ამოცანების უცოდინრობა;
- ფორმალურად შექმნილ თავისუფალ ზონებში რუსეთის ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტის ჩართვა;
- ზონები შეღავათებისა და პრივილეგიების „დარიგების“ ერთგვარ შეჯიბრად გადაიქცა, რაც რუსეთის ფედერაციის მთავრობაში ზონების უკან მყოფთ პირთა ინტერესების ლობირების შედეგი იყო;
- ზონის შექმნის გზით ადგილობრივი ხელისუფლების სუვერენიტეტისაკენ მისწრაფება;
- თავისუფალი ეკონომიკური ზონები რუსეთის ეკონომიკის „შავ ხერხელებად“ გადაიქცა, სადაც ქვეყნის რესურსების გადინება, კრიმინალური ელემენტებისა და ნეგატიური მოვლენების კონცენტრაცია ხდება.

¹ პაპავა აღ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., „პლა“, 2000, გვ. 320-321.

შედეგად, რუსეთის სამეცნიერო-პრაქტიკულ წრეებში გამოიკვეთა (ძლიერდება) პოზიცია თეზ-ების ფუნქციონირების არამიზანშეწონილობისა და არაპერსპექტიულობის შესახებ.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით შექმნილი საქართველოში?

ჯერ კიდევ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე, 1994 წლის 14 აგვისტოს გამოიცა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის №170 განკარგულება, რომლითაც მიზანშეწონილად ჩაითვალა რუსთავეში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა. ქრონოლოგიურად ამ პროცესებმა შემდეგი სახე მიიღო – 1994 წლის 17 დეკემბერს გამოიცა სახელმწიფო მეთაურის №393 ბრძანებულება, რომლითაც ქ. ფოთის მერიას მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილებანი, ხოლო ქ. ფოთი ექსპერიმენტის სახით გამოცხადდა ოფშორულ ზონად; იმავე წელს მინისტრთა კაბინეტის 26 დეკემბრის №882 დადგენილებით, მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ქ. თბილისისა და ქ. ფოთის მერიების მიერ შემუშავებული წინადადებები თბილისში, ბათუმსა და ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირებასთან დაკავშირებით და ჩამოყალიბდა შესაბამისი სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველყო ამ წინადადებების შესწავლა და რეალიზაცია; იმავე 1994 წლის 26 დეკემბერს გამოიცა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №886 დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ბათუმში საზღვაო პორტის ტერიტორიაზე ორი ნავმისადგომის ბაზაზე და მდინარე ჭოროხის დელტაში თეზ-ის შექმნას. აღსანიშნავია ისიც, რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისს მიღებული საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ითვალისწინებდა თეზ-ების ფორმირებას.

1995 წელს საქართველოს და თურქეთის მთავრობებს შორის გაფორმებული ოქმის („საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური ზონების დაარსებასა და ფუნქციონირებასთან დაკავ-

შირებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავებისა და სათანადო კანონმდებლობის შექმნის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“) შესაბამისად, თურქეთის მხარე უზრუნველყოფდა საქართველოში თეზ-ების დაარსებისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავებასა და შესაბამის საკონსულტაციო-ტექნიკურ დახმარებას. ამასთან, 1997 წელს მიღებული იქნა საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო ვაჭრობის საბაჟო რეჟიმის, თავისუფალი საბაჟო რეჟიმისა და თავისუფალი საწყობების შექმნას.

საგულისხმოა, რომ საქართველო მონაწილეობს დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებაში „თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ“, რომელიც დაიდო ჯერ კიდევ 1994 წლის 15 აპრილს და ითვალისწინებს შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობაში გადასახადებისაგან განთავისუფლებასა და ადმინისტრაციული ბერკეტების (კვოტირება, ლიცენზირება, კონტრაქტების რეგისტრაცია და ა.შ.) მინიმუმამდე დაყვანას. ამასთანავე, საქართველოს დადებული აქვს ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დსთ-ს 8 სახელმწიფოსთან. აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებები (დსთ-ს მრავალმხრივი შეთანხმების ჩათვლით) შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს, როგორც ფუნქციონალური კონცეპტუალური მიდგომით ჩამოყალიბებული თავისუფალი სავაჭრო ზონები.

1999 და 2003 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპარლამენტო წარმომადგენლობის ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა განიხილა „საქართველოს კანონის პროექტი სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ“, რაც პრაქტიკულად მწვავე დებატების ობიექტად იქცა და შემდგომი მსვლელობა, ფაქტობრივად, არ მისცემია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი აქტუალობას არ კარგავს და დღესაც რჩება მეცნიერ-ეკონომისტებისა, პოლიტიკოსებისა და სხვათა მუდმივი განსჯის ობიექტად.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში თავისუფალი

ეკონომიკური ზონები გარკვეული ფორმით ფუნქციონირებენ (მხედველობაში იღებენ რა ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ და გაანალიზებულ საქართველოს ეკონომიკური ხასიათის კანონმდებლობისა და დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში მონაწილეობის საკითხებს) და მათი ჩამოყალიბება მიზანშეწონილად მიაჩნიათ.¹ არის უფრო ლიბერალური პოზიციებიც, რომელიც თეზ-ების შექმნამდე პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური პოზიციების ღრმა ანალიზის ჩატარებას ითვალისწინებს.² ასევე არის მოსაზრებები თეზ-ების ჩამოყალიბებისა, ან მისი ცალკეული ტიპების ფორმირების შესახებაც.³

სანამ საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხის ჩვენეულ პოზიციას ჩამოვყალიბებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის უზენაესი კანონის – „საქართველოს კონსტიტუციის“ მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დაფიქსირებულია ქვეყანაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებას, იმავე კონსტიტუციაში „ცარიელია“ ის მუხლი, რომელმაც უნდა

¹ იხ. მაგალითად: ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მასალები; პაპავა ელ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა, თბ. „ადა“, 2002, გვ. 324. კეკელიძე ზ, მოსაზრებები საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ, ჟ. „გადასახადები“, 2003, მისი, №9, გვ. 47.

² მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., ფსკი-ის გამომცემლობა, 2002, გვ. 255.

³ გოგიტიძე ა., საქართველოში სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ, გაზ. „ურსია“, 2003. ტერაშვილი ნ., „საქართველოში ოფშორული ზონების ჩამოყალიბების საკითხები“, საქ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №42, 2001. ლორთქიფანიძე რ., თავისუფალი ზონალური პოლიტიკით ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის თეორიული საფუძვლები, თბ., გამ. „საქართველო“, 1997.

განსაზღვროს საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპები და ფორმები. ეს მიმართულება მით უფრო პრობლემატურია იმ დროს, როდესაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე. ამდენად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თეზ-ის ტერიტორიული ტიპის ფორმირება ძირითადად დიდ ფართობზე განლაგებული ქვეყნების (აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ბრაზილია და სხვა) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების ერთგვარ ინსტრუმენტად გამოიყენება, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე თეზ-ების ტერიტორიული ნიშნით შექმნამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ისედაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფ რეგიონულ პოლიტიკას და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ქვეყნის მდგრად განვითარებას;

— როგორც ზემოთ აღინიშნა და ამას მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, თეზ-ის შექმნისათვის საჭიროა სახელმწიფოდან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მობილიზება (დაბანდაბა), რაც დღევანდელი ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში მეტად არარეალურად გამოიყურება;

— ყურადსაღებია ის გარემოება, რომ გლობალიზაციისა და საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრების პირობებში, თურქეთისა და რუსეთის კავკასიის რეგიონში განლაგებულ ტერიტორიებზე თეზ-ების არსებობის ფონზე, საქართველოს შიდა ბაზრისა და ფინანსური რესურსების სიმწირის პირობებში, გვაქვს ეჭვის საფუძველი, რომ ჩვენი ქვეყანა ვერ გაუწევს მათ ამ მიმართულებით ღირსეულ კონკურენციას და ნაკლებად მიმზიდველი იქნება უცხოელი ინვესტორებისათვის. მხედველობაშია მისაღები ის რეალობა, რომ ბენილუქსის ქვეყნები, საერთაშორისო მასშტაბით, რეალური კონკურენციის გაწვევის მიზნითაა გაერთიანებული (რა თქმა უნდა საერთაშორისო ეკონომიკურ ზონებში გაერთიანების გარდა ამ ქვეყნების თანამეგობრობას სხვა მრავალი მოტივიც აერთიანებს).

მიუხედავად იმისა, რომ არამიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ტერიტორიული ნიშნით ფორმირება, ვფიქრობთ, რომ დღის წესრიგში შეიძლება დადგეს თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონალური (სარეჟიმო) ტიპის ფორმირების საკითხი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ზონები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ხასიათდება ჩრდილოვანი ურთიერთობების გააქტიურებითა და მათზე ნაკლებ გავლენას ახდენს ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის თავისებურებები. ამ პოზიციას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანას საკმაოდ სერიოზული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი გააჩნდა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და თანამედროვე პირობებშიც მისი ამაღლებისა და განვითარების რეალური პირობებით უზრუნველყოფა სავსებით შესაძლებელია. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ დღეისათვის საქართველოს პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი ქ. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ, რომელიც დაამუშავა და წარადგინა ქვეყნის მთავრობამ.

15. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება – რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შაბლონი

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის პრობლემებს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი მექანიზმია, რომელიც ფულადი სახსრების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის შეთანხმების დადების ეფექტიან საშუალებას იძლევა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ენიჭება, ვინაიდან თვისობრივად სწორედ მასზეა დამოკიდებული ინვესტიციური პროცესების მიმდინარეობის ღონამიურობა, რაც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს ფულის მიმოქცევის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური სისტემის მდგრადობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტების დახვეწას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ანსხვავებენ ფასიანი ქაღალდების ორგანიზაციის ორ ძირითად მოდელს. ერთი მათგანი ემყარება ბაზარზე კომერციული ბანკების ბატონობას (გერმანია, იაპონია, საფრანგეთი), ხოლო მეორე წარმოადგენს შერეულს ე.ი. გულისხმობს, როგორც საბანკო, ისე არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების აქტიურ როლს (აშშ, დიდი ბრიტანეთი). იმ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კომერციული ბანკების შეზღუდული რაოდენობაა, სახელმწიფოს რეგულირება უფრო მეტად ვლინდება.¹

¹ გაგუნაშვილი ს., ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება, ჟ. „მაკრო-მიკრო-ეკონომიკა“, 2001, №10, გვ. 43.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო საინვესტიციო პროცესების გააქტიურების თვალსაზრისით, არამედ სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების ჩქარი ტემპითა და სამართლიანი ფასებით განხორციელების ეფექტიანი მექანიზმიცაა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, 90-იანი წლების დასაწყისში ორი ძირითადი ამოცანა გამოიკვეთა: საკუთრებითი ურთიერთობების რეფორმირებისა და ეკონომიკური განვითარების ფინანსური წყაროების ფორმირების ამოცანა. საქართველოს მაგალითმა გვიჩვენა, რომ საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა ეფექტიანი ფინანსური ბაზრის გარეშე, ძალზე უარყოფით შედეგებს იწვევს. კომერციული ბანკები საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, ურთიერთობებს მხოლოდ კომერციულ საფუძველზე აკებენ. მაგრამ, ტრანსფორმაციული კრიზისი, წარმოების დაცემა, მაღალი ინფლაცია აძვირებს კრედიტს, ზოლო მოთხოვნა მასზე თავისი სტრუქტურით არ შეესაბამება მიწოდებას. ბანკებისთვის უფრო მომგებიანია მოკლევადიანი კრედიტები, მაშინ როდესაც წარმოებისათვის საჭიროა საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხები. სწორედ ფინანსური ბაზრის განუვითარებლობითაა გამოწვეული არგადანდები, გადასახადებისგან თავის არიდება, რაც თანამედროვე საქართველოს დამახასიათებელი თავისებურება გახდა. აქაც თავისებური დანშული წრე ჩამოყალიბდა: ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა, მისი მაღალი რისკი რეალურ სექტორში ინვესტიციებს აფერხებს; დაფინანსების უკმარისობა აჩქარებს წარმოების დაცემას, კუმშავს კლავწარმოებას; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, აღრმავებს კრიზისულ მოვლენებს თვითონ ფინანსურ ბაზარზე. ასეთი წრის გარღვევისათვის აუცილებელია შიდა რეზერვების მობილიზაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამოქმედებით.¹

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების

¹ ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001, გვ. 360.

საკანონმდებლო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საეტაპო მნიშვნელობის ნაბიჯი იყო 1999 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მიღება. ამ კანონით შეიქმნა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვის, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შემოთავაზებისას და გაყიდვისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფის, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრების სამართლებრივი უზრუნველყოფის საფუძვლები. ამასთან, ამავე კანონით განისაზღვრა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის რეგულირებადი მონაწილეები: საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები და ბროკერები.

აღნიშნული კანონით დაკონკრეტდა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ცნება, განისაზღვრა ანგარიშვალდებული საწარმოების ცნება და განმარტებული იქნა მოთხოვნები, ემისიის პროსპექტის და შეთავაზების საჯაროობაზე. აგრეთვე, კანონი არეგულირებს ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის წესებს საფონდო ბირჟაზე და მის გარეთ, ადგენს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების რეგისტრაციის მეთოდს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარმა, მის წინაშე დასმული ამოცანები, რომ შეასრულოს, პირველ რიგში საჭიროა აუცილებელი საკანონმდებლო აქტების მიღება-დამტკიცება. თუმცა დღეისათვის ამ ბაზრის რეგულირება წარმოებს შემდეგი საკანონმდებლო აქტებითა და საინსტრუქციო დებულებებით:¹

1. დროებითი დებულება „საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და საფონდო ბირჟების შესახებ“;
2. საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების

¹ ხუციშვილი ვ., ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები, ჟ. „ეკონომიკა“, 2001, №7, გვ. 33-34.

შესახებ“;

3. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „პრივატიზაციის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „თამასუქების შესახებ“;
6. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“;
8. საქართველოს კანონები „ეროვნული ბანკის შესახებ“ და „კომერციული ბანკების შესახებ“;
9. საქართველოს რესპუბლიკაში „ფასიანი ქაღალდების ფორმირებისა და ორგანიზაციის შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 ნოემბრის №12 დადგენილება;
10. ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ მონაწილეთა პიროვნული ინსტიტუციონალური ლიცენზირების წესი;
11. ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ინდივიდუალური მონაწილის პიროვნული ლიცენზიის მიღების კანდიდატების საატესტაციო კომისიის დებულება;
12. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სფეროში ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს დებულება;
13. „დებულება სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების შესახებ“;
14. „დებულება საინვესტიციო ფონდების შესახებ“.

1998 წლის 30 ოქტომბერს მიღებული იქნა კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის ხელშეწყობი მნიშვნელოვანი კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალური დეპოზიტარის ცნებები, აგრეთვე ის მარეგულირებელი სფერო, რომლის სუბიექტს ფასიანი ქაღალდების ეროვნული მარეგულირებელი კომისია წარმოადგენს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები

გადაიღვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით. კერძოდ, USAID-ის დაფინანსებითა და „Barents Group“-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „კაპიტალის ბაზრის განვითარება“ – ფარგლებში მოწყობილი საფონდო ბირჟის კანდიდატთა ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული და შესაბამისად 1999 წლის იანვარში ჩამოყალიბდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცენტრალური ინსტიტუციური რგოლი – „საქართველოს საფონდო ბირჟა“. აგრეთვე დასახელებული საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით უზრუნველყოფილი იქნა საფონდო ბირჟის პროგრამული და ტექნიკური აღჭურვა.

„საქართველოს საფონდო ბირჟის“ ძირითადი მიზანი ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა ანუ ისეთი გარემოს ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორების სამართლიანი და კონკურენტული პირობების შექმნას, მათი ინტერესებისა და უფლებების რეალურად დაცვას, აქციების სამართლიანი ფასის დადგენისა და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათის ინსტიტუციური საფუძვლების ჩამოყალიბებას.

საფონდო ბირჟის შესაკუთრე-წვევები შეიძლება გახდნენ მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები, რომელთა ლიცენზირება ხდება ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ლიცენზია გაიცემა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე სახის საქმიანობაზე:¹

- ა) ინვესტორებისათვის პირდაპირი კონსულტაციების გაწევა ინვესტიციებთან დაკავშირებით;
- ბ) ემიტენტისათვის კონსულტაციის გაწევა ფასიანი ქაღალდე-

¹ მძინარიშვილი თ., საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2001, ბიულეტენი №52, გვ. 41.

- ბის გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
- გ) ემიგრენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება არაგარანტირებულ საფუძველზე;
 - დ) მიიღოს და გადასცეს კლიენტს დავალებები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, კლიენტის სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგებების განხორციელება მათივე ინტერესებისათვის;
 - ე) კლიენტების საინვესტიციო პორტფელებისა და ფასიანი ქაღალდების ოპერაციებისათვის გამოყოფილი მართვა;
 - ვ) კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით ნომინალური მფლობელის მომსახურება;
 - ზ) საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისავე ინტერესებისათვის;
 - თ) ემიგრენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება გარანტირებულ საფუძველზე;
 - ი) ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მიიღოს მონაწილეობა კომისიის წესებით განსაზღვრულ მოკლე გაყიდვებში.

ლიცენზია შეიძლება იყოს გენერალური, რომელიც უზრუნველყოფს საბროკერო კომპანიის ჩართვას კანონით გათვალისწინებული ყველა სახის ნებადართულ საქმიანობაში, ან სპეციალური, რომელიც საბროკერო კომპანიას ზღუდავს და მის საქმიანობას განსაზღვრავს მხოლოდ ზოგიერთი მიმართულებით. საბროკერო კომპანიები საკუთარი კაპიტალის მიხედვით იყოფა სამ კატეგორიად:

1. შესაბამისი ლიცენზიის ქონის შემთხვევაში საბროკერო კომპანიას უფლება აქვს პირველი ორი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის წარმართვისა;
2. ამ შემთხვევაში, საბროკერო კომპანიას პირველი ექვსი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის უფლება ეძლევა;
3. ხოლო, ამ შემთხვევაში კი საბროკერო კომპანიას ეძლევა უფლე-

ბა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის ყველა სახის მიხედვით წარმართოს (განახორციელოს) თავისი მოღვაწეობა.

ცენტრალური დეპოზიტორი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად არის პირი, რომელიც ნომინალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ კლირინგს და ანგარიშსწორებას ან ეწევა კომისიის წესებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას. ცენტრალური დეპოზიტორის მოვალეობებია განსნას, ამოქმედოს და დახუროს მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშები, მისი წესების შესაბამისად, უზრუნველყოს სისტემის მთლიანობა და უსაფრთხოება, მისცეს მონაწილეს ამონაწერი ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ, უზრუნველყოს სხვა მომსახურება მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მომსახურების მიზნით.¹

დეპოზიტორის წევრები (მონაწილეები) შეიძლება გახდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდეგი მონაწილეები: საბროკერო კომპანიები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, ემიტენტები, საინვესტიციო კომპანიები და საფონდო ბირჟები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ წევრებისათვის განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება, მდგომარეობა მაინც არაადამაკმაყოფილებელია. ვინაიდან, საფონდო ბირჟაზე არ მიმოიქცევა იმ რაოდენობის კაპიტალი, რომელიც მის სრულყოფილ და დინამიურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საქართველოში სახელმწიფო კვლავ რჩება კაპიტალის უმსხვილეს მფლობელად, რომელსაც საფონდო ბირჟაზე მოხვედრის სერიოზული პერსპექტივა გააჩნია. დღეისათვის ამ კაპიტალის პრივატი-

¹ მძინარიშვილი თ., საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2001, ბიულეტენი №52, გვ. 44.

ზება არასაბირჟო წესით ზორციელდება (კონკურსის, აუქციონის, ოჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით). პრივატიზაციის პროცესი (ორგანიზება) მიმდინარეობს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, რომელიც თვითონ წარმოადგენს მესაკუთრეს, და არა დამოუკიდებელი, კერძო ინსტიტუტის მიერ, რომელიც ქონების შედარებით კონკურენტულ გარემოში გასხვისებას (პრივატიზებას) შეუწყობს ხელს, თვით ამ პროცესის საჯაროობისა და გასაყიდი ქონების რეალურად საბაზრო ფასებით შეფასების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამ მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ შემუშავებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შესაბამისი პროექტის მომზადება, რომელიც ითვალისწინებს სპეციალიზებულ საბირჟო აუქციონის ინსტიტუტის შემოღებას, რომლის ორგანიზება განხორციელდება საფონდო ბირჟის მეშვეობით. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციებზე ცხადდება საწყისი ფასი და გასაყიდი ფასი აღნიშნულ აქციებზე აუქციონის გამართვის შემდეგ დადგინდება, - იმის მიხედვით, თუ რომელი მყიდველი შესთავაზებს უფრო მაღალ ფასს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით გამორიცხულია აქციის რეალიზაცია საწყისზე დაბალ ფასში. ყოველივე ტარდება საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემების გამოყენებით, რაც გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს ამ პროცესში საფონდო ბაზრის პროფესიონალ შუამავალთა და კონსულტანტთა მონაწილეობის მიღებას და მათი საშუალებით აქციათა შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საერთაშორისო ქსელში. შემოთავაზებული მექანიზმი მნიშვნელოვნად გააფართოვებს აუქციონში მონაწილეობის მსურველთა წრეს, რაც მთლიანობაში ხელს შეუწყობს საფონდო ბაზრის კაპიტალიზაციისა და აქტივობის ზრდას.

მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ძეგორადი ბაზრის განვითარების უზრუნველყოფა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძეგორადი ბაზრის განვითარება ხელდახელ მიჰყვება კარ-

გად ფუნქციონირებად პირველადი ბაზრის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ღია ბაზარზე ოპერაციების მიზანია ფულად-საკრედიტო ოპერაციების ჩატარება, ეს ოპერაციები ამავე დროს იწვევს, როგორც ფასიანი ქაღალდების ყიდვის აქტივობის ზრდას, ასევე მათი გაყიდვების ზრდას და ამით იქნება ბაზრის მონაწილეების მიერ ოპერაციების ჩატარებისათვის დამატებითი შესაძლებლობები. სანამ ეს ინსტრუმენტები იქნება მოქმედებაში მოყვანილი, ეროვნულმა ბანკმა უნდა მონახოს შესაძლებლობები მოათავსოს თავის ბალანსზე სახაზინო ვალდებულებების მარაგი და რეგულარულად შეიძინოს დამატებითი სახაზინო ვალდებულებები ბალანსზე არსებული დაფარული ვალდებულებების შესავსებად.¹

მიუხედავად იმისა, რომ ეს ოპერაციები გამოიყენება ფულად საკრედიტო მიზნებისათვის, ისინი ასევე ზეგავლენას მოახდენენ მეორადი ბაზრის ოპერაციებზე. მაგალითად, ეროვნულმა ბანკმა შეიძლება მიზანშეწონილად ჩათვალოს თავის პორტფელში დაფარვის ვადის დიაპაზონის შეცვლა, საბაზრო ლიკვიდობაზე ნეიტრალური ზეგავლენით, დაფარვის მოკლე ვადის მქონე ვალდებულებების შესყიდვით, ან პირიქით. შეიძლება ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად ჩათვალოს ლიკვიდობის მიღწევა ბაზარზე სახაზინო ვალდებულებების გაყიდვით, ასევე სახსრების აუქციონის მეშვეობით მოზიდვით.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ჩარევისა და ბაზრის რეგულირების პრინციპების აღიარება-განხორციელება. აღნიშნულისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია:

- ფასიანი ქაღალდების მასის ზრდა სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გამოშვებითა და პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებით;
- სახელმწიფოს მხრიდან ფასიანი ქაღალდებით ბაზრის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

¹ მაღაზონია გ., ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარების საკითხისათვის, ე. „ეკონომიკა“, 2001, №3-4, გვ. 61-62.

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება;
- საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
- უნდა შემუშავდეს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა, კონკრეტული პასუხისმგებლობისა და ვალდებულების ჩვენებით შესაბამის შესრულებაზე კონტროლის სისტემის დაწესებით, რათა დაჩქარდეს მუშაობის დასრულება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟასთან, სახაზინო ვალდებულებების მეორადი ბაზრის ოპერაციების წესებისა და აუქციონის ტექნიკურად მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების და ოპტიმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას სასესხო კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის, ფასიანი ქაღალდებზე სარგებლის განაკვეთისა და ფულის რაოდენობის გაზრდას შორის თანაფარდობის გათვალისწინების საფუძველზე.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ტენდენციების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

- ჯერჯერობით საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების დღევანდელ ეტაპზე ფასიანი ქაღალდების ბაზარი იმყოფება ჩანასახოვან მდგომარეობაში.
- საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის დამახასიათებელია ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების პირველადი აუქციონების ფუნქციონირების სახით განვითარება;
- კორპორაციული ფასიანი ქაღალდების განუვითარებლობა;
- იპოთეკური ვალდებულებებისა და სათამასუქო მიმოქცევის დიდი მასშტაბები.

– ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე.

ამგვარად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება, მისი რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება მიგვაჩნია ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, რის გარეშეც ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება შეუძლებელი იქნება.

16. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასებისა და გამოყენების რეგიონული ასპექტები

საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირურთიერთობების პრობლემა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების თავისებურებათა შესწავლის განსაკუთრებული ასპექტია და ამდენად, თეორიისა და პრაქტიკის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ბუნების დაცვა, მისი რესურსების ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენება შეიძლება განხილული იქნეს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანათა კარმონიული გადაწყვეტის კონტექსტში.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების კვალობაზე, ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის (სტრატეგიის) შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში უდაოდ პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, ვინაიდან მისი ზეგავლენის ხარისხი საწარმოო ძალების ტერიტორიების მიხედვით განლაგებაზე, მეტად სოლიდურია. კერძოდ, რესურსების რაოდენობა, ხარისხი და შესაძება განსაზღვრავს ტერიტორიის (რეგიონის) ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს, რომელიც თავის მხრივ მოსახლეობისა და სამეურნეო საქმიანობის განლაგების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ბუნებრივი რესურსების მდიდარი წყაროების ათვისება ხელს უწყობს მსხვილი სამრეწველო ცენტრების წარმოქმნას, სამეურნეო კომპლექსებისა და ეკონომიკური რაიონების ჩამოყალიბებას. რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი დიდ ზეგავლენას ახდენს მის საბაზრო სპეციალიზაციასა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე. ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების ხასიათი ზეგავლენას ახდენს რეგიონული განვითარების ტემპებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ეკონომიკის შესწავლის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბუნებ-

რივ-რესურსული პოტენციალის განსაზღვრა, მისი ტერიტორიული შეთანაწყოების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხების გამოვლენა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში მისი რაციონალური და დაბალანსებული გამოყენების პრობლემების განზოგადება.

აღნიშნულთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მნიშვნელოვან რეგიონულ ამოცანებს შორის გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:¹

- ცალკეულ რეგიონებში ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის სტრუქტურის, ხასიათისა და მასშტაბების გამოკვლევა, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის ფორმირებისა და ფუნქციონირების ობიექტური (ბუნებრივი) საფუძველი;
- რეგიონის სამეურნეო კომპლექსის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და გამოყენების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების მიზნით, ბუნებრივი რესურსების ტერიტორიული შეხამებისა და ათვისების პერსპექტივების შესწავლა;
- ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება, როგორც მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, ასევე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებით რესურსების სამეურნეო ათვისების ტენდენციების პროგნოზირება.

ამ მიმართულებების კვლევისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ რიგი ცნებებისა, რომლებიც ახასიათებს ჩვენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.²

გარემომცველი ბუნება – ბუნებრივი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების

¹ 1 Некрасов Н.Н., Региональная экономика, М., "Экономика". 1978, ст. 186.

² 2 Игнатов В.Т. Конин А.В. Батурин А.А., Сбалансированное природопользование, Ростов на Дону, 1999, ст. 6-7.

ხარისხსა და პირობებზე, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობაზე;

ბუნებათსარგებლობა – ადამიანისა და გარემომცველი ბუნების ურთიერთობები, მისი (იგულისხმება ადამიანი) სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მოღვაწეობის პროცესში. რეგიონის ბუნებრივი რესურსები – ბუნებრივი ობიექტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფილია (ფლობს) ადამიანისთვის სასარგებლო თვისებებით;

რეგიონის ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა – ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომელიც ეკონომიკური პოზიციიდან და მეთოდების გამოყენებით სწავლობს რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემომცველი ბუნების დაცვის მიმართულებით რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და შედეგებს;

რეგიონული ეკონომიკის ეკოლოგიზაცია – ეს არის რეგიონში განხორციელებული მმართველობითი (ორგანიზაციული), ტექნოლოგიური, საფინანსო-ეკონომიკური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია გარემომცველ ბუნებაზე საწარმოთა ფუნქციონირების უარყოფითი (ეკოლოგიური თვალსაზრისით) ზეგავლენის შემსუბუქებისა და ამავდროულად წარმოების ძირითადი მიზნების შენარჩუნების - რეალიზაციისაკენ;

რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი – ეს არის ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური და ტექნიკური განვითარებისა და ტერიტორიის შესწავლის მოცემულ დონეზე შეიძლება გამოყენებული იქნეს ადამიანის სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობისათვის, როგორც მიმდინარე პერიოდში, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაშიც.

როდესაც ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ასპექტებს ვაანალიზებთ, უპრიანია დავახასიათოთ ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური კლასიფიკა-

ციის თავისებურებანი. ამ მხრივ მათი დაყოფა შეიძლება ორი ძირითადი ჯგუფის მიხედვით:¹

1. მატერიალური წარმოების რესურსები, რომლებიც გამოიყენება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მაგალითად სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ლითონები, აგროქიმიური ნედლეული, ტყე, თევზის რესურსი, ნიადაგი და სხვა.

2. არასაწარმოო სფეროს რესურსები, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მოხმარების რესურსები (სასმელი წყალი, ველური მცენარეები, რეკრეაციული რესურსები და სხვა).

გარდა აღნიშნული ნიშნით დიფერენცირებისა (დაყოფისა), ბუნებრივი რესურსები შეიძლება დაიყოს ამოწურვადი, ჩანაცვლების, განახლებადი, ადგილმდებარეობის, წარმოშობისა და სხვა პრინციპების მიხედვით.²

წარმოშობისა და ბუნებრივი თვისებების მიხედვით გამოყოფენ:

- მინერალურ რესურსებს,
- მიწის რესურსებს,
- წყლის რესურსებს,
- ბიოლოგიურ რესურსებს,
- კლიმატურ რესურსებს (მზის სითბო და სინათლე, ნალექები),
- ბუნებრივი პროცესებიდან მიღებული ენერჯის რესურსებს (მზის გამოსხივება, მიწის შინაგანი სითბო, ქარი და სხვა).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მინერალურ რესურსებს, რომლებიც გამოყენების ხასიათის მიხედვით იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

- სათბობ-ენერგეტიკული რესურსები (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ჰიდროენერგია, ნახშირი, ტორფი, ურანი);
- ლითონის მადნები – შავი, ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების მადნები;

¹ Бутов В.И., Игнатов В.Г., Кетова Н.П., Основы региональной экономики, Ростов на Дону “Март”, 2000. ст. 63.

² Бутов В.И., Игнатов В.Г., Кетова Н.П., Основы региональной экономики, Ростов на Дону “Март”, 2000. ст. 63.

– არალითონური რესურსები – ფოსფორიტები, სხვადასხვა მარილები, აზბესტი, სამშენებლო ნედლეული, გრაფიტი და სხვ.

საქართველოს ბუნებისა და მიწა-წყლის თვისებათა ზოგადი დახასიათებისათვის ძველი წყაროების შესწავლისა და განზოგადების საშუალების საფუძველზე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს:¹ „უძველესი დროიდან დასავლეთი საქართველო, კოლხეთი, უაღრესად ნაყოფიერ და მდიდარ ქვეყნად ითვლებოდა, არგონავტების შესახებ ბერძნული თქმულებებიც ამ გარემოების მკაფიოდ გამოძეღვენებელია, ბერძენთა გეოგრაფები და ისტორიკოსებიც ერთმხრივ ამას ადასტურებენ... ძველი დროითგან მოყოლებული იბერია, ანუ ქართლ-კახეთი ნაყოფიერებითა და საუცხოო ბუნებით იყო განთქმული. აღსანიშნავია, რომ ალბანეთთან ერთად იბერიასაც სტრაბონი კურთხეულ ქვეყნად სთვლიდა, რომელიც ბუნებისაგან ყოველივე ღირსებითა და სიკეთით უხვად იყო დაჯილდოებული. ამგვარად საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მუერნობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო“.

საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასების მიმართულებით მეტად საინტერესო გამოკვლევა იქნა ჩატარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) განვითარების პროგრამის ფარგლებში. ამ გამოკვლევით დადგინდა, რომ ქვანახშირის რეზერვი დაახლოებით 350 მილიონი ტონაა, პოტენციური კიდევ 700 მილიონი ტონა. მაქსიმალური ამოღება 1983 წ. წელიწადში 3 მილიონ ტონამდე აღწევდა, მაგრამ ეს რაოდენობა ძლიერ შემცირდა მალარობის არასწორი ექსპლუატაციისა და გამოფიტვის გამო.²

ქვანახშირის ძირითადი საბადოებია ტყიბულ-შაორის და ტყვარჩელისა, რომლებიც განლაგებულია რაჯისა და კოდორის ქედების ფერდობებზე. მურა ნახშირის საბადო მდებარეობს სამხრეთ

¹ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1930, გვ. 142-148.

² უმანური განვითარების ანგარიში, საქართველო, 1997, გვ. 70.

საქართველოში ვალეში (ახალციხის მახლობლად), იგი შედარებით დაბალი ხარისხისაა, მაგრამ ვარგისია როგორც ენერგეტიკული, ისე საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან. ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ არსებული რესურსები, არამედ ბუნებრივი (გარემო) პირობების თავისებურებანიც, ვინაიდან ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და რელიეფი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. მეორე, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება მოიცავს მისი ცალკეული კომპონენტების (რესურსების სახეობების) პოტენციალების შეფასებასაც, ეს კი საკმაოდ რთულია. მესამე, ცალკეული რესურსის ბუნებრივ პოტენციალს გააჩნია გაზომვის საკუთარი ერთეული (აგროკლიმატური – მრავალრიცხოვანი ჰიდროთერმული კოეფიციენტები, ჰიდროენერგეტიკული – სიმძლავრის ერთეულები და სხვა). ამდენად, ამ შემთხვევაში წარმოიქმნება სხვადასხვა მაჩვენებლების საერთო მაჩვენებლამდე დაყვანის სირთულე.

ამ პრობლემების ანალიზისას მეტად საინტერესო მაგალითი მოყავთ რუს რეგიონალისტებს ი. გლადკისა და ა. ჩისტობაევის.¹ კერძოდ, რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორცაა ბუნებრივი აგროპოტენციალის რაოდენობრივი შეფასების სირთულეებზე მსჯელობა, ზემოაღნიშნული ავტორები ხაზს უსვამენ ისეთი ფაქტორების ერთობლიობას, როგორცაა გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური, ჰიდროლოგიურ-კლიმატური, ბიოლოგიური და ეკოლოგიური რესურსები და პირობები. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია ის ფაქტი, რომ რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასება რამდენად რთულია და მრავალი თავისებურებების გათვალისწინებას საჭიროებს.

¹ Гладкий Ю.Н., Чыстобаев А.И., Основы региональной политики, Санкт-Петербург. изд.: "Михайлова В.А.", 1998. ст. 302.

რუსი მეცნიერი ბ. რაბინოვიჩი გვთავაზობს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ხუთ ძირითად ჯგუფად დაყოფას:¹

1. მაჩვენებელთა ეს ჯგუფი აერთიანებს ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მაჩვენებლებს, ანუ ასახავს ცალკეულ ნატურალურ მაჩვენებლებს;
 2. მაჩვენებელთა ამ ჯგუფში ჩამოყალიბებულია ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობების რომელიმე მიმართულებით გამოყენების ეროვნულ-მეურნეობრივი ღირებულების (სარგებლიანობის) შეფასების მაჩვენებლები;
 3. ეს არის მაჩვენებელთა ინტეგრალური ჯგუფი, რომელიც აერთიანებს ცალკეული სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენების მაჩვენებლებს (რაოდენობრივი და თვისობრივი თვალსაზრისით) არა რომელიმე ვიწრო მიმართულებით, არამედ მთლიანად ეროვნულ-მეურნეობრივი ფასეულობის დადგენის კონტექსტში. ამდენად ეს არის გამსხვილებული მაჩვენებელთა ჯგუფი;
 4. მაჩვენებელთა ეს ჯგუფი ასახავს რეგიონის (ტერიტორიის) ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეროვნულ-მეურნეობრივი ღირებულების შეფასების მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებლების გამოანგარიშება შეიძლება მესამე ჯგუფის მაჩვენებელთა ინტეგრირებით ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა სახეობებისა და ცალკეული ტერიტორიების მიხედვით.
 5. მაჩვენებელთა ამ ჯგუფში ასახულია ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეროვნულ-მეურნეობრივი ღირებულების შეფასების მაჩვენებლები, რომლებიც გაანგარიშებულია ეროვნული მეურნეობის იერარქიის ცალკეული დონეების მიხედვით.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული

¹ Рабинович Б.М., Экономическая оценка земельных ресурсов и эффективности инвестиций, М., "ФИЛИНЪ" 1997. ст. 126-127.

სურსული პოტენციალის ეროვნულმეურნეობრივი ღირებულების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი ფორმულის სახით:

$$\Pi_n = \sum_{i=1}^n \Pi_i Q_i$$

სადაც Π_n – ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსის რომელიმე მიმართულებით გამოყენების ეროვნულმეურნეობრივი ფასეულობის (ღირებულების) ინტეგრალური მაჩვენებელი მანეთებში (ლარებში);

Π_i – ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსის i -ური მიმართულებით გამოყენების ეროვნულმეურნეობრივი ფასეულობის (ღირებულების) ერთეული მაჩვენებელი (მანეთებში (ლარებში) ერთეული რესურსის მოხმარებაზე; მან/ჰა და ა.შ.);

Q_i – i -ური მიმართულებით რესურსის გამოყენების (მოხმარების) მაჩვენებელი (ჰა და ა.შ.)

$i=1... n$ - ბუნებრივი რესურსის მოხმარების სხვადასხვა მიმართულებები.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრალური გაანგარიშების მეთოდებიდან ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. ბალებისა და ღირებულებითი მაჩვენებლების მეთოდები. პირველ შემთხვევაში განისაზღვრება შეფასების ერთიანი სკალა და რეგიონის ბუნებრივი რესურსის თითოეული სახეობა იღებს განსაზღვრულ ბალს, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:¹

$$P_s = \sum_{i=1}^n P_i$$

სადაც P_s – ცალკეული ბუნებრივი რესურსების საერთო პოტენციალი;

¹ Гладкий Ю.Н., Чистобаев А.И., Основы региональной политики, Санкт-Петербург, изд., "Михаилова В.А.". 1998. ст. 304.

P_i - ცალკეული სახეობის ბუნებრივი რესურსების კერძო პოტენციალი;

n - შემადგენელთა რაოდენობა.

ცალკეული რესურსების მიხედვით პოტენციალის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია შეფასდეს ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი შემდეგი ფორმულით:

$$P = \sum_{s=1}^N P_i$$

სადაც P - ტერიტორიის საერთო პოტენციალი;

N - შემადგენლების რაოდენობა.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შემუშავებული ბალების სკალის ნებისმიერი ფორმა, ვერ იქნება გარკვეულ სუბიექტურობას მოკლებული (ვინაიდან იგი ექსპერტის მიერ დგინდება), მაგრამ ეს მომენტი დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე.

ხოლო, რაც შეეხება ღირებულებითი მაჩვენებლების მეთოდს, რომელსაც საბაზრო ეკონომიკაში გამოყენების დიდი პერსპექტივა გაჩნდა, მისი მომხრეების აზრით, ამ შემთხვევაში მეცნიერული აპარატის კონცენტრირების ობიექტი პროდუქციის (ნედლეულის) ფასი უნდა იყოს, რომელიც (იგულისხმება ნედლეული) მოცემული რეგიონის საზღვრებში მიღებული უნდა იქნეს სრულყოფილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებაც დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან. პირველი, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის განსაზღვრისათვის აღებული ამა თუ იმ რესურსის მსოფლიო ფასები, საბაზრო კონიუნქტურის ზეგავლენით მნიშვნელოვან რყევებს განიცდის. მეორე, ცალკეული ბუნებრივი რესურსის პოტენციალის შეფასებისას დაზღვეული უნდა ვიყოთ „ორმაგი ანგარიშის“ თავიდან აცილებისაგან, ვინაიდან ამ ცალკეული რესურსების „გავლენის სფეროებში“ ხშირად გადაიკვეთებიან და თუ ეს ფაქტორი გათვალისწინებული არ იქნება, შეიძლება გაანგარიშებებით არარეალური (ზრდის თვალსაზრისით) მაჩვენებლები განისაზღვროს.

საქართველოში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების წინააღმდეგობრივმა პროცესებმა ქვეყანაში შექმნილ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებათა ფონზე, – მძიმე მდომარეობაში ჩააყენა მრეწველობა, რაც, თავის მხრივ, ძირითადად განაპირობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების რღვევამ. ცხადია, აღნიშნული გარემოება უარყოფითად აისახა საქართველოს მრეწველობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ეფექტიანობასა და, საერთოდ, ამ დარგის განვითარების შესაძლებლობებზე.

სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი მოსახლეობის ერთ სულზე 143-145 აშშ დოლარის ფარგლებშია, მაშინ, როდესაც ევროკავშირში გაწვევრიანების პირობა არანაკლებ 400 აშშ დოლარს ითვალისწინებს. სამრეწველო პროდუქციის საგარეო ბაზარზე გასვლა დაკავშირებულია ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან. ეს კი შეუძლებელია მრეწველობის ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის გარეშე, რაც მოითხოვს სახელმწიფოსა და მეწარმეთა ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას.

პერსპექტიულია რიგი ცალკეული სახეობის წიაღისეულის მოპოვება (ნავთობი, სპილენძი, ძვირფასი ლითონები, ღარიშხანი, ბარიტი, სამთო ქიმიის ნედლეული და სხვა), რაც ქმნის დარგის წინმსწრები განვითარების რეალურ საფუძველს. იაპონიის მთავრობის დახმარებით 2001 წლიდან დაიწყო და მიმდინარეობს სამთო მოპოვებელ საწარმოთა საქმიანობის კვლევა და მუშავდება დარგის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ხასიათის ფართო ღონისძიებების განსახორციელებლად. პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება სამთო მოპოვებელი მრეწველობის წილი ქვეყნის შშპ-ში.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის (ბრკ) შეფასებისა და

აძაღლების პრობლემების თანამდევ მიმართულებაა მისი გამოყენების ეფექტიანი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება. რაც კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების და დამკვიდრების შეუქცევადი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის (ბრკ) მართვის მექანიზმები ძირითადად დაკავშირებულია ისეთი ერთიანი (კომპლექსური) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, იურიდიული, ეკოლოგიური და სოციალური ნორმების შემუშავება-რეალიზაციასთან, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ერთიანი მიზნების ფორმირება, გაძლიერდება (გამოიკვეთება) საკუთრებითი ურთიერთობები, შემუშავდება (განხორციელდება) ისეთი სახის მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომელიც მიმართული იქნება მატერიალური, ფინანსური და არამატერიალური ნაკადების გარდაქმნა-ოპტიმიზაციასა და ბუნებრივ-რესურსული ბაზის გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისაკენ.

ბრკ-ის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფუნქციონირება უწინარესად ორიენტირებული უნდა იყოს ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების შეთანაწყობილ ურთიერთქმედებაზე და რაც მთავარია, ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე სამეურნეო სუბიექტების ინტერესების დაცვა (მიუხედავად მათი საკუთრებითი ფორმისა).

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელოვანი კომპონენტია რაციონალური ბუნებათსარგებლობა. აღნიშნული მიმართულების კვლევისას პროფესორმა გ. წერეთელმა შემოგვთავაზა ბუნებათსარგებლობის რეგიონული დაგეგმვის მეთოდოლოგიური სქემა ოთხი დონის მიხედვით.¹ პირველი დონე ითვა-

Церстели Г.Ш., Проблемы экономики регионального природопользования на примере Грузинской ССР, Тбилиси "Мецნიერება", 1990, с.67-70.

ლისწინებს გეგმების შემუშავებას, სადაც ასახული იქნება ადგილობრივი ბუნებრივი კომპლექსების გეგმაზომიერი განვითარების მაჩვენებლები, რომლებიც ამა თუ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შემადგენლობაში შედიან; მეორე დონეზე, პირველ დონეზე შემუშავებული შესაბამისი გეგმების ურთიერთდაკავშირებითა და აგრეგირებით შემუშავდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბუნებათსარგებლობის გეგმები, მესამე დონეზე ანალოგიურად შემუშავდება ქვერეგიონული გეგმები, ხოლო მეოთხე დონეზე შესაბამისად რეგიონული გეგმები.

ადამიანი ყოველთვის იყენებდა ბუნებრივ რესურსებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ამასთან ამ მოთხოვნილებების ზრდის კვალობაზე იზრდება ეკონომიკურ წრებრუნვაში ჩართული ბუნების ელემენტების მოცულობაც, რაც უწინარესად უკავშირდება დედამიწაზე მოსახლეობის ზრდასა და ადამიანთა მოთხოვნაში მომხდარ ხარისხობრივ ცვლილებებს. ბუნებრივი რესურსების მოხმარების მასშტაბების კოლოსალური ზრდის კვალობაზე მეტად აქტუალურია საკითხი მათი შენარჩუნებისა და კვლავწარმოების მიმართულებით. ამ მხრივ კი ყურადსაღებია შემდეგი ასპექტები:

- 1) ბუნების მიერ ადამიანებისათვის ნაბოძები სიკეთის მომჭირნედ და რაციონალურად გამოყენება;
- 2) ბუნებრივი რესურსების შესავსებად (სადაც ამის მიღწევა შეიძლება) ზომების მიღება;

ბუნებათსარგებლობის რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის გამოცდილება, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი:

- რაიონების (რეგიონების) მიხედვით ბუნების დაცვის ღონისძიებების დარგობრივი საშუალო პროგრამები;
- განსაზღვრული ბუნებრივი რესურსის ან ბუნებრივი გარემოს ცალკეული კომპონენტის დაცვის ღონისძიებების სქემა;
- ბუნების დაცვის ტერიტორიული კომპლექსური სქემები.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო,

რომელიც არამართო ბრკ-ის ინვესტორის როლით შემოიფარგლება, არამედ მისი რესურსებისა, პროდუქციისა და მომსახურების აქტიური მომხმარებელია. გარდა ამისა, იგი წარმოგვიდგება, როგორც სახელმწიფო ქონების მესაკუთრე და შესაბამის მონაწილეობას ღებულობს ამ პროცესებში მესაკუთრის რანგში.

3) მეორადი ნელლეულის მაქსიმალურად გამოყენება;

4) წარმოებისა და ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიური სისუფთავის ყოველმხრივი მხარდაჭერა და დაცვა.¹

ამგვარად ბრკ-ის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებათსარგებლობის რაციონალური (ეფექტიანი) მოხმარების კვალობაზე, ეკონომიკის მდგრადი განვითარების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას. აღნიშნული მიზნის მიღწევის უალტერნატივობა და საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სირთულეები განაპირობებს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების საქმეში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის აქტუალიზაციასა და წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტის ინტერესები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ამ პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიზანი უნდა იყოს ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის ცალკეული ელემენტების მესაკუთრეთა და სახელმწიფოს ინტერესების ჰარმონიულობის მიღწევა და ისეთი ფორმით რეალიზაცია, როდესაც დაცული იქნება მათი ძირითადი მიზნები (იხ. სქემა №1).

ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს სამი ძირითადი დონის მიხედვით:

¹ ბარათაშვილი ე., დანელია თ., ზარანდია ვ., რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო პირობებში, თბ.: თსუ-ს სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2000, გვ. 91.

სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტების (საწარმოების) მიზნები
ქვეყნის ბუნებრივ-რესურსულ კომპლექსში

სახელმწიფოს (მთავრობის) მიზნები	სამეურნეო სუბიექტების (საწარმოების) მიზნები
1. ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება და მისი გადაყენა მდგრად განვითარებაზე	1. ერთდროული და მიმდინარე დანახარჯების მინიმიზაცია
2. მაღალი ფასების თავიდან აცილების მიზნით შემოსავლების კონტროლი	2. შემოსავლების მაქსიმიზაცია
3. პრიორიტეტული პროგრამებისა და პროექტების რეალიზაცია	3. კაპიტალის ბრუნვის მასშტაბების გადიდება
4. ინვესტიციური პროცესების რეგულირება	4. ფულის დინების დადებითი საფლას უზრუნველყოფა
5. ჩამოყალიბებული სიტუაციის მოუხედავად მოქმედი და მისაღები კანონმდებლობის ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფა.	5. საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სტაბილიზაცია
6. ქვეყნის ეკონომიკური შედეგების მაქსიმიზაციისათვის საწარმოთა აქტივების გამოყენება	6. საწარმოთა მოგების მაქსიმიზაციისათვის საკუთარი აქტივების გამოყენების მოცულობის გაზრდის უწყობის მიღება.
7. სამეურნეო სუბიექტების საწარმოო მოღვაწეობასთან დაკავშირებული რისკების დელევირება	7. მთავრობაზე ან წარმოების სხვა მონაწილეებზე რისკების გადანაწილება

1. განისაზღვროს რეგულირების ძირითადი მიზნები და შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით:
 - ბრკ-ის მონაწილეთა უფლებათა და ვალდებულებათა გამოჯენისა და განსაზღვრის მიმართულებით, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით;
 - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბრკ-ის ფუნქციონირების საიმედოობა და უსაფრთხოება;

– სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ბრკ-ის ეფექტიან ფუნქციონირებას;

– დაცული უნდა იქნეს მომხმარებლის ინტერესები;

უნდა განისაზღვროს ბრკ-ის ფუნქციონირებაში მონაწილე სამეურნეო სუბიექტებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროები.

2. ბრკ-ის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი მიზნების შესაბამისად ჩამოყალიბდეს სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფი შემდეგი საკვანძო ელემენტები:

– ბრკ-ის რეგულირების ორგანოებთან პარიტეტულ საწყისებზე თანამშრომლობის ფორმები.

– ცენტრალურ და ადგილობრივ (რეგიონულ) ორგანოებს შორის მარეგულირებელი ფუნქციების გამიჯვნა (დუბლირების გამორიცხვა) და გადანაწილება;

– უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პოლიტიკური კონიუნქტურის ზეგავლენის მინიმიზაცია;

– უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ანგარიშგებისა და კონტროლის განხორციელება.

3. ბრკ-ის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციები: შეიძლება შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი:

– საინვესტიციო და რესურსული დაგეგმვა;

– ლიცენზირება;


– სატარიფო რეგულირება;

– ფინანსური რეგულირება;

– დავების გადაწყვეტა და ა.შ. (იხ. სქემა №2)

საბოლოო ჯამში ბრკ-ის სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირება სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი (რეგიონული) ორგანოების უფლებამოსილებათა და კომპეტენციათა გამიჯვნის კვალობაზე შეიძლება წარიმართოს მეტად ეფექტიანად, რაც უცილობლად იქნება ბუნებრივრე-

ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის (ბრკ) სახელმწიფოებრივი რეგულირების სქემა



სურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების საწინდარი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მოტანილი სქემის განხორციელებითა და კონკრეტიზაციით მისი მორგება და გამოყენება შესაძ-

ლებელია ბრკ-ის შემადგენელი ელემენტების (მაგალითად, სათბობ-
ენერგეტიკული კომპლექსი, მინერალურ-სანედლეულო კომპლექსი
და სხვა) სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანათა გადასაწყ-
ვეტად.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსე-
ბის გამოყენების სფეროს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის
მიზნით ხელისუფლების მიერ გატარებული იქნა მნიშვნელოვანი
ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო მიზნობრივ
პროგრამებში იქნა ასახული. არსებული დაფინანსების ფარგლებში
წარმოებდა მეტეოროლოგიური, აეროლოგიური, რადიოლოკაციური,
აქტინომეტრული, ოზონომეტრული, საზღვაო-ჰიდროლომეტეოროლო-
გიური, ექსპედიციურ-ჰიდროგრაფიული, თოვლსაზვავო დაკვირვებები.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 20 მაისის №191
ბრძანებულებით დამტკიცდა გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნუ-
ლი პროგრამა (5 წლიანი გეგმა), რომლის მიზედვითაც ძირითად
პრიორიტეტებად დასახული იქნა ქვეყნის ბიომრავალფეროვნება და
მისი დაცვა, წყალი და წყლის რესურსების დაცვა, ატმოსფერული
ჰაერი და მისი დაცვა, ნარჩენების მართვა და სხვა. აგრეთვე შემუშა-
ვებულია ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმა, რომელიც
10-15 წლის პერიოდისათვის განსაზღვრავს ამ სფეროში ქვეყნის
ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებსა და ქმედებებს.¹

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის (რეგიონების) ბუნებრივ-რესურ-
სული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით განხორციელებუ-
ლი მთელი რიგი ღონისძიებებისა, ამ პროცესის ეფექტიანობა საკ-
მაოდ დაბალია და დღის წესრიგში აყენებს, საქართველოს თანამედ-
როვე პირობების გათვალისწინებით, შესაბამისი მეცნიერულად და-
საბუთებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების ფორმი-
რების აუცილებლობის საკითხს. დასმული პრობლემის გადაწყვე-
ტის წანამძღვრების ჩამოყალიბების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებუ-

¹ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატორი
აგმა, თბ., ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, 2001, გვ. 149-150.

ლია შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ბუნებრივ-რესურსული ეფექტიანი პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების მართვის ერთიან, ინტეგრირებულ სისტემად შეიძლება ჩამოვყალიბოთ.

კერძოდ, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვთვალოთ ზემოხსენებული სისტემის შემადგენელი ორი ძირითადი მიმართულება:

I. ეკონომიკური ბლოკი:

1. მართვის ორდონანი (ორსაფეხურიანი) სტრუქტურა: „ცენტრი-რეგიონი“ – „რეგიონი (რაიონი, მუნიციპალური წარმონაქმნი) – ბრკ-ის მონაწილე სამეურნეო სუბიექტები“.
2. ელემენტების ერთობლიობა, რომელიც ასტიმულირებს ტრანსფერტებსა და სუბსიდიებს, განსაზღვრავს საგადასახადო განაკვეთებს, დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთებს, საბაჟო გადასახდელებსა და სხვა. აღნიშნული ბლოკი უნდა განვიხილოთ, როგორც „ცენტრისა და რეგიონის“ ურთიერთობების ელემენტი, რომელიც მოლიანობაში ემსახურება ბრკ-ის მონაწილე სამეურნეო სუბიექტებისა და რეგიონული (და/ან დარგობრივი) ცენტრების ეკონომიკური ინტერესების შეთანაწყობას.

II. ორგანიზაციული ბლოკი:

1. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების სტრატეგიის შემუშავების და რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის საკანონმდებლო და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმების ფორმირება;
2. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის მექანიზმების ფორმირება.

აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომების განზოგადებით შეიძლება ჩამოვყალიბოთ ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა შესრულებამ უნდა განაპირობოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. კერძოდ:

1. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს მრეწველობის ბუნებრივ-რესურსული ბაზის კვლავწარმოების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებაზე. მან უნდა გამოიძულოს სტიმულირების ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფას, ბრკ-ის მონაწილე სამეურნეო სუბიექტების ინტერესების დაბალანსებასა და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების სრულყოფას;

2. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკურმა მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ამა თუ იმ სტიმულის გამოყენების თანმიმდევრულობა (ადეკვატურობა საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით ავტომატურ რეჟიმში) იმის გათვალისწინებით, რომ იგი დიდ ზეგავლენას ახდენს კონკრეტული სამეურნეო სუბიექტის ქცევაზე, რომელზეც ზემოქმედებს აღნიშნული სტიმულები.

ამ მოთხოვნის იგნორირებამ შეიძლება განაპირობოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა სახის დანაკარგები (გართულებები). ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების შემუშავება, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა გრძელვადიანი ნორმებისა და ნორმატივების ფორმირებისას, მათი სტაბილურობისა და ელასტიურობის უზრუნველსაყოფად;

3. ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი ორიენტირებული უნდა იყოს ინვესტიციური დანახარჯების რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლებაზე. რაც უფრო ეფექტიანად იფუნქციონირებს ოარგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, მით უფრო ძლიერი მასტიმულირებელი ზეგავლენა ექნება

მას ინვესტიციურ პროცესებზე და ნაკლები ინვესტიციური დანახარჯებით (რესურსებით) იქნება მიღწეული სტრატეგიული მიზნები;

4. ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება ორიენტირებული (შეთანაწყობილი) უნდა იყოს უპირატესად მართვის (რეგულირების) ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე, რომელიც გაითვალისწინებს ამ პროცესის მონაწილე სამეურნეო სუბიექტების დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას სტრატეგიული მიზნების, გზებისა და მათი მიღწევის საშუალებათა განსაზღვრის საკითხებში და აგრეთვე მათი მოქმედების შედეგებზე.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ერთჯერადი მოქმედება. ეს არის რთული, მრავალეტაპიანი პროცესი, რომლის რეალიზაციის დროს უნდა იწარმოებოდეს ამა თუ იმ ღონისძიების (მაგ., ნორმატიული აქტის მოქმედების) განხორციელების შესაძლო შედეგების სიღრმისეული ანალიზი და განვითარების სავარაუდო სცენარების პროგნოზირება. ზოლო, ეს მოთხოვნები თავის მხრივ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების კვალობაზე შეიძლება გაფართოებული იქნეს და სპეციფიკის მიხედვით მოხდეს მისი მეტი კონკრეტიზაცია.

მინერალური რესურსები ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნებია, რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების მიღწეული ღონის პირობებში შეიძლება ან უშუალოდ იქნეს გამოყენებული, ან კიდევ მათგან შეიძლება მიღებული იქნეს სხვადასხვა მინერალები, ლითონები და სხვა სახის პროდუქტია მატერი-ალური წარმოების სფეროს შესაბამის დარგებში გამოყენებისათვის.

წიაღისეულის გამოყენების პროცესის მართვის პოზიციიდან მინერალური რესურსები ეკონომიკურ კატეგორიად შეიძლება იქნეს განხილული. სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე პირობებში, ახალი სრულყოფილი და ეფექტიანი ტე-

ქნოლოგიების შემუშავებით მინერალური რესურსების ესა თუ ის სახეობა, რომელიც მანამდე არ გამოიყენებოდა, შეიძლება გამოყენებული იქნეს წარმოების პროცესში და ამდენად „მინერალური რესურსის“ კატეგორიიდან გადაინაცვლოს „სასარგებლო წიაღ-ისეულის“ კატეგორიაში.

მინერალური რესურსების კლასიფიცირებას როგორც ეროვნულ, ასევე საზღვარგარეთულ პრაქტიკაში, ახორციელებენ სხვადასხვა პრინციპებზე დაყრდნობით: გენეზისის მიხედვით, ადგილმდებარეობის მიხედვით, პარამეტრებით, ფუნქციონალური შესაძლებლობებით, ეკონომიკისა და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების ხასიათის მიხედვით. ამასთან, პრაქტიკაში გამოიყენება კლასიფიკაციის ისეთი სახის მახასიათებლები როგორცაა გენეტიკური ტიპი, სტრუქტურული თავისებურებები, მინერალოგიური და ქიმიური შემადგენლობა, რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები, სამრეწველო დანიშნულება და სხვ.

სამრეწველო წარმოებაში გამოყენების ხასიათის მიხედვით, მინერალური რესურსები იყოფა შემდეგ რვა ჯგუფად:

1. სათბობ-ენერგეტიკული რესურსები (ქვანახშირი, ნავთობი, ჰიდროენერგია, ბუნებრივი აირი, ურანი);
2. შავი და ძნელადდნობადი, აგრეთვე, ლევირებული ლითონების საბადოები (რკინა, მანგანუმი, ქრომი, ტიტანი, ვოლფრამი და სხვ.);
3. ფერადი ლითონების საბადოები (ალუმინი, ტყვია, კალა, სპილენძი, ვერცხლისწყალი, თუთია);
4. კეთილშობილი ლითონების საბადოები (ოქრო, ვერცხლი, პლატინა);
5. ქიმიური და ჰიდროქიმიური ნედლეული (კალიუმის მარილები, ფოსფორიტები, აპატიტები, გოგირდი და სხვ.);
6. ტექნიკური ნედლეული (ალმასი, აზბესტი, გრაფიტი და სხვ.);
7. ფლუსები და ცეცხლგამძლე ნედლეული (დოლომიტი, მაგნეზიტი, კვარციტი, ქრომიტები და სხვ.);

8. სამშენებლო ნედლეული (სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ფილები, სამშენებლო ქვიშა, ღორღი და სხვ.).

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, მინერალური რესურსების გარკვეული სახეები შეიძლება მიეკუთვნოს რამდენიმე ჯგუფს. მაგალითად, ნავთობი და ბუნებრივი აირი სათბობენერგეტიკული რესურსის გარდა, წარმოადგენს მნიშვნელოვან ქიმიურ ნედლეულს. ამდენად, მინერალური რესურსები მართო სამრეწველო დანიშნულების და გამოყენების კლასიფიკაციის მიხედვით არ შეიძლება მოხმარებული იქნეს ბუნებათსარგებლობის პროცესში.

მინერალური რესურსების შედარებით მისაღები კლასიფიკაცია შემოთავაზებულია რუსი მეცნიერის ვ.პიტერსკის მიერ, რომელიც, კომბინირებული კლასიფიკაციის სქემიდან გამომდინარე, გამოყოფს შემდეგ თავისებურებებს: 1. მინერალური კომპლექსი (ერთი სახის სასარგებლო წიაღისეულის ჯგუფი); 2. მისი როლი სამრეწველო წარმოებაში (ძირითადი ან დამხმარე) და მიღებული პროდუქციის მასშტაბები; 3. სამრეწველო და სხვა სახის გამოყენების ობიექტები (სამრეწველო წარმოების დარგები); 4. ღირებულება.¹

ქართველი მკვლევრები მ. არღია და გ. მარგველანი მინერალური რესურსების კლასიფიკაციას ახდენენ წარმოქმნის პირობების, დროის და მასთან დაკავშირებული გამოლევადობა-აღდგენის და დანიშნულების (გამოყენების) მიხედვით.²

პირველი ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ჯგუფი: 1. პრაქტიკულად აღუდგენელი; 2. შორეულ მომავალში აღდგენადი; 3. შედარებით მალე აღდგენადი. ხოლო დანიშნულების მიხედვით კი შეიძლება გამოიყოს შემდეგი სამი ჯგუფი: 1. სათბობ-ენერგეტიკული; 2. მეტალურგიული (შავი, მალეგირებელი და ფერადი ლითონები) და 3. სათბობ-ქიმიური

¹ Питерский В.М., Минеральные ресурсы и национальная безопасность, М. Научно-изд. центр "Научный мир", 1996, с. 41-42.

² არღია მ., მარგველანი გ., მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 59.

ნედლეული.

საქართველო მინერალური რესურსებით ძალიან მდიდარი არაა, მაგრამ არც ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. უფრო მეტიც, ფართობის ერთეულზე მინერალური რესურსების კონცენტრაციის დონით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

საქართველოში მოიპოვება მინერალური რესურსების პრაქტიკულად ყველა ჯგუფებში წარმოდგენილი სახეობები. საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი გეოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი, თუმცა სიღრმისეული სტრუქტურა შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში კი ძალიან სუსტად.

საკვლევი ობიექტის (საქართველოს რეგიონების მინერალურ-სანედლეულო კომპლექსი) დეტალური გაანალიზებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვეყნის რეგიონების მიხედვით ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის განზოგადება.

აფხაზეთის ა.რ. საქართველოს რეგიონებს შორის გამოირჩევა მინერალურ-სანედლეულო რესურსებით. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოში 2016 წლისათვის არსებული მარაგები და რესურსები 10 მლნ ტონაზე მეტი არ იქნება,¹ გარდა აღნიშნულისა, აფხაზეთში არსებობს შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ბზიფის ქვანახშირის საბადო. გარდა ამისა, აფხაზეთში, აფშრის მიდამოებში არსებობს მაღალხარისხოვანი ბარიტის საბადო, რომლის მარაგი და რესურსები 28,5 მლნ. ტონით ფასდება, მაგრამ ეს საბადო განთავსებულია რთულ რელიეფურ პირობებში და მისი ათვისება საბჭოურ პერიოდშიც კი არ განხორციელებულა. ამასთან ერთად, ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ კი გალის რაიონში (ოცარცე), მდებარეობს ქვეყანაში არსებული ცარცის ერთადერთი მსხვილი

¹ სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, თბ., 1990, გვ. 145.

საბადო, რომლის მარაგიც 3 მილიონი ტონით ფასდება. ასევე, აქ არის განლაგებული ვერცხლისწყლის ძირითადი საბადოები აჭეის და ავადხარა, რომელიც კავკასიონის ე.წ. „ვერცხლისწყლის სარტყლის“ ფარგლებში მდებარეობს. დოლომიტის მნიშვნელოვანი მარაგებია ტყვარჩელში, რომლის ათვისება 1968 წლიდან დაიწყო. სოხუმის რაიონშია განლაგებული საშენი კირქვების საბადო, ასევე ცნობილია ილტოსა და გუმისთის მარმარილოს საბადოები და სხვ.

მინერალურ-სანედლეულო რესურსების მდიდარი სპექტრია წარმოდგენილი იმერეთის მხარეში. უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნავთ ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოს, რომლის ნახშირმემცველი ფენების საშუალო ნაცრიანობა 30,5 პროცენტს შეადგენს, ხოლო თბოუნარიანობა — 5500 კილოკალორიას, მისი სავარაუდო მარაგი დაახლოებით 670,5 მლნ. ტონას შეადგენს. ჭიათურისა და საჩხერის რაიონებში განთავსებულია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მანგანუმის საბადო, რაც მნიშვნელოვანი ნედლეულია შავი მეტალურგიის განვითარებისათვის. მთლიანი რეზერვები ფასდება 200 მილიონ ტონად.¹

იმერეთის მხარეში ასევე არსებობს საშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების საბადოები. კერძოდ, სალიეთის (ჭიათურის რაიონი), მულითისა და მარელისის (ხარაგაულის რაიონი), შროშის (ზესტაფონის რაიონი) სხვადასხვა ხარისხის მარმარილოს საბადოები. ასევე ცნობილია მოსაპირკეთებელი ქვები კურსების ტემენიტები (ტყიბულის რაიონი), ეკლარისა და გუდოვანის თეთრი ქვები (თერჯოლის რაიონი). ზესტაფონის რაიონში განლაგებულია ცეცხლგამძლე თიხის ბუდობები. იმერეთის მხარეშია განლაგებული კვანჭირის, მიუსერის, გელათისა და მოწამეთას საშენი კირქვების საბადოები. ბაზალტის ქვების საბადოებია სათაფლიასა და პერევისში. ცნობილია, აგრეთვე, ღორღისა და ქვიშის აჯამეთის საბადო. იმერე-

¹ კუმანური განვითარების ანგარიში საქართველოში 1997 წელი, გაერო-ს განვითარების პროგრამა, თბ., 1998 გვ. 69.

თის რეგიონში მოიპოვება აგურ-კრამიტის თიხები, აგრეთვე, უმნიშვნელო რაოდენობით არსებობს სხვა სახის მინერალურ-სანედლეული რესურსებიც.

ანდეზიტი მოიპოვება ბაკურიანის საბადოში, აქატი კი ახალციხის საბადოში. ბარიტის რამდენადმე მნიშვნელოვანი მარაგებია დავით გარეჯში, მაგრამ იგი საგრძნობლად ღარიბია (20-30%-მდე ბარიტს შეიცავს) და სპეციფიკურ დამუშავებას საჭიროებს.

ჩვენ გვაქვს ცეოლითებისა და ღიატომიტის მნიშვნელოვანი საბადოები ქ. ახალციხის ახლოს. ქისათიბის მიდამოებში განლაგებული ღიატომიტის საბადო თავისი ქიმიური და ფიზიკური თვისებებით უმაღლესი ხარისხისაა და ფართოდ გამოიყენება ელექტროტექნიკურ მრეწველობაში. ღიატომიტის საბადოები გვხვდება, აგრეთვე, სოფლების – ხონას (ახალციხის რაიონი), ჭობარეთის (ასპინძის რაიონი) მიდამოებში.¹

სამრეწველო დამუშავებისათვის გამოსადევი მჟავაგამძლე მასალა – ანდეზიტი მოიპოვება ბორჯომის რაიონის (დაბა, საკოჭავი, გუჯარეთი, მუხერი, ბაკურიანი) საბადოებში. მნიშვნელოვანია შურდოსა და ჰამაჯ-ზიარეთის საბადოები (ახალციხის რაიონი). ახალქალაქის სამხრეთით 7-10 კილომეტრი არის ვულკანური წილის საბადოები, რომელთა მარაგი 300 მლნ. ტონას აღწევს. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რეგიონი მეტად მდიდარია მინერალური წყლების რესურსებით, რომლის მნიშვნელობა და გამოყენების ხასიათიც დღითი დღე უფრო მეტად სერიოზული ხდება.

აჭარა-თრიალეთში არსებობს გარკვეული რაოდენობის ოქროს მარაგი, რომლის საპროგნოზო მნიშვნელობა დაახლოებით 15 ტონით განისაზღვრება. აჭარის ა.რ.-ში მდებარეობს მერისის სპილენძის საბადო, რომლის მადანი შეიცავს 2,66% სპილენძს, 0,67% თუთიას, 0,4% ტყვიას, ასევე მერისში მცირე რაოდენობით არის ვერცხლის რესურსები: აჭარის ა.რ.-ში, აგრეთვე, მცირე

¹ ჩიქვა ლ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., „მერიდიანი“, 1995, გვ. 43.

ოდენობით მოიპოვება სხვა სახის მინერალური რესურსებიც. აგრეთვე, ქობულეთის ტორფის საბადო, რომლის მარაგი 2,6 მლნ. ტონით განისაზღვრება.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე საკმაოდ მდიდარია ისეთი ძვირადღირებული ნედლეულით, როგორცაა დარიშხანი. დარიშხანის სამი საბადოს ჯამური მარაგი 64,5 ათას ტონას შეადგენს, რომლის 20% ლუხუნის (ზემო რაჭა) მსოფლიო მასშტაბით უნიკალურ რეალქარ-აურიპიგმენტის (დარიშხანის მინერალები) საბადოზე მოდის. ლუხუნის კომპლექსური საბადო, დარიშხანთან ერთად, გარკვეული ოდენობით ვოლფრამისა და ოქროს მარაგსაც შეიცავს. ზემო რაჭაში ასევე არსებობს ანთიმონიუმის რამდენიმე საბადო (ზოთხითო, ჭიშურა, სანარცხა და სხვ), რომელთა ჯამური მარაგი 40 ათას ტონას აღემატება და სხვ.

ოქროს მარაგებიდან დღეისათვის საქართველოში მხოლოდ ქვემო ქართლში განლაგებული მადნეულის საბადოს დამუშავება წარმოებს, სადაც ბალანსზე აყვანილია 37,3 ტონა ოქრო. მინერალურ-სანედლეულო რესურსებიდან საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რესურსი-სპილენძის მადნის 85,2% ანუ 444,3 ათასი ტონა ქვემო ქართლის რეგიონზე მოდის.

ქვემო ქართლის რეგიონი ასევე გამოირჩევა არამადნეული წიაღისეულის მარაგებითა და მრავალფეროვნებით, მათ შორის ბარიტის, დოლომიტების, ანდეზიტისა და სხვა მინერალური საბადოებით. ბარიტის მსხვილ საბადოდ ითვლება მადნეულის საბადო 3,7 მლნ. ტ. მარაგით. თაბაშირის გარკვეული მარაგებია მარნეულში, ცნობილია თეთრი წყაროს რაიონის ანდეზიტისა და ბაზალტის საბადოები, სადახლოს მარმარილოსა და კირქვის საბადოები და სხვ.

მინერალურ-სანედლეულო რესურსებით შედარებით ღარიბია შიდა ქართლის მხარე, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილია არამადნეული რესურსები და მინერალური წყლები. პირველ რიგში აღსანიშნავია ქართლის რაიონში არსებული დოლომიტის საბადო, რომლის მარაგი დაახლოებით 6,8 მლნ. ტონას შეადგენს.

ასევე შეიძლება დასახელდეს საშენ მასალათა წარმოები-

სათვის აუცილებელი წიაღისეული: ცემენტის (მერგელების, კავთისხკვის საბადოები), ტუფის (გრაკალთან), ანდეზიტის, კირის, აგურკრამიტის, თიხების, ქვიშისა და სხვა საბადოები.

რეგიონი მდიდარია ქვიშისა და ღორღის საბადოებით, რომელთაგან უდიდესია ლიახვის საბადო (გორთან) – მარაგი 17 მლნ. ტ., აგრეთვე, აგარის (35 მლნ. ტ.), ქარელის (2,5 მლნ. ტ.), მეტეხის (27 მლნ. ტ.), ქსნის (11 მლნ. ტ.), გომის (1,2 მლნ. ტ.), ცხრამუხის (4 მლნ. ტ.). ცნობილია ასევე აგურ-კრამიტის თიხის საბადოები – მეტეხის (6 მლნ. ტ.), გორის (705 ათასი ტ.), ხიდისთავის (435 ათასი ტ.), ხელისის (1,0 მლნ. ტ.) და სხვა საბადოები. კირქვის კავთისხევის (1,9 მლნ. ტ.), ქარელის (2,9 მლნ. ტ.), ტინის ხიდის (0,2 მლნ. ტ.), ძეგვის (2 მლნ. ტ.), აღის (2,2 მლნ. ტ.) და სხვა საბადოები.¹

კახეთის მხარე ძირითადად მდიდარია ნავთობის საბადოებით (მირზანის, ტარიბანა, პატარა შირაქი და სხვ.).

თაბაშირის გარკვეული მარაგებია გურჯაანის რაიონში, მირზანის ტერიტორიაზე მდებარეობს კირქვის საბადოები და სხვ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ქ. ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 40 კმ-ზე მდებარეობს მაგანის ქვანახშირის საბადო. ტორფის მნიშვნელოვანი საბადოებია ფოთში, ხობში, დიდიჭყონში, რომლებსაც ფართოდ იყენებენ სოფლის მეურნეობაში როგორც მაღალხარისხოვან სასუქს (განსაკუთრებით ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციებისათვის). დაბა ჯვარში მდებარეობს დოლომიტების საბადოები, ზემო სვანეთის ტერიტორიაზე გვხვდება მარმარილოს საბადოები, აგრეთვე, ბარიტის საბადოები და სხვ.

გურიის მხარე ცნობილია ბეტონიტური თიხების მარაგებით, რომელიც მდებარეობს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში. ოზურგეთის რაიონშია განლაგებული ასევე ცეცხლგამძლე თიხის ბუდეობები და სხვ.

¹ საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი, თ. დავითაიასა და გ. გველესიანის რედაქციით, თბ., „მეცნიერება“, 1979, გვ. 20.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მინერალური რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგი არსებობს, რომლებიც თანამედროვე პერიოდში, მართალია, რამდენადმე შემცირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ეკონომიკური პოტენციალი ერთგვარად მაინც მაღალია, რომელთა მიზანმიმართულად და ეფექტიანად წარმართვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო აღორძინებისა და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პირობებში აქტუალური საკითხია განვითარებულ ქვეყნებში მიღებული საბადოების მარაგების დათვლის მეთოდის დანერგვა ჩვენს ქვეყანაში. მინერალური რესურსების ეკონომიკური მნიშვნელობა ფასის ინდექსით აღიწერება, რაც თავის მხრივ, ქმნის იმის პირობას, რომ ზუსტი ფასეულობითი გამოსახულება მიეცეს მთლიანად მინერალურ-სანედლეულო ბაზას.

ამჟამად საქართველოს მინერალური ნედლეულის ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრება მინერალური რესურსის სახელმწიფო ბალანსზე აღრიცხული 450 დაძინებული საბადოს მარაგით, მათგან გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი და ეკონომიკურად შეფასებული იქნა ის ობიექტები, რომლებიც დღეისათვის შეიძლება ათვისებული იქნეს მრეწველობის მიერ. ამასთან, განსაზღვრული იქნა სასაქონლო პროდუქციის წარმოების შესაძლო მოცულობა და მისი ღირებულება მსოფლიო ბაზარზე არსებული ფასებით. ამგვარად, შეფასებული იქნა ქვეყნის მინერალურ-სანედლეულო ბაზის ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც საკმაოდ დიდია და შეადგენს 42,76 მლრდ. აშშ დოლარს.¹ ხოლო ფასის ინდექსის მიხედვით შეფასებული საქართველოს მინერალურ-სანედლეულო ბაზა 90 მლრდ. დოლარს შეადგენს.²

ამასთან ერთად, ყურადსაღებია ამ მიმართულების მკვლევარი

¹ საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

² საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ბოულეტენი, 1998, №9, გვ. 7-9

მეცნიერის გ. ლობჯანიძის მიერ გაანგარიშებული საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების საპროგნოზო მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1).

პროგნოზული გათვლების მიხედვით მიღებული საქართველოს სამთო მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შესაძარი ფასებით 2010 წლისათვის 392,7-464,3 მლნ. ლარი და 2015 წლისათვის 1069,0-1154,4 მლნ. ლარია.¹

ამგვარად, ზემოაღნიშნული მაჩვენებლით დარგის ეფექტიანი ფუნქციონირება და აღმავალი განვითარება რეალურად შესაძლებელია სწორი სამრეწველო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და ეფექტიანი სტრუქტურული გარდაქმნებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მინერალურ-სანედლეულო კომპლექსის ფუნქციონირების რეგიონული თავისებურებებიც.

ცხრილი 1

საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების პროგნოზი 2010-2015 წწ.

წლები მაჩვენებლები	განზ. ერთეული	2010 წ.	2015 წ.
სამთო მრეწველ. პროდუქცია			
I ვარიანტი	მლნ. ლარი	—	—
II ვარიანტი ა)		392,7	1154,4
ბ)		464,3	1069,0

¹ ლობჯანიძე გ., საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების პერსპექტივები, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის აუტორეფერატი, თბ., 2003, გვ. 26.

საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების პროგნოზი
2010-2015.¹

მაჩვენებლები	განზომილების ერთეული	წლები	
		2010	2015
1	2	4	5
1. მოპოვება			
ნახშირის	ათ.ტ.	700-800	1225-3500
ნავთობის	„	2000	–
თანამდევეი გაზის	მლნ.მ ³	500	–
ბუნებრივი	მლრდ.მ ³	1000	–
გაზის			
მანგანუმის	ათ.ტ.	2900	5400
მადნის			
სპილენძის		2500	3000
მადნის			
ბარიტის		35	60
ბენტონიტური		180	350
თიხების			
კალციტის		40	90
გუმბრინის		100	110
ანდეზიტის		75	180
ცეოლიტის		35	128
დიატომიტის		40	100
ტალკის		24	48
საფლუსი		1100	1200
კირქვის			
აქატის	ტ.	10	10
არამადნეული			
სამშენებლო	მლნ.მ ³	15,6	20,7
მასალები			
2. წარმოება:			
მოსაპირკეთებელი	ათ.მ ²	750	1930
ფილების			
ცემენტის	ათ.ტ.	12500	15300
ნედლეულის			
(თიხები და			
კირქვები)			

¹ ლობჯანიძე გ., საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების პერსპექტივები, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეზიუმე, თბ., 2003, გვ. 27.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებას ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტაბილური და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ჯერ ერთი, იგი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული მეურნეობის (მათ შორის რეგიონების ეკონომიკის) მდგრადი განვითარების მყარი საფუძვლების ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ, როგორც საქართველოს უახლესი ისტორიით დადასტურდა (გავიხსენოთ 2001 წლის შემოდგომის მოვლენები), ნეგატიური სოციალური ენერჯის გააქტიურებისა და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების რეალურ საფრთხედ მოგვევლინა. ამდენად, საქართველოს რეგიონების სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლება და მისი ეფექტიანი გამოყენება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ქვეყნის შემდგომი განვითარების ობიექტური წინაპირობა.

სანამ უშუალოდ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რეგიონულ თავისებურებებს გავაანალიზებთ, მიზანშეწონილიად მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ საქართველოს გარდამავალ პერიოდში დარგში განხორციელებული რეფორმების ძირითადი მიმართულებები და შედეგები.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის პირობებში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საწარმოები საკავშირო დაქვემდებარებისა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მცირე ხნით „საქენერგო“ ობიექტები გაერთიანდნენ ელექტროენერგეტიკის სამინისტროში (1990წ.), ხოლო „საქნახშირი“ და „საქნავთობი“ დარჩნენ საწარმოო გაერთიანებად. შემდგომში კი შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (1992წ.) და ყველა ენერგეტიკული საწარმო მასში შევიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ (1994წ.), აღნიშნული სამინისტროც გაუქმდა და კომპლექსში შემავალი ქვედარგები დამოუკიდებელ დეპარტამენტებად გარდაიქმნა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო მეთაურის აპარატში შექმნილი სპეციალური ორგანო – ენერგეტიკის საკოორდინაციო სამსახური. ბოლოს (1994წ.), აღნიშნული სამსახურიც გაუქმდა

და ყველა ენერგეტიკული საწარმო კომპანიების სახით დაემორჩილა ახლად ჩამოყალიბებულ სათბობ-ენერგეტიკულ კორპორაციას (1995წ.), ხოლო 1996 წლის ივლისში კი შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელმაც თავის შემადგენლობაში თავი მოუყარა ქვეყნის ყველა ენერგეტიკულ საწარმოს.¹

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“, რომლის საფუძველზეც დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბდა „საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)“. მის ფუნქციებად განისაზღვრება:

- ელექტროენერჯის (სიმძლავრის) საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება;
- ექსპლუატაციაში შესული ელექტროენერგეტიკულ ობიექტზე ლიცენზიების გაცემა, განახლება, შერეობა და გაუქმება;
- ელექტროენერგეტიკასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;
- კონკურენციის ხელშეწყობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში, ელექტროენერჯის მწარმოებელთა, მიწოდებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება;
- ელექტროენერგეტიკულ სექტორში უსაფრთხოებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვა.

„ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან ერთად, დაზუსტდა ადრე მიღებული კანონი „ენერგეტიკის შესახებ“, რითაც დარგის საბაზრო ურთიერთობების პირობებში განვითარების სერიოზული საფუძველი მომზადდა. ამასთან ერთად, 1999 წელს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ მიღებული კანონის შესაბამისად, სემეკ-ს ბუნებრივ გაზზე ტარიფების დადგენისა და რეგულირების ფუნ-

¹ ჩომახიძე დ., ერისთავი ე., ცინცაძე პ., საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური საკითხების, ექსპო-ს შრომების კრებული, ტ. II, 1996, გვ. 548-549.

ქციაც დაეკისრა.

1999 წლის ივლისიდან ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- ა) ელექტროენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული და მიმდინარე რესტრუქტურისაციის პროცესის ადეკვატური საფინანსო-საანგარიშსწორებო სისტემის დანერგვა;
- ბ) ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის მართვის დამოუკიდებელი, დემოკრატიული სისტემის (სტრუქტურების) ჩამოყალიბება.

ელექტრობაზრის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

- ა) დამოუკიდებლობა;
- ბ) ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სამართლიანობა;
- გ) გარანტირებული და ღროული ანგარიშსწორება;
- ე) გამჭვირვალობა.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ფართო მასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმები 1995 წლიდან დაიწყო, ხოლო მცირე პრივატიზაცია კი შედარებით ადრე განხორციელდა და მხოლოდ მცირე სიმძლავრის ელექტროენერგეტიკულ ობიექტებს შეეხო. 1992-დან 1995 წლამდე საქართველოში სულ 14 მცირე ჰესი იყო პრივატიზებული: სიონი, ტირიფონი, მისაქციელი, იგოეთი, დმანისი, ხერთვისი, კახარეთი, საცხენისი, ჩითახევი, დაშაში, ბუჟუა, კაბალი, მარტყოფი, თეთრი ხევი, მათი საერთო დადგმული სიმძლავრე ქვეყნის ენერგოსისტემის მთლიანი სიმძლავრის 2 პროცენტს შეადგენდა, გამოძუშავებული ელექტროენერჯია – 1,85 პროცენტს, ხოლო ძირითადი საწარმოთა ფონდები კი 1 პროცენტამდე იყო. როგორც ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, ამ ობიექტთა უმრავლესობამ მუშაობა პრაქტიკულად გააუჯობესა.

ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირება გულისხმობს მისი მთელი ტერიტორიის (რეგიონების) საიმედო უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს

რეგიონებში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა არაერთგვაროვანი და არასტაბილურია. სერიოზული ენერგეტიკული პოტენციალით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა გამოირჩევა, სადაც ელექტროენერგეტიკის 13 და სათბობი მრეწველობის 3 საწარმოა განლაგებული. ასევე მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია ქვემო ქართლსაც. ამ ორ რეგიონში მდებარეობს საქართველოს უდიდესი ელექტროსადგურები – ენგურჰესის კასკადი (აფხაზეთის არ.) და თბილსრესი (ქვემო ქართლი), რომლებზედაც ქვეყნის ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის 34% და 43%, ხოლო გამომუშავების შესაბამისად 39,5% და 25,3% მოდის. ასევე აღსანიშნავია იმერეთის (ვარციხე-ჰესი, ძუმათჰესი, ძევერულაჰესი, რიონჰესი) და მცხეთა-მთიანეთის (ყინვალჰესი, ზაჰესი, სიოჰესი) მხარეების როლი ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის ფორმირების საქმეში. იმერეთზე მოდის საერთო სიმძლავრით 8,6% და გამომუშავების 19,5%, ხოლო მცხეთა-მთიანეთზე კი, შესაბამისად, 3,7% და 6,6%. ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერჯის გამომუშავებაში შედარებით მოკრძალებულია ქ.თბილისის (ორთაჭალაჰესი, თეთრიხევიჰესი, თბილთეცი) ხვედრითი წილი, რომელმაც 1999 წელს 1,4 პროცენტი შეადგინა, ხოლო მთლიან სიმძლავრეში კი – 1,03 პროცენტი.

მეტად მნიშვნელოვანია რეგიონების გაზომვარაგების უზრუნველყოფის პრობლემა. ამ მიმართულების ანალიზისას პროფესორი დ. ჩომახიძე მიანიშნებს დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს რეგიონებში, 1990 წელთან შედარებით, გაზიფიკაციის დონის მკვეთრ შემცირებაზე (იხ. ცხრილი 3) და აყალიბებს ბუნებრივი გაზის სექტორის აღდგენის შემაფერხებელ შემდეგ ფაქტორებს.¹

– მატერიალური წარმოების სფეროში არაკონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოება;

*ცხრილი შედგენილია სემკე-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

¹ ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ., შპს „პდ“, 2003, გვ. 141-142.

საქართველოს რეგიონების გაზომვარაგები

გაზის მუწუნეობის ლასახლეება	1990 წელი			2000 წელი			2004 წელი		
	აბონენტებ- ის რაოდენ- ობა	ქსელის სიგრძე კმ	გაზის მაწოდება, მლნ მ ³	აბონენტებ- ის რაოდენ- ობა	ქსელის სიგრძე კმ	გაზის მაწოდება, მლნ მ ³	აბონენტებ- ის რაოდენ- ობა	ქსელის სიგრძე კმ	გაზის მაწოდება, მლნ მ ³
კასპიგაზი	5300	76,0	17,0	1100	21,0	0,3	1538	22	1,7
რუსთაველი	42700	143,0	25,591	280000	138	24,0	14067	126,6	15,6
ბორჯომი	5000	91,0	35,0	2200	91,0	1,7	350	91	2,8
ხაშური	10127	145,0	80,0	1200	37,0	0,907	1789	37	0,95
მცხეთა	3654	136,2	60,206	800	28,0	0,55	1445	45,5	10,0
მარნეული	4500	105,5	10,0	2800	60,0	1,2	3703	60	1,7
ღმნისი	1100	31,0	2,3	230	32,0	0,087	600	32	0,25
ვერული	3280	74,8	14,657	282	76,0	0,048	590	117	0,15
ზუგდიდი	3000	57,0	2,0	1000	57,0	0,73	1800	62,5	0,36
თელავი	15040	343,0	30,0	5004	372,0	1,33	6000	237	2
გურჯაანი	13538	266,0	85,0	320	39,0	0,989	460	45	2,81
წყალტუბო	4900	54,0	32,0	90	7,0	0,072	151	30	0,56
ქუთაისი	45200	262	188,0	12000	142,0	11,0	15060	180	10

- სამრეწველო ობიექტების მოქმედი ტექნოლოგიების მაღალი ენერგოტევადობა;
- გაზის მაგისტრალებისა და გაზგამანაწილებელი მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული ბუნებრივი გაზის დიდი დანაკარგები;
- პრივატიზებისა და რესტრუქტურისაციის ტემპების შენელება;
- საქართველოში დიდი რაოდენობის ვადაგადაცილებული ვალების არსებობა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა გაზიფიკაციის დონე. საანალიზო პერიოდში რუსთავეში გაზის მიწოდება შემცირდა 7%-ით, ხოლო აბონენტთა რაოდენობა კი 34%-ით, სამტრედიამი აღნიშნულმა მაჩვენებელმა, შესაბამისად, 35% და 70% შეადგინა და ა.შ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირის პროგნოზული რესურსები საქართველოში 90 მლრდ კუბ. მეტრით განისაზღვრება.¹ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გაიზარდა უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების დაინტერესება ბუნებრივი აირების მარაგების გამოვლენასა და მოპოვებაში (რიგი ექსპერტები ვარაუდობენ საწყის ეტაპზე ბუნებრივი აირის დღეღამურ მოპოვებას 500-700 ათას მ³). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით გატარებული გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში სავსებით შესაძლებელია ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის მნიშვნელოვნად ამაღლება, რაც უდავოდ სერიოზულ სტიმულს მისცემს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესებს.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნახშირის მოპოვებას, რომლის სავარაუდო მარგია 745 მლნ. ტონა (ამჟამად ექსპლუატაციაში ორი საბადოა:

¹ ვახანია ე., პაპავა დ., „მაცოცხლებელი შადრევანი“, საქართველოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარების მოკლე ისტორია, თბ., „სამშობლო“, 1996, გვ. 47.

ტყობულ-შაორისა და ტყვარჩელის). პირველი მათგანი მთლიანი მარაგის 90 პროცენტს მოიცავს, თუმცა ტყვარჩელი ნახშირის უფრო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდება.

ასევე აღსანიშნავია საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ სოლიდური მასშტაბითა და რაოდენობით გამოვლენილი ნავთობის მარაგები. ამჟამად ექსპლუატაციაშია 16-მდე ნავთობის საბადო: ჭალადიდის (კოლხეთის), სუფსის (გურია), სამგორის, საცხენისის, ნორიოს, რუსთავის, თელეთის, მირზაანის, პატარა შირაქისა და სხვა საბადოები. ნავთობის დაზვერილი მარაგის 70%-ზე მეტი და მოპოვებულის 90%-ზე მეტი მოდის სამგორი-პატარძელისა და თელეთის საბადოებზე. მისი პროგნოზული რესურსები 1997 წლისათვის 580 მლნ. ტონას შეადგენდა. ნავთობის მოპოვებამ საქართველოში ზენიტს 1982 წელს მიაღწია (3,3 მლნ. ტონა), ხოლო შემდგომ პერიოდში კი მისი მკვეთრად შემცირების ტენდენცია შეინიშნება, რაც ძირითადად სამგორი-პატარძელის საბადოს მარაგების ამოწურვით არის განპირობებული.¹

როდესაც საქართველოსა და მისი რეგიონების სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის თავისებურებებს ვაანალიზებთ, უპირადაა განვიხილოთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის ჩამოყალიბების თანამედროვე საკითხები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ახალი აბრეშუმის გზა – ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის აღდგენის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, რომლის ფარგლებში უკვე რეალიზებულია და ამჟამადაც მიმდინარეობს მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი პროექტების რეალიზაცია, როგორიცაა: „ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის სახმელეთო ნავთობის ტერმინალის პროექტი“, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპერტო ნავთობსადენის პროექტი“, სამხრეთ-კავკასიური გასადენის სისტემისა,

¹ არდია შ., მარგველანი გ., მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 77.

„ბაქო-თბილისი-ეზრუმის“ პროექტი და მათთან დაკავშირებული სხვა (შედარებით უმნიშვნელო) პროექტები.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროექტების რეალიზაციით საქართველომ არა მარტო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფუნქცია შეიძინა, არამედ ევრაზიული დერეფნის ამოქმედებით შეიქმნება ქვეყნის (რეგიონების) ეკონომიკის მდგრადი განვითარების რეალური წინაპირობები, მათ შორის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გამართული ფუნქციონირების საფუძვლები.

ზემოთ ჩამოყალიბებული დებულებების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამ პროექტების ამსახველ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს, რაც ნათლად დაადასტურებს ჩვენი მოსაზრებების მართებულობას.

1. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტი იყო პირველი მსხვილმასშტაბიანი საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოში, 600 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციით. პროექტის რეალიზაციის პროცესში დასაქმდა 25 ათასი საქართველოს მოქალაქე, რომელთა საშუალო ხელფასმა 350-400 ლარი შეადგინა. ხოლო 18 რაიონის 19 500-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო მიწისა და მოსავლის კომპენსაცია.¹

2. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობაში საქართველოში ინვესტირებული იქნება 514,67 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად, საშუალოდ 62,5 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტს მიიღებს ეროვნულ ვალუტაში.

3. მეტად მნიშვნელოვანია და საკმაოდ სოლიდურია „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ პროექტის (საქართველოში ინვესტირება 500 მლნ აშშ დოლარი) რეალიზაციით მიღებული როგორც ფულადი შემოსავლები, ასევე ბუნებრივი აირის რესურსები და

¹ აღნიშნული და აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიან ენერგეტიკულ დერეფანთან დაკავშირებული სხვა პროექტების შესახებ სტატისტიკური მასალები აღნიშნულია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის დოკუმენტებში.

მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები. საქართველოს ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სათანადო მოცულობის გაზის მიწისქვეშა საცავების (2 საცავი – თითოეული 2,5 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობით) მშენებლობა. ეს შესაძლებლობას მისცემს საქართველოს ზაფხულის განმავლობაში დააგროვოს იაფი გაზის აუცილებელი მარაგები (ზაფხულში გაზის ფასი, მისი მოხმარების შემცირების გამო, საგრძნობლად დაბალია ზამთრის გაზის ფასთან შედარებით), რომელსაც ის ზამთარში მოიხმარს. ასევე აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო გადასახადის სახით საქართველო უფასოდ მიიღებს აზერბაიჯანიდან თურქეთში ჩვენი ქვეყნის გავლით ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის 5%-ს. აქედან გამომდინარე, მაშინ როდესაც გაზსადენი მიაღწევს საპროექტო სიმძლავრეს (წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი), საქართველო წელიწადში უფასოდ მიიღებს 1,5 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს, რაც საქართველოს დღევანდელ მოხმარებას (წელიწადში დაახლოებით 750 მლნ. კუბური მეტრი) ორჯერ აღემატება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალი ამ პროექტების რეალიზაციით მნიშვნელოვნად ამაღლდება.

მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში პირველი რეფორმები სწორედ ელექტროენერჯის რეალიზაციის სფეროში განხორციელდა, დღემდე ვერ მოხერხდა მისი დამთავრება, გარდა ქ. თბილისისა, დანარჩენ რეგიონებში მხოლოდ 2001 წლიდან დაიწყო დახარჯული ელექტროენერჯის რეალიზაციის მოწესრიგების ღონისძიებები.

შედარებით სტაბილურად ფუნქციონირებს ნავთობის მრეწველობა, სადაც 2001 წლიდან ხანგრძლივი პაუზის (სტაგნაციის) შემდეგ ინტენსიურად დაიწყო ნავთობისა და ბუნებრივი აირის დაძიების სამუშაოები. საქართველოს ეროვნული კომპანია „საქნავთობთან“ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა რიგი საწარ-

მოები („კანარგი“, „ფრონტერა“, „ანადარკო“, „იორის ველი“ და სხვები), რომელთა ძალისხმევით ნავთობის მრეწველობაში, 2001 წლის მონაცემებით, განხორციელდა 140 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციები, რის შედეგადაც სულ მოპოვებულ იქნა 624 ათასი ტონა ნავთობი, ხოლო 2000 წელს კი 79,5 მლნ. კუბ. ბუნებრივი აირი.

აღსანიშნავია, რომ სერიოზული პრობლემებია შექმნილი ნახშირის მოპოვების მიმართულებით. 2000 წელს ტყიბულში შემორჩენილი ერთი შახტიდან წარმოებულ იქნა 345 ათასი ლარის პროდუქცია, ხოლო 2001 წლის დასაწყისიდან შახტმა მხოლოდ 5 თვე შეძლო ფუნქციონირება და მოიპოვა 39,3 ათასი ლარის პროდუქცია.

ამგვარად, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ დარგი ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაშია, თუმცა, ქვეყანაში არსებული ბუნებრივ სანედლეულო პოტენციალი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის ფორმირებაში საქართველოს აქტიური მონაწილეობის პერსპექტივა გვაძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ ამ მიმართულებით მდგრადი განვითარებისათვის ქვეყანას საკმაოდ სერიოზული შესაძლებლობები გააჩნია.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის საკითხი, მით უფრო, რომ გარკვეული სახის რესურსებზე (ენერგეტიკული, სათბობი და სხვ.) მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება დღითი დღე იზრდება, ხოლო არსებული მარაგები კი პირიქით, იწურება. ამდენად, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების შესაბამისმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა წრეებმა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს ზრუნვა როგორც ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით კონკრეტული სახის ბუნებრივი რესურსის სრულფასოვანი ჩანაცვლების საშუალებების გამოგონებაზე (შექმნაზე), ასევე ბაზრის ეფექტიანი კვლავწარმოების შესაბამისი მიდგომების შემუშავება – რეალიზაციაზე და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაზე.

80-იან წლებში გაეროს გარემოს განვითარების კომისიის მიერ მომზადდა მოხსენება „ჩვენი საერთო მომავალი“. ამ დოკუმენტში განსაკუთრებით აისახა მეცნიერული პოზიცია იმის შესახებ, რომ გარემოს მდგომარეობა და მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთგანპირობებულია მიზეზ-შედეგობრივი სისტემების ჩარჩოებში. ერთი მხრივ, სოციალ-ეკონომიკური განვითარება არ შეიძლება განხორციელდეს, თუ რესურსების ეკოლოგიური ბაზა უარესდება. მეორე მხრივ, არ შეიძლება გარემოს დაცვა, თუ სოციალ-ეკონომიკურ ზრდამი არ იქნა გათვალისწინებული ის ზარალი, რომელიც გარემოს დანგრევათაა გამოწვეული.¹

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში (ბრაზილია) ჩატარდა გარემოს დაცვისა და განვითარების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია (UNCED), ანუ „დედამიწის სამიტი“, რომელზედაც განიხილებოდა XXI საუკუნეში განვითარების, სიღატაკის დაძლევისა და გარემოს დაცვის ურთიერთდაკავშირებული საკითხები. აღნიშნულ კონფერენციაზე მიღებული იქნა დოკუმენტები: 1. რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ; 2. დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის; 3. განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების პრინციპების შესახებ; 4. გაეროს კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ; 5. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ.

ამ დოკუმენტებში განსაზღვრულია ნაციონალურ და რეგიონულ დონეზე ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის მთავარი მიმართულებები, რაც შეიძლება შემდეგი სახით გამოიხატოს:²

1. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ეკონომიკურ-ინდიკატორული დაგეგმვა;

¹ ქიტანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., ეასკიკოს გამოცემლობა, 1997, გვ. 181.

² ჯაყელი კ., გველესიანი გ., ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება თანამედროვე ეკონომიკური მეთოდოლოგიის გამოყენებით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბულეტენი, №63, 2001, გვ. 5.

2. დაცული ტერიტორიების ერთიანი საინფორმაციო ქსელის შექმნა;
3. ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზარალის შეფასებისა და ანაზღაურების მექანიზმების არსებობა;
4. ბიომრავალფეროვნების დასაცავად საჭირო ეკონომიკური წახალისების ან მოსახლეობისთვის კომპენსაციის მექანიზმების დამკვიდრება;
5. გარემოს დაცვითი კანონების აღსრულების ეკონომიკური მექანიზმების მონიტორინგი;
6. ამ სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების აუცილებლობის დასაბუთება და ახალი კანონპროექტების მონიტორინგი.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების ბაზის კვლავწარმოებისა და გარემოს დაცვის სისტემის არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უწინარესად ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და მთლიანობაში საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის თანამედროვე პირობებში დგება.

ამდენად, დღის წესრიგშია არსებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების კვალობაზე შესაბამისი სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სისტემის ახალი მიდგომების შემუშავება, რომლის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ბუნებრივ რესურსული კომპლექსის ეფექტიან ფუნქციონირებას საქართველოში.

სტრატეგია საერთო სახით – ეს არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გლობალური მიზნებიდან გამომდინარე, ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენის გათვალისწინებით, წარმოების პროცესებში ეკონომიკური რესურსების ეფექტიანი ჩართვის ვარიანტების შერჩევა.

სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სისტემის ფორმირების ძირითადი პრინციპი (არსი) მდგომარეობს იმაში,

რომ სტრატეგიული რეგულირება ორიენტირებული უნდა იყოს იმ აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების ძირითადი მიზნების რეალიზაციას და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მაღალი პარამეტრების მიღწევის ამოცანებს.

ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული ბაზის (ბრბ) კვლავწარმოების სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სისტემა მოიცავს ორგანიზაციულად მოწესრიგებულ, ინტეგრირებულ ელემენტთა ერთობლიობას, რომელშიც სტრატეგიის შერჩევა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება არსებული საინფორმაციო ბაზის მხედველობაში მიღებით (გაანალიზებით), წინასწარ განსაზღვრული თანამიმდევრულობით.

ზემოაღნიშნულის მეტი კონკრეტიზაციისა და ზოგადად პრობლემის განზოგადებისათვის უპრიანია დავახასიათოთ ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული ბაზის სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სისტემის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები:

1. მოცემულ პერიოდში ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული ბაზის კვლავწარმოების სტრატეგიული მიზნებისა (გლობალური, მთავარი და ძირითადი) და ამოცანების განსაზღვრა, შესაბამისი პერიოდების მიხედვით.
2. ბუნებრივი რესურსული ბაზის განვითარების არსებული მდგომარეობის სტრატეგიული ანალიზი, წინა პერიოდში. ამ მიმართულებით მიღწეული პარამეტრებისა და არსებული სტრუქტურის დაზუსტება.
3. სტრატეგიული ამოცანების რეალიზაციის მიზნით არსებული ეკონომიკური და სხვა სახის რესურსების მოცულობისა და სტრუქტურის გამოვლენა (შეფასება);
4. ინვესტიციური პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის კონტექსტში, მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მოთხოვნების რანჟირების საფუძველზე რესურსებზე პერსპექტიული მოთხოვნების ბალანსირება და მათი

ოპტიმალური შეთანაწყობის უზრუნველყოფა;

5. ბუნებრივ-რესურსული ბაზის კვლავწარმოების პროცესში შესაძლო ნეგატიური ეკოლოგიური შედეგების პროგნოზირება, შესაბამისი ღონისძიებების გატარებისათვის აუცილებელი საინვესტიციო რესურსების განსაზღვრა, რაც მიმართული იქნება გარემოს დაცვის უზრუნველყოფაზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივი რესურსული ბაზის კვლავწარმოების სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სისტემის ელემენტებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია სტრატეგიული მიზნების ფორმირებას, სტრატეგიის შემუშავებას და მისი რეალიზაციის მეთოდებისა და საშუალებების განსაზღვრას, ვინაიდან ამ მიმართულებებზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული რეგულირების სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა.

ბუნებრივი რესურსული ბაზის საწყისი მდგომარეობის სტრატეგიული ანალიზის მნიშვნელობა ძირითადად განისაზღვრება იმ ფაქტორით, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარება უახლოეს, საბაზისო პერიოდის შემდგომ წლებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის სიდიდეზე ამ პერიოდში. სტრატეგიული ანალიზის პროცესში ბუნებრივ-რესურსული ბაზის განვითარების საპროგნოზო ორიენტირები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი მისი მიღწევის რეალურ შესაძლებლობებთან, აგრეთვე, უნდა გაანალიზდეს ბუნებრივ-რესურსული ბაზის განვითარების სხვადასხვა სცენარი და განისაზღვროს სტრატეგიული ალტერნატივები.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების ღონის ანალიზი მოიცავს განვითარების ტემპების შესწავლას, დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებათა გამოვლენას, დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი პროპორციების განსაზღვრას. საბოლოო ჯამში კი უნდა გაანალიზდეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ღონე (ძირითადი მაჩვენებლები) და ამასთან ერთად, უნდა განხორციელდეს მათი შედარება ეკონომიკურად უფრო განვითარებული (მაგრამ ამავე დროს

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით მსგავსი) ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.¹

მოცემულ პერიოდში ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის მოცულობისა და სტრუქტურის გამოვლენა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგიული რეგულირების შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტია. ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, მოთხოვნა ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკის რეალური სექტორის დარგებში ანუ მატერიალური სფეროს წარმოებაში არსებული მოთხოვნა. მიმდინარე მოთხოვნის მოცულობა შეიძლება განისაზღვროს „რესურსებისა და გამოყენების“ ბალანსებში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია ჩვენ მიერ არსებული თეორიული მასალების განზოგადების შედეგად. ამ ბალანსის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ქვეყნის შიდა ბაზარზე ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციის გამოყენების მოცულობა. ბალანსის პრინციპული სქემა შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

1. რესურსები-სულ

მათ შორის:

წარმოება

იმპორტი

მარაგები წლის

დასაწყისისათვის

2. გამოყენება-სულ

მათ შორის

შიგა ბაზარზე

ექსპორტი

მარაგები წლის

ბოლოსათვის

აღნიშნული ბალანსის ილუსტრირება ფორმულის სახით შეიძლება ასე გამოვსახოთ:

$$Q_{\text{აბ}} = Q + Q_{\text{იპ}} + Q_{\text{არ}}^{\text{წდ}} - Q_{\text{ექს}} - Q_{\text{არ}}^{\text{წბ}}$$

სადაც $Q_{\text{აბ}}$ არის შიგა ბაზარზე გამოყენებული ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციის მოცულობა;

Q – ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციის წარმოების მოცულობა;

¹ Стратегическое планирование, учебник, под редакцией Э.А. Уткина, М., Ассоциация авторов и издателей "Тандем", 1998, с. 73.

$Q_{\text{მა}}$ — ბუნებრივი რესურსების იმპორტის მოცულობა;

$Q_{\text{არ}}^{\text{წკ}}$ — ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციის მარაგები წლის დასაწყისისათვის;

$Q_{\text{მა}}$ — ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციის ექსპორტის მოცულობა;

$Q_{\text{არ}}^{\text{წბ}}$ — ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციის მარაგები წლის ბოლოსათვის.

ამ ფორმულით ბუნებათსარგებლობის მაკროეკონომიკური პარამეტრების* განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები შემდეგი სამი პირობა:

პირველი.

$$a \cdot N \leq Q,$$

სადაც a ადამიანის პირადი და აგრეთვე საწარმოო მოხმარებისათვის აუცილებელი ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციაზე დანახარჯებია ერთ სულ მოსახლეზე;

N — მოსახლეობის რიცხოვნობა;

Q — ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებითი მოცულობა.

ეკონომიკაში გამოყენებული ბუნებრივი რესურსების მთლიანი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე რესურსების კვლავწარმოების მოცულობას;

მეორე,

$$Q(a, N) \rightarrow \max$$

განსახილველ დროის მონაკვეთში a -ს ოპტიმალური მნიშვნელობის მხარდაჭერით (უზრუნველყოფით) დარგები, რომლებიც ექსპლუატაციას უწყვენ ბუნებას, უზრუნველყოფენ ეკონომიკის ორიენტირებას მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლების მაქსიმიზაციისაკენ.

* გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფორმულის გამოყენება შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობების შიგა ბაზარზე გამოყენებული მოცულობების დასადგენად, რაც, ვფიქრობთ, უფრო მეტად ობიექტურ სურათს მოგვცემს ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის თაობაზე.

$$Q \leq Q_{\text{კლას.}}$$

სადაც $Q_{\text{კლას}}$ ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებაა ზღვრულად დასაშვები ოდენობით.

ზემოაღნიშნული სამი პირობის დაცვით და ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის კვლავწარმოების პროცესის საერთო მაკროეკონომიკური პარამეტრების რაოდენობრივი შეფასება.

სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების მომდევნო ეტაპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა განისაზღვროს იმ რესურსების მოცულობა და სტრუქტურა, რომელთა გამოყენებაც შეუძლია საზოგადოებასა და მის ცალკეულ ქვესისტემებს ღროის მოცემულ მონაკვეთში (მაგალითად, ერთ წელიწადში).

საზოგადოებრივი რესურსებია ბუნებრივ-რესურსული, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო-ეკონომიკური, შრომითი, საგარეო-ეკონომიკური, სოციალური. მოცემულ პერიოდში რესურსები, რომელთაც შეიძლება საზოგადოება ფლობდეს, იყოფა ორ ჯგუფად: ა) უკვე არსებული რესურსები და ბ) მოცემულ პერიოდში შექმნილი რესურსები. საგულისხმოა, რომ სტრატეგიული რეგულირების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ პერიოდში რესურსების შექმნას.

რესურსებისა და მოსახლეობის მოთხოვნის შეთანაწყობა, მათი ოპტიმალურ შესაბამისობაში მოყვანა, სტრატეგიული რეგულირების ეტაპების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მეტად რთულ და მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რესურსები შეზღუდული რაოდენობით მოიპოვება, ხოლო მათზე მოთხოვნილებები მუდმივად იზრდება, ამდენად მათი ოპტიმალური თანაფარდობისა და მთლიანობაში რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიღწევა მოცემული ეტაპის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის განვითარების სტრატეგიული სცენარის შემუშავების მეთოდური წინამძღვრები დაფუძნებული უნდა იყოს როგორც ღია ეკონომიკის კონტექსტში მისი (ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის) ფუნქციონირების თავისებურებათა გამოვლენაზე, ასევე შიგა ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებაზე.


ამ მიმართულებით გაანალიზებული თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, ზემოაღნიშნული დებულების დასაბუთებისა და გამარტივების თვალსაზრისით, ჩვენ მიერ შემუშავებული იქნა შესაბამისი სქემა, რომელსაც პირობითად შეიძლება ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის სტრატეგიული განვითარების პრინციპული მიდგომა ვუწოდოთ (იხ. სქემა 3.)

ბუნებრივ-რესურსული ბაზის კვლავწარმოების კონცეფცია წარმოადგენს ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული ფუძემდებლური პრინციპების ერთობლიობას, რამაც საბოლოო ჯამში ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იწარმოება ბუნებათსარგებლობაში, ფაქტობრივად, ორიენტირებულია იმაზე, რომ ბუნებრივი რესურსების გამოყენების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მისი კვლავწარმოების შესაძლებლობებს. ხოლო, ბუნებრივ-რესურსული ბაზის სტრუქტურა ძირითადი პარამეტრების მიხედვით, უნდა შეესაბამებოდეს მატერიალური წარმოების სფეროების სტრუქტურას. ამ მიმართულებით გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფაზე როგორც ვგზოგენურ ფაქტორებთან (კრედიტორები, ინვესტორები, ეკონომიკური პარტნიორები და სხვ.), ასევე ენდოგენურ ფაქტორებთან (რესურსები, სიმძლავრეები, ტექნოლოგიები და სხვ.) მიმართებაში.

ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის სტრატეგიული განვითარების სისტემის ფუნქციონალური არსი და დანიშნულება გამოიხატება იმაში, რომ ბუნებრივ-რესურსული კომპლექსი, როგორც ეკონომიკური სისტემა, განვითარების პროცესში ფუნქციონირებ-

ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის სტრატეგიული განვითარების პრინციპული სქემა



დეს ჰარმონიულად მის შიგა და გარე სამყაროსთან, მას უნდა ჩამოუყალიბდეს დროის მოთხოვნათა ადეკვატური სახეცვლილების უნარი (ანუ საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად ტრანსფორმირების უნარი) და ამავე დროს, ინარჩუნებდეს მთლიანობასა და ვარიანტულობას, შეეძლოს არსებულ პირობებთან ადაპტირება.

სტრატეგიული მიზნები მაკროდონეზე ასახავს ქვეყნის ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის განვითარების ძირითად მიმართულებებს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალისა და გარემოს დაცვის პირობების გათვალისწინებით. იგი მოწოდებულია ბუნებრივ-რესურ-

სული ბაზის კვლავწარმოების და ბუნებათსარგებლობაში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფაზე. საბოლოო ანგარიშით კი, სტრატეგიული მიზანი ორიენტირებულია ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემისა და ამოცანების გადაწყვეტაზე. გლობალური მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია სტრატეგიებისა და სტრატეგიული ამოცანების ამორჩევის გზით.

სტრატეგიული მიზნები ორიენტირებული უნდა იყოს დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში ბუნებრივ-რესურსული ბაზის კვლავწარმოების მოცულობის ოპტიმიზაციაზე; ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის პროდუქციით შიგა ბაზრის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე; საერთაშორისო ბაზრებზე სტაბილური (მდგრადი) მდგომარეობის მოპოებასა და სანედლეულო პროდუქციის ოპტიმალური მოცულობით ექსპორტირებისათვის მზადყოფნაზე და სხვ.

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება შემუშავდეს მისი რეალიზაციის სტრატეგიები, რომელთა შორის გამოყოფენ:

1. ბაზისური სტრატეგიები, ანუ ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის როგორც ერთიანი სისტემის, ასევე მისი ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების ქცევის მოდელები კონკრეტულ საბაზრო სიტუაციაში:
 - ბაზრების შერჩევის სტრატეგია;
 - შერჩეულ ბაზარზე კონკურენციის სტრატეგია.

თავის მხრივ, კონკურენციის სტრატეგიები შეიძლება დაიყოს შემდეგი სახით:

- კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა (ლიდერობა) შეთავაზებული პროდუქციის ხარისხის საფუძველზე;
- ლიდერობა ფასებში;
- საბაზრო სპეციალიზაცია;
- საბაზრო კოოპერაცია.

2. ფუნქციონალური სტრატეგია – ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების

(მაგალითად, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, სამთო-ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგიის საწარმოები და სხვ.) განვითარებისათვის სტრატეგიული ღონისძიებების, საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების ერთობლიობა, რაც საბოლოო ჯამში, არსებითად გვევლინება რესურსული სტრატეგიული პროგრამების სახით და ემსახურება საბაზისო სტრატეგიების რეალიზაციის უზრუნველყოფას.

გარე სამყაროსთან (გულისხმობთ ეგზოგენურ ასპექტებს) ურთიერთობის თვალსაზრისით, ხასიათის მიხედვით გამოიყოფა სტრატეგიების სამი ჯგუფი: თავდაცვითი, შეტევითი და დევენის სტრატეგიები.

თავდაცვით სტრატეგიაში აისახება ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის სამეურნეო სუბიექტების რეაქცია კონკურენტებისა და მომხმარებლების (ირიბად) ქცევებიდან გამომდინარე.

შეტევითი სტრატეგიები ორიენტირებულია მარკეტინგზე, შექმნისა და შერწყმის სტრატეგიებზე.

დევენის სტრატეგიებში გულისხმობენ ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის განვითარებას შედარებით იაფი ეკონომიკური რესურსების ხარჯზე და მსოფლიო ბაზარზე კონკრეტული პროდუქციის მიწოდებას.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობა, რომლებმაც სერიოზულ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს, იყენებდა განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებს (ცალკეული ან კომბინირებული ფორმით), რომლებშიც ასახული იყო ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკა, მისი ბუნებრივ-რესურსული, სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის, ეროვნული, ისტორიული და სხვა სახის თავისებურებები. ერთ შემთხვევაში ეს იყო ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ზრდის სტრატეგია, რაც მიღებული შემოსავლების ქვეყნის შიგა ბაზარზე ორიენტირებულ საწარმოებზე წარმართვას უზრუნველყოფს. ხოლო სხვა შემთხ-

ვევაში კი მუშავდებოდა ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ორიენტირებული იყო ახალი სახეობის პროდუქციისა და ტექნოლოგიების წარმოებაზე.

საბოლოო ჯამში მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განზოგადებული და ჩამოყალიბებული დებულებები ბუნებრივ-რესურსული ბაზის კელაენარმოების სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების შესახებ მეტად აქტუალურია და მათი საქართველოს პრაქტიკაში აპრობაცია* მნიშვნელოვნად აამაღლებს ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტიანობას და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრებას.

* მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს „საქართველოს ბუნებრივ რესურსული ბაზის კელაენარმოების სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების“ კონცეფცია.

17. რეპიონის ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში

საქართველოს სახელმწიფოს მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას (საიმედო გარანტიას) საერთაშორისო თანამეგობრობის მსოფლიო სისტემაში კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში დამოუკიდებლობის მოპოვებით ჩვენს ქვეყანას მიეცა უნიკალური შესაძლებლობა, რომ საკუთარი თვითმყოფადობის (ეროვნული ფასეულობების) შენარჩუნების კვალობაზე ისარგებლოს გლობალიზაციის შედეგებით და, ამავე დროს, საკუთარი, ინდივიდუალური წვლილი შეიტანოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებაში.

ამ მიზნებისა და ქვეყნის კონსტიტუციის აღიარებული ფუნქციონირების ღირებულებათა სისტემის რეალიზაციისათვის საქართველოს სჭირდება ისეთი სტრატეგია, რომელიც ქვეყნის ევოლუციური განვითარების პროცესის ინტენსიფიცირებით, მათი რაციონალური და მიზანმიმართული წარმართვის გზით უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტაბილურ, უსაფრთხო განვითარებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს სჭირდება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საკუთარი ხალხის სულიერი ენერჯის, ბუნებრივი, ინტელექტუალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოს პრაქტიკაში „უსაფრთხოების“ ტერმინი ჯერ კიდევ XII საუკუნეში გამოიყენებოდა და ძირითადად ინდივიდის (ადამიანის) მშვიდ მდგომარეობასთან ასოცირდებოდა. თვით ამ ცნების არსი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის მოგვიანებით, XVI-XVII საუკუნეებში და სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობას უკავშირდება. ხოლო ინდუსტრიულ ეპოქაში კი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მთელ მსოფლიოში პოულობს გავრცელებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნის მიწურულს უსაფრთხოების ცნებამ სერიოზული გადაფასება განიცადა და თუ ადრე, ორპოლუსიანი (აშშ და სსრკ) მსოფლიოს პირობებში იგი სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებზე იყო ორიენტირებული, ამჟამად საყოველთაო გლობალიზაციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე აქცენტები ინტელექტუალურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე კეთდება.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, ცივილური, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების შესაბამისად, სახელმწიფოს მართვის სისტემის სიცოცხლისუნარიანობის და მუდმივი განახლებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას ნიშნავს¹. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, პროფესორ გ. გაჩილაძის სიტყვებით, როგორც „რეალობის რეპერტუარის“ და „დროის წყებათა ანალიზის განზოგადება“... მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ერის წინაშე „აქ და ახლა“ დასმულ კითხვებზე ადეკვატურ პასუხად, თუ მასში არეკლილია დროის სამივე მოდუსი: წარსულის, აწმყოსა და მომავლის ასპექტები². აქვე საგულისხმოა დიდი ილია მართლის შეგონების მოყვანაც, რომელიც ამბობს: აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით და ვიზიარებთ დასახელებულ მიდგომასა და უფრო მეტიც, ვთვლით, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ძირითადად ამ მეთოდოლოგიურ პრინციპზე უნდა იყოს აგებული.

XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციის (სტრატეგიული დოკუმენტის) შემუშავების საკითხი მეტად აქტუალურად დადგა ღღის წესრიგში. უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, შე-

¹ ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №73, აგვისტო, 2002, გვ. 2.

² გაჩილაძე გ., თვალსაზრისი საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფციის შესახებ და გამო, გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 2003.

მუშავებული იქნა რამდენიმე პროექტი, რომლებმაც ოფიციალური დოკუმენტის სტატუსი ჯერჯერობით ვერ მიიღეს, რაც რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად აფერხებს ამ მიმართულებით გატარებული ცალკეული ღონისძიებების ეფექტიანობას. ვინაიდან ჩვენი გამოკვლევის უშუალო ობიექტს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია და მისი რეგიონული თავისებურებები წარმოადგენს, ამდენად ეროვნული უსაფრთხოების ასპექტების მხოლოდ ზემოთ განზოგადებული მიმართულებით შემოვიფარგლებით.

ტერმინი „ეკონომიკური უსაფრთხოება“ ეკონომიკურ მეცნიერებაში შედარებით ახალი დამკვიდრებულია და თავისი შინაარსით გულისხმობს მდგომარეობას, როცა სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებლად, „გარედან“ ჩარევისა და ზემოქმედების გარეშე განსაზღვროს ეკონომიკური განვითარების გზები და ფორმები, ასევე უზრუნველყოს მათი პრაქტიკული რეალიზაცია.¹

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, პიროვნების ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიგა და გარე საფრთხეების პირობებში.

საგულისხმოა, რომ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების კვლევით განსაკუთრებით დაინტერესდნენ ქართველი მეცნიერებიც (იხილეთ თ. ჩიკვაძის, ი. მესხიას, რ. ოთინაშვილის, ნ. ტერაშვილის, კ. ციმინტიას და სხვათა შრომები), რომლებიც დღის წესრიგში აყენებენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის საკითხს. მისასალმებელია, რომ ამ უდავოდ სერიოზული პრობლემის გადაწყვეტისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების

¹ Экономическая безопасность: Производство-Финансы-Банки, под редакцией Сенчагова В.М., М., изд.: ЗАО «Финстатинформ», 1998, с.28.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სამუშაოები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ინსტიტუტის მიერ შექმნილი „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის“ პროექტი, რომლის შემუშავებაში სათანადო მეცნიერული და პრაქტიკული წვლილი შეიტანეს პროფესორებმა ნ. ჭითანავამ (ინსტიტუტის დირექტორი), და თ. ჩიკაიძემ (ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი).

აღნიშნული დოკუმენტის მთავარი ღირსება, ქართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ სინამდვილეში მისი შემუშავებისა და პერსპექტივაში მისი მიღების მნიშვნელოვან პრეცედენტთან ერთად, ჩვენი აზრით, ის არის, რომ კონცეფციაში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები და პრინციპები. პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ შეხედულებათა მთლიანი სისტემის კონტექსტში აღნიშნულ და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის პოზიტორ მხარეებთან ერთად, ჩვენი აზრით, დოკუმენტს ერთი გარკვეული ხასიათის მეთოდოლოგიური ნაკლოვანება გააჩნია, რაც იმაში გამოიხატება, რომ 2.8. პარაგრაფში მეზოეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში მოცემულია რეგიონული დისპროპორციების გამოთანაბრების მიმართულებები. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ადგილი აქვს ცნებების „მეზოეკონომიკა“ და „რეგიონული ეკონომიკა“, არაობიექტურად იდენტიფიცირებას, გაიგივებას. აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ის ზოგიერთი განმარტებანი, რომელთაც ამ ცნებების თაობაზე აყალიბებენ ავტორიტეტული მეცნიერები.

მაგალითად, გამოჩენილი რუსი რეგიონალისტი, აკადემიკოსი ა. გრანბერგი აღნიშნავს, რომ: „არასწორი იქნება რეგიონული ეკონომიკის გაგება, როგორც ერთგვარი მეზოეკონომიკისა, რომელიც მაკრო და მიკრო ეკონომიკებს შორის იმყოფება. ასეთი მიდგომა არამართებულია იმდენად, რამდენადაც რეგიონული ეკონომიკის საგანი სულაც არ არის მაკრო და მიკროეკონომიკების საგნების

კომბინაცია, არამედ ცალკე, დამოუკიდებელი საგანია“.¹

აქვე გვინდა მოვიყვანოთ მეზოეკონომიკის აღიარებული რუსი მკვლევარის გ. კლეინერის მოსაზრება მეზოეკონომიკის შესახებ, რომელსაც ეთანხმებიან ცნობილი პროფესორები ბ. მილნერი, ო. პრიცენკო და ვ. დემენტიევი, კერძოდ: განიხილავს რა საფინანსო-სამრეწველო ალიანსებისა და ჯგუფების თავისებურებებს, გ. კლეინერი აღნიშნავს, რომ საშუალო ეკონომიკური დონის სისტემებში ჰორიზონტალურ ერთიანობას ქმნიან ერთნაირი საქონელ-მწარმოებლები (დარგები), ხოლო ვერტიკალურ ერთიანობას კი - კომპლექსები, ტრადიციულად ის განეკუთვნება არა მაკრო და მიკრო დონეებს, არამედ მეზოეკონომიკის შესწავლის საგნად გვევლინება. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრების გათვალისწინება მნიშვნელოვნად წაადგებოდა დოკუმენტს და როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალისაზრისით უფრო ადეკვატურად აღქმადსა და რეალიზებადს გახდიდა მას.

თანამედროვე გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გაღრმავების პირობებში, რეგიონული ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემები დღითი დღე მეტ აქტუალობას იძენს, ვინაიდან რეალური ეკონომიკური ურთიერთობები ყოველთვის კონკრეტულ სივრცობრივ განფენილობაში წარმოებს.

ტერმინში „რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება“ შეიძლება ვიგულისხმოთ მოცემულ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის, პირობებისა და ფაქტორების ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს სტაბილური და მდგრადი განვითარების, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომი-

¹ Гранберг А.Г., Основы региональной экономики, М.: Государственный университет, ВШЭ, 2001, с.33

² Мезоэкономика переходного периода: рынки, отрасли, предприятия, под редакцией Г.Б. Клейнера, М.: Наука, 2001, -516 с; Мильнер Б., рецензия на книгу: Мезоэкономика переходного периода, ж. Вопросы экономики, 2002, №6, с. 151-153; Приценко О., рецензия на книгу Мезоэкономика переходного периода, II РЭЖ, 2002, №7, с. 84-88; Дементьев В; Теория национальной экономики и мезоэкономическая теория, II РЭЖ, 2002, №4, с. 71-82.

კასთან ინტეგრაციის თავისებურებებს (მდგომარეობას). აღნიშნული კი შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

- ერთიანი (სახელმწიფო) ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობებში;
- ქვეყანაში წარმოქმნილ ეკონომიკურ პრობლემებზე უმტკივნეულო რეაგირების შესაძლებლობებში;
- სერიოზული ეკონომიკური ღონისძიებების დაწყების ან განხორციელების შესაძლებლობებში „ცენტრისგან“ დამოუკიდებლად, რომელიც მიმართულია რეგიონში გადაუდებელი ახლად წარმოქმნილი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე;
- ხელშეკრულების საფუძველზე საკუთარი ტერიტორიის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის, მოსაზღვრე რეგიონისათვის (ან ქალაქისათვის, რაიონისათვის), სადაც გარკვეული სახის დაუბალანსებელი ეკონომიკური სიტუაცია ვითარდება, დახმარების გაწევის შესაძლებლობებში;
- მოსახლეობის ცხოვრების ღირსეული დონის შენარჩუნების (მიღწევის) მიზნით, საკუთარი რეგიონული ეკონომიკური მექანიზმების არსებობის პირობებში და შესაძლებლობებში¹.

ემსჯელობთ რა რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებზე, ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამდენად თვითმყოფადია რეგიონული (მათ შორის ეკონომიკური) უსაფრთხოება?

თუ გავანალიზებთ მეცნიერულ ლიტერატურაში ამ მხრივ არსებულ ზოგიერთ მიდგომას, მაშინ ნათელი გახდება ამ კითხვასთან მიმართებაში ჩვენი პოზიციის (ხედვით) დასაბუთების აუცილებლობის საკითხი. მაგალითად, რუსი მკვლევრის ე. ნოვიცკევის აზრით: „ცალკეული რეგიონები დებენ რა ურთიერთშორის შეთანხმებებს და ქმნიან საერთო ორგანიზაციებს, ფლობენ სა-

¹ Основы экономической безопасности (Государство, регион, предприятие, личность), под редакцией Е.А. Олейников, М.: ЗАО «Бизнес-школа» Интел Синтез, 1997, с.86.

კუთარი ინტერესების დაკმაყოფილების ფართო შესაძლებლობებს, უფრო ადვილად წყვეტენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს და, აქედან კამოდინარე, აძლიერებენ საკუთარ უსაფრთხოებას, მთლიანობაში კი ქმნიან რეგიონების უსაფრთხოების სისტემას.¹

ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას (მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მას რუსეთის ფედერაციის მაგალითზე აყალიბებს, სადაც რეგიონების მრავალფეროვნება და შესაძლებლობების მასშტაბები მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენი ქვეყნისაგან). კინაიდან ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების სისტემა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთ-სახელმწიფოებრივ დონეზე, ხოლო მისი შემადგენელი ელემენტები მათ შორის რეგიონული უსაფრთხოება უნდა განვიხილოთ ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის კონტექსტში, არა დამოუკიდებელი, რეგიონების უსაფრთხოების სისტემად, არამედ ქვეყნის კონსტიტუციასა და ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ბაზით გათვალისწინებული გარკვეული უფლებამოსილებათა (ეგულისხმობთ რეგიონისათვის მინიჭებულ უფლებებს) რეალიზაციის თვალსაზრისით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეგიონული უსაფრთხოება ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის (სტრატეგიის) მნიშვნელოვანი ქვესისტემაა (ელემენტი) ანუ რეგიონული უსაფრთხოების ცალკეული პრობლემები შეიძლება გადაწყდეს სუბრეგიონულ, რეგიონულ, რეგიონთაშორის, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე (ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მხედველობაში მიღებით).

ამ საკითხის დასმისა და მის თაობაზე მეცნიერული ზედვის ჩამოყალიბების აუცილებლობა, ჩვენი აზრით, განაპირობა ამ თვალსაზრით საქართველოს სინამდვილეში არსებული ან შესაძლო „პერსპექტივაში“ განვითარებული მოვლენების საეხებით რეალურმა გარემოებებმა, რაც მთლიანობაში, ვფიქრობთ, რეგიონული (მათ შორის ეკონომიკური) უსაფრთხოების განსაკუთრებული კვლე-


¹ Новицев В.Ф., Национальная безопасность: теоретические основы, механизм обеспечения, региональная составляющая, курс лекций., Орёл: изд. ОРАГС, 2000, с.83.

ვისა და პრაქტიკული ზრუნვის მნიშვნელოვანი საგანია.

რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშემშლელი ფაქტორები (მუქარები), რომლებიც განაპირობებენ კრიზისული სიტუაციების განვითარებას, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით (იხ. სქემა 1)¹:

1. წარმოების დაცემა და შიგა ბაზრის დაკარგვა (დაცემა). საწარმოების პერმანენტულ დაუტვირთობას (სიმძლავრეების უმოქმედობას), ცალკეული საწარმოების დახურვასა და საერთოდ ტექნოლოგიური პოტენციალის მოშლას მიყვარვართ მატერიალური ბაზის არსებული სტრუქტურის მოშლისაკენ;
2. ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მოშლა, სამეცნიერო კოლექტივების დაშლა, მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე შეკვეთების შემცირება და სხვა ამგვარი ნეგატიური ტენდენციები, როგორც წესი, განაპირობებს რეგიონის კონკურენტუნარიანობის შემცირებას. ამ შედეგების ნიველირება პრაქტიკულად გრძელვადიან პერსპექტივაშია შესაძლებელი და საჭიროებს სერიოზული მასშტაბების ინვენსტიციური რესურსების მოზიდვას;
3. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის საფასო დისპროპორციების გამწვავება, შიდა ბაზრის პრაქტიკული გახსნა იმპორტული პროდუქციისადმი განაპირობებს სხვა რეგიონებზე (ან ქვეყნებზე) დამოკიდებულების მაღალ ხარისხს, რაც პრაქტიკულად ნეგატიურად შეიძლება აისახოს რეგიონის მოსახლეობის ამ პროდუქციით სტაბილური უზრუნველყოფის პროცესზე;
4. უმუშევრობის ზრდა და შრომითი მოტივაციის დაქვეითება. მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, შემოსავ-

¹ Основы экономической безопасности (государство, регион, предприятие, личность), под редакцией Е. А. Олейникова, М.: ЗАО «Бизнес-школа» Интел Синтез, 1997. с. 92.



სქემა 1. რეგიონის ეკონომიკური საფრთხეების სტრუქტურა

ლებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავებანი, სამომხმარებლო ბაზრის დეგრადაცია განაპირობებს სოციალური წინააღმდეგობების (კონფლიქტების) გამწვავებასა და ეკონომიკური გარდაქმნების მიმართ მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების ზრდას.

5. ეკონომიკის კრიმინალიზაცია. ეკონომიკური დანაშაულობებისა და რეკეტის მასშტაბების ზრდა აღრმავებს მოსახლეობის უნდობლობასა და ასუსტებს მათი სამართლებრივი დაცვის (უზრუნველყოფის) შესაძლებლობებს;
6. გარემო პირობების დეგრადაცია. ტექნოგენური ზეწოლის, მანე ზემოქმედების ზრდა და რეგიონული ბუნებრივი კომპლექსების მდგრადობის შესუსტება განაპირობებს სხვა შედარებით უსაფრთხო რეგიონებში მოსახლეობის იძულებითი მიგრაციის გაფართოებას;
7. რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფის დარღვევა პირველ რიგში სოციალური სფეროს დარგებზე აისახება, განაპირობებს ტერიტორიული (ქალაქის, რაიონის, სოფლის...) ბიუჯეტების ლოტაკიურობის ზრდას და მთლიანობაში ხელს უშლის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას.
8. საგარეო ბაზრების დაკარგვა (დათმობა). ნედლეულის ექსპორტის განვითარება, მეცნიერებატექვადი და მაღალტექნოლოგიური დარგებისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად ამცირებს რეგიონის სავალუტო რეზერვებს და წარმოების გადაიარაღების (ახალი ტექნოლოგიების დანერგვის) შესაძლებლობებს. საგარეო-სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო სავალუტო კრედიტების არარაციონალური გამოყენება სხვა არასასურველ (ნეგატიურ) ტენდენციებთან ერთად რეგიონის უცხოელი ინვესტორებისათვის არამიზიდველს ხდის.

რეგიონში შექმნილი კრიზისული სიტუაცია საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეიძლება დაემუქროს შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც დესტაბილიზაციის ცალკეული (ან მთლიანობაში რაპდენიძე) ფაქტორის მოქმედება იმდენად მწვეავდება, რომ რეგიონის სამეურნეო კომპლექსის ცალკეული დარგებისა და სფეროების კრიზისის მიზეზი ხდება, რაც პირველ რიგში აისახება მოსაზღვრე ტერიტორიების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ხოლო მეორე მხრივ, აქედან გამომდინარე, ეს ტენდენცია, თუ სათანადო ზომები არ იქნება მიღებული, შეიძლება გავრცელდეს ქვეყნის მასშტაბითაც.
2. როდესაც რეგიონში განვითარებული კრიზისული პროცესების შედეგების ლიკვიდაცია (კრიზისამდგომარეობის აღდგენა) ვერ ხერხდება მოკლევადიან პერსპექტივაში და საჭიროებს განსაკუთრებული ოდენობის ფინანსური რესურსების მობილიზებას ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ამ უკანასკნელი სტენარით მოვლენების განვითარების პირობებში შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნას ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას (უსაფრთხოებას). თავის მხრივ, ფინანსური უსაფრთხოება უზრუნველყოფს ქვეყანასა და მის რეგიონებში ეკონომიკის საფინანსო სისტემისა და ფინანსური ურთიერთობების იმ პირობებში განვითარებას, რა დროსაც ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფი ფინანსური მექანიზმები, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ქვეყნის (რეგიონის) წინაშე მდგარი კონკრეტული შიგა და გარე საფრთხეების პრევენციას¹.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ეკონომიკური უსაფრთხოების რეგიონული ასპექტები, წინამდებარე მონოგრაფიაში პრაქტიკულად ყველა მიმართულებით არის გამოკვლეული², რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახის განზო-

¹ Любинцев Ю., Логвина А., Концепция финансовой безопасности (общегосударственный и региональный аспект), ж.Экономист, 1998, №3, с.55.

² ზარანდია ვ., საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბ., 2002.

გადებული, კონცეპტუალური ხასიათის დასკვნა:

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებს შორის შეინიშნება მნიშვნელოვანი ასიმეტრია, მათ შორი შემთხვევაში არ გააჩნიათ ის რესურსები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ლოკალური მასშტაბების პრობლემების გადაწყვეტა „ცენტრის“ ჩარევის გარეშე, რაც მთლიანობაში შეიძლება გაცნობიერებული იქნეს როგორც ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორები. ამდენად, ამ მიმართულების მნიშვნელოვან (სტრატეგიულ) ამოცანებად უნდა განისაზღვროს¹:

- ქვეყნის რეგიონალიზაციისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სრულყოფა;
- ერთიანი ეროვნული ბაზრის ფარგლებში, რეგიონული ბაზრების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- ეკონომიკური ზრდის რეგიონული და რეგიონთაშორისი ცენტრების ხელშეწყობა (ფ. პერუს ზრდის პოლუსების თეორიის პრინციპების გამოყენებით);
- მსხვილ, საშუალო და მცირე ქალაქებს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაცია, ურბანიზაციის ეფექტიანი მართვა;
- საერთაშორისო ეკონომიკაში რეგიონების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა;
- მთლიანი შიგა პროდუქტის ინდექსის მიხედვით ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების გამოთანაბრება;
- სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება რეგიონების მიხედვით;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირება;
- რეგიონული სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრების ჩამოყალიბება;

¹ ამ ჩამონათვალში გამოყენებულია ვ. მულქაძის სახელობის სოციალ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ 2003 წელს შექმნილი „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის“ პროექტში ასახული რიგი წინადადებები.

- რეგიონების რეკრეაციული რესურსების გამოყენება ტურიზმის განვითარებისათვის;
- რეგიონების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტა;
- მნიშვნელოვანია საქართველოში წარმოების ტერიტორიული ინტენსიფიკაციის, ანუ საშუალოდ 1 კვადრატულ კილომეტრზე მთლიანი შიგა პროდუქტის ზღვრული მოცულობის მიღწევა.

მთლიანობაში რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება არსებული დისპროპორციების გამოთანაბრებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების პირობებში, რასაც ხელს უნდა უწყობდეს „ცენტრი“. საბოლოო ჯამში კი, რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოების სათანადო დონის მიღწევა უდავოდ ხელს შეუწყობს მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებასა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

18. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების

თანაგეგმვით ტენდენციები

„მთის ხალხებმა უნდა შეინარჩუნონ კონტროლი გარემოს მდგომარეობასა და ბუნებრივი რესურსების მართვაზე.

მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ეს არა მარტო მათთვის

აუცილებელი საჭიროებითაა გამოწვეული, არამედ

ემსახურება ეროვნულ და მსოფლიო

საზოგადოების ინტერესებს“

მთის ხალხთა ქარტიია

გეოგრაფიული მონაცემების თანახმად, საქართველოს მთელი ტერიტორიის 54.4% მთიანია (ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მაღლა). ტერიტორიის საშუალო სიმაღლე 1508 მეტრს აღწევს (აღმოსავლეთ საქართველო – 1691 მ.; დასავლეთ საქართველო – 1314 მ.); მისი 53% უკავიათ მთებს, 33,4% - მთისწინეთს და მხოლოდ 13% დაბლობს. ყველაზე „მაღალი“ ადმინისტრაციული რაიონებია: ყაზბეგი, მესტია, დუშეთი, ონი და ლაგოდეხი. თუ ვიხელოვდებით მთიანი რეგიონების შესახებ ევროპის რიგ ქვეყნებში დღეისათვის მიღებული განმარტებებით, რომლის თანახმადაც მთიანი რეგიონები არის გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მართვით, რომლის რეალიზაცია, კლიმატი, გეოგრაფიკული და კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური კონდიციონალიზაცია განვითარების, ეკონომიკისა და დემონსტრაციის საბაზისად და ადგილობრივი მნიშვნელობისა და ადგილობრივი, ტერიტორიული, რომელიც ამ კატეგორიის შეიძლება მივაკუთვნოთ, კიდევ უფრო მეტი აღმოჩნდება.

დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად მთიანეთსა და მაღალმთიანეთს განეკუთვნებოდა 13 ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე, რაც, დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად წარმოადგენს ძირითადად 3 რეგიონს – მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი და ორი რეგიონის

მთიან ნაწილს – ზემო-სვანეთი და მთათუშეთი, მათში შემავალ 16 რაიონსა და 272 ადგილობრივ (სათემო-სასოფლო) ადმინისტრაციულ ერთეულს; თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დაყოფა ძალზე პირობითია – ასეთ ჩამონათვალში ვერ ხვდება აჭარისა და აფხაზეთის, კახეთისა და სხვა რეგიონების მთიანი რაიონები. საქართველოს კანონის „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ თანახმად, მისი მიღების პერიოდში (1999 წელი) ასეთი სოფლების (კანონში ასეთი პრინციპი იქნა დაშვებული) რაოდენობა შეადგენდა 497-ს, დღეისათვის (ხშირ შემთხვევებში სუბიექტური მოსაზრებებით გამოწვეული დამატებების ხარჯზე) მათი რიცხვი 1500-ზე მეტია. (ეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად „სერიოზულად“ ვუდგებით მთიანი რეგიონების საკითხებს; მითუმეტეს, რომ სხვა მარეგულირებელი დოკუმენტი პრაქტიკულად არ არსებობს).

ისტორიული ანალიზის შესაბამისად მთიანი რეგიონები XX საუკუნის 30-ან წლებამდე (1926 წლის აღწერის თანახმად) ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებულები იყვნენ. ისინი, ისევე როგორც დღეს, ქვეყნის საზღვარს წარმოადგენდნენ, ამდენად ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მისია სახელმწიფოს საზღვრების დაცვა იყო. მკაცრი კლიმატური პირობებით განპირობებული საწილობრივ ჩაკეტილი შინამეურნეობის პირობებში განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მესაქონლეობა და ადგილობრივი მრეწველობა, რომელიც მიუხედავად კუსტარულობისა, საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე გარკვეული სამეურნეო კარჩაკეტილობა განსაზღვრავდა ადგილობრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების, ამასთან ერთად მათი დაცვისა და გამრავლების საკითხებს; თითოეული რეგიონისათვის გარკვეული იყო იმ აუცილებელი მოთხოვნის ელემენტები, რომელთა შემოტანაც იყო საჭირო სხვა რეგიონებიდან. საკმაოდ განვითარებული სავაჭრო-გაცვლითი ურთიერთობების სხვადასხვა

ფორმებს თვით ტრადიციული უგზობაც ვერ უშლიდა ხელს.

გამომდინარე აღნიშნულიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული მაღალმთიანი რეგიონი, ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე, წარმოადგენდა სამეურნეო-ეკონომიკური თვალთახედვითაც გარკვეულ ავტონომიურ ერთეულს, განსაზღვრული საგარეო კავშირებითა და აუცილებლობებით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არცერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის ჩამოყალიბებაში არ უთამაშია განმსაზღვრელი როლი ეკონომიკურ ფაქტორებს. მეურნეობრიობის ესა თუ ის ფორმა ყალიბდებოდა და ვითარდებოდა თითოეულ მათგანში ავტონომიურად, ბუნებრივი გარემო-პირობების თანდათანობით შესწავლა-ათვისების შესაბამისად.

რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია (შესაბამისად მენტალიტეტიც) სოციალისტური ყოფის პერიოდში. კერძო საკუთრების გაუქმებამ, სოციალ-ეკონომიკური ხასიათის დაუსრულებელმა და ხშირად ბოლომდე გაუაზრებელმა „ექსპერიმენტებმა“ შეცვალა თვით ადამიანების ფსიქოლოგია. ლოგიკურად მივიღეთ დღევანდელი შედეგი – მთიანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენა, კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, რეგიონების დაცარიელება, მეურნეობის ტრადიციული დარგების მოშლა, სპეციალისტების შემცირება, არასათანადო კვალიფიკაცია და ა.შ.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ყველაზე მწვავედ მთიან რეგიონებზე აისახა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ცვლილებებმა კიდევ უფრო მკვეთრი გახადა ის დისპროპორცია, რაც ტრადიციულად იყო ე. წ. მთასა და ბარს შორის და რაც მიმდინარე პერიოდმა კიდევ უფრო გააძლიერა. ძირითადი პრობლემები, რომლებიც საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების წინაშე დგას, ბევრად არ განსხვავდება მთიან რეგიონებთან მიმართებაში საერთაშორისო ფორუმებზე (რიო-1992, ტულუზა-1996, იოჰანესბურ-

გი-2002) ჩამოყალიბებული ზოგადი პრობლემებისაგან. ისინი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

– მთიანი რეგიონების საერთო პრობლემა – (ისევე როგორც ჩვენთან), მუდმივად მზარდი მიგრაცია.

მიზეზების ანალიზიც საკმაოდ იდენტურ სურათს გვაძლევს:

- ტრადიციული შრომის სიმძიმე და დაბალი შემოსავლიანობა;
- სამუშაოს არ არსებობა – უმუშევრობა;
- ბარის რეგიონებში შრომის ანაზღაურების უკეთესი პირობები;
- საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების სფეროს განვითარებლობა.

გასათვალისწინებელია ის მიზეზებიც, რომლებიც ზღუდავენ განვითარების შესაძლებლობებს:

- ბუნების დეგრადაცია, დანაგვიანება;
- მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების კრიზისი;
- მიწის ზედმეტი ექსპლუატაცია.

ძალზე საინტერესოა პრობლემათა წარმოშობის მოტივებიც:

- რეგიონალური პრობლემებისადმი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანოების ნაკლები ყურადღება;
- მთიანი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო მუშაკებისადმი საზოგადოებრივი პოლიტიკის არაადაპტირებულობა;
- ფინანსური შესაძლებლობების განაწილების უთანაბრობა;
- შიდა კავშირების სისუსტე.

დღევანდელი საქართველოს მთიანი რეგიონების განსაკუთრებულ სტატუსს განაპირობებენ რიგი სტრატეგიული პოზიციები:

1. გეო-პოლიტიკური: მთიანი რეგიონების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრისპირა ზოლს, ამდენად გასაგებია მათი გაზრდილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა;
2. სოციალური: რეგიონის მოსახლეობა წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც

მიუხედავად არსებითი ერთიანობისა, გარკვეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან;

3. ეკონომიკური: ათეული წლების განმავლობაში, ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარი რეგიონები იხილებოდა მხოლოდ სანედლეულე ბაზად, ან, რთული ბუნებრივი, გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გამო – ნაკლებ პერსპექტიულ ზონებად და პრაქტიკულად არავითარი ყურადღება არ ექცეოდა შესაბამისი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

საქართველოს მთიანი რეგიონებისადმი განსაკუთრებული მიდგომა, უკვე აღნიშნულთან ერთად, განპირობებულია:

აღნიშნული რეგიონების ობიექტურად მზარდი სტრატეგიული (ის რაც ე. წ. „ჩაკეტილი“ პერიფერიული სახელმწიფოს – საბჭოთა საქართველოს პირობებში ნეგატიურ, შემაფერხებელ ფაქტორად ითვლებოდა, დღეს, მითუმეტეს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების განვითარების პარალელურად, უდიდესი პოზიტიური ფაქტორი შეიძლება გახდეს), ეკონომიკური (ადგილობრივი რესურსებისადმი პრინციპულად ახლებური მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში ინტეგრაცია) და სოციალური (მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებები, დემოგრაფიული სურათი – შობადობა, გადაბერება, მექანიკური მოძრაობის საღლო, უმუშევრობა, დეკალიფიკაცია, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ა. შ.) მნიშვნელობით;

საქართველოს უმუჯლო მეზობელ სახელმწიფოებთან და ხალხებთან მათი, როგორც სასაზღვრო რეგიონის, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის პერსპექტივებით (უკანასკნელ წლებში მომხდარი ცვლილებები დიამეტრალურად სხვა ასპექტში მოიაზრებს ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებსა და კავშირებს);

უნიკალური ისტორიული, კულტურული ტრადიციებისა და

კანსაკუთრებული ეკოლოგიური მდგომარეობით (მითუმეტეს აღნიშნული პოზიციებისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის დამოკიდებულებით – გაერო, იუნესკო).

მწყობრიდან თითქმის მთლიანად გამოყვანილი სამეურნეო-ეკონომიკური პოტენციალითა და განადგურებული ინფრასტრუქტურით;

კატასტროფის ზღვარზე მისული მიგრაციით.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნულ ობიექტურად წარმოშობილ პრობლემათა კომპლექსი პრაქტიკულად ერთნაირად აქტუალურია როგორც მთელი ქვეყნისათვის, ასევე თითოეული რეგიონისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციისა თუ გეოგრაფიული მხარისათვის. თუმცა, მათ შორისაც არსებობს გარკვეული განსხვავებები, რაც ბუნებრივ პირობებთან და ეთნო-კულტურულ სხვაობებთან ერთად განპირობებულია ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით.

მაღალმთიანი რეგიონების, მათი როლისა და ამოცანების, მათთან მიმართებაში გატარებული ეკონომიკური, სოციალური პოლიტიკის, მათი წარსულის, აწმყოსა და მომავლის საკითხები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძალზე აქტუალური და, ამასთან ერთად, პრობლემატურია. მათი თანამედროვე თვალთახედვით რეგულირების ამოცანა მოითხოვს არა მხოლოდ პოლიტიკური (საზღვრების დადგენა, უფლებამოსილებათა გამიჯვნა), არამედ ეკონომიკური (სიცოცხლისუნარიანი დამოუკიდებელი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება) და მრავალი სხვადასხვა მიმართულების საკითხების გადაწყვეტასაც: რეგიონის უფლება-მოვალეობები, ცენტრთან დამოკიდებულება, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, უფლებამოსილებათა გამიჯვნის სამართლებრივ-ეკონომიკური მექანიზმები და სხვა.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოებებიც, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მათი აქტუალობის ხარისხს:

– მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ერთგვარი უნიტარიზმის მიუხედავად, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ჩამოყალიბების პარალელურად, ფორმირდებოდნენ და საკუთარ ადგილს იმკვიდრებდნენ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, რომლებიც, სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული (ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული) პერიოდებითა და უფლებებით წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს;

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ჩვენს მიერ განიხილება როგორც:

- ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცება;
- რეალური თვითმმართველობის დამკვიდრებისა და დეცენტრალიზაციის ერთიან პროგრამაში საქართველოს რეგიონების მართებული ეკონომიკური ინტეგრაცია;
- მათ შორის პირდაპირ კავშირ-ურთიერთობათა (ძირითადად ეკონომიკური და სამართლებრივი) გაღრმავება და ბუნებრივ-გეოგრაფიული სპეციფიკის, ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით ერთიანი სახელმწიფო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელშიც ორგანულად იქნება ჩასმული როგორც საერთო სახელმწიფო ამოცანები, ასევე კონკრეტული რეგიონის პოზიციები და ინტერესები, ავტონომიურობის (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული) ხარისხი, ძირითადი პარამეტრები და მათი დაცვის მექანიზმი.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მთიანი რეგიონების პერსპექტივების განსაზღვრას საფუძვლად უნდა დაედოს მდგრადი განვითარების კონცეფციის ძირითადი მოთხოვნები (გაერო – რიო-1992, „დღის წესრიგი 21 საუკუნისათვის“, იოჰანესბურგი – 2002), როგორც ცივილიზებული სამყაროს მონაბოვარი და ჩვენს პლანეტაზე არსებული ეკოსისტემების დაცვის ძირითადი მექანიზმი მინიმუმ უახლოესი ხუთი ათწლეულის განმავლობაში.

ციურისის კარტოგრაფიული ინსტიტუტეს მონაცემების თანახმად, დედამიწის რელიეფური პორტრეტი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: ხმელეთის თითქმის ნახევარი ზღვის დონიდან 500 მეტრზე მაღლაა, მათ შორის 27% - 1 000 მეტრზე, 11% 2 000-ზე, 5% - 3 000-ზე და 2% - 4 000 მეტრზე მდებარეობს. მაშასადამე, მთიან ტერიტორიებს დედამიწის საკმაოდ დიდი ნაწილი ეკუთვნის. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის ზუსტად განსაზღვრას.

ერთ-ერთი საერთაშორისო კლასიფიკაციით, მთიანი რეგიონებისთვის დადგენილია 4 ზონა (კატეგორია); თითოეული მათგანი დგინდება:

(1) ზღვის დონიდან სიმაღლისა და (2) რელიეფის ვარდნით 300 მეტრით 5 კმ ორთოგონალურ პროექციაში.

ამ კლასიფიკაციის თანახმად, გაანალიზებულია მსოფლიოს 199 ქვეყანა, მათი ტერიტორიების მიმართ მთიანეთის შემდეგი წილების მიხედვით:

- I. 0-10%;
- II. 10-25%
- III. 25-50%;
- IV. 50-100%.

საქართველო შედის IV კატეგორიაში, სხვა 52 ქვეყანასთან ერთად, რომელთა შორის არიან: სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, საბერძნეთი, ირანი, იტალია, იაპონია, ყირგიზეთი, შვეიცარია და სხვა ყველაზე მთიანი ქვეყნები.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა ქვეყანა მიმართავს მთიანობის ზონების დადგენის საკუთარ მეთოდოლოგიას და პროცედურებს.

პოლონეთში მთიან რეგიონებად ითვლება ზღვის დონიდან 350 მ-ზე მეტი სიმაღლის ტერიტორიები, 500 მ-ზე მაღლა მდებარე ზონების განსაკუთრებული გამოყოფით.

საფრანგეთში მთიანი ზონა მოიცავს კომუნების ტერიტორიას, რომელთა ფართობის არანაკლებ 80% განლაგებულია ზღვის

დონიდან 600 მ-ზე მეტ სიმაღლეზე, ან რომლებშიც დასამუშავე-
ბელი მიწების ქვედა და ზედა საზღვარს შორის სიმაღლეთა
სხვაობა არანაკლებ 400 მ-ს შეადგენს.

კომუნები, რომლებიც არ პასუხობს სიმაღლის ან სიმაღლეთა
სხვაობის ზემოთმოყვანილ კრიტერიუმებს, მაინც შეიძლება
მიკუთვნებულ იქნას მთიანეთისთვის, თუკი მათი ეკონომიკა
მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე კომუნების ეკონომიკასთან,
რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე მუხლში განსაზღვრულ
პირობებს.

საფრანგეთში არსებობს მთიანი რეგიონების იურიდიულად
გაფორმებული კლასიფიკაცია, რომლის საფუძველზეც კომუნები
მიკუთვნებული არიან ამა თუ იმ კატეგორიას. ეს სია რეგუ-
ლარულად გადის გადამოწმებას და ზუსტდება, საკანონმდებლო
შესწორებებთან დამოკიდებულებაში. საფრანგეთის მთიან
ზონა-
ში გამოიყოფა:

- მაღალი მთები;
- მთები;
- ე.წ. „მშრალი მთები“.

საფრანგეთის კანონმდებლობას აგრეთვე შემოაქვს „მასივის“
ცნება, რომელიც განსაზღვრულია, როგორც მთიანეთის და მასთან
უშუალოდ დაკავშირებული გეოგრაფიული, ეკონომიკური და
სოციალური სივრცე. დადგენილია მთიანი რეგიონების მდგომარ-
ეობისა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შეფასების
ინდიკატორები, რომლებიც გამოყენებულია მართვისა და განვი-
თარების მიზნებისათვის.

შვეიცარიაში მთიანი რეგიონებისთვის მიკუთვნების ძირი-
თადი კრიტერიუმებია: ზღვის დონიდან სიმაღლე (> 600 მ-ზე),
ფერდობების დახრილობა, კლიმატური პირობები (სავეგეტაციო
პერიოდის ხანგრძლივობა), სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგე-
ბობების მდგომარეობა, შიდასამეურნეო გზების არსებობა. ამა თუ
იმ კომუნის მთიანეთისთვის მიკუთვნების გადაწყვეტილება გამო-
აქვს კომუნებისა და კანტონების წარმომადგენლებისაგან შემდ-

კარ შერეულ კომისიას. მოგვიანებით ეს კრიტიკერიუმები შეივსო შექმნილი პარამეტრებით: მანძილი უახლოეს ბაზრამდე, რძის ჩაბარების პუნქტამდე, სკოლამდე.

უკრაინაში მთიანი დასახლების სტატუსს ადგენს კანონი „მთიანი დასახლებული პუნქტების შესახებ უკრაინაში“ (1995). ამ კანონის თანახმად, მთიანი დასახლების სტატუსის მქონე პუნქტისთვის მიკუთვნება ხდება იმ „დასახლებული პუნქტის, ან მისი ნაწილის, რომელშიც ცხოვრობს ამ პუნქტის მოსახლეობის სახეგარეშე მეტი, ზღვის დონიდან 500 მეტრი და მეტი სიმაღლის მქონე ტერიტორიაზე განლაგება, რომელსაც ახასიათებს ძლიერ დანაწევრებული რელიეფი და მოცემული პუნქტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 60 და მეტი პროცენტის განლაგება 15 და მეტი გრადუსის დახრილობის მქონე ფერდობებზე, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,15 ჰა მიწაზე ნაკლები და მკაცრი კლიმატური პირობები – ცივი და ხანგრძლივი ზამთარი (საშუალო ხანგრძლივობა – არანაკლებ 155 დღისა, ცელსიუსის მინუს 4 გრადუსი საშუალო ტემპერატურით), გრილი და ხანმოკლე ზაფხული (საშუალო ხანგრძლივობა – არა უმეტეს ორი თვისა, საშუალო ტემპერატურა არ აღემატება ცელსიუსის 20 გრადუსს), ნალექების დიდი რაოდენობა (თხევადი და მყარი ნალექების საშუალო წლიური ჯამი არანაკლებ 60 მმ-ის), ახასიათებს ღვარცოფული მოვლენები, მეწყერები“.

ბულგარეთში მთიანი რეგიონების კრიტერიუმებს ადგენს მინისტრთა საბჭოს 1996 წლის გადაწყვეტილება; მათ შორის გამოიყოფა:

- სიმაღლე ზღვის დონიდან (600 მეტრი და მეტი);
- რელიეფის დახრილობა (ტოპოგრაფიული ინდექსი – რიცხვი, რომლითაც 1 კმ²-ზე ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ წერტილებს შორის სიმაღლეთა განსხვავება მეტია 200-ზე);
- რელიეფის ჩამორეცხვის სიმჭიდროვე (1 კმ²-ზე მდინარეების ან ხევების კალაპოტების სიგრძით) და ა.შ.

ამასთან ერთად, მოქმედებს განსახლების სიმჭიდროვესთან დაკავშირებული საილენტიფიკაციო სისტემები და მთიანეთის 3 ზონა:

- დაბალი მთიანი ზონა (600-1000 მ ზ.დ.);
- საშუალო მთიანი ზონა (1000-1500 მ ზ.დ.);
- მაღალმთიანი ზონა (1500-ზე ზემოთ).

საბჰრძნეთი მთიანი რეგიონის განსაზღვრისას ეყრდნობა *ვეროაკვეშირის* რეკომენდაციებს:

1. დამუშავებული ტერიტორია ზღვის დონიდან 800 მეტრზე ზემოთაა;
2. დამუშავებული ტერიტორიის სიმაღლე 600-დან 800 მეტრამდეა და ფერდობის დახრილობის კუთხე სულ მცირე 16%-ია;
3. დამუშავებული ტერიტორია 600 მეტრზე დაბლაა, ხოლო ფერდობის დახრილობის კუთხე სულ მცირე 20%-ია; ან დამუშავებული მიწის 80% აკმაყოფილებს ამ საში პირობის კომბინაციას.

საქართველოში მთიანეთის სამართლებრივ არეალს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ (1999 წ., შემდგომი დამატებებით).

ამ შეიღმუხლიანი კანონის მე-4 და მე-5 მუხლები განმარტავენ „მაღალმთიანი რეგიონის“ ცნებას:

„მუხლი 4.

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალმთიან რეგიონებზე, რომლებიც თავის გეოგრაფიული მდებარეობით მთლიანად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის ცნებას.

2. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო,

ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში – 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.

მუხლი 5.

1. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მთლიანად მხოლოდ მთიულეთზე და გუდამაყრის ხეობებზე, ფშავ-ხევსურეთზე და თუშეთზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება“.

თანამედროვე რეგიონული პოლიტიკისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია საერთო ეროვნული განვითარების პროგრამებში მთის რეგიონების პრობლემატიკის გამოყოფა, რაც განპირობებულია (ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად) მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების მოთხოვნებით; მაგალითისათვის:

- დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის (1992);
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992);
- გაუდაბნობასთან ბრძოლის გაეროს კონვენცია (1994);
- კლიმატის ცვლილებების გაეროს ჩარჩო-კონვენცია (1992);
- კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგია;
- ფერმერთა სოციალური დაცვის ევროპული კონვენცია (1974);
- ლანდშაფტის ევროპული კონვენცია (2000);
- რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული კონვენ-

ცია (1992);

- ტერიტორიული საზოგადოებებისა თუ ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ევროპული ჩარჩო-კონვენცია (1980);
- ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია (1995).

აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა ხელისუფლება, როგორც წესი, „ბარშია“ დაფუძნებული და, ამდენად, მთის რეგიონები ტერიტორიული და ფუნქციური თვალსაზრისით „პერიფერიის“ კატეგორიას განეკუთვნება. აქ, ბართან შედარებით, გვიან შემოდის თანამედროვე, ცივილიზაციური ინოვაციები – რელიგიის ახლებური ფორმები იქნება ეს თუ თანამედროვე ტექნოლოგიები. ამდენად, ბარისა და მთის ურთიერთობა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს „ცენტრისა“ და „პერიფერიის“ ურთიერთობას – აქედან გამომდინარე ყველა სირთულით, წინააღმდეგობითა და არც თუ ისე იშვიათი დაპირისპირებით (მცირერიცხოვან გამონაკლისათა რიგს, ალბათ, მხოლოდ შვეიცარია შეიძლება მივაკუთვნოთ).

ასეა თუ ისე, ყველა ქვეყნის ე.წ. სტრუქტურულ პოლიტიკაში* მთიან რეგიონებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ან ამგვარი ადგილი უნდა მოიპოვოს. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. ამიტომაც, ჩვენთვის საინტერესოა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიდგომები.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მთიანი რეგიონები ყველგან განეკუთვნება ეკონომიკურად დეპრესიულ ზონებს, სადაც, სხვა პრობლემებთან ერთად, განსაკუთრებით იჩენს თავს სოციალური ეროზია.** ამ პრობლემების გააზრებისა და მოვლის ამოცანამ ფართომასშტაბიანი ხასიათი პირველად მიიღო ამერიკულ „მარშა-

*სტრუქტურული პოლიტიკა – ჩამორჩენილი რეგიონების ეკონომიკური ღონის ამაღლებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

** სოციალური ეროზია – ახალგაზრდა, მობილური, ქმედითუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია.

ლის გვემაში“ ომის შემდგომი ევროპისათვის.

ა) *შვეიცარიის გამოცდილება*

გასაგები მიზეზების გამო, შვეიცარია ის ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად და წარმატებით ხორციელდება მთიანეთის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა. თავდაპირველად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა გამოიხატებოდა მთიანეთის ფერმერებისა და მეტყევეებისათვის სუბსიდიების გამოყოფისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სახით. 1954 წლიდან, გარკვეულ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მთიანეთის სახლთმფლობელობები (გლეხური, ფერმერული კომლი) ლეზულობს სახელმწიფოსაგან დოტაციას, აგრეთვე სხვადასხვა სახის გაშუალებულ სუბსიდიებს (პენსიები გლეხებისათვის, ბავშვთა ინტერნატების შენახვა და ა.შ.). საქართველოს პრაქტიკისათვის დასაფიქრებელია, რომ, საინჟინრო-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, შვეიცარიაში ყურადღება ექცევა მთიანი სოფლების *გამსხვილებას*. აქვე გავიხსენოთ, რომ საბჭოეთის პერიოდში (სხვათა შორის ახლაც) სახელმწიფო პოლიტიკა და პროპაგანდა, პირიქით, მთიანეთის განსახლების სისტემის კონცენტრაციას, სოფლების *გამსხვილებას* ქადაგებდა.^{***}

როგორც ჩანს, აქ მოსაძებნია ყოველი ქვეყნის პირობების შესაბამისი ოპტიმალური გადაწყვეტა. შვეიცარია შემდგომაც აგრძელებდა ლიდერობას მთიანეთის განვითარების სფეროში. აქ ძალისხმევა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა;
- სატრანსპორტო პოლიტიკა;

^{***} მაგ. შემოთავზებული იყო სოფ. შატილის სოფსაბჭოში სულ 2 სოფლის დატოვება – შატილის ბაზაზე თავს იყრიდა 5 სოფლის მოსახლეობა (საკუთრივ შატილის, კისტანის, ლეხაისკარის, ჯეჯეთის, გიორგიწმინდის); ხოლო სოფელ მუცოსჭალის ბაზაზე – 6 სოფლისა (ანდაქი, ხახაბო, არჭილო, არდოტი, ზონისჭალა, მუცო), იხ.: – Алуغيшвили З. экономические проблемы застройки сёл и рациональное использование земли в Грузии. Тбилиси, `Сачхота Сахартвело~, 1980.

- შერჩევითი, მისამართიანი ფინანსირება;
- საგადასახადო შეღავათები.

მაგრამ, ყველა ამ ღონისძიებას ლოკალური ხასიათი ჰქონდა. ამიტომაც, სპეციალისტებს დაევალა *მთიანეთის განვითარების ფედერალური კონცეფციის შემუშავება. 1971 წელს ფედერალურმა საბჭომ* მოისმინა კონცეფციის ავტორთა მოხსენება, ხოლო 1974 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი მთის რეგიონების საინვესტიციო ხელშეწყობის შესახებ. ამ კანონის საფუძველზე შემუშავებულია შვეიცარიის 50 რეგიონის (თემის) საერთოეკონომიკური განვითარების კონცეფციები. ამ პროგრამების დაფინანსების 21% მოდის წყალმომარაგება-კანალიზაციასა და ნარჩენების უტილიზაციაზე; 20,8% – საგანმანათლებლო ღონისძიებებზე, 17,2% – დასვენებასა და სპორტთან დაკავშირებულ პროექტებზე.

1975 წელს, მიღებულ იქნა კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა შეღავათიან სესხებს მცირე პროექტებისათვის; სესხები ორიენტირებული იყო მთიანეთის თემების განვითარებაზე. ამგვარი სესხების მიღების პირობას წარმოადგენდა მთიანეთის თემების თვითორგანიზება ე.წ. „განვითარების რეგიონებად“ და კონსენსუსის მიღწევა განვითარების პრიორიტეტების თაობაზე. სესხებს გასცემდა შვეიცარიის საინვესტიციო ფონდი (IHG).

1983 წლისთვის 1225 თემისაგან (მუნიციპალიტეტისაგან) შემდგარი 54 „განვითარების რეგიონი“ რეგისტრირებული იყო ფედერალური მთავრობის მიერ. IHG აგრეთვე გასცემდა მცირე ინსტიტუციურ გრანტებს სამუშაო ორგანოების - სამდივნოების შესაქმნელად. „განვითარების რეგიონების“ პირველ ამოცანას წარმოადგენდა *განვითარების კომპლექსური გეგმის* შემუშავება. ეს გეგმა განსაზღვრავდა კონკრეტულ პროექტებს და პროგრამებს, რომელიც დასაფინანსებლად წარედგინებოდა IHG-ს.

1991 წლისთვის 3078 განვითარების პროექტი დაფინანსდა IHG-ს მიერ; დრამატული გარღვევა მთიანეთისა და ბარის ინფრასტრუქტურებს შორის შემცირდა. შედეგად, გამყარდა ქვეყნის

მთიანეთის განსახლების სისტემა, 1970-1990 წლებში მთიანეთის მოსახლეობამ იმატა 10%-ით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამგვარი პოლიტიკის შედეგად თვითმმართველობის ცნობიერების ღრმა ტრადიციების განმტკიცება. შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, 1993 წელს შეიქმნა განვითარების რეგიონების სამდივნოების ორგანიზაცია.

ა) პოლანდიის ინიციატივა

1970-იან წლებიდან მთიანი რეგიონების პრობლემატიკა საკადრის ადგილს პოულობს *ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის* საქმიანობაში. საინტერესოა, რომ ამ პოლიტიკის ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ყველაზე ვაკე ქვეყნის – პოლანდიის ინიციატივა; ამ ინიციატივაში ჩამოყალიბებული იყო მთიანეთის ფერმერების ფართო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა *ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის* ქვეყნებში. მეორე წელსვე (1974) იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი რეგიონების ფერმერებმა დაიწყეს სუბსიდიების მიღება *ევროპული აგრარული ფონდიდან*.

ბ) გერმანიის გამოცდილება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, *მიუნჰენის ალპურმა ინსტიტუტმა* შეიმუშავა „ადრეული შეტყობინების სისტემა“, რომელიც ძირითადად ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგსა და წინმსწრებ ღონისძიებების დაგეგმვას გულისხმობდა. ამ კვლევებმა მოიცვა 1100 კმ² *ინსბრუკიდან* (ავსტრია) ვიდრე *ჰენცბერგამდე* (ბავარია) და შეადგინა ერთ-ერთი დასავლეთ ევროპის მთიანეთის 9 მოდელური რეგიონიდან.

თანდათანობით, მთიანეთის თემატიკის დაწინაურების პროცესში, გლეხური მეურნეობების შენარჩუნების პრობლემამ ადგილი დაუთმო კულტურული ლანდშაფტის დაცვის პრობლემას და აგრარული პოლიტიკის სფეროდან რეგიონული (რაიონული) დაგეგმარების, ურბანისტიკის, განსახლების სფეროში გადაინაცვლა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სექტორს, აქ

ეკონომიკური პოლიტიკა მუდმივი დახვეწის პროცესშია. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის გაუმართლებელი ინტენსიფიკაციის აღკვეთის მიზნით, განვითარებულ ქვეყნებში სუბსიდიას დაექვემდებარა არა პროდუქცია, არამედ მიწის კონკრეტული ნაკვეთები.

გ) იაპონიის გამოცდილება

მაღალტექნოლოგიური წარმოების მსოფლიო ლიდერის როლთან ერთად, იაპონია გამოირჩევა მთიანი რეგიონების მიმართ თავისი გონივრული, მიზანდასახული და შედეგიანი პოლიტიკით.

1965 წელს, მთიანეთის დეპოპულაციის პრობლემით შეწუხებულმა მთავრობამ დაამტკიცა მთიანეთის განვითარების აქტი. ამ ნორმატიული აქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო მთიანეთსა და ბარს შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების ხაზგასმა.

ამ აქტის მიზნებს შორის გამოსაყოფია:

- მთიანეთის სოფლებს შორის, აგრეთვე მთიანეთისა და ბარს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება – საგზაო-სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მეშვეობით;
- მთიანეთის მიწის, ტყისა და წყლის რესურსების ეფექტური ექსპლუატაცია – გზების მშენებლობის, ელექტროენერჯის გამოქუშავების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მეღორიერების უზრუნველყოფით;
- ადგილობრივი წარმოების განვითარება და შრომითი დასაქმების გაუმჯობესება ისეთი ღონისძიებების გზით, როგორცაა სატყეო და ფერმერული მეურნეობის თანამედროვე მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, არასასოფლო-სამეურნეო და ხის პირველადი გადამუშავების წარმოებების შექმნა, ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი, უნიკალური, ბუნებრივი პროდუქციის ბაზრის კულტივირება;
- ბუნებრივი რისკების კონტროლი და პრევენცია (ნიდაგის ეროზია, მეწყერები, ღვარცოფები, ზვავები) ტყეების

დაცვისა და საინჟინრო ნაგებობების მეშვეობით;

- სოციალური ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის გაუმჯობესება - სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების, კულტურული ცენტრების და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ამგვარი ინტეგრირებული მიდგომა ზორციელდებოდა სექტორული პროგრამების მეშვეობით - კანონის მოთხოვნების თანახმად, იაპონიის 12 სამინისტრომ თუ სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა და დანერგა მთიანეთის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, სპეციფიკური პოლიტიკა და პროგრამები.

მთიანეთის მდგრადობის იდეოლოგია აგრეთვე აისახა იაპონიის სხვა საკანონმდებლო აქტებში; ისეთებში, როგორცაა ბუნების დაცვის კანონი, კანონი ნაციონალური პარკების შესახებ, ტყის კანონი, კანონი კულტურული საკუთრებისა და დაცვის შესახებ. აღიარებულია, რომ მთიანეთის დაცვის საქმეში გადამწყვეტია პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებათა მჭიდროდ კოორდინირებული საქმიანობა.

დ) კანადის გამოცდილება

კანადის დასავლეთით ალბერტას პროვინციაში მდებარე კლდოვანი მთების (Rocky Mountains) ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და იმართება სახელმწიფო სააგენტოების მიერ.

რამდენიმე ათწლეულის წინ ალბერტას პროვინციის მთავრობამ დაამტკიცა რესურსების ინტეგრირებული მართვის (IRMS) სტრატეგია, კლდოვანი მთების აღმოსავლეთის კალთების მდგრადი განვითარების მიზნით. ეს ზონა მოიცავს 90 000 კმ² მთებსა და ტყიან მთისძირებს. განვითარებულია სატყეო მეურნეობა, ნეთობისა და გაზის მოპოვება, ტურიზმი, რეკრეაცია; აქვეა მრავალი მდინარის სათავე.

იმის გამო, რომ ტერიტორია იმართება საზოგადოებრივი სექტორის მიერ, პრიორიტეტულია სწორედ საზოგადოებრივი ინტერესები და მიზნები. ამ მიზნების მისაღწევად IRMS-მა ჩამოაყალიბა ინტეგრირებული რესურსების გეგმები (IRPS).

ამ გეგმების ძირითადი მიმართულებაა მოწყვლადი ტერიტორიების გამოვლენა, დელიმიტაცია და მათი გამორიცხვა სამრეწველო თუ კომერციული საქმიანობებისაგან. IRP-ს შემუშავების პროცედურა წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს დაინტერესებული მხარეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის თვალსაზრისით.

IRMS გადაიქცა კანადის სხვა პროვინციაში რეგიონული დაგეგმვის მოდელად; იგი მიმართული იყო

- (1) მთიანეთის პრობლემატიკის რეგიონული ხედვის განსამტკიცებლად – შესაბამისი მიზნებისა და ინდიკატორების ჩათვლით; და
- (2) რეგიონის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენისაკენ.

სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იყო სიმულაციური მოდელირება ეკონომიკური და ეკოლოგიური კუმულატიური შედეგების გამოსავლენად, განვითარების სხვადასხვა სცენარების მიხედვით.

შეძენილი გამოცდილების საფუძველზე, 1999 წელს მიღებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტი – ალბერტას ვალდებულებები მდგრად რესურსებსა და გარემოსდაცვით მენეჯმენტში. წინა დოკუმენტთან შედარებით, ეს აქტი აფართოებს მდგრადი განვითარების ფილოსოფიას – როგორც შინარსობრივი, ფუნქციური, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით.

2000 წელს, ალბერტას პროვინციის მთავრობამ წამოიწყო ახალი პროექტი – ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთების მდგრადი რესურსებისა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტრატეგია; სტრატეგია ფარავს 40 000 კმ² ტერიტორიას და წარმოადგენს პროტოტიპს ანალოგიური სტრატეგიებისათვის მთელს კანადაში.

გაეროს ისტორიული სამიტის (რიო-1992წ.) შემდეგ განვლილ პერიოდში, მრავალი ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები შემდეგ რეკომენდაციებს უწევენ ნაციონალურ მთავრობებს მთიანეთის მდგრადი

განვითარების საკითხებში:

- მთიანეთის აღიარება ნაციონალური განვითარების მნიშვნელოვან და სპეციფიკურ კომპონენტად;
- მთიანეთის მდგრადი განვითარების გათვალისწინება პოლიტიკურ „ღლის წესრიგში“;
- კომპენსაციის სისტემის დანერგვა მთიანეთის მხრიდან ბარის ზონისთვის მიწოდებული რესურსებისა და მომსახურებისათვის;
- მთიანეთის ეკონომიკური ცხოვრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- სოციალური და საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სექტორული პოლიტიკის ადაპტირება მთიანეთის სპეციფიკურ ინტერესებთან;
- ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციების შემოსატანად;
- ცვლილებები ადგილობრივ კულტურაში თავისებურებების დაკარგვის გარეშე;
- მთიანეთის ეკოსისტემების კონსერვაცია და ადრეული გაფრთხილების ფუნქციის შენარჩუნება;
- მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია;
- განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმარების პროექტების (სქემების) წინმსწრები შემუშავება.

ამასთან ერთად, აღიარებულია, რომ არ არსებობს მთიანეთის მდგრადი განვითარების უნივერსალური, ერთიანი თარგი; ყველა ქვეყანამ უნდა შეიმუშავოს თავისი საკუთარი პოლიტიკა მთიანეთთან დაკავშირებით.

19. რეგიონული ეკონომიკური განვითარების შედეგებითი ანალიზი საქართველოს და ბერძანის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე*

გერმანიის რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებას ჯერ კიდევ რეკონსტრუქციის წლებში (მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ) მხარეებისა და საერთოდ სახელმწიფოს მხრიდან დიდი ყურადღება მიექცა.¹ ეს იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ქალაქების უმრავლესობა და შესაბამისად, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის და წარმოების საშუალებების დიდი ნაწილი განადგურებული იყო და უშუშევრობა ლტოლვილების მასიური ნაკადების გამო სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.² ახალი წარმოების საშუალებების რეკონსტრუქცია ძირითადად დაიწყო ისეთ ადგილებში, სადაც ადრე პროდუქციის მწარმოებელი ქალაქები იყო განლაგებული, ამ ტერიტორიებზე მოიპოვებოდა ამ პროცესისათვის საჭირო კომპონენტები.

ომის შემდგომ წლებში პირველად აქცენტი რეგიონულ სიღარიბეზე და მისი დაძლევის აუცილებლობაზე გაკეთდა. გერმანიის „ბუნდესმიწების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დავალება რეგიონული სტრუქტურული პოლიტიკა გახდა. თუმცა ასევე იკვეთებოდა „ბუნდეს კაბინეტის“ მიერ ისეთი განვითარების ხელშეწყობა, რომელშიც ფინანსური მონაწილეობა ბუნდესმიწების დასახმარებლად და არსობრივი ზეგავლენა ამ პროცესზე, „ბუნდეს კაბინეტის“ მიერ ხორციელდებოდა. ამ პროცესში წარმოქმნილი საქმიანობა კი არც ერთ შემთხვევაში არ წამოადგენდა გრძელვა-

* აღნიშნული თავი დაიწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტრიერის უნივერსიტეტის რეგიონული განვითარების ფაკულტეტის მაგისტრის ნიკოლოზ ვახოკიძის მონაწილეობით

¹ Klemmer, P. (1987): *Gemeinschaftsaufgabe „Verbesserung der regionalen Wirtschaftsstruktur“*. Zwischenbilanz einer Erscheinungsform des kooperativen Föderalismus, in: v. Schuster, F. (Hrsg.), *Dezentralisierung des politischen Handels (III)*, =Forschungsberichte der Konrad-Adenauer-Stiftung, Bd. 64), Melle, S. 229ff.

² Karl, H.; Krämer-Eis, H. (1997), S.15.

დიან რეგიონულ პოლიტიკას, არამედ მიმართული იყო რთული სიტუაციების დასაძლევად.¹ რეგიონული პოლიტიკის მთავარ არსს სხვადასხვა რეგიონებში ომის გამო გამწვავებული სიტუაციის გაუმჯობესება წარმოადგენდა², რის გამოც რეკონსტრუქციის პასიური და აქტიური ინსტრუმენტები³, როგორც რეგიონულ-პოლიტიკური ბერკეტები, იქნა გამოყენებული. საქმიანობის კოორდინაცია თავის თავზე აიღო 1950 წელს დაარსებულმა „დასახმარებელი ტერიტორიების საკითხების საერთაშორისო კომისიამ“ (Interministerielle Ausschus für Notstandsgebietsfragen~(IMNOS)), რომლის პასუხისმგებლობითაც ხდებოდა ტერიტორიების არჩევა და რესურსების გაცემა. რადგანაც დასახმარებელი ტერიტორიების არჩევა უმუშევრობის დონის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულთა რიცხვით და ომისაგან გამოწვეული ზიანით ხდებოდა, ფინანსური დახმარება პირველ რიგში გაეწიათ ბევარიას, ქვემო საქსონიას და შლიზვიგ-პოლშტეინს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამო საზღვრების ჩაკეტვამ აუცილებელი გახდა ახალი ხელშესაწყობი რეგიონების, სახელდობრ კი – ზონის განაპირა ტერიტორიების წარმოქმნა. დასახმარებელი და განაპირა ტერიტორიების პროგრამები შეჯამდნენ 1954 წლის ბოლოს „რეგიონული დახმარების პროგრამების“ და „ბუნდეს-მთავრობის“ ქვეშ.

50-იანი წლების ბოლოს, როდესაც სწრაფი ეკონომიკური განვითარების შედეგად მჭიდროდ დასახლებულ სივრცეებში საგრძნობლად გამოიკვეთა ზრდის ტემპები, ბუნდისა და მიწების

ხარაიშვილი, ე. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 156.

² van Suntum, U. (1981): Regionalpolitik in der Marktwirtschaft; (=Monographien der List Gesellschaft eV, Neue Folge, Bd.5), Baden-Baden, S.19

³ რეკონსტრუქციის პასიური ინსტრუმენტები – განსახლების პროგრამები; რეკონსტრუქციის აქტიური ინსტრუმენტები – მაგ. სავადასახადო შეღავათების შემოღება. კრედიტების გაცემა დაფუნდების და გაფართოების მოსურვე საწარმოებს.

ადმინისტრაციის ინტენსიური მუშაობის საფუძველზე, 1959 წელს დაიწყო რეგიონულ-პოლიტიკური ინსტრუმენტების გაფართოება. „ზრდის პოლუსის“ თეორიაზე და კრისტალერის თეორიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა „ცენტრალური ადგილების პროგრამა“, რომელსაც უნდა ეზრუნა ცენტრალური ადგილების განვითარებაზე პერიფერიულ, სუსტი სტრუქტურის მქონე ტერიტორიებზე.¹

60-იან წლებში „ცენტრალური ადგილების პროგრამა“ გამოიყენებოდა როგორც განვითარებისათვის დახმარების ძირითადი საშუალება. თუმცა, ამ დროისათვის უფრო გამოიკვეთა გერმანიის ბუნდესმიწების მმართველობის როლი: ზოგიერთ მათგანს უკვე შეეძლო სივრცობრივ-მიზნობრივი პროგრამების საკუთარი რესურსებით ფინანსირება, ბუნდის რესურსების გამოყენების გარეშე.² ამასთან, ხუთწლიანი ფინანსური პერიოდის კალკულაციების გამოყენებით, განისაზღვრა გრძელვადიანი შესაძლებლობები. დახმარების პოლიტიკის და რესურსების განაწილების მიზნების გაახლებამ გამოიწვია მოქმედების პროგრამების ეფექტურობის ამაღლება, სადაც ისინი ძირითადად დასახმარებელი ტერიტორიების მოთხოვნების მიხედვით იყვნენ შემუშავებულნი.³

რადგანაც ბუნდის რეგიონულ-პოლიტიკური საქმიანობა კონსტრუქციულ-კანონმდებლობრივი თვალსაზრისით პრობლემატურად იქნა მიჩნეული, ბუნდისა და ბუნდესმიწების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე 1969 წელს ჩამოყალიბდა „ერთობლივი დავალება“ „რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესე-

¹ Christaller, W. (1933): Die zentralen Orte in Süddeutschland. Eine ökonomisch-geographische Untersuchung über die Gesetzmäßigkeit bei der Verbreitung und Entwicklung von Siedlungen mit Städtischen Funktionen, Jena; Buttler, F. (1973): Entwicklungspole und räumliches Wirtschaftswachstum, Tübingen; Klemmer, P. (1972): Theorie der Entwicklungspole – Strategisches Konzept für die regionale Wirtschaftspolitik, in: Raumforschung und Raumordnung, Bd. 30, S. 102-107.

² Klemmer, P. (1987), S. 305.

³ Klemmer, P. (1987), S. 305.

ბის“ (GRW) შესახებ. ამ დავალებას საფუძვლად დაედო პარაკრაფი 91, რომლის მიხედვითაც „ერთობლივი დავალების“ განხორციელება დაევალა ბუნდესმიწებს, თუმცა ბუნდი უწევს მათ დახმარებას დაგეგმვასა და საფინანსო საქმიანობებში (მაგ., დანახარჯების ნახევრის გადახდა). მაგრამ „ერთობლივი დავალების“ განხორციელებაზე მხოლოდ და მარტო ბუნდესმიწები აგებენ პასუხს. ასე, რომ „ერთობლივი დავალების“ შექმნით „სეპარატიული“ და „დუალისტური“ ომისშემდგომი ფედერალიზმი, საქმიანობების ასეთი გადანაწილებით ბუნდსა და ბუნდესმიწებს შორის, პრაქტიკულად „კოოპერაციული“ ფედერალიზმით შეიცვალა.¹

GRW უნდა ეთანხმებოდეს ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მიზანი გამოთანაბრების პოლიტიკაა, დიდი ყურადღება ექცევა ასევე ისეთ რეგიონულ-პოლიტიკურ მიზნებს, როგორებიც არიან „რეგიონების კონიუნქტურული და სტრუქტურული სისუსტეების შემცირება და სუსტადგანვითარებულ რეგიონებში რეგიონული ზრდის რეზერვების აქტივაცია“². GRW-ს მიზნების მიღწევის საშუალებას იძლევიან სამწლიანი და მუდამ განახლებადი ზოგადი გეგმები. დასახმარებელი ტერიტორიების სელექტირება ხდება მათი ეკონომიკური ძალის (რომელიც მაგ. მთლიანი გერმანიის საშუალო დონეზე უფრო დაბალია) და განვითარების შეფერხებების (მაგ. მათი კრიტიკული სექტორული სტრუქტურის გამო) მიხედვით.

ზემოთ წარმოდგენილი გერმანიის რეგიონული ეკონომიკური განვითარების ისტორიული ნაწილის შემდეგ შესაძლებელია GAs (Gemeinschaftsaufgabe - „ერთობლივი დავალება“) ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემის მოყვანა, რომლებიც ციფრებით აჩვენებენ

¹ Klemmer, P. (1987), S. 306.

² Karl, H.; Krämer-Eis, H. (1997), S. 19.

განვითარების პროცესს.¹

1972 წლიდან 1989 წლამდე სახელმწიფოსა და ბუნდესმიწების მიერ გერმანიის რესპუბლიკაში „ერთობლივი დაეალებით“ განსაზღვრულ დასახმარებელ რესურსებზე მთლიანად გაიცა 12,3 მილიარდი DM. აქედან ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდა 5,5 მილიარდი DM, ხოლო საწარმოო ინვესტიციების განვითარებას – 6,9 მილიარდი DM. აღსანიშნავია, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ GRW-სთვის გამოყოფილი რესურსები ახალი ბუნდესმიწების განვითარების დონის გათანაბრებისათვის ძველი ბუნდესმიწების დონესთან ერთიანად გაიზარდა.² თუ ეს რესურსები 1990 წლამდე საგრძნობლად, ერთ მილიარდ DM-ზე დაბალი იყო, 1991 წელს მათ თავიანთ მაქსიმუმს მიაღწიეს (11,5 მილიარდი DM).

ნახაზი 1. საწარმოო ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი GRW-რესურსები (1980-1995)




¹ H.; Krämer-Eis, H. (1997), გვ. 42-51 (1980 – 1995 (DM-ში)); Bundesamt für Wirtschaft und Ausfuhrkontrolle, Statistik der Gemeinschaftsaufgabe „Verbesserung der regionalen Wirtschaftsstruktur“ – Gewerbliche Wirtschaft, Bundesrepublik Deutschland nach dem Gebietsstand ab dem 3. Oktober 1990, Bewilligungsbescheide vom 01.01.1991 bis 31.12.2004 (1991 - 2004 (Euro-ში)); Bundesamt für Wirtschaft und Ausfuhrkontrolle, Statistik der Gemeinschaftsaufgabe „Verbesserung der regionalen Wirtschaftsstruktur“ – Wirtschaftsnahe Infrastruktur, Bundesrepublik Deutschland nach dem Gebietsstand ab dem 3. Oktober 1990, Bewilligungsbescheide vom 01.01.1991 - 31.12.2004 (1991 - 2004 (Euro-ში));

² ნახ. 1, ნახ. 2, ნახ. 3 და ნახ. 5.

1994 წლის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო ამ ზრდის შტაბილიზება და როგორც ნახ. 2-დან ჩანს, GRW-ს რესურსები 2004 წლისათვის 1,944 მილიარდ ევრომდე დაეცა. აქედან ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მოხმარებულმა რესურსებმა შეადგინა 0,455 მილიარდი ევრო, ხოლო საწარმოო ინვესტიციების განვითარებისათვის დახარჯული რესურსები 1,489 მილიარდ ევროს გაუტოლდა.

ნახაზი 2. საწარმოო ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი GA-სა და EFRE-ს¹ რესურსები (1991-2004)




საინტერესოა ასევე GRW-რესურსების სტატისტიკა ძველი და ახალი ბუნდესმიწების მიხედვით. 1990-1995 წლების პერიოდის დაკვირვების შემდეგ ნათლად ჩანს (ნახ. 3), რომ კვლავ გაერთიანების შემდეგ ახალი მიწების გათანასწოების გამო GRW-რესურსები უცებ გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში ძველი ბუნდეს მიწებისაგან განსხვავებით (მთლიანად 6,2 მილიარდი DM; საწარმოო ინვესტიციების განვითარებისათვის – 3,9 მილიარდი DM, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის – 2,3 მილიარდი DM) ახლებისთვის 47,9 მილიარდი DM გამოიყო. აქედან 27,6 მილიარდი განკუთვნილი იყო საწარმოო ინვესტიციების

¹ Europäische Fond für regionale Entwicklung (რეგიონული განვითარების ევროპის ფონდი)

წასახალისებლად, ხოლო 20,4 მილიარდი DM კი – ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.


ნახაზი 3. გამოყოფილი GRW-რესურსები ძველი და ახალი ბუნდესმიწების მიხედვით (1980-1995)



1995 – 2004 წლების განმავლობაში (ნახ. 4), მიუხედავად იმისა, რომ ძველი ბუნდესმიწებისთვის გამოყოფილი რესურსები თითქმის უცვლელი დარჩა, აღინიშნა მთლიანი GRW-რესურსების დაცემა. 2004 წელს მთლიანმა დასახმარებელმა რესურსმა შეადგინა 1,945 მილიარდი ევრო, რაც 1994 წელთან შედარებით მისი მიახლოებით 300% კლებას ნიშნავს. ამ რესურსებიდან ახალ ბუნდესმიწებზე 2004 წელს მოდიოდა მხოლოდ 1,699 მილიარდი ევრო, რაც 1994 წელთან შედარებით 300%-იან კლებას ასახავს. ეს კი აჩვენებს, რომ 1995 – 2004 წლების განმავლობაში მთლიანი რესურსების კლება თითქმის მხოლოდ ახალი ბუნდესმიწებისთვის განკუთვნილი რესურსების კლების ხარჯზე მოხდა.


ნახაზი 4. გამოყოფილი GA-სა და EFRE-ს რესურსები ძველი და ახალი ბუნდესმიწების მიხედვით (1991-2004)

საინტერესოა ასევე GRW-ს მიზნების დინამიკა წლების მიხედვით. 1972 – 1989 წლების პერიოდში, ყოველწლიურად, საწარმოო ეკონომიკა და ეკონომიკასთან ახლოს მყოფი ინფრასტრუქ-



ტურაში 3950 მიზანი იქნა განხორციელებული (ნახ. 5). 1990 – 1995 წლების განმავლობაში კი ძველი ბუნდესმიწებისთვის ეს ციფრი 1394-მდე დაეცა. სამაგიეროდ გაიზარდა მთლიანი მიზნების რაოდენობა ახალი ბუნდესმიწების ხარჯზე, 1993 წელს თავის კულმინაციურ მაქსიმუმს მიაღწია და 10078 შეადგინა.


ნახაზი 5. GRW-ს მიზნების ღირებულება (1980-1995)



1993 წლიდან 1995 წლამდე შემთხვევების რაოდენობა ძლიერად დაეცა, რადგანაც GRW-მიზნებმა დაიწყეს ახალ ბუნდესმიწებზე საგრძნობი კლება (ნახ. 6). 1999 წლიდან კი მათი რიცხვი თითქმის უცვლელად ეცემა. 2004 წელს მიზნების რიცხვმა ძველ ბუნდესმიწებზე სულ 447 შეადგინა (საწარმოო ეკონომიკა – 403, ეკონომიკასთან ახლოს მყოფი ინფრასტრუქტურა – 44),

ზოლო ახალ ბუნდესმიწვებზე კი – 2688 (საწარმოო ეკონომიკა – 2321 ეკონომიკასთან ახლოს მყოფი ინფრასტრუქტურა – 367). ეს იმას ნიშნავს, რომ 1999 – 2004 წლებში GRW-ს მთლიანი მიზნები თითქმის 200%-ით შემცირდა.

ნახაზი 6. GA-ს მიზნების დიანამიკა (1991-2004)



ისეთი მონაცემები, როგორებიცაა GRW-ს ინვესტიციების მოცულობა, დამატებით შექმნილი და შენარჩუნებული მუდმივი სამუშაო ადგილები; იძლევიან დამატებით და მნიშვნელოვან ინფორმაციას გერმანიაში რეგიონული ეკონომიკური განვითარების შესახებ. 1991-დან 2004 წ-მდე მთლიანად დამატებით შეიქმნა 915583 მუდმივი სამუშაო ადგილი და შენარჩუნდა 1381117 მუდმივი სამუშაო ადგილი.¹ ამასთან ინვესტიციების მოცულობამ ამ პერიოდისათვის 182,165 მილიარდი ევრო შეადგინა.²

საქართველოს რეგიონები და მათი ეკონომიკური განვითარება. საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია ცვლილებები სახ-

¹ იხ. Bundesamt für Wirtschaft und Ausfuhrkontrolle, Statistik der Gemeinschaftsaufgabe „Verbesserung der regionalen Wirtschaftsstruktur“ – Gewerbliche Wirtschaft, Bundesrepublik Deutschland nach dem Gebietsstand ab dem 3. Oktober 1990, Bewilligungsbescheide vom 01.01.1991 bis 31.12.2004 (1991 - 2004 (Euro-ში))

² იხ. Bundesamt für Wirtschaft und Ausfuhrkontrolle, Statistik der Gemeinschaftsaufgabe „Verbesserung der regionalen Wirtschaftsstruktur“ – Gewerbliche Wirtschaft, Bundesrepublik Deutschland nach dem Gebietsstand ab dem 3. Oktober 1990, Bewilligungsbescheide vom 01.01.1991 bis 31.12.2004 (1991 - 2004 (Euro-ში))

ელმწიფოს რეგიონულ სტრუქტურაში¹ და ეკონომიკაში:

- 1990 გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი;
- 1993 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სეპარატისტების მიერ დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა;
- განისაზღვრა ახალი, დასავლეთზე ორიენტირებული ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებები;
- 1995 წელს საქართველო პრეზიდენტის ბრძანებით დაიყოცხრა მხარედ და ერთ ქალაქად, რომელსაც რეგიონული მნიშვნელობა აქვს (დედაქალაქი თბილისი). ასე, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის² ჩათვლით საქართველო დაყოფილია თორმეტ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეგიონად;

• ეკონომიკური სტრუქტურა არაპროპორციულად ვითარდებოდა, რის გამოც სხვათა შორის წარმოებისა და მონხარების სექტორი ძლიერ შემცირდა;

• 1997 წელს რეგიონული განვითარების რეგულირებისა და მართვისთვის შეიქმნა „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ და მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაციის ცენტრი“;

• გადახდილი და დამუშავებული იქნა „საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ და „დეცენტრალიზირებისა და მუნიციპალური განვითარების პროექტი“.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს რეგიონები და მათი ეკონომიკა განვითარების დაწყებით სტადიაში იმყოფებიან. დღეისათვის არსებობს სახელმწიფო მმართველობის ოთხი ძირითადი დონე³: ცენტრალური, სამხარეო ანუ რეგიონული,

¹ ხარაიშვილი, ე. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 35.

² თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 1993 წლიდან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, ის განიხილება, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

³ იხ. ხარაიშვილი, ე. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 37.

რაიონული და მუნიციპალური.

ასევე პრობლემატურია რეგიონების ეკონომიკური განვითარება. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რეგიონული პოლიტიკა საქართველოში წარმოდგენილი იყო მმართველობის ცენტრალური და რეგიონული დონეებით, სადაც ცენტრალურ დონეს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.¹ მისგან განსხვავებით რეგიონები ძალიან სუსტად იყვნენ წარმოდგენილი და ზოგადად მეორეხარისხიანი როლს თამაშობდნენ.

დღესდღეობით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, რეგიონული პოლიტიკა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც,

- საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ამიტომ რეგიონული წყობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები პრინციპულად სხვაგვარ ყურადღებას იმსახურებენ;

- მმართველობის ადმინისტრაციული სისტემა საბაზრო რეგულირებით შეიცვალა;

- სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება-დაცვამ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა;

- მმართველობის ცენტრალურ და რეგიონულ დონეებს შორის დამოკიდებულება შეიცვალა (რეგიონის როლი საგრძნობლად გაიზარდა);

- ეკონომიკური რეფორმების გატარებისას რეგიონულ თავისებურებებზე ყურადღების მიქცევა აუცილებელი გახდა.²

რეგიონული განვითარების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აღმოიფხვრას ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს შორის ეკონომიკური და სოციალური განსხვავებები. ამისათვის კი აუცილებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური განვითარების ახალი, უფრო ეფექტური მეთოდები. აქ დიდ როლს თამა-

¹ ხარაიშვილი, ე. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 159.

² ხარაიშვილი, ე. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 159.

შობენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნობრივი პროგრამები. ასეთ პროგრამებს შეუძლიათ, სახელმწიფო პოლიტიკასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დროის მოკლე მონაკვეთში დაძლიონ რეგიონების სტრატეგიული განვითარების პრობლემები.¹

2002 წელს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის ბრძანებულების² მიხედვით დამუშავდა 170 სახელმწიფო პროგრამა და მათ დასაფინანსებლად მოთხოვნილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 688,3 მილიონი ლარი.³ მაგრამ, როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, რეგიონული პროგრამების დაფინანსება მხოლოდ 1,9 მილიონ ლარს შეადგენს, რაც დაახლოებით სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მთლიანი დაფინანსების მხოლოდ 0,27%-ია. ეს ფაქტი ააშკარავებს იმას, რომ რეგიონული პოლიტიკის, როგორც რეგიონული პროგრამების ფინანსირებას, არ ექცევა საკმარის ყურადღება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება რეგიონული პროგრამების რეალიზირების მხრივ ძალიან არაადეკვატურად იქცევა – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისში რეგიონები იყენებდნენ ეკონომიკურად ძალიან სუსტი და პასიური, რაც დღეისათვის ჩამოყალიბებულ მძიმე სოციალურ პირობებზე შეიმჩნევა.

ცხრილი 1. საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ძირითადი პროგრამები (2002)

რეგიონული პროგრამების შემუშავების კუთხით ძალიან დიდ როლს თამაშობს დოკუმენტი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის შესახებ“. ეს დოკუმენტი უნდა გახდეს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-

იხ. ხარაიშვილი, ე. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 171.

² იხ. პრეზიდენტის 771-ე ბრძანებულება (24 დეკემბერი, 1998).

³ ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო (2001): საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა. 2002, თბილისი, გვ. 167.

პროგრამის დასახელება	დაფინანსება (მილიონი ლარი)
ჯანდაცვა	66,9
სოციალური დახმარება	328,4
განათლება	9,8
სპორტი	6,1
ხელოვნება	3,3
კვლევა და განვითარება	1,9
ბუნების დაცვა	0,779
სოფ. მეურნეობის განვითარება	28,6
მშენებლობა	5,4
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	3
ინდუსტრია	0,69
სახელმწიფო დახმარება მცირე და საშუალო საწარმოებზე	20
ქუჩების რეკონსტრუქცია	15,8
გეოლოგია და კარტოგრაფია	3,6
ძალოვანი სტრუქტურები	29,2
რეგიონული პროგრამები	1,9

წყარო: ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო (2001): საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა. 2002, თბილისი

ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომლის უმნიშვნელოვანესი მიზნებიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია წარმოების განვითარებისათვის საჭირო ეკონომიკური რეფორმების სწრაფი გატარების უზრუნველყოფა, უმუშევრობის რეგულირება არსებული სამუშაო ადგილების უფრო ეფექტური გამოყენებით და ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, ეკონომიკის ოპტიმალური

სტრუქტურების ჩამოყალიბება და ეფექტური და ბუნებრივი, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობის ფარგლებში სრული გამოყენება.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აუცილებელია ზუსტად იმ პროგრამების განსაზღვრა, რომლებიც არა მარტო მთლიანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემებს, არამედ მისი რეგიონების პრობლემების გადაჭრასაც შეძლებენ. ამით შესაძლებელია, პირველ რიგში, მთლიანი საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სიღარიბის ზღვარის მინიმიზაცია.

ინვესტიციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ რეგიონული განსხვავებების აღმოფხვრაში და საერთოდ ისინი ზრუნავენ რეგიონული ეკონომიკური განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ თეორიაში ინვესტიციების რეგულირებისა და ეფექტურობის ამაღლებაზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა და განვითარებულ ქვეყნებში მრავალგზის პოზიტიურად აპრობირებული ინსტრუმენტი არსებობს, ინვესტიციები საქართველოსთვის ძაინც პრობლემატურ საკითხად რჩება.¹

ცხრილი 2. ეკონომიკური და საინვესტიციო კრიზისის ინდიკატორები საქართველოში

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, საინვესტიციო კრიზისი ეკონომიკურთან შედარებით გაცილებით ფართომასშტაბიანი და პრობლემატურია. 1994 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 1998 წელს მიღწეულ დონესთან შედარებით 27,8% შეადგინა. ამაღროულად ინვესტიციებმა მხოლოდ 2,8% მიაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ წლებში ამ ინდიკატორების სიდიდეები მუდმივად იზრდებოდა, არსებული სურათი ძალიან უმნიშვნელოდ შეიცვალა: 1999 წელს მშპ-მა 37,6%, ხოლო ინვესტიციებმა 5,7% შეადგინა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, თუ რაოდენ

¹ იხ. ზარანდია, ჯ. (2002): საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბილისი, გვ. 87.

ინდიკატორი	1998	1994	1995	1996	1997	1998	1999
მშპ	100	27,8	28,7	31,5	35,5	36,5	37,6
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	100	15,6	13,6	14,2	15,4	15	15,8
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	100	49,2	55,6	58,9	64,8	59,6	62,9
ინვესტიციები	100	2,8	2,9	3,4	6,3	13,4	5,7

წყარო: ზარანდია, ვ. (2002): საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბილისი, გვ. 89.

დიდია საინვესტიციო კრიზისი საქართველოში.

ორივე ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარების შედარება. ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს რომ, გერმანიისა და საქართველოს სახელმწიფო და რეგიონული სექტორები განვითარების მეტად განსხვავებულ დონეებზე იმყოფებიან. გერმანია უკვე მაღალგანვითარებული, ინდუსტრიული ქვეყანაა, ხოლო საქართველომ მხოლოდ დაახლოებით 15 წლის წინ დაიწყო დამოუკიდებლად საკუთარი განვითარება.

პირველი ასპექტი, რაც საქართველოში დღეისათვის საკმაოდ პრობლემატურია, არის სახელმწიფო წყობა. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო წყობას ფედერალური მიმართულება მიეცა და იგი 12 მხარედ (რეგიონად) დაიყო, აქტუალურ ლიტერატურაში¹ მაინც არსებობს დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორი წყობა უნდა არსებობდეს საქარველოში: უნიტარული თუ ფედერალური. საქართველოსაგან განსხვავებით, გერმანია არის ფედერალური სახელმწიფო, სადაც ყველა მოქმედება არა სახელმწიფო წყობისაკენ, არამედ მისი და მისი რეგიონების

¹ ზარაიშვილი, ვ. (2004): რეგიონული ეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 39.

(ბუნდესმიწების) განვითარებისკენ არის მიმართული. ისიც არის გასაგები, რომ ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი მაქსიმალური და წარმატებული განვითარებისათვის საქართველოსთვის ოპტიმალური სისტემის შემუშავებას ცდილობს, მაგრამ რადგანაც ე. წ. „რეგიონები“ ქვეყანაში უკვე ათასწლეულების განმავლობაში არსებობენ, რადგანაც 1995 წელს ეს მიმართულება კიდევ ერთხელ იქნა ამორჩეული და რადგანაც გერმანიისა და სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, რომლებიც მეტწილად ფედერალური არიან, ეს წყობა ძალიან წარმატებული გამოდგა. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონული განვითარება, ქვეყნის ფედერალური მოწყობის საფუძველზე.

თუ მოხდება ორივე ქვეყნის რეგიონული განვითარების შედარება, შევამჩნევთ, რომ საქართველოს რეგიონები განვითარების 'ხუსტად იმ ფაზაში იმყოფებიან, როგორშიც იმყოფებოდნენ გერმანიის რეგიონები დაახლოებით 50 წლის უკან. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში არ ხდება დასახმარებელ რეგიონებზე რეაგირება, როგორც ეს მაშინ გერმანიაში ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სხვადასხვა პროგრამა და პროექტი დამუშავდა და განხორციელდა, რეგიონები ძირითადად მაინც რთულ და დასახმარებელ სიტუაციაში იმყოფებიან, რადგანაც ეს პროგრამები და მათი დაფინანსება სრულიადაც ვერ ყოფნის რეგიონული განსხვავებების აღმოფხვრას. ამით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო განიცდის ნამდვილი მიზანძიმართული პროგრამების ნაკლოვანებას, რომლებსაც, თავის მხრივ, მიზანდასახულად შეუძლიათ სხვადასხვა რეგიონული პრობლემის გადაჭრა და აღმოფხვრა.

როგორც უკვე აღინიშნა, 1969 წლიდან გერმანიაში ფუნქციონირებს „ერთობლივი დავალება“ „რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესების“ შესახებ. ამასთან, GRW-ს მთლიანად ბუნდესმიწები აკონტროლებენ, თუმცა ბუნდესმმართველობა ახდენს მის დაგეგმვას და დაფინანსებას ბუნდესმიწებთან ერთად. GRW-ს გააჩნია სხვადასხვა ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით

თაც ის რეგიონული ეკონომიკური განვითარების წინსვლას უწყობს ხელს. GRW-ში სხვადასხვა მოქმედებები ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, რაც სხვათა შორის ხელს უწყობს ინვესტიციების საჭირო განაწილებას. ამისგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს არანაირი წინასწარ განსაზღვრული გეგმა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ინვესტიციების განაწილება რეგიონებს შორის. ამასთან, ცენტრალური და რეგიონული ბიუჯეტების მონაწილეობა არასტაბილური და არაადაპტაყოფილებელია.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარება გერმანიისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ საწყის სტადიაში იმყოფება. შედარებაზე დაყრდნობით შეიძლება გამოტანილი იქნას დასკვნა, რომლის მიხედვითაც ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს კონსტრუირება, მიზან-მიმართული პროგრამების ჩამოყალიბება-შემუშავება და დავალებების გადანაწილება მართვის სხვადასხვა დონეებზე საქართველოს რეგიონული ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად შეიძლება ჩაითვალოს.

20. ინოვაციური პოლიტიკის რევიზიული

ასპექტები

გლობალიზაციის პროცესი იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ამა თუ იმ სახელმწიფომ დროულად ვერ შეძლო თავის ადგილის მონახვა, ჩამორჩენილობის დაძლევა კი უპერსპექტივო ამოცანად გადაიქცა. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდის შემთხვევაში, მსოფლიოში დიფერენციაციის ზრდა არა მარტო კაპიტალის და სხვა რესურსების სხვაობის მიხედვით ხდება, არამედ დაგროვილი ცოდნის დონის გამო, ხოლო ცოდნის დეფიციტის დაძლევა საკმაოდ რთული ამოცანაა.

განვითარებადმა ქვეყნებმა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევისათვის მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შექმნის, მისი გადაცემის და ათვისების მწყობრი მექანიზმი. ცოდნის შექმნის ამოცანები უნდა მოიცავდნენ მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად. სახელმწიფოს ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, კერძოდ, ეროვნული სტრატეგიის განსაზღვრა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დასაძლევად, ნორმატიული და სამართლებრივი გარემოს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სისტემის შექმნა, ხარისხიანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გენერაციის ცენტრების ჩამოყალიბება და სხვა.

სპეციალისტების შეფასებით მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის მოცულობამ 2300 მლრდ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნული ბაზრის უზრუნველყოფა ხდება დაახლოებით 50 მაკროტექნოლოგიით. მხოლოდ 7 განვითარებულ ქვეყანას გააჩნია 46 მაკროტექნოლოგია, რომელთა საშუალებით აკონტროლებენ მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზრის 80%.

ამიტომ განვითარებული ქვეყნებისათვის უპირველეს ამოცანას გლობალიზაციის პროცესში წარმოადგენს ისეთი დარგების პრი-

ორიტიტული განვითარება, რომლებიც აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას ინტელექტუალური შრომის მაღალი მონაწილეობით.

ახალი ცოდნის შექმნა ხდება აღწარმოების პროცესის საფუძვლად, ხოლო განვითარებული ეკონომიკა გარდაიქმნება ახალ ტექნოლოგიურ ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკად.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარდაქმნები იმ ქვეყნებში, სადაც მიმდინარეობს ეკონომიკის ტრანსფორმაცია, რის გამოც, როგორც წესი, ადგილი აქვს წარმოების ვარდნას და ინტერესის მნიშვნელოვან დაქვეითებას საინოვაციო ღონისძიებისადმი. საინოვაციო კრიზისი აძლიერებს ეკონომიკის კრიზისს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საინოვაციო პროცესების მართვა უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ანტიკრიზისულ პროგრამაში.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის სწრაფი განვითარების, ბაზრის ლიბერალიზაციის და კონკურენციის გამძაფრების პირობებში, ინოვაციები წარმოადგენს წარმატების მთავარ ფაქტორს. ამიტომ გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის დამუშავება რეალური პრიორიტეტების დადგენით, ამ საქმიანობაში სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების მოღვაწეობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, შესაბამისი სამართლებრივი სისტემის და ინფრასტრუქტურის შექმნა და სხვა. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნებისათვის, ვინაიდან იგი საწარმოო ურთიერთობების და შრომის მოტივაციის ცვლილებების, სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე უნდა განხორციელდეს.

ინოვაციური პროცესების დაჩქარებისა და გამოყენების საკმაოდ დიდი საერთაშორისო გამოცდილებაა დაგროვილი. კერძოდ, სამეცნიერო-საკვლევო პარკების (აშშ), ტექნოლოგიათა ინკუბატორების (ისრაელი), ტექნოლოგიური პარკების (გერმანია), ტექნოპოლისების (იაპონია) შექმნამ მთელ რიგ ქვეყნებში მყარი

საფუძველი ჩაუყარა ინოვაციათა ფართო მასშტაბით გამოყენებას.

სწორედ ინოვაციათა გამოყენების საქმეში, გლობალიზაცია უქმნის ხელსაყრელ გარემოს იმას, ვინც მზად არის გამოიყენოს განვითარებული ქვეყნების მიღწევები.

ამჟამად სწრაფად მიმდინარე ინტერნეტის კომერციალიზაციის პროცესმა საფუძველი შეუქმნა „ელექტრონულ ბაზარს“ და პრინციპში ახალ ეკონომიკას.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელ მოვლენად იქცა ეროვნული საინოვაციო სისტემების (ესს) შექმნა. ესს-ბი წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციების და სტრუქტურების ერთობლიობას, დაკავშირებულს ახალი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის შექმნისა და მათი კომერციალიზაციის პროცესით.

ამგვარ ერთობლიობაში იგულისხმება მცირე ან მსხვილი კომპანიები, უნივერსიტეტები, სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებები, ტექნოპარკები ან ინკუბატორები. ეროვნული საინოვაციო სისტემების ფორმირება ხდება ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ფაქტორების ზეგავლენით, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, სამეწარმეო საქმიანობის ტრადიციების და სხვათა გათვალისწინებით. ამიტომ ცალკეულ ქვეყანაში საინოვაციო სისტემას გააჩნია გარკვეული ეროვნული კონფიგურაცია, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტებს მსხვილი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად.

ამ პროცესში სახელმწიფო ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის, რომელიც მოიცავს აუცილებელ ღონისძიებათა კომპლექსს. ამგვარი გამოცდილების ფონზე თუ შევაფასებთ ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სფეროში, საკმაოდ მძიმე

სურათი წარმოგვიდგება.

ქვეყანას არ გააჩნია სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების არც სამეცნიერო პროგნოზი და არც პროგრამა ორიენტირებული ეროვნულ პრიორიტეტებზე.

მეცნიერებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების 90%-ზე მეტი განკუთვნილია ფუნდამენტური კვლევებისათვის იმ დროს, როდესაც უმრავლეს ქვეყნებში ეს მაჩვენებელი არ აღემატება 30-50%. წლების განმავლობაში, ჩვენ ვხედავთ, როდესაც უამრავი კონცეფციების და პროგრამების შედგენა გადაიქცა რეალური მოქმედების იმიტაციად და კონკრეტული ღონისძიებების ჩატარების გადადების მიზეზად, რის გამოც საზოგადოებაში ყალიბდება ნიჰილიზმი და უნდობლობა კონცეფციებისა და პროგრამების მიმართ.

სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში არსებული მდგომარეობის დაძლევა და ეკონომიკის ინოვაციური მიმართულებით წარმართვისათვის აუცილებელია სახელმწიფოს გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა, რომელიც მიმართული იქნება ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, თანამედროვე საინოვაციო ტექნოლოგიების და მართვის გამოცდილების ათვისებისაკენ.

ის ქვეყნები, რომლებიც ვერ შეძლებენ განვითარების თანამედროვე ტექნოლოგიური დონის უზრუნველყოფას, აღმოჩნდებიან ღრმა დამოკიდებულებაში მსოფლიოს სხვადასხვა საფინანსო და საინფორმაციო ცენტრებისაგან და შეინარჩუნებენ მხოლოდ ბუნებრივი და ადამიანური რესურსების წყაროს განვითარებული ქვეყნებისა და ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ არის განხილული გლობალიზაციის შუქ-ჩრდილოვანი მხარეები. გამახვილებულია ყურადღება ამ პროცესის ისეთ ასპექტებზე, რომლებიც უშაულოდ არიან დაკავშირებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პრობლემებთან. ნეგატიური შედეგების აცილების ან შემსუბუქებისათვის, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია, პროგრესული სტრუქტურის მქონე ეკონომიკის შექმნა და მისი ფუნქციონირება. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელო-

კანია მცირე განვითარებადი ქვეყნებისათვის, რათა შეიმუშავონ ოპტიმალური ეროვნული ტრაექტორია გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობისათვის.

ასეთ ქვეყნებში სასაქონლო და რესურსული ბაზრების უმრავლესობა დეფორმირებულია, მოხმარება და წარმოება დაუბალანსებელია, მიმდინარეობს საზოგადოების სტრუქტურის რადიკალური გარდაქმნები და სხვა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება, რომლის აუცილებლობას დირექტიულად ითხოვდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, სასტარტო პირობების სერიოზული განსხვავების გამო ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. არ იქნა კარგად გაანალიზებული პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება ეკონომიკური ტრანსფორმაციის საქმეში, არც სათანადოდ შესწავლილი სამამულო სამეცნიერო ძალების წინადადებები ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

მატერიალური წარმოების სფეროში არ არის განსაზღვრული ტექნოლოგიური განვითარების მსხვილი პერსპექტიული პრიორიტეტული ამოცანები, რის გამოც დეფორმირებულია ეკონომიკის სტრუქტურა.

ევროკავშირმა შეიმუშავა პრეტენდენტი ქვეყნებისათვის ცნობილი კოპენჰაგენის კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმების მოთხოვნებისა და საქართველოს შესაბამის ფაქტიური მაჩვენებლების შედარება გვიჩვენებს, რამდენად დაცილებულნი არიან ისინი.

რა საშუალებებით და რა დროში იქნება შესაძლებელი ევროკავშირის მოთხოვნათა მიღწევა, წარმოადგენს ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ამოცანას.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია ქვეყნის განვითარების მკაფიოდ დასაბუთებული პრიორიტეტების განსაზღვრა და რევიონების როლის ამაღლება ამ საქმეში. მთავარი პრიორიტეტების განსაზღვრისათვის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ეროვნული სიბიძრის შეფასება გაეროს სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე.

ეროვნული სიმდიდრის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბუნებრივი რესურსების გონივრულ გამოყენებას. კერძოდ, მინერალური წიაღისეულის (საბაზრო მოთხოვნების და არსებული მარაგების გათვალისწინებით), მიწის, წყლის და რეკრეაციული რესურსების, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, შრომისუნარიანი მოსახლეობის აქტიური ნაწილის სამეწარმეო უნარის გამოყენებას. მინერალური წიაღისეულის მოძიებული მარაგებისა და საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მიეცეს მანგანუმის მადნიდან ფეროშენადნობების წარმოებას არსებული სიმძლავრეების სრული გამოყენებით, მადნულის სპილენძის კონცენტრატების გადამუშავებას სპილენძის მზა ნაკეთობათა მიღების, ოქროსშემცველი კვარციდებიდან კონდიციური ოქროს და არა ნახევარფაბრიკატის წარმოებას, ბეტონიტური თიხების და ცეოლიტის, ბუნებრივი სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების თანამედროვე ტექნოლოგიურ ღონეზე მოპოვებასა და გადამუშავების ორგანიზაციას.

ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალური გამოყენებით და საექსპორტო შესაძლებლობათა გათვალისწინებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებას, მეხილეობასა და მრავალპროფილიან საკონსერვო მრეწველობას. შიგა ბაზრისათვის იმპორტირებული პროდუქციის შემცირების თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მარცვლეულის (პირველ რიგში ხორბლის), ხორცის, რძისა და რძის პროდუქტების, ცხიმულის და მეფრინველეობის პროდუქციის წარმოების ზრდას.

პრაქტიკულად არ არის გამოყენებული მიწისქვეშა მტკნარი წყლების და საყოველთაოდ ცნობილი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. ბუნებრივი რესურსების გამოყენება უნდა დაექვემდებაროს კონკრეტულ გაანგარიშებებს მარკეტინგული გამოკვლევების საფუძველზე და არა დეკლარაციულ განცხადებებს და დაუსაბუთებელ გეგმებს, კონცეფციებსა და „ფსევდო“ პროგრამებს.

სწორედ ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, შიგა ბაზრის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის, იმპორტჩანაცვლების აქტიური პოლიტიკის გატარებისათვის და მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი ზრდისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების რეალური ხელშეწყობა.

პრიორიტეტების სამეცნიერო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა უნდა გადაიქცეს ქვეყნის ეკონომიკის მთავარ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრიორიტეტებად, რათა შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის დასაქმება და მათი მძიმე სოციალური მდგომარეობის რეალური გაუმჯობესება.

აღნიშნული სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ ქვეყნის რეგიონებმა. უდავოა, საქართველოს გეოსტრატეგიული მდებარეობის გამოყენებას საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემების და ენერგორესურსების მილსადენების ორგანიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი როლი გააჩნია, მაგრამ არსებული მდგომარეობის შეფასებისას ამ ფაქტორმა მთლიანად დაჩრდილა ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტები, რაც არ მიგვაჩნია მართებულიად.

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საინოვაციო საქმიანობა უაღრესად დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მარაგები და სხვა, უკიდურესად სუსტია ორიენტაცია საინოვაციო საქმიანობის, სამეცნიერო მიღწევების წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში რეალიზაციაზე.

საინოვაციო პროცესის განხორციელების ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო წყაროებით ფინანსირების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების შეზღუდულობასთან. წარმოების მოცულობების შემცირებისა და საწარმოების დაფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში

შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა საინოვაციო საქმიანობისათვის. საინოვაციო აქტივობის განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევიან ის დარგები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, როგორცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, საშენ მასალათა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სამაშულო სამომხმარებლო საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, რომელსაც თან ახლავს იმპორტის ინტერვენცია, მეტად დაბალია წარმოების, მისი ტექნოლოგიურობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დონე. იმ დარგების რიცხვს, რომელთაც საინოვაციო აქტივობის სასურველი დონე გააჩნიათ, მიეკუთვნება ფერადი მეტალურგია, კვების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მათ პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნილებაა როგორც შიდა, ასევე გარე ბაზარზე.

საინოვაციო საქმიანობის თვალსაზრისით, მეტნაკლებად აქტიურნი რჩებიან მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპლექსში წარმოების დაცემა ძალიან დიდია, ხოლო საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა – რთული.

საინოვაციო საქმიანობის მდგომარეობა და მისი აქტივობის დაქვეითების მიზეზები მეტნაკლებად ანალოგიურია საქართველოს ეკონომიკის სხვა სფეროებშიც. ფინანსური საშუალებების დეფიციტი საინოვაციო აქტივობის დაქვეითების მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორია. ქვეყანა დაადგა საბაზრო რეფორმების გზას, საინოვაციო სფერო კი ახალ პირობებში მუშაობისათვის მოუშადადებელი აღმოჩნდა. ბაზრის ფორმირების პროცესს და მოთხოვნილებებს ჩამორჩება საინოვაციო პროდუქტის წარმოება, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი დამუშავებები ყოველთვის არ გადაიქცევა საინოვაციო პროდუქტად, რომელიც მზად იქნება წარმოებაში ჩასაშვებად და ეფექტიანი რეალიზაციისათვის. ამასთან, არსებობენ სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და გადაცემაში, ლიცენზირებასა და სერთიფიცირებაში და ა.შ. მეტ ყურადღებას

და სრულყოფას საჭიროებს საინოვაციო საქმიანობის საინვესტიციო მექანიზმიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში აუცილებელია არსებითად გააქტიურდეს ინოვაციური საქმიანობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებითა და ეტაპობრივი რეალიზაციით უნდა განხორციელდეს. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს არა ერთი მაგალითი იმისა, როცა ქვეყნის ხელისუფლების ქმედითი ღონისძიებების გატარების შემდეგ ხდებოდა ეკონომიკური მაჩვენებლების სწრაფი ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

საინოვაციო საქმიანობის მართვა წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ სფეროს, რომელიც მიმართულია მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების გზით, უზრუნველყოს ინოვაციური მიზნის მიღწევა. ქვეყნის ეკონომიკის ძირეული რეფორმირების პირობებში, როდესაც ინოვაციები როგორც მაკრო, ასევე მეზო და მიკრო დონეზე ყველა სტრუქტურის საქმიანობის განუყოფელი ელემენტი ხდება, საინოვაციო საქმიანობის მართვაში მეცნიერული მეთოდების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას იძენს.

საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია ინოვაციების მზარდი მნიშვნელობით ეკონომიკისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდა დაფუძნებულია ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების კომპლექსზე. თანამედროვე ეტაპზე, პროდუქციის გამოშვების ზრდა, წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების გაზრდისა და ეკონომიკურ ბრუნვაში ახალი ბუნებრივი რესურსების ჩართვის საფუძველზე, სულ უფრო შეზღუდული ხდება. ეკონომიკური ზრდისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ინტენსიური ფაქტორები. თავის მხრივ, კადრების კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების ზრდა, აგრეთვე,

ფონდუკუვების ამაღლება განისაზღვრება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებით, მოწინავე გამოცდილებებითა და მათი მეურნეობაში გამოყენების ხარისხით, მაშასადამე, სიახლეთა გავრცელებით. მტკპ-ის წვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის მატებაში სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში შეადგენს 75-დან 100%-მდე. ამგვარად, ინოვაციების საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირითად ასპექტს წარმოადგენს მათი გადამწყვეტი ზემოქმედება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

საინოვაციო საქმიანობის გავლენით იცვლება აგრეთვე ეკონომიკის სტრუქტურა. რესურსების ეფექტიანი გამოყენების კვალობაზე ხდება მათი ნაწილის გამოთავისუფლება და ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროებში გადანაწილება. მაგალითად, როდესაც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება, პარალელურად მატულობს დასაქმების დონე მომსახურების სფეროში. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება საქართველოშიც. ამგვარად, ინოვაციები უშუალოდ ზემოქმედებენ ერთი დარგიდან მეორეში რესურსების გადანების პროცესზე. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ ინოვაციების ისეთ საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტორზე, როგორცაა ზემოქმედება საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე.

ინოვაციები აგრეთვე ცვლიან საზოგადოების ეკონომიკურ ორგანიზაციას. ჩნდებიან სამეურნეო სტრუქტურის ახალი ელემენტები (მაგალითად, ვენჩურული ფირმები). ხდება ცვლილებები საკუთრების სხვადასხვა ფორმათა სტრუქტურასა და რეალიზაციაში. ვითარდება მართვის ტექნოლოგიები. სახეცვლილებას განიცდის თვით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკა. ამდენად, მნიშვნელოვანი გავლენა ინსტიტუციურ ეკონომიკურ მექანიზმებზე წარმოადგენს ინოვაციების კიდევ ერთ საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ასპექტს.

თანამედროვე მსოფლიოში საინოვაციო საქმიანობის ინტენ-

სივობამ განსაკუთრებით გაამწვავა ეკოლოგიური პრობლემები. სხვადასხვა მიმართულებით ეკოლოგიური სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ამდენად, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები საშუალებას იძლევა შემცირდეს ამოწურვადი რესურსებისა და მანე ნარჩენების გამოყენება წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურის რაციონალიზაციის, აგრეთვე, ნარჩენების გადაამუშავებელი ტექნოლოგიების გავრცელების კვალობაზე. შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ ინოვაციების ისეთ საერთოსახელმწიფობრივ ასპექტზე, როგორცაა მისი გავლენა გარემოზე.

საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა განპირობებულია არა მხოლოდ მათი საერთოეროვნული მნიშვნელობით, არამედ, აგრეთვე, მათი ეკონომიკური არსით. თანამედროვე ეტაპზე საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების შემდეგი ძირითადი მიმართულებები შეიძლება გამოვყოთ:

— სახსრების აკუმულირება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დასაფინანსებლად. რესურსების აუცილებელი კონცენტრაცია შესაძლოა მიღწეულ იქნეს როგორც ბიუჯეტიდან გადანაწილების საერთო მექანიზმის მეშვეობით, ასევე, სპეციალური ფონდების ფორმირებით. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯზე ინოვაციური პროცესების დაფინანსების მეშვეობით, არამედ, აგრეთვე, რესურსების კერძო, აქციონერულ, შერეულ, ერთობლივ (საერთაშორისო) სტრუქტურებში აკუმულირების ხელშეწყობით. სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს როგორც ფინანსური, ასევე ინოვაციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინტელექტუალური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრირება;

— საინოვაციო საქმიანობის კოორდინაცია. სახელმწიფოს წინაშე ღვას ინოვაციური პროცესების საერთო სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრის ამოცანა. ამ ამოცანის გადასაჭრელად სახელმწიფო ხელს უწყობს სხვადასხვა ინსტიტუტის კოორდი-

ნაციასა და ურთიერთკავშირს ინოვაციების განხორციელების პროცესში. სახელმწიფო სტრუქტურები აყალიბებენ ერთიან ტექნოლოგიურ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციების შეთავსებას. აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს კოორდინაცია დროით ასპექტში, რომელიც ახდენს ინოვაციების სინქრონიზებას ტექნოლოგიური ჯგუფისა და ინოვაციური ციკლის სტადიების მიხედვით, ანელებს ინოვაციური პროცესის ციკლურობას;

— ინოვაციების სტიმულირება. ამ შემთხვევაში ცენტრალური ადგილი უკავია კონკურენციის ხელშეწყობას, აგრეთვე ინოვაციური პროცესების მონაწილეთა ფინანსურ სუბსიდირებასა და სხვადასხვა შეღავათს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური რისკების მთლიან ან ნაწილობრივ სახელმწიფო დაზღვევას. სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს სამეურნეო სუბიექტებზე „ინოვაციური ზეწოლა“ მოძველებული პროდუქციის გამოშვების ან მოძველებული ტექნოლოგიების გამოშვებაზე სანქციების დაწესებით;

— ინოვაციური პროცესის სამართლებრივი ბაზის შექმნა. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აუცილებელი კანონმდებლობის ფორმირება, რომელიც სტაბილურობასა და ტექნოლოგიური ცვლილებების შესაბამისად თავისდროულ კორექტირებას უზრუნველყოფს, არამედ რეალურად მოქმედი მექანიზმების შექმნა, რომლებიც მათ დაცვას უზრუნველყოფენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის შემქმნელებისა და ინოვატორების უფლებების სახელმწიფო დაცვა, მაშასადამე, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლების დაცვა;

— ინოვაციების საკადრო უზრუნველყოფა. სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში სპეციალური სწავლების პროგრამების არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც ინოვატორების შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას, ასევე სპეციალისტების მიერ ინოვაციების აღქმის პროცესს. აუცილებელია სწრაფვა უნივერსალური და სპეციალური ცოდნის მიღწევის ბალანსირე-

ბისაკენ, აუცილებელია მუდმივი თვითგანათლების ჩვევების ფორმირება მთელი აქტიური ცხოვრების მანძილზე;

– მეცნიერულ-ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება. სახელმწიფო უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემების მოქმედებას – რომელიც სიახლეთა გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. სახელმწიფო ინოვატორებს ეხმარება სხვანაირადაც: იურიდიულად, საქმიანად, კონსულტაციურად და სხვა. სახელმწიფო აგრეთვე შეიძლება გამოვიდეს ინოვაციური სუბიექტების შუამავლად, ხელი შეუწყოს მათ პარტნიორების ძიებაში, ხელშეკრულებების გაფორმებაში სახელმწიფო გარანტიით და სხვა;

– ინოვაციური პროცესების ინსტიტუციური უზრუნველყოფა. აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება სახელმწიფო ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ასრულებენ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს და ახორციელებენ სიახლეთა დანერგვას სახელმწიფო სექტორის დარგებში (თავდაცვა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა). სახელმწიფო აგრეთვე უწყობს ხელს ეკონომიკაში ორგანიზაციული სტრუქტურების გავრცელებას, რომლებიც ყველაზე უფრო ეფექტიანია ინოვაციების წარმოებისა და დანერგვის თვალსაზრისით (მსხვილი კორპორაციები, მცირე ბიზნესი და სხვა);

– ინოვაციების სოციალური და ეკოლოგიური რეგულირება. ერთი მხრივ, სახელმწიფო მოწოდებულია აღმოუჩინოს განსაკუთრებული მხარდაჭერა ისეთ ინოვაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ სტაბილურობასა და ეკოლოგიურ წონასწორობას. მეორე მხრივ, მხოლოდ სახელმწიფო დონეზეა შესაძლებელი ისეთი ნეგატიური ზემოქმედებების თავიდან აცილება და ნეიტრალიზაცია, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთანაა დაკავშირებული;

– ინოვაციური საქმიანობის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება. სახელმწიფო ორგანიზებას უკეთებს ინოვაციებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პროპაგანდას, ინოვატორების

მორალურ წახალისებას, უზრუნველყოფს მათ სოციალურ დაცვას და ა.შ.;

– ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები ხელს უწყობენ რეგიონის საინოვაციო რესურსების ყველაზე სრულ რეალიზაციას. მათ შორის სხვადასხვა რეგიონული პრეფერენციის (საგადასახადო შეღავათები და სხვა) მეშვეობით. სახელმწიფო ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის რაციონალურ განთავსებას. როგორც წესი, ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურები მიისწრაფვიან ქვეყნის ტერიტორიების მიხედვით ინოვაციების გავრცელების პირობების გამოთანაბრებისაკენ;

– ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ასპექტების რეგულირება. სახელმწიფო, არჩეული საერთოეკონომიკური და ინოვაციური სტრატეგიის ფარგლებში ასტიმულირებს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ კოოპერაციას, აგრეთვე არეგულირებს ინოვაციების საერთაშორისო ტრანსფერებს.

წარმოების ინფორმაციული ბაზისა და მეცნიერულ-ტექნიკურ ცვლილებებთან მიმართებაში, მართვის ხარისხობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ცოდნის ახალი ფუნქციისა და მართვის მექანიზმის წარმოქმნა. საუბარია ინტელექტუალური კაპიტალის აკუმულირებაზე. საწარმო და ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური ცვლილებების პირობებში, ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება და მზარდი პროფესიონალური კომპეტენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ცხოველქმედობასა და წარმატებულ განვითარებას.

ადამიანური კაპიტალის თეორიის აღმოცენებამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არანავითობრივი დაგროვების მზარდი როლი განაპირობა. ადამიანური კაპიტალის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ყველა მწარმოებლური უნარის ერთობლიობა, მაშასადამე ეს ცნება მოიცავს ცოდნისა და ჩვევების შეძენას, აგრეთვე – ეკონომიკური კეთილდღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ენ-

ერეკისა და მოტივაციას.¹ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ძირითად ფორმებს მიაკუთვნებენ: განათლებას, აღზრდას, ჯანდაცვას, აგრეთვე დანახარჯების მთლიან კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მოსამზადებლად წარმოებაში ჩართვისათვის. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად მისი ფორმირება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს როგორც თვით ადამიანისაგან, ასევე მთლიანად საზოგადოებისაგან. ბუნებრივია, რომ ამგვარი დანახარჯები არ იქნებოდა გაწეული, თუ იგი ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფრო მაღალ შემოსავლებს. ამგვარად, ადამიანური კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და მომავალში უფრო მაღალი შემოსავლის წყარო გახდეს.²

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის სტიმულირებისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს ტრანსფერტები, რომელთა მოცულობა მიზანშეწონილია განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:³

$$T=S-H1+H2+H3$$

სადაც, T არის ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონისთვის გადასაცემი ტრანსფერტების მოცულობა; S – ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ გასაწევი აუცილებელი (მინიმალური) ხარჯების მოცულობა; H1 – ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით მიღებული შემოსავალი; H2 – ადგილობრივი არასაგადასახადო შემოსავალი; H3 – გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით მიღებული შემოსავალი.

როცა $S=H1+H2+H3$, მაშინ ადგილობრივი ბიუჯეტისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტის გამოყოფის აუცილებ-

¹ Нуреев Р. Теория развития: новые модели экономического роста (вклад человеческого капитала). Вопросы экономики, №9, 2000, с. 144;

² იქვე, გვ. 144.

³ შესხია ი.ე. რეგიონული საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანამედროვე პრობლემები, ე. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1999, №9, გვ. 25.

ბლობა აღარ არსებობს. თუ $S > H1 + H2 + H3$, მაშინ აუცილებელი ხარჯების მოცულობა აღემატება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ჯამს და, შესაბამისად, დეფიციტი უნდა დაიფაროს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერტით.

აღნიშნული მეთოდის პრაქტიკული გამოყენება გარკვეული წინასწარი ორგანიზაციულ-მეთოდური სამუშაოების ჩატარების გარეშე შეუძლებელია. პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ცენტრალური და რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები, გაიმიჯნოს ცენტრისა და რეგიონის ქონებრივი უფლებები, და რაც ყველაზე მთავარია, მიღწეულ იქნას ზუსტი და საიმედო რეგიონული სტატისტიკისა და ანგარიშების წარმოება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საინოვაციო საქმიანობის ოპტიმალური წარმართვა რეგიონულ დონეზე უნდა გამომდინარეობდეს რეგიონების განვითარების სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრიდან. აქ პრობლემის სიმწვავე იმაში მდგომარეობს, რომ უნდა განისაზღვროს მოცემული რეგიონის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული სოციალური, კულტურული და სამეურნეო ამოცანები. ბუნებრივია, რომ გარდამავალ ეკონომიკაში ხდება პრიორიტეტების ცვლა ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის ფორმირებაშიც. პრიორიტეტულად რჩებიან სამომხმარებლო საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა. საქართველოში რეფორმის წლებში, მშპ სტრუქტურაში აშკარად იმატა მომსახურებათა ხვედრითმა წილმა, რაც ასახავს ბოლო წლებში ვაჭრობის, ბანკების, ფინანსური ინსტიტუტებისა და სხვ. აქტივობის ზრდას.

ამრიგად, საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობისა და მისი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის საინოვაციო პროცესების მართვა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სტრუქტურულ გარდაქმნებზე, რომელთა განხორციელების ორი ძირითადი გზა არსებობს: პირველი, რომელიც აქცენტირებას აკეთებს ექსპორტზე ორიენტირებულ მომპოვებელ დარგებზე და მასალებისა და ნახევარფაბრიკატების წარმოებაზე (ნავთობი, ქიმიური

პროდუქცია, ტყის პროდუქცია და სხვა); მეორე, რომელიც ორი-
ენტირებულია შიდა ბაზარზე და აქცენტს აკეთებს მეცნიერებატ-
კვად წარმოებაზე. იმისდა მიხედვით, თუ როგორია რეგიონის
ფინანსური მდგომარეობა, საინვესტიციო პოლიტიკა და რაც ყვე-
ლაზე მთავარია, რა ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს რეგიონი,
შეირჩევა გარდაქმნის გზაც.

ინოვაციური პოტენციალის შეფასების კრიტერიუმია საზოგა-
დობრივი შრომის პირობები და მწარმოებლურობა. ამიტომ, მტკ-
ის საერთო დონის შეფასებისას ეფუძნებიან წარმოების ეფექ-
ტიანობაზე მისი გავლენის ზომას.

მეცნიერულ და მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალთან დაკავ-
შირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი ახასიათებს რესურსს
მეორისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი კი, მეცნიერულ-ტექნიკურ
მიღწევათა გამოყენების უშუალო შედეგებს ეკონომიკის, მიკრო,
მეზო და მაკრო დონეებზე.

ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი გადამწყვეტ
როლს ასრულებს წარმოების განვითარებაში, აუცილებელია მისი
სათანადოდ შეფასება.

აღსანიშნავია, რომ პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში
ჩამოყალიბდა მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის საერთო-სახ-
ელმწიფოებრივი მაჩვენებლების სისტემა, რომელიც მოიცავდა:
დანახარჯებს მეცნიერებაზე, მეცნიერულ პოტენციალს და მეც-
ნიერული მიღწევების რეალიზაციას.¹ ფაქტობრივი მონაცემების
შედარება ხდებოდა გეგმიურ ბაზისურ მონაცემებთან, რომლებიც
გაანგარიშებული იყო „კვლევა-ათვისების“ მთელი ციკლისათვის.

თვითონ ასეთი სისტემის შექმნა პროგრესული იყო, მაგრამ
იმ პერიოდში არსებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მარ-
თვის პრინციპებიდან გამომდინარე (დირექტიულად, ცენტრალი-
ზებულად განსაზღვრული გეგმის აუცილებლად და გადაჭარბე-
ბით შესრულების საერთო ტენდენციის გამო), ხდებოდა რე-

¹ Бляхман Л.С. Экономика, организация, управление и планирование научно-
технического прогресса. М., 1991, ст. 130.,

ალური მონაცემების ხელოვნურად კორექტირება, რის გამოც საბოლოო შეფასებაც არ ასახავდა ობიექტურ სურათს.

რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური ღონე განისაზღვრება მეცნიერული მიღწევების ათვისებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის ხარისხით, რომელიც შეესაბამება საბაზრო კონკურენციის მოთხოვნებს. იგი ასახავს მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მატერიალიზების ხარისხს წარმოების სფეროში.


აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკურ ღონეში იგულისხმება რეგიონის მასშტაბით ტექნოლოგიის, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების სრულყოფის ღონეები, რომლებიც ხასიათდებიან შესაბამისი შემადგენელი ელემენტებით (იხ. სქემა 1).

საქართველოს რეგიონებში, ამ თვალსაზრისით, მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. რეგიონების მასშტაბით მხოლოდ რამოდენიმე ობიექტი თუ აკმაყოფილებს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს.

რეგიონების ინოვაციური პოტენციალის სრულად გამოყენება ბუნებრივია დაკავშირებულია მნიშვნელოვან ინვესტიციებთან. ქვეყანა და მითუმეტეს რეგიონი მხოლოდ საკუთარი ფინანსური რესურსებით ვერ შეძლებს მისი ინოვაციური პოტენციალის სრულად ათვისებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში არსებული პოტენციალის გამოყენების შიდა და გარე ფაქტორებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია პირველ რიგში განვიხილოთ საქართველოს რეგიონებში ამ მხრივ შექმნილი რეალური მდგომარეობა და შემდგომ განვსაზღვროთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისა და მისი ზრდის პერსპექტივები.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სტანდარტებთან მიმართებაში საქართველოს ეკონომიკა არაა მაღალგანვითარებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მეცნიერ-

რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური დონე



ულ-ტექნიკური პოტენციალი. მასში შედარებით მაღალია მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებათა მოცულობა.

ხოლო წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური და ორგანიზაციული დონე საკმაოდ ჩამორჩება ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

ცხრილი 1

საქართველოს საინოვაციო საქმიანობის ტერიტორიული სტრუქტურა (2006 წ. პროცენტებში)

საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	მხარეების ხვედრითი წონა			
	სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში	საინოვაციო პროდუქციის მოცულობაში	ინოვაციურ აქტიური საწარმოების რაოდენობაში	ტექნოლოგიური ინოვაციების საერთო მოცულობაში
საქართველო სულ	100	100	100	100
ქ. თბილისი	34.3	40.3	45.1	38.1
აფხაზეთის ა.რ.	3.45	2.9	2.0	0.7
აჭარის ა.რ.	12.3	16.3	11.5	18.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.25	2.9	4.3	1.3
გურია	1.4	3.0	3.5	1.2
იმერეთი	8.1	13.5	16.0	16.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.5	0.8	0.8	0.3
შიდა ქართლი	6.5	2.5	2.9	0.7
მცხეთა-მთიანეთი	2.5	2.6	2.0	1.1
კახეთი	2.4	2.1	4.3	2.1
ქვემო ქართლი	24.2	11.7	5.7	18.6
სამცხე-ჯავახეთი	4.1	2.0	1.9	0.8

შეღვენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

ასე, მაგალითად, 2006 წლის მონაცემებით ქვეყნის რეგიონებში ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ მხარეებში არსებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ რეგიონებში ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გარემოს ფორმირებისა და არ-

სებული პოტენციალის სრულად ათვისების საქმეში, რაზეც ეკონომიკის ცალკეულ დარგებში და საბიუჯეტო შემოსავლების ძობილიზების სფეროში არსებული სირთულეებიც მიუთითებს.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის ტერიტორიული სტრუქტურა მოყვანილია ცხრილში №1, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოს რეგიონებს შორის ინოვაციური საქმიანობის თვალსაზრისით სერიოზული დისპროპორცია არსებობს.

ქ. თბილისს გამორჩეული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ტერიტორიულ სტრუქტურაში. ბოლო წლების მანძილზე მთლიანად ქვეყანაში გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დაახლოებით ერთ მესამედზე მეტი სწორედ დედაქალაქზე მოდის.

საქართველოს მრეწველობის დარგში ინოვაციაზე გაწეული დანახარჯების რეგიონული სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილში №2.

ინოვაციური პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა საქართველოს მრეწველობის რამოდენიმე ობიექტი, რომლებიც ძირითადად ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონში არიან კონცენტრირებულნი, კერძოდ: ს.ს. „აზოტი“, ს.ს. „მადნეული“ და მისი შვილობილი ფირმა შ.პ.ს. „კვარციტი“; ს.ს. „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“ და მის ბაზაზე დაფუძნებული „თუჯი XXI“, აგრეთვე ს.ს. „რუსთავცემენტი“, ს.ს. „ქუთაისის ლითოფონების ქარხანა“ და ს.ს. „ქუთაისის ავტოქარხანა“, ს.ს. „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა“ და ს.ს. „ჭიათურმანგანუმი“, ს.ს. „ელექტრომექანიკოსი“, ს.ს. „აისი“. ამ საწარმოებში ქვეყნის სამრეწველო ინოვაციური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ამ საწარმოების მნიშვნელოვანი პოტენციალისა, უცხოელი ინვესტორების გარეშე მათი სრული დატვირთვა და შესაბამისად ახალი ან პრინციპულად გაუმჯობესებული პროდუქციის წარმოება შეუძლებელია.

ამდენად, როგორც რეგიონებიდან მიღებული ინფორმაციები

ცხრილი 2.

დანახარჯების განაწილება საინოვაციო ტექნოლოგიებზე მრეწველობაში მხარეების მიხედვით (1996-2006წწ)

საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	საერთო დანახარჯები	მათ შორის	
		მიმდინარე დანახარჯები	კაპიტალური დანახარჯები
საქართველო სულ	100	58	42
ქ. თბილისი	100	38	62
აფხაზეთის არ.	100	-	-
აჭარის არ.	100	44	56
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	68	32
გურია	100	59	41
იმერეთი	100	49	51
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	63	37
შიდა ქართლი	100	71	29
მცხეთა-მთიანეთი	100	67	33
კახეთი	100	66	34
ქვემო ქართლი	100	48	52
სამცხე-ჯავახეთი	100	72	28

შეღვენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

ცხადყოფს საქართველოში არსებული ეკონომიკური პოტენციალის, კერძოდ, ინოვაციური პოტენციალის რეალურად არსებობის მიუხედავად, ქვეყანაში მეტად დაბალია ინოვაციური წარმოებების ხვედრითი წონა, რაც, უწინარეს ყოვლისა, თვით ინოვაციათა ბუნებიდან გამომდინარეობს. ინოვაციათა დაფინანსება მნიშვნელოვან სახსრებთანაა დაკავშირებული, პრინციპულად ახალი პროდუქციის წარმოებაში დანერგვა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მეტად გართულებულია. ამრიგად,

შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გამოყენების შიდა წყაროები მნიშვნელოვნად არიან პარალიზებული. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საზღვარგარეთელი ინვესტორების მოზიდვა უნდა იყოს, რაც მათი (უცხოელი ინვესტორების) მხრიდან ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის სრულად ათვისებასა და ზრდაში უნდა გამოიხატოს.

საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რეგიონული დაგროვების სტიმულირების ღონისძიებები, ვინაიდან, სწორედ რეგიონული დაგროვების მეშვეობით იქმნება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. რეგიონული დაგროვების პროცესი გულისხმობს, ერთი მხრივ, ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილის (ზედმეტი პროდუქტი) აკუმულირებას, რომელიც უპირატესად კაპიტალური სამუშაოების დაფინანსებაზე წარიმართება, ხოლო მეორე მხრივ, – წარმოების პროცესში ახალი საწარმოო ფონდების ჩართვას ან ძველის რეკონსტრუქციას.

რეგიონში ფულადი სახსრების აკუმულირება შეიძლება განხორციელდეს:

- რეგიონში სამეწარმეო საქმიანობისა და პროდუქციის გასაღების შედეგად;
- რეგიონში წარმოებული პროდუქციის რეგიონის ფარგლებს გარეთ რეალიზაციის შედეგად;
- რეგიონის ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად;
- ინვესტიციების შემოტანის შედეგად;
- ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერტებისა და ანარიცხების დაგროვების შედეგად;
- საბანკო საქმიანობის შედეგად;
- ადგილობრივი გადასახადების გადახდევინების შედეგად. დაგროვების პროცესი, როგორც წარმოებაში ახალი საწარ-

მხოლოდ სიმძლავრეების ჩართვა ან ძველის რეკონსტრუქცია, მჭიდრო კავშირშია ფულადი სახსრების აკუმულირებასთან. ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა ან ძველის რეკონსტრუქცია რეგიონში ძირითადად ემსახურება:

- ადგილობრივი სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას;

- რეგიონის ფარგლებს გარეთ პროდუქციის რეალიზაციის დროს ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას;

- კაპიტალის შემოტანის ან გატანის მიზნით, სამეურნეო საქმიანობაში ადგილობრივი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ჩართვას.

სამეცნიერო-სამრეწველო ინტეგრაციამ ღიდი გავლენა მოახდინა ბიზნესის სფეროზე და თვით საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივ ხასიათზე, კერძოდ, წარმოებისა და მეცნიერების კოოპერაციულ კავშირებზე, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაზე, ახალი ურთიერთკავშირების შექმნაზე, ტექნოლოგიურ, საინფორმაციო, საფინანსო, პროფესიულ-საგანმანათლებლო და სხვა სფეროებზე.¹

საინოვაციო სისტემების ფორმირება, როგორც წესი, ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი ფაქტორების ზეგავლენით ხდება, კერძოდ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, ბუნებრივი რესურსების, გეოგრაფიული მდებარეობის, სამეწარმეო საქმიანობის და სახელმწიფო ინსტიტუტების ტრადიციების და სხვათა გავლენით. ამიტომ, სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით უნდა ხდებოდეს.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციად სამეწარმეო სექტორის საინოვაციო მოღვაწეობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა იქცა. სახელმწიფოს ამ ფუნქციის

¹ «Европа вчера, сегодня, завтра», под ред. академика РАН Шмелева В.Г. М.: «Экономика», 2002, ст. 290.

შესასრულებლად იყენებენ ეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკის რიგ ღონისძიებებს: მიზნობრივ საგადასახადო შეღავათებს, შეღავათიან დაკრედიტებას, დაჩქარებულ ამორტიზაციას, სახელმწიფო ქონებისა და მიწის უსასყიდლო გადაცემას საინოვაციო საწარმოების შესაქმნელად და სხვა.

აღნიშნულ ღონისძიებებს ემატება ანტიმონოპოლიური რეგულირება, საბაჟო პოლიტიკა, ინტელექტუალური უფლებების დაცვა და ა.შ., რომლებიც ხელს უწყობენ საინოვაციო საქმიანობის განვითარებას. საინოვაციო საქმიანობის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრეთვე სახელმწიფო დაკვეთები.

ბუნებრივია, რომ საქართველოში რეგიონების მწირი ფინანსური რესურსები არ იძლევა მათი ინოვაციური პოტენციალის ზრდის რეალურ შესაძლებლობას. საქართველოს რეგიონები საჭიროებენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, რაც მეტწილად დამოკიდებულია ქვეყანაში საინვესტიციო ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე, ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ინვესტიციური წყაროების ფორმირებით, რომელთა მოცულობას ძირითადად განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: საბიუჯეტო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა, საწარმოებისა და მოსახლეობის დანაზოგების ფორმირების შესაძლებლობანი, საფონდო (ფასიანი ქაღალდების) ბაზრის განვითარების ღონე, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების შესაძლებლობანი, სალიზინგო მომსახურების განვითარება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკა).

საინვესტიციო ბაზრის ფორმირებაში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია აკისრია სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სტრუქტურულ გარდაქმნებთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ ინვესტიციურ დაფინანსებაში მას მეორეხარისხოვანი როლი მიენიჭოს.

სახელმწიფო ბიუჯეტს არ შეიძლება არცერთი სხვა ინვესტიციური წყარო შეედაროს. რადგან ბიუჯეტური ინვესტიციები ემყარება სახელმწიფო აქტივებს და მათ მიერაა მატერიალურად გარანტირებული. გარდა ამისა, ბიუჯეტური ინვესტიციები მობილური და ოპერატიული ბერკეტია სტრუქტურული გარდაქმნების და ეკონომიკის ოპტიმალური, დაბალანსებული პროპორციების მისაღწევად.

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად, შემცირდა, რიგ შემთხვევაში საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო. მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მეწარმისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია. რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო-საშუამავლო სექტორში.

საწარმოო ინვესტიციების წყაროა ამორტიზაციის ანარიცხები. საამორტიზაციო პოლიტიკა ძირითადი კაპიტალის კლავწარმოების პროცესის სახელმწიფო რეგულირების სფეროს წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საამორტიზაციო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია საგადასახადო პოლიტიკასთან. იგი მიზნად ისახავს სამეურნეო სუბიექტების იმ ფინანსური შესაძლებლობების უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია ძირითადი კაპიტალის ინვესტირებაზე. ძირითადი კაპიტალის ჩამოწერის პირობები, საწარმოს შემოსავლების დაბეგვრის ღონესთან და საგადასახადო საინვესტიციო შეღავათებთან ერთად, წარმოადგენს მეწარმისათვის უმნიშვნელოვანეს ორიენტირს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას.

ბევრ ქვეყანაში მიმართავენ დაჩქარებული ამორტიზაციის

მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში ხდება, სადაც ორმაგ (გაზრდილ) ამორტიზაციის რეჟიმს ყოველთვის მიმართავენ დამწყები საწარმოები ფუნქციონირების საწყის სტადიაზე.

საქართველოში საწარმოთა სიმძლავრეები მინიმალურადაც არ არის დატვირთული. ასეთ დროს დაჩქარებული ამორტიზაცია ფაქტობრივად კარგავს ფუნქციას. საქართველოში დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების დაწესება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ფაქტორი. უცხოელი ინვესტორისათვის უფრო სარფიანია ახალი ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, ვიდრე არსებულ მორალურად მოძველებულ ძირითად ფონდებში კაპიტალის დაბანდება.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ერთმანეთში ურევენ ძირითადი ფონდების დაჩქარებული განახლებისა და დაჩქარებული ამორტიზაციის ცნებებს. პირველი განპირობებულია საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის კანონების არსებობით. დააჩქარო განახლება დაჩქარებული ამორტიზაციის რეჟიმის გამოყენებით, ყოვლად მიუღებელია. დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენება ძირითადად განვითარებულ ქვეყნებს ახასიათებთ, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ინოვაციური პოლიტიკა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. საქართველოში ამ თემაზე საუბარი ნაადრევად მიგვაჩნია.

საქართველოში ინვესტიციების შიდა წყაროების ფორმირების თვალსაზრისით, მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. ასეთ პირობებში, ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკური ზრდის ძალადი ტემპის მიღწევა და ქვეყნის შემდგომი განვითარება, ფაქტობრივად, ურთულესი ამოცანაა. შიდა დანაზოგების დეფიციტის პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს უცხოური (გარე) დანაზოგების ეფექტიანი გამოყენების საკითხი. რომელიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ გაანალიზებას საჭიროებს. ამ კონტექსტში საქართველოს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის მთავარ მიმართულებას უნდა წარმოადგენ-

დეს: უცხოური კაპიტალის მოზიდვა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობა და რეგიონულ გაერთიანებებში აქტიური მონაწილეობა. სამწუხაროდ, როგორც ეს დღეს ჩანს, ჩვენმა ქვეყანამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება ვერ შესძლო, ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციისა და განვითარების სწრაფი შესაძლებლობა (როგორც ეს შეძლეს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა) ხელიდან გავუშვით. ცხადია, ამ მდგომარეობას ობიექტური მიზეზები გააჩნია. ქართველი მეცნიერები ხშირად მიუთითებენ საქართველოს მომგებიან გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, მაგრამ, ფაქტობრივად, ჩვენს ქვეყანას მხოლოდ კავკასიის საზღვრებში გააჩნია ეს უპირატესობა, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის კონკურენტულ შესაძლებლობებს, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებთან და ცენტრებთან სიახლოვე, რომლებსაც ჩვენ საკმაოდ მოშორებული ვართ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, მისი ფაქტორული პოტენციალი შეზღუდულია და კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების სტადიაშია. მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით საქართველოს ეკონომიკა მიკროსკოპულია. მისი ხვედრითი წონა მსოფლიო მშპ-ში უკანასკნელ წლებში 0,015%-ს შეადგენდა. და უახლოეს პერიოდში ლარის რეალური კურსის ზრდის გათვალისწინებითაც კი, ალბათ, არ გადააჭარბებს 0,016%-ს. საქართველოს წილი მსოფლიო ექსპორტში 0,009%-ს არ აღემატება, მსოფლიო იმპორტში 0,018%-ა, ხოლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 0,012%-ს შეადგენს.¹

რიგი ქართველი მეცნიერ ეკონომისტი მიუთითებს უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად აუცილებელ საგადასახადო შეღავათების

¹ На пороге XXI века, Всемирный банк, изд-во «Весь Мир», М., 2002 ст. 215, 242, 254.

დადებით ეფექტებზე. ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით, ასეთმა ღონისძიებებმა შესაძლებელია არც გვიშველოს, რადგან ზემოთ აღნიშნული ობიექტური მიზეზების გამო ჩვენს ეკონომიკაში, განსაკუთრებით კი, გადაამუშავებელ მრეწველობაში ფართო მასშტაბური საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია. ხოლო, რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროს, აქ უცხოელი ინვესტორებისათვის საგრძნობი საგადასახადო შეღავათების მიცემამ შესაძლებელია ეროვნულ ინვესტორთა ინტერესები მნიშვნელოვნად დააზარალოს. მით უმეტეს, რომ 1996-2001 წწ-ში შიდა ინვესტიციების ფარდობითი ოდენობა შედარებით უფრო სტაბილურად იზრდებოდა, ვიდრე უცხოურისა. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისათვის ეროვნულ ინვესტორთა ინტერესების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სხვა ბევრი პრობლემის გადაჭრასთან ერთად, ჩვენმა ხელისუფლებამ ეროვნული კაპიტალის საზღვარგარეთ გადინების საწინააღმდეგოდ მიმართული პროცესების სტიმულირება უნდა მოახერხოს.

რეგიონებში საინოვაციო პოტენციალის შენარჩუნებისა და ზრდისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განთავსების ფორმებსა და მიმართულებებს. უცხოურ ინვესტიციათა შეღვევიანობა, ეკონომიკის კონკურენტულობის გაძლიერების თვალსაზრისით პირდაპირ უკავშირდება მათი განთავსების სფეროებს.

ჩვენს ქვეყანაში, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ჩნდება გლობალური დარგის პროდუქციის კონკურენტულობის ზრდის ტენდენცია, რაც მომავალში მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმების საშუალებას მოგვცემს. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია შეფარდებითი უპირატესობების (მინერალური წყლებისა და ღვინის წარმოების) საფუძველზე წარმოქმნილი კონკურენტულობის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლება.

ინოვაციათა ხარჯზე კონკურენტუნარიანობის განმტკიცების სტადიაზე ეროვნული ეკონომიკური სუბიექტები არა მარტო იყენებენ და აუმჯობესებენ საზღვარგარეთულ ტექნიკას, არამედ საკუთარი ძალებით ქმნიან ახალსაც. რასაკვირველია, ქართულ კომპანიებსა და ფირმებს, რომლებიც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჯერ არ ძალუძთ კონკურენტუნარიანობის ახალ, საკმაოდ კაპიტალტევად სტადიებზე გადასვლა. ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა შეფარდებითი ეროვნული უპირატესობებისა და ფასობრივი კონკურენციის მექანიზმის გამოყენებას ეფუძნება. ამასთან, საქართველოს რეგიონების ინოვაციური პოტენციალის ანალიზი ააშკარავებს იმას, რომ დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობაშიც კი, ქვეყანას გააჩნია მთელი რიგი სხვა კონკურენტული უპირატესობები, რომელთა სტრატეგიული ღირებულება სხვადასხვაგვარია. თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის ძალისხმევით არსებობს რეალური შესაძლებლობა მათი ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრინციპულად შეუძლებელია მაკროეკონომიკურ დონეზე არსებობდეს ინოვაციებში ინვესტიციების ეფექტიანობის განსაზღვრის რაიმე ერთიანი, დირექტიული ხასიათის მქონე მეთოდოლოგია. ვინაიდან, საინვესტიციო საქმიანობა კავშირშია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან. საინვესტიციო გადაწყვეტილება კი ადამიანის ქმედებაა და არა ობიექტური მექანიკური პროცესი. ფირმების ერთი ნაწილი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს იმ მაჩვენებლებსა და მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ მოთხოვნებს. ზოგიერთი კორპორაცია, ფირმა თუ ცალკეული მეწარმე კი ინვესტიციური პროცესის ანალიზისას იყენებს ერთობ მარტივ მიდგომებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ სფეროში ახალი იდეების ძიებასა და საინვესტიციო პროცესის შემდგომ კონტროლს.

საგულისხმოა, რომ საქართველოში 1990 წელს ფუნქციონირებდა 250-მდე მეცნიერული და სამეცნიერო-მომსახურების ორ-

განიზაცია. აქედან 155 იყო სამეცნიერო დაწესებულება უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით, რომელთაგან 115 გამოდიოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილით, სადაც მთელი სამეცნიერო კადრების 58% იყო დასაქმებული;¹ სამეცნიერო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნდათ შესაბამისად 241,9, 163,3 და 33,9 მლნ. მანეთის ღირებულების მანქანა-დანადგარები; სამეცნიერო ორგანიზაციების საცდელ ბაზებში კონცენტრირებული იყო 12,7 მლნ. მანეთის მანქანა-დანადგარები. აქედან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებზე, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებზე მოდიოდა შესაბამისად 9,6, 2,7, 0,4 მლნ. მანეთის ღირებულებისა; რესპუბლიკის მრეწველობაში მუშაობდა 2406 მექანიზებულ-ნაკადური (მათ შორის 389 იმპორტული) და 380 ავტომატური ხაზი (მათ შორის 146 იმპორტული), 1207 კომპლექსურ-მექანიზებული, 103 ავტომატიზებული და 22 კომპლექსურ-ავტომატიზებული უბანი და საამქრო; რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 1209 დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, კომბინატი და საწარმო. მარტო მრეწველობაში ითვლებოდა 123 საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა 280 დამოუკიდებელი საწარმო და 515 საწარმოო ერთეული; 1986-1989 წლებში 111 900 განცხადება იქნა შეტანილი რაციონალურ წინადადებასა და გამოგონებაზე (საშუალოდ 28 000 წელიწადში): წარმოებაში პირველად გამოყენებულ გამოგონებათა რაოდენობა შეადგენდა სულ 996 ერთეულს (საშუალოდ 249-ს წელიწადში), რაციონალური წინადადებებისა – 92500 (საშუალოდ 23 100 წელიწადში), მათი გამოყენებით მიღებულ იქნა 99,9 მლნ. მანეთის საშუალო

¹ სხირტლაძე მ. მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი). საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. I ტომი, თბ., 1996, გვ. 178.

ეკონომიკური ეფექტი; 1985-1990 წლებში მრეწველობაში დაინერგა სხვადასხვა სახის მაღალმწარმოებლური მოწყობილობები: 778 ერთეული მექანიზებულ-ნაკადური და ავტომატური ხაზი, მათ შორის 10 როტორულ-კონვეიერული; 358 ერთეული სამრეწველო რობოტი; 418 ერთეული რიცხვულ-პროგრამული ლითონსაჭრელი ჩარხი; ექსპლუატაციაში გადაეცა 24 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების მოქნილი საწარმოო სისტემა; შეიქმნა 242 ერთეული ახალი ტიპის მანქანების, დანადგარების, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნიმუშები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობდა სერიოზული საინოვაციო პოტენციალი, 1991 წლის ბოლოდან განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობა შექმნა. კრიზისმა მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა სფერო, მათ შორის მეცნიერულ-ტექნიკურიც. თუ გავაანალიზებთ ამ პერიოდში მეცნიერების მდგომარეობის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, მივიღებთ სურათს,¹ რომელიც ნათლად მეტყველებს თუ რა დამოკიდებულება იყო ქვეყანაში მეცნიერების მიმართ ამ პერიოდში, თუ რამდენად იქნა უარყოფილი ამ სფეროს სახელმწიფო დაგეგმვისა და შესაბამისი რეგულირების აუცილებლობა. კერძოდ:

– სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა შემცირდა 17%-ით (155-დან 129-მდე). გამორჩეულად კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა ყოფილ საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტებში, რომლებიც ძირითადად მუშაობდნენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, გააჩნდათ სათანადო საკადრო და მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალი;

– მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა შემცირდა 39%-ით (29351-დან 17 762-მდე);

– ასპირანტთა რიცხვნობა შემცირდა დაახლოებით 11%-ით (1695-დან 1500-მდე);

¹ აბრალავა ა., გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 2001, გვ. 32-33.

– მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი 1994 წელს შემცირდა 60%-ით, (1-დან 0,4%-მდე). იგივე ღონე (0,4%) იქნა შენარჩუნებული 1995 წელს, ხოლო 1996 წელს კიდევ უფრო შემცირდა (სავარაუდოდ 0,19%-მდე), 1998 წელს შესაბამისად 0,2% გაუტოლდა. ეს მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 0,6-0,8%-ს, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიიჩნევენ, რომ იგი არ უნდა იყოს 3,5%-ზე ნაკლები;

– 1990-1994 წლებში საბიუჯეტო დაფინანსების ხვედრითი წილი მეცნიერებაზე გაწეულ მთელ დანახარჯებში გაიზარდა 0,6%-ით (79,4-დან 80%-მდე), მაგრამ მისი აბსოლუტური მოცულობა მკვეთრად შემცირდა (თითქმის 4-ჯერ). მეცნიერების განვითარებაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებების სტრუქტურაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხვედრითი წილი მთელ კაპიტალდაბანდებებში გაიზარდა 47,3%-ით (31,1-დან 78,4%-მდე), ხოლო მოწყობილობებზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი შემცირდა 100%-ით (50,4-დან 0%-მდე).¹

თუ გავანალიზებთ, ბოლო რამოდენიმე წლის ციფრობრივ მონაცემებს, დავინახავთ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური სფეროს სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი ერთობ არაეფექტურია, რამეთუ სულ უფრო მცირდება სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების როგორც რაოდენობრივი, ასევე ციფრობრივი მაჩვენებლები (იხილეთ, ცხრილი 3.)

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამუშაოთა დიდი ნაწილი კერძო ინიციატივაზე მოდის, რაც ფრიალ დამაფიქრებელია. საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში „საქპატენტის“ მიერ, თავის ძირითადი ფუნქციიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა 475 განაცხადი გა-

¹ სხირტლაძე შ., მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურეობის თანამედროვე მდგომარეობა (ეკონომიკური ასპექტი). საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. I ტომი, თბ., 1996, გვ. 179-188; საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

ცხრილი 3

სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოები საქართველოში

ათასი ლარი

	1998		1999		2003	
	სულ	მ.შ. საკუთარი ძალებით შესრულებული	სულ	მ.შ. საკუთარი ძალებით შესრულებული	სულ	მ.შ. საკუთარი ძალებით შესრულებული
შესრულებული სამუშაოების მოცულობა	17770,4	17363,9	16308,4	15861,3	13010,8	11550,8
მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოს (პროექტების) მოცულობა	17545,1	17139,7	15878,7	15432,7	13006,3	11537,3
აქედან სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოები	16958,3	16596,1	15133,8	14688,8	11936,4	10486,8
მათ შორის ფუნდამენტური	4811,1	4730,7	6930,7	6511,1	4254,4	4201,7
საპროექტო-საკონსტრუქტორი და ტექნოლოგიური სამუშაოები	448,5	445,1	710,2	708,2	633,6	623,1
საძველი ნიმუშების, ნაეთობათა დამზადება	73,0	73,0	60,2	60,2	64,8	64,8
საპროექტო სამუშაოები მშენებლობისათვის	3,7	3,7				
სამეცნიერო-ტექნიკური მოწოდებები	61,6	21,8	404,3	404,2	376,0	376,0

შეღვენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

მოგონებაზე, 94 – სასარგებლო მოდელზე, 34 – სამრეწველო ნიმუშზე და 3331 – სასაქონლო ნიმუშზე. განაცხადების ფორმალური და არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე გაიცა 268 პატენტი გამოგონებაზე, 120 – სასარგებლო მოდელზე, 15 – სამრეწველო ნიმუშზე.

ცხრილი 4

დანახარჯების განაწილება ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფინანსების წყაროების მიხედვით მხარეებში (1996-2006 წწ.)

საქართველოს ტერიტორიული ერთეულები	საერთო დანახარჯები	მათ შორის დაფინანსების წყაროების მიხედვით				
		საკუთარი სახარჯები	ცენტრალური ბიუჯეტი	მხარეების ბიუჯეტები და ადგილობრივი ბიუჯეტები	არასაბიუჯეტო ფონდები	უცხოური ინვესტიციები
საქართველო სულ	100	40	12.8	16.6	16.2	14.2
ქ. თბილისი	100	33.3	5.5	32.3	13.4	15.5
აფხაზეთის ა.რ.	100	-	-	-	-	-
აჭარის ა.რ.	100	18.3	13.4	28.3	21.5	18.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	35.9	19.2	16.7	19.8	8.4
კურია	100	59.4	11.1	12.5	9.8	7.2
იმერეთი	100	46	14.7	15.3	7.2	16.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	49.7	7.5	18.8	14.8	9.2
შიდა ქართლი	100	54.4	9.2	11.8	11.2	13.4
მცხეთა-მთიანეთი	100	54.6	7.7	14.2	10.7	12.8
კახეთი	100	34.6	13.2	9.7	22.8	19.7
ქვემო ქართლი	100	18.3	28.1	13.2	18.7	21.7
სამცხე-ჯავახეთი	100	35.3	12.1	10.5	28.7	13.4

შედგენილია ეკონომიკურ განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოში, ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ინსტიტუციონალურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა სოციალური სფეროს განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შემუშავების, დაწესებულებათა ქსელის რესტრუქტურისა და ახალი ნორმატივებისა და სტან-

დარტების დამკვიდრების, დაფინანსების წყაროთა გადასინჯვის მიმართულებით.

საქართველოში საინოვაციო საქმიანობის რეგულირების თვალსაზრისით, შექმნილი იყო რიგი სამსახურები, რომელთა ფუნქციონირება შედიოდა ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია და გარკვეულწილად ფინანსური მხარდაჭერა.

საინოვაციო საქმიანობის ორგანიზებისა და მეთოდური უზრუნველყოფისთვის 2002 წელს, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა საქართველოს ეროვნული საინოვაციო ცენტრი – „საქინოვაცია“, თუმცა მხოლოდ ერთი პარადოქსული მაგალითის მოყვანაც კი კმარა, რომ ყველაფერი ნათელი გახდეს – აღნიშნულ ცენტრს ელემენტარულად არ გააჩნდა ინტერნეტით სარგებლობის საშუალება. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ყოველად წარმოუდგენელი იყო ინოვაციურ სფეროში რაიმე კოორდინირებულ საქმიანობაზე საუბარი სახელმწიფო დონეზე. დღეისათვის აღნიშნული სამსახური გაუქმებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მეცნიერებისა და ტექნიკის მხარდაჭერის ღონისძიებები ფორმალურ ხასიათს ატარებს და ადეკვატურად არ აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში არ არსებობს მეცნიერების სფეროში დაგეგმარების რაიმე ერთიანი, კოორდინირებული პოლიტიკა, არ არსებობს ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ერთიანი კონცეფცია.

საქართველოში თანამედროვე ინოვაციური განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, როდესაც სულ უფრო ღრმავდება კავშირი მეცნიერებას, ტექნიკასა და წარმოებას შორის, აუცილებელია არსებობდეს ინოვაციური პროცესების დაგეგმვის მოქნილი ორგანიზაციული სისტემები, რომლებიც სწრაფადრეაგირებადი იქნებიან ტექნიკურ-ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი.

ინოვაციური სფეროს სახელმწიფო-საზოგადოებრივი მართვისა

და დაგეგმვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფო რეგულირების სამქონიანი სისტემის წარმოებისა და ბაზრის ერთიანი კომპლექსი.

მოცემულ სისტემაში რეგულირება უნდა განხორციელდეს ისეთ ძირითად ორიენტირებთან მიმართებაში, როგორცაა: ეკოლოგიური გარემო, სოციალური პრობლემები, საერთო ეკონომიკური აღმავლობა, მართვის აუცილებელი სტრუქტურების შექმნა.

ინოვაციური სფეროს სრულყოფამ როგორც მაკრო, ისე მეზო და მიკრო დონეზე, უნდა მოიცვას აგრეთვე მართვის ოთხივე ძირითადი ფუნქცია:

1. დაგეგმვა – მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებათა დადგენა-დაზუსტება, ფუნქციონალური ვალდებულებების დაკისრება ინოვაციური ციკლის ცალკეულ მონაწილეთათვის, პროგნოზირება. გაანგარიშება, ბიუჯეტის შედგენა;

2. ორგანიზაცია – სამუშაოს კლასიფიკაცია, ელემენტებად დაყოფა და შესაბამისი ორგანოების შექმნა, სტრუქტურულიზაცია, წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების (სპეციალიზაცია, კონცენტრაცია, კოოპერირება, კომბინირება) ეფექტიანი გამოყენება, საწარმოთა ოპტიმალური ზომების დადგენა;

3. მოტივაცია – ინოვაციური ციკლის მონაწილეთათვის შინაგანი მოთხოვნების ჩამოყალიბება მოქმედებისათვის. ცალკეულ ინდივიდთა და ორგანიზაციათა რეალური მოთხოვნილებების, მატერიალური და ფინანსური ინტერესების განსაზღვრა და სათანადო პირობების შექმნა მათ განსახორციელებლად. აქ გასათვალისწინებელია არაფორმალურ ორგანიზაციათა ინტერესები;

4. კონტროლი – გარანტიების შექმნა დასახული მიზნის მისაღწევად: სტანდარტების დადგენა, საკონტროლო პარამეტრების გაზომვა, მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში სახელმწიფოს ერთ-

ერთი მთავარი ფუნქცია მდგომარეობს საინოვაციო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და მათ ყოველმხრივ სტიმულირებაში. სამწუხაროდ, საქართველოში, ამ მხრივ, ბოლო წლების განმავლობაში მეტად არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი. არ არსებობს სახელმწიფოს რაიმე ერთიანი მიდგომა თანამედროვე ტექნიკის შექმნისა და მისი წარმოებაში დანერგვის მიმართ. აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა საქართველოს რეგიონებში, სადაც მოსახლეობისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების ისედაც მწირი ფინანსური შესაძლებლობების პირობებში ზედმეტია მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე საუბარი.

ბუნებრივია, რომ ინოვაციების სტიმულირება და შესაბამისად დაფინანსება დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან საკმაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არსებობენ, თუმცა დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესი მოითხოვს პერსონალის პერმანენტულ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამდენად, საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის შემდგომი კორექტირების პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მექანიზმები და ის პრიორიტეტული მიმართულებები, სადაც უნდა მოხდეს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევის კონცენტრირება.

საინოვაციო საქმიანობის სტიმულირება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკაზე. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში საინვესტიციო პოლიტიკა შეიძლება ვიმსჯელოთ საინოვაციო საქმიანობის განვითარების პერსპექტივებზე.

ზოგადად შეიძლება გამოვყოთ საინვესტიციო პოლიტიკის სამი ტიპი: 1. აქტიური, როდესაც ხელისუფლება სხვადასხვა

სახის შეღავათისა თუ სასათბურე პირობების შექმნით ცდილობს მაქსიმალურად მოიზიდოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციური რესურსები; 2. ზომიერი, როცა ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს მაკროეკონომიკური წონასწორობა ქვეყანაში (სწორედ ამ პოლიტიკას ატარებს საქართველოს ხელისუფლება); 3. პასიური, როდესაც ქვეყანა მთლიანად ან ნაწილობრივ ორიენტირებულია სამომხმარებლო საქონლის იმპორტზე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს:

– საინოვაციო პოტენციალის კონცენტრაცია ეკონომიკის იმ სფეროებში და ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც არსებობს რეალური უპირატესობები (საწარმოო ბაზა, მეტნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური პერსონალი და ა.შ.);

– ინოვაციების ინვესტირება რეალური, პრაქტიკული, მომგებიანი შედეგის მიღებისათვის (უპირატესად იმ საინვესტიციო პროექტების დაფინანსება, რომლებიც მართალია დაკავშირებულია რისკთან, თუმცა ეს უკანასკნელი არც ისე მაღალია);

– ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ეფექტიანობის ამაღლება, სოციალური და ეკოლოგიური გარემოს შექმნა (აქ უწინარეს ყოვლისა იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მთლიანად იქნება ორიენტირებული ქვეყანაში ისეთი ტექნოლოგიების დანერგვაზე, რომლებიც როგორც სოციალური, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით არ მიაყენებს ზიანს ქვეყნის საზოგადოებას).

სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული ინვესტიციური რესურსების პრიორიტეტულ მიმართულებებზე კონცენტრირება. პარალელურად, უნდა მოხდეს იმ ინსტიტუტების (სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, სააგენტო, ბანკი) ჩამოყალიბება და განვითარება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათთვის საკუთრე-

ბაში გადაცემული სახელმწიფოს კუთვნილ აქციათა პაკეტების, „პორტფელის“ მართვა. ცალკეულ შემთხვევაში – საკუთარი აქციების ემისია და ამით უზრუნველყონ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა. შესაბამისად, სამეურნეო ბრუნვაში მოექცევა სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი, რომელსაც სახელმწიფოსათვის მოაქვს შემოსავალი.

სახელმწიფომ ბიუჯეტურ ინვესტირებას უნდა დაუქვემდებაროს ეკონომიკური სექტორის ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. აგრეთვე, უნდა მოახდინოს იმ სფეროების სელექციური და მიზნობრივი ინვესტირება, სადაც კაპიტალური დაბანდებები ჩქარა არ გამოისყიდება, მაგრამ პერსპექტივაში იძლევიან დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, კადრების მომზადება, საბინაო მშენებლობა და ა.შ.).

საქართველოში სრულყოფასა და არსებით ტრანსფორმაციას მოითხოვს ბიუჯეტური ინვესტიციების ფორმები და მეთოდები. არ შეიძლება ერთი და იმავე ფორმით მოხდეს საწარმოო და არასაწარმოო სფეროს სახელმწიფო ინვესტირება. განსხვავებით არასაწარმოო სფეროსგან, რომელიც სახელმწიფოს უკან ვერ დაუბრუნებს ინვესტიციურ სახსრებს, საწარმოო სფერომ უნდა უზრუნველყოს დაბრუნებადობის პრინციპის დაცვა. რაც გულისხმობს ეკონომიკური სექტორის დოტაციური დაფინანსებიდან ინვესტიციური დაკრედიტების პრინციპზე გადასვლას. ამასთან, საბიუჯეტო ინვესტიციური კრედიტების საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს ღიფერენცირებული ობიექტის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე და ყველა შემთხვევაში უფრო დაბალი, საბანკო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით.

საბიუჯეტო ინვესტირების დაკრედიტების პრინციპზე გადაყვანა აიძულებს მის გამცემს და მიმღებს სახსრები უფრო ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს. მსოფლიოში არსებული პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს პირდაპირი

ინვესტიციური მხარდაჭერა ეკონომიკაში სტაბილური ზრდის ძილწევის წინაპირობაა. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია და სხვ.), რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ეროვნული ეკონომიკის პირდაპირი დაკრედიტება.¹

დაუბრუნებელი საბიუჯეტო დაფინანსების წესი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი სფეროებისთვის, რომლებსაც დაფინანსების საკუთარი წყაროები არ გააჩნიათ (ეკოლოგიური ღონისძიებები, სახელმწიფო მედიორაციული სისტემების მშენებლობა, კადრების მომზადება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ა.შ.).

წარმოების განახლების სტიმულირებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ მეთოდი, რომელსაც იყენებენ შვედეთში. იქ ყველა სააქციო საზოგადოება, ეკონომიკური გაერთიანებები და შემნახველი საღაროები ვალდებული არიან შეიტანონ სახსრები სახელმწიფო ბანკში უპროცენტო ანგარიშზე დადგენილი წლიური ფონდიდან – მოგების ანგარიშზე – 25%, კაპიტალდაბანდებათა განსაკუთრებულ ანგარიშზე – 20% და განახლების ანგარიშზე – 10%. თუ ისინი თვითონ არ გამოიყენებენ აღნიშნულ სახსრებს, მაშინ სახელმწიფო იყენებს მათ სათანადო მიზნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. გარდა ამისა, არსებობს გადასახადების გადავადება საგამომგონებლო შეღავათებისათვის და წმინდა შემოსავლის 50%-ის გამოქვითვა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო რეზერვში ანარიცხებიდან.²

სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელია ეროვნული საინოვაციო სისტემების შექმნა და განვითარება. ამგვარი სისტემები წარმოადგენენ ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციებისა და სტრუქტურების

¹ ელიაჟა ლ. ინვესტიციური კრიზისი საქართველოში და მისი დაძლევის გზები. ე. „ეკონომიკა“, 1997, №1-3, გვ. 20;

² Ионов М. регулирование инвестиционной и инновационной деятельности. Ж. «Экономист», 1992, №5, с.40.

ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ფარგლებში ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და მათ კომერციალიზაციას ემსახურებიან. აღნიშნულ ერთობლიობაში იგულისხმება მცირე და საშუალო კომპანიები, უნივერსიტეტები და ტექნოპარკები.

ამავე სისტემის მეორე ნაწილს წარმოადგენს სამართლებრივი, საფინანსო და სოციალური ხასიათის ინსტიტუტები, რომლებიც საინოვაციო პროცესს ხელსაყრელ პირობებს უქმნიან. რეგიონული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა ცენტრალური და რეგიონული მმართველობის ორგანოების ურთიერთქმედებით რეგიონის საკუთარი, ქვეყნის სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოტენციალის გამოყენების ხერხებისა და საშუალებების ერთიანობას წარმოადგენს.

რეგიონული მმართველობითი ორგანოები აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით, რათა საინოვაციო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტებს აღმოუჩინონ ფინანსური, ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური, საინფორმაციო და კონსალტინგური მხარდაჭერა.

საქართველოში მიზანშეწონილია შეიქმნას რეგიონებისა და მსხვილი ქალაქების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ფონდი, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროს დაფინანსების გაუმჯობესებას. იგი უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლის მიზანი იქნება რეგიონის სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოების ინტენსიფიკაციისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ამგვარი ფონდის შექმნას საფუძვლად დაფინანსების პროგრამულ-მიზნობრივი ხასიათი და ფინანსური რესურსების უთუო დაბრუნებადობა უნდა დაედოს.

აუცილებელია რეგიონებს გაუფართოვდეთ უფლებები გადასახადების დაბეგვრის საკითხებში. დაბეგვრის პოლიტიკის ერთგვარი დეცენტრალიზაცია უფლებების გაზრდით რეგიონების ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას მისცემს განახორციელონ ისეთი საგადასახდლო პოლიტიკა, რაც გამიზნული იქნება ინოვაციური პროცესების სტიმულირებისათვის.

რეგიონებისათვის კანონშემოქმედებითი ინიციატივის გაზრდას შეუძლია, ცალკეულ რეგიონში მოგვეცეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გასწორების პრეცედენტებიც.

უცხოეთის ქვეყნებს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ ინოვაციური პროცესებისათვის რეგიონული მხარდაჭერის საკითხებში. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სარისკო მენეჯმენტის პრობლემა. აშშ-ში ინოვაციური პროცესების რეგიონული პოლიტიკა ეფუძნება წვრილი ნოვატორული კომპანიებისათვის ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას.

რეგიონების მართვის სახელმწიფო ორგანოების მაკოორდინირებელი მოღვაწეობა ხელს უწყობს ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას.

აშშ-ში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ რეგიონულ ვენჩურულ ფონდებში ფინანსური რესურსების კონცენტრაციას. სარისკო კაპიტალის მიზნობრივ ფონდებს ქმნიან ცალკეული შტატებისა და ქალაქების დონეზე, რომლებშიც ეს უკანასკნელნი თავიანთი ბიუჯეტიდანაც გარკვეულ სახსრებს გამოყოფენ. ასეთი გზით, ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს და ისწრაფვის მოიზიდოს მცირე მეცნიერებატევადი ფირმები. ეს უფრო ხშირად ხდება იმ დარგებში, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ შტატის ეკონომიკის განვითარებისათვის. რეგიონული ვენჩურული ფონდების ფორმირება, ძირითადად, ხდება შტატების, კერძო კორპორაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ნებაყოფლობითი შემოწირულობებისა და სხვა სახსრებით.

ბოლო წლებში, აშშ-ში შტატების დონეზე, ვენჩურულ დაფინანსებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საპენსიო ფონდები, ზოგიერთი მათგანი თვითონ ახდენს მცირე საინოვაციო ფირმების აქციების შეძენას.

ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდია ხელისუფლების რეგიონული ორგანოების როლი ახალი ტექნოპარკების სტრუქტურების შექმნასა და მხარდაჭერაში (ტექნოპოლისები, ინოვაციური ცენ-

ტრები, ინკუბატორები და ა.შ.). ეს სტრუქტურები სხვადასხვა წესით ფინანსდებიან. ერთნი მთლიანად სახელმწიფო სახსრების ხარჯზე ფუნქციონირებენ, სხვებს კი, დაფინანსების შერეული წყაროები აქვთ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, სამეცნიერო პარკების განვითარებაში ძირითად ინვესტორს სახელმწიფო სექტორი წარმოადგენს.

აშშ-ის ჯორჯიის შტატში საკუთარი ბიუჯეტის სახსრებით ორგანიზებულია ინოვაციური საქმიანობის ცენტრი, რომელიც გამოძღვნილებს, სამი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფს სახსრებითა და საჭირო ფართით.

ტექნოპარკების განვითარების ევროპული პრაქტიკა ადასტურებს ამ საქმეში სახელმწიფო დაფინანსების უდიდეს როლს, მაგრამ, თუ ევროპის ქვეყნებში ინოვაციური პროცესების განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმეში ღოტაციური ხასიათი სჭარბობს, ამერიკული გამოცდილების მიხედვით, უპირატესობა კომერციულ ხასიათს განეკუთვნება.

რეგიონული პროცესების მხარდაჭერაში განსაკუთრებული როლი უკავია საგადასახადო სტიმულირებას. ინოვაციური პროცესების რეგიონული სტიმულირების მიზანი საგადასახადო სფეროს მიხედვით შეიძლება სხვადასხვანაირი და განსხვავებული იყოს. კერძოდ, ვთქვათ, ინვესტიციების სტიმულირება მაღალი დონის ტექნოლოგიების დარგში (იაპონია); ქვეყნის დეპრესიულ რაიონებში მეწარმეთა მოზიდვა, დაბანდებანი წვრილ (მცირე) ინოვაციურ ბიზნესში (აშშ); რეინვესტირებული მოგების სტიმულირება (იტალია) და სხვა. ყველა ისინი დამოკიდებულია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, მათი წარმოებითი ურთიერთობის თავისებურებებზე, განვითარების და საზოგადოებრივი პრიორიტეტების რეგიონულ პოლიტიკაზე. ამრიგად, როგორც უცხოური გამოცდილებით დასტურდება, სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათები ხელს უწყობს ვენჩურული კაპიტალის საკმაოდ მსხვილი ფონდების წარმოქმნასა და

მეწარმეთა ინოვაციური აქტიურობის მკვეთრად ამაღლებას.

რეგიონულ დონეზე საგადასახადო რეგულირების კარგად დახვეწილი სისტემა აქვს იტალიას, სადაც ძირითად სტიმულირებას ექვემდებარება ისეთი მეწარმეობა, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნით, ახლადწარმოქმნილი პატარა საწარმოები ათი წლით თავისუფლდებიან ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადებისაგან და გარდა ამისა, მიწის სარეგისტრაციო გადასახადისაგან. მოქმედ საწარმოებში ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება რეინვესტირებული მოგება, ხოლო ინვესტორები, მცირე საწარმოთა მოდერნიზაციაში მონაწილეობისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. ინოვაციური პროცესების რეგიონული მხარდაჭერის საზღვარგარეთული გამოცდილება ამკარად მეტყველებს ამ საქმისადმი საკმაოდ დიდ ყურადღებასა და საქმიან აქტიურობაზე. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში რეგიონულ დონეზე მეცნიერების განვითარებისადმი და ინოვაციური მოღვაწეობისადმი სახელმწიფო ზემოქმედების ფორმები და მეთოდები ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, არც კი გვაქვს შემუშავებული. ცალკეულ რეგიონში ინოვაციური საქმიანობა მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს, რაც იმით არის განპირობებული, რომ არ არსებობს რეგიონული სამეცნიერო-ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია. საქართველოში სიახლეთა და ახალ წამოწყებათა დაფინანსების მექანიზმის არასრულყოფილება, კერძო კაპიტალის მოზიდვისათვის არახელსაყრელი გარემო აფერხებს როგორც მცირე ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას, ასევე ხელს უშლის მსხვილი ბიზნესის ინოვაციურ მოღვაწეობასაც. ქვეყნის მწირბიუჯეტიან ფუნდამენტალურ მეცნიერებას არ ძალუძს გაააქტიუროს სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა რეგიონების მეურნეობის აქტუალური ამოცანების გადასაწყვეტად.

კონკურენტული გარემოს შექმნა-ფორმირებას შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე ინოვაციურმა ბიზნესმა. მის განვითარებას


საქართველოში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, რის გამოც, იგი ამჟამად მეტად არასტაბილურ და განუვითარებელ საქმიანობას წარმოადგენს. ფინანსური რესურსების კონცენტრაციის შეუძლებლობა ინოვაციური აქტიურობის წამახალისებლად, სხვა ხელის შემშლელ გარემოებებთან ერთად, განპირობებულია ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებებითაც. კერძოდ, ქვეყანას არ ჰყავს სახელმწიფო რეგიონული მმართველობის სახით პერსპექტიულ მიმართულებათა კოორდინატორი და შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ხელსაყრელ გარემოს შექმნიდნენ ინოვაციებისათვის.

ამდენად, საინოვაციო პოლიტიკის ჩამოყალიბებას წინ უნდა უძღოდეს რეგიონის ეკონომიკური რესურსების საფუძვლიანი შესწავლა. ეკონომიკური რესურსების ანალიზის შედეგად უნდა დამუშავდეს რეგიონის განვითარების პროგნოზი და კონკრეტულად გამოიკვეთოს პრიორიტეტები. ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის აუცილებელია მათი უზრუნველყოფა საინოვაციო ღონისძიებებით, რასაც წინ უნდა უძღოდეს საინოვაციო იდეების მოძიება, ალტერნატიული წინადადებების ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება. მოქმედების შემდეგი ეტაპი წარმოადგენს პრიორიტეტების მიზნობრივი პროგრამის დამუშავებას.

როგორც ჩვენი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, მიზნობრივი პროგრამების სიმრავლე რეალურ შედეგს არ იძლევა, ვინაიდან მათი უზრუნველყოფა სათანადო დაფინანსებით ვერ ხერხდება.

ჩვენი აზრით, ამ მიზეზებს წარმოადგენს დაფინანსების გადაწყვეტის მცდელობა საბიუჯეტო სახსრების საშუალებით და უცხოეთის კრედიტებისა თუ გრანტების იმედით. ჩვენში, სამწუხაროდ, არ არის გამოყენებული ვენჩურული დაფინანსების უცხოეთის გამოცდილება, რომელმაც გადაამწყვეტი მნიშვნელობა იქონია აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში საინოვაციო წამოწყებათა დაფინანსების საქმეში (იხ. სქემა 2).

რეგიონის საინოვაციო საქმიანობა



და ბოლოს, შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა პრაქტიკულმა რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს რეგიონებში საინოვაციო საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებას:

- რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მეცნიერული კვლევების მხარდაჭერა და მათზე ორიენტირება;
- რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიმართულებათა კოორდინირებული რეგულირება;
- ბუნებრივი, საწარმოო და ინოვაციური პოტენციალის გათვალისწინებით, უახლესი, ან წამყვანი ტექნოლოგიების განვითარება რეგიონში;
- სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვი-

თარება რეგიონში;

– სამამულო მრეწველობის დაცვა, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

– სტრატეგიული დაგეგმვა;

– პრიორიტეტული დარგებისა თუ ცალკეული საწარმოს ფინანსური მხარდაჭერა;

– ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების სისტემის სრულყოფა;

– ინოვაციურ პროცესებზე ზემოქმედების სახელმწიფო მართვის მექანიზმის სრულყოფა;

– რეგიონში სავაჭრო და საბანკო ქსელის განვითარების ხელშეწყობა;

– კადრების მომზადებისა და გადამზადების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და განვითარება;

– რეგიონში ინფორმაციის სწრაფი გავრცელების უზრუნველყოფა;

– საწარმოებისთვის ტექნოლოგიების გადაცემის ორგანიზება;

– სალიცენზიო-საპატენტო უფლებების რეგულირება (დაპატენტება, საპატენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა);

– ირიბი რეგულირების ფორმების გამოყენება (სამართლებრივი, ფინანსური, ტექნიკური და ა.შ.);

– რეგიონში ინოვაციური საქმიანობის მონიტორინგი და მისი შეფასება;

– საწარმოთაშორისი ურთიერთობების სტრატეგიული კოორდინაცია;

– მართვის მეთოდების სრულყოფა და განვითარება;

– საზოგადოებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის მონიტორინგი (ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება);

– რეგიონში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა;

– საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბების გაფართოება (აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა);

– საწარმოების პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერა (მაკალითად, ინფორმაციული);

– რეგიონში ინოვაციური პროცესების კანონზომიერებათა შესწავლა, ინტენსიფიცირებული მეთოდების შემდგომი განვითარება და სრულყოფა.

ბუნებრივია, არც თუ ისე ადვილია ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა, რადგან თითოეული მათგანი რთული კატეგორიაა და თავისთავად ღონისძიებათა მთელ სპექტრს მოიცავს. იმისდა მიხედვით, თუ რა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობაა რეგიონში, შესაძლებელია ღონისძიებათა ამა თუ იმ ჯგუფის კომბინირება და პრაქტიკული რეალიზაცია. საქართველოს თითოეულმა რეგიონმა თვითონ უნდა განსაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა უპირატესი მხარდაჭერა გამოიყვანს რეგიონს რთული მდგომარეობიდან, უზრუნველყოფს სოციალური ორიენტაციის გაფართოებას და შექმნის მდგრადი განვითარების წინაპირობას.

საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა რეზიუმე

საქართველო იმყოფება საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესში. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებმა წარმოაჩინა მრავალი პრობლემა და მოსაგვარებელი საკითხი, მათ შორის რეგიონული განვითარების სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც ფედერალიზმის დამკვიდრების თანამედროვე პირობებში მეტად მასშტაბური, რთული და მრავალმხრივი ამოცანაა. რეგიონებში საზოგადოებრივი წყობის მიმდინარე რადიკალური ცვლა დიდ ეკონომიკურ სოციალურ და პოლიტიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საგულისხმოა, რომ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას რეგიონული კვლევის მდიდარი ტრადიცია გააჩნია და ნაშრომის მიზანიც ამ ტრადიციათა გაგრძელებაა. ისიც ცხადია, რომ რეგიონული ეკონომიკური განვითარების პრობლემების მოგვარება გლობალიზაციის პირობებში მართო საკუთარ ტრადიციებზე დაყრდნობით შეუძლებელია და საჭიროა ამ მიმართულებით მოწინავე უცხოური გამოცდილების შესწავლა, მათი გამოყენება ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ დღეისათვის არ არსებობს რეგიონული განვითარების რომელიმე დომინირებადი მოდელი. რეგიონული ეკონომიკური სისტემის განვითარება შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო თვითრეგულირების ფარგლებში ხორციელდებოდეს. პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების განმტკიცება. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებას, რაშიც საბაზრო მექანიზმების ფართოდ გამოყენებასთან ერთად აქტიურად უნდა ჩაერთოს

საბიუჯეტო საშუალებები. თავის მხრივ საბიუჯეტო რეგულირება არსობრივად შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, რეგიონებს შორის არსებული კონტრასტების შერბილება, მეურნეობრიობის ტრადიციების შენარჩუნება და თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომპლექსური მიდგომით.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში რეგიონული ფაქტორის პრიორიტეტული როლი დაადასტურა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებამაც, სადაც გარდაქმნები ჩვენზე ადრე და შედარებით წარმატებულად განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვეთრი რეგიონული კონტრასტები არ შეინიშნებოდა, რეფორმების პროცესმა მაინც დააყენა რეგიონების პროგრამული მართვისა და სამეურნეო სისტემის ორგანიზაციის ახალ პირობებთან ადაპტირებული და შეთავსებული სპეციფიკური ხერხების გამოყენების აუცილებლობის საკითხი

საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პირობებში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრები მკვეთრად შემცირდა. ვერ მოხერხდა სახელმწიფო ტერიტორიული და ადმინისტრაციული მოწყობის საკითხის კონსტიტუციურად გადაწყვეტა, არ შემუშავებულა სახელმწიფოს რეგიონული მოწყობის პრინციპების ჩამოყალიბება, არ არის გააზრებულად (ოპტიმალურად) გამიჯნული უფლებამოსილებები ცენტრსა და რეგიონებს შორის. ამიტომ სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა კომპლექსურ და თანმიმდევრულ ხასიათს არ ატარებს.

დღევანდელ პირობებში პრინციპულ საკითხად მიგვაჩნია ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის პრობლემის გადაწყვეტა კონსტიტუციურ დონეზე, რის შესაბამისადაც განისაზღვრება სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის პრიორიტეტები შემდეგი მიმართულებებით:

– რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინება საქართველოს სტრუქტურული, ინვესტიციური, ფინანსური, სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციაში;

– რეფორმების აქცენტირების გადატანა რეგიონულ დონეზე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე;

– რეფორმების წარმართვის დეცენტრალიზაციისა და ადგილებზე ეკონომიკურ საქმიანობათა აქტივიზაციაზე;

– განსაკუთრებული პირობების მქონე, კრიზისულ (ჩამორჩენილ) რეგიონებში სპეციალური პროგრამების შემუშავებაზე და სხვა.

როდესაც ვაანალიზებთ ქვეყანაში ფედერაციული სახელმწიფოს ფორმირების აქტუალურ საკითხებს, გათვალისწინებული და რეალიზებული უნდა იყოს შემდეგ ძირითადი პრინციპები:

– ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობა;

– საკუთრების განაწილება ფედერალურ და სუბფედერალურ დონეებზე;

– ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები;

– ქვეყნის ფედერალურ კანონმდებლობასთან რეგიონების კანონმდებლობის სრული შესაბამისობა;

– ერთიანი ეკონომიკური სივრცე;

– სახელმწიფოს მართვის სისტემის ვერტიკალის ფორმირება;

– ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მმართველობის ცენტრალური (ფედერალური) ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებათა გადანაწილება და გამიჯვნა;

– ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

აუცილებლად მიგვაჩნია დღის წესრიგში დადგეს საქართველოში რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საკითხი, სადაც პრიორიტე-

ტული მიმართულებების გამოკვეთის კვალობაზე, ჩამოყალიბდება ოპეონების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები. ამასთან მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ სამომავლოდ რეალიზებადი ღონისძიებები დაიყოს რეალიზაციის პერიოდების მიხედვით ანუ გამოიყოს კონკრეტული ეტაპები. სტრატეგიის განსაზღვრის პირობებში მისი განხორციელების ტაქტიკურმა მექანიზმებმა, შესაძლოა დროის მოთხოვნათა ცვალებადობის კვალობაზე გარკვეული დაზუსტებები და კორექტირებები განიცადოს.

როდესაც საუბარია საქართველოში რეგიონების კომპლექსური სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე ყურადღება უნდა მიექცეს:

– რეგიონების აგრარული პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის ამაღლების მიზნით;

– სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მქონე რეგიონებში ძრწველობის განვითარების მხარდაჭერასა და მეწარმეობის ადგილობრივი ფაქტორების ამოქმედება-გააქტიურებას;

– მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე რეგიონების სპეციფიკურობის გათვალისწინებას (საკურორტო მეურნეობის, ტურიზმის განვითარებას და სხვა).

ამასთან ერთად აუცილებელია რეგიონების კლასიფიკაცია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რაც უფრო მეტად აამაღლებს რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის ხარისხს. ამ მხრივ მიზანშეწონილია გამოიყოს ყველაზე პრობლემური რეგიონები შემდეგი მახასიათებლებით:

– ეკონომიკურად მკვეთრად ჩამორჩენილი რეგიონები, სადაც ეკონომიკური აქტივობა ძალზედ დაბალია, მაღალია უმუშევრობის დონე და ა. შ. რეგიონების ამგვარ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი;

– ეკოლოგიური საფრთხის წინაშე მდგარი რეგიონები, სადაც ატმოსფეროში წყალსა და ჰაერში მავნე ნივთიერებების

რაოდენობამ შეიძლება დასაშვებ ზღვარს გადააჭარბოს (მაგალითად ქვემო ქართლი);

– დიდი მიგრაციით დამახასიათებელი რეგიონები (მაგალითად, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი). რეგიონების ამგვარ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები, საიდანაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ომების შედეგად, ათეული ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი იძულებული გახდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დასახლებულიყო.

სამწუხაროა, რომ პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში ვერ მოხერხდა ამ მიმართულებით კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა რეგიონული კლასიფიკაციის საკითხის გადაჭრა, მეცნიერულად დასაბუთებული (გააზრებული) პრაქტიკული მიდგომების ჩამოყალიბება, რაც ჩვენი აზრით, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის (სტრატეგიის) წარმატებით რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების მოცულობათა (მაჩვენებელთა) შედარებით და რეგიონული ბალანსის შედგენით შეიძლება გამოიკვეთოს რეგიონული სპეციალიზაციისა და ურბანიზაციის თავისებურებები

საქართველოს ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიები ჩვენი გათვლებით შეადგენს 54,4 ათას კვადრატულ კილომეტრს ანუ ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 80,1 პროცენტს. ამგვარად, ამ მიმართულებით თანამედროვე პირობებში არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვაყლინოთ გამოყენებულ მიწებზე არსებული დარგობრივი განსხვავებანი. ეკონომიკურად აქტიური ტერიტორიების მოცულობათა (მაჩვენებელთა) შედარებით და რეგიონული ბალანსის შედგენით შეიძლება გამოიკვეთოს რეგიონული სპეციალიზაციისა და ურბანიზაციის თავისებურებები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაანალიზება ვერ წარმოგვიდგენს რეგიონების

ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არსებულ სრულ სურათს, ამიტომ, ინფორმაციული ვაკუუმის გარკვეულწილად შესავსებად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი გათვლები ეკონომიკურად აქტიურ ტერიტორიებზე სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის მაჩვენებლების დადგენის მიმართულებით. ტერიტორიის 1 კვ. კილომეტრში გათვლილი საერთო-ეკონომიკური კრებსითი მაჩვენებლები საშუალებას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ სამეურნეო საქმიანობის რეგიონული სიმჭიდროვის რეალური სურათი, განვსაზღვროთ ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური აქტიურობის დონე. რეგიონების მაჩვენებლების შეპირისპირებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ფარდობითი სიდიდეები – ინდექსები, რომლებიც გამოხატავენ რეგიონის მაჩვენებლის გადახრას ქვეყნის საშუალო სიდიდესთან (100 პროცენტი) მიმართებაში. გათვლები ადასტურებს პირდაპირ კავშირს რეგიონის ტერიტორიების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხისა და სამეურნეო საქმიანობის სიმჭიდროვის მაჩვენებლებს შორის. ტერიტორიის ეკონომიკური აქტიურობისა და დასახლების მაღალი კოეფიციენტების არსებობის პირობებში (მაგალითად, ქ. თბილისი), აგრეთვე მაღალია ინვესტიციების, მთლიანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ტრანსპორტით უზრუნველყოფის ინდექსები.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შესაბამისი გაანგარიშებები მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტის დადგენის მიმართულებით, რიმლის შედეგების მიხედვითაც ქ. თბილისში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 0,57 ერთეული, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 0,57, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში – 0,38, გურიის მხარეში – 0,44, იმერეთის მხარეში – 0,51, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მხარეში – 0,44, შიდა ქართლის მხარეში – 0,45, კახეთის მხარეში – 0,47, ქვემო ქართლის მხარეში – 0,55, ხოლო სამცხე-ჯავახეთის მხარეში – 0,45 ერთეული. როგორც გათვლებით დასტურდება ქ. თბილისს, აჭარის

არ-ას, იმერეთისა და ქვემო ქართლის მხარეებს, გააჩნიათ შედარებით მაღალი მაჩვენებლები, აქედან გამომდინარე კიდევ უფრო არგუმენტირებულად შეიძლება დაბალი სოციალური მაჩვენებლებით დამახასიათებელი რეგიონებისათვის შესაბამისი პრიორიტეტების გამოკვეთის ფონზე, სათანადო მასტიმულირებელი (სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოთანაბრების თვალსაზრისით) ღონისძიებების გატარების აუცილებლობის დასაბუთება.

ყველაზე მეტად ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა სამრეწველო ქალაქები და ის მცირე ქალაქები და მათი მიმდებარე სოფლები, რომლებისთვისაც დასაქმებას იძლეოდა მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი-ორი დიდი საწარმო. ამ რეგიონების ათათასობით უმუშევარმა დიდ ქალაქებს მიაშურა, განსაკუთრებით თბილისს. იქ კი, მართალია, დასაქმების მეტი საშუალებაა, ვიდრე მცირე ქალაქებში, მაგრამ ნაკლებ კვალიფიციურ შრომის ბაზარზე ყველა ნიშა უკვე დაკავებულია ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულების ფაქტობრივი უმუშევრებით ან აფხაზეთიდან დევნილების მიერ“.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მთიანი რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინება. საქართველოში მთიანს განეკუთვნება დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორის (მცხეთამთიანეთის მხარე), ჯავის (შიდა ქართლის მხარე), ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ცაგერის, ამბროლაურის, ლენტეხის, ონის (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მესტიის (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ქედის, შუახევის, ხულოს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) რაიონები.

საბოლოო ჯამში, ჩვენს მიერ ზემოთ გაანალიზებული საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონული ასიმეტრია შესაძლებელია გაცნობიერებულ იქნას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების

უზრუნველყოფაზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორი. ამდენად, ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისპროპორციების ნიველირება უნდა განისაზღვროს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ტერიტორიული ერთეულების შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

„საბიუჯეტო ფედერალიზმის“ სრულყოფა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს რეგიონების სოციალური უთანაბრობის პრობლემების გადაწყვეტასა (შერბილებასა) და ტერიტორიული სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფას, ამასთან აღნიშნულის რეალიზაციის პროცესში წამოჭრილი წინააღმდეგობების დაძლევა და თითოეული მოქალაქისათვის (მოქალაქეთა ჯგუფებისათვის, ფენებისათვის) გარკვეული მოცულობის სოციალური მომსახურებითი უზრუნველყოფის საკითხიც „საბიუჯეტო ფედერალიზმის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პრიორიტეტულობა დეკლარირებული და დაფიქსირებულია საქართველოს მთავრობის მიერ, ბოლო პერიოდში მიღებულ თითქმის ყველა სამთავრობო დოკუმენტში.

საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელის არჩევასთან დაკავშირებული გარკვეული წინააღმდეგობებისა, კოოპერაციული მოდელისათვის დამახასიათებელი რეგიონული ხელისუფლების ფართე მონაწილეობა ეროვნული შემოსავლების გადანაწილებისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესში, და აქედან გამომდინარე სხვადასხვა საბიუჯეტო დონეებს შორის მჭიდრო ურთიერთანამშრომლობის უზრუნველყოფა შეიძლება მივიჩნიოთ (ჩავთვალოთ) ჩვენი ქვეყნის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წინაპირობად.

საქართველოში ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ფორმირებაზე მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების სიმ-

წვავე ხელს უშლის ქვეყანაში საბიუჯეტო ფედერალიზმის დამკვიდრებას. ამდენად, როდესაც ქვეყანაში საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის გზებს ვაანალიზებთ, უდაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების იმ ნაკლოვანებების გამოსწორებას, რომლებზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი. ხოლო თავის მხრივ, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფის (რეფორმირების) ძირითად მიზნებად შეიძლება განისაზღვროს:

— საქართველის საბიუჯეტო სისტემის ფინანსური რესურსების გამოყენებისა და მართვის ეფექტიანობის ამაღლება;

— ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მინიმალური სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა, რაც ყველა დონის ბიუჯეტის შესაძლებლობების გამოყენებით უნდა განხორციელდეს;

— რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანი განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგიონული ასპექტების გაანალიზებისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფაქტორს.

ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა შესაბამისი გათვლები საქართველოს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაჩვენებლების გაანგარიშების მიმართულებით. გათვლებმა აჩვენა, რომ საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (152,9) ქ. თბილისი, შიდა ქართლისა (67,0) და ქვემო ქართლის (69,7) რეგიონები, აგრეთვე აჭარის არ (42,1) გამოირჩევიან. საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით მცხეთა-მთიანეთის რეგიონი (12,1) ხასიათდება.

აღნიშნული ანალიზით პრაქტიკულად შესაძლებელია საქართველოს რეგიონების საფინანსო-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობისა და თვითმყოფადობის მიმართულებით გარკვეული

აქცენტების გაკეთება, რაც ავტორების აზრით უდაოდ მნიშვნელოვანი და პრინციპული ორიენტირია, არა მარტო ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობებისა და საფინანსო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით, არამედ მთლიანად რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გზების განსაზღვრის, არსებული მდგომარეობის ანალიზის, დეპრესიული რეგიონების გამოვლენისა და მთლიანობაში რეგიონული პოლიტიკის ქმედითი ინსტრუმენტების შემუშავების კუთხითაც.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების თანამედროვე პირობებში რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია რეგიონული დაგროვების პროცესების გაღრმავება, ვინაიდან მისი მეშვეობით იქმნება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. რეგიონული დაგროვების პროცესი გულისხმობს, ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილის (ზედმეტი პროდუქტი) აკუმულაციას, რომელიც უპირატესად კაპიტალური სამუშაოების დაფინანსებაზე წარმართება.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და შესაბამისად, ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კვალობაზე, დღის წესრიგში დადგება საკითხი მათი გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე. აღნიშნულის რეალიზაციისათვის ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება რეგიონული საინვესტიციო პროგრამების (რსპ) შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანი იქნება რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების მიღწევა და შენარჩუნება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს წარმოების სტაბილიზაციას, სოციალური სფეროს განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის (რეგიონების) ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების მიმართულებით განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, ამ პროცესის ეფექტიანობა საკმაოდ დაბალია და დღის წესრიგში აყენებს, საქართველოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური

მექანიზმების ფორმირების აუცილებლობის საკითხს. დასმული პრობლემის გადაწყვეტის წინამძღვრების ჩამოყალიბების მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულია შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ბუნებრივ-რესურსული ეფექტიანი პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების მართვის ერთიან, ინტეგრირებულ სისტემად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ერთჯერადი მოქმედება. ეს არის რთული, მრავალეტაპიანი პროცესი, რომლის რეალიზაციის დროს უნდა იწარმოებოდეს ამა თუ იმ ღონისძიების (მაგ., ნორმატიული აქტის მოქმედების) განხორციელების შესაძლო შედეგების სიღრმისეული ანალიზი და განვითარების სავარაუდო სცენარების პროგნოზირება. ზოლო, ეს მოთხოვნები თავის მხრივ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოყენების კვალობაზე შეიძლება გაფართოებული იქნეს ან სპეციფიკის მიხედვით მოხდეს მისი მეტი კონკრეტიზაცია.

დღის წესრიგში დგება შესაბამისი სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სიტემის ახალი მიდგომების შემუშავების საკითხი, რომლის რეალიზაციაც ხელს შეუწყობს ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის ეფექტიან ფუნქციონირებასა და კელაფწარმოებას

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს პროცესები გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის (რეგიონალიზაციის) გაძლიერებით.

და ბოლოს ფაქტობრივად სახეზეა „ახალი რეგიონალიზმის“ ფორმირების პროცესები, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველი – 30 წლის წინანდელი რეგიონალიზმის ძირითადი იდეებისაგან. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ „ახალი რეგიონალიზმის“ რეალიზაცია, როგორც წესი „ქვემოდან“ (და არა „ზემოდან“) მიმდინარეობს. მის მონაწილე სუბიექტებად სახელმწიფოებთან ერთად გამოდიან სხვა ინსტიტუტებიც. იგი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან ერთად მოიცავს ეკოლოგიური და

უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტას. რაც მთავარია „ახალ რეგიონალიზმს“ ახასიათებს რეგიონული გაერთიანებების (ინსტიტუტების) მონაწილეთა გლობალურ პროცესებში ადაპტირებისათვის შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების ძიება.

გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე ტენდენციების ფონზე, საქართველოს, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში, უხდება მსოფლიო მეურნეობაში ღირსეული (ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით) ადგილის დამკვიდრებისათვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია.

GEORGIAN'S ECONOMIC OF REGIONAL DEVELOPMENT SUMMARY

Georgia is in the process of Social transformation. Reforms ongoing in the country revealed numerous problems and issues to be dealt with, including necessity of formation of rigorous regional development system, what is very large-scale, complex and many-sided challenge, in current conditions of fostering of federalism. Dramatic change of the social order in the regions is associated with great economic, social and political difficulties.

It should be noted Georgian economic science has rich traditions of regional studies and goal of this work is continuation of these traditions. It is clear that it is impossible to deal with the problems of economic development of the region in the conditions of globalization only based on own traditions and it is necessary to study advanced foreign experience in this sphere, its adjustment to the peculiarities of the country.

World experience shows that currently there is no dominating model of regional development. Development of regional economic system is possible only within the scopes of market self-regulation. Primarily, it is necessary to strengthen the regulating functions of the state. In this process special attention should be paid to improvement of the economic potential of the regions. For this, together with wide application of the market mechanisms, the budget facilities should be actively involved. On its side, core budget regulation may be different, regarding specific features of different territorial units. Briefly, mitigation of contrasts between the regions, maintaining of traditions of economy and moving to the qualitatively new level should be provided through complex approach.

In the process of post-socialist transformation priority role of re-

gional factor was confirmed by the experience of the Eastern European countries, where transition took place earlier and with more success. Though in the countries of Eastern Europe there were no dramatic regional contrasts, the process of reforms still caused the issue of necessity if application of specific techniques adapted and compatible to new conditions of programmed management of the regions and organization of economic system

In Georgia, in the conditions of fostering of market relations major parameters of socioeconomic development of the regions fall drastically. The issue of state territorial and administrative arrangement was not resolved in accordance with the constitution, there were not developed the principles of regional arrangement of the state, the authorities are not divided between the centre and regions in an reasonable (optimal) manner and therefore, the regional politic of the state is not complex and consistent.

In current conditions we regard that resolving of the issue of territorial arrangement of the country at the constitution level, according to which there will be set the priorities of the state regional policies in the following directions:

- Taking into consideration the specific features of the region in realization of structural, investment, financial, social and foreign economic policies;
- Placing of the emphasis of the reforms at the regional level to support of the small and medium business, development of social infrastructure, improvement of environmental safety and effectiveness of use of the natural resources;
- Decentralization of implementation of the reforms and activation of the economic activities locally;
- Development of special programs for the underdeveloped regions etc.

When we analyze the acute issues of formation of the federative state, the following major principles should be taken into account:

- Integrity of the country;
- Distribution of the property at federal and sub-federal levels;
- Inter-budgetary relations;
- Full compliance of regional legislation with the federal legislation of the country;
- Unified economic space;
- vertical formation of the state government system;
- Distribution and dividing of the functions and authorities of the central (federal) bodies in the process of development and implementation of the policies of socioeconomic development of the country;
- Administrative-territorial dividing of the country.

We regard that it is of critical significance to put on the agenda the issue of development of strategic document of socioeconomic development of the regions in Georgia, which, in accordance with the revealed of the priority directions, will formulate specific measures for securing complex development of the regions. At this point, it is significant to match future measures with their implementation periods or state specific stages. In the conditions of stating of the strategy, the tactical mechanisms of its realization may be subject to adjustments and corrections, in response to the changes of the requirements with time.

In elaboration of the strategy for complex socioeconomic development of the regions in Georgia, attention should be paid to the following:

- Effective use of agrarian potential of the regions, for improvement of supply of the agricultural products to the population;
- Industry development support and activation of the local factors of entrepreneurship in the regions with scientific-technological potential;
- Taking into consideration the specific features of the regions with rich natural resources (resort economy, tourist business

development etc.).

In addition, it is necessary to provide classification of the regions with respect of socioeconomic development, what would improve the quality of resolving of the regional problems. In this context, it is reasonable to identify the most problematic regions with the following characteristics:

- Economically underdeveloped regions, where economic activity is very low, unemployment rate is high, etc. Svaneti, Racha-Lechkhumi, Samtskhe-Javakheti may be categorized as such type of regions;
- Regions facing the environmental danger, where content of harmful substances in the air and water could exceed the maximal allowable limit (e. g. Kemo Kartli);
- Regions characterized with significant rates of migration (e. g. Kvemo Kartli, Mtskheta-Mtianeti). Territories of Abkhazia and Samechablo could be classified as such type, where, as a result of wars for territorial integrity of Georgia, tens of thousands of IDPs had to settle in different cities of Georgia.

Unfortunately, Georgia of the post-Soviet period failed to make any effective steps in this respect. We mean the fact that the issue of regional classification still remains unresolved, formulation of scientifically justified practical approaches, what, in our opinion, is one of the significant conditions for successful implementation of regional economic policies (strategies).

Economically active territories of Georgia, according to our calculations, is 54.4 sq. km, or 80.1 per cent of entire territory of the country. Thus, analysis of current conditions in this respect allows identification of the sector differences of the used lands. Through comparison of economically active territories (indices) and preparing of the regional balance, it is possible to reveal details of regional specialization and urbanization.

In addition, it should be noted that analysis of existing situation in this direction can not provide entire picture of economic condition of

the regions. Therefore, to provide missing information at some extent, we have conducted relevant calculations for determining of the indices of density of economic activities in the economically active territories. Totalized general economic indices per q sq. km allows for identification of actual pattern of regional density of economic activities, determine level of economic activity of the regions of the country. For comparison of the indices of regions it would be reasonable to use the relative values – indices, which express deviation of the region indices from country average (100 per cent). Calculations confirm that there is direct relation between the extent of participation of the territories of the region in economic activities and indices of density of economic activities. If economic activities and density of population indices are high (e. g. Tbilisi), the investment, industrial and agricultural production and transport supply indices are high as well.

Based on the data from the State Department of Statistics, we have conducted relevant calculations to determine the coefficient of effectiveness of population employment. The results showed that the value of this index is 0.57 units in Tbilisi, 0.57 – in Adjara Autonomous Republic, 0.38 in Samegrelo-Zemo Svaneti region; 0.44 – in Guria region; 0.51 – in Imereti Region; 0.44 – in Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti region; 0.45 – in Shida Kartli Region; 0.47 in Kakheti region; .55 – in Kvemo Kartli region; and 0.45 units – in Samtskhe-Javakheti region. Calculations show that in Tbilisi, Adjarian Autonomous Republic, Imereti and Kvemo Kartli regions the indices are relatively high and hence, justification of necessity of implementation of the stimulating measures (with respect of equalization of socioeconomic condition), with identification of relevant priorities for the regions with low social indices would be better argued.

Economic crisis has most severely impacted the industrial cities and the villages in their vicinity, for which the employment was provided by one branch of industry or few large enterprises. Tens of thousands of unemployed of these regions moved to large cities, especially

to Tbilisi. Though there are more opportunities for employment, compared with the small cities, all niches of the less qualified labor are already occupied by the actual unemployed from local industrial enterprises and institutions or the IDPs from Abkhazia.

One of the most significant aspects of socioeconomic development of the regions of Georgia is consideration of the specific features of the mountainous regions. Dusheti, Tianeti, Kazbegi, Akhagori (Mtskheta-Mtianeti region), Java (Shida Kartli region), Akhaltsikhe, Akhalkalaki, Ninotsminda, Aspindza, Adigeni, Borjomi (Samtskhe-Javakheti region), Tsageri, Ambrolauri, Lentekhi, Oni (Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti region), Keda, Shuakhevi, Khulo (Adjarian Autonomous Republic) districts are classified as mountainous districts of Georgia.

Finally, regarding current status of socioeconomic development of the analyzed regions of Georgia, regional asymmetry could be considered as a factor with negative impact on economic, social and political safety. Thus, elimination of disproportion between the levels of development of the regions should be one of the most significant directions of the national politics, to ensure balanced economic and social development of the territorial units.

Improvement of "Budget federalism" is directly related to resolving of the problem of social inequality of the regions of Georgia (mitigation) and ensuring optimal ratio of territorial equity and economic effectiveness. Overcoming of the obstacles emerged in the process of implementation of the above and ensuring certain quantity of social services to each citizen (groups, strata of the citizens) is one of the priority issues of "budget federalism", especially in the conditions, when priority of fostering of socially oriented market-economy relations is declared by the Government of Georgia, virtually in all governmental documents adopted in the recent period.

Certain barriers related to selection of the budget federalism model, wide participation of the regional government in incomes distribu-

tion and hence in the process of macroeconomic stabilization, characteristic for cooperative model, further ensuring close cooperation between different budgetary levels could be regarded as significant precondition for improvement of current status of development of our country.

Urgency of objective and subjective factors impacting formation of the inter-budgetary relations in Georgia hinders fostering of budget federalism in the country. Thus, when analyzing of the ways for improvement of budget federalism in the country, we should consider great significance of improvement of the above mentioned weaknesses of the inter-budgetary relations. On the other hand, the main goals for improvement (reformation) of the inter-budgetary relations could be stated as follows:

- Improvement of effectiveness of use and management of the financial resources of the budget system of Georgia;
- Securing if minimal social guarantees for the population of entire territory of Georgia, what should be provided through taking advantage of the budget opportunities at all levels;
- Ensuring proper conditions for effective socio-economic development of the regions.

In analyzing regional aspects of financial-budgetary policies, attention should be paid to the factor of financial-economic independence of the regions.

We have conducted the calculation of the indices of financial-economic independence of the regions of Georgia. Calculations showed that the highest indices of financial-economic independence are in Tbilisi (152.9), Shida Kartli (67.0) and Kvemo Kartli (69.7) regions, also Adjarian Autonomous Republic (42.1) The lowest index is in Mtskheta-Mtianeti region (12.1)

By means of this analysis it is practically possible to place some emphasis with respect of status of financial-economic development and originality of the regions of Georgia, what, in the opinion of the authors,

undoubtedly, is very significant and critical reference point, not only with respect of improving of effectiveness of inter-budgetary relations and financial policies, but also for setting of the ways for socioeconomic development of the regions, analysis of current situation, revealing of the depressive regions and generally, with respect of development of the effective instruments for regional policies in general.

In current conditions of formation of the market-economic relations, with respect of activation of the investment activities in the regions, it is of great significance to deepen the processes of regional gaining, as it contributes to the potential of socioeconomic development of the region. The process of regional gaining implies accumulation of certain part of monetary assets (excess product), which will be directed mainly to implementation of the fundamental works.

With improvement of the environment for investing and hence activation of investing activities, the issue of effectiveness of their use will be placed on the agenda. For realization of this, in our opinion, it would be reasonable to develop the regional Investment Programs (RIPs), major goal of which will be achievement of intensification of investing in the region and maintaining this achievement, what, on its side, would contribute to stabilization of production, improvement of social sphere and economic growth.

Though there was implemented number of activities for use of the natural-resource potential of the country (regions), effectiveness of this process is quite low and hence, it is necessary to form adequate scientifically justified organizational-economic mechanisms, bearing in mind current conditions in Georgia. With the purpose of formulation of the preconditions for resolving of this issue, we have developed relevant methodological approach, which would provide integrated system for effective use of the natural-resource potential.

Formation of the organizational-economic mechanism for use of the natural-resource potential could not be regarded as a one-time action. This is a complex, multi-stage process, at a time of implementa-

tion of which there should be performed in-depth analysis of the results of one or another activity (e. g. effects of the normative acts) and forecasting of the proposed scenarios of development. These requirements, on their side, regarding use of the natural-resource potential, could be widened or defined more specifically, regarding the special features.

The issue of development of new approaches to the relevant strategic and environmental regulation system is placed on the agenda. Its implementation would contribute to effective functioning and reproduction of the natural-resource complex.

In current conditions the processes lead to increasing of globalization and localization (regionalization).

And finally, actually, there are occurring the processes of formation of “new regionalism”, which is dramatically different from the major ideas of old regionalism, existing 30 years ago. Primarily, it should be noted that as a rule, realization of “new regionalism” is provided from bottom to top (and not from top to bottom). Together with the state, other institutions are subjects participating in it. Together with resolving of the economic issues, it deals with the environmental and safety issues. What is the most significant, new regionalism is characterized with seeking of the optimal ways for adaptation of the participants of regional institutions with the global processes.

Against the background of current globalization and localization trends, in the conditions of independence and dramatic transformation of the social relations, Georgia has to develop and put in place the mechanisms for ensuring proper place in the world economy (taking into consideration the national interests).

ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბ.: „ვერუე“, 2002;
2. ბარათაშვილი ე., დანელია თ., ზარანდია ჯ., რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზრო პირობებში. თბ., 2000;
3. ბარათაშვილი ე., ნარსია ლ., ანჯაფარიძე ზ., საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო – შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ინტეგრირების განმსაზღვრელი ფაქტორი. თბ., 1999;
4. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ჯანელიძე ნ., საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები – მსოფლიო მეურნეობის ლიდერები. თბ., 2000;
5. ბარათაშვილი ნ., ნარკვევები სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის სფეროდან; თბ.: „მეცნიერება“, 1999;
6. ბარათაშვილი ნ., ევრაზიული სივრცე და ამერიკის ინტერესები. თბ., სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001;
7. ბარათაშვილი ნ., კაკვასიის გეოპოლიტიკური ასპექტები. თბ.: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003;
8. ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.: 2004;
9. ბარათაშვილი ე., ჩიკვაშვილი ბ., ისრაელის ეკონომიკური განვითარების ეტაპები. გამომცემლობა „ზედაშე“, 1994;
10. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., გახოკიძე ნ., უცხოეთის პირდაპირი ინვესტიციები საერთაშორისო წარმოების ინტეგრირებულ სისტემაში. გამომცემლობა „რუბიკონი“, 1999;
11. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., სამეცნიერო-ტექნოლოგიური

განვითარების პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა „რუბიკონი“, 1999;

12. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ჯანელიძე ნ., ეკონომიკური განვითარების თანამედროვე თეორიები, გამომცემლობა „რუბიკონი“, 2000;

13. ბარათაშვილი ე., ბარათაშვილი თ., რეგიონის რესურსული პოტენციალის შეფასების საკითხისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2000;

14. ბარათაშვილი ე., შენგელია თ., ბარკალაია გ., ინოვაციური პროცესების ზემოქმედების განსაზღვრა ეკონომიკურ ზრდაზე (რუსულ ენაზე), აზერბაიჯანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომების კრებული, 2000;

15. ბარათაშვილი ე., ბარათაშვილი თ., რეგიონის სამრეწველო განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“ №7-9, 2000;

16. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., გაბოკიძე ნ., საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი (პრობლემები და პერსპექტივები), გამომცემლობა „რუბიკონი“, 2001;

17. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., საინვესტიციო პროექტის მენეჯმენტი (უცხოეთის გამოცდილება), გამომცემლობა „რუბიკონი“, 2001;

18. ბარათაშვილი ე., ნაკაიძე გ., ვეშაძე შ., განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი, თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2001;

19. ბარათაშვილი ე., ორჯონიკიძე ნ., რეგიონული (სივრცობრივი) ეკონომიკური თეორიის გენეზისი, საქართველოს ეკონ. და სოც. პრობ. სამეცნ. კვ. ინსტ., ტომი №VI, 2002;

20. ბარათაშვილი ე., ბარკალაია გ., სამრეწველო ბაზრის ფორმირება და მარკეტინგული საქმიანობა ენერგეტიკაში, ჟურნალი „ეკონომიკა“, №5, 2002;

21. ბარათაშვილი ე., ქოქოსაძე ნ., საინოვაციო საქმიანობის

რეგიონული ასპექტები. ჟურნალი „ინოვაცია“, 2003;

22. ბრათაშვილი ე., ფაქულა ო., საქართველოს ჩაის მრეწველობის რეგიონული სტრუქტურის სრულყოფის საკითხისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“ №11, 2003;

23. ბრათაშვილი ე., საქართველოს რეგიონული განვითარების რეტროსპექტივა და პერსპექტივა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელ. ეკონ. ინსტიტუტი, შრომების კრებული III ტომი, 2003;

24. ბრათაშვილი ე., აფხაზეთის ა. რ. ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციები და მისი რეაბილიტაციის პრობლემები, ს/ს ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, შრომ. კრებული „განათლება და ეკონომიკა“, 2004;

25. ბრათაშვილი ე., სოლოლაშვილი დ., რეგიონული ლობიზმი და ინტერესთა სისტემა, ჟურნალი „ეკონომიკა“, №6, 2004;

26. ბრათაშვილი ე., სოლოლაშვილი დ., აბაშიძე ლ., რეგიონში ინოვაციებისა და ინვესტიციების როლი პრივატიზებულ საწარმოთა ფინანსურ უზრუნველყოფაში, ჟურნალი „ეკონომიკა“, №7-8, 2004;

27. ბრათაშვილი ე., კეკელია გ., რეგიონების სამეურნეო სპეციალიზაცია, როგორც მათი საწარმო-ეკონომიკური პოტენციალის ამადლების საფუძველი, ჟურნალი „ეკონომიკა“ №9, 2004;

28. ბრათაშვილი ე., ალავიძე ზ., საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის ობიექტური მიზეზები და მათი გამოთანაბრების პრიორიტეტები, ჟურნალი „ეკონომიკა“ №12, 2004;

29. ბრათაშვილი ე., როინიშვილი გ., რეგიონული განვითარება: კონკურენტუნარიანობა და მარკეტინგი (ორგანიზაციული ასპექტი), ჟურნალი „ეკონომიკა“ №3, 2004;

30. ბრათაშვილი ე., რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება, ჟურნალი „ეკონომიკა“ №3, 2004;

31. ბრათაშვილი ე., რეგიონის ცნების და მისი მეცნიერული

კვლევის საგნის საკითხისათვის, ფინანსების სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტი, შრომების კრებული, ტომი VIII, 2005;

32. ბარათაშვილი ე., ივანიშვილი ვ., ეკონომიკური ინტერესები და პოლიტიკური ფაქტორები ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში, ჟურნალი „ეკონომიკა“ №5-6, 2005;

33. ბარათაშვილი ე., მინდორაშვილი ლ., ჩუხრიკიძე თ., განათლება – რეგიონის კონკურენტუნარიანობის სისტემაში, ჟურნალი „ეკონომიკა“ №9, 2006;

34. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., რეგიონული სოციალური და ეკონომიკური სტრატეგიკაცია, თბ.: ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №2, 2005;

35. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., რეგიონული მენეჯმენტისა და მარკეტინგის არსის შესახებ, თბ.: ჟურნალი „ეკონომიკა“ №1, 2006;

36. ბარათაშვილი ე., ციმინტია კ., ზარანდია ჯ., რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება (თეორიულ მეთოდოლოგიური მიდგომა), თბ.: ჟურნალი „ეკონომიკა“ №11-12, 2006;

37. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., რეგიონული ეკონომიკური განვითარების შედარებითი ანალიზი საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკების მაგალითზე, თბ.: ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №1, 2007;

38. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001;

39. ბელიანაშვილი გ., რეგიონის კომპლექსური სოციალური-ეკონომიკური განვითარება (მიზნობრივი და რესურსული ასპექტები) თბ.: „მეცნიერება“, 1990;

40. გაბაშვილი გ., ვახუშტი ბაგრატიონი (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება), თბ.: „ნაკადული“, 1969;

41. გაბუნია ი., საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა, თბ.:

შპს „ქართული ფილმი“, 1996;

42. გაჩეჩილაძე გ., თვალსაზრისი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესახებ და გამო, თბ.: გაზეთი, „ჩვენნი მწერლობა“, 2003;

43. გაჩეჩილაძე რ., მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, თბ.: „გაეროს პროგრამა – სადისკუსიო წერილების სერია“, №1, 1997;

44. გეხტმანი გ., სამცხის ბუნებრივი სიმდიდრენი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1950;

45. გველესიანი გ., ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, თბ.: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, №72, 2002;

46. გოგოხია რ., საბაზრო ეკონომიკა, თბ.: „საქპროფგამი“, 1996;

47. გუგუშვილი პ., კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ.: „სახელგამი“, 1941;

48. ღორღული ნ., ხმალაძე კ., ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი და საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების სტრატეგიის ზოგიერთი საკითხი, თბ.: ეპსკი-ს შრომების კრებული, ტ. IV, 1999;

49. ვეშაბიძე შ., ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბ.: სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 1994;

50. ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები (მონოგრაფია), თბ., 2002;

51. ზარანდია ჯ., ბარათაშვილი ე., ინვესტიციური პოლიტიკა რეგიონულ დონეთა ჭრილში, თბ.: ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-12, 2000;

52. ზარანდია ჯ., საინვესტიციო მოთხოვნის ილექცია, როგორც რეგიონული განვითარების ფაქტორი, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომი-

კა“, №6, 2001;

53. ზარანდია ჯ., სახელმწიფო რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები, პოსტსოციალისტური ტრანსპორმაციის პირობებში, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომიკა“, №2, 2003;

54. ზარანდია ჯ., რეგიონული ეკონომიკური განვითარების თეორიების გენეზისი, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომიკა“, №4, 2003;

55. ზარანდია ჯ., ბუნებრივ-რესურსული ბაზის კლავწარმოების სტრატეგიული რეგულირების სისტემა, თბ.: ჟურნალი „სოც. ეკონომიკა“, №6, 2003;

56. ზარანდია ჯ., მრეწველობის განვითარებისა და განლაგების ზოგიერთი საკითხი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, თბ.: ესპსკი-ის შრომების კრებული, ტ. II, 1997;

57. ზარანდია ჯ., სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მრეწველობის ეფექტიანობის მაჩვენებლები, თბ.: ესპსკი-ის შრომების კრებული, ტ. IV, 1999;

58. ზარანდია ჯ., მრეწველობის განვითარების ტერიტორიული პროპორციები სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, თბ.: ჟურნალი „ეკონომიკა“ №5-6, 2000;

59. ზარანდია ჯ., საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის გზები საქართველოში, თბ.: ჟურნალი „მაცნე“, №4, ტომი – XI, „მეცნიერება, 2003;

60. ზარანდია ჯ., ეკონომიკის სივრცობრივი განლაგების მეთოდოლოგიური ასპექტები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტომი – 168 №2, 2003;

61. ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების წინაპირობები, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, №3, 2003;

62. ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები, მოსკოვი. ჟურნალი „მუნიციპალური ეკონომიკა“, №4, 2003;

63. ზარანდია ჯ., საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცი-

ის რეგიონული პრობლემები, მონოგრაფია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004;

64. ზარანდია ჯ., სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმის საკითხისათვის, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, №2, 2004;

65. ზარანდია ჯ., ბობოხიძე ზ., რეგიონული კონკურენტუნარიანობა, თბ.: ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, №5-6, 2005;

66. ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ.: გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005;

67. კაკულია რ., ავტონომიური რესპუბლიკების საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფა გარდამავალ პერიოდში, ბათუმი – თბილისი, შრომების კრებული, 2001;

68. მალაშხია გ., საქართველოს ეკონომიკა – საუკუნოვანი პანორამის შტრიხები, თბ.; 2002;

69. მელქაძე ვ., საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის რეგიონალური სტრუქტურა, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1978;

70. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ.: ფსკი-ს გამომცემლობა, 2002;

71. მეძმარიაშვილი გ., შვეარდნაძე კ., რეგიონული ეკონომიკური და ფინანსურ-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ბათუმი-თბილისი, შრომების კრებული, 2001;

72. მესხია ი. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული. III ტ. 2003;

73. მიქელაძე ი., ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები, თბ.: „მეცნიერება“, 1980;

74. მოურავიძე დ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები გარდამავალ პერიოდში; თბ.: ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის „მომბე“, №2-3, 1997;

75. მოურავიძე დ., რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში, თბ.: ესპსკი-ს შრომების კრებული, ტ. I, 1996;

76. მოურავიძე დ., ახალი სამრეწველო პოლიტიკის რეგიონული ასპექტები, თბ.: ესპსკი-ს შრომების კრებული, ტ. IV, 1999;

77. მოურავიძე დ., რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირების მეცნიერული საფუძვლების შესახებ: გამოცდილება, ამოცანები, მიმართულებები, თბ.: ესპსკი-ს შრომების კრებული, ტ. V, 2000;

78. ნადარაია ო., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 2003.

79. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია, თბ.: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი №73, 2002;

80. პაპავა ვლ., საგადასახადო ფედერალიზმი: თანხმობა თუ „სეპარატიზმი“, თბ., 2000;

81. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ.: „პბ“, 2002;

82. „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში“, შრომების კრებული, ბათუმი-თბილისი, 2001;

83. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ.: თ. დავითაიასა და გ. გველესიანის რედაქციით, „განათლება“, 1970;

84. ტუხაშვილი მ. „საქართველოს შრომითი პოტენციალი“, თბ.: „თსუ“, 1998;

85. ჩიკვაძე თ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ.: ესპსკი-ს შრომების

კრებული, ტ. I, 1996;

86. ჩიხლაძე ნ., ქაჯაია ვ., ბიუჯეტების ჰარმონიზაციის პრობლემები სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში, ქუთაისი: „ქუთაისინფორმი“, 2001;

87. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა, თბ.: „მერიდიანი“ 1995;

88. ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ.: შპს „პდპ“, 2003;

89. ჩუბინიძე გ. „რეგიონული ეკონომიკა და მართვა“, ქუთაისი, შს „ქუთაისინფორმი“, 2000;

90. ციმიანთა კ. ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრული ინდიკატორები და მისი უზრუნველყოფის პარამეტრები საქართველოში. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, №4, 2004;

91. ციმიანთა კ. წარმოების ზრდის რეზერვები საქართველოს რეგიონების აგრარულ სექტორში. „ესპსკი“ შრომების კრებული. ტ. VI. 2002;

92. ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, ნაწილი I, თბ.: გამომც. „ესპსკი“, 1997;

93. ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება), ნაწილი II, თბ.: გამომც. „ესპსკი“, 1999;

94. ჭითანავა ნ., „საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან“, ესპსკი-ის შრომების კრებული, ტ. II, თბ., 1997;

95. ჭითანავა ნ., „საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების თეორიულ-ორგანიზაციული პრობლემები“, თბ.: „ესპსკი“-ის შრომების კრებული, ტ. I, 1996;

96. ყუფუნია გ. „საქართველოს ეკონომიკა“. თბ.: „ცოდნა“, 2006;

97. ჯავახიშვილი ივ. „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, თბ.: „ქართული წიგნი, 1930;

98. ჯაოშვილი ვ., „საქართველოს მოსახლეობა“, თბ.: „მეცნიერება“, 1996;

99. Алиев В.Г. и др. Региональные проблемы переходной экономики - вопросы теории и практики, М.: Экономика, 2002;

100. Аттали Ж. На пороге нового тысячелетия (пер. с французского), М., 1993.

101. Бабурин В.Л., Мазуров Ю.Л., Географические основы управления, М.: Дело, 2000;

102. Бахрах М., Показатели экономического исследования территории // Вопросы Экономики, №6, 1971;

103. Бутов В.И., Игнатъ В.Г., Кетова Н.П., Основы региональной экономики, М., 2000;

104. Валентей С.Д. и др. Экономический механизм федеративных отношений, Научный доклад ИЭ РАН // Общество и экономика, №1, 2, 4, 1995;

105. Гаджиев К.С., геополитика Кавказа. М., Международные отношения, 2001;

106. Гранберг А.Г., Основы региональной экономики. Московский Государственный университет - Высшая школа экономики, 2001;

107. Гранберг А.Г., Стратегия территориального социально-экономического развития России: от идей к реализации // Вопросы Экономики, №9, 2001;

108. Европейский Союз на пороге XX века, Под редакцией Ю.А. Борки и О.В. Буториной, УРСС, М., 2001;

109. Европа: вчера, сегодня, завтра, под редакцией Н. Шмелева, М., 2002;

110. Жильцов С.С., Зонн И. С. Ушков А. М., Геополитика каспийского региона, М.: Международные отношения, 2003;

111. Колосовский Н.Н., Теория экономического районирования, М.: Мысль, 1969;

112. Котилко В.В., Региональная экономическая политика- учебное пособие - М.: Издательство РДЛ, 2001;
113. Минеральные ресурсы Грузии и проблемы их рациональной разработки / Под. ред. А.А. Дзидзигури, Тб.: Мецниереба, 1991;
114. Некрасов Н.Н., региональная экономика: Теория, проблемы, методы, 2-е издание, М.: Экономика, 1978;
115. Нестеров П.М., Нестеров А.П. региональная экономика Учебник - М.: ЮНИТИ-ДАНА, 2002;
116. Политика запада в области безопасности и Грузино-абхазский конфликт (практика федерализма. Поиски альтернатив для Грузии и Абхазии), (общ. ред. Б. Коппитерс, Д. Дарчиашвили, Э. Акаба), М., 1999.
117. Региональное развитие: опыт России и Европейского Союза, под редакцией А.Г. Гранберга, М.: Экономика, 2000;
118. США: государство, человек, экономика (региональные аспекты), под редакцией А.Ф. Лебедевой, М.: Анкил, 2001;
119. Тоинбы А. Дж., Достижение истории (пер. с англ.), М., 1991.
120. Тумусов Ф.С., Инвестиционный потенциал региона: теория, проблемы, практика, М.: Экономика, 1999;
121. Ферро М., Европоцентризм и истории: Расцвет и упадок (метаморфозы Европы), М., 1993;
122. Хантингтон С., Столкновение цивилизаций ж. „полис“. №1, 1994;
123. Ясперс К., Смысл и назначение истории, М., 1994;
- 124 . Bantley J. H., ahp Forum-Gross-Cultural interacgtion and Periodization in World History // American Historian Review, 1996, №10.
125. Handbook of International trade and development statistics. Supplement, New-York: United Nations, 1996;

126. Henderson D., International Economic Integration: Progress, prospects, Implications // International Affairs, 1992, №4.

127. Isard W., Location and space economy. N.Y. 1972.

შინაარსი

შესავალი	3
1. საქართველოს ზოგადი დახასიათება	8
2. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალიზმი გლობალიზაციის კონტექსტში	27
3. ეკონომიკური პოლიტიკის ინტერნაციონალიზაცია და მასში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობები	63
4. საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო: რეგიონული თავისებურებები, ტენდენციები	96
5. ქვეყნის რეგიონული დაყოფის რეტროსპექტივა და პერსპექტივა	140
6. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები და სახელისუფლებო ღონეების საკითხები	209
7. რეგიონების თანამედროვე ტიპოლოგია-კლასიფიკაცია და მათი გამოთანაბრების ასპექტები	223
8. რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირება	265
9. საქართველო და ევროკავშირის რეგიონული განვითარების გამოცდილება	280
10. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები	305
11. რეგიონული ეკონომიკური ინტერესები და მათი რეგულირების მექანიზმები	317
12. საბიუჯეტო ფედერალიზმი	358
13. რეგიონული დასაქმების ფორმირება და სოციალური პოლიტიკის საზღვარგარეთული გამოცდილება	400
14. თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების პერსპექტივები	420
15. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება – რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი	437
16. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასებისა და გამოყენების რეგიონული ასპექტები	448

17. რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში	500
18. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები	. 513
19. რეგიონული ეკონომიკური განვითარების შედეგებითი ანალიზი საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე	533
20. ინოვაციური პოლიტიკის რეგიონული ასპექტები	550
21. რეზიუმე	599
22. ლიტერატურა	620



ევგენი ბარათაშვილი, დაბადებული 1949 წელს, ქ. ქუთაისში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.

ე. ბარათაშვილმა 1972 წელს დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი (ამჟამად მოსკოვის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტი). 2007 წელს დააფუძნა არასამეწარმეო ორგანიზაცია „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული კვლევის ცენტრი“, რომლის თავმჯდომარედაც იქნა არჩეული. არის საქართველოს მეცნიერების ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის თემაზე: „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება“, ხელმძღვანელი.

მისი სამეცნიერო შრომებიდან აღსანიშნავია „მენეჯმენტის საფუძვლები“, „ისრაელის ეკონომიკის განვითარების ეტაპება“, „სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრობლემები საქართველოში“, „საქართველოს გეოპოლიტიკური გარემო – მისი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი“, „საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის ლიდერები“. „საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი: პრობლემები, პერსპექტივები“, „ეკონომიკური განვითარების თანამედროვე თეორიები“, „განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი“ „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.



ჯანდრი ზარანდია – დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სოხუმის ფილიალის ეკონომიკური ფაკულტეტი. არის ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის რეგიონული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია. მისი ნაშრომები ძირითადად შეეხება რეგიონული ეკონომიკის პრობლემებს. არის არასამეწარმეო ორგანიზაციის „რეგიონული განვითარების სტრატეგიული კვლევის ცენტრის“ დამფუძნებელი. აღმასრულებელი დირექტორი. 1986 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შემდგომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალის ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციების კურსს საგნებში: „საქართველოს ეკონომიკა“ „წარმოების ეკონომიკა და მართვა“ „რეგიონული ეკონომიკა“, „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა“, „სახელმწიფო სექტორის ეკონომიკა“

მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1986-1989 წლებში იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების პრორექტორი და ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობას ქ. სოხუმში. 1989-2005 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალის დირექტორის მოადგილე. 2006 წლიდან მიწვეულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

ევგენი ბარათაშვილი, ჯანდრი ზარანდია

საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა

Экономика региональное развития Грузии

GEORGIAN'S ECONOMIC OF REGIONAL DEVELOPMENT

**გამომცემლობის რედაქტორი: თ. ყოლანდარია
ააწყო და დააკაბადონა: მ. სიმონიშვილმა
ფასი სახელშეკრულებო**

თბილისი 2007